აჭარის

სახალხო

მელექსეთა

ანთოლოგია

წიგნი გამოვიდა ემენ დავითაძის
რედაქციით

გამომცემელი მამია ხარაზი

ბათუმი
1988

ფ. 9. ქ.

წიგნი — ანთოლოგია მოგვითხრობს აჭარის ცნობილ სახალხო მელექსეებზე, იმათზე, ვინც შეინახეს, აამაღლეს და თაობებს გადასცეს ქართული ხალხური მელექსეობის ძირძველი ტრადიციები და ამით თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს ამ ძნელბედობის კუთხის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და შემდგომ კულტურულ დაწინაურებაში.

მკითხველი ინტერესით გაეცნობა იმ მრავალფეროვან და საინტერესო ხალხურ საუნჯეს, რომელმაც საყოველთაო დაფასება, აღიარება და სიყვარული მოუხვეჭა თავის პირველმთქმელთ.

© ბაგრატ კურაპალატის სახელობის
ბათუმის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა

Q505000000—02
დ ——————93
1998

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲛᲔᲚᲔᲥᲡᲔᲝᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ ᲐᲭᲐᲠᲐᲡ ᲫᲕᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲕᲔ ᲛᲘᲡᲓᲔᲒᲐᲛᲡ. ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ ᲓᲝᲛᲡᲘᲐᲚᲐᲕᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ, ᲪᲐᲓ ᲐᲬᲧᲓᲘᲚᲘ ᲛᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲨᲘ ᲩᲐᲤᲚᲣᲚᲘ ᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲑᲓᲐ ᲐᲥᲐᲣᲠ ᲙᲐᲪᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲔᲚᲔᲥᲡᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲘᲓᲐᲠ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲖᲔ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲮᲕᲐᲓ ᲛᲘᲛᲝᲑᲜᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲥᲛᲜᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘᲪ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ, ᲒᲚᲔᲮᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲣᲗᲐᲕᲡᲔᲑᲔᲜ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲚᲔᲥᲡᲛᲐ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲡ ᲒᲐᲣᲫᲚᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲢᲝᲛᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲔᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲫᲜᲘᲛᲔ ᲘᲧᲝ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲚᲔᲥᲡᲔᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐᲡ.

ᲔᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲨᲔᲣᲛᲬᲜᲔᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲡᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲡ: „ᲩᲕᲔᲜ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲭᲐᲠᲣᲚ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ᲬᲐᲕᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲐᲕᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲐᲛᲪ ᲗᲣ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ, ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ“,[1] ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗ ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲔᲚᲔᲥᲡᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲗᲔᲓᲝ ᲡᲐᲮᲝᲙᲘᲐ: „...ᲐᲭᲐᲠᲔᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲐᲧᲝᲚᲐ. ᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲒᲐᲜᲣᲧᲔᲠᲔᲚᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲝᲤ. ᲤᲣᲠᲢᲘᲝᲨᲘ (ᲖᲔᲛᲝ ᲐᲭᲐᲠᲐ) ᲔᲠᲗ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚ ᲒᲚᲔᲮᲡ — „ᲥᲝᲡᲐᲓ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚ ᲛᲔᲚᲔᲥᲡᲔᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲔ ᲠᲐᲛᲔ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲔᲗᲥᲕᲐ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲮᲕᲔᲬᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ „ᲝᲠᲝᲕᲔᲚᲐᲡ“ ᲮᲛᲐᲖᲔ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲐᲐᲢᲐᲜᲐ“...[2]

---

[1] Ი. ᲣᲛᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲒᲐᲖ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“, 1887, № 8, ᲒᲕ. 11.

[2] Თ. ᲡᲐᲮᲝᲙᲘᲐ, ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐᲜᲘ, ᲗᲑ., 1950, ᲒᲕ. 185.

ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „ქართველ მაჰმადიანებმა ქართულ ენას გარდა თვით ქართული მეშაირობა და მელექსეობაც არ დაივიწყეს. მაგალითებრ ასეთი არის ქობულეთი და აჭარა, სადაც ქართველ მაჰმადიანთ შორის ბიბო-ოროლა მელექსენიც კი მოიპოვებიან. დღეს, აქ, მათ შორის მელექსეთა რიცხვს ძრავლად ნასავს კაცი“.[3]

აჭარის სახალხო მთქმელთა შესახებ მოკლე ცნობები და მასალები პირველად გამოსცა აწ განსვენებულმა ცნობილმა ფოლკლორისტმა ჯ. ნოღაიდელმა (ჯ. ნოღაიდელი, „აჭარის ხალხური სიტყვიერება“, II, 1940 წ.).

სახალხო მელექსეთა პოეტური რეპერტუარის პატარა კრებული საკმაოდ დიდი ხნის წინ გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ („აჭარის ხალხური მთქმელები“, ბათუმი, 1956 წელი). შემდეგ ნაზი ნოღაიდელის რედაქციით კვლავ გამოიცა შედარებით სრული კრებული („აჭარის სალხური პოეზია“, ბათუმი, 1959 წელი). როგორც პირველის, ისე მეორის მიზანი იყო ცნობილ სახალხო მელექსეთა რეპერტუარის გაცნობა და არა მისი მონოგრაფიული, ქრონოლოგიურებული და სისტემატიზირებული პუბლიკაცია. ფოლკლორულ პროცესთა მდინარეებამ თავისებური „შესწორებანი“ შეიტანა ამ კრებულების შემადგენლობაში: მელექსეთაგან ზოგის სახელი და ლექსი მიივიწყა, როგორც შედარებით მდარე და უღიმღამო, ზოგიც ახალი წარმოშვა და უკვე „შემოწმებულსა“ და „გადარჩეულთან“ ერთად ფოლკლორულ ბრუნვაში ჩართო. ამდენად, ზეპირსიტყვიერ ნიმუშთა პუბლიკაცია ერთგვარად ჩამორჩა მის ბუნებრივ მდინარებას. ამასთან, როგორც პირველი, ისე მეორე კრებული დიდი ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული.

სახალხო მელექსეთა რეპერტუარის ერთი ნაწილი დაბეჭდილია კრებულში „აჭარის ხალხური პოეზია“, I (თბ., 1969, შემდგენლები: ა. ახვლედიანი, ე. ზოიძე, ზ. თანდილავა, ა. ინაიშვილი, ა. მსხალაძე, ჯ. ნოღაიდელი, ნ. ცქიტიშვილი) და სხვ.

აჭარის ცნობილ ხალხურ მელექსეთა კრებული, რის მიხედვითაც შე-

---

[3] ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 73.

საძლებლობა მოგვეცემოდა თვალი გაგვეცნებინა საქართველოს ამ კუთხეში ინდივიდუალურ მთქმელ-შემსრულებელთა პოეტური იერსახისათვის, — დღემდე არ გაგვაჩნდა. სწორედ ამან გვაფიქრებინა ხელი მოგვეკიდა ამ საქმისათვის.

კრებულის შედგენისას ვხელმძღვანელობდით ერთი უმთავრესი პრინციპით: შეგვერჩია და შეგვეტანა ისეთი მთქმელები და მათი ისეთი პოეტური ნიმუშები, რომელთაც, ასე თუ ისე, გაიარეს ეგრეთწოდებული ზეპირსალხური აპრობაცია, აკმაყოფილებენ ფოლკლორის კუთვნილებისადმი წაყენებულ ძირითად მოთხოვნილებებს და გააჩნიათ საამისო ღირებულება. ამის გამო შეგნებულად უარი ვთქვით მასში ზოგიერთი მთქმელისა და მათი რეპერტუარის შეტანაზე. ვცადეთ აგრეთვე დღის სინათლეზე გამოგვეტანა შედარებით მივიწყებულ იმ პირველმთქმელთა სახელები, რომელზეც ხელი მიგვიწვდებოდა და რომლითაც ამჟამად ფაქტობრივად იწყება მრავალგვარ ისტორიულ ქარტეხილთაგან გადარჩენილი აჭარის ძირძველი ქართული მელექსეობის ტრადიციები. ცნობილ მელექსეთაგან, სამწუხაროდ, ბევრის სახელი ჟამთასვლამ იმსხვერპლა, მათ სანაცვლოდ ზოგის ლექსებიღა დაგვრჩა. მაგრამ ხალხის მახსოვრობამ და ნიჭმა ბევრიც დავიწყებას გადაარჩინა და თავის საკუთრებად აქცია. სწორედ ამ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნიან ისინი, ვისაც აქ თავი მოვუყარეთ და თავიანთ რჩეულ პოეტურ სიტყვასთან ერთად მკითხველს ერთ წიგნად ანუ ანთოლოგიად ვთავაზობთ.

კრებულს, როგორც აჭარის ინდივიდუალურ მთქმელ-შემსრულებელთა რეპერტუარის პუბლიკაციას, სისრულის პრეტენზია არც დღეს გააჩნია. იგი ასევე დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისგან. კრებულის ავტორები გამოთქმულ საქმიან შენიშვნებს მადლიერებით მიიღებენ.

წინამდებარე კრებულის წინამორბედი 1979 წელს დაიბეჭდა და სულმოუთქმელად გავრცელდა, იგი დიდიხანია ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ამჟამინდელი გამოცემა შეუდარებლად სრულყოფილია, შევსილი და გამდიდრებულია ახალი ფოლკლორული ნიმუშებით და სახალხო მგოსნებით, ასევე განახლებულია დართული მეცნიერული აპარატურა. ერთი სიტ-

ყვით, იგი სახალხო მეოსანთა ერთგვარი ანთოლოგიაა, ამის გამო და არა სხვა მიზეზით ცვლილება განიცადა ავტორობამაც.

კრებული შეგნებით არ შევცვალეთ პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენების ფარდობით. ფოლკლორი ხალხის აზროვნების ისტორიაა, ამიტომ მოვერიდეთ მის რევიზირებას.


წინასწარ ვიცით, სახალხო მელექსეთა ეს ანთოლოგიური ნაშრომი ყველა ქართველის სამაგიდო წიგნად იქცევა.

წიუნი — ანთოლოგია გამოდის ჩვენი ხარჯით

ემენ დავითაძე
მაყია ხარაზი

ᲛᲒᲝᲡᲐᲜᲡ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ ᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ...

ᲑᲣᲮᲐᲜᲐ ᲑᲐᲘᲠᲐᲮᲢᲐᲠ-ᲨᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ბუხანა ბაირახტარ-შავიშვილი დაიბადა 1814 წელს ქედის რაიონის სოფელ მერისში. მის შესახებ მეტად მწირი ცნობებია მოღწეული ჩვენამდე. ბუხანა ქრონოლოგიით ერთ-ერთი პირველი აჭარელი მთქმელთაგანია, რომლის სახელიც დღემდე შემონახულა.

1879 წელს აჭარაში იმოგზაურა გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, პეტრე უმიკაშვილმა. იგი სულ თოთხმეტ დღეს დარჩა. აქ მოინახულა ბათუმი, ქობულეთი, იყო ზემოაჭარის ცალკეულ სოფლებში და გზადაგზა შეაგროვა ზეპირსიტყვიერი მასალები. სწორედ ამ დროს შეხვედრია იგი ბუხანას, რომელიც მაშინ 65 წლისა ყოფილა. უმიკაშვილს ბუხანასაგან ჩაუწერია რამდენიმე ლექსი. ბუხანა შავიშვილს ეკუთვნის „ზამთრის ლექსი“, რომელიც სავსეა გლეხკაცის დაკვირვებითა და ცხოვრებისეული სიბრძნით. ამის შესახებ უმიკაშვილი წერს: „ამ ზაფხულს აჭარაში გავლა მომიხდა ამის დამწერს და ერთი სანშიშესული კაცისაგან (ბუხანა შავიშვილისაგან) გავიგონე „ზამთრის ლექსი“, ამ ოციოდე წლის წინათ გამოუთქვამს და ახლაც ბევრჯერ მოიგონებენ ხოლმე აჭარლები“...[1]

[1] პ. უმიკაშვილის გამოუქვეყნებელი ფელეტონი, დაწერილი არა უგვიანეს 1879 წლისა, სათაურით „საკვირაო საუბარი“.

ბუჰანა შავიშვილი პეტრე უმიკაშვილს სოფელ ვაიოში უნახავს. მისივე ცნობით ბუჰანა თავდაპირველად ცხოვრობდა სოფელ მერისში, მაგრამ 1859 წელს სახლი დასწვია და ვაიოში გადმოსახლებულა.

პეტრე უმიკაშვილის მიერ ჩაწერილი ბუჰანას ლექსები შემდგომ გამოყენა ზაქარია ჭიჭინაძემ და 1891 წელს დაბეჭდა წიგნში „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება". ზ. ჭიჭინაძე ამის შესახებ შენიშნავდა: „ამ სოფელში (იგულისხმება სოფელი ვაიო) სცხოვრობდა ბუჰან ბაირახტარ-შავიშვილი, რომლის ზოგიერთი ლექსი დასწერა პ. უმიკაშვილმა 1879 წელს. ზოგი ამისი ლექსები მე დავბეჭდე 1891-1893 წ.წ. აქაურს სალხში ამის ლექსებისა ზოგი ზეპირად იციან"-ო.[2]

ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით ბუჰანა შავიშვილის გამოთქმულია „სოლოღას ლექსი", „ბათუმის ლექსი" და სხვანი.[3] ბუჰანა ბაირახტარ-შავიშვილის სახელმა მკვლევართა ყურადღება ადრევე მიიქცია, როგორც ერთერთმა პირველმა აჭარელმა მელექსემ.[4]

ბუჰანა ბაირახტარ-შავიშვილი გარდაიცვალა 1880 თუ 1879 წლის ზამთარში

---

[2] ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, 1913, გვ. 104.

[3] იქვე, გვ. 73.

[4] ვ. მაცაბერიძე, პეტრე უმიკაშვილის ფოლკლორისტული მოღვაწეობა, „ლიტერატურული ძიებანი", ტ. 14, თბ., 1962, გვ. 326; მისივე, „აჭარის ზეპირსიტყვიერების შესწავლის ისტორიის საკითხისათვის", ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 2, 1962, გვ. 63; „აჭარის ზეპირსიტყვიერების მასალები პ. უმიკაშვილის არქივში", სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, III, თბ., 1977, გვ. 45; ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970, გვ. 147 და ა. შ.

1. სოლაღას ლექსი

სოლაღა სტამბოლს წავიდა თავის ჯიმამრის ბარზეა,
რვა დღე და ღამე იარა, ჩევდა ხონთქარის კარზეა.
რაღაცა ბედმა უსაქმა, ვეზირი დახდა კარზეა,
სოლაღა კოცნის კალთასა, ვეზირი კოცნის თავზეა.
— ჩვენცა ერთი არაბი გვყავს, გათქმული გურჯისტანზეა,
შენ თუ იმას ეჯირითო, თუღებ დაგადგამ თავზეა.
ფაშაობას შენ გაჩუქებ იმ ახალციხის კარზეა.
სეისები გამოცვივდნენ: რა გადახდება თავზეა?
— სეისებო, ნუ გეშინჟათ, ცხენი მოვგვარეთ კარზეა.
უუშვეს და გამეჟყვანეს ნაბამი შვიდსა ჯაჭვზეა,
ხუთსა სეისსა უჭირავს, ვერ იმაგრებენ ჳზაზეა.
გეჟარა და გამეჟარა იმ ჯირით-მეიდანზეა,
შევარდნულებ შემოკივლა, ხონთქარი დასძრა ტანზეა,
(ტახტზეა),
არაბი მოდის, მოკივის, ვით ნიავქარი მთაზეა;
სამი ჯირითი მას უძევს იმ გაშავებულ მკლავზეა,
სამსავ სოლაღას აქადნის, რა გადახდება თავზეა?
— აბა გემექეც, სოლაღა, მოგყვე უღურის კარზეა. (ქვალზეა)
ერთი ჯირითი ესროლა, არ წეიკარა ტანზეა,
მეორეც რომ გაისროლა, მოხდა ცალ აბჟანდაზეა.
ცალი აბჟანდა შეწყვიტა, გადვა ცალ აბჟანდაზეა.
„—რას შვრები, ოხერო-მკლავო, თვალი მეჭირა სხვაზეა,
აბა, მობრძანდი, არაბო, მოგყვე ღეთის სამართალზეა“.
ერთი ასეთი დაჰკივლა, ფერი უცვალა ტანზეა,
ცხენი ცხენზე შეაჯდინა, ჯირითი დაკრა ბეჭზეა.
არაბი ძირს გადმოვარდა, სული არ დაჰყვა ტანზეა.
მოლიები, ხოჯიები ქითაბს აბერტყვენ თავზეა,
ქითაბ-მითაბი ჭაარს არ იქს, ქურჭი წაბურეთ თავზეა.
სოლაღასა შეეშინა, პაპუცებს ყრიდა გზაზეა.
— სოლაღა, ნუ გეშინია, თუღებ დაგადგამ თავზეა,
ფაშაობას შენ გაჩუქებ იმ ახალციხის კარზეა,

მურად-მურადის ჰირიმე, კარგა ისაქმა გზაზეა.
საცაღა მიგიყვან თემსა, ქილით კი დაგიდგამ ქერსა.
აბრეშუმის თორბას მოგცემ, საპონითაც დაგბან ფეხსა,
ყოვლისა ვახტის ლოცვაზედ შენაც შეგახვეწებ ღმერთსა.

(1.) ლეჭსი სოლაღაზე (ვარიანტი)

სოლაღა სტამბოლში წევდა სიმაურის ბარობაზე,
რვა დღე და ღამე იარა, მიაწია ხონთქრის კარზე.
რავარცა ბედმა უსაქმა - ვეზირიცა დახდა კარზე,
სთხოვდა, თანაც მოახსენა, არც კი დააყონა წამზე.

გობრონელი ბათუმიდან ხონთქარმა ინება ტახტზე,
შეიცნო და მოეწონა, ვეზირებს გააცნო ვახტზე.
სიმაური გამოუხსნა, მაგრამ ასეთ პირობაზე:
არაბი გვყავს მოჯირითე მსურხარ მასთან შეხვედრაზე.

ხონთქარსა შევეწირები, არ გადავალ პირობაზე,
მაგრამ ერთი ეს კი არის ცხენი რომ მომგვაროთ კარზე.
აუშვეს და გამოჰყვანეს, ნაბამია შვიდსა ჯაჭვზე,
ხუთ სეისს ხელში უჭირავს, ვერც კი იმაგრებენ გზაზე.

გაიარ-გამოიარა იმ ჯირითის მოედანზე,
სოლაღა შეხტა, დაჰკივლა, ხონთქარიც კი დასძრა ტახტზე.
არაბი მოდის, მოკივის, ვით ნიავ-ქარი მინდორზე,
სამი ჯირითი მას უზის, იმ გაშავებულსა მკლავზე.

სამსავეს სოლაღას უქდის, აბა რა გადახდეს თავზე,
ერთი ჯირითი ესროლა, სულ არსა წაიკრა ტანზე.
მეორეთაც რომ ესროლა მოარტყა ცალ აბჟანდაზე,
გასწყვიტა ცალი აბჟანდა და მაშინ გადადგა ცალზე.

მკლავ თუ რას შობი ოხერო, მე თვალი მეჭირა სხვაზე,
აბა გამექეც არაბო, მოგყვე უღურისა კვალზე.

ერთი ასეთი დაჰკივლა, ფერიც კი იცვალა ტანზე,
ცხენი ცხენზე შეაჯდინა და ჯირითი დაჰკრა მკლავზე.

არაბი ძირს გადმოაგდო, სულიც კი არ დაჰყვა ტანზე,
ხოჯიები, მოლიები ქითაბს აბერტყვიდენ თავზე.
ქითაბ-მითაბი ქარს არ იქს, ქურჭი წაახურეთ თავზე.
სოლაღას კი შიეშინდა, უცბათაი კაცის მოკლაზე.

სოლაღა შენ ნუ გეშინია, თუღებსა დაგადგამ ფხარზე,
ფაშიობას შენ გაჩუქებ, იმ ახალციხისა კარზე.
შენ რომ ასე მასახელე, არ გადადექ პირობაზე,
ხონთქარი ამას პირდება, როცა მიუყვანეს კარსე.

მურად-მურადის ჭირიმე, შენ მასახელე ამ გზაზე,
ცხენი ხარ კაცის სახელით, არ გაგცლი მამისა ქვარზე.
აბრეშუმის თორბას მოგდებ, და ისე მოგართმევ იემსა,
ყოველ ვახტზე და ლოცვაზე შენს თავს შეგაბეწებ ღმერთსა.

ჯ. ზამთარი

გამჩენიდამ უმუდი გვაქ მოვლა ფუხრისა მთელისა.
დაბძანდი და ყური მომე, ვიკითხო ბეჰთი თოვლისა.
ამ ზამთარმა გაგვისერთდა, გამოგვყარა მშრალი მტევრი,
ღობის დაწვას რაზ კი გავხდი, ველარ ვნახე სარი წვერი,
ალაფი ბევრი დამირჩა, შეშას თუკი მკითხავ, მთელი.
უკაცრავათ, გიახლები, დემელია ჟაღი-ყველი.
ხელ-ფეხი ვერ გევიღევით, შეგვაწუხა დუნჯა მთელი,
მოვიდა, თვალში დამიდგა ეზრუმისა სერესკერი.
თებერვალი რომ დადგება...
მუბარექი ყიბლიდამა რომ გამოვა ჰაჯიელი,
შენს აჯილსა მაშინ ვიყრი, დეგეხვევა თავზე ქელი,
იგითი ხარ, მაშინ დამხვდი, რომ გამოვა ხის ფოთელი,
გამჩენის ემრი დეჟლოცა, მისიდამ არის სუ მთელი.

3. ბათუმის ლექსი

(მარიღის მოკვეთაზე)

გადაწმენდილსა დილასა მიადგება სეპერიო,
ქალაქებში დავაშვენოთ ბათუმისა შეჰერიო,
სტამბოლიდგამ დეიძრება, გეიხსნება დენგებიო,
ალთუნ წყალში გავლებული მიცხებული დეძებიო,
ზღვაის პირზე მოდგომია დალაგმული გემებიო;
გამფრინვალეც ვერ უსწორებს, მუცელზე აქვს ეირიო,
სიარულსა თუკი მკითხავ, ქოჰლანისა იარიო.
ზღვაის პირზე ეფინება შავი-თეთრი ჩიტებიო.
თუჯარებსაც მოუტანდა ფრანგისტანის ჩითებიო.
მუშტერიც ვერ უპოვნია, თავ-შეუდგამ თითებიო.
ამ დამპალის ფრენგის ჩითით დუქნის პირი ავსილია;
ოჯალდამდგრებს ვერ შეუტყვია ფუხარა რომ დავსილია;
ფადიშაჰმაც მოგვიძულა, მოგვიკვეთა მარილიო,
მუბაჰრეკსა რათ სჭირია ამ ფუხრისა ტირილიო.
ზედამ ცაში აწეულა ჰაჯვანათის ყვირილიო,
ფადიშაჰის ასი თუ ვართ, წამეიღოს სეფერიო,
ყიამეთით მორჩომასა წაგვიშინოს თებერიო,
ეფენდებსა რიჯა უყოთ, ასთე მისცენ ხებერიო.

1860 წ.

4. ჩიჩხინაკი (ჩიტი)

ავდექ, გარეთ გავიხედე, დავინახე ჩიჩხინაკი,
ერთი თოფიც კი ვესროლე, გადავართვი კიკბინახი,
ჩიჩხინაკმაც გეიყვირა, თავზე დამადევი ძახი,
ავდექი და ქე მივედი, მოუტანე კარქი იახი.
„ძაგი იახი იქით გასწი, მე ვეღარ მოვრჩები ახლა,
ჩემმა წყეულმა, ჩემმა ცოდვამ ჯოჯოხეთში ამოგბარხლა,
ყულაუზათ წამოველი, ოღლუშაღიც მოვიდოდა,
ეზრაელი თავზე მედგა, ი მამალსაც რა უნდოდა.

ის მამალი მომიძევი, ამწიე, უბეში ჩამსვი.
გამჩენელის გულისათვის ერთი ჭაშვი წყალი მასვი,
ჩემი ქონი გამოხადე, შენ თოფის კონდახსაც უსვი;
ვაჲმე, შვილებო, სადა ხარ, რაფერ ჲეთიმი დამირჩი,
ჩემი ხორცის სახარშავათ ქვაბებს გაუგლისეს ნერჩი,
ეს იგითობა რომ ვქენი, ყირალს გავუგზავნე ელჩი.
სელავათის მომტანელი სუ მთელი წავა ჯენნეთში.
ჩემი თავის სიმწარისგან შენაც კი დარჩები კარში!“

5. უწინ დროში ბრძანებულა

უწინ დროში ბრძანებულა ჰეზრეთია სულეიმანი,
ნესვიეთსა ყური მიე, თუ გწამდეს დინი, იმანი,
გამჩენელმა ბრეველი მოგვცეს თადარიკი, ჲაღი, პური,
რეჯებ შაჰბანი მობრძანდა, სელავათსა მივცეთ ყური.
სელავათის მომტანელსა მეზერში ჩუხტება ნური,
სელავათსა ვინც არ იტყვის, გინდამც რომე ბრეში ღორი.
რემეზანსა ურევია მუბარექი სამი დღეა,
სამი დღისა გულისათვის არ გვაჭამა ერთი თვეა,
მოწყენილიც კი დაჲვტია, არ მობრძანდა ათი თვეა,
მობრძანება ვისაც უნდა მისი სახლი სამოთხეა.
ლამაზია სანახავი კაი ხალხის სამარხავი,
ჯენნეთის კარს თუკი მკითხავ, მაღალია და პტუელია,
ისრამში ერთი ვინც იცის, მუსლიმანობა თხელია.
ხუთი ვახტის ულოცავი ჯეჰენებში ქვაი ცხელია.
სელავათსა თუკი მკითხავ, ჯენნეთის კარზე ჰკიდია.

6. ჩახალთღლის ლექსი

ჰეი გიდი, ჩახალ-ოღლი, ერთხანაც გიქროდა ქარი,
შემოჲღევი ოლქაობა, ხომ არ ქენი კაი ქჲარი.
ფაშას ყალე დაუნგრიე, სასახლეს გაუღე მხარი,
სელიმ-ფაშამ რომ შეიტყო, ხომ შეიქნა ჰერსით მთვრალი.

ჩახალოღლი შემბირიგდი, გავაკეთოთ ბარიშალი,
ასრე ვნახოთ ერთმანეთი, ვითარცა რომ და და-ძმანი.
თუ რომ მე არ მემენდობი, ბროლათ შეიყარე ჯარი,
შუატყეზე რომ გადმეგარე, იქ გადმეიტანე თარი,
ადიგვე რომ ჩამეგარე, მეიდანს ჭამე სამხარი.
ქალაქში რომ შემოხვედი, ვით ფადიშა სერასკერი,
ფაშამ საჩუქარი გიყო, მას გავარდა ორივ თვალი.
ფაშა ვალეს წამოვიდა, ხომ არ გამოვიდა ხანი,
ჩიფთეები დეუწყვილეს, ზეცას ადის მათი ალი.
სამი ფეხის გადადგმაში ჩამოართვეს ორივ მხარი:
სამივ ერთად დაარწყვილეს, ორი ძმა და ბაგრახტარი,
სამვეს ერთად დასჭრეს თავი, ვითარცა ყასაბმა ცხვარი,
ყველა იმას ეხვეოდა, ვითარცა სკაში ფუტკარი,
აჭარა დასწვა დადაგა, ზეცას ადის მათი ალი.

ხუსეინ ხაბაზი (ქამჯარაძე)



ხუსეინ სულეიმანის ძე ხაბაზი (ქამჯარაძე) ცხოვრობდა ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში. ამ ნიჭიერი სახალხო მთქმელის შესახებ საკმაოდ მდიდარი მასალა მოგვეპოვება. მის ლექსებს თავის დროზე დიდ შეფასებას აძლევდნენ ცნობილი ქართველი განმანათლებლები. ხოლო, ზაქარია ჭიჭინაძემ მათგან ცალკე წიგნიც კი დაბეჭდა ჯერ კიდევ 1900 წელს[1]. სწორედ ამ წიგნით ვიცებთ ხუსეინის ვინაობას. როგორც ირკვევა, ხუსეინ ხაბაზს პირადად იცნობდა ზ. ჭიჭინაძე და მისგან შეპირისპირებული მასალები ჩაუწერია. ამის შესახებ ზაქარია წერს: „ამ რამდენიმე წლის წინათ მე ვიყავი მასთან და ეს ლექსები მაშინ ჩავიწერეო"...[2] ხოლო უფრო მოგვიანებით ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „აჭყვის თავში სცხოვრობს ერთი ქართველი მაჰმადიანი, სახალხო მელექსე, ხუსეინ ხაბაზი, კაცი ხნიერი. ქართველ მაჰმადიანებში ბევრნი არიან მელექსენი, მაგრამ ამისთანა იშვიათია. ამის სახელი ბევრმა იცის და ლექსებიც გავრცელებულია. ერთი ამისი ლექსი „დაკარგული ბაჩა" ყველა მაჰმადიანთ ბავშვებმა იციან. ვისმეს ბავშვს რომ ჰკითხო, თუ ხუსეინ ხაბაზი ვინ არის? — ის მაშინვე გეტყვის: „მეშაირეაო, — იმის შაიბი იცი რამე? — მოგიგებს: კი, ბატონო, „დაკარგული ბაჩა" და სხვანი".[3]

---

[1] ლექსები თქმული ხუსეინ ხაბაზ-ქამჯარაძისაგან, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1900.

[2] იქვე.

[3] ზ. ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 15.

ზაქარია რომ შესვედრია, მაშინ ხუსეინი სამოცდაათს მიტანებული მოხუცი ყოფილა. კარგად სცოდნია ქართული და აჭყვისთავში მას ერთს შესძლებია ქართული (დედაბრული) წერა.[4] ზაქარია ჭიჭინაძის ცნობებზე დაყრდნობით ხუსეინი უნდა დაბადებულიყო 1818 წელს. სხვათა შორის, ზაქარიას პირადი ნაცნობობა ჰქონია ხუსეინის მამასთანაც და მისგან საქართველოს წარსულზე ბევრი რამ საინტერესო ჩაუწერია. მოხუცს უამბნია ოსმალთაგან აჭარის „გათათარების“ შესახებ, იგი მომსწრე ყოფილა სოლომონ იმერთა მეფისა და როცა ესეფ ხონთქარს თავის კარზე დაუბარებია, იგი იმ ამალაშიც ყოფილა, რომელსაც მეფე ტრაპიზონამდის გაუცილა.[5]

ხუსეინის მაშას სულეიმანს 150 წელი უცოცხლია, სულეიმანის ცნობით ქამჯარაძეები იმერეთიდან გადმოსულან აჭარაში, ხოლო მათი წინაპრები ქუთაისის ახლოს ცხოვრობდნენ.[6] ხუსეინის მამა სელიმ-ფაშა სიმშიაშვილთან, აბდულ და ასმედ-ბეგ ხიმშიაშვილებთან დაახლოებული პირი ყოფილა. ცხადია, ამგვარ წრეში გაზრდილ ხუსეინს სწავლა-განათლების მიღება არ გაუჭირდებოდა, რამაც შემდგომ განსაზღვრა მისი პოეტური ნიჭის განვითარებაც. თვითონ ხუსეინი თურქთა ბატონობის მოწინააღმდეგე და შეურიგებელი მეამბოხე იყო. სწორედ ამ მიზნით ათი თუ ოცი წელიწადი დიარბექირსა და ქურთისტანს ყაჩაღობაში გაუტარებია.[7] რუსეთ-საქართველოს ჯარმა ბათუმი რომ აიღო, ხუსეინ საბაზი შეძლებული კაცი ყოფილა და ჯარს ხელს უწყობდა თურმე.[8] რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს გამოხსნის შემდეგ ხუსეინი მშობლიურ სოფელში დაბრუნებულა და სიცოცხლის ბოლომდე მყუდროდ უცხოვრია თავის ცოლ-შვილთან ერთად.[9] ხუსეინს, სხვათა შორის, ცოლიც დიარბექირიდან წამოუყვანია: ქობულეთელი ვინმე ხუსეინ ხარაზის თერთმეტ-თორმეტი წლის ასული, იქ ყოფნისას ტყვეობიდან გამოუხსნია, სამშობლოში ჩამოუყვანია და მშობლებისათვის ჩაუბარებია. ხუსეინი მაშინ ცხრამეტი წლისა ყოფილა. მშობ-

---

[4] ხუსეინ ხაბაზის შვილიშვილის, იუსუფ ხაბაზის ნაამბობი, ბსკი, ფ. 1, ს. 36, გვ. 111.

[5] ლექსები თქმული ხუსეინ ხაბაზ-ქამჯარაძისაგან, ტფ., 1900.

[6] იქვე.

[7] იხ. ზ. ჭიჭინაძე, „ქართველების გამაჰმადიანება ანუ ქართველთა გათათრება“, თფ., 1915 წ. გვ. 10.

[8] იქვე.

[9] ხუსეინ ხაბაზის შვილიშვილის, იუსუფ ხაბაზის ნაამბობი, ბსკი, ფ, 1, ს. 36. გვ. 111.

ლებს დაკარგული ასულის ნასვა უსაზღვროდ გახარებიათ და სრულწლოვანების შემდეგ ისევ ხუსეინისათვის მიუთხოვებიათ.[10]

ხუსეინ ხაბაზი გურიის მთავრის ლევან გურიელის, აგრეთვე ალი-ფაშა თავდგირიძის, ცნობილი გურული სახალხო მელექსის — ატატო გურიელის და სხვათა თანამედროვე იყო და მათთან ახლო ურთიერთობა ჰქონია. ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა საინტერესო მასალები ამ ურთიერთობათა შესახებაც.

ხუსეინი მეტად სიტყვამოსწრებული მოშაირე იყო. იმპროვიზაციის ნიჭით იმდროინდათვის აღიარებულ ხალხურ მელექსეს ატატოსაც არ ჩამოუვარდებოდა და მასთან პოეტურ პაექრობაშიც ებმებოდა.[11] საინტერესოა აგრეთვე მის მიერ ლევან გურიელის გალექსება.[12]

ხალხში დღესაც ხშირად იგონებენ ხუსეინის მახვილგონივრულ პოეტურ შესიტყვებებს: ალი-ფაშას თურმე რაზმში ხუსეინის ჩაცცხვა მოუნდომებია, ხუსეინს უარი განუცხადებია. ამაზე ალი-ფაშა სამტროდ წაჰკიდებია მელექსეს და ეს უკანასკნელი ყაჩაღად გავარდნილა. გაყაჩაღებულ ხუსეინს ნამეტნავად ალი-ფაშას ერთ-ერთი რაზმის მეთაური ასლან გორდელაძე ემტერებოდა, რის გამოც ხუსეინს იგი გვარიანად გაუმასხრებია.[13]

ერთხელ ქობულეთიდან მომავალ ხუსეინს გზაზე ალი-ფაშა და მისი მხლებლები შეხვედრიან. ალი-ფაშასთვის რაზმელ აბდულ-რასმან აფხაზს უთქვამს, ეს არის ხუსეინ ხაბაზი, შენ რომ არად გაგდებსო. ალი-ფაშას ყაჩაღის შეპყრობა მოუნდომებია. ახლოს მისულ ფაშასთვის ხუსეინს ხანჯალი წაურთმევია, მკლავში დაუჭრია და გაქცეულა. შემდეგ ლექსიც კი შეუთხზავს ამაზე:

ჩიფთე ყარდაში ვიყავი,
ხასან-ხუსეინ ხაბაზი.
როდესაც რომ ძმობა გვქონდა,
საქმე ვიცოდით ლამაზი.

---

[10] ხუსეინ ხაბაზის შვილიშვილის, დავით ყემბერის ძე ხაბაზის ნაამბობი, ბსკა, ფ. 1, ს. 36 გვ. 78.

[11] ე. დავითაძე, „აჭარული ფოლკლორი", თბ., 1978, გვ. 46.

[12] იქვე.

[13] ბსკი, ფ. 1, ს 38, გვ. 16.

ერთი საქმე განიცრახა,
შევუძახე: — არ ვარ რაზი!
ოურმე მე ისე მაგასებს
ვით აბდუ-რახმან აფხაზი...[14]

სხვა გადმოცემით ხანჯალი აბდუ-რასმანისთვის ამოურთმევია და ის დაუჭრია.[15]

ხუსეინს თავისი ცხოვრება ფირალად გაუტარებია. აკი ამბობს კიდეც: „ფირალობაში დავბერდი"-ო.[16]

ხუსეინი პოეტურ სიტყვას აღვილად იმორჩილებდა. საკმარისი იყო მცირე რამ მიზეზი და მაშინვე კაცს სალექსოდ აქცევდა თურმე. ერთხელ მისი მეზობელი, ევარად მემარნე, ყანაში მუშაობდა. იგი საერთოდ ზარმაცი და უხეირო მეურნე ყოფილა და ყანაში ცუდტარიანი თოხით დადიოდა. ხალხს ხუსეინისათვის უთხოვია, რამე ისეთი უთხარი, ზარმაცობას თავი ანებოსო. ხუსეინს შეუსედავს და ლექსად უთქვამს:

მე რომ ლესი ჯამავალო
ხომ არ შემიძლია ვარი.
დელიყანის[17] ხელში ვნახე
გაბღუნკული თოხის ტარი,
ზარმაცი კაცის სიცოცხლეს
არ ჯობია იყო კუჭარი?![18]

ხუსეინ ხაბაზი ასე იმპროვიზაციულად თხზავდა მახვილი იუმორით აღსავსე ლექსებს. ერთ-ერთი ამგვარია „ხუცუბნელი პეჟიოღლის გალექსება".[19] ასევე ეხერხებოდა მას პოეტურ პაექრობაში ჩაბმა. მისი ცხოვრებიდან მრავალი სხვა მომენტის გახსენებაც შეიძლება, ხოლო მის პოეტურ ნიჭზე სრულ წარმოდგენას იძლევა მისივე პოეტური ქმნილებები.

ხუსეინ ხაბაზი (ქამჯარაძე) გარდაიცვალა 1892 წელს სოფელ აჭყვისთავში, დაკრძალულია იქვე.

---

[14] იქვე. ამ ლექსის ვრცელი ვარიანტი დაბეჭდილია „აჭარის ხალხური პოეზია", I, თბ., 1969, გვ. 97 (აბდუ-რახმან აფხაზი იყო ალი-ფაშას ერთ-ერთი რაზმის მეთაური).

[15] ბსკი, ფ. 1, ს. 36, გვ. 87, ჯ. ნოღაიდელის ჩანაწერი.

[16] ხუსეინ ხაბაზის ლექსი, „აჭარის ხალხური პოეზია", I, თბ., 1969, გვ. 97.

[17] დელიყანი — ახალგაზრდა.

[18] ბსკი, ფ. 1, ს. 38, გვ. 16.

[19] იხ. ბსკი, ფ. 1, 39, გვ. 5.

1. ჩიფთი ყარდაში გახლავარ

ჩიფთი ყარდაში გახლავარ, — ხასან, ხუხუნ ხაბაზი,
როდესაც რომ ძმობა გვქონდა, ვიცოდი საქმე ლამაზი.
ერთი ოდა ავაშენე, მასაც არ ქონდა დარბაზი,
აფხანაგიზა არ მშურდა, მეჯიდიე და აბაზი.
დიარბექირს გეახელი, იქდა მომეგო ფულები,
ყვავილი რომ დამემართა, მან შემასკუჯა ტყავები.
უცხო ფერად მომაქცია, მან დამიწმინდა კლავები,
ორი დღეა წამოვდექი, ცხენს მოვაჭედე ნალები.
ჩემი ცხენი დემირ-ყირი, სახელად ჯობს ერთი ვირი,
რომ შევჯდები გეიქცევა, ფეხს წამეკრავს, წეიქცევა.
უქუთილოდ არ ადგება, ვაჭამე სიმინდის ჩალა,
ნელა-ნელა გეიჩანჩალა...
ვაჭამე ღომის თაველი, გუუხტა ორი ტკაველი.

2. ფირალოგაში დავბერდი

ფირალობაში დავბერდი, მყავდა ვაჟიშვილი ერთი,
ხის კატრიდან გადმომეჭრა, კაღამ დაიტეხა გვერდი.
ვორვე ხელებზე დავხედე, ჭკუა დამეკარგა თავში,
ძიროხერმა ვეღარ ზიდა, უსუსურმა წმინდა ტანში.
ვინცხა მაღლიდან მეძახის: მურადი არის ხასტაო,
ვინცხამ იგი დამიწყევლა, ღმერთით მუცელზე გასკტაო.
კატის ციხიდან გავარდა ანგზობაი ერთი რაცხა,
ჩემმა შვილმა რომ ესროლა, ტურა არა ძაღლი დარჩა.
ხუსიეი არ გამჯავრდა, მეზობლები გლახა დარჩა,
ძაღლიზა რომ გამჯავრდები, მეზობლობა აღარ დარჩა.
ჩემმა ბედმა არ იხარა, რაც ვიცოცხლე, იგიც კმარა,
ახლა რძალი მოვიყვანე, თლათ იბრეთი შემეყარა.

ერთ დღეს ოცი დაიძახებს, სამარცხვინო რა მეღყვანა,
ვითომ გარიგებას ვთანხმობ, შვილმა აღარ მომეხმარა.
ერ ჯარგვალს გავუკეთებ და ორვემ შით თავი ახალა,
რაცხაფერი რძლობა მიქნა, ღმერთმა ისე გაახარა.

3. ლექსი სიბერეზე

სირეგვნეს სიბრძნე მოჰყვება, როგორც რომა ძველი ჭინჭი,
ერთი დროი მეც ქე მქონდა, გიახელი კარგი ბიჭი.
ფირალობას ვამტკიცებდი და ვიცოდი საქმე მახე.
ორმოცი რომ გავიარე, შემეშალა პირზე სახე,
ორმოცდაათში შევედი, მაშინ ქე ამტკივდა თავი,
ჯამეზე მისვლა მინდოდა, ყველამ დამიყლიპა თვალი.
ზნეობა რომ შემეშალა, მგონი შინ აპირობს ქალი.
ვაჟკაცობა გამიარა, ეხლა დავრჩი ბებერია,
შნო და ლაზათი აღარ მაქვს, ჯავრმა უფრო მომერია.
მხეცები სახლზე დამეცა, აჭარლების ბეგიები,
მათთან უკაცრავათ დავრჩი, მაღლა ვჯეკნე ქედიები.
ქაღალდი რომ ვერ ვიშოვე, წიგნი დავსწერე ფურცელზე,
მე თქვენ ხომ არ ჩაგბარდებით, თუ გინდა გასკდეთ მუცელზე,
ფირალი ტყეში გახლავარ, ბორიოს ვიქრი ეწერზე.

4. დათვის ლექსი

მევლუდი, მადლობელი ვარ,
რომ მასახელე დღესაო,
საჩუქარი გეკადრება,
თან არ დამირჩა ქესაო.
მაღალი ღმერთი დაგლოცავს,
წყალობას გიზამს ზეცაო.
დათვს რომე თოფი ესროლე,

იგი გევგონეთ ჩვენცაო.
ძროხა და ხარი შეჭამა,
ხულ დაგვიმბოლა ბალები.
თავზე სეირჯათ დაადგა
პატიოსანი ქალები.
სოფელში ხარი შეჭამა,
გაზდილი იყო, ურაო.

დათვს კაძახობა წაუხდა,
რომ დაუყეფა მურამო.
პირველში რომ დაგიყეფა,
ხათრი ხომ არ დაგჩენია.
ყველა ამისი მნახველი
მაღლა ზეცით გამჩენია.
სელიმი ყოჩაღათ იყო.
დათვს აღარ მიცა საშველი,
მართალია შიშიც ჭრონდა,
დროი შროგონა ძველი.
ახმედ-აღაც ქე მოკლიდა,
თოფი დაურჩა ყავალი.
ჩქარა ლეველი ესროლა.
დათვი შეწუხდა ძალვანი.
სიკვდილისხანს დაიმოწმა.
დათვი ვიყავი აბდალი.
სულ ქვეყანა შევაწუხე,
საქმე დამირჩა წამბდარი.
ჭირისუფალი რომ მყავდეს,
არზიხალს მისცემს ეზრუმში,
დამესიენ მეზობლები
და მიმათრიენ ეზოში.
ზოგმა სიმაღლე დაზომა,
ვიყავი სამი ელები.
არაკაცს არ შევცოდე,
მომჭრეხ ხელი და ფეხები.
დათვო, მე კი შემეცოდვე,
გამახსენდები ლოცვაში,
ჭედელოღლი რომ დააფსე,
რას ეთრეოდი კონცხაში.
უღლის ხარები შეჭამე,
აწყობილი დარჩა კავი.
როდესაც ხელში ჩაგიგდო,
შეგასკუჯა ზურგში ტყავი.
ამ ლექსისა გამომთქმელი
ხუსიელ[illegible] ვარ ხაბაზი.
ტყავი საჩუქრათ მიბოძეთ,
ქება მიყავით ლამაზი.

5. დაკარგული ცხენი (ბაჩა)

წიგნათ უნდა დამეწერა ქაღალდების ერთი ფარჩა,
სიზმარებმა ამიანცა, დამეკარგა ჩემი ბაჩა,
ვეძებე და ვერსად ვნახე, ძალიანი ხათრი დამჩა.
ნაბარგალზე რომ მივედი, ტანზე გამიჩნდა ალები,
საძაგელი მოვინახე, მგელებს დაუდგათ თვალები.
მწუხარებით მოვიხედე, ოხრათ ეყარა ნალები.
საყვარელო ჩემო ბაჩავ, მერჩიე თავის მ[illegible]მასა,
შენი ხმა რომ გამეგონა, მაშინ ვიხმარდი ყამასა.
რომ წადი და აღარ მოდი, რაზე მიქენი ინათი,
შენთან უკაცრავათ დავრჩი, ბაზარი ვქენი ყირათი.
პოლიციას არზას ვაძლევ, ბაჩა გაუშვი ქალაქში,

საქართველოში გაველი, ვნახე ფაფარი ტალახში.
მაშინ ტირილით ვიფიქრე, მღვდელი მყოლოდა ბერები,
სუდიაში გამაგზავნეთ, თან წამატანეთ მგელები.
მე რომ ბაჩა იქ გავუშვი, რად არ შემახმა ხელები.
აქ სამყოფად აღარ ვღირვარ, ჩემი ადგილია აჭარა,
მარტო მგელს არ ვედავები, ზოგი ტურებმა დაჭამა.
სახლში ბაღნები შიტირის, იმის შეხედვა მრცხვენია,
ღმერთი ბატონის წყალობით უნდა ვიყიდო ცხენია.
ყოვლი კაცი რომ იცინის, მოწყენილი ვარ ერთია,
რაც კაცი მე ხელს მომიწყობს, იმის გამმარჯვე ღმერთია.

6. მე სიმღერას დავეთხოვე...

მე სიმღერას დავეთხოვე, ვერ მივიფარე იაო,
უსუფ-აღა, გენაცვალე, რაფერ დაკარგე სვიაო.
ალი-აღამ თუ გაგლახა, მუსტაღი არი, ძიაო,
დაკარგული არ იფიქრო წისქვილის კარი ღიაო.
დღეის იქით დავემტეროთ, ვინღამ რომ გიქმნა ურუში,
დიდი არაფერი არის, ფასი არს სამი ყურუში.
ამ ფერათაც დავიფიქრე ბელქი ჩაიჭრა რეშიდა,
მუსულმანი მაჲნც არ ჭამდა, კორხალო ჰქონდა ზურგშიდა.
ვაჲ თუ კაძახმა აწვალა, განზე დაუნთო ალები.
სვიას დერდი ეყოფოდა, მოცმული ჰქონდა თვალები.
საჭმლათ მაინც არ მინდოდა, უნდა მენახა ერთია,
მონავალზე თუ წავიდა, ხიდზე რაფერ გაეთრია!

7. დიარბექირს გიახელი...

დიარბექირს გიახელი, უნდა მეშოვნა ფარები,
რომ დამემართა ყვავილი, კინაღამ შემძრა ტყავები.
საცოდავათ მომაქცია, ქი დამიწმინდა კლავები,
მუხლში ძალა გამომერთვა, ქაფშიას მიგავს თვალები.

სულის დერდში რომ შევედი, გამძულდა ყველგან ქალები,
რაცხახან რომ მე ავდექი, ცხენსა დავაჭდე ნალები.
საითაც არ მოვიხედე-პირდაუბანელ ქალები,
კაინახში რომ მოვედი, სახლზე არ ჰქონდა კარები.
რა უჭირს, რომ გაიკეთოს, იმათ დადუგა თვალები,
მათი ცოლები ჩივიან: ძალდან კაი ვართ ქალები;
ფეხი დაუბანელი აქვთ, მურიას უგავთ თვალები,
ერთი შეხედვით შევშინდი, საძაგელი აქვთ თავები.

8. სკვინჩა (ჩიტი)

ჩიტის ხელმწიფესთან მივალ,
საჩივარი მაქვს ერთია.
სკვინჩამ ყანა შემიჭამა.
თახსილის მქნელი ღმერთია.
გათენებამდე ვკიჟინებ,
შესეული მყავს გოჭები.
სკვინჩამ რაიზე დამაგდო,
ნემსისოდენ აქვს ჭოჭები.
ნეტა ეგე მაცოდინა:
ჩიტი რომელი მამალი,
დღეის იქით გავამზადო,
ბარბი და ბევრი წამალი.
თოვლი რომ გათოვილდება
მაშინ რას მეტყვის ზავალი?
ჩიტის დედ-მამა ხომ არ ვარ,
რომ გავასუქო სკვინჩია.
ყანის თავში რომ მივედი,
სულ ყველა შეძვრა ქვინცხშია.
თავზე ხელი შემოვდევი,
ვერც შემატყო კაცმა ფერზე.
ჩემი დუშმანი სკვინჩები
ჭახათს კეკლუცობენ ბრეზე.

9. სიზმარი

სიზმარში კაბა დამეწვა, ყანაოზი ვითამ ფარჩა,
მივალ-მოვალ, ყოლთვის მახსოვს მშვენიერი ჩემი ბაბჩა,
ვინცა სებები გამიხდა, იმას არაფერი დარჩა.

ხუსეინ ბეჟანიძე



ხუსეინ ბეჟანიძე დაიბადა 1823 წელს. იგი დიდგვაროვან აჭარელ მემამულეთა შთამომავალი იყო. ხალხური ლექსის ამ მაღლიანი ტრფიალის შესახებ საკმაოდ უხვი ბიოგრაფიული ცნობები მოგვეპოვება, რაც განპირობებულია თვითონ ხუსეინის მრავალმხრივი პატრიოტული და მამულიშვილური საქმიანობით.

აჭარის თავისებური წარსული ბედუკუღმართი ცხოვრებისა და ბრისაგან გამუდმებული შეზღუდვა-შევიწროებისა თუ დაბეჩავების გამო ამ კუთხის მკვიდრ სახალხო მელექსეთა საქმე მხოლოდ სიმღერითა და „გულთა ტკბობით“ არ ამოიწურებოდა. ისინი ამავე დროს ხალხისა და სამშობლოს ინტერესების დამცველად, ლხინსა თუ ჭირში ერის სატკივარით მკურნალად გვევლინებოდნენ. სწორედ ამგვარ მესიტყვეთა რიცხვს განეკუთვნება ხუსეინ ბეჟანიძეც. ერისკაცობა მას მისმა სოციალურმა მდგომარეობამ უკარნახა, მაგრამ უპირველესი მაინც მასში შთამომავლობით აღზრდილი, გულსა და სისხლში გამჯდარი პატრიოტული სულისკვეთება იყო.

ხუსეინს ბედმა არგუნა ოსმალოს ჯარის რიგითი ასკერიც ყოფილიყო და შემდგომ მისი ერთ-ერთი მეთაურთაგანი ციხისძირში დაბანაკებულ თურქთა სამსახურშიც მდგარიყო. მაგრამ ეს მხოლოდ დამპყრობთა მიმართ მისი მოჩვენებითი ერთგულება იყო. სინამდვილეში ხუსეინ ბეჟანიძე, სამშობლო ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი, დედასაქართველოს და მისი ტანჯული კუთხის — აჭარის გათავისუფლების ფიქრში ათენ-აღამებდა. საამისოდ კი თავის სამსახურსაც მოხერხებულად იყენებდა.

იმ დროს, როდესაც აჭარაში მასობრივი ხასიათი მიიღო აქაურ მკვიდრთა აყრამ და მუჰაჯირად გადახვეწამ, ხუსეინ ბეჟანიძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც უშიშრად აღუდგა წინ დამპყრობთა მზაკვრული აგიტაციით გონებააბნეულ ხალხს და მათი სამშობლოსაკენ შემობრუნება სცადა. სცადა და შეძლო კიდეც. სალხმა მოუსმინა გავლენიანი ბეგისა და თვით თურქ მოხელეთა ნდობით აღჭურვილი კაცის სიტყვას. და ეს არ იყო უბრალო რჩევა ან აგიტაცია. ერის გულმხურვალე პატრიოტის სიტყვას მაშინ უდიდეს ზემოქმედების ძალას მისი მართალი გული და უზადო მამულიშვილობა ანიჭებდა. ამ საქმეში ხუსეინმა სხვა მამულიშვილებიც ჩააბა. ხუსეინს მხარს უმაგრებდა მასავით გავლენიანი ხუსეინ-ბეგ აბაშიძეც.

ხუსეინ ბეჟანიძე თავისი დროისათვის განათლებული და ერის წარსულსა და აწმყოში გათვითცნობიერებული კაცი იყო „...თვითონ უსეინ-ბეგმა მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, კარგი მკითხველი და წესის მცოდნე იყო“[1] — წერდა იმხანებში გაზეთი „დროება. მისი სიტყვა ხალხური სიმართლითა და სიბრძნით შეზავებული და ამის გამო ხმალივით მჭრელი იყო მუდამ. საუბარში მარგალიტებივით აბნევდა ქართულ ანდაზებსა თუ შეგონებებს, ერის სულის თანაზიარი „ვეფხისტყაოსანი“ და აქედან დასწავლილი ფრთიანი აფორიზმები ხომ მისი სიტყვის მაღლი და ჯავარი იყო. „ვეფსისტყაოსნით“ ამაგრებდა იგი დამპყრობელთა დამცირებისაგან სასოწარკვეთილებამდე მისულ და ცხოვრებაზე გულაყრილ აჭარელ სოფლის კაცს. სხვისი რომ შემოაკლდებოდა, შიგა და შიგ თავისასაც გაჭრევდა ლექსად ჩამოქნილ სტრიქონებს და მისი მოსაუბრე თუ მოკამათეც უმალ დამყოლი ხდებოდა.

ხუსეინ ბუჟანიძე თავისი პატრიოტული სულისკვეთებითა და მამულიშვილური საქმიანობით შეუმჩნეველი არ დარჩენია იმდროინდელ მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობას. აჭარის გათავისუფლებისათვის მებრძოლ ერისკაცებს ზღვის პირას ხუსეინი და მისი გვარიშვილობა თავიანთ საიმედო ბანაკად ეგულებოდათ. და ეს საჭიროების ჟამს საქმით დაამტკიცა კიდეც ხუსეინმა. თუ უწინ ფარულად ებრძოდა დამპყრობლებს, რუსეთ-თურქეთის 1878 წლის ომის დროს იგი უმალ აშკარად ჩადგა განმათავისუფლებელი რუსის ჯარის სამსახურში. ერთგულება მაიორის ჩინითა და იმპერატორის კართან სიახლოვით შეუფასეს. მაგრამ ყველაზე დიდი დაფასება მაინც ხალხის სიყვარული და პატივისცემა იყო. ეს სიყვა-

[1] გაზ. „დროება“, თბ., 1883 წელი, 20 მარტი (№ 60).

რული საქვეყნოდ აღიარა გაზეთმა „დროებამ“, როცა წერდა: „პურადი, მხიარული და მოლხინე, ყოველისფრით წარმოგიდგებოდათ, როგორც ნამდვილი ჩვენი კარგი გულის პატრონი თავადიშვილი ქართველი... არც სახელი, არც ჰომელიმე გაჩენე პატივი, არც საჩუქარი, ჯილდო ან სასყიდელი იყო მისი შრომის წამქეზებელი, მისი და მისთა მსგავსთა შრომამ ნაყოფი მოუტანა ჩვენს ქვეყანასა და პათუმის მაზრის ხალხი გადაარჩინა გადასვლას, განადგურებას, ამოწყვეტას უცხოობაში გასახლებით“.[2]

ერის წინაშე ესოდენ დიდი დამსახურება ისედაც საკმარისია ერთი კაცის სახელის უკვდავსაყოფად. მაგრამ აქის ფარდო საზოგადოებისათვის დღემდის უცნობი კიდევ ერთი, ამჯერად ჩვენთვის, როგორც ხალხურ ლექსის მკვლევართათვის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელმაც ხუსეინ ბეჟანიძის სახელი მეორედ და საბოლოოდ გადაარჩინა დავიწყებას. ეს არის ქართულ ფოლკლორში, კერძოდ მის საგმირო-საისტორიო სიტყვიერებაში გახმაურებული პატარა ლექსი „ათასი კაბა ყმა მყავდა...“ ლექსი თამარ მეფისადმია მიძღვნილი, ერთ-ერთი უნიკალურია მთელ ქართულ ხალხურ პოეზიის საგანძურში და შეტანილია ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ყველა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან გამოცემაში. იგი ჩაწერილია 1879 წელს პ. უმიკაშვილის მიერ და გამოქვეყნებულია გაზეთ „დროებაში“.

სუსეინ ბეჟანიძის, როგორც პატრიოტი მამულიშვილისა და მეტადრე ხალხური ლექსის მოამაგის სახელმა მკვლევართა ყურადღება ადრე მიიპყრო.[3] ხალხური საუნჯის შემსწავლელნი აქამდე ეყრდნობოდნენ ამ ლექსის ერთ-ერთი პირველჩამწერის პ. უმიკაშვილის და გაზეთ „დროების“ აზრს და მიიჩნევდნენ, რომ ხუსეინ ბეჟანიძე იყო უბრალოდ ამ ლექსის მთხრობელი და არა შემთხზველი. „დროების“ შენიშვნაში ვკითხულობთ: „სხვათა შორის აქ მოვიხსენიებთ ერთს ლექსს თამარ დედოფალზე, რომელიც განსვენებულს ძველთაგან გაგონილი და ნასწავლი ჰქონდა“... მაგრამ „დროებაში“ გამოქვეყნებული ეს ფრაზა ახლა სხვაგვარად მიიგებამას მოითხოვს. მას შემდეგ, გავლილა ასწლიანი ისტორია ქართული ხალხური ფოლ-

---

[2] გაზ. „დროება“, იქვე.

[3] ზ. ჭიჭინაძე, „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“, თბ., 1916, გვ. 15; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I. თბ., 1939, გვ. 88, „შენიშვნა“, გვ. 562; თ. სახოკია, „მოგზაურობანი“, თბ., 1950, გვ. 225; ა. ახვლედიანი, „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება. ბათუმი. 1970. გვ. 39. და ა. შ.

კლორისა და მხოლოდ ერთი გამონაკლისის გარდა (ქს. სიხარულიძე), ვიდრე დღევანდლამდე, თითქმის ერთხელაც აღარ არის ფიქსირებული ხუსეინისაგან ჩაწერილი ეს ლექსი. ეს ფაქტი გვაიძულებს, რომ ლექსის ავტორად თვითონ ხუსეინის გამოცხადების საკითხი დადგეს. ხოლო ქს. სიხარულიძის მიერ 1935 წელს რაჭაში ფიქსირებული მისი ვარიანტი საკმაოდ არასრულია, კონტამინირებულია და გადასულია აჭარიდან. სხვა არა იყოს რა, „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილი-ნეკროლოგი ხუსეინის გარდაცვალებით იყო გამოწვეული და ადვილი შესაძლებელია, ავტორს ამ ფრაზის დაზუსტების არც დრო და არც ადგილი არა ჰქონოდა. სამაგიეროდ, აკი იქვე ვკითხულობთ: „...და რომელიც აისად არც წაგვიკითხავს და არც არ გაგვიგონია“-ო...[4]

მას აქეთ არც აჭარის ზეპირსიტყვიერების შემკრებთა მიერ არის ფიქსირებული ეს ლექსი აჭარაში. მხოლოდ ორიოდეჯერ ვხვდებით, და ისიც ადრე, გ. წერეთელთან[5] და სახოკიასთან.[6] გ. წერეთელთან მთქმელი საერთოდ არ არის დასახელებული, აღნიშნულია მხოლოდ, რომ ლექსი ჩაწერილია ქობულეთში. თ. სახოკიას კი ლექსი ქობულეთში ყურშუმ-აღა ჭყონიასაგან მოუსმენია. ხუსეინ ბეჟანიძის თანამედროვე და მასავით დიდგვაროვანი ყურშუმ-აღა ხუსეინთან დაახლოებული პირი იყო და ლექსიც მისგან ექნებოდა გაგონილ-დასწავლილი...

ამასთან, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი ფაქტი, რომ ყველა ჩამწერს ლექსი სწორედ ქობულეთში მოუპოვებია და არა სადმე სხვაგან.

ამრიგად, სწორი უნდა იყოს ჩვენს მიერ გამოთქმული აზრი, რომ ლექსი, „ათასი კაბა ყმა მყავდა“... პატრიოტი წინაპრის ხუსეინ ბეჟანიძის გამოთქმული უნდა იყოს, ხოლო თვით შექმნა უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა სამუჰაჯიროდ აყრილი და სინამდვილისაგან გულგატეხილი თანამემამულეების დაშოშმინება-გამაგრებას ცდილობდა მისი ავტორი და საამისოდ, როგორც ჩვეულებრივ ხდება, წარსულის საგმირო ფაქტებს გამოიხმობდა სოლმე.

თურქეთთან ბრძოლაში გამოჩენილი ერთგულება და სამსახური მთავრობამაც დაუფასა ხუსეინს, გამარჯვების შემდეგ იგი პეტერბურგში გაგზავნეს. იქ მას დიდხანს არ დაუყვია, რადგან გზაში გაცივდა და ავად შეიქ-

[4] იქვე.

[5] „ჯეჯილი“, 1895 წელი, № 4.

[6] თ. სახოკია, „მოგზაურობანი“, თბ., 1950, გვ. 225.

ნა. შინდაბრუნებულმა ცოტახანს იავადმყოფა, 1883 წელს კი გარდაიცვალა.

ხუსეინ ბეჟანიძემ სულ სამოცამდე წელი იცოცხლა. მაგრამ საქვეყნო სახელისა და სიყვარულისათვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. და ჩვენ ერთგული წინაპრისა და ერის საგანძურის დამფასებლის ეს გახსენებაც ისევ გაზეთ „დროების“ სიტყვებით გვინდა დავასრულოთ, რომელიც მას გარდაცვალების შემდეგ უძღვნა: „ვერც არავითარი ცრემლი, ვერც არავითარი მეტყველი ენა და კალამი ვერ გამოსახავს შენს და შენ მსგავსთა ღვაწლს, კეთილო კაცო ხუსეინ-ბეგ, რაც საშვილიშვილოდ, საუკუნოდ მოსახსენებელი, საქართველოს საისტორიოდ საღაღადებელი, ქართველთა ქვეყნისათვის ძვირფასი საქმე მოიმოქმედე: ასიათასი შვილი გადაურჩინე დედა-ქვეყანასა.

იყავ უკვდავად, მაგალითად ჩვენის შთამომავლობისათვის. იყავ საუკუნოდ ხსენებული შენ პატიოსანო, ერთგულო შვილო შენის ქვეყნისაო!“.[7]

[7] გაზ. „დროება“, იქვე.

თამარ დედოფლის ლეჭსი

(პ. უმიკაშვილის ჩანაწერი)

ათასი კაბა ყმა მყავდა, ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა, ვასმევდი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება, შევები ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით მეფენო, ვინც დარჩით ამის იქითა.

* * *

(თ. სახოკიას ჩანაწერი)

„ათასი კაბა* ყმა მყავდა:
ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმევდი ბროლის ჭიქითა.

ვინცა შემება, შევები
ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა“...

* კაბა — 1,000-ია (თ. სახოკიას შენიშვნა).

მემედ ჭყონია



მემედ ყურშუმის ძე ჭყონია დაიბადა 1860 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთში. მამამისი ყურშუმ ჭყონია იმ პერიოდის პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ქობულეთელები რუსეთს მიემხრნენ. მათ აზიზ ჯაშთან და ასმედ ნიჟარაძესთან ერთად ყურშუმ ჭყონიაც ხელმძღვანელობდა.

მემედ ჭყონიას თავისი დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება მიუღია, თუმცა, ოფიციალური სკოლის კურსი არსად გაუვლია. მემედის მამა ხალხური ლექსების მოტრფიალე ყოფილა. აჭარაში მოგზაურობის დროს ცნობილი ქართველი განმანათლებელი თედო სახოკია პირადად შეხვედრია მას და მისი გადმოცემით ჩაუწერია „თამარის ანდერძი" — მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ლექსი.[1]

მემედ ჭყონიას წერა-კითხვა დედისაგან, კომახიძის ასულ ელმასისაგან შეუსწავლია, ხოლო ლექსების სიყვარული მამისაგან გამოჰყოლია. მემედი ხალასი პოეტური ბუნების ადამიანი ყოფილა. მისი პოეზია სამშობლოსა და ხალხის სიყვარულითაა ამაღლებული. მისი ლექსი „სამშობლო", რომელიც 1922 წლით თარიღდება, თავისი პატრიოტული პათოსით რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა"-ს მოგვაგონებს:

სამშობლოს მიწის ნამცეცი
ყოველ სხვა განძზე ძვირია.
მას მკერდით დავეფარები.
თუნდ ვიქნე განაგმირია.

[1] თ. სახოკია, „მოგზაურობა აჭარაში", თბ., 1950, გვ. 225.

მისთვის ვშობილვარ, გავზრდილვარ,
სიცოცხლე მისთვის მჭირია.
მისთვის ლხინად მიჩნს ყოველი,
ჭანჯვა და გასაჭირია...[2]

არანაკლებ საინტერესოა 1925 წელს შექმნილი მისი მეორე ლექსი „საქართველო“:

მსურს წინაპრებს გულით ვგავდე,
შენთვის ვმკიდე, შენთვის ვრგავდე...
ჩემი ხელით, ხმლით და კალმით
ლამაზ გულ-მკერდს გიქარგავდე...[3]

ასე მიმართავს იგი მშობელ მხარეს. მემედ ჭყონია საქმით ამტკიცებდა ყოველივე ამას. მთელი მისი სიცოცხლე ხალხის საქმეში სურდა გაელია. როგორც აღვნიშნეთ, ჭყონიები, ჯაშები და ნიჟარაძეები თურქთა უღლისაგან სსრის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლთაგანი იყვნენ. ეს ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მკვლევარებს.[4] მემედ ჭყონია მფარველობდა მეფის ხელისუფლებისაგან დევნილ ადამიანებს. ცნობილი ფიქრალის დათიკო შევარდნაძის შვილის, ვახტანგ შევარდნაძის გადმოცემით მემედ ჭყონიას თავის დროზე მფარველობითი სამსახური გაუწევია დათიკოსათვის, მასვე ტრაპიზონიდან გურიაში გადაუყვანია აგრეთვე მაშინდელი პოლიტიკური მეამბოხენი — აფრასიონ მერკვილაძე, ალექსანდრე ობოლაძე და ისაკი თოიძე.[5]

1918 წელს როდესაც ოსმალთა ჯარებმა ბათუმის ოკუპაცია მოახდინეს, მემედ ჭყონია დევნილი იქნა, როგორც ოსმალთა პოლიტიკური მოწინააღმდეგე და „სედაიმილეთელების“ იდეური მტერი. იგი თავს თბილისსა და გურიის სოფლებში აფარებდა. ამ ფაქტს უძღვნა მან იუმორისტული ლექსი, რომელშიც დაუნდობლად ამათრახებს დედასამშობლო საქართველოსაგან აჭარის მოწყვეტის მოსურნეებს“.[6] სედაიმილეთელებთან დასაპირისპირებლად 1920 წელს თბილისში ჩასულ აჭარის მოწინავე საზოგადოების დელეგაციაში მემედ ჭყონიაც შედიოდა. სხვებთან ერთად იგი

---

[2] ლექსის სრული ვარიანტი იხ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 417.

[3] იქვე.

[4] შ. ქურაიძე, „სახალხო მთქმელი“, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1967 წლის 15 აგვისტო; მისივე. მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში, ბათუმი, 1970, გვ. 45; ს. ახელედიანი, სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათუმი, 1975, გვ. 55-61 და ა. შ.

[5] აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 417.

[6] აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 75.

აქ ნიკო ნიკოლაძეს შესვედრია, რომელსაც აჭარელთათვის საჭირო დასმარება აღუთქვამს.[7] ამ ამბების მხილველნი იყვნენ აზიზ-აღა ჯაშისა და ახმედ-აღა ნიჟარაძის ღირსეული შთამომავლები სუსეინ აღა ჯაში სულეიმან აღა ნიჟარაძე.

მემედ ჭყონიას პატრიოტული ბუნება შეუმჩნეველად არ დარჩენიათ გამოჩენილ ერისკაცებს: „თავისი დროის მოწინავე და ჰუმანურ პიროვნებად ითვლებოდა მ. ჭყონია ქობულეთის რაიონის ფარგლებს გარეთაც. მასთან საუბარში დაგრჩებოდა ღრმა რწმენა მის სუფთა ქართველობაში, რომელსაც როგორც სიტყვიერ საუბარში, ასევე ლექსებშიც ამჟღავნებდა".[8]—სწერს ნ. ნიკოლაძე.

მემედ ჭყონიას მელექსეობას მაღალ შეფასებას აძლევდა გაზეთი „თეატრი და ცხოვრება": „მემედი იყო თავისი დროის ჰუმანური ადამიანი და პატრიოტი. ძალიან ახლოს იდგა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან და მწერლებთან, ნიკო ნიკოლაძესთან. ფილიპე მახარაძესთან, აკაკი წერეთელთან, თედო სახოკიასთან... თითქმის ზეპირად იცოდა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", ს. გუგუნავას „თამარიანი", ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მრავალი ნაწარმოები; ასევე დიდ პატივს სცემდა ვაჟა-ფშაველასა და მამია გურიელის შემოქმედებას. მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო აფხაზეთის მთავარ გიორგი შერვაშიძესთან, რომელიც მისი ხშირი სტუმარი იყო ქობულეთში ყოფნის დროს".[9]

სერგეი მესხი, ითვალისწინებდა რა მემედ ჭყონიას ერისკაცობას, წერდა:

„ჩემი შეხედულებით მემედ ჭყონია თავის დროს მოწინავე და ჰუმანურ პიროვნებად ითვლებოდა ქობულეთის რაიონის ფარგლებს გარეთაც. მასთან საუბარში დაგრჩებოდა ღრმა რწმენა და მის სუფთა ქართველობაში, რომელსაც როგორც სიტყვიერ საუბარში, ისევე ლექსებშიც ამჟღავნებდა. ჩემს პატარა ცნობაში მინდა გადმოგცეთ ღრმა პატივისცემა იმ ქართველ-მუსლიმანის მემედ-აღა ჭყონიას მიმართ, რომელიც თავისი დროისათვის იყო გამსჭვალული ღრმა პატრიოტიზმით და სიყვარულით თავისი ერის კეთილდღეობისათვის. ჩემი აზრით ასეთი პიროვნების სახელი არ უნდა დაიკარგოს მის ნაამაგარ კუთხეში".[10]

---

[7] აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 417.

[8] იქვე.

[9] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", № 26, 1915; იხ. აგრეთვე ბსკი, ფ. 1, ს. 189, გვ. 76-78, 1974, ე. დავითაძის ჩანაწერი.

[10] აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 417. აჭარის სახ. მუზეუმის „შრომები", ტომი 6, ბათუმი, 1963 წელი, გვ. 13.

და ეს ასეც არის. მემედ ჭყონიას ხალასი ლექსები დღესაც და მომავალშიც დავიწყებისაგან გადაარჩენს მის ავტორს.

მემედ ჭყონია პრაქტიკულ პატრიოტულ საქმიანობას თავისი ზეპირი შემოქმედებით ამაგრებდა. ხშირად მიმართავდა შაიბის მახვილ იარაღს ნაკლოვანებებთან საბრძოლველად. როგორც ყველა მელექსე, მემედიც ქეიფისა და დროსტარების მოყვარული ყოფილა. ხშირად, შემთვრალი ჯამეშიც მიდიოდა, რათა მორწმუნეთათვის იმქვეყნიურობის არარაობა ჩაეგონებინა. ამის გამო ერთხელ ვინმე ხულუს-აღა მგელაძეს (ყურთოღლის) მემედისთვის ლექსი გამოუთქვამს:

— მემედ-აღა, არ გეწყინოს,
პირშინა გითხრა მართალი.
ჯამეში ნუ შემოდიხარ
გალეშილი, ღვინით მთვრალი.
ან ცოდვას მიჰყევ, ან მადლსა,
თუ არ ხარ მართლა აბდალი.

მემედ-აღას ამაზე იქვე უპასუხნია:

— ხულუს-აღა, ვერ გავიგე,
თათარი ხარ თუ ქართველი.
შენგან სიტყვა მოვისმინე,
იკბინები როგორც გველი.
ღვთის საქმეში რას ერევი
ფუნისმჭამელი დაგველი?!

მემედ ჭყონია მეტად სიტყვამოსწრებული, იმპროვიზატორი იყო. ერთხელ იგი მემედ აბაშიძესთან ერთად ქუჩაში მიდიოდა. გზად თავად ნაკაშიძის ქალი შეხვედრიათ. აბაშიძეს უთქვამს, ეს ქალი ლექსის თქმაში გაწაფულია და რამე ლექსად უთხარიო. ამასობაში ქალიც მოახლოებიათ. ჭყონიას იქვე მიულექსებია:

მიზანშეუწონელია.
ქუჩაში რომ ხელი გტაცო.
არ მინახავს ცხოვრებაში
თქვენისთანა საბერკაცო.

ეს რომ უთქვამს, სამოავეს გულიანად უცინიათ.

მემედ ჭყონიას გურული ჩონთო ურუშაძის ქალი მოსწონებია. ქალს თურმე ლოთი ქმარი ჰყოლია და ოჯახში ამის გამო სულ უკმაყოფილება ჰქონია. ერთხელ ქალი წვეულებაზე შეხვედრია. შემთხვევა რომ მისცე-

მია, სალხის თანდასწრებით ექსპრომტად უთქვამს. ლექსი „ჩონთო ურუშაძეს“, რომელსაც მკითხველი ქვემოთ გაეცნობა.

მემედს ეკუთვნის აგრეთვე „დუკლი დოლიძის ლექსი“, რომელშიც გალექსილი არიან დუკლის უიღბლო მიჯნურები.[11]

მემედ ჭყონია იმ პროფესიულ მელექსეთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისთვისაც სამეტყველო ენა ლექსი იყო. პოეზიის ენით ლაპარაკობდა იგი ჭირშიც და ლხინშიც. სწორედ ამიტომაც იმარჯვებდა იგი ლექსს სამშობლოს მოღალატე „სედაიმილეთელების“[12] გასამათრახებლად თუ უკანონოდ თავისი დევნილობის გამო ილიას მეგრელიძისადმი დახმარების თხოვნისას,[13], შვილის ავადმყოფობისა[14] თუ ძმის გარდაცვალების დროს.[15]

მემედ ჭყონიას განსაკუთრებით ჰყვარებია პოეტურ პაექრობაში ჩაბმა. პროფესიონალ მელექსეს თავისი „მოქიშპეებიც“ ჰყოლია. ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი ხალხური მთქმელი ხასან კომახიძე. მათ შორის მომხდარი გაბაასება პოეტური პაექრობის მაღალმხატვრულ ნიმუშს წარმოადგენს.[16]

მემედი მოხუცებულობაშიც თხზავდა ხალხური სიბრძნით აღსავსე ლექსებს. მრავალი ლექსი ვარიანტების სახითაა გავრცელებული, ხოლო მისი სახელი დღესაც დაუვიწყარია ხალხში.

მემედ ჭყონია გარდაიცვალა 1940 წელს.

ერისა და კუთხის წინაშე დამსახურებისათვის სახალხო მელექსისა და ერის ერთიანობისათვის მებრძოლის, მემედ ჭყონიას სახელი ქართულ ეროვნულ ენციკლოპედიაშია შეტანილი. ზედმეტი არ იქნება, თუნდაც დოკუმენტურობისათვის ამასაც თუ აქვე გაეცნობა მკითხველი: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე, ხალხური მთქმელი ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან, ს. მესხთან, თ. სახოკიასთან და სხვ. თხზავდა სოციალურ-პოლიტიკურ, შრომით, საწესჩვეულებო ლექსებს. პოპულარობით სარგებლობდა მისი პატრიოტული ლექსები, რომლებშიც იგი თანამოძმეებს განუმარტავდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის ბეაქციულ ბუნებას. მემედ ჭყონია ეწეოდა საქართვე-

---

[11] ჯემალ ჭყონიას მონათხრობი, ჩაწერილია ე. დავითაძის მიერ, 1977 წელს.

[12] „ლექსი „სედაი მილეთის“ ხელმძღვანელობაზე“.

[13] „ლექსი ილიას მეგრელიძეს“.

[14] „ჩემს შვილს, ფეფეშის“.

[15] „ჩემს ძმას, ისკენდერს“.

[16] აჭარის ხალხური პოეზია, თბ., 1969, გვ. 99-103; იგი იხილეთ აგრეთვე უცვლელად, ქვემოთ, ხ. კომახიძის მასალებში.

ლოს ისტორიის, ქართული კულტურისა და საგანმანათლებლო იდეების პროპაგანდას, ხელს უწყობდა გამაჰმადიანებულ ქართველებში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. აჭარაში უცხოელთა ინტერვენციის დროს (1918 — 1920) განიცდიდა დევნას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ უმღეროდა ახალი ცხოვრების მშენებლობას".[17]

მელექსეობა მემედ ჭყონიას სულიერი მოწოდება და წმინდა „ხელობა" იყო, ხოლო ამ მოწოდებას სამშობლოს, დედა-საქართველოს სიყვარული ასაზრდოებდა. ერთგულ თანამოაზრეებთან ხუსეინ აღა ჯაშთან, (1860—1938) სულეიმან აღა ნიჟარაძესთან (1880—1968) და სხვა თანამებრძოლებთან ერთად საფუძველს უყრიდა ძლიერი, თავისუფალი და ბედნიერი აჭარის მომავალს. ქვემოთ უკომენტაროდ მომაქვს სამიოდ დოკუმენტი ყურშუმ და მემედ ჭყონიების საინტერესო წარსულის შესახებ...

წერილი ქუთაისიდან

* * *

ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდამ შემდეგი ამბავი, რომელზედაც იმედი გვაქვს, უმაღლესი მთავრობა ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს:

„— ფოთი-თფილისის რკინის გზის ეტაპს მოჰყავდა ბამოდენიმე ტყვეთ რომელ რიცხვში ერთმა გურულათ ჩაცმულმა და გურულის კილოთი მოლაპარაკე კაცმა ჩემი ყურადღება მიიქცია. ფეხებში ეყარა რკინის ბორკილი. მე ვიფიქრე, რომ ეს კაცი, უსათუოდ, აჭარლების ამჯანყებელი უნდა იყოს-მეთქი. ვჰკითხე ვინაობა და მიზეზი მისი დაჭერისა. საწყალმა ნაღვლიანათ ამოიოხრა და დაიწყო ამ ნაირათ:

„—მე ვარ ქობულეთელი კაცი, ყურშუმ ჭყონია.*. მამა ჩემი, მემედ-ალი ჭყონია, უწინ გურიაში მცხოვრები და რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომი ყოფილა. ერთხელ (ეს დიდი ხნის ამბავია) მამა ჩემი წასულა ქობულეთში თავის ბიძასთან, მემედ-ფაშასთან, გამოუცხადებია იმისთვის სულთანს ქვეშევრდომობა და ერთგულობა. მემედ-ფაშას მოსწონებია მამიჩემის სურვილი და სულთანთან კარგათ წაბედგინა. სულთანს კარგათ მიეღო და საუკუნო პენცია (ოც და ოთხი ქესა — 600 მანეთი) დაენიშნა.

---

[17] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 11, გვ 410. 1987 წლის გამოცემა.

* მემედ ჭყონიას მამა.

„დასახლებულა მამაჩემი ქობულეთში, შეურთავს ცოლი, რომლის შემდეგ ვეყოლეთ ხუთი ვაჟი. სანამ ცოცხალი იყო მამაჩემი, ეს პენცია ეძლევოდა; შემდეგ სიკვდილისა, მოუკლებლად მე ვიღებდი.

„შარშანწინ რო რუსეთსა და ოსმალეთს შუა ომი დაიწყო, იმ დროს მე მებარა ას ორმოც და ათი დაიარაღებული ქობულეთელი ცხენოსანი კაცი რუსის ჯარის საწინააღმდეგოდ საიდღამაც ღენერალ ოკლობჟიოს ჩემი გარემოება გაეგო და დაენახა ჩემში სასარგებლო კაცი, თუ მე რუსის ჯარში გადმოვიდოდი და ამით სულთანს ვუღალატებდი. მართლაც, ღენერალ ოკლობჟიოს ბრძანებით რომელმაც დიდს დაჯილდოებას შემპირდა, ას ორმოც და ათი დაიარაღებული ჩემ ხელქვეით კაცებით გადმოვედი რუსის ჯარში და განვაცხადე ერთგულება და, შეძლებისა გვარად, სამხედრო სამსახური. თათრებმა რო ჩემი ღალატობა შეიტყვეს, დამიწვეს სასლ-კარი, დაიჭირეს ჩემი ცოლი, ოთხი პატარა ბაღლები (სამი ქალი და ერთი ვაჟი), ჩემი ძმალი ოთხივე მისი ბაღლებით და ტრაპიზონის სატუსაღოში დაატყვევეს. საცოდავები (აქ ცრემლები გადმოჰყარა ქობულეთელმა), ერთიც არ გადარჩენილა, სუყველა დახოცილან. ტყვეობას, როგორც იქნა, გადავარჩინე მოხუცებული ჩემი დედა, თერთმეტი წლის ჩემი ვაჟი და უმცროსი ოთხი ჩემი ძმა.

„ომიანობა გათავდა. მე დავრჩი უცოლ-შვილოთ და უსახლ-კაროთ. ამ სულიერად ტანჯვის ბოლო მოსაღებათ, ეხლა ხორციელათაც ვიტანჯები. ხომ ხედავ, ძმაო, რომ ბკინის ბორკილები ფეხებში მიყრია და მივყევარ ქუთაისის ნაობახში".

„ამ ნაირათ მელაპარაკა ეს ქობულეთელი კაცი. მე კიდევ ვერ შევიტყვე დაჭერის მიზეზი და ვჰკითხე:

„— არც მე ვიცი, რაზე დამიჭირეს, მითხრა ქობულეთელმა; მე მეგონა ამდენ ნაზარალებ კაცს დამაჯილდოებდენ-მეთქი და აი ჩემი ჯილდო (ფეხი გაიქნივა და გააჩხუნა ბკინის ბორკილი). ბაღაც ქუთაისის ოკრუჟნი სუდი ტყვეს გაყიდვას მწამებს, რომელიც ომის გამოცხადებამდის, რამდენიმე წლის წინეთ ვითომც ჩამედინოს".

„მე ვანუგეშე, რაც შეიძლებოდა, რომ მალე გაგიშვებენ, ფიქრი ნუ გაქვს-მეთქი. ქობულეთელმა კიდევ ამოიოხრა და თქვა:

„— დაჭერას კი არა ვჩივი, ბა უყოთ, იმისთანები დაჭერილან, რომ ჩემისთანა კაცი მოსამსახურის მოსამსახურეთ ჰყოლებიათ. მე მტანჯავს სირცხვილი, რომ ასე დამემარცა. ცოლი გამიწყდა, დამეხოცა. ეხლა რომ კიდევ გამიშვან, სად უნდა წავიდე? მარტო სირცხვილით თავი სად გა-

მოვყო? შანს არ მომიგებენ ქობულეთლები და უფრო ოსმალეთის თათრებიც, რაც ამ ამბავს გაიგებენ?"

კიდევ უწდოდა ლაპარაკი, მაგრამ ეტაპმა აღარ აცალა: ქუთაისის ნაოპახში წაიყვანეს..."

გაზ. „დროება", № 44, 1879 წ. 28 თებერვალი.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! უეჭველია, გესახსოვრებათ წარსულის წლის ბათომელი წერილი, რომელიც იყო დაბეჭდილი თქვენს გაზეთში შესახებ ჩვენის მდგომარეობისა და თავად მელიქოვის მობრძანებისა.

ესლა კი დავრწმუნდით, რომ ნამდვილად ბრძანებულა ჩვენი ამ გაჭირვებისაგან გამომხსნელი ბატონი მელიქოვი, (იგივე მელიქიშვილი ე. დ.). რომელსაც ღმერთი ას წილად მიაგებს ყოველს კეთილს. მაგრამ ეს სათხოგარიც აგვისრულოს. ისეთი მაზრის ნაჩალნიკები დაგვინიშნოს, რომელთაც შესძლონ ნამდვილი ხალხის სამსახური, დაიმსახურონ მისი სიყვარული, აგრეთვე ისეთი კაცები უნდა იქმნეს, რომელთა სახელი განთქმულია ჩვენში და იმერეთში.

აი მაშინ დაინახავს მრთელი ქვეყანა ვინ ყოფილა მიზეზი ჩვენი სამშობლოს გავერანებისა და ჩვენის აქედამ განდევნისა.

აღებულია გაზეთ „დროება", № 83, 23 აპრილი 1881 წ.
მამუდ-აღა ჭყონია.

18 აპრილი, 1881 წელს. ქ. ბათომი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იასე რაჭველის წერილში მოხსენიებულია მამედ-აღა ჭყონიად, თავის წერილში კი მამუდ-აღა ჭყონიად (ე. დ.).

გადაკარგული ქართველები

„კვალის" წარსული წლის მე-46 ნომრის საყურადღებო ამბების მოთავსებულ წერილში პეტროვსკიდან, ღმერთო, ჩემო რა სასურველი ამბავი ამოვიკითხე. ისე ადგილას, როგორიც არის ქ. პეტროვსკი, ქართველ ტუსაღებსაც კი გამსჭვალული ჰქონიათ გული წიგნების კითხვისათ-

ვის და ევედრებიან თურმე მღვდელს მამა შილაკაძეს: „გემო გაგვაღებინე წიგნების კითხვისა, ერთი მაღლიანათ მაინც წაგვაკითხეო“ და კიდევ; „ახ! მოძღვარო, სად იყავ? ეს ოხერი წინათ არ ვიცოდით ეგეები, თორემ აქ რა გვინდოდაო“. გმადლობ ღმერთო, რომ ყველა ჩემსაებრ უბედური არ ყოფილა. ყველგან, სადაც ქართველი კაცი ან სამუდამოთ ან დროებით ცხოვრობს, შეგიძლიათ მის ოჯახში ან სადგომში ერთი ორიოდე ქართული წიგნი, ან გაზეთი, იპოვოთ; ყველა ქართველი, რომელიც სრულიათ უგნური არ არის, ცდილობს იქონიოს თავის თავთან, თუ შესაძლებელია წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ამის მაგალითი მე აქაც შემხვედრია. ამ რამდენიმე თვის წინეთ აქ ყაშოიარა ერთმა პატარა ვაჭარმა—გურულმა, გვარათ ჩხაიძემ, ბომელსაც ოსმალეთის ერთ ქალაქთაგანში „ორდუში“ ფეხსაცმელების დუქანი აქვს; მთელი დღე მეძება, მიპოვა და მთხოვა გაზეთები გამომეწერა, გადმომცა ოცდა-ერთი მანეთი „ივერიის“ და „კვალის“ დასაკვეთათ. ამ რიგათ ის ორს საუკეთესო ქართულ გამოცემას ღებულობს და დიდი კმაყოფილიც არის. ახლა კიდევ ოსმალეთის ერთ კუნძულში ტრიპოლში აღმოჩნდა ერთი ქართველი მაჰმადიანი, რომელსაც ქართული წერა-კითხვა საკმაოთ ცოდნიაა, გაუგია ჩემი აქ ყოფნა და, აი, რა საგრძნობელ წერილს მწერს ქართულათ:

ძიავ ბატონო იასე

„წყალ წაღებული კაცი ფხასვს (ფხასვი — ხავსი. რედაქც. შენიშ.) ეკიდებოდაო, ნათქვამია. მეც ამ გადაკარგულ ადგილას სტორეთ ამ ანდაზას ვეავარ. მეც წყალ-წაღებულივით ფხასვს ვეკიდები, მარა საუბედუროთ იღბალი არც აქ მქონია, ფხასვიც არსად ჩანს. რა ჩემს ქვეყანას მოვშორდი, მერე ერთი ლაზათიანი დღეი არ მინახავს, მარტოთ მარტო ვარ აქ, ისე როგორც ნამდვილი ეთიმი (ეთიმი ობოლს ჰქვია თათრულათ. რედაქც. შენიშ.).

აგერ სამი დღეა, აქიდან ერთმა თქვენებურმა გურჯმა, გეიარა. ამ გურჯს (გურჯი ქართველი თათრულათ. — რედ. შენ). ბრევლი გურჯის ლისანი (ლისანი — ენა. — რედ. შენ.). გაზეთები მიქონდა. მე იგი კაცი ჩემი ხისიმი მეგონა, რომ ვნახე, ისეთი გამიხარდა, რაც შემეძლებოდა ვემსახურე. ორი-სამი წიგნი და გაზეთები მაჩუქა. ეს მე ძალიან გამიხარდა და ვთხუე, რამენაირათ მიქენით სიკეთე და გაზეთები, ან წიგნები კიდო ;იშონეთ-მეთქინ; იმან მიპასუხა: „მე ამერიკაში მივდივარ და ეგებ ვერც

დავბრუნდეო. ამისთვის სიტყვას ვერ მოგცემო. სტამბოლში ერთი ქართველი ცხოვრობს. იმას ბევრი გაზეთები და წიგნები აქვსო და გამოგიგზავნისო და თქვენი ადრესიც დამიტია. ი კაცი ჩვენებური არ იყო, იმას ეტყობოდა შიგნით — გურჯისტანელი უნდა ყოფილიყო. ახლა მე იმედი მომეცა ამ კაცის სიტყვებიდან და თუმც არ გიცნობ, მარა მაინც ვბედავ და გწერ ამ წიგნს — ვთხოვ, ფინთათ ნუ ჩამომართმევთ და თუ შეიძლება, ის გაზეთები, რომელნიც თქვენ აღარ გჭირიათ, გამომიგზავნეთ მე.

ამასთანავე ჩემს თავსაც გაცნობებთ: მე მართალია თათარი ვარ, მარა მაინც ნამდვილი გურჯი ვარ: მუხირების (მუხირები — ომს ჰქვია თათრულათ — რედ. შენ.). შემდგომ სათათრეთში მომიხდა გამოსვლა და ახლაც აქ ტრიპოლში ვარ. ჩემსობას ჩურუქ სუს თათრული ყველამ არ იცოდა და მეც რადგან დედაჩემი ქართველი ქალი იყო, თათრული არ მისტავლია და ვერც აქ ვისტავლე, იმიზა რომ თათრული ძალიანი ძნელი სასტავლია. თათრული ლისანი სამი ენიდან შედგება ფარსულიდან (სპარსულიდან,) არაბულიდან და თათრულიდან. ქართული მე კარგათ ვიცოდი, პაწას ვწერდი კიდეც. ახლა, რომ ამ გურჯმა გაზეთები და წიგნები დამიტია სუნთლად წევიკითხე. ნელათ ნელათაი ყველაი გამახსენდა. ახ! ნეტაი ასე ადვილი სასტავლი იყოს თათრული, რავარც ქართული არის. გთხოვთ ნუ დამტოვებთ უმოწყალოდ, მეც თქვენებური ვარ და თუ რამე გაზეთები, ან წიგნები გაქ მეტი, გამომიგზავნეთ. იგი ჩემთვის ძალიან სიკეთე იქნება. თუ ღმერთი შემეწია და რამე საქმე ჩევიგდე ხელში, მაშვინ მე თვითონ გამევიწერ. ახ! ძიავ, თურმე რა ძნელი ყოფილა ველადეთის (ველადეთი სამშობლოს ჰქვია თათრულად — რედ. შენ.). დატიება, ღმერთმა კითხოს, ვინცხაის ბრალია ასთე ჩემი დაკარქვა. ამასთანავე ღმერთს ვთხოვ თქვენსა და სუნთელი გურჯისტანის დღეგრძელობას, რომ მშვიდობით იყოთ თქვენც და ყველა თქვენი ხისიმებიანა (ხისიმი — ნათესავი. — რედ. შენ.).

გწერთ თქვენი ერთგული გურჯი მემედ-აღა ჭყონია.

ამ წერილის წაკითხვამ ისე მასიამოვნა, რომ ნამეტანი გრძნობისაგან თვალებზე ცრემლები წამომადგა და ასე გავიელვე გულში, გმადლობ, შენ ღმერთო, სადღაც ცხრამთას იქით ქართველი თათარი ამ რიგი გრძნობით მწერს და მეხვეწება ქართული გაზეთი მივაწოდო და თვითონაც მოწადინებულია, თუ დრო ექნა, გამოიწეროს; აქ სტამბოლში კი,

თითქმის ყველას მოუდის გაზეთები, მხოლოდ კითხვით კი არავინ კითხულობს-მეთქი. ამ წერილის მიღებამ მე ამიძრა გულში სტამბოლის კათოლიკე ქართველთა შორის გამევრცელებინა ქართული გაზეთები და წიგნები. ასე ვფიქრობდი: თუ თათარი ქართველი კია მოწადინებული, ქართული არ დაივიწყოს, ქართველი ქრისტიანი უფრო იქნება-მეთქი, ძხოლოთ ვაი თქვენს და ჩვენს მტრებს! თურმე აქაურმა კათოლიკე ქართველებმა ჩემი ხათრისთვის გამოიწერეს გაზეთები, თორემ კითხვის სურვილი სრულიათ არ ქონიათ. მიიღებენ თუ არა გაზეთებს, მიაგდებენ იქვე კუთხეში, გათავდა და მორჩა. ხანდახან „კვალს“ კი გადაშლიან ხოლმე, რატომ არ კითხულობთქო და მითხრა, დრო არა მაქვსო. როგორ, საღამოს რას აკეთებ მეთქი? სახლშიო, მითხრა რაკი სხვა არავინ კითხულობს, მე რომ მარტო ვიკითხო, უზრდელობათ ჩამომართმევენ. რა ვუყუროთ მათს ამ რიგ ქართულისადმი გულცივობას, გული მიკვდება და იმედი მეკარგვის. თუ ასე გაატანა ამათმა მდგომარეობამ, უეჭველია, დიდი ხანი არ გაივლის, სრულებით ქართული დაავიწყდებათ. ამათძა აქაურმა მონასტრის წინამძღვარმაც მიაქცია ყურადღება, ვგონებ, ამ გარემოებას და მონასტერში შკოლის გაღებას აპირობს, შენობა შკოლისათვის უკვე ააშენა, მაგრამ ეს დაბეჯითებით არ ვიცით, ამ შკოლაში ქართული ენაც უნდა ასწავლონ, თუ ეგეც იგეთივე ბერძნულ-ფრანგული შკოლა იქნება, როგორიც სხვაც აქვთ ბარე სამი ამათ სათათრეში.

სამწუხაროა ჭეშმარიტათ ამათი ამ რიგი მდგომარეობა და საკვირველიც. მე ყოველივე საშუალება ვიხმარე, — მთელი ქართული გამოცემის უსასყიდლოდ გამოწერას შევპირდი, ოღონდ ქართულს ნუ დაივიწყებთ, იკითხეთ-მეთქი, მაგრამ მაინც ვერას გავხდით მაშინ, ბოცა პეტროვსკაში ტუსაღები დიდი სიამოვნებით წაიკითხავენ გაზეთ-წიგნებს, რომ საშუალება ჰქონდეთ.

ნეტავ ეს საბწმუნოების ბრალი ხომ არ არის?

ამასთანავე ვგზავნი „კვალის“ რედაქციაში რვა მანეთს და ვთხოვ პატივცემულ „კვალის“ რედაქტორს, გაუგზავნოს მღვდელს მამა შინავაძეს ქართველ ტუსაღთა გადასაცემათ ერთი წლის ფადით გაზეთი „კვალი“.

იასე რაჭველი

სტამბოლი, 14 ქიორგობისთვე 1894 წ.

აღებულია: გაზეთი „კვალი“, № 2, 1895 წელი; გვ. 12—13.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ერთი შეხედვით შეიძლება სადაო ჩანდეს ეხება თუ არა ბოლო ორი წერილი ჩვენს სახალხო მელექსეს, მგმედ ჭყონიას თუ აქ ვინმე სხვა ჭყონიაზეა ლაპარაკი... მემედის ცხოვრების ზოგი მხარე დღემდე უცნობი იყო, ამიტომ სრულიად დასაშვებია აქ აღწერილი ამბებიც მას გარდახდენოდა თავს. მით უმეტეს, რომ ამ ვარაუდის უფლებას წლები და ასაკიც იძლევა: მემედი ამ დროს 35 წლის მაინც იქნებოდა. ხოლო სხვა ასე ცნობილი იმ დროის ჭყონიებს გვარის წარმომადგენელიც არ გვიჩანს...

მემედ ჭყონიას, როგორც სახალხო მგოსნისა და პატრიოტის სახელს წლები ვერ უკარგავს ბრწყინვალებას. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო მატულობს მისდამი ინტერესი, იწერება მოგონებები, წერილები, გამოკვლევები. ხალხური მელექსის ხასან კომახიძისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი მამია ვარშანიძე წერს:

გული ღადრად გენთებოდა,
მითხარ, განა ჭორია.
შენ ხომ ბევრჯერ ეჭოჭმანე
ლექსად მემედ ჭყონიას.[18]

ან კიდევ:

და ლექსებით სულ კვეხავდი
შენ და მემედ ჭყონია[19]...

როგორც ცნობილია, ხასან კომახიძე და მემედ ჭყონია ხშირად ეტოქებოდნენ ერთმანეთს ლექსში. სწორედ ამ მეტოქეობას და პოეტურ პაექრობას, „ჭოჭმანს“ გულისხმობს პოეტი.

მემედ ჭყონიას სახელი და ლექსი ხალხის უკვდავი კუთვნილებაა.

---

[18] ზ. ვარშანიძე, შენს სერზე გართ შემომდგარი“, გაზ. ლენინელი“, 9 აგვისტო, 1988 წელი, № 95 (6006).

[19] იქვე.

1. საქართველოვ!

მე შენს გულში მსურს ჩავეფლო,
მე მსურს შენთვის დავიფერფლო.
ცის და მიწის შესამკობად
მინდა მარად ვდედოფლო.
მსურს წინაპრებს გულით ვგავდე,
შენთვის ვმკიდე, შენთვის ვრგავდე.
ჩემი ხელით, ხმლით და კალმით
ლამაზ გულ-მკერდს გიქარგავდე.
ვინ შეგიცვლის გულს გულუცვლელს,
ვინ მოგითვლის გმირებს უთვლელს.
შენი მიწა კვლავ ღამოზრდის
ერეკლეს და თამარს, რუსთველს.
აჰა, გული, სპეტაკ-წმინდა,
შენი ეშხით გამიბრწყინდა.
მე სიცოცხლე და სიმღერა,
საქართველოვ, შენთვის მინდა!

2. სამშობლოს სიყვარული

სამშობლოს მიწის ნამცეცი
ყოველ სხვა განძზე ძვირია.
მას მკერდით დავეფარები,
თუნდ ვიქნე განაგმირია.
მისთვის ვშობილვარ,
გავზრდილვარ,
სიცოცხლეც მისთვის მჭირია.
ძისთვის ლხინად მიჩნს ყოველი,
ტანჯვა და გასაჭირია.

თუ გინდა გულში ჩამერჭოს
მახვილი ამოწვდილია, —
არვის დავუთმობ სამშობლოს,
ვარ მისი ღვიძლი შვილია.
გულს მითბობს მისი ალერსი,
მისი სამარეც თბილია.
სამშობლო ჩემი, ლამაზი,
დედის ძუძუზე ტკბილია.
მე წინაპარი მყოლია,

მამაცი, სახელდებული:
შოთა, ერეკლე, თამარი,
დიმიტრი თავდადებული.
სადაც ისინი შობილან,
მეც იქ ვარ დაბადებული.
მეც იმ ძუძუთი გავზრდილვარ,
და მით ვარ გასალკლდებული.
რად მინდა სხვაგან დიდება,
მწარეა, ვითა ნაღველი.
რად მინდა გველის ალერსი,
თვალთმაქცი, გულის მდაღველი.
ჩემში კახაბრის სისხლი სჩქეფს
გმირ-უშიშარი ქართველის.
დე, მოვკვდე, ოღონდ სამშობლოს
შუქს ჰფენდეს სხივი ნათელი.
სამშობლო, ჩემი სამშობლო
დედის უბეზე თბილია.
არვის დავუთმობ ამ უბეს,
ვარ მისი გამოზრდილია.
მის სიყვარულით, მარადით
თვალი მაქვს ანახილია.
სამშობლოსაგან ალერსი
დედის ალერსზე ტკბილია.

3. ეროვნება და რწმუნება*

ეროვნება და რწმუნება
უნდა იყოს ორივ ერთი.
ეგ ცალ-ცალკე არ ვარგია,
როგორც კვესი და აბედი.

აჭარა საქართველოა,
მოწმე არის მაღლით ღმერთი.
დედაენით დაუბრუნდა:
ხულო, ქედა, ქობულეთი.

ჩვენი ძმები სანჯახშია
ლივანი და ერუშეთი.
ჩვენებრ ბრძოლით გაიმარჯვებს
ლაზ-ჭანეთი და შავშეთი.

ძალამ, ცეცხლმა და მახვილმა
ბევრს გვარგუნა ერთი ბედი,
იმას იქეთ გადაშენდეს
სულთანი და ოსმალეთი.

მუსრს ავლებდა აღმოსავლეთს
პირსისხლიანი სპარსეთი.
მაჰმად-ხანმა გადაგვიწვა
დედაქართლი და კახეთი.

ბევრი ახსოვს საქართველოს
ემირ-ხანთა აზრი ერთი.
„ვეფხისტყაოსნით“ ბრძოლობდა
შოთას სამშობლო, მესხეთი.

ეს ქვეყანა რომ გადარჩა,
მხსნელი არის ხომ რუსეთი
გაუმარჯოს პატარა კახს,
რომ კვლავ ვნახეთ ერთმანეთი.

1924 წ.

* იბეჭდება შემოკლებით.

4. ზოგი კაცი

ზოგი კაცი მექრთამეა,
მივცი და შენთვის იყეფს.
შენთვის ეშმაკს თავს შესწირავს,
შენ გაქებს და შენ გადიდებს.
შენ მტერს მტრულად
შემოხვდება,
ძმაზედაც ხმალს ამოიღებს.
რაც კი მისგან შეიძლება,
შენისათვის ცეცხლს მეიდებს.
ვინ იქნება მადლიანი
მუქთად თავს რომ შეიწუხებს.
არ აქმევ, დაგემდურება,
დაწვება და ცხვირს ეიშვერს.

როგორც მოსისხარი მტერი,
გახსენებს და შეიგინებს.
არ უნდა, რომ დაგინახოს,
თვალებზე ხელს მეიჩირებს.
იმ თავიდან მომდინარობს,
ასეა კაცის არსება.
თუ ასმევ, აქმევ, აცხოვრებ,
შენთან ექნება თვისება.
შენია, შენთვის იზრუნებს,
სანამ შეძლება ექნება.
თუ დაუძლურდი, იცოდე,
შეხედვა შეეზარება.

1930 წ.

5. მე ერთი ბერი კაცი ვარ

მე ერთი ბერი კაცი ვარ,
დრო დამიდგა მეტად ძნელი.
არ ინდობა ყმაწვილებზე,
აღარ დარჩა ჩვენში ძველი.
რისთვის უნდა გვეშინოდეს,
აგი გახდა საკვირველი.
იცოდე რომ დაგვამარცხებს,
ვინმე ბრიყვი, ცუდის მქმნელი.
იცის ღმერთმა, არ ვყოფილვარ
უნამუსო, ვინმე მტრელი.
აწი აღარ შევიცვლები,
გინდ რომ მიმაჩეხონ ყელი.
მამაჩვმის ანდერძი მაქვს,
დამავალა ასიჯელი:
ცუდს ნურავის გაუკეთებ,

სირცხვილია საძაგელი.
ზოგიერთები ამბობენ,
ვითომც ვიყოთ სისხლის მღვრელი.
ამისმეტს ვერა გვიგებენ,
მიტომ გახდა საკვირველი.
სხვა ქვეყანას მირჩევნია
სამშობლო ჩემი, მშობელი.
აქ ვშობილვარ, აქ გავზრდილვარ,
აქ მიდგია ოდის ძველი.
სიამოვნება მინახავს,
ამიგია საფუძველი.
აქ მოვკვდები, დავიმარხვი,
ვის რა გექნებათ სათქმელი
მკითხველებო, შეასწორეთ,
თუ გიყვარდეთ საყვარელი.

თქვენს წინაშე ბოდიშს ითხოვს
თქვენი ახლო მეზობელი.
მე წერეთელი არა ვარ,
არც მამია გურიელი.
არც ილია ჭავჭავაძე,
არც გენიოსი რუსთველი.
მტერ-მოყვარეს ვეღარ ვხვდებით,
ვიკბინებით როგორც გველი.
მონასტერი აგვერია,
გამორჩევა გახდა ძნელი.
გვარად ჭყონია გახლავართ.
ამა ლექსის გამომთქმელი.
ჩიბათიდან წამოსულა,
აქ მოსულა ჩემი ძველი.

1918 წ.

6. წრევანდელმა წელიწადმა

წრევანდელმა წელიწადმა
ძალიანი გაგვამწვავა.
მოიტანა თოვლი, ბუქი,
ჩვენს ეზოში მოგვიხვავა.
ქვეყანა მკვდრისფრად შემოსა,
გასულ ზამთრებს გაანსხვავა.
თივა, ჩალა დაგველია,
ძროხები ახორში ბღავა...

1924 წ.

7. ხულუს-აღმა, ჩემო ბრძენო

ხულუს-აღა, ჩემო ბრძენო,
მართალს იტყვის ზოგჯერ დელი.
უცაბედად შენ გადასჭერ
ასე დიდი საფიქრელი.
ამას პირში გეუბნები,
შენი ახლო მეზობელი.
სხვის საქმეში ნუ ერევი,
ხომ იცი, რომ ხარ დაგველი?!

1924 წ.

8. ხუსეინ-აღა მეგრელიძევ

ხუსეინ-აღა მეგრელიძევ,
შენ რათ გინდა ჩემი ქება.
თვითეული ქობლეთელი
შენი გულისთვის მოკვდება.
შენი მათრახი დამითმე,
დიდი თუ არ გეწყინება.
იცოდე, რომ გადაგიხდი,
მამაჩემი მიცხონდება.

1930 წ.

9. დავგლახდი, დავჩაჩანაკდი

დავგლახდი, დავჩაჩანაკდი,
ვზივარ მე შავ სიბნელეში.
მგონია, რომ გვეშველება
მომავალ ენკენის თვეში.
მაშინაც თუ თურქი დარჩა
ამ ჩვენ მიწის სათავეში,
მაშინ უნდა ხსვა ვეძებოთ
დამხმარეთ ჩვენს სიმართლეში.
მაშინაც თუ ვერ გევმარჯვეთ, —
„ანასინი“ ჩვენს საქმეში.

1920 წ.

10. მეჯიდ გუნთაიშვილისა და ხასან ცეცხლაძის ლექსი

მოლა-მეჯიდს დუკლი[20] უყვარს,
არც ხასანი არის სწორი,
ერთმანეთს ეჩხუბებიან,
მათში არის დიდი „სპორი“.
ხასან-აღამ მეჯიდს უთხრა,
კი'ერს წაგჭრი, როგორც ღორი,
რაც შეგპირდი, აგისრულებ,
არ გეიარს ერთი სწორი.[21]
— ჩვენი დუკლი დაგვიბერდა,
მეც ნამეტანი მწყენია.
ძველებურად ვეღარ ჰყვავის,
თქვენც გაიგებდით მგონია.
ტურფა დაი აღმოაჩნდა,
მასთან ვერ მოგვილხენია.
ვერაფერი შევიძინეთ,
მაზედ შეხედვა გვცხვენია.
ხასანი ასე ებნევა
— ფქვილი ბევრი მაქვს ხაროში.
დუკლი ბედმა გაგიღიმა
რა თქმა უნდა ბოლო დროში.
მილიონებს დაგახარჯავთ,
როგორც ერთი მცირე გროში.
რაც ბათუმში ქონება მაქვს,
ის იყოს შენი ფეშქეში.
„მალოჩნაჲა“ გავაჩუქოთ,
„დაჩა“ დავდგათ ბახმაროში.
მშვენიერ სახლს აგიშენებ,
მაღლა გადმოგიდგამ გორში,
ერთდროულად იქ ვიქნებით,
თავს შევიქცევთ გურულებში.
ჭყონია,[22] გუნთაიშვილი[23]
ვერ გამოგვიარს ეზოში.

---

[20] დუკლი დოლიძის ქალი ქობულეთში ცხოვრობდა, მას საკუთარი საყავე ჰქონია. საყავეში მისი სილამაზის თაყვანისმცემლად ხშირად დადიოდნენ თურმე ქობულეთელ გუნთაიშვილი და ცეცხლაძე. ეს მემედს გაუგია და გაულექსავს.

[21] ერთი სწორი — ერთი კვირა (შდრ. დღეის სწორი).

[22] დუკლის სიყვარულს მემედ ჭყონიასაც აბრალებდნენ, ამიტომ ლექსში თავისი თავი ჩაურთავს.

[23] მეჯიდ გუნთიაშვილი.

11. ლეჩხი ჩონთო ურუშაძეს

გურიაში ცნობილია
ჩონთო ურუშაძის ქალი.
ამას ყველა დამიმოწმებს,
არის ლამაზების თვალი.
ენა ტკბილი, შაქარივით,
ნამეტანი თავმდაბალი.
შორს გამჭვრეტი, გენიოსი,
კარგად ესმის მისი ვალი...

ერთი ვინმე საკადრისი
შენს სოფელში რად არ შეგხვდა.
ვიღაცა ლოთს გაყოლიხარ,
ძლიერ მიკვირს, როგორ მოხდა.

ნეტა იყოს ქვეყანაზე
ქალი შენისთანა კოხტა,
ორგულები თუ ვინმე გყავს,
იგენს გულში ტყვია მოხდა.
აჰა, მზეო, გეაჯები,
შემომხედე, ნუ დამძრახავ,
ჩემზედ ნურას ნუ იფიქრებ,
და ნურც გულში შეინახავ,
ჩემთვის დიდი იმედია,
ხანდისხან რომ დაგინახავ,
იცოდე, რომ არ ვიცოცხლებ,
წამალს თუ არ მომინახავ.

1915 წ

12. ხასან-აღას არიფ-აღა...

ხასან-აღას, არიფ-აღა
სიზმარში უნახავს ღამით,
ბეწვის ხიდზე ყარაულობს,
გაშარშვალებული ყამით.
გინდ რომ იყო ლომებრივი,
იქა ვერ გეიარ ძალით.
ხასან-აღას გაუვლია,
მოუხერხებია ქრთამით,
ყურშუმ-აღა, სკენდერ-აღა
ხასან-აღამ ნახა იქა.
ყურშუმ-აღა-სტოლზე იჯდა,
სკენდერ-აღას ეპყრო ჭიქა.

არიფ-აღას დაუძახეს,
მისებურად გადიბრიქა,
წელს ეკიდა კარაბინა,
ხელში ჩვენებური ბუქა.
ხასან-აღა, ბიძაშვილო,
კაცი ვერ გჯობია ერთი.
გლახას შენ არ გააკეთებ,
მთლად რომ მოგცენ ქობულეთი.
სმა-ჭამა გაგიხარდება,
მაზედ კახური შერბეთი.
ხშირად ქადაგად ეცემი,
ეგია დიდი იბრეთი.

1922 წ

13. იცის ღმერთმა, საზოგადოთ...

იცის ღმერთმა საზოგადოთ
კაცი შიყვარს გულით ყველა.
იცოდეთ, რომ ცხენიც მიყვარს,
ფერად თუ არ იქნა ყულა.
აგი ჩემი ბიძაშვილი
გადაკიდული მყავს ტყულა,
დაგვაში გადამისახლეთ,
შაგი კომახიძის გულა.
იმთავიდან ნაქებია
არაბისტანში ყონია.
ჭოროხის პირზე მახლობლად
სოფლად ნაქები გონია.
ჩვენს სოფელში სულ ისპობა
შთამომავლობით ყენია,
კარგი სახელის მოხვეჭა
არც იმდენთად ძნელია,
მგონია, რომ მართალს ამბობს
მოხუცებული ჭყონია.

1922 წ.

14. ხასან-აღა, ცხოვრებაში...

ხასანა-აღა, ცხოვრებაში
ვის არ უყვარს ცოლის მამა.
ვიცი, თვალწინ გელანდება
მისი გალესილი ყამა.
ტავარჯული, სუმათარაძე,
მისი ჩვენებური სამა.
ხელში ყანწების ტრიალი,
ქეიფი და სმა და ჭამა.
იმას ვერვინ ვერ სჯობნიდა
იმ პატარა კოხის თემში.
ბარე ორხელ მინახია
ხვევნით რომ კოცნიდი წვერში.
ამას ნამდვილ მოგახსენებ,
სინდისი თუ არის ჩემში.
იცოდე, რომ გამოგიხსნის,
თუ კი შეგხვდა ძნელ საქმეში.

1922 წ.

15. მე ასე ვარ, ნათესავო...

მე ასე ვარ, ნათესავო,
რაც ვშობილვარ დედისაგან,
არავის ხომ არ ვაბრალი,
მე მჭირს ჩემი ბედისაგან.
არ გადავა გარდუვალი,
ნათქვამი არის ბრძნისაგან,
ავი-კარგი, რაც შეგხვდება,
უნდა ელოდე ხვთისაგან.

ხასან-აღა, უძლური ხარ,
არ გერგება სმა და ჭამა.
ჩვენს შორის ნამუსად დარჩეს,
არ გაგვიგოს ვინმე სხვამა,

ღმერთმა ჯენნეთში გვიჩვენოს
გწყლოკრავი შენი მამა.
ტურაყილიფად ეკიდოს,
წელში ერჭოს მისი ყამა.

1922 წ.

16. ჩემს სიყმაწვილე-ყრმობაში...

ჩემს სიყმაწვილე-ყმობაში
ქალებს ეხურა მარმაში.
როცა რომ დამინახავდნენ,
იგენი იყვნენ მალვაში.
გარეთ არ გამოდიოდნენ

არც დარში, არცა ავდარში.
მე მსურდა მათი დანახვა,
იგენი იყვნენ კრძალვაში.
ეხლა უკაბოდ დადიან,
მე რომ ჩავი..ი შარვალში...

1930 წ.

17. ეს სოფელი...

ეს სოფელი წუთი არის,
ხშირად უხდება ცვლილება.
ნუ დაეცემი, გამაგრდი,
გამოიჩინე გმირობა.
უგზო-უკვალო სირბილი
ნურვის ნუ გაგიკვირდება,

აჭარას თურქი რას უზამს,
რუსი მოყვრობას გვპირდება.
ქართლ-კახეთი, იმერეთი,
ყველა გვეგულება ძმებად,
მტრები ფეხებზე გვაკოცებს,
მალე იგიც მოგვესწრება.

18. ლექსი „სედაი მილეთის“ ხელმძღვანელობაზე

ზაბით-ბეგი მოწყობილი
დიდი სელიმის შვილია.
ქობულეთში სახელი აქვს,

ყოლიფერი შეუძლია,
ნაპალეონს მოგვაგონებს,
მცველი დასდევენ ასია,

ვარჯანოვლში დახელოვნდა,
დიდი პოლიტიკოსია.
ნაკაიძის და ბალაძის
ხომ არ ითქმება ფასია,
მათ ბრძანებებს პატივსა სცემს
სულ ერთბაშად კავკასია.
ხულოში ასლა შეიძლეს,
აჭარლებს თოფი ასრია.
სავაჟკაცო თუ გამოჩნდა,
უმალ ისინი დამსწრეა,
ბიბინ-ოღლი, რას გვიპირებ,
მოიფიქრე გუნებაში.
ჩვენი სამშობლოს დაღუპვას
გაგცინებენ ქვეყანაში.
შთამომავლობა კარგი გაქვს,
ნაქები ისტორიაში.
მამათქვენს ხათრი დარჩება,
ვერ მოისვენებს მიწაში,
ბერხანოღლის გამეფება
როგორ დაგიჯდა ჰკუაში?
არვინ სელამს მას არ აძლევს,
თავის სამშობლო-ბორჩხაში.

თურქებიდან შეყიდული,
გამოგზავნილი დამქაში.
მოიყვანე, აყოყოჩებ,
ამ მშვენიერ ქვეყანაში.
ოსმან-ეფენდი, გეგიძე,
აღზრდილია სიასეთში.
(ზიარეთში)

განათლება მუუღია
წონდარიხის მედრესეში.
ნური-ფაშამ დაავალა: —
ხალხს უქადაგე ჯამეში,
რესპუბლიკას დააარსებ
ჭახათს ზეით — დიდ ვაკეში.
ჩვენს ქვეყნებში იმყოფება
ხასან-ეფენდი, ხინველი,
პოლიტიკაში ჩარევის
შემთხვევა ქონდა პირველი.
ფილოსოფოსი ყოფილა,
დეილოცა მისი ძველი,
მესხიქედში ხენწიფობას
ჩაუყარა საძირკველი.

1919 წ.

19. დავბერდი და დავუძლურდი

დავბერდი და დავუძლურდი,
კარზე მომადგა სიკვდილი,
სიყრმე უკვე გავისტუმრე,
რაც მიშველის სინანული,
დიდი შეცდომა ყოფილა
უნაყოფო სიხარული.
არაფრად არ მიმაჩნია
წუთისოფლის სიყვარული,
ჩვენ ქვეყანას დარჩენილა,
სიტყვებია ბრძენთა თქმული.
სამოცი თუ შევასრულე,
შეძრომელია ქართული.
მოკრძალება ემეკრძალა,
უფლებით ვარ შეზღუდული,

ვენაცვალე ღვთის განგებას,
მაინც არ ვარ გულს ნაკლული,
ჩიბათიდან წამოსულა,
აქ მოსულა ჩემი ძველი.
აქ დევბადე, გევიზარდე,
აქ ძიდგანა ოდა ძველი.
აქ მოვკტები, დავიმარხვი,
თუ გამითავდა სათქმელი.
გამიესმაც თუ მიპატივა
.ორი ჩემი ვაჟიშვილი.
იშია ხომ არ მეშინია
ვინმემ გამიკეთოს მტრული.
ბადიშებიც თუ მომესწრო
ქე ვიქნები ბედნიერი,
უფესვოდ არ გადვეგები
ვერ დამძრახავს ჩემი ერი.

ბაჯელიძევ, დაამღერე,
ლექსი ჩემგნით გამოთქმული
სპეციალისტი ბრძანდები,
ქეიფობაში ქებული.
სტოლზე დიდ რუელს თამაშობ,
აწყობილი გაქვს ჩეგური.
შაირი არ დაგელევა
ახალი და ძველებური.
ყველანი ვალდებული ვართ,
უცოა დავიცვათ იდეა.
შავრამ ისეთ ხანაში ვართ,
საქმე მოველოს ფრთხილია,
დათვება უნდა მოერიდო,
რომ არ წაგართვას რიდია,
ეგ არის სხვა რამ დიდება,
გამოსავალი ხიდია.

20. მემედ ჰყონიასა და ხასან კომახიძის გაშაირება

ჰყონია

წუხელი სიზმარში ვნახე
ხასან-აღა, შენი მამა!
ტურაყილიფად ეკიდა,
წელში ერჭო დიდი ყამა.

კომახიძე

ტყუილად მოყვარეს ნუ სცინი,
ვერ აჯობებს კაცი ხალხში.
ზემოაჭარით მოსული,
მოკაზმული ჰყავდა რაში.
მამაჩემისთანა კაცი
სხვა არც იყო აჭარაში.

ჰყონია

იმან ცხენი სულ არ იცის,
დემერწმუნებით ამაზე.
ისეთ რამეზე შეჯდება,
ფეხებს გაათრევს მიწაზე.
ბელუხოღლის მოგაგონებს
გუდაუიბონის სამაზე.

კომახიძე

თოფი, ფიშტო, მაქახელად
კაცისთვის არის ძარაღი.
ტყეში დათვივით დარბოდი,
წელით დაგქონდა ნაჯაღი.

შენ მამაჩემთან რა გინდა,
ნეფეს უგვანდა ნაბადი,
მე შენისთანა მელექსეს
შაირში ენით ვაბამდი.
გიჯობს საფერი მონახო,
არ გარგებს ჩემთან კამათი.[24]

21. მამულო!

საოცნებოვ ჩემო მხარევ
ბრძოლით, შრომით განაზარდო,
თვალწარმტაცო მთა და ველო,
საბალნარო ია-ვარდო
ფირო-მანის ფუნჯის წვერით,
დახატულო ცა-ლაჟვარდო
ნათელ აზრთა და გონების
საფრენო და სანავარდო.
შემართულო ბასრო ხმალო
გმირმამულის ამაგდარო,
გორო ქართვლის მეთაურო,
ქართვლის ჯავშნად გამომდგარო
კავკასიის მწვერვალებო,
ხარწივების საბუდარო,
სასახელო ასულებო,
ვაჟკაცებო, ლომის დარო.
ბედნიერო სიმოხუცევ,
და ბავშვობავ ნაცისკრალო,
მილიონთა წრფელ გულებში
ნაშობო და ნაფიქრალო
ბედნიერო მომავალო
და ბუნებავ ეშხით მთვრალო,
საყვარელო საქართველოვ
მარგალიტო, ნატვრისთვალო.
შენ გიმღერი, ეს სიმღერა
ისე არ ჟღერს, როგორც მინდა,
მას ის სიტკბო ვერ მიეცი.
როგორიც მაქვს გული წმინდა
შენი სიტურფ-სილამაზით.
წრფელი გული გამიბრწყინდა,
მე სიცოცხლე და სიმღერა
საქართველოვ შენთვის მინდა.

22. როს ახალგაზრდა ვიყავი

როს ახალგაზრდა ვიყავი
დავკრიფე ია და ვარდი,
თან ნადირობა მიყვარდა,
ქორულებ შევქენ ნავარდი.
რასაც ვეძგერე, გავაპე,
თავს მოვხდი ბოლოს გავვარდი.
შეხედეთ წუთისოფელსა,
ბოლოჟამს როგორ დავვარდი.

1935 წ.

---

[24] ეს გაშაირება სახელდახელოდ მომხდარა ქობულეთის სალაყბოში. ამის შემდეგ ერთმანეთს წერილობით გაბაასებიან, რომელშიც გამოყენებულია ეს გაშაირებაც. იხ. ქვემოთ, ხასან კომახიძის მასალებში (გვ. 96). „ხასან კომახიძისა და მემედ ჭყონიას გაბაასება“.

23. კაცი ხარ, ადამიანი...

კაცი ხარ, ადამიანი,
ნუთუ ასე დაგეძინა.
ცოდვა-მადლი მაშინ გახსოვს
თუ რამეზე შეგეშინა,

ოდეს, როცა მოჯობინდა
ანასინი შეაგინა,
მას ეგონა კარგი ვქენი
ასე უშნოთ გაიცინა.

თუ სიბრძნეს არ გადასულხარ,
ნუ იქნები მისი კბილა.
კაცი კაცად აღარ ვარგა
თუ სახელი გაიწბილა.

24. ლეჭსი ილიას მეგრელიძეს

მეგრელიძევ, შენ გადიდებ,
როგორც ახლო მეზობელი.
იმთავითვე სანაქებო
იყო ჩვენში შენი ძველი.
მტერ-მოყვარის გამომცნობი,
ჩვენი მტკიცე საძირკველი.
ხალხის სული, ხალხის გული,
გენიოსი შორსმხედველი.
გურიიდან შენმა ძველმა
როცა ჩამოგვართვა ხელი.
განათლება მოგვიტანა,
სიბრძნე, ქება და სახელი.
დედაენა შეგვაყვარა,
მამული, ჭირის მნახველი.
და თვალები აგვიხილა,
ნაცრემლი და გაუხელი.
მამაჩემი პაპაშენის
იყო ძმა და მეგობარი.
მელექსე და მეჩონგურე,
ენატკბილი მოუბარი,
მასთან ხლება მიხაროდა,
ხშირი ტკბილი საუბარი.

ცუდს ნურავის გაუკეთებ,
ასე ჰქონდა დანაბარი.
შენც კი იცი არ ვყოფილვარ,
მოღალატე ვინმე ფლიდი.
მეგობართან მეგობრობის
გამიდევია მტკიცე ხიდი.
მტერსა მტრულად მოვქცევივარ,
და მოყვრების მქონდა რიდი.
შვილთა პინდის და ნამუსსა
ერის სიყვარულით ვზრდიდი.
ზოგმა ბრყივმა ვერ გამიგო,
რა უნდოდა ჩემთან ნეტავ.
მე დიდებას მოველოდი,
სასიკვდილოდ გამიმეტა,
ძალად ენა ამომგლიჯა,
ყველა გზები დამიკეტა.
მეჯლისიდან გამომაგდო,
და დამტოვა ობლად, კენტად,
უკანონოდ დასჯილი ვარ,
და უფლება ამეყარა.
რაც დღემდე კარგი მიქნია,
ყველა წყალში ჩამეყარა,

ჯერ არავის განუცდია
მე რომ ჭირი შემეყარა.
ხალხში გამოსვლა მრცხვენია,
გამაწვალა, გამამწარა.
მე ყოველთვინ მყვარებია
და კვლავ მიყვარს მუშა-გლეხი.
უკანონოდ ხმა ამყარეს,
თავზე დამატეხეს მეხი.
ჯავრისაგან გავჭაღარდი,
მხრებზე მომეკიდა კეხი.
მწყინს, სახელი შემილახეს,
აქობამდე გაუტეხი.
როგორც ხალხის წინამძღვარი,
გადასინჯე ჩემი ბედი.
სახრჩობელაზედ დამკიდეთ,
თუკი ვიყო ცუდის მქმედი.
უკანონოდ არ დამჩაგრავ.
ვიცი, რომ ხარ შორ-შორს მხედი,
შავ ყორნებში ისე გხედავ,
ვით ღუღუნა თეთრი მტრედი.
გადახედე ჩემს წარსულსა,
რა მიქნია აბა ცუდი.
აბა ვის რა დავუშავე.
რა ვაკეთე ახვისთვის მრუდი.
კეთილ საქმეს შევხაროდი,
მძულდა ვერაგი და ქურდი.
პირში მთქმელი ვიყავი და
ვზიდე მე ნამუსის ჭუდი.
მე შენს გარდა არეინ დამრჩა,
ვარ უღონო, უილაჯო.
გთხოვ, უფლება დამიბრუნო,
რომ ჩემს მამულს ეუდარაჯო,
სირცხვილია, გაგვცინებენ,
ტყვილუბრალოდ დავისაჯო.
ბოროტ ენებს ნუ აყვებით,
და სიმართლემ გაიმარჯვოს.

ვა. ანდერძი

ჩემს შვილიშვილებს, სულიკოს* და ჯემალს

იყავით: დინჯი და თავდაბალნი
წმინდა, ფაქიზი, თავაზიანი,
ვულით მართალნი და შორსმჭვრეტელნი,
ერთმიზნიანი, ერთაზრიანნი
ხალხთა გულისთქმას გამოსახავდეს
თქვენი ყოველი ნამოქმედარი,
ყველა გლოცავდეს ბევრი გამრავდეს
ჩვენს გმირ მამულში თქვენებრ მხედარი,

* სულიკო ჯაონია, მემედ ჯაონიას შვილისშვილი, რომელიც გადმოცემით თითონაც თხზავდა ლექსებსა და შაირებს.

უნდა მოჰქონდეს ხალხთა მადლობა
თქვენსა ღვაწეთესს, მომკულს და დარგულს,
არ შეუშინდეთ მასკილის სობას,
ძმათ მოეკლინეთ ბედით დაჩაგრულს.
ყური დაუგდეთ ხალხთა გულის ჰანგს,
მკერდით დაუდექთ სამშობლოს მცველად,
იცოდეთ გველიც შეცვლის პერანგს,
მაგრამ დარჩება გველი კვლავ გველად,
თუ გინდ მახვილით გაგიპონ გული
არ შეუშინდეთ სიმართლის თქმასა.
სულ თვალწინ გედგათ ბედით ჩაგრულნი
და გაუწოდეთ ხელი ვით ძმასა.
სადაც წახვიდეთ მუდამ გახსოვდეთ:
გშობათ, აგზარდათ სამშობლომ მცველად,
მტერსა ეკვეთეთ, თუმც მეხს გათოთხეს
ქართველნი დარჩით გმირად ქართველად.

26. შვილიშვილების გაშაირება

სულიკო:

ჯემალ უმცროსი ძმაია,
ნამეტანი მეხათრება.
რაღაცაებს მოჰყოლია,
არ ვიცი რომ რისთვის შერება.
ჩემი სიტყვები არ მოსწონს,
უნდა ჩემი დამცირება.
იცოდეს გლახათ გავლექსავ,
დედის სული მიცხონდება.

ჯემალი:

სულიკო-ჯან მომივიდა
ლექსი შენგან გამოთქმული,
ცხოვრებაში იმედი ხარ,
გენაცვალოს ჩემი სული.
ინათიანი* ყოფილხარ
იმან შემიწუხა გული
მეზანშეუწონელია,
თქვენი უბრალო ბურტყუნი,

სულიკო:

ჯემალი-ჯან სწორი მითხარ,
სირცხვილია მაზედ ვარი.
ჭყონია თუ გოგიტიძე
რომელია შენი გვარი?
იქ იშვი და გაიზარდე,

---

* ჯიუტი

მიტომ გიყვარს ალამბარი
პასუხი თუ ვერ მომწერე,
მოდი შენი ქეჩამკარი.

ჯემალი:

სულიკო ზევით ნუ იმზერ,
საქმე არა გაქვს გორებზე.

თუ ჩემგნით რამე გეწყინოს,
მოვალ, გაკოცებ ხელებზე.

თუ ვაჟკაცობას ჩემულობ,
თავი ისინჯე მტერებზე.
თუ არაფერს დამიჯერებ
მომეკიდები... ყ.....ზე.

27. ექსპრომტი

შვილიშვილს, ჯემალს

გვარად კეთილშობილია
ჯემალი და სულეიმანი.
ერთი დედ-მამის შვილია,
იგენია ღვიძლი ძმანი.

ჩემთან უნდა ყოფილიყო,
იგი იყო მისი ვალი.
ბებიასთან გაგდებულა
როგორც ერთი ძველი ჯ ვ ა ლ ი.

28. ექსპრომტი

შვილიშვილს, სულიკოს

სულიკო — ჯან მიხარია
რომ ხარ დიდი ნიჭიერი,
ეცადე და შეისწავლე,
შეიქმნები ბედნიერი.

თუ ამ დროში კაცს არ ესმის
ის არის უბრალო მტვერი.
ცხოვრებაში გაგახსენდეს
ბაბუაის თეთრი წვერი.

29. ლექსი ძმას, სძენდერ ბუონიას

(დაკრძალვაზე წაკითხული 1923 წელს)

ოცდასამ წელს, პირველ მაისს მე დავკარგე ჩემი ძმაი,
დიდებული და ძვირფასი, გემრიელი სკენდერაი.
მთელად ოჯახი დამექცა, დაიღუპა ჩემი ხმაი,
ბედნიერი ვიქნებოდი ჩემდა დაეძახათ ვაი.

სისხლის კურცხალში დავწერე, გული ღელავს როგორც ზღვაი,
ვინცხამ წყალში გადამაგდეთ, გულზე დამადევით ქვაი.
მაგის შემდეგ ჩემი დღეი გინდ იყოს და გინდა არა,
ჩემი ლომი, ჩემი გმირი, როგორ უცებ გამეყარა
უმისობას ვერ გავუძლებ, მისი ჭირი შემეყარა.
ქვეყნის კაცობას ვეპირე, ხელი უცებ მომეცარა,
რაც სიამოვნება ვნახე. ბოლოს ერთად წამემწარა,
ღმერთო, ღმერთო, გევედრები, რაც მაცოცხლე იმიც კმარა,
სულერთია დღეს თუ ხვალე ეგერ გვიცდის დიდი შარა,
იმას ხომ არ გაველეცევით, გვეძახიან: — მოდი, ჩქარა!
რაც სიამოვნება ვნახე ბოლოს ყველა წამემწარა,
შვილებო ახლოს მოიწით, უნდა გითხრათ ჩუმათ ყურში,
ჩემი ძმაი მენატრება, მინდა ჩავიხუტო გულში.
უმისობას ვერ გავუძლებ გინდა გადამაგდეთ ხევში,
იმას უნდა დავეწიო, გინდ რომ ჩავძვრე გველის ხვრელში,
სიტკბო სიმწრით შემიცვალა, ჩემ სკენდერამ სიბერეში.
ნამეტანი გვიხაროდა, ვითომ მივდიოდით მთაზე,
უბედური ჩვენი თავი, გამოვიდეთ ენა ყბაზე.
იქაურობა ჩამოიქცეს, გადადუღდეს ქვაი-ქვაზე,
ჩემი უმცირესი ძმაი აღარა მყავს, ქვეყანაზე,
საწყენად არ მექნებოდა ყოფილიყო ვინმე ყმედი,
ზნეობით და ხასიათით იგი იყო როგორც მტრედი.
ჩემთვის აღარ გათენდება, ისე მომესპო იმედი.
ჩემი დიდი მენუგეშე მაგი მყავდა ერთად-ერთი,
ბაჯელიძევ დაამღერე, როგორ მოგწონს ჩემი ბედი,
კისერზე დაწონილი მაქ უმძიმესი დიდი ქედი.
თავი უნდა დავიკარგო. ვეღარსად ვეღარ წავედი,
ჩალამ-ქალამს მოგახსენებს თქვენი ჰყონია მემედი.

1923 წ.

30. წელთ სიმრავლე მოწმე არის

წელთ სიმრავლე მოწმე არის ჩვენს წინაპართა გმირობის,
ირაკლი ბატონიშვილი გამმართლებელი პირობის.
ყველას მიაჩნდა მშობელად პატარა კახად ცნობილი,
იინ არის მაზედ პირველი დედისგან კაცი შობილი.

თურქეთის მხარეზე დადგა ლეკი ჩვენი მეზობელი,
დღეგრძელობა ჩვენ დიდ მეფეს, რაღა დარჩა საფიქრელი.
ბრძოლის ცეცხლში გაეხვია მტკვარი და ასპინძის ველი,
მეფეს იწვევს კოხტა ლეკი, საქმე გახდა საკვირველი.
დღეგრძელობა ბატონიშვილს, დაილოცა მისი ძველი,
ჩაუარა დაღესტანელს, გაახსენდა გორგასლანი,
როცა იმან დაამარცხა ბაყათარ სახელოვანი.
საბრძოლოდ გამზადებული ყალყზე იდგა მეფის ცხენი.
დაჰკრა ხმალი, თავი მოსჭრა, დაუბნელა კოხტას დღენი.
ასპინძაში დაიწერა ლეკ-თურქების განაჩენი,
ღმერთისგან დალოცვილია პატარა კახის მარჯვენი,
გამარჯვება ქართველთ დარჩათ, არ დასჭირდათ ტოტლებენი.

81. არვის ახსოვს...

არვის ახსოვს სად სახლობდა ის პირველი ჩვენი პაპა,
სად ზიდავდა ცხონებული ნამუსის ქუდს, შრომის ჭაპანს.
ვერსად ვნახე მისი ბინა, დღეს ჩვენს გვარს რომ გვინთებს ლამპარს
და მომავალს გადასცემენ ჩვენს გარდასულს, როგორც ზღაპარს.
სად გათენდა მისთვის დილა, სად ბეუტავდა მისი ლამპა,
სად მარხია მისი ძვლები, რად ვერ ვპოვეთ, განა დალპა?
არვინ იცის რით დასრულდა მისი შრომა, მისი ჯაფა,
იყოს მრავალჟამიერი, თუ ბრძოლებში მტრები კაფა.
თუ სამშობლოს შეეწირა გმირი სისხლით გაარქაფა,
ერთში ათი დააწვინა, არ დაუჯდა მტერს იაფად.
მისი ფესვი გადგმულია სამეგრელოს და გურიას,
და მესხეთში აშენებდა ლამაზ ოდას ქონგურიანს.
ბიძაჩემის გადმოცემით დევკაცს ხმლიან-ჩონგურიანს,
სამოსახლო აუღია იქ, ჩიბათში მძლე გულიანს.
მისი ერთი შვილიშვილი, ფარნაოზად წოდებული
ქობულეთში გამოიქცა, გულზე ტრფობა მოდებული.
მას მფარველად ჯაში ჰყავდა, შორსმჭვრეტელი, დიდებული...
რა ვაქკაცი, რა ჭაბუკი იყო თურმე ფარნაოზი,

ცხვირი არწივს მიუკავდა, და თვალები ჰქონდა ორბის,
ულვაშები დაგრეხილი, დიდ ყურებზე დანაგორგლი,
სუნთქვა ქორის, ხმა კი ორბის, და მუხლები ხვადი ლომის,
კარგი ცხენი, კარგი თოფი, ქეიფი და დროსტარება,
სიყვარული, სიხარული, სიცოცხლე და ნეტარება,
სროლა, მღერა და თამაში, ტრფობის გულში შეპარება.
ქალი მისგან მოხიბლული სხვას არავის ეკარება.
დაიღოცა ფარნაოზი, გაამრავლა ჩვენი გვარი,
ცხრა ვაჟკაცი გამოზარდა, ლომების და ვეფხვის დარი,
სადაც ძნელი საქმე იყო იქ ყოფილან წინამძღვარი,
გამარჯვება მათ რჩებოდათ, სად დგებოდა სისხლის ღვარი,
მტერთან მტრობა შეგვიძლია, და მოყვრების ხსნა და შველა,
ასე იყო, ასე არის, არ მოვუტანთ არვის ბელას,
ავს კარგისგან გამოვიცნობთ, არ დავინდობთ ცბიერ მელას.
რას დაგვაკლებს მტერი იმ დროს, როს ერთად ვართ, ერთი ბედით.
ერთმანეთის სიყვარულით, ერთმანეთის ხსნის იმედით.
ერთი სულით, ერთი გულით, ჩვენ ერთმანეთს შევაბერდით,
ჩვენ ცალ-ცალკე არ ვარგივართ, როგორც კვესი და აბედი,
ჰეი, ჰეი, ქართველკაცნო, დაილოცა ჩვენი გვარი,
ბევრი საქმე მოვაგვარეთ, ცოტა დაგვრჩა მოსაგვარი,
თითო დედას გავაზრდიოთ ცხრა ვაჟკაცი გამომდგარი,
ხალხის სული, ხალხის გული, და მამულის ამაგდარი.

1910 წ.

32. მემედ ჯყონიას და ხასან კომახიძის გაშაირება

მემედი

ჩემო ხასან კომახიძევ, მე შენი ნათესავობა
არ მომწონს, მაგრამ რაღა ვქნა — აწი არ გამოიცვლება.
თუმცა რა გითხრა — დაგშვენის მაქაური დაგვეელობა,
მაგრამ მე მაინც არ მომწონს ეგ შენი მაქაურობა.

ხასანი

მემედ-აღა, არც მე მომწონს შენი დიდი ჯყონიობა,
რადგან ახე შემაწუხე, აღარ მაქ შენზე დანდობა;

ღმერთმა რაზე დამიწერა მე შენი ნათესავობა,
და აღარც კი დამიწერა ისევ აქეთ მოშორება.
მემედ-აღა, უნდა გითხრა ახლა სათქმელი მართალი
რადგან დაგვა დამიწუნე, სოფელი ერთი მართალი,
შენ რომ ლექსები მომწერე, ყველა არ არის მართალი.
სწორს მე მოგწერ, წაიკითხე, თუ იყო კაცი, ნასწავლი;
დაგველებმა ფუნა ჰამეს, კვირიკლებმა ხუშკურიო,
ქობულეთლებმა რომ გაიგეს, არ დატიეს თხის კურკლიო.
ხომ ხედავ, რაფერ ყოფილა — შენც მოგიწია სკინტლიო.
ნამეტარი არ შიექცე, გადმოგდინდება წკვინტლიო,
მემედ-აღა არ გეწყინოს, თუ გწამს შენი გამჩენელი,
რაც რომ ლანძღვა მომაყენე, მე იმის ვარ ამტანელი.
მაგრამ შენ თუ ვერ აიტან, არ იქნება ლექსის მთქმელი:
ჰყონიობა თუ კარგია, რათ შეგძულდა მათი ყველი —
ჩიბათიდან გამეიქეცი, აქ მონახე სამყოფელი,
აქავრობის მოგეწონა კვერის მჭადი. ჰყიპი ყველი,
ქობულეთში რომ ჩასახლდი, მერე გაისივე ყელი.
ამბობენ — ცხენები გიყვარს და ხელობა ძველისძველი
ქურდობაში ვერ გაჯობებს თურმე ვერც ერთი მეგრელი.
ჰაკი ცხენების, პარვაში როგორ გაითქვა სახელი,
ვაყა რომ არ ურევია, ალბათ შენ იქნები... მქნელი...

მემედი

ხასან-აღავ, ეგ რა მითხარ, სიტყვა შემკადრე რაფერი,
არ მინდოდა გამემხილა შენი საქმის ყველაფერი —
ბობოყვათში, დეხვაის პირზე საქმე რომ ქენი რაფერი —
ყურდღლის ჩოჩიაი რომ ჰქენ, ხვადი იყო, დანაყვერი.
მე ჯერ კაცი არ მინახავს, მეტი ჩერჩეტი შენფერი,
შენ ნაქმარს რომ სხვას უგონებ, ეგ რანაირია რაფერი.
მინდორში ყვავი რომ მოკალ, ის ჩიტი გეგონა მწყერი,
ბაე გემოზე შეჭამე, წაიჭამე თითის წვერი..

გაგონილი და ჩანაწერი მუსა მსახურაძისაგან, შუახევის რაიონის სოფელ ჭვანაში

ხუსეინ ბაჯელიძე



ხუსეინ ხუშუტის ძე ბაჯელიძე დაიბადა 1866 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში, გლეხის ოჯახში. ხალხური სიტყვიერებისა და მუსიკის სიყვარული მისთვის ბიძას, რაზმან ბაჯელიძეს ჩაუნერგავს. ხუსეინის ცხოვრება თავიდან ბოლომდე დრამატიზებითაა სავსე. მას ბედმა არგუნა სიღარიბე, შიმშილი, ობლობა და დამცირება, ხოლო 17 წლის ასაკში ყვავილის დაავადებამ თვალისჩინი წაართვა და სამუდამოდ დააბრმავა ყმაწვილი. ძნელია თქმა, მაგრამ იქნებ ამანაც განსაზღვრა შემდგომში მისი ჩამოყალიბება მუსიკოს-შემსრულებლად. იგი ჩონგურზე ამღერებდა ხალხურ ლეგენდებს, მომხიბლავ ლექსებსა და შაირებს. შემდეგ კი თვითონაც თხზავდა ახალ სიმღერებს. ხუსეინ ბაჯელიძემ გარკვეული სამსახური გასწია აჭარის საგუნდო ხელოვნების განვითარებისათვის.[1] ამ სახალხო მელექსის ცხოვრებას დიდი ყურადღება დაუთმო მკვლევარმა ა. სინთიბიძემ ჯერ კიდევ ადრე, თავის წიგნში „გურული ფირალები“. ხუსეინი თავისი ჩონგურით დადიოდა აჭარის სოფლებში და ხალხს თავის ხელოვნებას აცნობდა. იგი თანდათან დაოსტატდა, როგორც სიმღერა-შესრულებაში, ისე ლექსის თხზვაში, ისწავლა ხალხური მელოდიის საიდუმლოება. მალე ხუსეინი აღიარებულ ხალხურ მთქმელად და მელექსედ იქცა. ხალხი მას „ბრმა მეჩონგურეს“ უწოდებდა. ჩონგური და ლექსი იყო მისი თვალიცა და ყურიც, სულიცა და სიცოცხლეც. ჯერ კიდევ რევოლუციამდე ხუსეინი

---

[1] გ. გაბისონია, საგუნდო ხელოვნების მოკაცენი, ბათუმი, 1971, გვ. 9.

თავისი მებრძოლი სიტყვითა და სატირით ეწინააღდეგებოდა მეფის მთავრობის ძალადურ პოლიტიკას აჭარაში. რევოლუციის გამარჯვებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხუსეინი კიდევ უფრო ახლო მივიდა ცხოვრებასთან. სალხი ყურადღებით ისმენდა მის სიმღერებს „დილა აბის", „სიმღერა ვეფხისტყაოსანზე", „ქარაღები", საკუთარ ლექსებს: „საოქტომბრო", მზე მესტუმრა", „საბჭოეთის გაცხრა წევრი", და სხვა.

ხუსეინ ბაჯელიძე მონაწილეობდა აგრეთვე ხალხურ შემსრულებელთა საოლქო და რესპუბლიკურ დათვალიერებებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის აჭარაში ქართული ხალხური ლექს-სიმღერების პოპულარიზაციაში. ქართულ სინამდვილეში მრავალი შემოსვევაა აღწერილი ბრძა მელექსე-მოშაირეებზე და შესრულებლებზე. ასეთი იყვნენ მაგალითად თბილისელი ილო მათიაშვილი, სანრო წიკლაური, გერემისხეველი ალექსი გომიაშვილი და სხვები. ხუსეინ ბაჯელიძე ბრძა ხელოვანთა ოჯახის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს.

ხუსეინ ბაჯელიძე, მიუხედავად მისი ფიზიკური ნაკლისა, მოგზაურობდა აჭარის ყველა კუთხეში. თავისი ცხოვრების სამოცი წელი ხალხში გაატარა და ამ ხნის განმავლობაში ჩინგური და ლექსი მისგან განუყოფელი იყო. სწორედ ამიტომ ხალხმა ახლოს გაიცნო და შეიყვარა მისი ხელოვნება, დაუვიწყარი სხოვნით დააფასა მისი პოეტური ნიჭი.

ხუსეინ ბაჯელიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ პერიოდის ცნობილ მელექსე-მოშაირეებთან, რომლებიც მას, როგორც საუკეთესო შემსრულებელს, სშირად ანდობდნენ თავიანთი ლექსებისათვის მელოდიის შეწყობას და ხალხში გატანას. მაგალითად, ხალხში პირველად ხუსეინმა შეასრულა „ხასან კომახიძისა და მემედ ჭყონიას გაბაასება".[2] ცნობილია, რომ ამ გაბაასების მიმდინარეობისას ცნობილი მელექსეები ხასან კომახიძე და მემედ ჭყონია თავიანთ პასუხებს ჯერ ხუსეინს უგზავნიდნენ, ხუსეინი ზეპირად სწავლობდა და საქვეყნოდ ამღერებდა. ამ პოეტური ტურნირის შესახებ მაშინ ბევრს სცოდნია და დაინტერესებულნი სშირად სახლშიც აკითხავდნენ თურმე ხუსეინს, მორიგი პასუხის შესატყობად. გაბაასების მოსმენა ხდებოდა ბაღში, ეგრეთწოდებულ „სალაყბოში", სადაც თავს იყრიდნენ ზეპირსიტყვიერებით დაინტერესებული პირები.[3] ხუსე-

[2] აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 99-103.

[3] აღნიშნული „სალაყბო" ამჟამადაც არსებობს. 1974 წელს ჩვენ მოვინახულეთ იგი და საინტერესო ფოლკლორული მასალაც ჩავიწერეთ. იხ. ბსკი, ფ. 1, ს. 189, ე. დავითაძის ჩანაწერი.

ინი „სალაყბოს“ სწირი და მეტად დაფასებული სტუმარი ყოფილა. აქვე შეასრულა მან პირველად „ლობიოსა და კაცის გაბაასება“,[4] რომლის პირველი ნაწილი თვით მისი შეთხზულია, ხოლო ლობიოს პასუხი — ხასან კომახიძისა.[5]

სალხური ლექსის ოსტატები სწირად მათ მიერ შექმნილ ამა თუ იმ ლექსს ბოლოში დაურთავდნენ პოეტურ თხოვნას ბაჯელიძისადმი, რომ ამ უკანასკნელს შეესრულებინა მათი ლექსები. მემედ ჭყონიას ერთ-ერთ ლექსში ნათქვამია:

ბაჯელიძევ, დაამღერე სტოლზე დიდ რუელს თამაშობ.
ლექსი ჩემგნით გამოთქმული. აწყობილი გაქ ჩეგური.
სპეციალისტი ბრძანდები, შაირი არ დაგელევა
ქეიფობაში ქებული. ახალი და ძველებური.[6]

ხუსეინ ბაჯელიძესთან ახლო ურთიერთობა ჰქონია აგრეთვე ცნობილ მელექსეს ყემბერ საბაზს.

ხუსეინს იმპროვიზაციის მაღალი ნიჭი ჰქონდა. ამა თუ იმ ლექსს მოსმენისთანავე მოარგებდა საჭირო მელოდიას, ამასთან, ჰქონდა ლექსის ათვისების იშვიათი უნარი. რაც უნდა დიდი ლექსი ყოფილიყო, ერთი-ორი მოსმენით იმასსოვრებდა, რასაც მას თავისი სიბრძნავე აიძულებდა. სამაგიეროდ, ერთხელ ნასწავლი სამუდამოდ ამახსოვრდებოდა. ეს უჩინო კაცი სალხური პოეზიის ნამდვილი ცოცხალი ენციკლოპედია იყო. სწორედ მისგან ჩაუწერია ოსმან ხალვაშს 1940 წელს „ხასან კომახიძისა და მემედ ჭყონიას“, აგრეთვე „კაცისა და ლობიოს“ გაბაასების ტექსტები.[7]

ხუსეინ ბაჯელიძე განურჩევლად უყვარდათ დიდსაც და პატარასაც. ამ სიყვარულისა და პატივისცემის გამო მისი ცხოვრება თანდათან ლამაზ ლეგენდას დაემსგავსა. პოეტებმა მასზე ლექსებიც შექმნეს.[8]

ხუსეინ ბაჯელიძის თანამედროვისა და თანამოდარდის, ხასან კომახიძისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი მ. ვარშანიძე წერს:

---

[4] აჭარის ხალხური პოეზია, თბ., 1969, გვ. 103-105.

[5] ხ. კომახიძე, „ფუხარას სიტყვა“, ბათუმი, 1928, გვ. 49-50.

[6] ბსკი, ფ. 1, ს. 189, გვ. 77. 1975, ე. დავითაძის ჩანაწერი.

[7] აჭარის ხალხური პოეზია, 1, თბ., 1969, გვ. 144.

[8] ჯ. ქათამაძე, „ბრმა მომღერალი“, იხ. „მიწის სიმღერა“, ბათუმი, 1974, გვ. 104; შ. ზოიძე, „ბრმა მეჩონგურე“, „პაემანი წვიმაში“, ბათუმი, 1974, გვ. 53.

...მახსოვს, მახსოვს ყავახანა... და გალობდა შენს შაირებს,
ნარდი... და ფუსფუსები. მე ყმაწვილი ჯუსმენდი.
მოდიოდა ბრმა მეჩანგე, — კვლავ მეძახის ჩემ ხსოვნიდან
ბაჯელიძე ხუსეინ. მარად გარდაუსვლელი.[9]

ღვაწლმოსილ სახალხო მგოსანს არც სახალხო მთქმელები ივიწყებენ. ცნობილი მელექსე ხასან ხაბაძე (ხაბაზი) ასე ამბობს მის შესახებ.

ბაჯელიძეს ვინ არ იცნობს. ისე ხუცდება მგოსანი,
საბელად სთქვია ხუსია. ცუდი არ დაუთესია.
ხელში ჩონგური უჭირავს. ლექსებს ეტყვის მაღალი ხმით,
ყელაზე უკეთესია... მეჩონგურობის წესია...[10]

სალხური მთქმელის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს ხუსეინ ბაჯელიძის ხალხისეული დახასიათება და მისი მელექსეობის მაღალი შეფასება.

ხუსეინ ბაჯელიძე გარდაიცვალა 1943 წელს, 77 წლის ასაკში.

---

[9] მ. ვარშანიძე. „შენს სერზე ვართ შემომდგარი" გაზ. „ლენინელი", 9 აგვისტო, 1988 წელი. № 95 (6006).

[10] „ხუსია ბაჯელიძის ლექსი", ბსკი ჯ. 1, 40 ც. 60.

1. მზე მესტუმრა

დღეს საკანში მზე მესტუმრა
ჰუჰრუტანა სარკმელიდან,
რისთვის გავჩნდი ქვეყანაზე
ან მშობელი რისთვის მზრდიდა?
მინდოდა თავისუფლება,
დღეს ციხეში გამომკეტეს,
სტრაჟნიკები თავს მადგია.
რკინის კარი დამიკეტეს,
ჩემს საკანში მზის სხივები
ხვალ ხომ ჩემთვის არ შემოვა,
არ ვინაღვლებ მტრისგან
სიკვდილს,
სხვებისთვის მზე თუ ამოვა
რაკი უნდათ ამ ჯალათებს
მოგვსპონ, გული შეგვიხუთონ,
სახრჩობელას აგვიყვანონ,
მტარვალს მაინც შევაფურთხოთ.
დღეს გვტანჯავენ, დღეს
გვჯიჯგნიან,
მაგრამ საქმე არ წახდება,
ჩემს საკანში ჩემს დამტანჯველს
მალე სული ამოხდება.

2. საოქტომბრო

დიდ რუსეთში მშრომელებმა
გაიმარჯვეს, გაიხარეს,
სისხლის ღვარი შეაჩერეს
და მშვიდობა დაამყარეს.
პარტია ხალხს მოუწოდებს
მშვიდობიან ცხოვრებისკენ,
მშრომელებიც მას მიჰყვება
ტკბილნათელი მომავლისკენ,
ჩვენც გვიხსნა გასაჭირისგან,
გამოიზარდნენ გმირები,
მოვიდნენ ლენინელები,
მებრძოლი ბოლშევიკები,
ჩვენც მოგვაშორეს ვაება,
ჩვენც გავხდით ბედნიერები.

3. საბჭოეთის გავხდით წევრი

დიდ კავშირში შეერთებით
დღე დაგვიდგა ბედნიერი,
დიდ ოჯახში ძმური შრომით
ახლა ხარობს უველა ერი

ბე ეთი მზით გამთბარი
დიადი ნათელია,
ს ბრულების იმედი და
უკვდ ერის დამხსნელია,

მენშევიკები გავრეკეთ,
ბოლშევიკებს მივეცთ ხელ,
ლენინური პარტიაა
ერთადერთი ჩვენი მხსნელი.

ლოგიოს ლექსი

ჩემო გამზრდელო ლობიოვ, რავა თამაშობ ქოთანში,
ძალიანი გაპატივე, ტორით ჩაგყარე მიწაში,
ხაშრებიც ისე დაგისვი, კატრები წაიღე ცაში,
ძალიანი მიხაროდა, ვიქეიფებ ამ ზამთარში,
დამწიფება არ იფიქრე, ზურგით მოგიტანე სახლში.
ჰოხუცებული კაცი ვარ, ფეხი მიწყვია ნაცარში,
ნამეტარს ბეყაყანები, ორივე ქე ვართ ოთახში,
წყალი გისხი, ცეცხლი გინთე, ქაფიც კი გადგანა თავში,
შენ რომ ფეხზე დამეთქეშე, ეხლაც მტკივა ძვალი წვივში.
შერცხვენილი შენი თავი, ვერსად ვერ გამოხვალ კარში,
მამაჩემი შენ მოკალი, რაფერ ჩასდიე მიწაში,
ისედაც გასივებულხარ. ვეღარ ეტევი შენს კანში.
მიკვირს, რომე მექადნები, კაციც არ გიჩანა თვალში.
თორმეტს ერთად გადაგყლაპავ, თუკი ჩაგამწყვდიე ჯამში,
მე გახლავარ ამისთანა, მოხუცი ვარ ერთი კაცი.
ძველიდან ასე ყოფილა, შაური დარჩა შენი ფასი
მარილი რომ გამიძვირდა, ეხლა გამიჯექი ტანში,
ღამე გარეთ გამომაგდე. ღამე იყო ავდრიანში,
ნამეტანი ვიფაცურე, ვერ შევედი საყუდარში.
უკანონოთ დეგარები, დაგკარგვია ცუდის კარი,
დუეიწარი საქმე ვქენი, დაგატეხე კოვზის ტარი,
ეხლა ყინჩალად გაგედი, ტყეში ვწევარ ეს ზამთარი,
სუდ.. თუ დამიბარებს, მასთან შემიძლია ვარი,
მოწყ ვმა გაარჩიოს ეს ჩვენი საქმე ამგვარი,
მე რო გარეთ გამომაგდე. შიგნით ჩაიკეტე კარი.
დამეწრწუნე ყველგან გლანძლავ, არც ცხენი გჭამს, არც ქათამი.

ვინც შეგჭამა, უველას მოჰკლავ, ძროხა იყოს გინდა ხარი.
ძველიდან გემსახურება, სადაც იყოს ქალის გვარი,
ხომ არ გინდა მიგაყაროს: კამა, ქინძი, პიტნა მყრალი.

ლობიოს პასუხი:*

შენ რომ ლექსი დამიწერე, გამიკვირდა სწორედ აგი,
შენმა სიტყვამ დაამტკიცა არ გცოდნია შენ ამაგი,
ეხლა სწორედ კი გავიგე, დაფასება არ გცოდნია,
გაძლები და იგინები, ბრიყვი კაციც ამას ქვია.
შენ არ იყავ, რომ მეძებდი, დიდი ოყა გქონდა ხელში,
ქალაქშიაც მომაკითხე, რომ ვერ მნახე შენ სოფელში,
ხომ კი გახსოვს, რომ დამთესე, გიხაროდა ჩემი ჭამა,
თუ არ ვარგვარ დამეთხოვე, გიცხონდება შენი მამა.
რომ გაძლები, იგინები, ასეთია შენი წესი,
უმადლო ხართ, თქვენ კაცებო, ამოვარდა თქვენი ფესვი,
ხან სირსვალად მაკეთებდი, ხან კი გიყვარს მოზელილი,
მართალს გეტყვი შენ, ძმობილო, სიტყვა ვერ თქვი მოხდენილი.
მე რომ წყალში ვიხარშოდი, ხომ ხედავდა შენი თვალი
მოგეცადა, მოგეთმინა, აგი იყო შენი ვალი.
შენი კუჭი გამსქდარიყოს, ვერ გაჩერდი, მეცი თავზე,
განა ჩემი რა ბრალია, რომ დაიწვი ფეხი წყალზე,
ნამეტანი რომ შემჭამე, ხომ იცოდი გაგბერავდი.
ზომიერად შეგეჭამე ნეტავი თავს რაჯს იკლავდი?
ძველებიდან ნათქვამია, მეტისმეტი არის ბრეტი,
მშვენიერად იქნებოდი, არ გეჭამე მეტისმეტი,
მაგრამ კაცი ვერ გაძლება ვერასფერით, აგი ვიცი,
რომ გაძლება, იგინება, აღარ უნდა ამას ფიცი.
ხომ კი ხედავს შენი თვალი, მე მჭამს მთელი კავკასია,
რა ლამაზი ხალხი არის, თუ არის ამის ფასია,
მართალს გეტყვი, ნუ ტრაბახობ, გენატრება ტყემლის წვენი.
შეძლება და მოხერხება უველაფერი ვიცი შენი.
მე ვარ შენი მარჩენალი, აღარ შემრჩა შენგან პარკი,

* პასუხი შეთხზულია ხასან კომახიძის მიერ.

ახ უშხ-ია მომაღლეტდი. გამიჩინე ღერზე ნაკი.
დამწიფება არ მაცალე. ნადირივით დამეტაკე.
ბაგ-ერად ჰეც გაგბეღე. შეიქენი როგორც მაკე.
ინკ შრობედა გამაკეთებს. სწორადა ვარ უვნებელი.
არ ფეხეაი ასტკივდება. არც თავი და არც მუცელი
ჯობს ბოდიში მოიხადოთ. ცოტაც მეგცხვეს მაგის თქმაო,
ვეს დაჰეჭებ. არ მშოლებ. არ გვეკუთვნის გიხებაო
ოუ აკშიელად ღაო ვარგვარ, დამეთხოვე, ჩემო ძმაო!

რეჯებ მჟავანაძე

(ახალი მასალები სახალხო მთქმელ რეჯებ მჟავანაძის შესახებ)



ქართული ზეპირსიტყვიერება კარგად იცნობს მეფის რუსეთისა და მეფის სამსახურში ჩამდგარი, ცარიზმით მოწამლული და გადაგვარებული ადგილობრივი მოხელეების წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლების მევლუდა დიასამიძის, ილიასა ხელაძის (ხილაძის) და მემედ დიასამიძის (ყარამლიოღლის) ცხოვრების ისტორიას, სახალხო გმირებისას, რომლებიც მეფის ხელისუფლებამ და მისმა ძაღლურად ერთგულმა სამსახურმა ქედის მაზრაში ჩამოახრჩეს. ამ ორი უკანასკნელი გმირის სახე და სახელი მევლუდა დიასამიძის სახელთან ერთად უკვდავჰყო თავისი ხსოვნით ხალხმა, ხოლო ქართულ ფოლკლორში შემოიტანა და შემოგვინახა ყველასათვის კარგად ცნობილმა სახალხო მელექსემ და შუახევის რაიონის სოფელ გომარდულელმა რეჯებ მჟავანაძემ.

ფოლკლორის მკვლევართა ყურადღება ამ სახალხო მთქმელის შესახებ ადრევეც განსაკუთრებული გახდა და აგერ აქამომდეც არ შეწყვეტილა. ზეპირსიტყვიერების არაერთი შემკრები არაერთ ინდივიდუალურ ექსპედიციურ მუშაობისას გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს რეჯებ მჟავანაძის ლექსებს, დაუბეჭდავთ არაერთი წერილი, სტატია, გამოკვლევა, მოხოგრაფია, სადაც ამა თუ იმ კუთხით შესწავლილან რეჯებ

მჟავანაძის ცხოვრებას. გარდა დასახელებული პუბლიკაციებისა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ინახება გამოკვლევები რეჯებზე და მასალები მისი შემოქმედებიდან. თუმცა, ამჯერად არც მათი და არც იმათ შემკრებ-გამომცემელთა თუ მკვლევართა ღვაწლის ანალიზი— შეჯამება არ არის ჩემი მიზანი. მინდა რიგი ახალი ცნობა — მასალა მივაწოდო მკითხველს და ამით შევავსო ჩემი აღრე დაწყებული საქმე, ახალი, სარწმუნო ბიოგრაფია გავაცნო საკითხით დაინტერესებულ პირთ. ამასთან, ამით გამოვასწორო ან თუ გნებავთ, „მოვინანიო" ის შეგნებული შეცდომა თუ შეცოდება, რაც სათანადო მასალების უქონლობის გამო მომსვლია ხალხში ესოდენ პოპულარული და სახელოვანი მელექსის ცხოვრების კვლევისას.

1979 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო", რომელშიც აჭარის სხვა სახალხო მელექსეთა ბიოგრაფიებსა და მასალებთან ერთად შევიდა რეჯებ მჟავანაძის ბიოგრაფია და მასალები. მასში საკმაოდ სრულად არის წარმოჩენილი რეჯებ მჟავანაძის ცხოვრებაცა და ზეპირპოეტური მემკვიდრეობაც, თუმცა, წიგნზე ჩემი მუშაობისას ბევრი რამ ბურუსით იყო მოცული. უცნობი იყო მისი ცხოვრების ოსმალეთში გატარებული პერიოდი, არ ვიცოდი და ვერც ვერვინ მითხრა მისი გარდაცვალების ზუსტი თარიღი, ადგილი და სხვა.

აჭარის სახალხო მთქმელების კრებულზე — „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო" — მუშაობისას ბევრი ვიცდილე, მაგრამ ხელი ვერ მიმიწვდა რაიმე ცნობაზე რეჯებ მჟავანაძის უცხოეთში გატარებულ იმ წლებზე, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მკითხველთა და მკვლევართა შორის, ხელთ არ მქონდა და ვერ მივაკვლიე სახალხო მთქმელის ფოტოსურათს, არა და დიდი იყო ამის სურვილი. ამიტომ კრებულში შესული ბიოგრაფია შეგნებულად დავბეჭდე ერთგვარი ხარვეზით, ხოლო ფოტო დავახატვინე და აღვადგინე რეჯებ მჟავანაძის სანდაზმულ მახსოვართა მოთხრობითა და აღწერილობით. იმ იმედით, რომ ოდესმე ხელი მიმიწვდებოდა უტყუარ მასალებზე და ამით შეგნებულად დაშვებულ ხარვეზს შეგნებითვე გამოვასწორებდი ამიტომ გამოჩენილი სახალხო მგოსნის შესახებ მასალების კვლევა და ძიება იმთავითვე ჩემთვის დასრულებულად არ ჩამითვლია.

1990 წლის მაისში შემთხვევა მომეცა მემოგზაურა თურქეთის რესპუბლიკაში სადაც სხვა საკვლევთან ერთად თან მქონდა წაღებული ჩემი აქაური მასალები და ვაგრძელებდი ამ ცნობილი სახალხო მელექსის გზაკვალის ძებნას, რამეთუ ვიცოდი, ოსმალეთში იყო იგი გადახვეწილი. არ

გამიმართლა აღრინდელი ვარაუდი, რომ მის კვალს ჩვენს ძველ ისტორიულ ქართულ მხარეში, შავშეთ-იმერხევში ან ართვინში მივაკვლევდი. ამიტომ ძებნამ ქვეყნის სიღრმეში, ბურსას ქალაქ ინეგოლში მიმიყვანა და ჩემდა საბედნიეროდ შემახვედრა რეჯებ მჟავანაძის ერთად-ერთ პირველ შთამომავალს, მეჰმედ მჟავანაძე — ალემდაროღლუს, შვილს, ვისაც ჩავიწერე ჩემი აზრით ძვირფასი ცნობები სახელოვანი პოლიტიკური და საყოფიერო ჟანრის ქართველი სახალხო მელექსე — მგოსნის შესახებ.

რეჯებ ქემალის ძე მჟავანაძე დაბადებულა 1873 (და არა 1868 წელს, როგორც მე ეს მქონდა კრებულში „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო") წელს, აჭარაში, შუახევის რაიონის სოფელ გომარდულში, · ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა — ქემალ მჟავანაძე მაშინდელ პირობაზე საკმაოდ ცოდნა-განათლების, თუმცა წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი ყოფილა, დედა აიშე კი დიასახლისი.

მუსლიმანური სარწმუნოების ზეგავლენით იმ პერიოდში მოსახლეობის ერთი ნაწილი სასულიერო სასწავლებლებს ეტანებოდა, შედიოდნენ მედრესეებში, სადაც ეუფლებოდნენ მუსლიმანური რელიგიის ქადაგებებს. მომავალ სახალხო მთქმელს, რეჯებ მჟავანაძესაც ეს გზა რგებია. უსწავლია ჭვანის მედრესეში, რომლის დამთავრების შემდეგაც ჯერ კიდევ ყმაწვილი მუსლიმანური სარწმუნოების სამსახურში ჩამდგარა, თუმცა ეს გზა მისი ნამდვილი არჩევანი არ ყოფილა.

რეჯებ მჟავანაძე პატარაობიდანვე გაუტაცნია ხალხური სიბრძნით ზღაპრებისა და ლეგენდების სიყვარულს. ისმენდა და იმახსოვრებდა მათ, ხიბლავ ქართულ ლექსებსა და შაირებს, ხოლო მოგვიანებით ჩონგურზეც ასრულებდა მათ. ზოგ ლექსს „მისებურად" გადააკეთებდა, თუ რამეს მოეწონებოდა, „თავის შალაშინს გაჰკრავდა, გაალამაზებდა". შელოდი შეუწყობდა და სააშკარაოზე გამოჰქონდა. ასე თანდათანობით იგი ხალხური ლექსების დაუცხრომელი მოტრფიალე გახდა. ხშირად, თავშეკრებილობის დროს ხალხი მისგან ახალ ლექსებსა თუ სიმღერებსაც ისმენდა პირველად რეჯები თავის ნიჭს მალავდა, ერიდებოდა. სად ალაჰი და ლექსიო,—ფიქრობდა... თან შიშობდა, ხოჯებმა რომ გამიგონ, მუხტარ თან დამასმენენო, მაგრამ ერთ სხეულში ორი სული როგორ მოთავსდებოდა! და რეჯებიც ბუნებით მომადლებულმა ნიჭმა პროფესიულ ადამიანად აქცია. იგი ხედავდა ალაჰის მსახურთა ცრუ ქადაგებებს და ხალხის თვალის ამხვევთა ბნელ საქმიანობას, მალე თვითონ ტექსტებსაც ხოჯე-

---

· ოსმალოს ხელისუფლების რწმუნებული სოფლად.

წოდება მიენიჭა, მაგრამ მისი არსება სულ სხვა სამყაროში ტრიალებდა. უკუღმართი ცხოვრებისაგან გაორებული გრძნობა რეჯებმა ლექსებს მიანდო. დღისით ხოჯის ჩალმას იხურავდა, ხოლო ღამით, გეიანობამდე გონებაში აწყობდა პოეტურ სტრიქონებს, თხზავდა და ზეპირად იმახსოვრებდა ლექსებს,—მან ხომ ქართული წერა-კითხვა არ იცოდა...

თურქთა უღლისაგან აჭარის გამოხსნამ ერთი მხრივ უსაზღვრო სიხარულით აღავსო სახალხო მგოსანი, მაგრამ მეფის სუსხიანმა ხელისუფლებამ არანაკლები გასაჭირი დააყენა აჭარლობას და ცხადია ჩვენს მელექსესაც. სოფლებში ძალმომრეობა და უსამართლობა მეფობდა. ის, ვინც შევიწროებას ვერ ურიგდებოდა და ყაჩაღობის გზას ირჩევდა, ხოლო უფრო სუსტი ნებისყოფისანი სამშობლოს ეთხოვებოდნენ და მუჰაჯირად იხვეწებოდნენ. ყოველივე ეს დიდ ზეგავლენას ახდენდა რეჯებზე, ჩაგრული გლეხობის თანაგრძნობით განაწყობდა მას, რასაც იგი სევდიანომახიან ლექსებში გამოხატავდა. უკვე ვთქვი, რეჯებ მჟავანაძეს ეკუთვნის აჭარაში (და არა მარტო აჭარაში) ფრიად პოპულარული „ფურტიოელი ილიასას ლექსი“. ყაჩაღი ილიასა ხელაძე წუწკი ხოჯა-მოლებისა და მეფის მოხელეების დაუძინებელი მტერი იყო. ყაჩაღობისას შიშის ზარს სცემდა მათ, მაგრამ ბოლოს დაატყვევეს და ქედაში სახალხოდ ჩამოახრჩეს. ამ საშინელ სურათს რეჯებიც დასწრებია, იგი მაშინ 25 — 30 წლისა ყოფილა. ილიასა ხელაძის (ხილაძის)ადმი მიძღვნილ რეჯებ მჟავანაძის ლექსში ჩაქსოვილია მეფის მოხელეების მიმართ უსაზღვრო სიძულვილი და სახალხო გმირის, ილიასასადმი დიდი თანაგრძნობა.[2]

რეჯებ მჟავანაძეს ეკუთვნის აგრეთვე მეორე ლექსი, მიძღვნილი სახალხო გმირის — ყირიმლიოღლისადმი, რომელსაც „ყირიმლიოღლის ლექსი“ ჰქვია. ეს არის თავგადასავალი (დესტანი) ყაჩაღისა, რომელსაც მეფის ჯალათებმა ისევე მოუსწრაფეს სიცოცხლე, როგორც ილიასას. ლექსები ელვისებურად გავრცელდა მთელს აჭარაში და მალე დიდ-პატარამ ზეპირად იცოდა ისინი.

რეჯების პოლიტიკური აზრები შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის მთავრობას. მას დევნა დაუწყეს, ხოლო შემდეგ მისი ლექსის გმირებივით იმასაც სიკვდილით დასჯა დაუპირეს. ამის გამო რეჯებ მჟავანაძე ტყეში გავიდა. დღე და ღამე დაეძებდნენ დაგეშილი სტრაჟნიკები სახალხო მგოსანს, ის კი კვლავაც გატაცებით თხზავდა ლექსებს, გარდა ია-

[2] აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 68; კრებული „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო“. ბათუმი, 1979, გვ. 52-54.

ბაღისა, ფრიიანი სიტყვითაც ებრძოდა ხელისუფლებას. იმის გამო, რომ ყაჩაღი მგოსანი მოკლებული და მოშორებული იყო სოფელს, ხალხს, მსმენელთა აუდიტორიას, თანაც ბავშვობაში არაბულად განსწავლულმა არ იცოდა ქართული წერა-კითხვა, ლექსებს არაბული ასოებით ქართულ შინაარსზე აწყობდა, რვეულში გადაჰქონდა და სოფლებში აგზავნიდა.[3]. თუ მთქმელთა დაჟინებით მტკიცებას დავუჯერებთ, რეჯებს ყაჩაღობისას რამდენიმე ასეთი რვეული შეუვსია და ხალხში დაუტოვებია. სამწუხაროდ რვეულებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ყოველ შემთხვევაში მე მათზე ხელი ჯერ-ჯერობით ვერ მიმიწვდა და მათზე ვეღაფერს ვიტყვი.

მელექსე ფირალის „ბედი" თანდათან უფრო „აწუხებდა" მეფეს და მის ყურმოჭრილ მსახურებს. მათთვის აუტანელი ხდებოდა მეამბოხის, როგორც ფირალობით მიყენებული დარტყმა, ისე ლექსით „ნაჩხვლეტი" ჭრილობა. ამიტომ მის მიმართ გამოჩენილი სუსხიც თანდათან უფრო მკაცრდებოდა, ბოლოს, როცა დევნამ აუტანელი ხასიათი მიიღო, სიკვდილის მარყუჟი უკიდურესად დავიწროვდა და ფირალის შეპყრობის რეალური საფრთხეც შეიქმნა, რეჯებ მჟავანაძე იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და თავი ოსმალეთისთვის შეეფარებინა. სამშობლოდან მიმავალ რეჯებს მშობლიურ ქვეყანაზე, მამულზე, სოფელზე გამოთხოვების ლექსიც გამოუთქვამს, რომელიც საყვარელი სამშობლოსაგან, ახლობელ-ნათესავებისაგან განშორების სევდითაა აღსავსე:

ახლა თქვენ გემშვიდობები, ქვავ და მიწავ და ხიებო.
დედავ, მამავ და დიებო. გომარდულო, ბარათაშულო,
მშვიდობით, ჩემო მამულო, სალაეთებო[4], ტყიებო.[5]

ოსმალეთში, თურქეთში გადახვეწის შემდეგ რეჯებ მჟავანაძე პირველ-ხანებში ისევ მალულად ცხოვრობდა მართლაც, როგორც ვვარაუდობდი, აფარებდა თავს აჭარის მიმდებარე ტერიტორიის ართვინ-შავშეთის და იმერხევის ულრან ტყეებს. შემდეგ თავი უშიშრად აქაც ვერ უგრძვნია და ქვეყნის სიღრმისაკენ გადაუნაცვლებია. უცხო ქვეყანაში დიდხანს ხეტიალისა და დუხჭირი თავგადასვლების შემდეგ ქალაქ ედრემითში დასახლებულა. იმდენი მოუხერხებია, ლეგალური ცხოვრება დაუწყია, იურიდიულ

---

[3] ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ბსკი), ფ. 1, ს. 198, გვ. 96, 1974 წელი.

[4] სალაეთი — საძოვარი.

[5] ლექსი სრულად იხ. ბსკი, ფ. 1, ს. 182, გვ. 41, 1973 წელი; კრებული „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო", ბათუმი, 1979, გვ. 56.

ცოდნასაც დაუფლებია, მერე ყადის წოდება (ტიტული) მიუღია და ქალაქ ედრემითში მოსამართლედ დაუწყია მუშაობა. მალე რეჯები საცხოვრებლად სოფელ ჰილმიეში გადასულა და უკვე მოწიფულ ყაჟკაცს იქვე შეურთავს ჩამომავლობით გურჯის, ვინმე გულაჰმედის ასული, რომელსაც სხვათა შორის დედის სახელი — აიშე რქმევია.

მრავალფეროვანი, ჭრელია რეჯებ მჟავანაძის შრომითი გზაც. იგი ხან ბურსას ქალაქ ინეგოლის ჰაჯი ყარას სოფლის ჯამეში ხოჯობს, ხან კიდევ მთავრობის დავალებით ქალაქ თექირდაღის შარქოის რაიონის, ქალაქ ედრემითის და ბოლოს იენიჯეს რაიონის პროკურორად მუშაობს.

რეჯებ მჟავანაძეს და გურჯის ქალ აიშეს ერთი შვილი შესძენიათ, რომლისთვისაც მეჰმედი დაურქმევიათ. როგორც დასაწყისში ვთქვი, მე შევხვდი მეჰმედს ბურსას ქალაქ ინეგოლში. იგი დღეს ალემდარობლუს გვაბს ატარებს. საქმე ისაა, რომ მამა, რეჯებ მჟავანაძე ოსმალეთში გადასვლის შემდეგ ჯერ ალემდარ-ზადეს, შემდეგ კი თურქეთის ქვეყნის ახალი რეფორმების აქეთ ალემდარ-ოღლუს გვარს ატარებდა, რაც შვილსაც გადმოსცემია.

უცხოეთში გატარებული ცხოვრების წლები უცხო გარემოში მყოფი ეთნი ნიჭიერი გურჯი მუჰაჯირის არსებობისათვის გაწეული მძიმე ბრძოლის სევდიანი ისტორიაა და მეტი არაფერი. თუმცა, ამ ისტორიას ისევ და ისევ გამორჩეულ სახეს აძლევს და აელვარებს რეჯებ მჟავანაძე-ალემდარ-ზადეს პოეტური ნიჭი.

მიუხედავად გაუხარელი ცხოვრებისა რეჯები უცხოობაშიც მელექსეობდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ მისი ლექსების ერთი ნაწილი აშკარად გამოხატავს ავტორის სულიერ სიმტკიცეს და უძლეველობას.

რეჯები გარდა ეპიკური ლექსებისა შესანიშნავ შაირებსაც თხზავდა, კარგად ფლობდა იუმორის გრძნობას. ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს იგი ხშირად სწორედ იუმორით უპირისპირდებოდა და სძლევდა. ამგვარია მაგალითად მისი „გაბაასება ბედ-იღბალთან", სადაც მელექსე დასცინის თავის უბედობას:

ბედო, საქმე სულ წამიხდა, დავიკარგო, სად წავიდე,
სულ ქვას უნდა ვეფაროდე. ვერ მივხვდი ჰა გეპაროე...[6]

ნაკლის გაკენწლვა ხალხური მთქმელის განუყრელი თვისებაა. გამონაკლისს არც რეჯები წარმოადგენდა. ზოჯერ იგი თავისთავსაც კი აბ

[6] იქვე. აგრეთვე კრებული — „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო". ბათუმი, 1979. გვ. 56.

ინდობდა. ამიტომაცაა, რომ ლექსში ხშირად ახსენებს ხოლმე მეტისმეტი სიგამხდრისაგან თავის სასაცილო გარეგნობას.

მონდურავო შენ პატრონო, შენ კაცთა არვინ ჩაგთლის,
ჩემთვის ავი სიტყვის მთქმელო. გაფხეკილო, ტანზე ხმელო...[7]

ან კიდევ:

ამ ლექსისა გამომთქმელი ყველა საქმეს ვიმერაყებ,[8]
მჟავანაძე ვეახლები. იმიზა ვარ ტანზე ხმელი...[9]

„კაცს სიარულში ფეხი რომ წამიეკრა, შაირს ეტყოდა"[10] — ასე ახასიათებენ მის ენამოსწრებულობას მთხრობელნი. ერთხელ რეჯების მეზობელს ტყეში კურდღლის ბაჭიები დაუჭერია და „მოსაშენებლად" საკუთარ ბაღში გაუშვია. ბაჭიები, რა თქმა უნდა, დამფრთხალან და ისევ ტყეში გაქცეულან. რეჯებს ეს ამბავი შეუტყვია და სასაცილოდ გაულექსავს, რისთვისაც მეზობელი კარგახანს ემდურებოდა თურმე.[11]

რეჯებ მჟავანაძე ხალისით ებმებოდა პოეტურ პაექრობაში. მთქმელთა გადმოცემით იგი ოსმალეთიდან აქ, გურჯისტანში (საქართველოში) ეპაექრებოდა ვინმე მოლა მუსა ქარცივაძეს, რომელიც თურმე რეჯებს სამშობლოდან გაქცევას აყვედრებდა. რეჯები ლექსითვე პასუხობდა, რომ საქართველოდან „მე სიკვდილს გამოვექეცი და არა სამშობლოს"-ო.[12]

რეჯებ მჟავანაძე უსამართლობას ვერც ოსმალეთში შეგუებია, თითქმის ცხოვრების დასასრულს იქაური ხელისუფლებისათვისაც „საეჭვო კაცად" ქცეულა, თუმცა, ხალხში მისი სახელი და ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლებულა. ალბათ ამის გამო და თვითონ მისი მაღალი შეგნება-განათლების, ცხოვრების ცოდნისა და ალღოიანობის წყალობით იყო, რომ იგი ამჯერად უკვე უცხო ქვეყნის ხელისუფლების რეპრესიებსა და დევნასაც გადაურჩა და საბოლოოდ, მოუსვენებელი და ხიფათიანი ცხოვრებისაგან დაღლილ-განაწამები 1929 წელს, 56 წლის ასაკში ქალაქ ედრემითის იენიჯეს რაიონში გარდაიცვალა კიდეც. რეჯებ მჟავანაძე დაკრძა-

---

[7] იქვე.

[8] ვიდარდებ.

[9] აჭარის ხალხური პოეზია. I, თბ., 1969, გვ. 75; კრებული „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო", ბათუმი, 1979, გვ. 50.

[10] ბსკი, ფ. 1. ს. 182, გვ. 43, 1973 წელი.

[11] ლექსი სრულად იხილეთ იქვე. გვ. 45. აგრეთვე კრებული „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო", ბათუმი, 1979, გვ. 52-58.

ლულია ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, ქალაქ ჩანაქ-ყალეს იენიჯეის რაიონის ჰამდი-ბეის საბჭოს დედე-ლიქის სასაფლაოზე.

რეჯების შვილი მეჰმედი მომიყვა, რომ მამამისი თურმე მეგობრებს დაუკბძალავთ, რადგან გარდაცვლილს ოსმალეთში ღარიბი ქვრივი აიშე და თვითონ რვა წლის პატარა მეჰმედი დასჩენია მხოლოდ. როგორც ვიცით, რეჯებ მჟავანაძე სამშობლოდან უცხოეთში მარტოდ-მარტო წასულა, ოჯახის წევრები, ახლობლები და საერთოდ მთელი სანათესაო აქ, აჭარაში დარჩენია. აკი ამაზე თვითონ რეჯებიც ამბობს ერთგან ლექსში:

ეხლა თქვენ გემშვიდობები,	თლათ ჭვანისა აღიებო.
დედავ, მამავ და დიებო...	ყველამ ჰელალი[13] მიყავით,
რადგან მივალ და მშვიდობით,	მოყვარე და იერნებო...[14]

იმას გეუბნებოდით, რეჯებს ქვრივი და ერთი ობოლი ბიჭი დარჩენიათქი. ხოლო თვითონ ქვრივი აიშე ოცი წლის შემდეგ, 1949 წელს გარდაიცვალა და საუკუნო სასუფეველს არა მეუღლის გვერდით დედე-ლიქის, ანამედ ქალაქ ინეგოლიის ერთ-ერთ სოფლის სასაფლაოზე მიბარებია. არის ამაშიც ბაღაც სევდისმომგვრელი: სიცოცხლეში უთვისტომოს სიკვდილშიც აღარავინ ეყოლებოდა ამიერიდან „ხმისგამცემი" და „გვერდითმდგომი".

გამორჩეულია სახალხო მელექსის საფლავის ქვა: მასზე ვინმე მადლიანს თურქულ ენაზე შეთხზული, სიბრძნით გაჯერებული მშვენიერი ეპიტაფია გაუკეთებია. აი ისიც ორივე ენაზე:

Hüvelbaki Bakidir sefatinla Kemalatin	ღმერთი მართალი და უკვდავია
Tecelli eyledi abdi vede ruzu cemalatin	რაც ადამიანშია ყოველივე ღმერთიდანაა მისი საქმეა ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლე

---

[12] გადმოცემით რეჯებ მჟავანაძის ლექსების ერთ-ერთი ჩაწერილი ინახება სოფელ კურცხლების (ხულოს რაიონი) მკვიდრ მუხამედ ჯორბენაძესთან. თუმცა, მე მას კი შევაკვლიე. ამ უკანასკნელის მონათხრობი კი ჩაწერილია ფირზე და უნდა ინახებოდეს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ ფონდში.

[13] ჰელალი — ალალი.

[14] „გამოსათხოვარი". იხ. კრებული ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო", ბათუმი, 1979 წელი გვ. 53.

Nus eyledi ibn serabu	ამან დალია სამოთხის ქევსერის წყარო
kevser ve rûnâ	
Hilmi illâ Naibi	ღმერთის ნებითვე რეჯებ ნიაზმა
RECEB NIYAZI Velev	სვა ის და მოკვდა.
oldu BI NUS	
Beni ziyaret eden	მოყვრულად
ihvan, fatiha ede	ვინც ამ საფლავზე მოვა აღაპყ-
ihsan	როს ხელი და მითხრას შენდობა
17. Mayis 1345/1347	17 მაისი 1345/1347

დამეთანხმებით, იშვიათი კაცის იშვიათი აღსასრულია რეჯებ მჟავანაძის ცხოვრება და გარდაცვალება, ასევე იშვიათია მის სამუდამო განსასვენებელზე დადგმულ საფლავის ქვის წარწერაც, რომელიც შვილის, მეჰმედის თქმით ისევ და ისევ რეჯების ნიჭის თაყვანისმცემელ ახლო მეგობრებს დაუდგამთ იქა.

ასეთია სახელოვანი სახალხო მელექსის რეჯებ მჟავანაძის სევდიან-ჯარამიანი ცხოვრების ჩემგან მიკვლეული მოკლე თავფურცელი.

ახლა მოკლედ იმაზე შევჩერდები, რაც სიახლის თვალსაზრისით ჩემი აზრით საინტერესო და საგულისხმოა:

1. რეჯებ მჟავანაძის ზეპირ-პოეტური მემკვიდრეობა.

კრებულში „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო" რეჯებ მჟავანაძის გამოთქმულად მივიჩნიე და შევიტანე:

„ფურტიოელი ილიასას ლექსი";

„ყირიმლიოღლის ლექსი";

„დაწყევლილი ჩემი ბედი";

„გამოსათხოვარი";

„ბედ-იღბალი" (იყბალი);

„მემთევრებისა და ქმრების გაბაასება".

აქედან, პირველი ორის ავტორობა ჩვენამდეც უეჭვო იყო, დანარჩენების მიკუთვნება რეჯებზე მთქმელთა გადმოცემით და მასალათა შეჯერება-აგგუმენტაციით მოვახდინე. გარდა ამ ლექსებისა რეჯებ მჟავანაძეს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე:

„ყიამეთის (ვოი ყიამეთის) დესტანი"; ყიამეთი — ქვეყნის დაქცევა, წარღვნა.

„ალიაღა სამბაშოღლის დესტანი";

„საათის დესტანი" (თუ საათის გაბაასება);

„თის (მთის) ლექსი“;
„სიყვარულის ლექსი“;
„ქალ-ვაჟი“ და სხვა.

აქ ჩამოთვლილი ლექსებიდან ნაწყვეტები დღესაც იციან შავშეთ-იმერხევში და ართვინში. იქაური მთქმელები ავტორად რეჯებ მჟავანაძეს ასახელებენ. მთქმელის რეჯებ მჟავანაძის ლექსები დღესაც ვრცელდება თურქეთში მცხოვრებ ქართველებში ზეპირი და წერილობითი (ლათინური ტრანსკრიპციით და ქართული შინაარსით) გზით. ამიტომ არც ეს ჩამონათვალია სრული და უდავოა საჭიროება შემდგომი კვლევისა, რეჯებ მჟავანაძის პოეტური რეპერტუარის მისაგნებად, ჩასაწერად და დავიწყებისაგან გადასარჩენად.

2. რეჯებ მჟავანაძის ფოტოსურათი:

როგორც ვთქვი, კრებულში „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო“ შევიტანე რეჯებ მჟავანაძის ახლობელთა თხრობით და მხატვრის მეცადინეობით აღდგენილი სახე-სურათი. უნდა ვთქვა, რომ ახალგაზრდა რეჯებთან სურათის მსგავსება დაადასტურეს ბურსელმა და ინეგოლელმა ხანდაზმულმა გურჯებმა, ვინც მას სიცოცხლეში იცნობდნენ და შეხვედრიან. განსაკუთრებით ადასტურებდნენ ისინი მთქმელის სამოსს, კრაველის ბოხოხს (ქუდს), რომელსაც განუყრელად ატარებდა თურმე იგი.

ჩემს ყველაზე სასიხარულო მონაპოვრად ვთვლი რეჯებ მჟავანაძის ნამდვილ, დოკუმენტურ ფოტოს, აღებულს მისი ოსმალური პასპორტიდან. ამიერიდან ჩვენ გვექნება და მომავალს შემოენახება ამ დასაფასებელი სახალხო მელექსის უტყუარი პორტრეტი. თქმად ღირს ისიც, რომ გვეცოდინება რეჯების მეუღლის სახელი და წარმომავლობა, ვინც ჩვენს სახალხო მთქმელს მთელი მისი გაუხარელი ცხოვრების გზაზე ერთგულ შეცხედრეობას უწევდა და ვინც მას შესძინა ერთადერთი გვარის განმგრძობი, ასწავლა მას ქართული, შეუნახა მშობლიური ენა, ანუ სამშობლოს ხსოვნა-სიყვარული, რითაც ფაქტობრივად უზრუნველყო სახელოვანი სახალხო მელექსის მოდგმის არგადაშენება.

3. რეჯებ მჟავანაძის ხელნაწერი:

დღემდე ასახელებდნენ და აქამდე არავის ენახა თვალით თვითონ რეჯებ მჟავანაძის ხელნაწერი. ამბობდნენ კი, რომ იგი წერდა არაბული ტრანსკრიპციით და ქართული შინაარსით. მე ჩემს კრებულში აღნიშნული მაქვს კიდეც ეს და დავსძენდი, რომ გადმოცემით რვეული რეჯებ მჟავანაძის

ხელნაწერით სოფელ კურცხლებელ (ხულოს რაიონი) ვინმე მუხამედ ჯორბენაძესთან იყო საძებარი. არ ვიცი საიდან მოდის ეს თქმა, მე პირადად ამ კაცთან და მის ოჯახში მითითებული ხელნაწერი ვერ ვნახე, თუმცა, კვალის ხსოვნა რომ მაინც არ წაშლილიყო, კრებულს დავურთე ეს შენიშვნა.

რეჯებ მჟავანაძის შვილის, მეჰმედ ალემდაროღლუსგან ჩავიბარე და აქ ჩამოვიტანე მისი დღემდის ერთადერთი არაბული კალიგრაფიით შესრულებული ხელნაწერი, რომელიც ამჟამად ჩემთანაა და გაშიფვრის ფაზაშია. ავტოგრაფი რვეულის თერთმეტ გვერდზეა, დანომრილია არაბულივე წესზე: უკანიდან წინისკენ, რაც ასევე ამ მთქმელის შესახებ უნიკალურ მასალათა რიგს მიეკუთვნება.

4. რეჯებ მჟავანაძის საფლავის ქვის წარწერა:

როგორც ვთქვი, რეჯებ მჟავანაძე თითქმის უპატრონობაში გარდაიცვალა; თუ არ ჩავთვლით მის ერთადერთ მზრუნველს — მეუღლეს და მცირეწლოვან ვაჟს. მისთვის წესი აუგიათ და დაუმარხავთ მეგობრებს. მათვე დაუდგამთ სასალხო მთქმელისათვის შესაფერი საფლავის ქვა, განსვენებულის ნიჭისა და მოწოდების ამსახველი წარწერით.

გადმოვიღე და ჩამოვიტანე საფლავის ქვის წარწერაც, რომლის თარგმანი იქვე შევასრულე არაბულ-თურქულის მცოდნე ადგილობრივი ბუნებისმეტყველი გურჯების დახმარებით.


5. სახალხო მთქმელის სახელი:

დღემდე არც ზეპირ და არც წერილობით ცნობებში არ შეხვედრივარ რეჯებ მჟავანაძის ორსახელიანობას. არა და, დადასტურდა, რომ იგი ატარებდა მეორე სახელს — ნიაზს.

გადავიღე და ჩამოვიტანე ფოტოფირები რეჯებ მჟავანაძისა და მისი მეუღლის აიშე მჟავანაძის პასპორტებისა, რომლებიც მათ ოსმალეთში აუღიათ და ამჟამად ინახება მეჰმედ ალემდაროღლუს ოჯახურ არქივში, როგორც რელიქვია. პასპორტები, როგორც ოსმალური რეფორმამდელი გურჯის სახელზე გაცემული თურქეთის მოქალაქეობის დოკუმენტი, ისედაც არის უნიკალური და საინტერესო. ამგვარად, სახალხო მთქმელის რეჯებ მჟავანაძის სრული სახელი დასაწყისიდან ბოლომდე გავლილი გზით ასეთია: რეჯებ (ნიაზი) მჟავანაძე — ალემდარ-ზადე — ალემდარ-ოღლუ, რაშიც ერთგვარად თვით სახალხო მელექსის დევნილ-რეპრესირებული ცხოვრებაცაა ასახული.



რეჯებ მეავანაძის და — სუნდუს ოზგენი





რეჯებ მეავანაძის სატლავის ქვა წარწერითურთ. (ქართული თარგმანი ეკუთვნის ემენ დაეითაძეს)








რეჯებ მეავანაძის ოსმალური პასპორტი

































რეჯებ მჟავანაძის „ფურტიოელი ილიასას ლექსის" თურქული ტრანსკრიპცია. გავრცელებული თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის (ფრაგმენტი: მარცხნივ — ლექსის დასაწყისი, მარჯვნივ — ლექსის დასასრული)



რეჯებ მჟავანაძის „უირიმლიოღლის ლექსის" თურქული ტრანსკრიპცია, გავრცელებული თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის (ფრაგმენტი: მარცხნივ — ლექსის დასაწყისი, მარჯვნივ — ლექსის დასასრული).

ი. ფურტიოელი ილიასას ლეჭსი

გამჩენელო. გენაცვალე
შენ ნაბრძანებ შენ ნებაში
რადგან ვერვინ გაგერევა
ამ ხალხის გაშენებაში.
მუდამ ლექსების თქმაში ვარ,
სულ ყელემის ქანებაში.
ლექსი ზორბათ გამომეთქვა —
ასტე ვფიქრობ გუნებაში.
კაცის დარჩობის კანონი
გამოვიდა მთავრობაში,
ოქროკაი სუმბათოვი.
ზალუმების თავი-ბაში.
აჭარლებსაც გვემტერება.
არის სულ ჩვენ ჯავრობაში.
გადაყვანილი რუსია.
ჰილლე არ აქ გჲავრობაში.
ერთიორად წაადგინა.
რაც მოყვა აქაერობაში.
მან ილჲასას საქმიები
გასწერა დიდ თავრობაში.
მეტი გლახათ რომ გასწერა,
გააწია ავროფაში.
ავროფამაც ასე ბრძანა
აგია ჩვენი ნებაო.
ილჲასაი დაარჩევით —
ავროფამ მისცა ნებაო.
თუ ავროფა არ უბრძანებს
ხელმწიფესა და ყირალსა,
ისე კაცსა ვინ დაარჩობს,
იმ საკატორღე ფირალსა.

აჲ კანონი გამუცხადა
ავროფამ იმფირატორსა,
იმან თიფლისის სერდალსა,
სერდალმა — ღუბერნატორსა.

შემდეგ იმან გამუცხადა
მთელ უჩასტკის ნაჩანიკსა.
ბათუმისა ოქროკასა,
სუნთელ მის უჩასნიკებსა.
ორი თვის შემდეგ იქნება
აჲ ჩვენი სტრაფი კანონი,
ილჲასას გუუთენდება
შავი დილა და ჲალონი.
შემდეგ ეს შავი ამბავი
ილჲასას გამუცხადესო.
გაღმა ქედას ტარაღაჯი
დაასვეს, გაამზადესო.
მემრე ხალხი დეიბარეს,
მთელი უჩასტკის ჯარიო.
ყარაყიშის ოზდა რვასა
ეს საქმე ნამდვილ არიო.
ქედას უნდა მოიყაროთ
ოთხშაბათსა დილასაო:
ოქროკასა ბრძანება აქვს,
დაანახვოს ყველასაო.
ამ საქმეების აღწერაში
ხელს ნუ შეიშლი, მელანო!
იქ ოქროკაი გვიბარებს,
უნდა მევყარო ყველამო.
რადგან იმ დაბარებაზე

მეც წამოველ ზეგნიდანა:
მერაყითა ავიმსევი,
კაკალ გულში შიგნიდანა.
ყველა საჭმეს მე ვმერაყოფ,
რაც გადმოველ აკვნიდანა.
ჩაველ ქედას, მოყრილიყვნენ
მთელი ხალხი ქვეყნიდანა.
ტარაღაჯი დასმულიყო
გაღმა ქედას, ხიდ ზედანა.
მეც რომ მიველ და შევხედე,
გულმა მერაყი მეძტანა,
იმ საწყალსა, საცოდავსა
ხელზე ბორკილი ეტანა.
ილიასა ღელე-გაღმით
შით ფურღუნშია დაკრული,
იმ საწყალს რა შეუძლია,
სულ ხელები აქ გაკრული.
ოცი დღის უსმელ-უჭმელი,
მერაყის გამო ავათა.
მაშინ მოხდა რაცხა დროში,
რომ გუუთენდა შავათა.
მივდა ხოჯამ, უთხრა რუმე —
ბიჭო, ყველა თოვბე ქენი.
სულაც რომე არ ყოფილა,
ასთე მოხდა საქმე შენი.
იმ საწყალმაც უთხრა ხოჯას —
ასე ყოფილა წერაო.
თვალით სიკვდილი ჩემს გარდა
არვის უნახავს ჯერაო.
ვხედავ, რომ უნდა მომისპონ
ქვეყნისთვის ჩემი მზერაო.
ვიცი, რომ ჩემთვინ მოყრილან
ეს ათი ბინი ხალხიო.
მარობაში სალდათებმა
დაჰკრეს წაყვანის ჩალღიო,
დასარჩობად წაიყვანეს,
გაანორიეს ხიდიო.
ხოჯა სელავათს აკითხებს —
ღმერთი ერთია დიდიო.
ეს საწყალი მომწყურევლიყო
სუნგიან ჯარის შუაში.
ტარაღაჯთან მოიყვანეს,
კიდევ არ შეშლილა ჰკვაში.
მოიყვანეს. გააჩერეს
იმ ტარაღაჯის ძირშიო.
სიმწარითა მოსდიოდა
მწვანე ალავი პირშიო.
რაც საქმიები უქნია
ფურტიოს და ნენიაში, —
მისი ნაქნარი საქმეები
სულ გატარდა ქუნიაში.
თავრობამაც ასტე ბრძანა, —
უნდა მოვსპოთ დუნიაში.
ჩემი სულის მწვალებელი,
აი, ჯელლათი ღორიო.
საათის ხუთი შესრულდა,
დაჰკრეს სიკვდილის ბორიო.
მაშინ უთხრეს იმ ჯელლათსა, —
დრო მოვიდა, მალე ქენი.
ჩასაცმელად წეიწია,
უნდა წამოდვას ქეფინი.
მაშინ იფიქრა ილდაზამ —
— ზათი ფურსანთ ელდენ გეშტი.
ჯალათს ეცა, ცხვირში ჩასცხო
ღონიერათ ჩიფთე მუშტი.
ჯარაღი, თოფი არ ქონდა,
ხანჯალი, დანა და ფიშტო.
შეკრულ ხელით იმ ჯელათსა
გაუტკლიცა ცხვირის ნეშტო.
შეჭდეგ ქეფინში გაბვიეს,
შემოუჯდენ აქეთ-იქით.
ტარაღაჯზე აიყვანეს,

იქ მყოფმა და იმან იცის.
რაცხანაირათ ის ამწვალეს,
საწყალი და უბედური,
საცოდავათ დაამჩვარეს
ბედისაგან დაჩაგრული.
ვინც იქ იყო, იმან იცის,
ვინც რომ იყო გამოცდილი.
თქვეს, რომ ეს ყიამეთია,
იგი არაა ქორწილი...
იმ ოქროკამ ამ საქმითა
ვითომ სახელი დეჰმშვენა,
ილდასაი გეისაქმა,
ერ გაყოლაჲ მეისვენა.
ერ გაყოლა აღიებმა
იმის შემდეგ შეისვენა.
ილდასაის დარჩობაზე
კიდევ გვაყურებდა ჩვენა.
მის გარდა ის ტარაღაჯი
ყირიმლჲოღლისაც უჩვენა.

2. ᲧᲘᲠᲘᲛᲚᲘᲝᲦᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ

—ყირიმლჲოღლივ, მეზერჯოღლის
შენ რომ გუუმწარე რჩენა, —
ბათუმის საზოგადოში
შენ უნდა იყო ან მენა.
ყირიმლჲოღლი ასე ჩივა:
თვალი კი დაგიდგა შენა,
საცხან გზაზე თუ შემხვდები,
მაშინ კი დეგებმის ენა.
ოქროკაი ასე ჩივა,
შვიდი ხელმწიფის ყირალი:
— ჩემი ბრალი აღარ დარჩა,
ხელმწიფის ბრალიც არ არი.
სამი მეზერჯოღლი მოკალ,
ორი ზეზე გყავს ჲარალი,
თქვენთვის გეჲწყო ტარაღაჯი,
ხაზინამაც ქნა ზარალი.
მეზერჯოღლის რუმ დუტიე
ჭალ-ბაღანაი ტირალი. —
მე მით არაფერი დავრჩი,
ქირდათ ამიღე ყირალი,
პირველი დასარჩობი ხარ,
რაზბოჲნიკი ხარ, ფირალი.
აწე ვერ გიდიმირჩები,
ჩიტი რუმ გახთე ფრინველი
შენთვისაც ერ დღეს მოჲყრება
თათარ-ქართველი, ხინველი.
ყირიმლჲოღლი ასე ჩივა:
— სახელად მქვია მემედი,
მე შენ ხელში არ ჩევჭრები,
გამჩენიდან მაქვს იმედი.
ნუ ჩამდგომიხარ ფეშინში,
ნურც ყოლიხარ გულსაო.
ერთი კაცი ფირალს აჭმევს,
თავის კონახში პურსაო.
უღალატებენ, მოკლავენ,
მასაც ნუ აძლევ ყურსაო.
ღალატობით გეისაქმა
ჩემი ძმაი მის ოდაში.
იმას გარდა რუმ გეჲსაქმა

მევლუდაი და ხუსნია.*
იმას მე რუმ არ შევჭამდი.
იმას კაცი ვერ უცნია.
ტრაბახობით არ გიჩივით,
ბიჭი გახლავარ ყოჩაღი,
რჩენა-მამული დავტიე,
სახლი და კარი, ოჯახი.
მეც მინდა, რომ მეზერჯოღლი
არც ერთი დავტიო საღი,
მეზერჯოღლის რომ გუკეთე
ქედის პირდაპირ ჩაშტაღი.
უბრალოთ რომ არ მიქნია,
ყველაყამ უთხრა მუსტაღი.
ჩაშტაღიდან მირი-გზაში
უტირებდი დედასაო,
შენმა სალდათებმა გეჯქცა,
გებრა დარჩა ქედასაო.
ასთე, რუმა, რაღას მომდევ
მაგ მუნიან სალდათებით,
მაგას სუნთელს დაგიფანტავ
ვრ ხმამაღლა შეძახებით.
შენ რუმ ფიქრობ, ყირიმლჯოღლის
რა დუბარა, რა წავკიდო,
ერი პლანით დევიკავო.
ფურტიელივით დავკიდო.
გამჩენის შემწეობითა
შენც არ ჩეგეჭრები ხელში,
საცხან დაგიჩალუმდები,
თავზე არ გესრი და წელში!
ღმერთით მოგახვედრებ ტყვიას,
მაგ შენ გაუეყილ მუცელში.
შენ თუ ის შეკრული კაცი
ტარაღაჯზე კი დაკიდე,
მეც მეზერჯოღლებს აჲ საქმე
შენ სალდათებთან წავხკიდე.
ღმერთია ჩემი მომხმარე.
შენ მე რაფერნა დამკიდო.
შეიძლება თავი მოგჭრა,
კოშივით წელზე დეეკიდო.
გახედეს, რუმ ტარაღაჯი
ამის შემდეგ დეილანძა.
ოქროკაი თუ მიხთება,
ამ საქმიებით გეჲლანძღა
კაცის დარჩობის კანონი
მის გაწერაზე გამოვდა
ყირიმლიოღლის ამბავი
ღალატობაზე წამოვდა.
ამ საქმიების მაჰანით
რუსი სოფელში შამოვდა.
ერთი ერთმანეთს ვერ ვიტანთ,
ვერცერთი მეზობლობაში.
ღმერთმა გვკითხა, ჩიგვიყდინა
სალდათები სოფლობაში.
აწე მოჲასპო, ჩვენო ძმაო,
ჩვენი ქეჲფი მხიარული,
სალდათებმა რუმ დეიწყო
ჩვენს ეზოში სიარული.
ერ ამბავსა მოგახსენებ,
კაკალ გულში გულიდანა.
ჩვენი რჯული და ნამუსი
უნდა წეევდეს ხელიდანა,
მეფის ხელში დარჩენილი
თავს ვერ იხსნის ბელიდანა.
მეფის საქმეს რუმ უყურებ,

---

* იგულისხმება ხუსნი დურალის ძე შაინიძე (1853 — 1885); შუახევის რაიონის სოფელ ჭაღანის მკვიდრი, ფირალ მეელუდ დიასამიძის თანაძებრძოლი. იგი მოკლულ იქნა ქედის რაიონის სოფელ გულებში და დაკრძალულია იქვე, მეელუდ დიასამიძის გვერდით (ცნობა აღებულია ხუსია შაინიძის ძმისშვილის, ხემდი ბურხახის ძე შაინიძის და მეელუდ დიასამიძის ძმისშვილის. ხასან დიასამიძისაგან 1980 წელს).

ღუჩის საქვე წამხთარია,
რასაც რუმ თავს ვარიდებდით,
ყველაფერი ამხდარია.
ამოსაგდები ეს საქმე
რომელი გითხრა, რომელი,
დუნდა ღალატობით ეძღო,
სტამბოლი და, ურუმელი.
მაგივრად ბათუმი დარჩა,
ბრალში დავრჩით აქ მდგომელი.

ახლა რა ვქნა, მის დუბარას
აღარ იქნა, ვერ გუძელი.
დერდების ლექსის წერაში
აღარ გამიჩერდა ხელი.
ამ ლექსისა გამომთქმელი
მჟავანაძე გეახლები.
ყველა საქმეს ვიმერაყებ,
იმიზა ვარ ტანზე ხმელი.

3. დაწუვლილი ჩემი ბედი

რამდენს უნდა ვემსახურო
მუხტარსა და აღა-ბეგსა.
გლეხისათვის სამართალი
უწერია განა ღმერთსა?
პრიში სული ამომგლიჯეს,
გამაცალეს ილაჯიო,

ახლა დროა, რომ მოვნახო
კანრევა და კილაჯიო.
ვერ შევარჩენთ ამდენ ტანჯვას
აღა-ბეგს და ხოჯა-მუხტარს,
მუშისა და გლეხის რისხვა
მალე მოსპობს ყველა მუხთალს.

4. გამოსათხოვარი

სელამ-ალეიქუმ მთიებო,
ალეიქუმსელამ დიებო.
მივალ და გემშვიდობები
ამ აჭარისა ტყიებო.
გძელგორო და კატრიანო,
თელი ჭვანისა თიებო.
მეტად ადრე ამწვანდები
გრძელგორო და კატრიანო.
მეტად ხათრი მაზე გჩება.
ჩემო გულო, ხათრიანო,

ეხლა თქვენ გემშვიდობები
დედავ, მამავ და დიებო.
მშვიდობით, ჩემო მამულო,
ქვავ და მიწავ და ხიებო.
გამარდულო, ბარათაშულო,
სალაეთებო, ტყიებო.
რადგან, მივალ და მშვიდობით,
თლათ ჭვანისა აღიებო.
ყველამ ჰელალი მიყავით

მოყვარე და იერენებო.
ჯერჯერობით აქაურობას
თავიც უნდა დავანებო.
ამის გარდა ჩემ ხალხიდან
სულ არაფერი მწყენია
ზოგიდანაც მეხათრება,
მათი ეკლუგის მცხვენია.
ღმერთო, ნუ შემატყობინებ
გლახა ამბავსა კაცისა.
მე, ჩემ ალაგს თუ იკითხავ, —
ყისმეთი ისტამბოლისა.
აჰა, მივალ და გევაჩარე
ღმერთით ხიჭაურის სერია.
მივალ დიდ ალაგებიდან
დუშმანი რომ მყავს მტერია.
მივალ და უნდომი ქალი
გამჩენო, შენ გაბარია.
მე საწყალ ჩემი სიცოცხლე
უცფად საჩარო წამია.
სიცოცხლე ჩემი დღეები
ყეჰრით არი ჩარებული.
წლევანდელი წელიწადი
ასე არი გარებული.
ვინც რომ ხოჯა-მოლა იყო,
ზღვაიც აქვან გარებული.
ჩვენ დალოცვილ ფადიშაჰსა,
გამჩენო, მიე ღონეო.
დეაღლოცა მისი სახელი,
ბევრსა ტყვილი გონიაო,
ამსილია მუჰაჯირი,
სამსონი და ორდენია.
თელზე ნაქები ბურსაა,
იქ მიდის თელი დუნია.
ღმერთო, ყისმეთი მომეცი,
აწ იქაური თამაშიო.
აწე ღმერთით გეახლები
ისტამბულის ქალაქშიო.
ღმერთით დედასაც გავიყვან
ფადიშაჰის ხელშიაო.
ერთსაც იქიდან გადმოვალ,
მერაყათ მაქ გულშიაო.
ტყვილაი რომ გამიმწარეს
წლევანდელი გასულია.
ტირილით და წვალებითა
აქიდან ვარ წასულია.
ასეთ მერაყში და ჯავრში
ჩემისთანა ბრევლიაო.
მეტი რაღა მოგახსენოთ,
წასლის ლექსი დეაღლიაო,
გამომთქმელსაც თუ იკითხავ,
ტანზე ერთო ხმელიაო.

5. გედ-იყბალი

რეჯები.

ერთი საწყალი კაცი ვარ,
სადაც წევდე უიყბალო.
ჩემი ბედი მოქცეულია
ყოველ საქმეში უჰალო.
ყოლგან მე ვარ უბედური,
შენ შემიწყალე, უფალო!
ჩემო უბედურო თავო,

სად ჯარები, სად მიხვალო.
ღმერთს გარდა მინეთ ნუ უზამ,
ნურა კაცთან ნუ მიხვალო.
გინებად მიესმინება
სელამიც რომ შეუთვალო.
დაგჭირდეს და რომ მიხვიდე,
გეტყვის — ახლა ნუ მოხვალო.
წინასწინ თვითონ დაგასწრობს
დღეს მოიცა შიშველიო.
ხვალაც რომ გულით გაგპირდეს,
ფიქრობს „ენით გიშველიო“.

ბედი

მონდურავო, შენ პატრონო,
ჩემთვის ავი სიტყვის მთქმელო.
შენ კაცათ არავინ ჩაგთლის,
გაფშეკილო, ტანზე ხმელო.

რეჯები

ბედო, საქმე სულ წამიხთა,
სულ ქვას უნდა ვეფაროვო.
დავიკარგო, სად წავიდე
ვერ მივხდი, ჰა გევპაროვო.

ბედი

შენ მაგასა არვინ გკითხავს,
შენ რა ყოფილხარ უბრალო.
სხვის საქმეს ჰილლეს არ უზამ,
შენ საქმიზა ხარ საბრალო.
თავის თავზე დაიფიქრე,
უჭკუო განა ნუ ხარო.
მომძებნე, ქვის ქვეშ მიმაგენ,
თუ გინდოდეს, რომ გეჯხარო.

რეჯები

ბედო, მე საქმე წამიხთა.
ყველა მითვლის კიბილსაო.
მე რომ ღმერთმა მიმაკუთნა,
შენისთანა იგითსაო.

ბედი

მეც რომ ღმერთმა მითავაზა
შენისთანა სეფილსაო.
ენდობი, ვერ გუუხთები
ყველა კაცსა ქეფილსაო,
ჰკვით რომ ქვეყანა ეიმსოს
ხეჯრს არ მოგცემ მე მეტსაო.

6. მემთევრებისა და ქმრების გაბაასება

მემთევრები

შუქურ გაზაფხული მოვდა
თხაჯ. ცხვარი გევდა გარში.
მემთევრები აჭყიპინდნენ —
სული შეგვიწუხდა ბარში
თავი-ბედი ამევწყეველეთ,
მუდრეგები გადჯან პურში
საქონლებიან ახორში
შაფათ თუ ვერ ევდეთ თაში —
კვირას ევდეთ — კატრიანში.

ქმრები

არ გაგიშვებთ ჩვენდა თაში,
როცა თაში მიეთრევით,
აღარ მოგვიკითხავთ ბარში.
რაც კარაქი იჭუჭკება
იმას სულ შესკდებით თაში.
თქვენზე ძალიან ჯინი გვჭირს,
თქვენნა დაგწვათ ამ სიცხეში
მაგარი თოხი ბუჭარჩიეთ,
ჩქარა ჩაბძანდით ყანაში.

მემთევრები

ჩვენო ქმრებო, გენაცვალეთ
ადრე წაგვიყვანეთ თაში.
დედა-მამას შემოგფიცავთ,
კარაქს აღარ შევჭამთ თაში,
ხაჭაპურებს გამოგიცხობთ,
ხშირათ მოგაწოდებთ ბარში.

ქმრები

თაძ-ბარი იბარგება.
მივა-მუა ძაღი, ყველი.
მე რომ წასლა მევწადინე,
მასობაში მოვდა თველი...

7. ალიაღა სამგაშოღლი

ალი-აღა სამბაშოღლი
ნაქებია ბიჭობაში.
ქება-სახელი მაშინ ქნა,
რომ ჩაბრძანდა აჭარაში
შერიფ ბეგმა რომ შეიტყო,
ხათრი დარჩა გუნებაში.
შერიფ ბეგი შეეყარა —
ხაფსები მოხავდა გზაში.
ალი-აღამ დაუძახა,
არ წავატან ნაუბახში.
ხაფსებს ნუგეში დასძახა,
მე გაგიშვებ ყველას სახლში.
გაკუჭებული მივარდა,
ხელი სტაცა ხელაფჩაში.
ორმოცი ოყა ზენჯირი,
ერწამ გასწყვიდა შუაში.
ოც კაც სილაღი აართვა,
გადაყარა ქარხანაში.
თითო ბლიკვი ყველას მოსცხო,
ჰკუა დაუბნია თავში.
შერიფ ბეგმა შეუთვალა:
მორიგება გვიჯობს წვრაში.
დამეხსენი სამბაშოღლი,
—ნუ იარები აჭარაში.
ალი-აღამ შეუთვალა:
ჩემთან აღარ ქნა თალაში,
ტყვილა არ ჩამომეკიდო.
ადრე შეგიყვან ზარალში.
შენ იმფერი კაცი არ გყავს
მე რომ ჩამომხედოს თვალში.
კაძახობას თუ მიჭიმავ,
აგერ გამყევი ყამაში.
წადი და გობი მოხვეწე,
ნუ მოცთები ამ ზამთარში.
შერიფ-ბეგო, შენ მომიგებ
თხელი აირანის ჭამაში.
შენისთანა გაყეყილი
ბევრიც ეთრევა ქალაქში.

8. საათის ლექსი

ლამაზობა ერთსა მჯეცა,
ყველა ფეჯღამბერზე მეტი.
ხეზრეთი ჯუსუბი იყო
შშვენიერი, როგორც გვრიტი.

ძმანებმა რომ ყუჯში ჩაგდეს,
ჰკვდანი იყო და ოსტატი.
საათი მაშინ მეჯგონა,
იმით მიხდა ლოცვის ვახტი.

მერე ყუჯდან ამობრძანდა,
ღმერთმა მისცა დასტურ ბეხტი.
მისირში ხვანთქარი გახდა,
იქ დაურჩა ოქროს ტახტი

საათი რომ გააკეთა,
იგი დარჩა ზანათქარი.
ყველაჯ კაცი შენ კი გხმარობს,
თათარ, ქართველი, ხვანთქარი.

შენ ჩარხებში გენაცვალე,
დეჯლოცა შენი ფართქალი.
რაფერ ხმელაჯ შენ მუშაობ,
ცეხლი არ გაქ და შით წყალი.

ვუთხარ საათსა:

ხან წინ გარბი, ხან დადგები,
გამაკუჭე ვოლლაჰიო.
არა საში არ მინახავს
შენისთანა თელლაჰიო.

მითხრა საათმა:

ვინაც კაცი მე შემხდება,
ყველაჯ შემხდა უმადური.
ბოლოს შენ ხელში ჩევჭერი
მე საწყალი, უბედური.

მუშაობას რომ მიწუნებ,
ბევრი გყოლჯა შეჯთანიო.
ერთი ძეწკვი არ მიყიდე,
ზედან მაბჯა ყაჯთანიო.

ვუთხარ საათსა.

შენთვის ვაქსოვინებ ქურქსა
აბრეშუმის ძაფითაო.
გაგახვევ და შით იყავი,
ომუშავე საფითაო.

მითხრა გახარებულმა:

აწე აღათ შევჩერდები,
თუ ლამაზად შამინახე.
სულაც მალ-მალე გამწმინდე,
რა გავხდები დამინახე.

ვუთხარ საათს:

ხარჯლული შემომელია,
კაპეკი ვერსად მევძიე.
სულ რომ ფარა შენ გახარჯო,
დასტურ ხომ არ მაქ პენწიე.

საათო აწ იმუშავე,
როგორც გასული მერცხალი.
შენ პატივსა არ დაგაკლებ,
სადამდის თუ ვარ ცოცხალი.
ერთხან გაჩერდი, გეჯბუტე,
თვალში მომდჯოდა კურცხალი.
რაც კაცი შენ დაგემდუროს
აბდალია, ის საწყალი.
რაფერ ხმელაჯ შენ მუშაობ,
ცეცხლი არ გაქ და შით წყალი.

9. თის ლექსი

შუქურ-ზაფხული გამოვდა,
თხა-ცხვარი გარბის ყანაში.
მემთევრებს სული შუუწუხდენ,
ველარ მოისვენეს ბარში.
თავის ქმრიებს ეხვეწებიან:
ჰაიდე, წევდეთ ერთად მთაში.
ჰაიდე, წევდეთ, ჩვენი სიტყვა
რატომ არ გესმიან ყურში?
თავი-ბედი ამეკწყეველეთ,
ცხვრიები გეიქცენ პურში.
შაფათ თუ ველარ წაველით,
კვირას წევდეთ, ადრიანზე.
მთაზე წასლის დრო მოვიდა,
იონჯა მოვდა კატრიანზე.
კატრიანი[1] და გრძელგორი[2]
თელზე მალე ამწვანდება.
ჭზე რომ სერზე დაბრძანდება,
მოი და შენ ნუ მოგწონდება...
სალამით გნახავ მთიებო,
გზაც რომ უვავილით მეირთობა.
შარშანდულებ აღარა მაქ
თუმცა მუხლებშიც ქეიფობა.
ხარები დეიწყებენ კივანს,
ერთად გეეპირებიან.
ძროხები დეიწყებენ ბღავილს,
ხბიებს გეეტირებიან.
კრავები დაკუნტრუშობენ,
თიკნები ზიანჭარობენ.
ზაქი ნელა მიზოზინებს,
დედები უფრო ჩქარობენ.
დეილოცა თქვენი სახელი,
რა ლამაზი ხართ, ჯილველი.
რვა თვის ნამწყურევ საქონლისთვინ
მთა სამოთხეა პირველი.
ასი წლისა ბერივითა
სულ რომ ვირხინო ხველითა —
ღმერთით ცხრა მთასაც გადვიარ
თქვენ გაკეთებულ ყველითა.
დეილოცა თქვენი სახელი,
ახლა მშვიდობით მთიებო.
გომარდულო[3], ბარათაულო,[4]
სალაეთებო, ტყიებო.[5]

10. ჭალ-ვაში

ვაჟი:
გამოსული რომ გამოვა,
ამწვანდება მთა და ბარი,
შენი სევდა გულსა მიწვავს,
შემიყვარდი ნამეტარი.
დღისით ფეხზე დავბოდიალობ,
არ მიფიქროთ მე ცოცხალი,
სევდისაგან დამწვარია

[1] კატრიანი-მთაა ზემო აჭარაში.
[2] გრძელგორი—მთაა ზემო აჭარაში.
[3] ეომარდული — სოფელია ზემო აჭარაში, ჭვანის ხეობაში.
[4] ბარათაული — სოფელია ზემო აჭარაში. ჭვანის ხეობაში.
[5] ლექსს ბოლო ორი სტრიქონი კონტამინირებულია რეჯებ მეავანაძის „გამოთხოვების ლექსთან".

უბედური ჩემი თავი!
მე თუ მოვკვდე, დამიტირეთ,
გულზე ცრემლი დამაყარეთ,
მინდა თქვენზე ჩახუტება,
თქვენი პირი ჩამაყარეთ.
ძალიან მეტათ შემიყვარდი,
გამორჩეული ათას ქალში,
სევდამ მეტათ შემაწუხა,
გლახათ მომაქცია ტანში.
შენი სახე მიდგას თვალწინ,
ცეცხლი მეკიდება ტანში.
ჩემი ბედი ასტე არის,
დღე ჩემთვის დაბნელებული,
ეს ოხერი სიყვარული,
ჩემთვისა გაძნელებული.
ჩემ სიყვარულს ნუ დაკარგავ,
ქალიც თუ ხარ ვარგებული.

ქალი:
არ დავკარგავ, გენაცვალე,
იყავი დარწმუნებული.
შენგან მეტი სხვა არ მინდა,
იყავ გულგახარებული.

ვაჟი:
ნეტაი, მე რა გამახარებს,
შენზე ვარ მოშორებული.
წუხელი გნახე სიზმარში,
ჩემ მკლავზე დაძინებული,
გავიღვიძე, ცრუ დამირჩა,
ჰკუაზე ვარ შექანებული.
უნდა ჩავეჭრა ღრე წყალში,
ასტე ვარ მოფიქრებული.

ქალი:
ოხერი ქალი გახლავარ,
ბედითგან მივიწყებული,
ადრე ხანში შევიქნებით,
ერთ კლავზე დაძინებული.

ვაჟი:
ერთი ღამე შენთან ვიყო,
ხომ არაფერი წახდება,
ღარიბებს ფულებ ვაჩუქებ,
შენი სიტყვა თუ ახდება.

ქალი:
თავს ნუ იკლავ, გენაცვალე,
ქალიც გახლავარ უბედო,
მაქფერ წვალებით, სიკტილით,
მე შენ რაფერ გაგიმეტო.
არა კაცის არ მცხვენია,
სადაც გინდა წამიყვანო,
გადავწყვიტე შენ წამოგყვე,
მინდა ჰკუაზე მოგიყვანო.

ვაჟი:
ამას ყველას მე ვმერაყოფ,
აგი ძალა დავიხმარო,
ამ საქმიებს შევასრულეფ.
ბოლოს მიწა წავიყარო,
დავიფიქრებ შენ ნაქმარებს,
უფრო-უფრო მიახლდები,
ამა ლექსის გამომთქმელი
სევდიანი გიახლები.
ამ ქვეყანას ვერ გევხარე,
საიქიოთ რა ვიქნები,
ეს ქვეყანა აღარ მინდა,
შენ თუ ჩემი არ იქნები.
ყველა კაც რა მივახდინო,
გულში მაქ ჯავრი ორთულლი;
ამ ლექსებსა მე ნუ მკითხავთ,
სეკრეტათ მაქ გამოთქმული.
რაც ამტონი მე ვიმწვალე,
ამას შობა სიყვარული. –

ქალი:
უცფათ ზამთარი მოვიდა,
თოვლი მიაწვა ზეცაში,

ღმერთმა ზაფხული მოგვასწრას,
ავაწყოთ ქეიფი, თამაში.
ვაჟი:
საყვარელი ქალიც კი ხარ,
მე უშენოთ ვერ გავძელი,
ტანში სული გამეცალა,
თავზე მადგია ეჯელი.
რაც ამტონი მე მამწვალე,
სულ მთელია დასაჯერი,
შენი სევდით დავიღუმპე,
სახლზე ალარ მხურავს ჭერი.

11. ყიამეთის დესტანი (ლეჭსი)

ოჲ ყიამეთი ახლოს არი,
იცვლება დრო, ზამანები.
ვინც რომ ვართ მუსლიმანები
ღმერთსა შევთხვოთ იმანები.

ვერც თათარი, ვერც ქართველი,
ვერცა გობრინატორები.
ვერც ავროფა გადარჩება,
ქვეყნის იმფირატორები.

სუყველ დღეს ომრი მიგვიდის,
გვაქ სიცოცხლის გუმანები.
აბუდლებულო ინსანო
აჯაფ რას ეპრუალები.

ხედავ, რომენ ყველაჲ კდება,
ერთ დროს შენაც ახრინდები.
იმანი თუ კაი გახლავს,
ჯენნეთშიაც გაფრინდები.

ჰა წევდენ შენი ძველები,
შოყვარე, შენიანები.
ინსანი რომ არვინ დარჩა,
არც ბეჩი არც ჰკვიანები.

ახირეთსაც დეივიწყებთ,
ლოცვა-მარხვას შეზარდებით.
გინდაც რომ აქ კარქათ იყოთ,
ბოლოს მაინც გამწარდებით.

კიდვენ ორ ხელით დუნიაზე
ცეცხლივით ემბრიალები.
რათ არ ფიქრობ ერ დროს შენაც
თავანზედ შემჭყრიალდები.

ოჲ, ჩემო მწერალო ხელო,
ერთ დროს შენაც გაჩერდები.
სიკვდილსაც რომ დეინახავ,
უნდონობას დაჯერდები.

ჯერ შენ სიკვდილს არ ელოდი,
უცებ დეიხრიალები.
სიკვდილს ვერვინ გადურჩება,
ოგითიც და ფირალები.

სატირელი იგი არის,
ახირეთისა დერდები.
ღმერთო, იქ მაიც შიგვიბრალე,
აქ მერაყით რომ ვბერდებით.

ცოდნობა კარჭი არის,
თუ არ დეაწყევი ჩივილი.
ცოდვების მომხსნელი არის
ავათყოფობა, ტკივილი.

შუდამ დურდიც, ავათ ყოფნაც
ძნელი არის, არ შეიძლება.
რადგან ღმერთის ემრი არი,
უსაბროთაც არ შეიძლება.

ჯაბტი-საათი რომ მუა,
ტანს ეჯელი შიგიძრება.
სიცოცხლე გიგითავდება,
ტანიდან სული აგძრება.

გეიცლება ტანი, ბედენი,
იმ შავ ეიწაში ჩაძრება.
აი, გუმაძღარი ინსანი
ძვილაი შავ მიწით გაძღება.

სული ზეით წავა, თავაღმა,
ინსანი რომენ მოკდება.
ისტე მეზერში ჩაგდებენ,
ზეიდან მელაიჭი დადგება.

ის ჯერ სიკვდილს არ ელოდა,
შოვმკვდარვარ, მაშინ მიხდება.
მიხდება, გავთავებულვარ,
თელი ტამარი გაწყდება.

ვაი, შოვმკვდარვარ შიშიმგონე,
კაკალი გული გასკდება.
საჯენნეთო ინსანებსა
შეზერი გუუნათდება.

თუ მეიკითხავ შაზე პატივს,
აჯაფ რა და რა იქნება.

შენ მიხდები საქმეს, კარჭი,
ყოლაფრამდი კაი იქნება.

საჯენნებოს თუ იკითხავ,
ვინც უიმანო იქნება —
გამკითხავი გეიარს, წავა,
იმას არ აქ მეტი ნება.

თუნდა ქალი, თუნდა კაცი
ბეიანამაზი რომ იქნება,
ზინაჯი, ბოზი იქნება,
აა, ქურდი, მუზი იქნება.

მუა შავი ანგელოზი,
ცეცხლის თოფუზი ექნება.
ერთი ტიტვირი თავაღმა,
ერთი თავდაღმა ექნება.

პირზე ძალიან შავი არის,
შენ ის ზანგი გეგონება.
იგი გირტყამს და შენ ყვირი,
მას პფერი ეყურება.

იგი ხმა ტყვილ დუნიაზე
ჰაივანსა ეყურება.
საქონელმა მიტომ იცის
ძალვან აღრე დაბერება.

კდარის ყვირილს რომ გონილობს,
იმაზედ მალე ბერდება.
შენ სატირელ საქმეებისთვინ
შენ რატომ არ გედერდება.

ის ხმა ინსანმა გეგგონოს,
სურაელი აღარ დარჩება.
შიშიმგონე თლათ გავწყდებით,
დუნია ცარაელი დარჩება.

უიმანო კლარსა იქა
იმას არ აქ დასვენება.
იმ შავ ანგელოზის ხელში
ჰერ რომ არვინ მაეხმარება.

პაწაი იმანი თუკი აქვს,
სტუმრებიც რომ ეყვარება, —
შენი ნაშმევი იქ მუშა,
მუშა და დეგეფარება.

კლარს შუშა. ცეცხლის თოფუზ
მუშა,
მუშა და დაეფარება.
ის დანარტყამი თოფუზი
მას ალარ წაეკარება.

ისტე კაცა მოსაფირის
ჩიზმეთი, მომსახურება.
კარგა კითხვა თუკი გიყვარს,
ყურანისა დაყურება.

ის დაგიხსნის ღმერთი ემრით,
სუყველგან მოგეხმარება.
სიკვდილისხან თვალებზედა
ფერდე რომ დეგეფარება.

მაშინ ტყვილ დუნაას სინათლე
მუმსავით დაეფარება.
უბედური შენი თავი
ღეზრაილს ჩაებარება.

მაშინ შენ მიბარებაზე
სულ თელი დაეჩქარება.
გეაცლება შენი ნამსხმანი,
იმ შავ მიწაში ჩაწვება.

რავარც მიწაში ჩაგდებენ,
ძელები წაგეხურება,
მოყვარე და შენიანი
მიწის წაყრას დაეშურება.

აქ რომ საცხან ბნელში დავჩეთ,
რა და რა მოგვეჩვენება.
უიმანოთ შავ მიწაში
აჯაფ რაღა გვეშველება.

ცოცხალმა აფერი იცის
აქ კლარი რა ღეზებშია.
კლარის სული ცაში ფრინავს,
თვითონ წვალობს მეზერშია.

ენა-პირი რაფერ იტყვის
რა დერდში და რა ჰალშია.
ზოგს რომ მიწა მუუჰირებს,
გააძრუმლებს ძვალს ძვალშია.

ცოდვა ყველამ თევზე ქენით,
ახლა ჩავარდით ჰკვაშია.
ყიამეთი როცა მუშა,
ღერესათში რა გწადია.

ცოდვა-მადლის გასარჩევათ
ღმერთი გახდება ყადია.
ცოდვა-მადლის ასაწონად
ღმერთის სასტორი კიდია.

იქ რომ ხათრი არ გვისაქმებს,
იქაური დავა დიდია.
იმას მემრენ გასავალი
ჯეენნებისა ხიდია.

ყიამეთი როცა მუშა,
ასტე ბრძანებს ქითაბია.
ტყვილ დუნაზე რაც მეიგო
ჯერ ჰელალის სირაბია.

ჭურდი თუ არის, იმისთვინ
ჯეენნებში ღეზაბია.

ჯერ კი ჯენნებთან მისლამდი,
ვინც რომ ცოდვების ქნელია—
მისი სადგომი მეზერი
კუკუნეთი და ბნელია.
ყიამეთისა მოსლამდინ
მისი ღეზები ძნელია.

მაშვინ ცოდვების ქნელები
სხვაფრად ატრიალდებიან.
რაც დუნიაზე გონჯობა ქნეს,
თელი გამოტიალდება.

ზოგი ძაღლის სურეთშია,
ზოგი სხვაფრათ გეილანძღვის.
ზოგი ღორის სურეთშია,
ჯეენნებში დეილანძვის.

ჯეენნების ხიდი არის
სამასიათასი წლისა.
ყლიჯზე უფრო ჭრელი არის
და ჰემ ბეწვზე უმფო წმინდა.

უამანო ახლოს მისლამდე
შიში-მგონე კანკალებს.
ვინც რომ საჯენნეთო არის
მზესავით ის ქანქალებს.

ტყვილ დუნიაზე ულოცავი
ჰაამვანია ხარივითა.
სხვირათ ქოფრზე ვერ გეაარს,
ბორბოც დეაწყებს ტარივითა.

გამჩენელო შენ გვაჩუქვე
სიკდილიხან იმანები.
იმ სხვირათ ქოფრზე გავლიხან
რომ ძნელი გვაქ ზამანები.
ბეწვის ხიდთან ჰაზირია
ჯეენნების. ზებანები.

თუ გინდოდენ გადარჩენა
ზებანებთან, ჯუჯუხეთთან—
დაჯექით და ყური მგეცით
ლოცვა-მარხვის ნესიხეთსა.

ოი, დილასა ადგება
ნადირი ტყეში, გაბანი.
ვახტი მიდის, რათ არ დგები,
რას წიგიხურავს საბანი.

ადექ და ვახტი ილოცე,
ნუ გაგიწდია ტაბანი.
რემეზნის მახარობელი
მობრძანდა რეჯებ-შაბანი.

თორმეტი თვის შორი გზიდან
მობრძანდება რემეზანი.
სელავათსაც ყური მგეცით,
ვახტით გეგონეთ ეზანი.

გამჩენელმა რომ კი მოგვცა
ჭკუა, ცნება და იზანი.
საიქისუზ ნუ დარჩები,
უიმანო და ხიზანი,

თათრულად ღმერთს შევეხვეწოთ,
ისტარუმ სენუმ რიზანი.
რემეზანში გეიხსნება
ღმერთის რეხმეთი ხაზინა.
რაცხას რომე გევეცდებით
სულ ყველა დაგვხდება წინა.

ლოცვა, კითხვა, განათლება,
თლათ მუბარექი ღამგები.

ყურანით გაზუზუნდება
თლათ შუბარექი ჯამები.

რემეზანში შეიკრება
ეშმაკების ხელი-ფხარი.
ნამდვილათ დეიკლიტება
შვიდი ჯეენნების კარი.

რვა ჯენნეთი გეიხსნება,
აჲ ნამდვილი ქითაბშია.
გამჩენელის ყული თუ ხარ,
ფეჲღამბერის და უმმეთი,
ცოდვა-გონჯობა თევბე ქენ,
ღმერთსა უყავი მინნეთი.

რემეზანი დეიკავე,
ილოცე ფარძი, სუნნეთი.
საიქიო შენი არი,
აჯეჯლებული ჯენნეთი.

ჯებრაილი, ღეზრაილი,
შელაჲქები დიდვანები, —
იგინი თელი დაგლოცვენ,
კიდვენ მელაჲქი სხვანები.

რემეზანი თუ რაზი გყავს
შენ ხარ ღმერთის ხასი ყული.
ფეჲღამბერსაც ეყვარები,
გიცხონდება შენი სული.
მადლობა ღმერთ მოვახსენოთ,
ჩუსლიმანი რომ გაქ ჯული.

ჩუბარექი რემეზნიდან
საქმეს უყავით შუქური.
ილოცეთ და თევბე ქენით
ინსნის ხსენება-ქუფური.

თუ არ ქენ, მადლის ალაგზე
დეგეწერება ზუფური.
შენ ნალოც თავზე შამოგკრენ,
უცბათ დარჩები ზუფური.

ინსნის ხსენება-ქუფური
თუ თელი თევბე არ ქენი —
იმ დუნიასა გეტყვიან
მაჲ ნალოცი იყოს შენი.

შერიღეთის გზა ოთხია,
ნამდვილათ ხაყესუნთელი.
ფეჲღამბერის შერიღეთსა
ღმერთს ემსახურება თელი.

გიდაც ერგულანს ეწყობა
ყიბლისკენა ოთხი ზელი.
სუნთელი რომ ასტე ბრძანებს,
ლოცვა-მარხვას მუჭდე ხელი.

შაფი, გალი და ხენეფი,
მეოთხე არის ხემბელი.
სულ თელ ბეჲნამაზი ძულან,
ლოცვა-მარხვაზე თემბელი.

რემეზანის დამკავებელს
ჰემ რაზი ყავს ფეჲღამბერი
გემრიელი სული უდის,
როგორც რომ ქიოემბერი.

ფეჲღამბერი თუ რაზი გყავს,
საქმე დაგირჩა ადვილი.
ღმერთი შენიდან რაზია,
საჯენნეთო ხარ ნამდვილი.

რემეზანში უნდა ჭამო
ჰელალი ძაღი-ყველები.

საწყალ, ღარიბ-მოწყალობსა
ეზოში მოვლდან თხველები.

„ამ თხველებმა რათ არ იცდან
ზაფხულ-ზამთარი, თველები—“
ამის მთქმელ ქალებს ენაზე
დიესევიან გველები.

ქმარისთვინ თუ გონჯი არის,
არ დეითლება ბელები.
რომ მოკდება, გუჩერდება,
ნამსხმანი, ფეხი-ხელები.

მიწაში რუმე ჩადებენ
მას წიეხურვის ძელები.---
იმას ენა გუუხდება
სამოზდაათი ჰელები.

ერთმა ქალმა შეამსრულა
ლოცვა-კითხვა და თემენნა
ჰემ ნამუსი შამეჸნახა,
ქმარსაც კაი უთხრა ენა.

„ათას კაცზე კარჩი ხარ შენ.
მაჭფერი თუ ხარ შენაო.
ამ ორი დღის სიცოცხლე ში
ნუ გინდა ნურვის წუენაო.“

შვილმა დედას თუ უთხარი
„ნენაო, ჩემო ნენაო.“
მაგ ენით რომ ყველას აწუენ,
საქმე დაგირჩა ფენაო.

მიხვალ ღერესათ მეჸდანში,
ძირში გეთრევა ენაო.
მაშინ კი ქარსა სულ აღარ
გიზამს ეგ შენი თმენაო.

ნალოციდან, ნაკითხიდან
აღარ დაგჩება მადლიო.
ღერესათში შენი ენა
სამოზდაათი ადლიო.

ქმარისთვინ თუ კარჩი არი
ლოცავი, სუფთა ზარევლი,
თუნდა რომ ნუ ეახლება
საჸმელში ბეწვი გარეული —
ის ქალია საჯენნეთო,
ეშმაკ-შეჸთანზე მორევლი.

იმა თუ აქ რიზა არ აქ,
ჰერამიდან სუფთა ფაქი.
ნალოციც ყაბული არა,
იქ ალოცვებენ ილლაქი.
ლოცვა-მარხვა რაღას გიზამს,
თუ შეჭამე სხვისი ჰახი.

ჰერამსაც თუ მიერიდე,
თავი თუ გაქ გაღებული —
ლოცვა-კითხვა და თან მადლი
ერთათ თუ გაქ წაღებული —

ჯეენნეთის კარი მაშინ
შენთვინ არი გაღებული.
ვერცხლით, ალმასით ნაშენი
ოქროს წყალში შეღებული.

ნამდვილათ იმას ეწევი
ღმერთთან თუ ხარ მიღებული.
ის ჯენნეთი აქ მეგება,
ბოლო თუ გაქ მიღებული.
თუ არ გინდა და ჯენნები
კი არის იქ გაღებული...

აღიობა, ბეგიობა
იგი თელი აქ დარჩება.
შენი ვარი და ფარაო,
შენი კარგობა წაგყვება.

თუ არგებდი მეზობელსა,
ის წაგყვება ახირეთში.
ყერიბ-საწყალ და ობლებსა,
ის წაგყვება ახირეთში.

სამადლოთ ნაჰმგვი, გულით,
სუყველას თუ მიეც პური —
კითხვა-ლოცვა თუკი გიყვარს,
რემეზანში სამსახური.

სულ ქვედა კაც მიეცემა
სულ სამოზდაათი სური.
ქალი თუ კი ყავს იმასაც,
სურზე უფრო მეტი ნური.

აფხანაკი ჩვენ არ გვიყვარს,
იქ არ არი ღამაზობა.
ჯენნეთში მარტო ქეჩფია,
ჯენნეთშიდა ლამაზობა,
იმ ქეიფ შენ ვერ ეწევი,
თუ გიყვარს ბეჩნამაზობა.

თუნდა კაცი, თუნდა ქალი.
ბეჩნამაზი, ულოცავი,
შურდალია მისი თავი,
ახირეთშჩა პირზე შავი.

ლოცვა-კითხვას ვინც ეცდება,
ჰემაც რომა თავდებული, —
იმას ხომ აქედან მიაქ
ჯენნეთის გზა, დიდებული.

ერთ ჯოჯოხეთსა იტყვიან,
სახელათ ქვია ღეა-ყუჩ.
ჰეჩბეთი ულოცავის
პირველი ადგილი არი.

ვინც იქიბრებს და დეიქებს,
არ ილოცავს, მეიპარავს, —
ბევრ ჰერამს იქს და მეიგებს,
ღეა-ყუჩში ჩეირჩობა,
რომ მოკტება იქ გეიგებს.

მონაფიყი მას არა აქ,
ეისი სადგომი სამოთხე.
ღეა-ყუჩს კი მიხდები,
როჩცხა რომ დეგელევა დღე.

შვიდი ჯეენები დღეში
ღმერთს უჩივლებს ათასჯელა.
გამჩენელო, გენაცვალე,
ჰეჩბეთი, ღეა-ყუჩს ბელა.

იმას ჩვენ ხომ ვერ გუუძლებთ,
ის ნამეტარი ცხელია.
ღეა-ყუის შიდდეთიდან
შვიდ ჯეენნებს ეშინია.
ჰალალ-ჰარამს რომ არ ეძეფ,
შენ რატომ არ გეშინია.

შვიდი ჯენნების დუღილი
ხანდეხან რომ გაჩერდება —
ღეა-ყუი გახსენდება,
შავათ-ბნელათ ადუღდება.

შვიდი ჯეენნები მაშინ
ფეშინ-ფეშინ ადუღდება.
დუღილის ხმას თუ იკითხავთ,
როგორც ცაში გაქუხდება.

ადუღებულ ცეცხლში იწვის
ვინც რომ არის გასინგრული.
ულოცავის სადგომია
ღეა-ყუი შავი, ბნელი.

აბუდლებულო ინსანო
რომ ხარ მაშინ გასინგრული,
თევზესაც რომ არ ექცევი,
საქმე დაგირჩა შენ ძნელი.

ნესიხეთი რომ დეაჯერო,
რა დაგემართება, რაო.
დიდსა და პაწასა ყველას
უთხარი კაი ენაო.

გამჩენიდან მოწერილი
სიკდილი რომ კაც არიო —
აი კარქობა ერთმანეთში
ორთაღ არი ზიარიო.

ერთ მინუთსაც არ გაცლიან.
ვადა რომ იგითავდება.
ჯერ შენ სიკდილს არ ელოდი,
სიცოცხლე გაგითავდება.

აჲ ქართულზე გამევყვანე,
ნესიხეთი არაბული.
ქითაბიდან ამოვწერე,
ღმერთო, მიყავი ყაბული.

ას წელიწად რომ იცოცხლო,
რომ არ გააჩერო ხელი —
ლოცვა-მარხვის ცოდვა-მადლი
კიდვენ არ დეათლება თელი

და ემეგიც ამის მჭნელის
რომ იყოს სხვისთვის გეჩექი —
მჟავანაძე გეახლები,
სახელათ მქვია რეჯები,
ღმერთო იმანი მომეცი,
არ მაწევიო ღეზები.

სხველავათ, გათავდა.
არ მიქნათ მინნეთი.
ღმერთო შენ შემიბრალე,
მომეცი ჯენნეთი. აამინ!

აამინ!!
აამინ!!

რეჯებ მჟავანაძის შთამომავლობა მეჰმედ მჟავანაძე — ალემდაროღლუ

მკითხველისა და ფოლკლორით დაინტერესებული საზოგადოებისათვის სიურპრიზად სათქმელი იქნება ალბათ ის, რომ რეჯებ მჟავანაძის ერთადერთი მემკვიდრე მეჰმედ მჟავანაძე — ალემდაროღლუც მელექსეა, თუმცა, უნდა ამთავითვე ვთქვა, არა იმ რანგისა და მასშტაბისა, როგორც მამამისი. თუმცა ამაზე მოგვიანებით.

ჯერ ცოტა რამ მის ბიოგრაფიაზე...

მეჰმედ მჟავანაძე — ალემდაროღლუ დაიბადა 1921 წელს ბურსას ქალაქ ინეგოლის სოფელ ჰაჯიყარაში. დაამთავრა სოფელ ჰილმიეს დაწყებითი სკოლის სამი კლასი, შემდეგ ქალაქ ინეგოლის მეოთხე-მერვე კლასები, ხოლო მერვე-მეცხრე-მეთერთმეტე კლასები ბურსაში. 1946 წელს დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიიღო იურისტის წოდება.

მამის კვალზე წასული შვილი ჯერ ქალაქ გირესუნის პროკურატურის პროკურორად მუშაობდა. შემდეგ, 1951 — 1955 წლებში ქალაქ ჩანაქყალეს ლაფსექის რაიონის მოსამართლედ, ამის მერე კერძო ადვოკატობა დაუწყია და ამჟამად ბურსას ქალაქ ინეგოლში გახსნილი აქვს კერძო ადვოკატურა.

მეჰმედსაც განუცდია ოსმალური სინამდვილისაგან ზეგავლენა, გამამაჰმადიანებული პოლიტიკის შევიწროება, რაც მამისავე მსგავსად მის გვარში გამოიხატა.

როგორც ვთქვი, მამა რომ გარდაეცვალა, მეჰმედი რვა წლის ბიჭი იყო. ვერც დედამ და მით უფრო ვერც მან ვერ მოაგროვა დოკუმენტებით გაემაგრ-განემტკიცებინა მოდგმით ნაანდერძევი გვარი და წარმომავლობა. ამიტომ, 1947 წლამდე იგი ალთაის გვარს ატარებდა. მაშინ იგი ბურსას სკოლაში (ლისეში) მეთერთმეტე კლასის მოსწავლე იყო. იცოდა რა წამოზრდილმა ყმაწვილმა თავისი გვარის შესახებ, 1947 წელს, დაქორწინების წინ, სტამბოლის არქივიდან გამოითხოვა თავისი ნამდვილი, მამისეული გვარი — ალემდარ-ზადე, ხოლო შემდეგ ალემდარ-ოღლუ.

ამგვარად, მეჰმედ მჟავანაძის გვარის ისტორია მამის გვარის „თავგა-

დასაწყისია" არ იყოს ასე წარმოუდგენელი: მეჰმედ მჟავანაძე||ალთაის||ალემდარ-ზადე||ალემდარ-ოღლუ...

მეჰმედ მჟავანაძე ალემდაროღლუს მეუღლე ფეკზიე გურჯის ქალია, ჰყავთ სამი შვილი, ვაჟები ერქანი და ერჯანი, ქალიშვილი აიშე-სემრა. გოგო გათხოვილია მამით გურჯ ეროლ ბორაზე, რომელთაგანაც მეჰმედს ეთი შვილიშვილი ჰყავს; ვაჟები ჯერ უცოლშვილოები არიან.

ვთქვა: მეჰმედი თავადაც ხშირად მეორე ლექსებს... როგორც იტყვიან, კვიცი გვარზე ხტის, მეჰმედის ლექსები უფრო მოკლე, ლირიკული ხასიათისაა, აქვს საყოფიერო შინაარსის პოეტური ქნილებებიც, თუმცა, მეჰმედის ლექსებს უფრო ლიტერატურულ იერ-ფერი დაჰკრავთ და ჯერ სრულად ვერ გახალხურებულან. ლექსების ნაწილი გამოქვეყნებულია პრესაში, ქალაქ ჩარაქყალეს გელიბოლის რაიონის გაზეთ „გელიბოლიში". ამჟამად ლექსები ინახება ჩემთან და უშუალოდ მათ თარგმანზე და დასრულების შემდეგ მივაწვდი ჩვენს მკითხველს მშობლიურ ენაზე.

მეჰმედ მჟავანაძე 69 წლის კაცია, მაღალი, ელეგანტური შეხედულებისა, მკვეთრი ცისფერი თვალებით, კეხიანი ცხვირით, მიუხედავად ასაკისა ცოცხალი, მკვირცხლი ბუნებისაა, დაუზარელი, მხიარული, სულ მუდამ იუმორშერეული მოსაუბრეა. თუმცა, მის შინაგან არსებაში, ხმაში და გამომეტყველებაშიც წარსულით დაწნეული დიდი სევდა ეამოსჭვივის, რასაც უნებურად ნათელს ჰფენს და ამხელს ხოლმე ხანდახან, საუბრისას მეჰმედის თვალზე გაჩენილი ცრემლი... უსაზღვროდ უყვარს საქართველო, კარგად იცის საკუთარი წარმომავლობა, ასწავლის, ზრდის და შეუცდომლად მიჰყავს თავისი შთამომავლობა ერთი, სწორი საკუთარი წარსულის ანდავიწყების გზით. სისხლსხორცეულად არის დაინტერესებული მამის, რეჯებ მჟავანაძის პიროვნებით, ზეპირპოეტური შემოქმედებით და მისი პოეტური მემკვიდრეობის უკვდავყოფით. აქვს თურქული ტრანსკრიპციით და ქართული ასოთი გადაწერილი, კოხტად აკინძული მამის ლექსები, რომელსაც ხშირად უკითხავს ხოლმე აღვილობრივ გურჯებს და შემთხვევიდან-შემთხვევამდე სტუმრად მისულთ.

მეჰმედ მჟავანაძე-ალემდაროღლუ მასშტაბური პიროვნებაა. ძირითად სპეციალობასა და საქმესთან ერთად ძალიან ადრე ლიტერატურულ-ისტორიოგრაფიული, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული, ერთი სიტყვით, ფართო სამხარეომცოდნეო საქმიანობაც დაუწყია: ავროვებდა და ასლაც კრებს ხალხურ გადმოცემებს, ანდაზებს, ლეგენდებს უფრო იქ მცხოვრები გურჯებისაგან, მერე აკურატულად ახარისხებს, სისტემაში მოჰყავს, რო-

გონც შემკრებნი ვიტყვით სოლომე, კლასიფიკაციას უკეთებს, ურთავს შესავალს, დასკვნას, სარჩევს და ინახავს ისე, როგორც ჩვენში გამოსაცემად ამზადებენ სოლომე ხალხურ მასალებს. ამის გამო გაძნელდება თქვა: ეს კაცი უფრო იურისტია თუ უფრო ისტორიკოს-ლიტერატორი და გამომცემელი. მის არქივსა თუ ბიბლიოთეკაში თუ უფრო მართებული იქნება დავუძახოთ — წიგნთსაცავში ინახება უთვალავი ძველი და ძველისძველი ხელნაწერი, წიგნი თუ დოკუმენტი, დაწყებული ხბოს ტყავზე ნაწერიდან, საგანგებო საქმიანობით შექმნილი უნიკალური ხელნაწერებით და ძველ არაბულ თუ თურქულ ენაზე ნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნებით დამთავრებულით. ისინი იმდენია, მათი რიცხვის დასახელება თვითონ მეჰმედსაც უჭირს. უფრო ძვირფასი და უნიკალური რამ ცეცხლგამძლე სეიფებში შეუნახავს, რომლებიც მთელ სამუშაო ოთახის კედლებზე. აქვს ჩამწკრივებული. ასე რომ, როგორც პატრონს, ისე შენც გიჭირს ამ ოთახსაც თუ ოთახებსაც, რომელიც აქ საანგარიშოდ არის ცნობილი და ფირნიშიც ასეთი აქვს გაკეთებული, ადვოკატურა უწოდო თუ უმდიდრესი წიგნთსაცავი.

მე დავათვალიერე მეჰმედის ეს ვანძი, საუბარი მის საერთო მნიშვნელობაზე, ღირებულებაზე და საერთოდ მათი მფლობელის საბოლოო მიზანზეც ჩამოვუგდე...

— რაოდენობის აღრიცხვა კარგახანია ამერიაო, თქვა, ღირებულებით არ შემიფასებია, მნიშვნელობა კი ვიცი დიდი აქვს და ვფიქრობ, თუ ხელი შემეწყო და მომემართა, თანაც ჩემ აზრს მოწონებით თუ შეხვდნენ, მინდა ბურსაში ან აქვე, ინეგოლში ქართული მუზეუმი გავხსნა და იმ მუზეუმის კუთვნილებად გამოვაცხადოო...

ამას ისე ამბობდა, შევატყვე, ხორცშესხმა უცხო ქვეყანაში მცხოვრები გურჯის ამ იდეისა არ იქნებოდა ადვილი, რომ იგი ბევრ ცნობილ და უცნობ, ფარულ და აშკარა სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. რას იტყვი, ღმერთმა ხელი მოუმართოს!

— იქნებ ეს მასალები უფრო საიმედო ადგილას, მამის სამშობლოში, საქართველოში დაგებრუნებინა მეთქი.... შევაპარე. ამაზედაც მიფიქრიაო, მითხრა, მაგრამ როგორც იურისტმა. იქვე დასძინა, არც ეს არის იოლი საქმეო. ერთი სიტყვით, მეჰმედ მუავანაძე-ალემდაროღლუ მიუხედავად მისი არც თუ ცოტა წლებისა ჯერ ჯანღონით სავსე კაცია და თუ იგი კარგადაა, არც ამ განძს ემუქრება რაიმე საშიშროება. მერე კი, მერე ალბათ რამეს მოიფიქრებს.

ზემოთ მე ვთქვი, მეჰმედი მასშტაბური კაცია მეთქი... არ დამიჯერებია და ამ ერთკაკალა კაცს თვითონ, მარტოდმარტო დაუწყია ენციკლოპედიის შედგენა... თურქულ ენაზე. არა და ამ დროს თურქული ენციკლოპედია არა თუ შედგენილი, მისი რამდენიმე ტომი უკვე გამოსულიცაა!

ეს ხომ გავიგე, ცოტა არ იყოს მეოცა კიდეც, მას ხომ არავინ ეხმარება ამ საქმეში, არა ჰყავს ერთი უბრალო ლაბორანტიც კი, ჰოდა ვკითხე, მაინც რამ გაფიქრებინათ ამოდენა ტვირთთან შეჭიდება, ან და სხვის საკეთებელ საქმეს ხომ არ აკეთებთ მეთქი...

მეჰმედი იურისტია, ჩემი ნათქვამის ორივე აზრს უმალ მიხვდა და პასუხიც ორლესული მომიგო:

— ეს საქმე სხვა, ჩემთვის უფრო ღვიძლმა საქმემ დამაწყებინა, უფრო სწორად, თავდაპირველად ქართულ მასალებს ვაგროვებდი, ისე, ჩემთვის, ჩემი შვილებისათვის, რომ არ დაგვივიწყებოდა ვინ და რანი ვიყავით ან საიდან მოვედით და საით მივდივართ. ბევრი რამ საინტერესო შემომხვდა ხელთ, ეს წიგნი იყო, ხელნაწერი თუ სხვა რამ, ზოგი ყოველდღიურობის მდინარებას ისე მოჰქონდა, დასაკარგავ-დასაღუპავად იყო განწირული, საამისოდ ვერც ისინი გავიმეტე, შევაჩერე, ავიღე და შემოვინახე. მერე იყო და, თურქეთის ენციკლოპედიის გამოცემა დაიწყო. ეს არის მოკლე ენციკლოპედია, სადაც ბევრი რამ აბ არის ასახული, ამ მოკლე საგანძურში ქართული და მეტადრე ცნობები ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული ქართულის შესახებ ხომ კიდევ უფრო ძუნწად გვხვდებოდა, ჰოდა, ასე, ამგვარი მიზეზითა და მიზეზთა-მიზეზით მოვკიდე ასეთ რამეს ხელიო... — დაასრულა და მხნედაც შემომხედა, გეგონებოდათ ამით მანიშნებდა, ტყუილად გგონია, რომ დრონ კიხოტობას მოვკიდე ხელიო...

რას ვეტყოდი, გამეხარდა, მეამაყა და... მოვიწყინე კიდეც. მოვიწყინე იმიტომ, რომ ამოდენა საქმისთვის არ გამემეტა კეთილი, ასე ითქმის — მოხუცი კაცი, გამეხარდა და მეამაყა იმიტომ, რომ ქართული სულის უდრეკელობას ვხედავდი იმ წუთს, სულისა, რომელმაც ჯერ კიდევ ჩვენ, ქართველებს, აქაც და იქაც ბევრი რამ უნდა გადაგვირჩინოს. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ მეჰმედმა საქართველოს შესახებ შედგენილი ტომი მაჩვენა. ვის და რის შესახებ არ შეხვდებით ცნობას იქ: ზოგს აი, მართლაც საენციკლოპედიოს, ზოგს ისეთს, კალენდრის ფურცელზეც რომ არ მიაწერს კაცი. მერე ჩემს შესახებ ცნობებიც მთხოვა, არ ვუთხარი უარი, ერთი საკალენდრო ფურცელი მეც შევძინე ამით... იყოს, ჰქონდეს, მერე რა, თვითონ თუ არა, მოვა ვინმე, სხვა, გადა-

არჩევს, გადაახარისხებს, მთავარია ახლა, ამ ეტაპზე, ქართული გული ქართულ საფიქრალს უკურკურებს, ქართული ხელი ქართულ საქმეს ფოჩიკობს და ამით იქაური გურჯობა თავის ხვალინდელ არც თუ ისე უშიშარ ყოფას და არსებას იფხიზლებს და იხანგრძლივებს.

— ამოდენა წიგნთსაცავი რა საშუალებამ შეიძინა მეთქი, არ დავმალავ და ვკითხე მასპინძელს, ბოცა ამის შესაფერისი მომენტი ვნახე.

— არ იფიქროთ, ისე მდიდარი ვყოფილიყავი ოდესმე, რომ ამის ფულზე შეძენის საშუალება მქონოდეს... ჩემი საპროკურორო ლო კერძო საადვოკატურო მუშაობისას რა წერის, რა განაილების, რა ქონებისა თუ უქონელობის ხალხი არ შემხვედრია. ზოგს ფული თავზესაყრელად ჰქონდა, მაგრამ ფულის გაღებას ჩემი სამსახურის „ნატურით ანაზღაურებას“ არწევდა, ზოგს ფული რომ არა ჰქონდა. ეს აიძულებდა ამ გზას დადგომოდა, მე კიდევ ჩემი შრომის ამნაირი გზით „ანაზღაურება“ ყველაფერს მერჩივნა. ზოგმა ამ სიძველეთა ფასი იცოდა და ძვირადაც აფასებდა, ზოგმა არ იცოდა და ჩალის ფასად თმობდა, ჰოდა, ასე გადაიცვალა ჩემი შრავალწლიანი შრომა ამგვარ სიძველეებში, რომლებიც ახლა მთელ ჩემს უძრავ-მოძრავ ქონებაზე ძვირად მიმაჩნია...

რეჯებ მჟავანაძის შვილთან ჩემი სტუმრობა იმით დამთავრდა, რომ საუბრის დასასრულს ერთგვარი „პორტფელების“ მიღება-ჩაბარების, ანუ როგორც დიპლომატები იტყვიან ხოლმე, „გაცვლა“ მოხდა: მას რაც გააჩნდა ჩემთვის საჭირო მასალები აკურატულად დალაგებული და აკინძული პორტფელით გადმომცა, ჩემიც იქვე, საზეიმოდ ჩაიბარა, ერთმანეთს ხელი რომ წამოვართვით და გადავეხვიეთ, საიდანღაც ფოტოგრაფი გაჩნდა, სურათი გადაგვიღო. გამომრჩა მეთქვა, რომ მთელ ჩვენს საუბარს მასთან ერთად იქაური გურჯები, წარმოშობით აჭარის შუახევის რაიონის სოფელ ტბეთელი ოსმან ახისხალოღლუ, წარმოშობით შუახევის რაიონის სოფელ ბრილელი ოსმან მოლალოღლუ (ამჟამად ოსმან ერენი) და წარმოშობით შავშეთის იმერხევის სოფელ შოლთისხეველი ისმაილ ქარაშავიშვილი — ბუნსაში და არა მარტო ბურსაში ცნობილი მწერალი, აგრეთვე მისი ნათესავი მუბინ მიღმაძე-სარაჩი ესწრებოდნენ. ჰოდა, ამათთან ერთად ერთობლივი სურათიც გადავიღეთ. იურისტმა მეჰმედმა მისი პროფესიული ჩვევისამებრ ჩვენ ყველას ჩემი ჩანაწერის ბოლოში, როგორც რაღაც რამ თათბირის ოქმზე, ხელი მოგვაწერინა. მერე იქვე ქსეროქსზე გაამრავლა და დაურიგა. ერთი პირობა მეგონა, არ მენდო, თავი დაიზღვია და იმიტომ მეთქი. მაგრამ ეს ეჭვი უმალ მისმა ერთმა ნათქვამმა გააქარწყლა:

— ახლა მე მამაჩემის, რეჯებ მჟავანაძის სელმეორედ დაბადების, მოწმე გავხდი. ჩვენი სტუმარი დანაპირებს რომ შეასრულებს, ამ წიგნში მამის დაბადების მართალი თარიღი ჩაიწერება, ბოლოში რომ გაბდაცვალების თარიღი აკლია, ისიც მის ადგილს დაიჭერს, აღდგენილი პორტრეტის ნაცვლად ნამდვილი მამის სახე გადმომსედავს წიგნიდან, ამიერიდან აღარც მისი საფლავი ჩაითვლება მამაჩემის ნატრულ დიდ მემლექეთში და მემლექეთელთათვის დაკარგულად, განა ეს ცოტა ბამ საქმეა, განა ამ დღეს და ამ საუბარს დაკარგვა და დავიწყება ეგების?!

ვეებაფერს იტყოდი, მეჰმედი მართალი ბრძანდებოდა. საქმე ის გახლდათ, რომ მეჰმედს უკვე მოესწრო წინა დღით ჩემგან ნაჩუქარი ჩემი წიგნის „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო"-ს და შიგ შეტანილი რეჯებ მჟავანაძის ბიოგრაფიისა და ლექსების წაკითხვა — ანალიზი...

ამის თქმა რომ დაიწყო, ცისფერი, ცოცხალი თვალები ელვარებით უთამაშებდა, ხოლო რომ ამთავრებდა, მალავდა, მაგრამ მაინც შევნიშნე, თვალის უპეებში წყვილ-წყვილი კურცხალი უციმციმებდა...

1990 წლის 15 მაისი იყო, ეს, პირადად ჩემთვის დაუვიწყარი დღე-ჰოდა, აღარც ანაფერი მითქვამს და აღარც არაფერი შევკითხებივარ, ფართო მხრებზე ხელი შემოვხვიე და წყვილად, იქით და აქეთ, ჩვენებურებმა თურქეთში როგორც იციან ისე, გადაკეხვიე, ხოლო მერე თავჩაღუნული უკანმოუხედავად განვშორდი..

არ ვიცი რას იფიქრებდა იგი, მე კი თვალწინ დღესაც იმისი ანთებული ცისფერი თვალები და შიგ მოციმციმე, დიდი, მლაშე, მაგრამ სუფთა, ნაღვლიანი მაგრამ იმედიანი ორი წყვილი ნაღდქართული კურცხალი მიდგას.

შეჰმედ ალემდაროღლუ-მჟავანაძე

შეჰმედ ალემდაროღლუ-მჟავანაძის ლექსები




სტუმრად მეჯმედ ალემდაროღლუ-მჟავანაძესთან სამუშაო კაბინეტში




მეჯმედ ალემდაროღლუ-მჟავანაძესთან შევხვდი თურქეთში მცხოვრებ ბევრ პატრიოტ ქართველს


TÜRKİYE CÜMHURİYETİ
MAARİF VEKİLLİGİ
LİSEYİ BİTİRME BELGESİ


TÜRKİYE CUMURİYETİ
KÜLTÜR BAKANLIGI
ORTAOKULU BİTİRME DİPLOMASI





აქიფ ქათამაძე



აქიფ ქათამაძე დაიბადა 1872 წელს შუახევის რაიონის სოფელ ჭვანაში, გლეხის ოჯახში. იგი ხალხში ცნობილია, როგორც ხალხური სიმღერების აღიარებული შემსრულებელი და მეტად ენამოსწრებული მოშაირე. ხალხს ახლაც კარგად ახსოვს გაშაირების მისეული ტექსტები, რომელიც პოეტური პაექრობის საუკეთესო ნიმუშად ითვლება.

ქათამაძეების გვარი ჭვანის ხეობაში მელექსეობითაა ცნობილი. ამ გვარის ერთ-ერთი პირველი მელექსეთაგანი სწორედ აქიფია. ხოლო მისი ოჯახი შემდგომ ხალხურ მელექსეთა კერად გადაიქცა: მამის კვალს გაჰყვნენ შვილები თოფია და მემედ ქათამაძეები, აგრეთვე ქალიშვილი ფადი ქათამაძე, ხოლო მათი პოეტური მემკვიდრეობის შეკრება-შენახვას დიდი წვლილი დასდო ნური ქათამაძემ.

ჭვანელ მელექსე-მოშაირეთა და მომღერალ-შემსრულებელთა მაღალი ოსტატობა აჭარაში საყოველთაოდ ცნობილია. ამაზე მიუთითებს სხვადასხვა პოეტური პაექრობის დროს წარმოთქმული სტრიქონებიც:

აჭარელი ხარ, ჭალელი,
ცოცხ ჭადის ჭამელი.

შენ ჩეგურში[1] ვერ მაჯობებ,
თუნდ დეხმარდო ჭვანელი...[2]

მთქმელები დღესაც დიდი ინტერესით იხსენებენ აქიფისა და უცნობი გურული ქალის გაშაირებას, რომელიც ზეპირსიტყვიერებაში ვარიანტება-

[1] ჩეგური — ჩონგური. ბგი, როგორც საკრავი ინსტრუმენტი, აჭარაში სიმბოლურად მელექსეობასაც გამოხატავს.

[2] „აჭარელისა და გურულის გაშაირება“, ბსკი, ფ. 1, ს. 68, გვ. 79.

დაა გავრცელებული.[3] ასევე ვარიანტების სახით გვხვდება აქიფის მეორე გაშაირება გურულ ქალთან.[4]

აქიფ ქათამაძე მთელს ზემოაჭარაში დაფასებულ მელექსედ ითვლებოდა. მეზობელ სოფელში, — ბარათაულში ვინმე აჰმედ-აღას ულამაზესი ქალი ჰყოლია, რომელიც აქიფს მოსწონებია. ქალსაც შეჰყვარებია აქიფი, მაგრამ ვაჟი ღარიბი ჩამომავლობისა იყო და აღა მას ქალს არ მისცხოვებდა. ქალის თანხმობას აქიფი წაუქეზებია და ქალი მოუტაცნია. განრისხებულა აჰმედ-აღა, ზემოაჭარის მაშინდელ მმართველთან, ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილთან უჩივლია. ბეგს ცოლ-ქმარი დაუპატიმრებია და აჰმედ-აღას თანდასწრებით დაუკითხავს. ბოლოს აქიფისთვის უკითხავს, თავს რით მოიწონებ, რომ აღას ქალი მოხიბლეო. მე მოშაირე ვარ, სხვა ხელობა არა გამაჩნია რაო, უთქვამს აქიფს. მაშინ ბეგს ტუსაღისთვის ჩონგური მიურთმევია. აქიფს ჩონგურზე ზამოუკრავს და თავისი ამბავი იქვე, მომხიბვლელად, სიმღერით გადმოუცია:

წისქვილს ჰური დავაყარე, მე ეს გოგო არ მეთხოვა,
სარეცელი გოგდებოდა. მერაყისგან (დარდისაგან) მოკდებოდა-ო...[5]

თან შიგადაშიგ გამწყრალი სიმამრიც გაუშაირებია.

— ეს ბიჭი გოგოს როგორ არ მოხიბლავდა, — უთქვამს აღტაცებულ ბეგს, — ამას შენი ქალი არ დაეშლებაო, დაუმშვიდებია აჰმედ-აღა. მაშინ აქიფს მადლობა ისევ ლექსად მოუხდია:

—ბატონო, ღვთით ხარ ქებული, თავი სად გამომეყოფა.
გშვენის აჭარის ბეგობა. ბეგო, ცხონება რათ გინდა,
ქალი რომ უკან წამართვან, შენ ჩემი მადლიც გეყოფა.[6]

ამის თქმაზე აჰმედ-აღას გაღიმებია და ბეგისთვის უთქვამს, — რა ასეთი სიტყვები თქვა, აწი სიძობასაც მოაფერებსო და აქიფს შერიგებია. ასე დაუხსნია თავი მელექსეს თავისი ნიჭის წყალობით.

აქიფ ქათამაძეს საინტერესო ცხოვრება გამოუვლია. გარდა ლექსისა, იგი პოლიტიკურ ბრძოლაშიც სცდიდა ხოლმე ძალას, იბრძოდა თავისუფლებისათვის. გადმოცემით ვიგებთ და ამას თვითონ აქიფის ერთი ლექ-

---

[3] ბსკი, ფ. I, ს. 185, გვ. 8. 1973, ე. დავითაძის ჩანაწერი.

[4] ბსკი, ფ. 1, ს. 185, გვ. 93, 1973, ე. დავითაძის ჩანაწერი.

[5] ე. დავითაძის საკუთარი ჩანაწერებიდან.

[6] ე. დავითაძის საკუთარი ჩანაწერებიდან, (ნური აქიფის ძე ქათამაძის შესახებ).

სიც ადასტურებს, რომ მას ოზურგეთის პრისტავის მოკვლაც უცდია და ამისათვის პატიმრობაშიც ყოფილა, მეფის რუსეთის ციხე-საკანთა სუსხიც გაუსინჯავს.

საქართველოში რევოლუციის შემოსვლის შემდეგ ხიჭაურის საბჭოს რევკომის თავმჯდომარედაც უმუშავნია და მაშინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონია. მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რომ ლექსის, როგორც მახვილი იარაღის გამოყენების ტრადიცია აქიფთანაც შენახჩუნებული და დადასტურებულია, რაც კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ სახალხო მელექსენი თავიანთ პოეტურ ნიჭსა ლექსით გართობაში როდი ფლანგავდნენ, ისინი ლექსსაც საერო სამსახურში აყენებდნენ.

აქიფ ქათამაძე გარდაიცვალა 1944 წელს, დაკრძალულია ჭვანის ხეობის სოფელ ვარჯანაულში.

1. ლეჩხი ჰვანის აჯანყებაზე

პაწაწა ცხოვრება ავაწყე, ახლა ხელი შემეშალა,
ნიკოლამ და ფადიშაჰმა დიდი ჩხუბი რომ გაშალა.
მათი ჩხუბის გულისათვის კიდეც ქედფი მომეშალა,
ჰვანამ სილახი ასწია, ზედან ჩეთე გადმეცშალა.
ჩეთემ ისევ იქ გაიქცა, პირში გამოივლო ჩალა,
გუგუმები რომ წამართვა და დუჭანი დამიშალა.
ურუმი ძორდაწ გაძარცვეს, იმან ჭკვაზე შეიშალა,
მაგათ ნიკოლაწ ჯობია, დავსილი ვნახე ინშალა.
ის გასაცვეთელი გუბსკი ხიჭავრშია კამანდარი,
ჰვანას რუსი ჩაგვიყენა, დაგვიყენა ავიდარი.
ვინაც ჩვენ თოფი გვესროლა, ასე ამბობს კამანდარი,
უნდა გავჭლიტოთ ბოლომდე, ცხვირში გავადინოთ ძმარი
სელიმას თოფი მიეცი, ბარდენაწ ლათინკიანა,
ალიოსმანსა ლივერი, დიდი ვითოჟირიანა
სხუანებმაც რომ მომთხუეს სილახები დანიანა —
ყველაფერი თუ მოგეცი, წამოგყვები ჩემიანა.
ხალხმა სილახი მოძებნა, ფიშეკი ბარუთიანა.
უსტასელიმაწ აკეთებს თოფებს ლივერებიანა,
ეს ნაჩალნიკმა გაუგო, გამეცბარა ძმებიანა,
იმან ფირალათ გავიდა მის ამხანაგებიანა.
ფირალები კი გადარჩენ, მეც რომ პაწაწ მოვერიდე,
თოფან-ბეგი დაიჭირეს კამანდარისა მომრიდე,
ახლა დარჩობა მოგელის, რამდენიც გინდა ერიდე,
გუბსკი ასე უჩივოდა, მისი ჭირის გადამკიდე.
მთელი ჰვანა დაიბარეს, შუახევი — უჩამბიანა,
ხიჭავრშია თოფან-ბეგი. შეკრული ხელებიანა.
მისი ერთად ჩანჩხალველი ახალგაზრდა ბიჭიანა,
აიყვანეს ტარაღაჯზე ერთი და ორივეძანა.
აბდესი ააღებიეს, ხელს იბანდა პირიანა,
სელავათი ჩაიკითხა, დაილოცა ღმერთიანა.

კამანდარო, შეგირცხვება სვინდისი ნამუსიანა.
ჩემი დახრჩობით მიიღებ ჯვარსა მინდალებიანა.
ზღვაზე თოკები მოდვეს იმ ერთსა ორივეანა,
ჯალათმა ფეხი გამოკრა. ხრამში წაუბიძგიანა,
ჩაეხახრჩეს, მოათავეს ის ერთი და ორიანა,
ხალხმა ტირილი დაიწყო — ჩამოგვარჩეთ ჩვენიანა.
ამას მეც კი ვუყურებდი ქათამაძის გვარიანა,
ლექსის დაწერა მინდოდა, ვეღარ ვთქვი ყველაფრიანა,
უჩუმარად წერა დევწყე, რომ დავიწვი გულიანა,
ვეღარც გავბედე სიმღერა: მე ჩემი ჩონგურიანა.

9. ლექსი ტუსაღ აჭიფ ქათამაძეზე

დავჯედი ლექსი გამოვთქვი დაფიქრებული ვარ მეტი
სულ რომ კაცმა იხლაფორთო მომხმარები არის ღმერთი.
სუდში საქმე რომ ჩამჭროდეს არ მჭონია ერთის მეტი
კაცი ვერაფერს გიშველის, მომხმარები არის ღმერთი.

საჯამარულოზე მიევედი ზალიან მომცეს წუვალება,
ნაუბალში ჩაგაგდებენ, კაცი ვერ მოგეხმარება.
ათასხუთასი მანეთი ყოველ ადგილზე გეხარჯება,
მოყვარე და შენიანებს შენი ნახვა შეზარდება.

ცოხეში ვჯივარ საწყალი, გამჩერებია მუხლები,
გარედამ სალდათი შიდგას, თოფზე რომ აქვან სუნგები (ხიშტები)
კლახა ბედისაც კი დავრჩი, შავი დღიდან დავიბადე,
თუთხმეტი წლის უავიქენი, ბევრი საქმე გამოვსცადე.

ცხრა კლიტურში რომ ჩამაგდეს იყო მაღლა შემართული,
აკოშკები ზედ რომ კი აქ, კინებითა დახლართული.
ვერ ვხედავ მზე და მოვარეს, მენატრება ქვეყნის შუქი,
გულში დარდი არ დეილევა. ასტე შომიდის წერაში.

ჭირისუფალს სელამს მოგწერ, თუ გახსოვდე გუნებაში,
ცოლ-შვილი რომ მეცოდება, გლახათ დამჩა ობლათ სახში.
ღმერთო, ამ დღეს რათ შემყარე, ჩამაგდევი ამ ტანჯვაში,
ლხინი, სიმღერა მიყვარდა, მეტათ ბიჭებში თამაში.

პირში ყველაი მიცინიდა, როდესაც ვიყავი სახში,
ბეურსაც კი უხარია, მე ჩამაგდეს ნაუბახში.
იგინსაც კი არ შერჩება ღმერთით რუმ გამუვალ კარში,
მტერობა თუ ჩემზე ქონდა შემხდენოდა საცხა გზაში.

ამფერ დროში ამ სიცოცხლეს მე ვერ ვათქმიეფ ენასა,
მომაკლილეს ქალ-ბაღანას ჩემ საყვარელსა დედასა.
ადრე ხანში გიახლები ღმერთით გნახავ სუყველასა,
ღმერთო, შენ გმადლობ, მოწყალევ, რომ გამხადე ამ ბედისა

გვარიანათ გავიტანჯე, გამოვცადე აგი ციხე*,
სუდმა მომცა ჩემზე ხვედრი, სატანჯველათ ბნელი ციხე.
არ მშორდება სატანჯველი, მემატება ჭირი-ჭირზე,
მეტათ ჯავრი-წუხარება ყველაი ერთათ მიწუვს გულზე.

ტანჯვას კი არ ვუშინდები, დღეს რუმ კი ამომხდეს სული,
ქალ-ბაღანაი მეცოდება, იმით მიყონდება გული.
ციხეში ვარ დაჯდომარე, აი ლექსი მაქ გამოთქმული.
მე ნურავინ ნუ მომძებნით, ქალ-ბაღანას მითხვეთ ყური.

ნურვის უკვირს ჩემზე ავი, ღმერთი არის დამწერავი,
სულ ვაფთხილე ამას თავი და მაინც გადამბდა ავი.
სელამი ყველა წამკითხველს, ვინც გაიგოს აი ამბავი.
ამ ლექსისა გამომთქმელი აქიფაი ვარ დამწერავი.

გიორგობის თვის ოზდაერთში გამოთქვი აგი ლექსი 1906 წ.

---

* 1905 წელს აქიფ ქათამაძე თავს დაესხა ოზურგეთის პრისტავს და დასჭრა იგი. აქიფი ჯერ სიფაველობის ქვეშ აიყვანა ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილმა, აჭარის ძაშხდელმა მმართველმა, მაგრამ პატიმრობას მაინც ვერ ასცდა. ამაზე მოგვითხრობს ეს ლექსი.

ვ. სალამი თახსინ-ეფენდი

სალამი თახსინ-ეფენდი, კაცი ხარ ხიმშიაშვილი,
ახლა ხარ თიფლისში მაგრამ, ძველი ხარ აჭარლის შვილი.
გახსოვს ბათუმში რომ იყავ, ჩემზედ გაიღე მახვილი,
რაფერ ტყვილაი დაიჯერე, ჩემზე მოტანილი ტყვილი.

შენ გეწყინა, რატომ ვიყავ უშენოთ პოსტზე ასული,
ვიყავ რევკომის უფროსი, გამბაროვის დანიშნული.
შენ კი გამბაროვი გძულდა, იმას უქენი ღალატი,
მისი ადგილი დეიკავე, კაცი გახდი ორი-ყათი. (ორმაგი).

კაცი მომხსენი პოსტიდან, რევკომის თავმჯდომარე,
მერე ციხე დამიპირე. იმიტომ გამომიბარე.
გამჯავრდი და დამემუქრე. ახლოს რომ არ გამეკარე,
ჰაშინ იყო, სულ რომ ტყვილაი ჩეკისტები დამაყარე.

დავენდევი პირობასა, მივედი და ჩავებარე,
მაგრამ მაინც დამიჭირეს, ეს კი იყო მეტი მწარე.
შენი ჩეკისტების ერთად ძმლეთამდის[1] გავიარე,
ხულოშიც ვერ მიმიყვანეს, დავბრუნდი, გამევიარე.

იქ რომ შეგვხდა მომავალი ალიოშა თაყაიშვილი,
მასთან შალვა დადიანი, დალოცვილი დედის შვილი.
ისინი მიცნობდნენ როგორც რომ მე ვიყავი მართალი,
ჩეკისტებს უთხრეს, გაუშვით, ჩვენ ვიცით ხიმშიაშვილი.

ავი კაცის სიავეზე არასდროს მეჭირა თვალი,
საქართველოს კომისრებმა გამიშვეს კაცი მართალი.
ბოლოს მაინც რომ შევრიგდით, ამაში ვარ მადლობელი,
ავათ რომ ხარ, გინახულეფ, ამ ლექსისა გამომთქმელი.

ჩვიდმეტი, წიფობის-თვე, 1926 წ.

---

[1] ძმლეთი-სოფელია შუახევის რაიონში.

თახსინ ხიმშიაშვილი—აჭარის ცაკის თავმჯდომარე იყო. გამბაროვი კი აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. როგორც ლექსი მოგვითხრობს, აქიფი მის მიერ ყოფილა დანიშნული ხიჭაურის საბჭოს რევკომის თავმჯდომარედ, ამიტომ ხიმშიაშვილს თვალით ვერ ამოეგდია იგი, იმიტომ, რომ თვითონ არ სწყალობდა გამბაროვს. ლექსში მოთხრობილია შალვა დადიანის და ალიოშა თაყაიშვილის გულკეთილ დახმარებაზე, რასაც იგი პატიმრობისაგან უხსნია.

4. აჭიფისა და ჩონგურის გაშაირება

აჭიფი

ჩამოთქვი, ჩემო ჩონგურო,
სიმებში მიეცი ხმაი.
მეც რომ ეხლა დაგამღერებ,
ამას რაღათ უნდა თქმაი.
ხალხი ყველა შენ შეგაქებს
და ქალები ყველა კაი,
ქეიფობაზე შენ გითხოვენ,
მეტად განთქმული გაქ ხმაი.
სახელად გქვია ჩონგური
მეტათ ნაზი, დიდებული.
თვით მე ვარ შენი პატრონი,
შენთანვე დაბადებული.
შენთვის სულს ამოვისუნთქავ,
მით იალბუზ-არსიანობ.

ჩონგური

რაც შემიყვარდი, მას
შემდეგ
გემსახურები, ბატონო.
მოგიკვდეს შენი ჩონგური,
თუ შეგარცხვინო, პატრონო.
ალყები კარგათ დამიბი,
სიმი აბრეშუმისაო.
მეც ამბავებს მოგახსენებ
ათას ბარის და მთისაო.

აჭიფი

რთული ყეღდი გამიწიე,
ჩემო კარგო მეგობარო.
სიმებტკბილო, დაუღლელო,
სიმღერის და ლექსის თვალო,
ჩამოთქვი მარგალიტები,
რომ დათვლითაც ვერ
დათვალონ..

ჩონგური

ამოდენა ვემსახურეთ,
არ გევდა პატივისცემა.
აწი ვარი მოვახსენოთ.
შენ რა გენაღვლება, შენა.
დავისვენოთ, გენაცვალე,
ნუ შემაწუხებ ჩქარაო.

აჭიფი

ეგრემ თუ დაგეზარება,
ეგ რა ქეიფია, რაღაო.
უსაზღვრო მადლით გისტუმრებ
ადიხარ მაღლა-მაღლაო.
ამდენი ხალხი გიყურებს
რავა თუ შენი დაღლაო.
აწი მინდიხარ ერთგული,
ზოშზეც მუედი ახლაო.

ჩონგური

ვთხოვოთ საზოგადოებას,
იყოს პატარა სმენაო,
რომ მოგახსენო ამბავი,
ჩემი პატრონის ყველაო
მრავალსა გარდანახადსა
გიამბობს ჩემი ენაო.
და რასაც გეტყვი, ჩონგური,
არც მოგატყუებ თქვენაო.
ბევრჯერ, სადაც წაჰიყვანა
დღე იყო თუ ღამე ბნელი —
ვისაც ესტუმრა, ხვდებოდნენ.
აბა, გამარჯვება თქვენი.
სულ ქების ხმა გაისმოდა.
მხარზე თათუნი ხელია.
დაგვლოცეს უანწით, ჩონგურ-ა
თვითონაც ეახელია...

აჭიფი

იცოცხლე, ჩემო ჩონგურო,
სიმღერით დალიე დღენი.
ხალხის სიკეთე იქნება
შენი საქმე და სახელი.

სალამი შენ, ხალხის გულო,
მეც შადიდებს შენი მცნება.
მეჩონგურემ დაისვენოს —
ეს სიკვდილშიც არ იქნება.

5. აჭიფ ქათამაძისა და გურული ქალის გაშაირება

აჭიფი

ქალი ვნახე იმისთანა,
საახალწლოთ, მიწურულში.
პირველათ რომ დავინახე,
ის იწვა ბატის ბუმბულში.
შევხედე და მომეწონა,
თანაც ჩამივარდა გულში.
ერთ ქეიფის ფულს გედევხდი,
რომ ვაკოცებდე ძუძუში.

გურული

აქარელო, ეგ რა ბრძანე,
და გვაკადრე ხიტყვა მრუში.
მაგისმეტი თუ არნა თქვა,
ჩონგურს ხელი ქე გოუშვი.

აჭიფი

თქვენი ჩონგური რა არის,
გადააგდეთ თუნდა რუში.
ჩემსას ხელათაც გავაჩენ,
ხებერს მივცემ ხიჭაურში

გურული

ჩონგური რა საბრალოა,
დაგამადლოთ ნატეხ პურში.
ან სავაჭროთ ხომ არ ვხიევართ,
რომე გაგიცვალოთ ფულში.

აჭიფი

ლექსი სამასხროთ გითხარი,
ცუდი არ გეივლოთ გულში
რუსთაველმა დაგვიძრახა
ხევენა-კოცნა, ტლაშა-ტლუში,
ჯობს, რომ ძმური ლექსები
ვთქვათ,
კრიმანჭული ანდა ტუში.

ც. დურსუნ-ბეგის ცხენის ლექსი

ძველათ ასე იყო მაგრამ ახლაც ასეთი წესია,
სუყველაყამ დაუყურეთ-ეს დურსუნ-ბეგის ლექსია.
ისეთი ცხენი იყიდა, რომ ბუზები დეესია,
გაეპენა, გაირბინა საათში ასი ვერსია.

ვაი, შენს გამომყიდველსა, ამოუვარდა ფესვია,
ამდენი რაფერ ირბინე, ჯაგლაგი ხარ და ლეშია.
კიდო კაჲ არ გადახრამდი, იქ მაღრანის ღელეშია,
ისკენდერმა დაგიჭირა, მოგათრია ეზოშია.

ღამე ბაგაზე დაამბა, მარტო იყო ახორშია,
ძვა-ფაფარი რას უგავდა, ვერ გაარჩევდი ჯორშია.
უნაგირიც რომ იყიდა, რომ ჩააყენა ზორშია,
იფიქრა-გავაჯირითებ, ასეთი ქონდა ხოშია.

ნაყიდობას გადახდილი ნახევარი ქონდა ვალი,
იმ ღამეს ახორში ება, არ ჭამა არც უსვამს წყალი.
მეგემ ისე გაცვკთილა, ხმა არ ამოიღო ცალი,
დურსუნ-ბეგსა დაესიზმრა — ცხენს ფეხზე მოთხარა ნალი.

დილას ისკენდერმა ნახა-აშვერილი ოთხვე ნალი,
მორიდებით მიაძახა: დურსუნ-ბეგ ცხენი დაკალი.
თუ ძმაი ხარ შენ დაკალი, ტანზე დაიწყო კანკალი,
რაღა ექნა არ იცოდა, აღარც ქონდა მისი ჰალი.

ცხენი თლათ არ იზარალა — ქონით საპონი გაფიქლა,
ტყავი ქალაბნათ იხმარა, როცა ზამთარი დაფიფქა.
ამ ლექსისა გამომთქმელი ვარჯანავლელი აქიფა,
რა უნდოდა დურსუნ-ბეგთან, რა ეშმაკმა ეს აფიქრა...

1918 წელი.

სოფელ ჰვანის ძველი ცხოვრებიდან

რეშიდ-აღა ახლიანი ჰკუა აქ დიდი კაცისა,
სიტყვას იტყვის მოგწონდება, ახლა გეტყვის სიტყვას ძვირსა.
კაცი კაცად რომ ვარგოდეს ჰკქა უნდა ჰქონდეს კაცისა,
სახელად ყველაი კაცია, ზოგს კი ჰკუა აქ მხეცისა.

ჰვანა თუ არ დაიშლება, აჭარა არ გასწორდება,
სანამ ჰვანა დაიშლება, ნიკოლაძ გადავარდება.
გალაქოვი როცხა გახდა ნაჩალნიკი ჩვენ ხულაში,
ახმედ-აღა შეაწუხა პირველად სოფელ ჰვანაში.

ახმედ-აღამ შეუთვალა, გალაჭოვსა თავის სახლში:
ხორომის სამას გასწავლი თუ ჩამოხვიდე ჰვანაში.
გალაქოვი ჯემალ ბეგის ნაჩალიკი როიცხა გახდა
ხულას და ლორჯომის საქმე იმიტომ ძალიან წახდა.

ახმედ-აღა რა ყოფილა, დიდი შეცდომა დაუშვა,
მეგემ ჯემალ ბეგი ჰვანას მაშინ რომ არ ჩამოუშვა.
ახმედ აღამ-ჯემალ ბეგსა გაუგზავნა თხის თიკნები,
ძეტი რიშვეთი თუ მოგცე, მსახურაძე არ ვიქნები...

ედემ სურმანიძე

(ქ ო ჩ ა ხ ე ლ ა)



ედემ მემედის ძე სურმანიძე (ქოჩახელა) დაიბადა 1874 წელს სოფელ ნადაბურში (ხულოს რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. მამამისი მოჯამაგირე იყო, ხოლო შემდეგ სულოში გადმოსულა და ხიმშიაშვილების კარზე მზარეულობა დაუწყია. ქოჩახელას მამა ლხინის მოყვარული და მეტად ხუმარა კაცი ყოფილა. ხალხის გადმოცემით ბეგების კარზე გამართულ ჭიდაობაში, ცეკვა-თამაშსა თუ გაშაირებაში მუდამ მემედი იმარჯვებდა თურმე. ბეგები მოხიბლული ყოფილან მთიელი კაცის საზრიანობით, ენამოსწრებულობითა და მჭევრმეტყველებით. თავისი მოარული ცხოვრებისა და ოხუნჯობის გამო ბეგებმა მემედს „ქოჩახელა“ შეარქვეს, რაც შემდეგ შვილის მეტსახელადაც იქცა. „ქოჩახელა“ (შვილი) და-ძმებთან ერთად სოფელში იზრდებოდა. ედემს ბავშვობა სიდუხჭირესა და გაჭირვებაში გაუტარებია. მისი ხელობა მწყემსობა იყო, სადაც იგი სიყვარულით ეწაფებოდა მთიელი ხალხის მდიდარ სიტყვიერებას. სწავლობდა ლექს-სიმღერებს, მამის წაბაძვით შაირებსაც თხზავდა. იგი ჯერ კიდევ პატარაობისას დაუახლოვდა ცნობილ ხიხაძირელ მეჭიბონეებს — ხულუს აბაშიძესა და საფო ხალვაშს, რომლებმაც მას ჯერ ჭიბონის დაკვრა, ხოლო შემდეგ ამ მუსიკალური ინსტრუმენტის დამზადებაც ასწავლეს. მალე ედემს მწყემსობისათვის თავი დაუნებებია და ხელობად მეჭიბონობა აურჩევია. ჭიბონის დაკვრაში ისე დაოსტატებულა, რომ ხეობის ყველა ცნობილი მეჭიბონე უკან ჩამოუტოვებია.

მათგან განსხვავებით ედემს ზეპირად სცოდნია უამრავი ხალხური ლექსი და შაირი, რომელსაც მომხიბლავად ამღერებდა კიდეც. ედემი თვითონაც თხზავდა ხალხურ ლექსებსა და ლამაზ შაირებს და თვითონვე ურჩევდა მელოდიას. ამის წყალობით ედემის პოეტური რეპერტუარი მუდამ მდიდარი და ამოუწურავი იყო. ედემი ხიხაძირის ხეობაში არსებულ სოფლებში გამართული ქორწილების, ნადის, შუამთობის და სხვა ხალხური თავშეკრებილობის ხშირი სტუმარი იყო. ასე, თანდათან იგი ცნობილ მუსიკალურ შემსრულებლად და მელექსედ ჩამოყალიბდა. ედემ სურმანიძემ დიდი ამაგი დასდო აჭარაში ხალხური სიმღერისა და მუსიკალური ფოლკლორის განვითარების საქმეს, რაც მკვლევარებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ.[1] საზოგადოება ედემს დღემდე უფრო ჭიბონზე დაკვრითა და სიმღერით იცნობდა, ვიდრე მოშაირეობით, მაგრამ ედემი პროფესიონალ მუსიკოს-შემსრულებელთან ერთად პროფესიონალი მელექსე-მოშაირეც იყო. მის მიერ შეთხზულია ჭიბონზე დასამღერებელი მრავალი შაირი. ჭიბონი და შაირი,— ეს ორი რამ განუყრელი იყო მისთვის... „ის ქოჩახელაა და ბიზალი ასლანიძე ბეგების მოშაირეები იყვნენ. ჯემალ-ბეგს ემსახურებოდნენ ისინი და მხიარულობის დროზე ართობდნენ... იმის სელობა ის იყო, ყანაში არ იმუშავებდა და ჭალაში. ხალხი თვითონ გაუთოხნიდა, შეშასაც მუტანდა, ოღონდ მას ემხიარულა: ძველები იტყოდნენ: ქოჩახელაი ჰავლში[2] დაჟდებოდა, ჭიბონს დაუკრავდა, შაირს იტყოდა და ხალხი მის ყანას თოხნიდაო"[3] — შენიშნავს მთქმელი ახმედ მიბალის ძე შაინიძე. ან კიდევ: „...იყო შემთხვევა, რომ ერთ თვეს არ მოვდოდა, ერთ კვირას სახლში. ზოგჯერ სახლში იყო, მარა რომ ვეტყოდით შეშა მეიტანეო, დაბტებოდა ჭიბონს და გეიქცეოდა. იტყოდა: თქვენ რომ მამუშავოთ, ხელები მეტკინება და ჭიბონს როგორ დუკრავო..."[4] გადმოგვცემს ედემის მეუღლე, სუსი ყადირის ასული სურმანიძე.

ხიხაძიბში არის ტოპონიმი „ქოჩახი", რომელიც ხიმშიაშვილთა საზაფხულო დასასვენებელი იყო. თედო სახოკია „მოგზაურობან"-ში მიუთითებს: „ქართულად ქოჩახი პატარა ქოთანს ჰქვიან. ადვილი შესაძლებელია ეს სახელი ამ სოფელს თავის მდებარეობის გამო დარქმეოდა. აჭა-

[1] ალ. მსხალაძე, ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, თბ., 1969; გ. გაბისონია, საგუნდო ხელოვნების მოამგენი, ბათუმი, 1974, გვ. 50.

[2] ჰავლი — დერეფანი.

[3] ბსკი, ფ. 1, ს. 189, ვვ. 61, 1974, ე. დავითაძის ჩანაწერი.

[4] ა. მსხალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

ურობას ყოველმხრივ მთები აკრავს და ქოთანთან დიდი მსგავსება აქვს“.[5] ზოგი ვარაუდით მეტსახელი „ქოჩახელა“ ამ სოფლის სახელთან არის დაკავშირებული, სოლო ედემს იგი მამამისის — მემედ სუბმანიძისაგან გადმოყვა, რომელიც მას ბეგებმა შეარქვეს.[6] ეს ვარაუდი ანგარიშგასაწევია. ისიც დამაჯერებელია, რომ ედემს მეტსახელი უდროოდ დალუპული მამისაგან გადმოსცემოდა.

ქოჩახელას საშემსრულებლო ხელოვნებამ და პოეტურმა ნიჭმა მთელი შესაძლებლობით ფრთა გაშალა ახალი ყოფის შემდეგ. ცხოვრებისეული სიბრძნითა და პროფესიული ოსტატობით ამაღლებულმა სახალხო ხელოვანმა მალე სოფლის ეზოებიდან თეატრების სცენებზე გადაინაცვლა. 1934 წელს, ამიერკავკასიის ხალხთა პირველ ოლიმპიადაზე ხიხაძიძის თვითმოქმედ გუნდთან ერთად, რომელსაც ცნობილი ხალხური მოცეკვავე 80 წლის ასლან აბაშიძე ხელმძღვანელობდა, ფართო მაყურებელმა „ქოჩახელას“ ოსტატობაც იხილა. 1937 წელს კი იგი მონაწილეობდა საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. „ქოჩახელას“ დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა შემსრულებელთა აღზრდა-დაოსტატების საქმეში. ხალხური ხელოვნების ასპარეზზე წარმატებებისათვის იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

„ქოჩახელას“ შემოქმედებითი ნიჭი თვით პოეტსაც კი აღაფრთოვანებდა:

> თქვენთან ვიყავ ყოველთვის, როცა, ძმებო, გჭიროდით,
> მარად თქვენთან ვიქნები ჩემი ხმით და მირონით,
> როს მოკვდები, დამმარხეთ, ჩამატანეთ ჭიბონი.[7]

სოლო მისი ჭიბონიდან გადმოღვრილი ქართული ჰანგები სამუდამოდ ჩარჩენიათ სმენაში მის თანამედროვეებს.

სიკვდილის შემდეგ ჭიბონთან შეზრდილ ქოჩახელაზე ერთი ამგვარი მოარული ხუმრობა შეიქმნა: ქოჩახელას რომ შეეკითხებოდნენ თურმე, „რამდენი წელია ედემ რაც ჭიბონზე უკრავო“, ეტყოდა: ასი წელიაო... ხოლო, როცა ჰკითხავდნენ, „თავად რამდენი წლისა ბრძანდებიო“, — უპასუხებდა: ასე, 88 წლისა მაინც ვიქნებიო...

ასე „დაავიწყა“ ჭიბონთან თანაზიარობამ მგოსანს საკუთარი ასაკიც ქოჩახელა გარდაიცვალა 1956 წელს, 95 წლის ასაკში, იგი დაკრძალულია ხულოს რაიონის სოფელ კვატიაში.

---

[5] თ. სახოკია, „მოგზაურობანი“, თბ., 1950, გვ. 228.

[6] გ. გაბისონია, საგუნდო ხელოვნების მოამაგენი, ბათუმი, 1974, გვ. 60.

[7] მ. ვარშანიძე, ლექსები, ბათუმი, 1976.

1. საჭორწილო სახუმარო

მაყარი

დედამთილო, გამეხვედე,
მოგიყვანეთ შენი რძალი.
ავი თვალით თუ შეხედო,
ტურამ გახრას შენი ძვალი.

დედამთილი

რძალო, შენი მობრძანება
მზის ამოსვლის დარიაო,
კარს თუ მოდექ, შინ შემოდი,
ღია არის კარიაო.

რძალი

დედამთილო, ხომ გითხარი
სარჩული ჯობს საპირესო.
სიცილით რომ დამაპირე,
ახლა რაღა გატირებსო.

დედამთილი

რა ვიცოდი, ჩემო რძალო,
ფეხი გქონდა ოხერიო
სადილი ვერ გამიკეთე,
ვერ მოწველე ძროხებიო.

რძალი

სარძიეში შემაგზავნე
ნუ იქნება ობიაო.
მობრუნებაც ვერ მოვასწარ
თავს დამამხე გობიაო.

დედამთილი

სარძიეში რა გინდოდა,
სულ გეძინა ბალიშზეო,
რა სიკეთეც შენ მიყავი,
ჯავრს ამევყრი ბადიშზეო.

მაყარი

დედამთილო, გამეხვედე,
მოგიყვანეთ შენი რძალი.
ავი თვალით თუ შეხედო,
ტურამ გახრას შენი ძვალი.

2. სიძე-სიდედრი

— დედამთილს თუ სიძე უყვარს
ჭი მოვიდა სადილობა.
— დიახ, უკვე მოვბრძანდებით,
შემშვენის დედამთილობა.
სადილი კაჲ უნდა იყოს,
სიძეს უნდა კადრულობა.

— სიძეს ულვაში ამშვენებს
და წელში გამართულობა.
— სადილს პატიჯი არ უნდა,
არც ზედმეტი ქართულობა.

— სუფრას შერბეთი უხდება,
ჯამ-ჭურჭელის მორთულობა.
— მაშინ სიძეც მობრძანდება,
მადით იცის მირთმულობა...

3. ერთი ლექსი მოგახსენო...

ერთი ლექსი მოგახსენო
მაღალ ახალ ზეგნიდანა.
გამჩენელო, შემიბრალე,
უნდა მოვკვდე დერდიდანა.
ვერცერთი დოხტური მარჩენს
ვერაფერი წამლიდანა.
შიგნით გულში დაწული ვარ
ამ ლამაზი სევდიდანა.
ქაღალდივით თეთრი შუბლი
მიანათებს წინედანა,
იმას ქვეშდან შავი თვალი —
გაჩენილი ღმერთიდანა.
ზედ ნამწნები დიეყარა,
ოქრო იყო სირმიდანა.
იმას ქვეშდან თეთრი ლოყა —
გადაშლილი ვარდიდანა.
ეს ქვეყანა რაღათ მინდა,
ერთი ვუკბენდე ზედანა...

ШИРИН ШАРАШИДЗЕ



Ширин Шарашидзе даибада 1875 (или 1880) წელს. ამ საინტერესო სახალხო მელექსის შესახებ საკმაო ცნობები მოგვეპოვება, თუმცა ისინი ამომწურავ პასუხს მაინც ვერ იძლევიან Ширин Шараშидзе პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესახებ.

ხალხი Ширин Шараშидзეს უფრო წარმომავლობითი შინაარსის გვარით (ვოდელიოღლი) იცნობს. ასევე არის იგი მოხსენიებული ლექსების იმ მრავალრიცხოვან ვარიანტებში, რომელთაც ხალხის მესხიერების წყალობით ჩვენამდე მოუღწევია. მისი ნამდვილი გვარი და სახელი კი Ширин Шараშидзе.[1]

Ширин Шараშидзе ბავშვობა არაფრით განსხვავდება ზემოაჭარის სხვა გლეხის შვილთა დუხჭირი ცხოვრებისაგან. მასაც წილად რგებია ოსმალო მოხელეების მიერ შესყიდული და გაწვრთნილი ხოჯა-მოლების დამამცირებელი წკეპლების ატანა, რათა გაუგებარი მუსლიმანური ლოცვანები დაეზეპირებინა. მაგრამ პატარა Ширини იმთავითვე მეამბოხე სულის ყმაწვილი ყოფილა თურმე. ამის გამო ხშირადაც უწვნევია მედრესის შეუბრალებელი ჯალათის გულისწყრომა. გამუდმებული დამცირება და ყმაწვილკაცური სულის შეურაცხყოფა მასში უფრო შეუდრეკელ მეამბოხეს ამზადებდა, ვიდრე მორჩილ მორწმუნეს.

წამოიზარდა თუ არა, თავსგასულ მესაკუთრეთა ბოგინი არად ეპიტნავა, არც ბეგ-აღების მსახურად ყოფნა და რუსეთის თვითმპყრობელობის მოხელეთა ძალადობა ეჭაშნიკა და ფარულად თუ აშკარად მათ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. საამისოდ იგი ღვთითმომადლებულ ნიჭსაც იყენებდა. თხზავდა და ავრცელებდა ხალხის მწვალებელთა დამცინავ ლექსებს, რომელშიც ააშკარავებდა მჩაგვრელთა გაიძვერობას.

[1] ა. ახელედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970, გვ. 148.

ადგილობრივ ხელისუფ[illegible]იდან არ გამორჩენიათ გლეხის ბიჭის მეამბოხეობა და მიშქსი არათუ აჭა[illegible]ა გადაუწყვეტიათ, რისთვისაც სათანადო საბაბს ეძებდნენ[illegible]

შირინ შარაშიძის სადაურობის შესახებ ცნობები გვხვდება მის მიერ გამოთქმული „ვოდელიოღლის ლექსის" ვარიანტებში. ამ ლექსის ერთერთ იმერხეულ ვარიანტში, რომელიც ნ. მარს ვინმე მოლა-იბრაიმ შერიფჩაუშ-ოღლისაგან ჩაუწერია, ვკითხულობთ:

ოდელიოღლის თუ იკითხავ,
ჭვანას აქ მისი ვათანი.[2]

ხოლო ამ ცნობილი სახალხო მელექსის ფირალობას ლექსის შინაარსთან ერთად ამტკიცებს მთქმელთა მიერ გაკეთებული კომენტარებიც. ქედის რაიონის სოფელ მერისში ჩაწერილ ვარიანტში ვკითხულობთ: „შირინა ვოდელიოღლი იყო კაჩაღი ჭვანიდან".[3] ამ კომენტარს ამაგრებს ქედის რაიონში ჩაწერილი ლექსის ერთი ვარიანტიც:

ღალატიდან მეშინია,
ვეღარ დავდექი ჭვანაში.
ღალატობა რომ შემოვდა,
ვეღარ დავდექი მე სახში.[4]

ამგვარად იმერხეული და აჭარული ვარიანტების შედარება გვარწმუნებს, რომ შირინ შარაშიძე აჭარელია, წარმოშობით ჭვანელი (შუახევის რაიონი) ყაჩაღია.

ნ. მარის მიერ იმერხევში ჩაწერილი ლექსის ვარიანტით ვიგებთ, რომ სახალხო მთქმელი ოცი წლისა გასულა ყაჩაღად:

ფირალად რომ გამოვედი,
არ ვიყავი ოცი წლისა.[5]

აჭარაში ჩაწერილ ვარიანტებში კი შ. შარაშიძის ყაჩაღად გასვლის ასაკი 25 წელია:

ფირალად რომ გამოვედი,
ვიქნებოდი ოცდახუთში...[6]

---

[2] Н. Марр. Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII. С-П., 1911, стр. 48

[3] ბსკი, ფ. 54, გვ. 104 (ციტირებულია ა. ახვლედიანის წიგნიდან).

[4] ბსკი, ფ. 5, გვ. 133, ლექსი ჩაწერილია ს. ბერიძის მიერ ს. სიხალიძეებში (ქედის რაიონი), 76 წლის ზაფხარ ოსმანის ძე დიასამიძისაგან.

[5] Н. Марр, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

[6] ბსკი, ფ. 54, 1959, გვ. 98.

ან კიდევ:

[illegible]
და ვიქნები ოცდ[illegible]თში...[7]

პირობითია თვით მელექსის დაბადების თარიღიც; ნ. მარის ჩანაწერებსა და ცნობებზე დაყრდნობით იგი ასე გამოიყურება: ნ. მარი მის მიერ იმერხევში ჩაწერილ ლექსის ვარიანტზე შენიშნავს, რომ Разбойничьи песни сочинены года три-четыре тому назад пирал-ом Одел-огли-шириною".[8] ნ. მარმა კი იმერხევში იმოგზაურა 1904 წლის ივლის-აგვისტოში. და თუ ლექსი, რომელშიც მელექსე თავისთავს ოცი წლის ახალგაზრდად იხსენიებს, — დაწერილია ამ მოგზაურობიდან „სამი-ოთხი წლით" ადრე, მაშინ მელექსის დაბადების თარიღი იქნებოდა 1880 წელი. ხოლო, თვით „შირინ ვოღელიოღლის ლექსის" შექმნა 1900-იან წლებში ივარაუდება. თუ ანგარიშს გავუწევთ აჭარაში ჩაწერილ ვარიანტებს, რომ ფირალად შირინ შარაშიძე გასულა 25 წლისა და შევუდარებთ ლექსის შექმნის თარიღს (1900), მაშინ დაბადების თარიღად მიჩნეული უნდა იქნეს 1875 წელი.

ამჯერად ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამ თარიღს. უფრო მთავარი ისაა, რომ ლექსში დაცული სტრიქონებიცა და ჩამწერის, ნ. მარის კომენტარიც ვოღელიოღლის ლექსის ავტორად თვითონ ყაჩაღ შირინ შარაშიძეს (ვოღელიოღლი) მიიჩნევს. „ლექსები შექმნილია ფირალ ოღელიოღლი შირინას მიერ" — შენიშნავს მარი.

იმერხეველი საიდე აღანიძე, რომლისგანაც ნ. მარს მასალები ჩაუწერია, შირინ ვოღელიოღლის ასახელებს „თაგვისა და კატის" ლექსის ავტორადაც. ლექსის ერთ-ერთ აჭარულ ვარიანტში ვკითხულობთ.

„ფირალობა დამიმტკივეს,
ვეღარ ვქენი სახში რჩენა,
სამა-სიმღერა მიყვარდა,
ქოშიებში შამოფრენა.[9]

ამგვარად, მოტანილი მასალები ეჭვს არ იწვევს, რომ შირინ ვოღელიოღლი ერთ-ერთი აღიარებული მელექსე ყოფილა თავის დროზე. ხო-

[7] ბსკი, ფ. XI, 1961, გვ. 28.
[8] Н. Марр, დასახ., ნაშრომი, გვ. 46 (ციტირებულია ა. ახვლედიანის წიგნიდან).
[9] ბსკი, ფ. 57 გვ. 104.

ლო მის მიერ შეთხზული ლექსი არათუ აჭარაში, იმერხევშიც კი გავრცელებულა და იგი სიმღერითაც სრულდებოდა.[10]

თუ მთქმელთა გადმოცემებს დავეყრდნობით, მას სატრფიალო ლექსებიც ბლომად უნდა ჰქონოდა გამოთქმული: „ვოდელიოღლი დიდი ლამაზი კაცი იყო. მაგას ყავდა შეყვარებული ქალი, ლექსით შააყვარა თავი"[11] — ამბობს მთქმელი.

შარაშიძესვე უნდა ეკუთვნოდეს აჭარაში გავრცელებული ლექსი, რომელიც კონტამინირებულია „ავთანდილ გადინადირას" ცნობილ ლექსთან.[12]

„ვოდელიოღლის ლექსი" და მისი კომენტარი გვიხსნის სახალხო შელექსის გაყაჩაღების მიზეზსაც: „შირინ ვოდელიოღლი იყო ყაჩაღი ჭვანიდან. მამის მკვლელი მოკლა და გაფირალდა. შემდეგ დიდი ზარალი მიაყენა მაშინდელ ზაფთიებს, ადგილობრივ ბეგებს და რუსის ჯარს" — შენიშნავს მთქმელი. ხალხის სიმპათია ყაჩაღი მელექსისადმი იმითაც იყო განპირობებული, რომ იგი ებრძვის ხალხისავე მტრებს და იცავს ღარიბთა ინტერესებს:

„თაში ბასხუნი დამეცა,
იქ მოვკალი ზაფთიებში.
იქიდან შინ წამოვედი,
არ მომკლებია არხატაში".[13]

სხვა ცნობებით იგი ახლოს იცნობდა და ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ აჭარელ ყაჩაღ მევლუდ დიასამიძესთანაც.[14] ერთი სიტყვით, მეფის მოხელეებს ამით შ. შარაშიძის თავიდან მოცილების საბაბიც მისცემიათ:

„შვიდი ნაჩანიკი მეძებს,
საქმე ჩამივარდა სუდში.
საღლამი ვერ ჩავბარდები,
მე გამგზავნიან სიბირში".[15]

---

[10] იხ. ნ. მარი, დასახ. ხაშრომი, გვ. 46, 54.

[11] მთქმელი ოდემ მევლუდის ძე დიასამიძე, 77 წლის, ჭ. ბათუმი (ციტირებულია ა. ახვლედიანის წიგნიდან).

[12] ა. ახვლედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 192-195.

[13] ბსკი, ფ. 54, გვ. 132.

[14] ა. ახვლედიანი, დასახ., ნაშრომი, გვ. 191.

[15] იქვე. გვ. 103.

სხვა ცნობითვე შ. შარაშიძე მეფის მოხელეებს დაუჭერიათ, თორმეტი წლით პატიმრობა მიუსჯიათ და ბორკილდადებული ზღვით ეზისთვის გაუყენებიათ კიდეც. გზაში იგი ზღვაში გადამხტარა და ჭოროხის პირზე გასულა. მოახლოებულ საშიშროებას საბოლოოდ იძულებული გაუხდია დაეტოვებინა სამშობლო მხარე და თურქეთში გაქცეულიყო,[16] სადაც დევნილი სახალხო გმირი და მელექსე მარტოობაში გარდაიცვალა.

[16] მთქმელ ადემ მეელუდის ძე დიასამიძის მონათხრობი იხ. ა. ახველედიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 190-191.

1. ვოდელიოღლის ლექსი

დავჯექ და წიგნი დავწერე,
ჩიტს გავატანე ხებრათა,
აგი საყვარელს მუტანე —
ველარ ვესტუმრე ჩქარათა.
აბდულ-ბეგიც ძალჲან მეძებს.
ამდგარი არის ჯარათა,
იმიტომ ველარ ვესტუმრე,
კურცხალი შომდის ღვარათა.
ერთ გოგოზე აჰი დამრჩა,
ნუ დეინახავთ ბევრათა,
მე რომ მოვკვდე, სხვას მიეცით,
მე კი მჯობდეს თვალ-ტანათა.
ჩემი ყამა და ქემერი
თან გაატანეთ მზითვათა.
სელამი შემოგითვალე
გამომფრინვალე ჩიტითა.
ასტე ძალჲან მენატრები,
მე რომ სულის სიმწარითა,
ქვეყანა მტერად ამიტყდა,
მონდობილი ვარ გულითა.
დავჯდეთ და დევიფიქროთ,
სად წავიდეთ საითკენა.
ფირალობა დამიმტკიცეს,
ველარ ვქენი სახლში რჩენა.
სამა-სიმღერა მიყვარდა,
ქოშიებში შამოფრენა.
ნაჩალნიკები მტერი მყავს,
იგინია იმფო ფენა.
თოფის სროლას რომ დავიწყეფ,
ჩაუვარდებიან ენა.

ათას კაცში ჯარიდანა
მე გავფრინდები ტყისკენა,
დავჯდეთ ახლა, ლექსი ეუთხრათ,
დავამღეროთ მოზიკასა.
სელამ-ქელამს მოგახსენებ
ჩემსა ნაცნობ ზაფთიებსა.
ბასხუნზე რომ დამეცემით,
ნუ დამატანთ მე ძალასა,
ჩემი მოკლით რა იქნება,
არ ამუავსეფ თქვენ მეზერსა.
ცუდ ამბავს ნუ გუუგზავნით
საცოდავსა დედა-ჩემსა,
ბევრი ამბავი გადახტა,
ველარ გუთევს ჩემ ტირილსა.
შვიდი წელიწადი ვფიქრობ
ამ ლექსისა გამოთქმასა,
უსულითაც დევეარები.
ველარ ვიღებ ძალჲან ხმასა.
აბდულ-ბეგი ძალჲან მეძებს,
აღარ მაძლევს მე შველასა.
მისი გვარი გაფუჭდება,
ღმერთი მისცემს დიდ ბელასა.
ასტე ძალჲან მე რუმ მეძებს.
იქ რას ეტყვის მაღალ ღმერთსა.
ლაღუმი რომ გავისროლე,
ეს ეგონენ ციციელი.
დაჯდენ იქ და დაიტირეს
სულ ყველამა მითი სული.
მათი ნათქვამი არა ვარ,
ძალჲან დარჩენ დაჩაგრული.

გარეთ ზუზუნი შეიქნა,
შითა ჩამოვკეტე კარი,
სამი მაზღალა გამოვჭერ,
თითო თოფი ყველას ვკარი.
ბორი რუმენ დუუკარი,
ავასამე გარეთ ჯარი.
მეორე დღეს დაეჭუჭკენ,
შაიძახეს: აქ არ არი.
შვიდი ნაჩალნიკი მეძებს,
საქმემ ჩამივარდა სუდში.
საღლამი ვერ ჩავბარდები,
გამაგზავნიან სიბირში.

თავზე ბასხუნი დემეცა
იქ მოვკალი ზაფთაებაში.
იქიდან რომ წამოველი,
არ მომკლებაა არხატაში.
ვერა კაცი მე ვერ მიშოვს,
დევგაარები მარტვად ტყეში.
ამხანაგათ მართინი მაქ,
მიკავია მუდამ ხელში.
მთაში-ბარში დევგაარები,
ასლანსაც ვგავარ თვალებში.
რაც კაცმა რომ მიღალატოს,
ის დეიწვას ჯოჯოხეთში.

ჯ. აჰარული დესტანი

დავჯექი, წიგნი დავწერე,
ჩიტ გავატანე ხებრათა,
აი საყვარელს მიუტანე,
რო ვერ ვესტუმრე ჩქარათა.
აბდულ ბეგი ძალუან მეძებს,
გამდგარი არის ჯარათა.
ამისგან ვეღარ გესტუმრე,
კურცხალი მომდის ღვარადა.
იმ გოგოზე სევდა დამრჩა,
ნულარ დეგნახავთ ბევრათა:
მე რო მოვკვდე, სხვას რომ მიცეთ,
მე რო მჯობდეს თვალტანათა.
ჩემი ყამა და ქემერი
თან წაატანე მზითვათა.
სელამი შემომითვალე
გამომფრინვალი ჩიტითა.
ქვეყანა ტერათ იმიტყდა,
მონდობილი ვარ გულითა.

გულიდან თუ ამომიღე,
რაღას მატყუებ ენითა!
დავჯექი და დავიტირე
მოწუწუნებული ხმითა.
რა ჩეთინდა გულის სევდა,
გულის სიმწარით დავდნები!
გულში მერაყმა მევიდეს,
გაბუტულივით დავჯდები.
რა ჩეთინდა გულის სევდა,
ფეხის ფრჩხილამდი რო გეწვდა!
ვინცხას სევდა არ უწვევდა,
იმას გონდა ფქვილი გუდა,
რა ჩეთინდა სიყვარული,
ვერაფერი ვერ მიგიხთი!
თლათ რომე მე ვერა გკადრო,
ზოგი შენი ჰკვითაც მიხთი!
ათას წელწად რომ ვიცოცხლო,
შენ ეძლუგსა ვერ მევიხთი.

3. დამწვარი გული

წრეგანდელი წელიწადი,
ჩემ დამწვარ გუნებას გავს,
ყველ მწუხარებისათვის
მას თითო მიზეზი ჰყავს.
ჩემი გამჭკნობის მიზეზი,
მეც ერთი დამწველი მყავს,
აი ლამაზ თუ იკითხავ,
სამოთხის ყვავილებ გავს.
ამისთანას მე ვმერაყობ,
რაც გადმოველ აკვნიდანა,
ახლა რა ვქნა, რა ვიგონო,
უნდა წავხდე დარდიდანა.
ექიმებიც ვერ მომარჩენს,
ვერა ჯიშის წამლიდანა.
ჩემი ექიმი შენა ხარ,
ახლო მობრძანდი ჩემთანა.
ახლა ყველას მოგიყვები,
რაც გადამხდა მწუხარება.
უშენოთ მე ვიტანჯები —
სული მოდის გულიდანა.
დღისით ვიწვი, ვიხრაკები,
არ მემჩნევა გარედანა,
შენი სახე მეჩვენება
მელაიქების ჰურიდანა.

უფრო-უფრო ლამაზდები,
უნდა დასწვა ეს ქვეყანა,
შემშალე და გადამრიე,
გამომიყვანე ჭკვიდანა.
შავი, ლამაზი თვალ-წარბი,
მოცემული ღმერთიდანა,
აქეთ-იქით ლოყიები,
შაჰარ ვაშლის ნაჭრიდანა.
ზრუგზე ნამწნევი გიხდება,
ოქრო არის სირმიდანა,
ჭაღალდივით თეთრი შუბლი
მოგანათლებს წინედანა.
საყვარელო ყური შიგდე,
ერთი სიტყვა მაქ შენთანა!
გენაცვალე, არ გამიწყრე,
ახლო მობრძანდი ჩემთანა.
გამჩენი თუ ერთი იცი,
ნუ გამოხვალ ხათრიდანა.
არაფერი დაგაკლდება
ჯვრთი ჩაკონებიდანა.
მოვალ შენთან, ჩამიკონე,
არ დეჭცევა ცა-ქვეყანა,
ია-ვარდი — მოქარგულო
მაღლი წამუა ზეციდანა.

4. ვერკი, ვერკი, ვერკის ფერი

ვერკი, ვერკი, ვერკის ფერი
იმას ზედგან შენი თმები,
ყაჭი და ბუმბულის ფერი.
იმას ქვეიდგან წარბები,
ზღაში გველეშაპის ფერი,

შედევნებული თვალები,
ცაში მასკლავების ფერი,
იქეთ-აქეთა ყურები
გადაშლილა ვარდის ფერი,
იქეთ-აქეთა ლოყიები,

საბენელა ვაშლისფერი,
იმას ქვედან ტიტვირები,
შეღებულა ბოის ფერი,
შით დამწყრეველი კიბილები,
ალთუნის სავარცხლის ფერი,
შეყოლებულია ყია,
წყლი სასმელი სტეჭნის ფერი,
განათლებულია გული,
ზემჰერულა თოვლის ფერი,
შეყოლებულია წელი,
ახალ მოზდა ჩჭოლის ფერი,
დაყუყვილა თეთრი ჭიპი
ჩოჩოჭვავის კვერცხის ფერი.

აკოშკაზე მომდგარიყავ

აკოშკაზე მომდგარიყავ,
ქოჩორიც გადმოგეყარა,
ათი თითი, ბროლის ხელი
წმინდა წელში ჩეგეყარა.
ლოყა შენი ვარდის ფერი,
ზეთ შაქარი მოგეყარა;
რა იქნება, შენც გიყვარდე,
გენაცვალა თლათ ქვეყანა.
რაღა შენი ბედიც მომცა,
თუ გამჩენმა მომიყვანა.
გაგიგორდები კლავებზე
როგორც რომ შენი ბაღანა.
ეს ასეა, გეხვეწები,
აღარ მიზამო მაჰანა,
ერთი წიგნი შენც მომწერე,
მ•მახდინე, თუ არაო,
წიგნი თუ ვერ დევინახე,
მუცელში ვიკრა დანაო.
ფიშმანს მემრე კი ვახტები,
დაგაკლდები თვალში მარა,
სიცოცხლეში თავ მანატრი,
ყოფნაც მინდა სულ ერთგანა.
მუსლიმანი თუ ბძანდები,
ჩამოგეჭარი ბაღანა.
მე საწყალი კი მოვკტები,
მიწას დერდი ჩამყუება.
სიყვარულმა ასე მომკლა,
გულზე იაღი შემომაღნა,
ბურანშია, წამიყვანა.
ღმერთო, შენაც შეიბრალე
ამისი მთქმელი ფუხარა,
სიყვარული ვინც არ იცის.
იმას უთხარით დიდხანა.

ც. სატრფოსთან (ცოლთან) განშორების ლექსი

ერთ გოგოზე აჰი დამრჩა,
ნუ დეინახავთ ბევრათა.
მე რომ მოვკტე, სხვას მიეცით,
მე კი მჯობდეს თვალ-ტანათა.
შენსკენ გამოვფრინდები,
ბუდეს ჩიტი ვარ მერცხალი.
საყვარელ, შენ• ჭირიმე,
დემენახვე მე ცოცხალი.

ქალი
შენ რომ წადი, მემრენ ვტირი,
თვალზე მომდის კურცხალი.
შენ რა გიშავს, საყვარელო,
საწყალია ჩემი თაეი.

ქაცი
ოსმალოში რომ ვაპირობ,
მოგშორდი და ვეღარ გნახე.
შენ თუ ჩემთვის არ იტირო,
ეშმაკების ფხარზე გნახე.

ქალი
ცაში მიფრინავს მიმინო,
სად წახვედი შირინო.
მტირალე რომ გაგაგზავნე,
ახლა რაფერ ვიძინო...[1]

7. ცოტა რამეს მოგახსენებ

(თაგვის ლექსი)

ცოტა რამეს შოგახსენებ, მწუხარებას თავისასო,
უფულობამ შემაწუხა, ვერ დავდექი თავის სახლსო,
ახლა ბათუმში ჩავედი, იქ მივენდე ინწკირველსო,
ინწკირველმა გვისაშველა, მის ოთახის უკან გვერდსო.
ერთი თაგვი შემოგვიჩთა, ღამე არ გვაძინებს წამსო,
მუდამ რაცხას ახრაგუნებს, ვითომ აშენებდეს სახლსო,
გარეთ აღარ გამოგვიშვა, გადაგვიდგა სახლის კარსო,
მუდამ რაცხას აღრაჭუნებს, ვითომ ხრავდეს ძაღლის ძვალსო
ხაზეინს გავაგებინეთ ჩვენი თავის მწუხარება,
შენ რომ სახლი გვაქირავე, ჩვენ მოგვანიჭე უფლება,
თვარა ეკითხოთ ერთი მაგ თაგვს, მუდამ რას ეხრაგუნება.
გაუგზავნოთ თაგვსა კაცი, შენ რა გინდა თაგვო რწმუნო.
ძმობას გირჩევ, რომ გაჩერდე, ღამე შენთვის წაიყურო,
ხომ არ გინდა, რომ დაგჩეხო და ორ-სამ კვირეს გატირო,
შეგკოჭო და გაგაგზავნო, ციმბირს იქით გაგაცილო,
მოგიქნიო ხანჯლის წვერი, მისხალიც არ შეგაშორო.
ახლა თაგვმა უპასუხა: — შენ რა გინდა, ხაზეინო,
შენ რომ ქოშეს აშენებდი, მე მიმქონდა მაღლა დვირო.
ჩემ ზიარ სახლში ქეიფობ, მუდამ გიდგას შაეი ღვინო.
სახლის ნაწილს თუ არ მაძლევ, აღარ უნდა დამემდურო.
— შენ უგვაროვ, უყბაყურო, აღარ უნდა შემაგინო,
ცოტა პურის კიდეს მოვხრავ, რადგან აღარ მასვით ღვინო,
თვარა იმფერ საქმეს გიზამ, მეზობლები გავაკვირვო.

[1] ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფ. № 57, გვ. 100.

ყემბერ ხაბაზი



ყემბერ ხუსეინის ძე ხაბაზი დაიბადა 1876 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში. მის შესახებ ცნობები ცოტა მოგვეპოვება. ვიცით, რომ იგი ცნობილი მელექსის ხუსეინ ხაბაზი (ქამჯარაძის) შვილი ყოფილა და საყურადღებო ლექსებიც დარჩენია. ერთ-ერთი ასეთია „სიბერე",[1] რომელიც ვარიანტებადაა გავრცელებული აჭარაში. ესაა დაფიქრებული ადამიანის მსჯელობა ამქვეყნიური ცხოვრების წარმავალ ხასიათზე და აღსავსეა ფილოსოფიურად გააზრებული ღრმა ლირიკული განცდებით.

სიბერის ციკლის ლექსები საერთოდ ერთგვარად გვხვდება აჭარულ, და კერძოდ, ქობულეთურ ზეპირსიტყვიერებაში, რაც ამ ხასიათის ლექსების ტრადიციულობაზე მიგვანიშნებს.[2] მაგრამ ლექსი „სიბერე" თვითონ ყემბერს გამოუთქვამს თავისთავზე. გამორიცხული არაა, მას მანამდე არსებული ლექსების წაბაძვით შეექმნას იგი. ლექსს ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ვარიანტში პირდაპირაა მითითებული ავტორის ვინაობაზე:

სახლში მომცველი არ მყავდა, მარტო გავზარდე შვილები,
თვალში სინათლე ემერთვა, დამემშვიდობა ქვრივები.
ვერაფერი ვერ შევხპირდი, ველარ ვიშოვე ბაზი,
ასე უბედოთ გატარდა ჩვენი ყემბერი ხაბაზი.[3]

---

[1] აჭარის ხალხური პოეზია. I, თბ, 1969, გვ. 134.

[2] ზ. თანდილავა. 1974 წლის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, ქართული ენის აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, 1, თბ, 1976.

[3] ლექსი მოკლეობის გამო არ მოგვაქვს, სრულიად იხ. ბსკი, ფ. 1, 36, გვ. 35. 1960, ჯ. ნოღაიდელის ჩანაწერი.

ყემბერ ხაბაზი ცნობილი ხალხური მთქმელების ხასან ხაბაზის, ქამილ ჯინჭარაძის, ხუსეინ ბაჯელიძის, ატატო გურიელის და სხვათა თანამედროვე იყო, ამიტომ მისი სახელი არაერთხელაა მოხსენიებული თვით ამ მელექსე-მოშაირეთა ურთიერთგაბაასებაში, ყემბერი ხასან ხაბაზის ასლო ნათესავი იყო. გაშაირების დროს მოწინააღმდეგის გაქილიკება კი ჩვეულებრივი მოვლენაა. სწორედ ამ მოტივით უსხენებს ქამილ ჯინჭარაძე თავის მეტოქეს ყემბერის სახელს:

ბევრი უნდა მომეწერა, აქ დამელია მანია,
თქვენ რომ ჩემსას არ დადიხართ, ნეჭაი ვისი ბრალია?!
აპოხტი ქათამი კაჲ მყავს, ბევრი მსხალი და ვაშლია,
ყემბერი თუ მოგყავს, გიყურეფ, მომექცა ვორვე თვალია.[4]

ყემბერის სხენება არც ხასანს ავიწყდება თავის სამაგიერო პასუხებში, სოლო სანაცვლოდ თვითონაც ვინმე აბროსს (ამბროსს) უხსენებს:

...ამ დღეებში გესტუმრები, თუ ინახავ აპოხტ ქათამს,
ყემბერსაც კი წამოვიყვან, ვიოხუნჯოთ იმ მთელ ღამეს,
მაგრამ თქვენთან სათხვარი მაქვს, თუკი შემისროლებ
რამეს,
ამბროსი წამოიყვანეთ, დავშატიჟოთ იმ ერთ ღამეს.
ჩემს ოჯახს მით გაახარებს, ვინც ნამეტარ ღვინოს
დალევს,
მაშინ ვნახოთ შეჯიბრება, ღვინის სმაში თუ ვინ დასძლევს,
ამბროსი მიტომ გვჭირდება, თქვენ მაგივრად იგი
დალევს...[5]

ყემბერ ხაბაზს ეკუთვნის ლექსი „ძმაო ხუსეინ", რომელიც ქობულეთელი ბრმა მელექსის, ხუსეინ ბაჯელიძისადმია მიმართული. ყემბერს შეუტყვია, რომ ხუსეინს ორი ჩონგური ჰქონდა და ერთი საჩუქრად უთხოვია. ხუსეინს თხოვნა აუსრულებია, რის გამოც ყემბერს ლექსი უძღვნია, სადაც ავტორის სახელიცაა გატარებული:

ყიდვა ველარ შევიძელი,
ველარ ვიშოვე აბაზი.
ვაჟის ქორწილი მოგსწროდეს,
დაგსწროდეს ყემბერ ხაბაზი...[6]

---

[4] აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 98.
[5] იქვე, გვ. 99.
[6] იქვე.

ყემბერს, როგორც ეტყობა, წესად ჰქონია ლექსებში თავისი სახელის ხსენება. ასეთია მაგალითად ლექსი „არტელი ჩამოყალიბდა“, რომელიც ახალგაზრდობისადმია მიძღვნილი და ახალი ცხოვრების აპოლოგეტს წარმოადგენს:

შეიძლება კარგი ვერ ვთქვი,
თქვენ არ დამძრახავთ მაგაში.
ჭოხუცი კაცი გახლავარ,
ბველი ყემბერი ხაბაზი.[7]

ყემბერ ხაბაზი პოეტური პაექროპის ოსტატიც იყო, მას გურული მულექსენიც კარგად იცნობდნენ. ამაზე მიუთითებს ხუსეინ ხაბაზისა და ატატო გურიელის გაშაირება, სადაც ვკითხულობთ:

ატატო, გურია შენია, მთაი, ბარი და მინდორი,
ყემბერი შენთან აპირებს, უნდა შეგთხოვოს ინდოური...[8]

ხოლო ატატო პასუხობს:

მაღლობელი ვართ, ხუსეინ, შენ რომ გვასტუმრე ყემბერი,
მაგ სირცხვილიდან გამუალ, როდესაც ჩამუა ბებური.[9]

ყემბერი მართლაც სწვევია ატატო გურიელს და მასთან უპაექრია. როგორც ჩანს, ენაკვიმატ და ხუმარა ყემბერს მოშაირე ქალი გაუნაწყენებია. შესაძლოა ამ წყენის მიზეზი გურულ ქალთან ნათქვამი პორნოგრაფიული შაირი იყოს, რომელიც ამჟამადაც მრავალ ვარიანტადაა გავრცელებული აჭარაში. ამის გამო ატატო გურიელი ხაბაზს „ემუქრება“ ბებურ ბებურიშვილის ჩამოსვლით (ბებურიშვილი იზურგეთის მაზრის უფროსად მუშაობდა, ხოლო ხაბაზი, როგორც ცნობილია, მეფის მოწინააღმდეგე ნაყაჩაღარი იყო. სწორედ ეს უნდა ჰქონოდა მხედველობაში ატატო გურიელს, ხაბაზს რომ ემუქრებოდა). ბებურ ბებურიშვილი თვითონაც მელექსეობდა და ყემბერის მსგავსად ოხუნჯიც იყო. ამაზე მეტყველებს 1975 წელს ჩაწერილი დადიანის ქალის — ნინოსა და ბებურიშვილის გაშაირება:

---

[7] ლექსი სრულიად იხ. ბსკი, ფ. 1, ს. 40, გვ. 42.

[8] ლექსები თქმული ხუსეინ ხაბაზ-ქამჯარაძისაგან, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტ. 3, 1900, გვ. 25.

[9] სრულად იხ. ბსკი, ფ. 1, ს. 39, გვ. 5. იგულისხმება ბებურ ბებურიშვილი,

ნინო —ბებურ ბებურიშვილიო, დადიანის ქალი ბარო.
საარშიყოდ მოსულიო. პუზირევსკი[10] რომ
არშიყობას ვერ გაბედავს მოუკლავთ
ძლიერ მოხუცებულიო. მაშინ დაბადებულბარო.
ბებური —არშიყობას ვინა ისიც გასაკვირველია
გაბედავს ჯოხით რომ არ დადიბარო...[11]

ასე მოსწრებულად დაუმარცხებია მელექსე ქალი ბებურს. სხვა ვარაუდით ატატო შეიძლება „სირცხვილიდან გამოსვლას“ სწორედ ბებურიშვილის პოეტური ნიჭის წყალობით გულისხმობდა და არა ნაყაჩაღარზე მუქარას. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის განმსაზღვრელია ის ფაქტი, რომ ყემბერ ხაბაზს ცნობილ გურულ მელექსე ქალთან ატატო გურიელთანაც უპაექრია.

ყემბერ ხაბაზი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1938 წლის აგვისტოში და მშობლიურ სოფელშია დაკრძალული.

[10] პუზირევსკი იყო მეფის მოხელე, ზოგიერთი ცნობის მიხედვით იგი მოუკლავთ 1810-იან წლებში.

[11] ე. დავითაძის საკუთარი ჩანაწერებიდან, (დავით ყემბერის ძე ხაბაზის მონათხრობის).

1. არტელი ჩამოყალიბდა

ახალგაზრდებო, გილოცავთ, ხელში გეჭიროთ კალამი,
კარგი დროი გესარგებლოთ, ჩვენ უფროსებსაც სალამი.
ჩვენც ახალგაზრდა ვიყავით, ტანზე არ გვეცვა პერანგი,
მასწავლებელი სად გვყავდა, ბნელი დრო იყო მანამდი.
შემოგვეცალა ეკალი და იქ დაეთესეთ ვარდია,
არტელი ჩამოყალიბდა, ყველა ღარიბებს გვარგია.
გაანათლა არემარე, აღარ ღრიალებს ნადირი,
სოფელი ისე აყვავდა, სამოთხე არის ნამდვილი.
ეს ყველაფერი კარგია, ღმერთმა შეგარგოთ ტკბილადა,
მაგრამ წარსულს თუ დაკარგავთ, აღარ ივარგებთ შვილადა.
ბევრი უმღერის ჩემფერი, სულს რომ ვლაფავდით წინათა.
უმღერეთ ახალ დროებას, ნახული არის ძვირათა.
ძველიც ნუ დაგვავიწყდება, ჯიბეში გროში არ გვქონდა,
რაც რომ წვალებით მოგვყავდა ხოჯა-მოლებთან დაგვქონდა.
ახლა სკოლები გაგვიხსნეს, ჩვენი ბაღნების აღმზრდელი
შრომა საამო გაგვიხდა, ჩამოყალიბდა არტელი.
შევეჯიბროთ სხვა ქვეყნებსა, მდიდარს გავუსწოროთ თვალი,
სტახანოველი გამოვდგეთ, ვჭედოთ ჩვენი მომავალი.
არტელი ჩვენი ძმობაა, მან მოგვიყვანა ღონეზე.
ავაყვავილეთ ქვეყანა, დავდექით მაღალ დონეზე.
გაუმარჯოს განახლებულს ჩვენი ქვეყნის არემარეს,
გაუმარჯოს ჩვენს პარტიას, ჩვენს მთავრობას — მზეს და მთვარეს,
შეიძლება კარგი ვერ ვთქვა, და არ დამძრახოთ მაგაში,
მოხუცი კაცი გახლავარ, ძველი ყემბერი ხაბაზი.

2. სიბერის ლექსი

ვაი ოხერო სიბერევ, რაფერ შემატანე ხელი,
თმაი ადრე გამითეთრე, გლახათ დამიგრძელე წვერი.
კაცი არ შეგეცოდევება, მომაცილე ჩემი ძმები,
ლები მაგრათ მომაჩვენე, მიმამტრიე ცალი გვერდი.

გათენებამდი ვკრუსუნებ, სულ ვიძახი, დედავ, წელი,
არაკაცს არ ვეცოდვები, მარტო დავრჩი მე ობერი.
ყოლიფერ დღეს სახეს ვიცლი, შემეცლება პირზე ფერი,
წუხელის სიზმარი ვნახე, მიძახოდა ვითომ მტრები,
მამაჩემი მოსულიყო, უხაროდა ყოლიფერი.
შენზე ვარი არ გამივა, ჩემით მოვდივარ ბოინში,
მოხუცებამ შემაშინა, ველარ დავწევი ლოგინში,
მთა და ბარი გადავჯეკნე. გაიპარა ჩემი დროი,
მუშაობას ვერ ვძლებულობ, აწე უნდა ვწყესო ხმოი,
ხალხში ყოფნა მიხაროდა, ერთათ გამოსლა შარაზე,
რამეძს იმედი ხომ არ მაქვს, არ იყიდება ფარაზე.
გაჭირვებული კაცი ვარ, ახლა მეტყობა სახეზე,
მეზობლებმა დამემდურა, აღარ მიძახის რამეზე.
დროისდაგვარეთ ვატარეფ, აწე მინდა მიფერება,
ქალმა მითხრა, მოხუცი ხარ, აწე რაღა მეშველება.
სიკტილი კარზე მიდგანა, დაყლეპილი აქვს თვალები,
რა უდროოთ მე მომიკვდა ორივე ჩემი ქალები.
სახლში მომცდელი არ მყავდა, მარტო გავზარდე შვილე
თვალში სინათლე ემერთვა, დამემშვიდობა ქრიენი.
ვერაფერი ვერ შევხპირდი, ველარ ვიშოვე აბაზი,
ასე უბედოთ გატარდა ჩვენი ყემბერი ხაბაზი.

8. სიკვდილის ლექსი

მოდი, შვილო, დაიწერე, სამახსოვროთ ჩემი ლექსი,
მგონი სიკვდილმა მიკბინა, ამოვარდა მისი ფესვი.
მამაჩემიც ამ თვეს მოკვდა, მაისია ჩემი მტერი,
მოხუცდება, ყველა კვდება, ასტე არის ჩვენი ბედი.
განში უფრო წავიარე, აღმართია წინაღმდეგი,
შვილებს რომ არ შევებრალე, გარეთას რა ვენაღვლები.
გამგეობამ დაადგინა, ამუშავეთ აგი ბერი,
როდესაც შეძლება მქონდა, არ ვიყავი წინაღმდეგი
არტელი ძალდან მიყვარდა, აქტიურად ვითლებოდი,

მუშაობა შემძლებოდა ბედნიერი ვიქნებოდი.
მოსახლობა შემიმოკლდა, უძლური რომ შევიქნი.
გული გულობას არ შობა, ვინ დაარწმუნოს იგენი
თავმჯდომარედ ავირჩიეთ კომახიძეა მამუდი,
სადაც თვალი გადამავლო, ყველგან მომთხოვა ზაბუთი,
ჩემი დარდი ვიღას ვუთხრა, შენახული მაქვს უბეში,
არაკაცმა არ დასჯერდა, თუ არ დამხედეს კუბოში.
ღამე სული მიწუხდება, ყოველთვის კტრები მეჩვენება.
ამქვეყანას რომ ვეღარ ვძლეფ, მიწაში რა მეშველება.
ვემშვიდობები მეზობლებს, მიტომ დავდივარ ნელათა,
მეც ავაყვავე ქვეყანა, ნუ მემდურებით ტყვილათა.
თქვენ რომე ტყვილათ დარბოდით, მე ვმუშაობდი ძველათა,
მოვთხარე ბევრი ეკალი და მივათესე ჩაია,
ეხლა რომ ვეღარ შევძელი, იმი'თვის არ მაქვს ხმაია.
თქვენაც მოგისტრებს სიბერე, გაგითეთრდებათ თმაია,
თქვენც არ გიცნობენ ახლები, მაშინ მიხვდებით ავია,
თვალში სინათლე აგერთვის, დაგეპრანჭებათ ტყავია.

4. ლექსი ხუსეინ ხახუტაიშვილს*

ხესეინ-აღა, ლექსათ მოგწერ, ვიცი რომ არა გწყენია,
ისეთი გამიხარდება, ვითომც მოგეცეს ცხენია.
ისეთი ტკბილი კაცი ხარ და კი ხარ ყველგან ქებული,
გუშინ შევიტყე მოხუცმა, ორი გქონია ჩანგური,
მოძველოზე რაზი — ქე ვარ, არ ვიცი კარგათ მომართვა,
ვინცხამ იგი მაცოდინა, მისი ოჯახი მონათლა.
ღამ-ღამე ძილი მიტყდება, შეიძლება შემიბრალო,
თქვენგან წყალობა თუ იქნა, სამახსოვროთ შეგინახო.

* ხუსეინ ხახუტაიშვილი იყო აჭყვისთაველი გლეხი. მას ორი ჩონგური ჰქონია და მისთვის ერთი ყმაწვილს უთხოვნია. თხოვნა ლექსით გადაუცია მეზობლისთვის. როგორც ლექსში თვითონვე შენიშნავს, ხუსეინისთვის ლექსი თავისი შვილის ხუსეინ ხაბაზის ხელით გაუგზავნია. ხახუტაშვილს ჩონგური მარჯლაც მიუცია და მოხუცი გაუხარებია.

ყიდვა ვეღარ შევიძელი, ვეღარ ვიშოვე აბაზი.
ვაჟის ქორწილი მოგსწროდეს, დაგსწროდეს ყემბერ ხაბაზი,
პირველი მარტი ვიხარე, ჩიტმა დამიწყო გალობა,
ხუსეინს ჩანგური შევსთხოვე, მალე ქე მიქნა წყალობა.
ზამთარმაც ხელი შემიწყო, მოვმართე ბევრი ლექსები,
თქვენგანით მადლობელი ვარ, პატივისცემას ვეცდები.
თითქოს დარდის პატრონი ხარ, დაგაკლტა ორი ბაღნები,
ეხლა მემედი მოგსწროდეს, გაგაჭყერია თვალები,
მისი ქორწილი მოგსწროდეს, დადეთ მოგსლოდეს ქალები.
მეგრული ჩელა შეგშვენის, შენი მაღალი ბანითა,
სმაშიც რომ ყველას აჯობე, მე დაგინახე თვალითა.
ბევრი ქება გეკუთნება, ვეღარ ვიშოვე მასალა,
სწორეთ მადლობის ღირსი ხარ, თუ სიკვდილმა დამაცალა,
ყემბერ ხაბაზმა მოგწერე, ანტე ვიფიქრე საწყალმა.
აგი ლექსი მოგაწოდე ჩვენი ხუსეინის ხელითა,
შემადგენლობამ ილხინეთ და გაატარეთ მღერითა.

5. ლექსი მამუდ შავიშვილს*

ლეღვაიდან გავემგზავრე,
შავიშვილი ვარ მამუდი.
გზაში ხეველი დევნახე.
მენაბდეს გალმა მამულში.
ვატყოფ რომე მაღამდება,
სულ არ მიქნია დერდია.
ღამის გათევა არ მიჭირს,
დისულები მყავს ბევრია
მივედი და დავიძახე
საით ბრძანდება მემედი.
მამუდი ვარ შავიშვილი,
ლეღვაის სემთიდან მოვედი.

დგომაში გულზე მომიედა,
მოირთო შავი ზამთარი.
კისრიდან წყალი წამოვდა,
მთლად დამისოლა შარვალი,
თურმე ხიზარჯი ვეგონე,
საქმე დამირჩა წამხტარი.
ზურგზე ნახერხაი მხქონოდა
ჰალადა არა გამქრალი.
ბევრი ტანჯი გევიარე,
გევედი გალმა გორაზე,
იქაც დისული ვიკითხე.
იგიც არ დამხვდა ბინაზე.

* მამუდ შავიშვილი ყოფილა ეჰიეთელი გლეხი. ერთხელ მას აჭყვისთავში დისშვილებთან გამოუვლია. დისშვილები მასზე გამწყრალი ყოფილან და ღამე არ გაუთევნებიათ. ეს შეუტყვია ყემბერ ხაბაზს და ლექსი შეუთხზავს.

შენ მაინც გამათევიე
გალმა მემედის ჯინაზე.
ვერაკაცი ვერ დევნახე
იქ რაღა მჭონდა სათქმელი.
შავშვებმა კარი დაკეტეს,
თურმე ვეგონე მათხვარი,
ვატყოფ, რომე გარეთ ვრჩები,
დამირჩა ბევრი სათრევი.
მოყვრის მოყვარე მოვძებნე,
რომანიშვილი ხასანი.
იქაც ვიღან დამპაჯებდა,
თურმე ვეგონე ბაცანი.
გვედი გალმა შარაზე
უსმელად ვიყავ დამთრალი.
მევლუდი მადლობელი ვარ,
როგორც დამპაჯე ოჯახში.
კიდევ სიზმარი მეგონა,
რომ შემიყვანე ოთახში.
დიდი პატივი კი მეცი,
ხევსათ მაჭამე ფილავი,
ღამის გათევა გასჭირდა,
ხომ არ ვიყავი ფირალი,
მამუდი, შენი ბრალია,
აჭყვისთავში არ გაქვს ხმაი.
წვერს ხომ არა შევეხევი.
რატომ არ მეძახუჭე თმაი.
კისერი გაჯინჯლული გაქვს,
გაფსილი გაქ ხიჭით, ქვაით,
ნახერხაი ვერ დეძრეკე,
გაგიჭირდა სულის თქმაი.
ლექსი შენ არ გეწყინება,
ძველი ბიჭი ხარ, ქებული.
აწე ყველად გავფრთხილდებით,
ჩვენსას მომართე ჩანგური.

6. ლექსი ყემბერი ხაბაზის

ყოველ მხრიდან დატანჯული მე ვარ ყემბერი ხაბაზი,
როცა სირეგვნე მე მჭონდა, საქმე ვიცოდი ლამაზი.
მტერ-მოყვარეს შევხდებოდი, მე არ მჭონია ყუსური,
შვილებმა კეხი დამადგა, უკუღმა ამდვა კუსკუნი.

დღეი და ღამე ვფიქრავარ, საით ვიშოვო ადგილი,
სამშობლოზე მოშორება თქვენ არ გეგონოთ ადვილი,
ერთი რუსეთიდან მწერავს, მევორე შინ მეჯიმება, —
„აი მოხუცი ძღარ გაცდა“, — უგემურათ ეცინება.

ო, რა ჩეთინი ყოფილა სახლში საზღვარის დადება,
სულ ყოველ ღამე ჩხუბში ვარ, რამე დავდევი, სა წევდა,
კარგი რძალი მოვიყვანე, ეგებას ქონდეს საშველი,
მივეფერე, უფრო წახდა, არ დამიკლია საცდელი.

პატივისცემა არ გევდა, უდედოთ მყავს გამოზრდილი,
როდესაც დავაქორწინე, ახლა მტერია ნამდვილი.

მეზობლები მოიყვანა, მომაცილე აგი ბერი,
შვილო, რაღა გავარიგოთ, ჩვენ რაღა გვაქვს ამის მეტი.

მაინც არა დამიჯერა, დამიყლიპა შავი თვალი,
ამმეტს თუ აფერს მაძლევდი, რეიზა მომგუარე ქალი.
მე დიდარი არ ვიყავი, მუდამ კვირას ვქეიფობდი,
შვილი თუ მიღალატებდა, იგი ძმავო, რა ვიცოდი.

შვილის გაყოფა მაშაზე აგი ჩვენც ვიცით ვალია,
მიტომ ვიყარე საწყალმა, უქონლოობის ბრალია.
აწე მე რაღათ ვუნდებვარ, მოყვარე ჰყავს დიდებული,
აწე ისე გაატარებს ხელიხელჩაკიდებული.

სხვაჲ რომ არაფერი ყავდეს, სიმავრი ყავს მხიარული,
მეზობლებსა ეღაზვება ერთად მათი სიარული.
მშვიდობით, ჩემო ნაცნობო, გემშვიდობებით ყველასა,
სამი გოგონა სახლში მყავს, იგი არ მაძლევს შველასა.


ერთად ტარება მიყვარდა, ერთად გვეჭამა სადილი,
მაგრამ ბედმა ასე გამცა, სხვისი ბრალია ნამდვილი.
ბევრი რომ ვსთქვა მე საწყალმა, მაგრამ თქვენაც მოგწყინდება,
ჩემი ასე აქადნება კეთილებსაც ეწყინება.

ჩემ ნაქნარზე არ დასჯერდა, მეიწვია ძველი ბიძა;
არაფერი რომ არ მქონდა, მიტომ ძალიან ეწყინა.
წელიწადია ვფიქრობდი, თვალში ემერთვა სინათლე,
ვერაფერი ვიმუშავე, ახლა, უნდა ვსთქვა სიმართლე.

მისი ოჯახი აშენდა, თავმჯდომარე მყავს მენაბდე,
ბევრი ნუგეში დახარჯა, ეგებას მოვიდეს ჩკვაზე.
მასზე არასფერი გევდა ჩემი გამჩენის იღბალზე,
ძველი კაცის ნათქვამია, ანდაზა აიღე სხვაზე:
შვილს რომ სტოლზე ადღეგრძელებ, როგორ მოგყვება ჩკუაზე,

მაგრამ დისულებიც კი მყავს, იმიდან მქონდეს იმედი,
გზის მოყოლათ არ დამმარხოთ, არ დევნახო იგი ყბედი.
ხელებზე გენაცვალებით, დაამღერეთ გიტარაზე,
დიდი ჰირის გამომრები მე ვარ ყემბერი ხაბაზი.

ქამილ ჯინჭარაძე



ქამილ ჯინჭარაძე დაიბადა 1877 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში. წარმოშობით იგი გლეხის ოჯახიდან იყო, თუმცა აღიარებული მელექსეობის გამო ხალხი პატივისცემით ქამილაღას უწოდებდა. ლხინი თუ ქორწილი ისე არ ჩაივლიდა თურმე, ისე ქამილი არ ჰყოლოდათ, ამიტომ მოქეიფე კაცის სახელიც ჰქონდა.

ქამილ ჯინჭარაძე ცნობილი ხალხური მთქმელის ხასან ხაბაზის თანამედროვე და დედის მხრიდან მისი ბიძა იყო. ცნობილი მელექსეები ამავე დროს თანასოფლელებიც იყვნენ. ქამილი თავისი პოეტური რეპერტუარით, მართალია, ჩამორჩება დისწულს, მაგრამ თავის მხრივ ისიც ყურადღებას იპყრობს ხალასი პოეტური ნიჭით.

ქამილი პოეტური პაექრობის კარგი ოსტატი ყოფილა. ეს ჩანს თვით ხასან ხაბაზთან შეჯიბრში. ამ პერიოდისათვის ქამილი უკვე ხანში შესული ყოფილა და დისწულს ატყობინებდა: „მე მივალ და წამატანე, ვისაც უნდა შენი ავი“-ო,[1] მაგრამ დისშვილი ანუგეშებს „ჯერ სიკვდილზე ფიქრი ადრეა“-ო...

საზოგადოებაში კეთილ და ბრძენ კაცად ცნობილი ქამილი სიტყვამოსწრებული და პურღვინიანი კაცი ყოფილა, რაზედაც მეტყველებს მათს ცნობილ გაბაასებაში მიმართვა:

[1] აჭარის ხალხური პოეზია I, თბ., 1969, გვ. 98.

სიცოცხლით სავსე სალამი, მელამედღლი ქამილი,
ღმერთმა დიდებით გიმყოფოს თქვენი ძვირფასი
ცოლ-შვილი.
პურ-მარილი კარგი იცით, წესიერად მოწყობილი,
ენამახვილი კაცი ხარ, სიტყვაც იცით მოსტრებული...[2]

ქამილი ამის საპასუხოდ სტუმრად იწვევს ხასანს და თან ცნობილი მელექსის ყემბერ საბაზის წვევასაც სთხოვს. მის პოეტურ პაექრობაზე უგან ჯერჯერობით ეს ერთი ნიმუშია ცნობილი. ამ სახელოვანი მელექსისა სხვა თითქმის არაფერი შემოგვრჩენია, უფრო სწორად, ისინი ხალხშია გაბნეული და ავტორის სახელს დაცილებულია, რაც შეკრებასა და გამოცემას საჭიროებს. სამაგიეროდ, ქართულ ფოლკლორს მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო, როგორც ენაწყლიანმა მთქმელმა და შემსრულებელმა. ცნობილ ფოლკლორისტსა და ეთნოგრაფს ჯ. ნოღაიდელს 1934 წელს პირველად სწორედ მისგან მოუსმენია და ჩაუწერია უნიკალური ქობულეთური ნადუნი სიმღერის ისეთი ტექსტები, როგორიცაა „მოვიდოდა მშვიდობაო", „ვაჲ თუ დილას ყურდგელმაო", „მურვანი", „თას იღემი დაწოლილა", „ვაჲ თუ მუსა წოწისაო", „წერეთიეჲ" და სხვა.[3]

ქამილ ჯინჭარაძეს სიკვდილის უკანასკნელ დღემდე არ შეუნელებია ხალხური ლექსებისადმი ყურადღება და ზრუნვა, ზეპირსიტყვიერი მასალების შემგროვებლებთან ურთიერთობა. ქამილ ჯინჭარაძე გარდაიცვალა 1951 წლის 1 თებერვალს, 74 წლის ასაკში.

---

[2] იქვე.

[3] ა. ინაიშვილი, ჯ. ნოღაიდელი, გრ. ჩხიკვაძე, მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, თბ., 1961, გვ. 51, 52, 57, 58, 64; აგრეთვე კრებული — აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 137 (შენიშვნები).

1. გააბასება*

ჭამილის წერილი

მუდამ შენს ერთათ ყოფნაში ბელქი შეგაძულე თავი.
ღმერთმა ნუ ქნას იგი დღეი, თქვენ რომ დაგმართოდეს ავი,
გამარჯვებული იყავი, ♦სახელე შენი გვარი.
ახლა მეც კი მიძახიან, ხომ არ არის შენი ბრალი.
ყოლი კაცი ასტე მიდის, ჰკვიანია თუ აბდალი,
რომ არ წევდეთ, არ იქნება, დარი იყოს თუ ავდარი.
შენგან ცნობა ვერ მივიღე, ნეტავი ვისია ბრალი,
მე მივალ და წამატანე, ვისაც უნდა შენი ავი.

ხასანის პასუხი

სიცოცხლით სავსე სალამი, მელამედოღლი ჭამილი,
ღმერთმა დიდებით გიმყოფოს თქვენი ძვირფასი ცოლ-შვილი,
პურ-მარილი კარგი იცით, წესიერათ მოწყობლი,
ენამახვილი კაცი ხარ, სიტყვაც იცი მოსტრებული.
მაგრამ თქვენ რომ იწერებით, იმაზე ვარ გულნაკლულათ,
მიძახდანო, — რომე ამბობ, — ჯერ არ ხარ მოხუცებულათ.
ბიძაჩემო, გატყობინეფ, მე კი არა ვარ ჯამრთელი.
რალაც გულში ჩამესახა, მადნობს ვით თაფლის სანთელი.
მე კი ყველა შემიცოდებს, ჰკვიანია თუ აბდალი,
მოწყალე ღმერთს ვევედრები, თქვენ გეცოცხლოს ასი წელი.

ჭამილის მეორე წერილი

სულეიმანი და ხასანი, ეორვე ხართ ჩემი დისშვილი,
შენგან წერილი მივიღე, იმაში ვჭამე სირცხვილი.
სიზენგილეს ველოდები, თუ მოვიბრუნე ხელია,
ბათომს კაცი გავაგზავნე, თან თვითონ ვიახელია.
აქავრობა ჩამოიქცა, ვერ ვიშვე ვერაფერია,
სახლიდან გარეთ ვერ მივალ, შენზე შეხედვა მცხვენია,

* ჭამილ ჯინჭარაძისა და ხასან ხაბაზისა (ხაბაძე).

მანდარინამ თუ გამოჭასხა, მინდა გიყიდო ცხენია.
ახლა სენაკში მასწავლეს უნაგირი და აღვირი,
ღმერთმა დიდებით გამყოფოს, მამა კარგი გყავს, ემინი,
ბევრი უნდა მომეწერა აქ დამელია მანია,
თქვენ რომ ჩემსას არ დადიხართ, ნეტავი ვისი ბრალია?!
აპოხტი ქათამი კაი მაქვს, ბევრი მსხალი და ვაშლია,
ყემბერ თუ მოგყავს, გიყურეფ, მომექცა ვორვე თვალია.

ხასანის პასუხი

სხვადასხვამხრივ დაჩაგრული, სანუგეშოთ ვიღეფ კალამს
და სახსოვრათ, სანუგეშოთ ქამილ-აღას უძღვნი სალამს.
გაბედული ვაჟკაცია, იტყვის და ასრულებს ყველას,
არავის არ ეშინია, მის ჭონებას კი არ მალავს,
მეც ამიტომ მიხარია, კი არ გავენდობი ყველას.
ამ დღეებში გესტუმრები, თუ ინახავ აპოხტ ქათამს,
ყემბერსაც კი წამოვიყვან, ვიოხუნჯოთ იმ მთელ ღამეს,
მაგრამ თქვენთან სათხვარი მაქვს, თუ კი შემისრულებ რამეს,
ამბროსი წამოიყვანეთ, დავპატიჟოთ იმ ერთ ღამეს.
ჩემს ოჯახს მით გაახარებს, ვინც ნამეტარ ღვინოს დალევს,
მაშინ ვნახოთ შეჯიბრება, ღვინის სმაში თუ ვინ დასძლევს,
ამბროსი მიტომ გვჭირდება, თქვენ მაგივრად იგი დალევს.
გაზაფხული მოახლოვდა, აწი მოვნახოთ საყანე,
მოიგონე წარსული დრო, მოზიარეთ წამიყვანე.
ის ყანა რომე დავტოვე, შეცდომაში შემიყვანე,
მე სამსახურში წავედი, შენ კი ბრინჯი მოიყვანე.
წელს კი ერთად ვიმუშაოთ, შევასრულოთ მტკიცე გეგმა,
შრომას ყველა შეაფასებს, ზოგი ჭამოს მინდვრის თაგვმა.
ნაწილი მაინც დაგვრჩება, საქმეც კი გვექნება წალმა,
მურადის შეატყობინე, შენს პირდაპირ არის გალმა,
ლექსის წერა აღარ მინდა, ჩემი მუზა გამეყარა.
მოგწერე და თქვენც მიიღეთ, ჯერჯერობით აგიც კმარა.

ხასან კომახიძე



ხასან ახმედის ძე კომახიძე დაიბადა 1883 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში გლეხის ოჯახში. იმ პერიოდში გლეხკაცებისათვის სწავლა-განათლება არ არსებობდა. სოფლებში მხოლოდ მეჩეთებთან იყო გახსნილი მედრესეები, სადაც არაბულ ენაზე ლოცვანს ასწავლიდნენ. მიუხედავად ამისა, ხასანმა შეძლო გარკვეული განათლება მიეღო ოჯახის წევრთა დახმარებით. 43 წლისა შევიდა ბათუმის მუშათა სასწავლებელში. მისი ბავშვობა სევდიანი და გაუხარელი იყო: „მომაგონდება და თვალწინ წარმომიდგება თოხი, წალდი, ურემი, კავი, სახნისი, ყანის ჩელტი და სხვა. მოვიგონებ იმ ადგილებს, სადაც ცხვრებს ვაძოვებდი და ჩემს ბავშვობას ვატარებდი. ჩემი სკოლა ეს იყო. ცხვრის მწყემსვა ხომ პირველი ხელობა იყო...“[1] — იგონებს იგი. მუშათა ფაკულტეტზე ექვსი თვე უსწავლია და წერა-კითხვასაც იქ დაუფლებია.

ხასან კომახიძე ახალი ცხოვრების დაუცხრომელი მოტრფიალე იყო. იგი ვერ ეგუებოდა გონებაბნელ სარწმუნოების მსახურთა ქადაგებებს, და ერთ-ერთი პირველი აჭარელი მელექსეთაგანი იყო, ვინც თავისი სიტყვით მჩაგვრელთა თავნებობა გაამათრახა, ამით კი აჭარელი ფუხარა გლეხის გულისნადები გამოხატა:

ვამაძვრეს ტანზე რაც მეცვა,
ვიყავი სულ ტიტველა.

[1] ხასან კომახიძე. „ფუხარას სიტყვა“, ბათუმი, 1928, 18.

ჯალათი გვერდზე დამიდგა,
ზოფას მოპკიდა ხელია.
დამკრეს და დამკრეს ზოფები,
დასცდა ტანზედა კანია...[2]

ამ ქმევინებს იგი ერთ-ერთ ლექსში ფუხარა ოსმანს, ხოლო როცა ახალი დრო მხსნელად მოევლინა ჩაგრულ კუთხეს, ხალხური მთქმელის ჩანგიც ახლებურად აჟღერდა:

ყმათ მთვლიდნენ, არ მაფასებდნენ.
მე ვმუშაობდი, სხვა ჭამდა...
ჩემი ცხოვრება უნდა ვთქვათ,
კაცის ცხოვრებას არ ვავდა.
დღეს მოვიშორე კისრიდან
მძიმე უღელი მონისა,
თავისუფალსა დამიდგა
დრო შვება-სიხარულისა.[3]

სასან კომაძისის ცხოვრების შესახებ ჩვენი წარმოდგენა სრული არ იქნება, რამდენიმე სიტყვით მის ლიტერატურულ მუშაობაზეც თუ არ შევჩერდებით. ხასანი, გარდა იმისა, რომ აღიარებულ სახალხო მთქმელად ითვლებოდა, იმ პერიოდის ლიტერატურული ცხოვრების შუაგულშიც იდგა. მისი უშუალო თაოსნობითა და ხარჯით გამოვიდა 1925 წელს ბათუმის ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფის ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალის „პონტოსი"-ს პირველი ნომერი. მასში სხვებთან ერთად ვასიონ დარასელიც თანამშრომლობდა.[4]

სასან კომახიძის მოღვაწეობის ამ სფეროზე დღემდე, არაერთ მკვლევარს დაუწერია.[5]

ხასან კომახიძემ თავისი მრწამსი ნათლად გადმოსცა წიგნში „ფუხარას სიტყვა", რომლის დაბეჭდვის შესაძლებლობა ახალმა ცხოვრებამ მისცა. ამასთან, ეს შესაძლებლობა მისთვის შემთხვევით როდი მიუციათ. ხასან კომახიძის, როგორც ავტორიტეტული და დაფასებული ხალხური მთქმელის სიტყვას დიდი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო ხალხზე. წიგნის წინა-

---

[2] „ოსმანის სიტყვა". კრებული — „ფუხარას სიტყვა, ბათუმი, 1928, გვ. 36.

[3] იქვე, გვ. 38.

[4] ეურნ. „პონტოსი", ბათუმი. 1925, გვ. 8-9.

[5] შ. ჭურიძე, მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში, ბათუმი, 1940, გვ. 36; გრ. ბაბილოძე, აჭარის სახალხო განათლებისა და საზოგადო მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი, ბათუმი, 1972, გვ, 73; მისივე, ხარიტონ (ხასან) კომახიძე, თბ., 1973, და ა. შ.

სიტყვაობაში ნათქვამია: „ფუხარას სიტყვა“ იმით არის საყურადღებო, რომ იგი ეკუთვნის ნამდვილს ფუხარას, რომელმაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გადაიძრო დასიებული კისრიდან მძიმე ჭაპანი... აჭარისტანის ფუხარა მუშა და გლესი თუ მოზარდი თაობა გაცილებით ღრმათ შეიგრძნობს ხასან კომახიძის თქმასა და ნათქვამს, ვინემ სხვა ვინმე, თუ გინდ დიდი მწერალი“...[6] და ეს ასეც იყო. ხალხის შუაგულში ჩამდგარი სახალხო მთქმელი ნდობითაა და სიყვარულით იყო შემოსილი. ხასან კომახიძის სიტყვა მუდამ დამაჯერებელი და შთამაგონებელი იყო. „ფუხარას სიტყვაში ძირითადად ხალხური მთქმელის ზეპირი შემოქმედებაა თავმოყრილი. სარწმუნოების უშინაარსობას ამ წიგნში ასე ხდის ფარდას: „ერთ ხუთშაბათს საღამოს მამაჩემი ჩვეულებრივად შეუდგა ლოცვას და დილამდის თითქმის განუწყვეტლივ ლოცულობდა. მეორე დღე ჯუმა (პარასკევი) დღე იყო, დასასვენებელი და სალოცავი დღე. გათენდა დილა. მამაჩემი გახარებული იყო, რომ დაისვენებდა. მეორე დღეს კი ყანას დავჩელტავდით და შინ გავსწევდით. მამაჩემი რომ ლოცულობდა, მე მესმოდა როგორ ევედრებოდა ღმერთს... ლოცვა რომ ცაათავა, მომიბრუნდა და მითხრა: ერთი ნახე ნიშა და ლომა (ხარები) ხომ არ დასცილებიან ერთმანეთსო... ჩვენი ნიშა და ლომა, ორივე იმ ღამეს მოეკლა მატარებელს. ნახევარი ძაღლებს შეეჭამა იმ ღამითვე. ასე, რომ ლოცვა-ალახის სასელმა ვერაფერი უშველა საწყალ მამაჩემს“...[7] ასეთი იყო ძირითადად მისი ათეისტური შეხედულებანი, რომლითაც იგი დიდ ზემოქმედებას ახდენდა განახლების იმ რთულ პერიოდში ხალხზე.

ხასან კომახიძე უპირველესად მაინც თავისი პოეტური სიტყვით, ხალხური მელექსეობით ფასდება. ასე იცნობს და ახსოვს იგი ხალხს დღესაც. მისი ლექსები „საბჭოთა ხელისუფლება აჭარისტანში“, „მოწაფის სიმღერა“, „ბეგების სიმღერა“[8] და სხვა, შესანიშნავი პოეტური მონოლოგებია. მასვე ეკუთვნის აგრეთვე აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში ვარიანტებად გავრცელებული „კაცისა და ლობიოს გაბაასების“ ერთი ნაწილი, რომლის ვრცელი ვარიანტი გამოქვეყნებულია „ლობიოს ლექსის“ სახელწოდებით.[9]

ხასან კომახიძე პოეტური პაექრობის დიდი მოყვარული იყო. იგი ხში-

[6] იქვე, გვ. 1.

[7] იქვე, გვ. 20.

[8] იქვე, გვ. 34, 35, 47.

[9] აჭარის ხალხური პოეზია. I, თბ., 1969, გვ. 103; გაბაასება იხ. ზემოთ, ხ. ბაქელიძის მასალებში.

რად მოსაწილეობდა მოშაირეთა შეკიბრებებში. ცნობილია ხასან კომახიძის ვრცელი გაბაასება ცნობილ ხალხურ მთქმელ მემედ ჭყონიასთან, რაც პოეტური პაექრობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.[10] მემედ ჭყონია იყო ხასან კომახიძის მამიდაშვილი, ცხოვრობდა სოფელ ქობულეთში. ხალხში ორივეს დაფასებული მელექსის სახელი ჰქონდათ, ამიტომ ისინი ერთმანეთს პირველობასაც ეცილებოდნენ. პოეტური პირველობისათვის კამათის წარმოადგენს მათი გაბაასებაც. მასში ნათლად ჩანს ორი სახელოვანი ხალხური მთქმელის, მაღალი ნიჭიერება, სიტყვის შეუდარებელი ფლობა, სატირულ-იუმორისტული მახვილის მომარჯვების უნარი.

ხასან კომახიძე თავის ლექსებს ამღერებინებდა ცნობილ მოშაირესა და მომღერალს, ქობულეთელ ბრმა მეჩონგურეს ხუსეინ ბაჯელიძეს. საინტერესოა, რომ აღნიშნული გაბაასების დროსაც მოპაექრეთა სიტყვა-პასუხი სააშკარაოზე ხუსეინ ბაჯელიძეს გამოჰქონდა. იგი სწავლობდა ზეპირად და სახალხოდ ამღერებდა ჩონგურზე. ხასან კომახიძეს შემოქმედებითი თანამეგობრობა ჰქონდა სხვა მელექსე მოშაირეებთანაც. თვითონ ხალხური ლექსის უბადლო ოსტატი სხვისი ნიჭისა და უნარის დამფასებელიც იყო, მისი ლექსები და შაირები ვარიანტების სახითაა გავრცელებული აჭარაში.

და რამდენადაც გზას იკაფავს და ახალ სიცოცხლეს იძენს მისი პოეზია, იმდენად უფრო მეტ ბრწყინვალებას იძენს მგოსნის სახელიც. მასზე პოეტები სწერენ და აქვეყნებენ ლექსებს. ხასან კომახიძის მომსწრე და თავისივე თვალით მნახველი პოეტი მამია ვარშანიძე ლექსის სათაურშივე აღიარებს ხასანის ნიჭს და დამსახურებას, როცა მიმართავს „შენს სერზე ვართ შემომდგარი“-ო:

„ხომ არ მიწყენ წინაპარო,
საბაასოდ გიწვევ და...
ჩადრიანი დედა აკვანს
აწყვისთავში გირწევდა.
მამას ეცვა ჩაქურა და
ხანჯალს ვარჯზე იწმენდდა.
უხაროდათ მშობლებს შვილი
შაირთქმას რომ იწყებდა...[11]

ხასან კომახიძე ღრმად მოსუცებულობაშიც პოეტური სიტყვის მოტრფიალე დარჩა. გაირდაიცვალა 1957 წელს.

[10] იქვე, გვ.99-103.

[11] მამია ვარშანიძე, „შენს სერზე ვართ შემომდგარი“, გაზ. „ლენინელი“, 9 აგვისტო, 1988 წელი, № 95 (6006).

1. ოსმანის სიტყვა

ყველაფერს გეტყვით, რაც მოხდა,
დამალვა აღარ მჭირია.
თუ რომ მართალი არ გითხრათ,
მე გამიშავდეს პირია.
ქვეყანას მოშორებულმა
ბევრი დღე სხვაგან ვიარე,
გაჭივრება და წუხილი
მე ბევრი გამოვიარე.
ბევრს ვაწყენიე სოფელში,
ვერ მოვითმინე წვალება.
შემკრეს და მირტყეს სახეში,
არსად არ იყო შველება.
დამაკრეს მუცლით ფიცარზე,
თოკები მომდვეს ხელშია
ვყვიროდი გაჭირვებული,
ჩავვარდი სატანჯველშია.
გამაძვრეს ტანზე, რაც მეცვა,
ვიყავი სულ ტიტველია,
ჯალათი გვერდზე დამიდგა
ზოფას მოჰკიდა ხელია.
დამკრეს და დამკრეს ზოფები,
დასკდა ტანზედა კანია
ოცდაათამდე დამარტყეს,
კანი შეიქნა შავია.
მერმე დავკარგე მთლად გრძნობა,
დამაგდეს ცოცხალ-მკვდარია.
ჩემი ყვირილით შეწუხდა
აჭარის მთა და ბარია.
დღეს ვერვინ ველარ მაწვალებს,
ცხოვრება გამოცვლილია,
შავი ძალები არ არის,
დროი დამდგარა ტკბილია,
მეც ვცხოვრობ და მიხარია,
ველარ მაწვალებს მტერია.
ჩემით ვმუშაობ უშიშრად
და მით ვარ ბედნიერია.

2. ბეგბეგის სიმღერა

(ძველებური)

მე ვარ ბატონი სოფელში,
მით მიხარია გულშია.
მტერი ხომ ვერას დამაკლებს,
არ მეშინია ფულშია.
მიწა და წყალი ჩემია,
მე ვარ მფლობელი ქვეყნისა...
რომ ვიტყვი, უნდა ასრულდეს,
მაგიერს ვერვინ მეტყვისა.
გლეხი ვინ არის მითხარი,
რისთვის მივიღო კაცადა?

მე ვარ მფლობელი ამ ქვეყნის,
ძალამ ასეთაც გამხადა.
კარგი ჭამა მსურს, კარგი სმა,
ბატონის არის წესია.
თან მაქვს, სუყველამ იცოდეს,
წოდება უმაღლესია.
აბა სად ბეგი, სად გლეხი,
მე ვარ იცოდეთ ბატონი.
ჩემს ხელში არის ქვეყანა,
მე ვარ ყველაფრის პატრონი,
ვინც რომ ასეთი დამსახა.
მე იმას ვენაცვალები.
ყოველ დღეს უქმად ვატარებ,
არ ვშრომობ, არ ვიტანჯები.
უშრომლად ჭამა და სმაი,
მითხარით, ვის მოსწყენია?
ნადირობა და სიცილი
სწორედ რომ მოსაწონია,
კარგი ცხენი და ზედ ჯდომა,
მწვანეზე სიცილ-თამაში,
ტუმრობა, დროს გატარება
ცეკვაში, ქეიფობაში,
გლეხები მოსამსახურეთ,
დრომ მომცა ყველა ესენი.
ჩემს ხელში არის ქვეყანა
მე მწყალობს დიდი გამჩენი.

8. გლეხის სიმღერა

დიდხანს ვიწვალე მტრის ხელში,
არ მჭონდა მე მოსვენება.
ვინ მოსთვლის, რაც გამოვსცადე,
შეურაცხყოფა, გინება.
ყრმათ მთელიდენ, არ მაფასებდენ
მე ვმუშაობდი, სხვა ჭამდა...
ჩემი ცხოვრება, უნდა ვთქვათ,
კაცის ცხოვრებას არ გავდა.
გულში ვტიროდი, რა მექნა,
მფარველი არვინ არ მყავდა.
სიტყვა რომ მეთქვა, ბატონი
დამსჯიდა, კიდეც მომკლავდა.
ადამიანი ვიყავი,
როგორც უენო ცხოველი,
ბედკრული მუდამ ვსტიროდი...
შემძულდა წუთისოფელი,
დრო შეიცვალა, ჩემს მტერსა
დაეცა თავზე ლახვარი,
და სიხარული ჩემს დღეში
ბე არ მინახავს ამგვარი.
თავისუფლება ვიგრძენი,
ველარ მაწუხებს მტერია,
ჩემს ნაშრომს ვერვინ წამართმევს
და მით ვარ ბედნიერია.
დღეს მოვიშორე კისრიდან,
მძიმე უღელი მონისა,
თავისუფალსა დამიდგა
დრო შვება-სიხარულისა.

4. მოწაფის სიმღერა

ფუხარას შვილი ვიყავი,
ვისწავლე — დღეს მიხარია,
ჩემი სწავლითა იხარებს
აჭარის მთა და ბარია.

ქმარა, რაც ძველი ემონა
ძველ ძალას და ძველ თაობას,
ეხლა ნაწყვალი კაცი ვარ,
ვქადაგობ ამხანაგობას.

მაშ გაუმარჯოს ახალ დროს!
სკოლა, შეგნება სწავლისა
და ვინც დამიშლის ამ საქმეს,
ზიზღი და წყევლა იმასა!

5. საბჭოთა ხელისუფლება აჭარისტანში

(7 წლის თავზე)

მეგობრებო. გაგვითენდა,
მოვიშორეთ დროი ძნელი,
ვერ გვტანჯავენ მტარვალები,
ვერ გვტანჯავენ ბილწი — ძველი.
მუშა ხალხი მხიარულობს,
გამარჯვება უხარია,
წითელ ფერათ შეიმოსა
აჭარის მთა და ბარია.
ხელი მივცეთ ერთმანეთსა,

შევიყვაროთ ყველა ერი:
ყველამ სწავლა შევიძინოთ
და ვიქნებით ბედნიერი.
ხომ ხედავთ, რომ ვეღარ
გვტანჯავს
ძველი აღა, ძველი ბეგი,
და ყველანი მოვიშორეთ —
ჩვენ ხელშია ჩვენი ბედი.

6. ხასან კომახიძის და მემედ ჯუმნიას გაბაასება

ხასან კომახიძის წერილი

მემედ-აღა, სალამს გიძღვნი, ისე იყავ, როგორც გინდა,
ფერადობაში წაგაგვს ახმედ-აღა, თქვენი ბიძა.
თქვენგან კმაყოფილი არის, ერთნაირი გაქვთ თვალები,
სადაც სოფელში არ შეგხვდეთ, დაგემალვიან ქალები,
ნაჩალნიკებთან ვიყავი, ნამსახური ვარ ხულაში,
დიდათ სამწყენად მივიღე, რომ შამილანძღე ულვაში,
სკენდერ-აღას თუ იკითხავ, ცეცხლაძნებს წვაგას ყამაში.
ძალიან ვაქაცობა ქნა: ძროხები მოკლა ყანაში.
მე ერთი ახალგაზრდა ვარ, სახელად მქვია ხასანი,

ქობულეთში რომ მოვედი, მან გმიქეთა სკანდალი.
ღვინის სმაი ამიგზალა, დამაწყებია კანკალი,
ქეიფობა მას უყვარდა, ხელში ეჭირა ბაყალი,
ამხანაგებს უძახოდა: ნაკლული გაქვენ სტაქანი,
ქეიფობა მას უყვარღა, ხშირად ყოფილა დამთვრალი,
ეხლა კი სხვანებს უკრძალავს, აგი რა იქნა მითხარი,
აგი რომ სირცხვილი იყოს, ჭყონიებიდან მაქვს ნასწავლი.
ამ ლექსისა გამომთქმელი კომახიძე ვარ ხასანი.

მემედ ჭყონიას პასუხი

ხასან-აღა, იწერები: მამაჩემს გავხარ თვალებში —
იგი ჩემი ბიძა არის, უნდა ვგავდე რაიმეში.
შეიძლება აღარ მოგწონს, მოესწარი სიბერეში,
თქვენისთანა ახალგაზრდა ვერ ჯაბნიდა მას საქმეში.
მგონია, რომ ჩვენზედ ამბობთ, — არ გეჩვენება ქალვბი, —
აგი ჩვენგნით დაიჯერე, ისინია ჩვენი დები.
სასმელი ვისგან ისწავლე. დაიკარგა შენი კვალი.
რაც არ უნდა დაიჯერო, აბდალი ხარ თუ ჭკვიანი,
ამის პასუხი მომეცი, რა იქნები ღვინით მთვრალი,
ეხლა სკენდერი პასუხს გწერს, თქვენ ბრძანებულხართ ხულაში.
იმის ჯავრი არ აწუხებს, გინდ იყავით მერიაში.
დაგველების მემკვიდრე ხარ, წილი გერგება ფუნაში,
ჭახათში რომ გუმიში გყავს, იმას აქებენ ყამაში.
ხასან-აღა, რა თქმა უნდა, თქვენი ძველი იყო აღა,
მამათქვენის ბიძა იყო კომახიძე ხალით-აღა.
იმას ვერვინ აჯობებდა, როცა იყო ქემალ-აღა.
ალიბანდურს ნუ მოჰყვები, გიცხონდება არიფ-აღა.

ხასან კომახიძის პასუხი

მემედ-აღა, მომილოცავს, წვერი რომ გამოგიშვია,
ვაჟკაცური საქმე იცი, ესეც ხომ მოსაწონია,
ბედნიერი ქე ბრძანდები, გვარად ნაქები ჭყონია.
თქვენი ფასი არასოდეს ჩვენ არავინ არ გვყოლია.
თუ სადმე საქმე დაგვირჩა, წამოწვდილი გაქვს ხელია,
უფალმა ღმერთმა გაჩუქოს უღელი თქვენი შვილია.
რა თქმა უნდა, წვერი გშვენის, მასზედ — პირვარდიანობა,

არშიყობა რომ გიყვარდა, ეხლა უკვე სულ სხვა დრო გაქ:
მაგაზე არ მოიწყინო, ქალები უფრო გენდობა.
საზოგადოთ არშიყობა წინეთაც იყო თქვენშია,
რამდენიც უნდა იფიცო, არ დეჯერებენ ჩვენშია,
ქალები მისით მოგძებნის და გაგეგება ფეხშია.
ამ ლექსების მოწერისთვის არ დამიძახო ბეჩია,
რამდენიც უნდა დამძრახო, ბიძაშვილი ვარ შენია,
გაზრდილი კაცი ბრძანდები, ყოვლისფერამდე შემკული,
მეტი ვეღარ შევიძელი, შემომეცალა ქართული.

მემედ ჭყონიას პასუხი

ჩემთვის კარგი იმედია ეს კომახიძე ხასანი,
ხალხში დიდი პატივი აქვს, საზოგადოში ხმოსანი,
უკეთესი და ძვირფასი, სახელგანთქმული ყმოსანი,
ჩამომავლობით ნაქები, საუკეთესო მგოსანი.
ხასან-აღა, იცის ღმერთმა, არ გამომერჩევი ძმაში,
რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, არც მე გამცვლი ვინმე სხვაში.
იცოდე, ხელსაც არ მოვკვამ, რომე ჩამიყარდე თვალში.
ქობულეთში ვინ გაჯობებს შაირების გამოთქმაში.
მე ასთე ვარ, ნათესავო, რაც ვშობილვარ დედისაგან,
შენგნით ფული არ მაკლია, მე მჭირს ჩემი ბედისაგან.
არ გადავა გარდუვალი, ნათქვამია ბრძენისაგან,
ავი-კარგი რაც შეგვხვდება, ჭნდა იყოს ის ხვთისაგან.
თქვენი წერილი მივიღე, ჯავრით კიღემ დავიმტვერი,
ისე არ მეწყინებოდა, რომ გესროლა ლევერველი.
ცუდი ხმაი დამიყარე, მაგას არ მიზამდა მტერი,
დროა, კიდეც გავიშენე, რისთვის შემილახე წვერი,
ხასან-აღა, სირცხვილია, ვინცხას მართლა ეგონება.
ნამეტანი გვიანია ჩემთვის მაგის მოგონება
ხასან-აღა, უძლურათ ხარ, არ გერგება სმა და ჭამა,
ღმერთმა ჯენეთში გაჩვენოს გოგმაჩაძე, თქვენი მამა,
ტურაყილიფად ეკიდოს, ერჭოს წელში მისი ყამა.
იცის ღმერთმა, გულით მიყვარს საზოგადოთ კაცი ყველა.
იცოდეთ, რომ ცხენიც მიყვარს, ფერით თუ არ იქნა ყულა,
აგი ჩემი ბიძაშვილი გადაკიდული მყავს ტყულა,
დაგვაში გადიმისახლეთ მაგი კომახიძის გუდა.

ამ თავიდან ნაქებია არაბისტანში ყონია,
ჰოროხის პირზე, მახლობლად, სოფლად ნაქები გონია,
ჩვენს ქვეყნებში სულ მოისპო ჩამომავლობით ყენია,
თქვენი ლექსის პასუხს გიძღვნი მოხუცებული ჰყონია.

ხასან კომახიძის პასუხი

მემად-აღა, ლექსი მივღე, გამოთქმული დიდებულად,
მართლა პოეტი ბრძანდები, ამას მოგახსენებ ძმურად,
ხალხში პატივცემული ხარ, ძვირფასად და დიდებულად,
ვინმემ რომ ცუდად შეგხედოს, პასუხს გაცემ ყველას სრულად.
ჩემზე რაცხას იწერები, ამაზე ვარ გულნაკლულად,
ამ ქვეყანას არ დავდგები, უნდა წევდე მუჰაჯირად.
მემედ-აღა, რა თქმა უნდა, ჩემთვის მთავარი სული ხარ,
მეც ამიტომ შემიყვარდი, მამაჩემის დისწული ხარ.
ხოლო მე რომ მეჯიბრები, გლახად გამიჯექი წელში,
მერე შინაც ვერ დავდივარ, ქალი მოვიმდურე სახლში,
შენი მოყვარე აჯობებს თხელ ადრანის ჭამაში,
ვასიფ-აღას მომგონე ხარ, რაფერ გამოდიხარ ხალხში,
სწორეთ თქვენ გამახსენდებით, სადმე რომ შემხვდება გზაში,
ფოცხოვში რომ ფაიყი გყავს, იმას აქებენ ყამაში...

მემედ ჰყონიას პასუხი

ხასან-აღა, ჩემო ბიძავ, შენ ყოფილხარ ხათაბალა,
ლექსებს თავი გაანებე, შეამოკლე ნელა-ნელა.
რათ გინდა, რომ გააგრძელო, რომ დახარჯო, რაც გაქვს ყველა,
გაიფლანგვის, დაილევა, მაინც დარჩეს ერთი სროლა.
ხასან-აღავ, ჩემო ბიძავ, ვის არ უყვარს ცოლის მამა,
ვიცი, თვალში გელანდება მისი გალესილი ყამა.
ტავარჯუხი, სუმათარა, მისი ჩვენებური სამა,
„ხელში ყანწების ტრიალი, ქეიფობა, სმა და ჭამა".
მაჭახელას ქონს უსმიდა, მაღლა დაჰკიდებდა კაპზე,
კვესაბედა, სუმათარა ეპწიალებოდა წელზე,
იმას ცხენი არ უყვარდა, შეჯდებოდა მხოლოდ თავზე,
იმ ცხონებულს უხაროდა, სიარული აგარაკზე.
იგი სუყველას ჯობნიდა იმ პატარა კოხის თემში,
ბარე ორხელ დამინახავს, ხშირად აკოცებდი წვერში.
ამას ნამდვილს მოგახსენებ, სეინდისი თუ არის ჩემში.

ხასან კომახიძის პასუხი

მემედ-აღა, ღმერთსა ვფიცავ, არ გამომერჩევი ძმაში,
თქვენი გლახა რომ გავიგო, მგონი თავს დავიხრჩობ ზღვაში.
ვარესიც რომ მოგეწერა, მაინც არ გაგცვლიდი სხვაში,
თქვენი წერილი მივიღე, ცივ-ცხლად გამიარა ტანში.
პასუხი რომ არ მომეცა, ქალი არ მიცდიდა სახლში,
ტყვილა მოყვარეს ნუ მცინი, კაცი ვერ ჩახედავს თვალში,
გმართებს ცოტა ფრთხილად იყო, რომ არ შეგხვდენ წმინდა
გზაში.
საძებარში წამოსულან, აღარ დადიან ყანაში.
თქვენგან პასუხი მივიღე, ჩვენთვის ის არის ოცნება, —
ტავარჯუხი, სუმათარა, — ის ფოცხოვში არის მოდა,
წივსაკონიც თუ იშოვეს, მათთვის არის უკვდავება.
შენთან სათქმელი ბევრი მაქვს, ერთი ვინმეს მეხათრება,
აწე თქვენსას ველარ მოვალ, სულ დამეკარგა ღირსება,
რკინიგზას ქვეით არ ჩამვალ, იგი თუ დამემდურება.
რა თქმა უნდა, ფაიყ-აღა ზიფხულობით დადის მთაზე,
კვესაბედა, სუმათარა, იმას უპარტყუნებს გვერდზე.
კობზის ტარი გასტეხია, შეწუხებულა ჭამაზე,
ძროხებს წყესავს, დროს ატარებს, მაღლად წამოჯდება ქვაზე,
ბელუჭოღლის მოგაგონებს გუდის ჭიპონის სამაზე.
იმან ცხენი სულ არ იცის, დამერწმუნებით ამაზე,
ისეთ რამეზე შეჯდება, ფეხებს მიათრევს მიწაზე.
თოფი, ყამა, მაჭახელა კაცისთვის არის ღარაღი,
ვასიფ-აღას დამშვენდება ზურგში გუდა ბაღნიანი,
მისებურად მოკაზმული ფეხზე წინდა-ქალამანი,
თქვენი ლექსის პასუხს გიძღვნი, კომახიძე ვარ ხასანი.

მემედ ჭყონიას პასუხი

ხასან-აღა, მეცოდები, დამეკარგა შენიანი,
შენ რომ აგი გადიტანე, დაილოცა შენი ჯანი.
ერთი მხრივ ბედნიერი ხარ, გამოინზეურე გვარი.
ხასან-აღა, კაცი ვერ გჯობს, მხოლოდ მოისუსტებ რჯულში,
ხოჯიები გემდურება, გეკუთვნის მათთან ბოდიში,
რა თქმა უნდა, იქ დაგხვდება არიფ-აღა და ებიში,
დახმარებას გაგიწევენ, ნუ გექნება მაგის შიში.

ელვანა სოლომონიძე



ელვანა ასმენდის ასული სოლომონიძე დაიბადა სულიოს რაიონის სოფელ დიაკონიძეებში 1884 წელს მთიელი აჭარელი გლეხის ოჯახში. მისი ბავშვობა და ყმაწვილქალობა არაფრით გამოირჩეოდა ბედისაგან შეზღუდულ-შეჭირვებული სხვა აჭარელი ქალებისაგან. წამოიზარდა თუ არა, ქალის მძიმე ხელსაქმეში, შინასაოჯახო თუ სამეურნეო საქმეში ჩააბეს. მასაც, როგორც სხვა იმდროინდელ აჭარელ ქალებს, ჩაღრი დაასუნეს, ყოვლისამტანობა, ენაუთქმელობა და მომავალ ცხოვრებასა თუ სიდუხჭირისადმი უსიტყვოდ მორჩილება უანდერძეს. ელვანა გლეხური მუყაითობით გამორჩეულმა გარემომ გამრჯე ქალიშვილად აქცია. ჩეჩვა-რთველსა თუ შალის ქსოვაში მოწვეულ ნაღში სოფლელი ქალები პირველად სწორედ მას ჰპატიჟებდნენ. ხელსაქმე სომ იცოდა და იცოდა, მაგრამ ჭკუაც რომ უჭრიდა და მისი ენამახვილობისა თუ მელექსეობის ამბავიც რომ გაგონილი ჰქონდათ, ნაღში ხშირ-ხშირად მიწვევაც ამით უფრო იყო განპირობებული. შემოუსხდებოდნენ თანატოლი გოგოები და ისიც რიგრიგობით გაალექსებდა ხოლმე ხან ერთსა და ხან მეორეს; ვის თავისი შეყვარებულის პირით მიულექსებდა, ვის მშობლის პირით „დაემუქრებოდა“, ვის კიდევ უიღბლო სიყვარულში დააიმედებდა...

სოფლელ ქალებს უყვარდათ მოხდენილი, სმატკბილი და ენამთსწრებული ელვანას „ლექსობა“. მეტადრე, მისი „სასეირო შაირები“ მოხწონ-

დათ. ამ დროს თუ ვინმეს რამე სასაცილო შემთხვევა გადახდებოდა თავს, ელვანა იმას აშაირებდა. მსმენელებიც გულიანად იცინოდნენ ამის შემჭურე და სოფლელ გოგოს ენა-პირიანობასა და ჭკუაგონებას უქებდნენ.

ასე თანდათანობით ჩამოყალიბდა იგი ხალხური ლექსის ოსტატად. მან კარგად იცოდა მხიარული და სალაღობო აჭარული შაირები, სიბრძნით აღსავსე ხალხური ანდაზა-გამოცანები და შეგონებანი. მაგრამ მისი საყვარელი საქმე უპირველესად მაინც სატრფიალო ლირიკა იყო.

მალე ელვანას მასავით სალხური ხელოვნების მოყვარულმა და მელექსე კაცმა ოსმან სოლომონიძემ ცხოვრების მეგზურობა და ერთგულება სთხოვა. ცალკერძ მოწონებამ, ცალკერძ კიდევ ლექსის შინაგანმა სიყვარულმა დააახლოვა ისინი ერთმანეთს. მეუღლეს ხის ოსტატობა ემარჯვებოდა და სმაწკრიალა საზების დამზადებას მიჰყო ხელი. მოცალეობის ჟამს ერთმანეთშიც მელექსეობდნენ ცოლ-ქმარი. ამ გზით ელვანა მამაკაცთა რეპერტუარსაც სწავლობდა და შემდგომ, სამუშაო თუ საზეიმო თავშეყრის დროს, ქალებსაც აცნობდა. ელვანა ლექსებს საზზე ამღერებდა, უმთავრესად უჭირდა კიდეც, „სამღერელი ლექსის“ წარმოთქმა. სამაგიეროდ დროისა და სიტუაციის შესაფერისად, სახელდახელოდ, მარჯვედ შეთხზავდა ხოლმე შაირს და, როგორც თვითონ იცოდა სოლმე თქმა, ქალებს „გუუქნევდა“ (ესვრიდა). ელვანას ქმარი მალე გარდაეცვალა. ქმრისაგან დატოვებულ საზს იგი შემდგომ თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და ოჯახის ყველაზე ძვირფას სიმდიდრედ თვლიდა.

ელვანა სოლომონიძე ერთ-ერთი იმ აჭარელ ქალთაგანია, რომელმაც დაძლია წარსულის წეს-ჩვეულებით ფეხმოკიდებული ქალის შეზღუდვაუფლებობა და სოფლის ფართო საბიელზე გამოვიდა. ამაში მას ყოველგვარი უსამართლობის დამთრგუნველი საბჭოთა ხელისუფლებაც დაეხმარა, რომელმაც მას, თითქმის შუახნის ასაკს მიღწეულ ქალს მოუსწრო. თუ წინათ მხოლოდ ქალების ნადში დაფარულად შაირობდა, ახლა არტელში გაერთიანებულ ქალებს ელექსებოდა და ართობდა. თუ ახლო-მახლო მამაკაცი გაიჭაჭანებდა იმასაც არ დააყრიდა „კარგ ღღეს“ ბუნებით ლაღი და თავისუფალი მგოსანი ქალი. ასეთი იყო იგი, გამრჯე დიასახლისი, მელექსე, დედა და კოლმეურნე.

ელვანას 4 შვილი და მრავალი შვილიშვილი დარჩა. მისი ლექსები თავის დროზე სრულად არავის ჩაუწერია. თუმცა, ზეპირსიტყვიერების შემკრებთა ყურადღება ადრე მიუპყრია.[1] ახლა კი თითო-ოროლა და ისიც მხოლოდ შაირები თუ ახსოვთ შვილიშვილებს. და მაინც, ქართველ ქალურ სათნოებასა და ღიღბუნებოვნებასთან ერთად ლექსის სიყვარულიც დაუტოვა ელვანამ თავის შთამომავალთ, ლექსისა, რომლითაც იგი სულსა და ცხენას ინათებდა ცხოვრების არც თუ ისე ია-ვარდმოფენილ გზაზე.

ელვანა სოლომონიძე გარდაიცვალა 1978 წელს, დაკრძალულია სოფელ დიაკონიძეებში

[1] იხ. ე. ზოიძე, აჭარული სატრფიალო ლირიკა, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება", I, თბ., 1974, გვ. 37-39.

1. რძალ-დედამთილის გაბაასება

რძალი — დედამთილო, კარი გაღე,
რა გაქ ჩემზე მტერობაო,
გამჩენელი ღმერთის ეშრით
მენა გიყო ხელობაო
ხელობა თუ ვერ გიყავი.
დამემდურე მაშინაო.
კერვაში ქალი ვერ მიზამს,
ჯეიზში მაქ მაშინაო.

დედამთილი — შენი მაშინა რათ მინდა,
მე მძულს იმისი ხრიალი,
მე იმფერი რძალი მინდა,
ყანაში ღეღწყოს ფრიალი,

რძალი — სამა-სიმღერა მიყვარდა.
ლამაზ ბიჭებში თამაში.
ჩაჲ-შექერით გაზრდილი ვარ,
ვერ წამოგყვები ყანაში.

დედამთილი — ჩაჲ-შექერი შენ გიზიდია,
შენ გაგასუქო ჭამაში,
ეჲვახ, ფარა მებრალება,
ოცი ჯელები ყუმაში,
ტანზე-ფეხზე არ დაგაკელ,
ვალი დევდევი ხულაში
რა სიკეთე დამანახვე,
თმა დამისველე ფუნაში...

2. ხერტლის ნადური

ვაჟი — ვაჲ ნანი და ნანა, ვოდელია ნანა,
ქალი — ვაჲ ნანი და ნანა, ჩემ სახლზეჲდან ეწრი ფაცხა,
ვაჟი — ვაჲ ნანი და ნანა, ნეტავ ვიყო შენი რაცხა.

ქალი — ვაჲ ნანი და ნანა, ღობეს გადუკიდე ჩათხი,
ვაჟი — ვაჲ ნანი და ნანა, გულში დამარჩინე ხათრი.
ქალი — ვაჲ ნანი და ნანა, ცას მიწიწინებს მიმინო.
ვაჟი — ვაჲ ნანი და ნანა, შენ წახვალ როგორ ვიძინო.
ქალი — ვაჲ ნანი და ნანა, ძიგლიგ გასწი გოგრებიო,
ვაჟი — ვაჲ ნანი და ნანა, გაღმა სოფლის გოგვებიო,
ქალი — ვაჲ ნანი და ნანა, აწონილი ერთი ნუკი,
ვაჟი — ვაჲ ნანი და ნანა, მაკოცნიე თეთრი ბუკი,
ქალი — ვაჲ ნანი და ნანა, ხერტალმა ხელი დამგალა,
ვაჟი — ვაჲ ნანი და ნანა, ხერტალგასატეხელიო.
ქალი — ვაჲ ნანი და ნანა, მამაჩემი არ მათხოვებს,
ვაჟი — ვაჲ ნანი და ნანა, კისერმოსატეხელიო.

3. სატრფიალო შაირები*

იას, ვარდის კუკულოო,
ახლოს მოდი, გიყურიო.
ია ვსჭარი, ვარდი ვყარე,
შეხი მგონემ ვერ გევხარე,
იავ, სულო, ამოსულო.

ჩამოთხიდან გამოსულო,
იას ვარდი, ვარდი თუ ხარ,
მებრალები, მარტოდ თუ ხარ.
იას ვარდი, შემიყვარდი,
გულში ნათლად ჩამივარდი.

* მოტანილია ე. ზოიძის ნაშრომიდან „აჭარული სატრფიალო ლირიკა", „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება", თბ., 1974, გვ. 38—39.

ხასან ხაბაზი (ხაბაძე)



ხასან ემინის ძე საბაზი დაიბადა 1890 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში, გლეხის ოჯახში. წერა-კითხვა მისთვის უსწავლებია თანასოფლელ ახმედ ჯინჭარაძეს, რომელიც იმდროის კვალობაზე საკმაოდ განათლებულ კაცად ითვლებოდა. ქართული ენისა და კულტურის სიყვარული აჭყვისთაველ ყმაწვილს საკუთარ ოჯახში, ქართულ-ეროვნული ტრადიციებით მდიდარ მშობლიურ სოფელში ჩაუნერგეს პირველად. აქვე ეზიარა და მონდომებით დაეწაფა ქართულ ხალხურ პოეზიას, რომლის ერთგულიც შემდგომ სიკვდილამდე დარჩა.

მელექსეობისადმი მიდრეკილება ხაბაზების ვვარს საკმაოდ შორი წარსულიდან მოსდევამს. ამანაც შეუწყო ერთგვარად ხელი მომავალი სასალხო მთქმელისა და მელექსის ჩამოყალიბებას. ხასან ხაბაზი იყო ცნობილი მელექსის ყემბერ ხაბაზის ბიძაშვილი, მასთან ერთად იზრდებოდა სოფელში და სწავლობდა ქართულ სალხურ პოეტურ საუნჯეს მწყემსობასა თუ ოჯახში. მასთან ერთად ახზავდა პირველ პოეტურ სტრიქონებს, ბიძაშვილები ხშირად ერთმანეთს ეპაექრებოდნენ ლექსში, რაც ხელს უწყობდა მომავალი მელექსეების პროფესიულ დაოსტატებას.

ხ. ხაბაზი სოფლის უბრალო კაცი იყო, მისი ცხოვრება სოფელთან და მიწასთან კავშირში დაუღამებია. პოეტური სულისა და შოაგონების კაცს მოუცლელს ვერასდროს ნახავდით თურმე. ფუტკარივით დასტრიალებდა მიწას, ბალღივით ესიყვარულებოდა ბუნებას და გამოცდილი მეურნის სახელი გააჩნდა.

ხ. ხაბაზს მოწიფულ ვაჟკაცს მოუსწრო ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილმა გარდაქმნებმა. იგი ისთავითვე ახალი ცხოვრების მშენებელთა რიგებში ჩადგა და ბოლომდე ერთგული დარჩა ამ არჩევანისა. მას სოფლის მოწინავე ადამიანებთან ერთად შეჰქონდა აჭყვისთავში განახლების პირველი შუქი, ნერგავდა, უკლიდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა მას. საამისოდ პრაქტიკულ საქმიანობას ხასანი კარგად უხამებდა თავის პოეტურ ნიჭს. ოხზავდა და ავრცელებდა პროგრესული შინაარსის ლექსებს, რომელსაც ხალხი სწავლობდა, იმახსოვრებდა და სიმღერადაც აქცევდა. ასეთია მაგალითად ლექსი „ოსმან ბიძიამ მიამბო", რომელშიც ხალხური მელექსის ხალასი სიტყვითაა გადმოცემული ძველი ყოფისათვის ნიშანდობლივი ცრურწმენისეული ნაკლოვანებანი და ახალი სინამდვილე. მისი ლექსების ერთ ნაწილს კარგახანია იცნობს ფართო მკითხველი.[1]

დიდი სამამულო ომის დროს ხ. ხაბაზი თხზავდა და ხალხში ავრცელებდა მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენის ჩამნერგავ პოეტურ სტრიქონებს, რითაც ხელს უწყობდა სოფლის მოსახლეობის სულიერი სიმტკიცის შენარჩუნებას.

ხ. ხაბაზს ახლო ურთიერთობა ჰქონდა თავისი დროის ცნობილ მელექსეებთან ქამილ ჯინჭარაძესთან, ხასან კომახიძესთან, სასან თხილაიშვილთან და სხვებთან. ნიჭიერი ხალხური მელექსე ხშირად მათთან პოეტურ შესიტყვებას ც არ ერიდებოდა, ხოლო თანასოფლელი და თავისი ბიძაშვილი ყეშბეკ ხაბაზი ხომ ლექსების თქმაში ჭარმავობაშიც მისი მუდმივი პარტნიორი იყო. ხალხში გულთბილ მოგონებად დარჩა ამ ორი მელექსის ურთიერთმეტოქეობისა და „გადაკიდების" ცალკეული შემთხვევები, რომლის პოეტური ტექსტებიც სამწუხაროდ მწირად შემოგვრჩენია.

ერთხელ სოფლის სამჭედლოს კარზე ხალხთან მუსაიფში ჩაბმულ ხასანს ყემბერი მიახლოებია და დაცინვით უთქვამს: გურიაში მივდივარ, ატატო მელექსე უნდა მოვინახულო, ვიცი უშაიროდ არ გამომიშვებს და, შეხროგორც დიდი მელექსე, რას მირჩევო. ხასანს შეუმჩნეველი არ დარჩენია ბიძაშვილის იქედნური ტონი და მიუგია:

---

[1] კრებული „აჭარის ზეპირსიტყვიერება" (ნაზი ნოღაიდელის (რედ.), ბათუმი, 1959, გვ. 25, 32, 35, 100; „აჭარის ხალხური პოეზია", I, თბ., 1969, გვ. 127 და ა. შ.

შევიტყვეთ, სტუმრად აპოროზ,
ოზურგეთს გიცდის ქალები.
მორთულხარ მოსართავებით,
მნახველს ელხობა თვალები.

ლექსი საპალნედ გექნება,
მით არ ხარ შესაბრალები.
შორს მიხვალ, გიჯობს მჭედელსა
დააკრევინო ნალები...[2]

ყემპერს ამის გაგონებაზე გულიანად უცინია და უთქვამს „ახია ჩემზე, არ ჯობია ჩემთვის გავცერებულიყავი"-ო... ბსყავსი შესიტყვებანი სალხს ახლაც მრავლად ახსოვს, რომელშიც სალხური პოეტური ალღო ვამოსჭვივის.

მხიარული, ენაწყლიანი ბრძენი კაცი, -- დღესაც ასე ასსოვთ მის თანამედროვეებს სიტყვამადლიანი სალხური მელექსე, რომელსაც თავისი სიცოცხლე ცხოვრებას შრომისა და ლექსის სიყვარულში გაუტარებია.

ხ. ხაბაზი გარდაიცვალა 1945 წლის სექტემბერში, დაკრძალულია სოფელ აჭყვისთავში.

---

[2] მასალები მოგვაწოდა ხაბაზების გვარის შთამომავალმა ამირან ხაბაზმა, ჩაწერილია ვ. დავითაძის მიერ 1978 წელს.

1. ლენინის ხსოვნას

ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელში
დავიბადეთ მშრომელები,
მოვიშორეთ მჩაგვრელები,
მოვიშორეთ მტანჯველები.
და დავიწყეთ აშენება
ამქვეყნიერ სამოთხისა,
გვახარებდა ყველა სიტყვა
ჩვენი დიდი ლენინისა
ხალხიან მუშაობით
საქმე წინ-წინ წაიცვალა,
ვთქვით: აწი ჩვენ რაღა გვიჭირს —
ქვეყანა გამოიცვალა.
მაგრამ დამწუხრდა ქვეყანა,
საქმე სხვაფრად შეიცვალა
ათას ცხრაას ოცდაოთხში
ლენინი გარდაიცვალა.
რა უბედური დღე იყო,
ხალისი არ დაგვაცალა,
ძვირფასი ადამიანი
ხელიდან გამოგვეცალა!
ჩვენ შევფიცეთ მაშინ ლენინს.
ჩვენ შევფიცეთ დიდ პარტიას, —
ლენინმა რომ გამოაწრთო,
და აკვანში დაარწია:
ჩვენ გავყვებით დიდ პარტიას,
წაგვიძღვება წინ დიადი,
რომ ვიხილოთ მშრომელებმა
ლენინური განთიადი.
პარტია კი წინ წაგვიძღვა,
გამარჯვებაც მრავალია,
ოცდაოთხში რომ ეტიროდით.
ახლაც ვამბობთ ცოცხალია.
დიახ, იგი ცოცხალია!
ყველგან არის — გარეთ, შინა,
ყველა ჩაგრულს ეპატრონა,
ყველას გულში ნახა ბინა.

2. კომპარტიის ძლიერებით

ოქტომბრის შუქი ანათებს
დამშვენებულ არემარეს,
სამშობლოს თავისუფლება
ნეტა ვის არ გაახარებს!
დიდი ოქტომბრის ზეიმი
ათასფრად გაფურჩქნულია,
თხუთმეტ ძმად შეფიცულია
ერთი ძალა და გული.
ახალი დროის სიამეს
ყველა ხედავს თავის თვალით,
ძველი მჩაგვრელთა ბუნაგი
მოვსპეთ კანონების ძალით.
დღეს ყველა ბედნიერია,
ვეღარ გვჩაგრავს აღა-ბეგი,

ბიბინებენ საბურველად
ამწვანებული მინდვრები.
თუ გლეხს ეწინ უბედურსა
აკლდა საზრდო ლუკმაპური,
სწორეთ ამ გარემოებას

ლენინმა მიუგდო ყური.
კომპარტიის ძლიერებით
და გმირობით ბრძოლის ველზე,
მშრომელმა ხალხმა ბრწყინვალედ
გავიმარჯვეთ ვერაგ მტერზე.

3. შენმა სიბრძნემ მეც მასწავლა...

შენმა სიბრძნემ მეც მასწავლა
რამდენიმე სიტყვის თქმანი,
მაპატიე, თუ წარმოვთქვა
რომელიმე სიტყვა მკრთალი.
წარსულში პოეტი წერდა
სულ ბაყვარლების ამბავსა,
მოსწავლე ვერა სწავლობდა
თავის ბაკუთარ ანბანსა.
სასწავლებლები გახსენი —
სართული სართულს ნაგები,
მასწავლებლები არიან
მთელ მსოფლიოში ნაქები.

სკოლებში დაიარება
პატარა, დიდი, ჭაღარა,
მაგრამ მისაღწევათა
რამდენმა სისხლი დაღვარა.
ჩვენი ქვეყანა აივსო —
ნასწავლი ხალხი ბევრია,
რუსი, სომეხი, ქართველი
და მასთან ყველა ერია.
ყველა შენს სახელს იძახის,
სამშობლოს ჰიმნსა მღერიან,
დიდხანს იცოცხლე, ბელადო,
ყველგან შენს ქებას მღერიან.

4. სიკვდილი ჯალათებს

წმინდა შრომით პურის ჭამა
დასაძრახი არის განა?!
ყველამ იცის, მართალი ვარ,
მაგრამ სიტყვამ მოიტანა,
რომ მეკითხა — ოფლის დაღვრა
დასაძრახი არის განა?!
ვშრომობდი და თავს ვირჩენდი,
ჩემი მკლავით, ჩემი ოფლით,

მაიძულეს თავის რჩენა
ჩემი მკლავით, ჩემი თოფით,
დამჯაბნეს და სისხლი მწოვეს,
დამჩაგრეს და გამამწარეს,
რაკი ჩემი ჯინი სჭირდათ —
გავაგზავნე იქით მხარეს.
რაც ძაღლები ჩავაძაღლე,
სულ სხვა მუშას დააბრალეს,

სახრჩობელა გაუმზადეს,
დაჩხვლიტეს და გააწამეს,
მეგობრებო, ნუ გამკიცხავთ,
ბრძოლას კი არ გავექეცი.
თუმცა ჩემი ტყვიით მოვკედი,
ჩემი ხელით წავიქეცი.
სამარეში მოვისვენებ,
ველარ ვნახო წმინდა დილა,
იმისთვის, რომ საწყალ მუშას

სახრჩობელა არ ეხილა.
რომ მეცოცხლა, ჯალათებო,
გიტირებდით მრავალს დედას,
რადგან ქვეყნად გაჩენილხართ
მშრომელების სატანჯველად,
მალე მოვა გამარჯვება,
სანატრელი დრო დადგება,
მეც საფლავში გავიხარებ.
არ მექნება დავიწყება.

5. ოსმან ბიძიამ მიამბო

ოსმან ბიძიამ მიამბო, რაც რომ შეემთხვა ყოველი,
ჩვეულება და ადათი, წარსულ დროის საშინელი:
ერთობ ხალხი ვიტანჯოდით, არსად მოჩანდა საშველი,
ნაწილობრივ ჩამოგითვლი, თუ რა იყო ჩვენში ძველი,
ფუხარა-თვის მზე სად იყო, კანკალებდა მუდამ სველი,
ხოჯა სულში უძერებოდა, როგორც რომ ასპიტი გველი.
ხალხი საწყლად ვიზრდებოდით, არ ყოფილა სოფლად სკოლა,
ქალებს კი ჩადრი ეხურა, ხოჯა ურჩევდა თუ მოლა.
ბეგ-აღები თარეშობდნენ, მონა ვიყავთ მათი ყველა.
მათი სახელი მოისპო, მაღალ ბუნებამ დახწყევლა.
მეც იმ დროში ავიზარდე. არ ვიცოდი წერა-კითხვა,
როცა ასაკში შევედი, მამამ ჩემთვის ქალი ითხვა.
სრულებით არ უფიქრია ჩემზე ამ საქმის შეკითხვა,
როცა უარი შევკადრე. მაშამ მე ძალით დამითხვა.
მითხრა: რას ბედავ, ვაგლახო, რად არ გინდა ცოლის ნახვა.
მაგი რომ ხალხმა გაიგოს, ხომ იქნება ჩემი ძრახვა...
ასე შემრთეს კოჭლი ქალი, მასთან ცოტა ბრუციანი,
ტანად ხომ სულ არ ვარგოდა, გაბერილი, მუცლიანი,
პირისახე უშნო ჰქონდა, მოქცეული, ჭორფლიანი,
ხასიათით — საშინელი, უგუნებო, ცოფიანი.
მამას ვუთხარ: რა მიქენი, მე რად მინდა მაგი ცოლად,

დამიყვირა, შე მუტრუკო, ხმა ჩაიგდე, იყავ ჩუმად.
მაინც აღის შვილი არის, თუ არ ვარგა შეხედულად,
ჩვენ ხომ ღარიბი ხალხი ვართ, ის გაცხოვრებს შეძლებულად.
ახლა ქალი რომ დავტოვოთ, იქნებიან ჩვენთან მტრულად,
მთავრობა იმათ ხელშია და მოგვსპობენ ერთობ ცრუულად.
მდიდარის ბიძე გერქმევა, ცოტა თუკი გწყდება გული,
სხვა ხალხი მაინც ვერ ხედავს, ჩადრში არის გახვეული.
გლეხს თუ აღა ქალს მისცემდა, ის გლახა იყო ნამდვილად,
ისე ყიდვაც წესი იყო. აფასებდნენ სარძლოს ძვირად.
სხვა რა გიამბო, რა გითხრა, ძველი ამბები ბაძრახი,
არც თავრობისა არ გვაკლდა გლეხებს სასჯელი მათრახი,
სკოლა საჭირო არ არის, იყო ხოჯიდან კარნახი,
იქ ხალხი გაურჯულდება, გვიქადაგებდა ალახი.
ახლა ცხოვრებას რაღა სჯობს, რას ხედავს ჩემი თვალები.
ყველა სოფელში სკოლაა. ღიაა სწავლის კარები.
კრებაზე სიტყვით გამოდის ჩადრებმოხდილი ქალები,
ძველ ყოფას ზიზღით ძრახავენ, ბულს რომ ვათრევდით წვალებით
სკოლაში ერთად სწავლობენ, ახალი უდგათ აზმანი.
ქალი კაცს გაუთანაბრდა, ერთად შრომობენ და-ძმანი.
ჩადრი ნამწნებმა შეცვალა, ტუფლმა გლეხკაცის წაღები,
ახლა შიმშილი ვის ახსოვს, ოქროს იწველის ბაღები.
ჩემმა ბადიშმაც ისწავლა, დაამთავრა უმაღლესი,
ცოლიც მისით ეირჩია, სწორედ მისი ტოლი, ეში.
თვითონ ინჟინერი არის, ექიმია ცოლი მისი,
შეადარეთ ჩემი საქმე, რომელია უკეთესი.
თუკი რომ გსურთ, დაუკვირდით, გასაგები განა რთულად,
ოსმან ბიძიამ მიამბო თავის საქმე გარკვეულად,
თან ამას რომ მიყვებოდა, მოსდიოდა ცრემლი თვალზე,
მადლიერად იღიმოდა ნათელმირონ მომავალზე

6. ხუსია გაჯელიძის ლექსი

ბაჯელიძეს ვინ არ იცნობს,
სახელად სთქვია ხუსია,
ხელში ჩონგური უჭირავს,
ყველაზე უკეთესია,
ისე სუცდება მგოსანი,
ცეკვა არ დაუთესია.
ლექსებს იტყვის მაღალი ხმით,
შეჩონგურობა წესია.
შეჯიბრებას ვინ გაბედავს,
ეშინიან ყველასაო.
იგი როცა ლექსებს იტყვის,
დაბღერებს დელასაო.
არე-მარე ერთობ ტკბება,
ჩვენი კუთხის პირასაო.
მგონი ბულბულიც ღონდება,
ველარ ბედავს ტიასაო.
ჩვენ მადლობით ვაჯილდოვებთ
მის მშობელ დედ-მამასაო.
გაუზრდიათ კარგი შვილი
და მით მოგვწონს ყველასაო.
ჯერ ხომ კაცი არ ნახულა,
ამბობდეს მის გლახასაო.
ოქროს ასოთი მოვქარგავთ
მის გამომზრდელ აკვანსაო.
ხასიათს ვუქებ, კარგი აქვს,
მასთანაც გამოზრდილობა.
ხელს უწყობს სითავმდაბალე.
მისი მაღალი ბუნება.
წვეულებაში ვინ წავა,
ის თუ იქ არ ეგულება.
ბაჯელიძევ. თქვენ იცოცხლეთ,
ჩვენ ვიქნებით მოხარული.
ნამეტარი კარგი რომ ხარ,
ამხანაგის მოყვარული.
ქეიფობას დაეწრები,
ჩონგური გაქვს მომართული,
შაირი არ დაგელევა
შემთხვევებზე გამოთქმული,
ძმაო, მურად ანანიძევ,
შეაკეთე ჩემი ლექსი.
ყველას კარგად მიაჩნიხარ,
ჩემი ძმა ხარ უკეთესი.
თუ ვინმეს გსურს, რომ გაიგოთ
ამ ლექსისა გამომთქმელი, —
ხასან ხაბაძე გახლავართ,
აქყვისთავს მაქვს ოდა ძველი.

7. სამგლოვიარო ლექსი ცოლის გარდაცვალებაზე

გთხოვთ, ყველანმა დამიყუროთ, თუ გიყვარან თქვენი ძმაი,
ჩემი ცრემლი დაიღვარა, გული ღელავს როგორც ზღვაი.
ისეთი წამი დამადგა, დავიძახე — დედა, ვაი,
მწუხარებამ სიცხე მომცა, თავზე გამაცივნა თმაი.

ფემბე რომ ცოლათ შევირთე, მაშინ ვიყავ ოცი წლისა,
დიდი ჭირის გამონაცადს, ვსთქვი ცხოვრება ძლივს მეღირსა.
ოჯახობა დამიმშვენა, აღარავინ ამბობს ძვირსა,
მშობლებიც მხიარულობენ მოქმედებით მათი რძლისა.

ასეთი ტკბილი ცხოვრებით გავატარე ცხრაი წელი,
მეათეზე დღე დამადგა, ნეტავ გამომჭროდა ყელი.
ჩემი ფემბე ავათ გახდა, ძვირფასი და საყვარელი,
საცდელი არ დამიკლია, თლა ვატარე იგი წელი,
ექიმები დავასიე, გამოცდილი ყველა ძველი.

ბოლოს სიკვდილით დასრულდა ბუნებისა განაჩენი,
აწი ვეფერს ვეხმარები, აღარ გავა ძალა ჩვენი.
ყველა ამ დღეში ვარდებით ადამ-ევას დანარჩენი,
გვმართებს ყველას ტკბილათ ვიყოთ, ვალი არის აგი ჩვენი.

ოხ, შე წყეულო სიკვდილო, როგორ მომიკალი გული,
ვისაც ნახავ ყველას მოკლავ, არვინ არ გყავს მადლიერი.
ახლა მე ვარ შენი მხრიდან ნამეტარი დაჩაგრული,
ჩემი ცოლი შენ მოკალი და მით დამიდაგე გული.

როცხა იყოს ყველთვის კაცს კლავ, ზაფხული იყოს, ზამთარი,
ამისათვის ყველა გლანძღავს, ქართველია თუ თათარი.
ეგ საქმე ვერ გამიგია, მითხარ თუ გაქვს სხვაი გვარი,
ამის პასუხი მოგვეცი, ჩვენ რას გიშლით ფეხზე მდგარი.

ახლა, ძმებო, მეც დავდივარ, თუმცა არ მაქვს ძველი გული,
ან კი რა გული მექნება, სიკვდილიდან დაჩაგრული.
ჩემდა უბედურათ დადგა ათას ცხრაა ოცდარვა წელი,
ჩემი ცოლი მაშინ მოკვდა და მით შემეშალა ხელი.

სახლში მისვლა აღარ მინდა ისე დავკარგე გონება,
ან სახლში მისვლა რად მინდა, როცა ის არ მეგულება.
მაგრამ მოხუცი მამა მყავს, ჩემი გულიზა მოკვდება,
ჩემ ობოლ შვილს იგი უვლის, დედა ხომ არ ეგულება.

საყვარელო ჩემო ფემბევ, რატომ დამტოვე საწყალი,
ბედნიერი ვიქნებოდი, შენ რომ მყოლოდი ცოცხალი.

იმის შემდეგ მე ვიტანჯვი და მენთება ცეცხლის ალი,
ამისათვის ყველდღე ვტირი, ჩემ თვალზე არის კურცხალი.

ჩემთვის მზე აღარ ანათებს, ისე წავხდი და გავრეტდი,
ამ საქმეს რაღა უშველის ჩემი სიკვდილისა მეტი.
მაშინ ხომ ერთად ვიქნებით, რაღა მინდა ამის მეტი,
სიყვარული ძნელი არის, ზედ სიკვდილი უფრო მეტი.

ამ სიმწუხრის გამომრები მე ვარ ხასანი ხაბაძე,
იქნებ ვინმემ ქე დამზრახოთ ამა ლექსის გამოთქმაზე.
გამოცდილ ვინძეს შეხვითხეთ უდრეოთ ცოლთან გათიშვაზე;
მაშინ კი არ გამიმტყუნებო, რომ აღარ ვიყო სრულ ჭკუაზე.

ხასან თხილაიშვილი



ხასან დედეს ძე თხილაიშვილი დაიბადა 1891 წელს, ქობულეთში. მისი ბავშვობა აჭარის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების მეტად რთულ პერიოდს დაემთხვა, სოლო მისი შეგნებული ცხოვრება — სამშობლო კუთხის ბედ-იღბალზე ფიქრისა და ზრუნვის ცხარე წლებს.

აჭარა, კერძოდ ბათუმი, კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკური ურთიერთობის ასპარეზად იყო ქცეული. 1918 წელს ოსმალთა მიერ ბათუმის ოლქის სელმეორედ ოკუპაციის შემდეგ დაიწყო საქართველოსაგან აჭარის ჩამოცილების ცდები. ოსმალები ამ მიზნისათვის მოხერხებულად იყენებდნენ სარწმუნოებას. ისინი ვარაუდობდნენ მუსლიმან ქართველობაში თავიანთი ზრახვების ადვილად განხორციელებას. ამ საქმეში კი მათ ხელს უწყობდნენ გზააბნეული და მოღალატე სედაიმილეთელები. ხასან თხილაიშვილი იმ მოწინავე აჭარელთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებმაც მძიმე პოლიტიკური ვითარების ჟამს გამოიჩინეს გამბედაობა და გაუგებრობაში ჩავარდნილ გლეხ ხალხს სამშობლო ქვეყნის ერთგულებისაკენ მოუწოდეს. ხასან თხილაიშვილი იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრი. მისი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილის ღვაწლი, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მკვლევარებს.[1] ამ ბრძოლაში მას ბევრჯერ სიკვდილისათვისაც ჩაუხედავს თვალებში. ხასანი ერთ-ერთი პირ-

[1] ხ. ახელედიანი სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათუმი, 1975, გვ. 93.

ველთაგანი იყო, რომელმაც სახალხოდ მისცა ხმა საქართველოს სასარგებლოდ და სხვებსაც მოუწოდა ასევე მოქცეულიყვნენ. ამაზე გუბერნატორი შეკითხებია: „შენ მუსლიმანი ხარ თუ ქრისტიანი"-ო, „ქრისტიანიო"-ო, — უპასუხნია სასანს. ხოლო, შეკითხვაზე: „მუსლიმანობა გინდა თუ ქრისტიანობა"-ო — უთქვამს: მე მუსლიმანობა მინდა, მაგრამ სულთნის ფაშების და ბეგების მონობა არ მინდაო".[2] ასე ესმოდა მას, როგორც პატრიოტ მუსლიმან ქართველს, მაცდური არჩევნების შინაარსი. ასე განუმარტა სალხს, რომ აქ სარწმუნოება არაფერ შუაში იყო, რომ საქმე ეხებოდა არჩევანს, თუ ვინ რომელი ქვეყნის ერთგულებას იჩენდა: საქართველოსას თუ თურქეთისას.

სასან თხილაიშვილი ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ნიჭიერი სალხური ავტორ-მთქმელი. დაძაბული პოლიტიკური მოღვაწეობა ხელს ვერ უშლიდა მას თავისი სიტყვა სალხურ პოეზიაშიც ეთქვა. პირიქით, პოეტური ფრაზა მან მოღალატეებთან ბრძოლის ცეცხლით დამუხტა და მათ წინააღმდეგ გამოიყენა. მისი პატრიოტული ლექსები სალხს საშოშლოს ერთგულებას ჩააგონებდა. სალხური მელექსე აჭარასა და მესხეთს შორის ისტორიული ბედის მსგავსებას ხედავდა. საქართველოს ეს ორი კუთხე დიდხანს ებრძოდა მარტოდმარტო უცხოთაგან წალეკვის საშიშროებას. ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ:

ხელს გვიწვდის დედასამშობლო, მოდი და გულში ჩამეკარ,
— ჩემო სულიკო, ნენაო. არ შეგეყაროს სნებაო.[3]

სასალხო მგოსანი სიძულვილით იხსენიებს სედაიმილეთელებს, რომლებიც მტრებისადმი სამშობლო ქვეყნის კარის გაღებას ლამობდნენ:

დაძრწიან ყოველ სოფელში, მტრებს გვერდში ამოდგომიან,
უვიცნი მოქრთამულები. ჩაუჯიბავენ ფულები...[4]

ხასან თხილაიშვილი მტრებთან ბრძოლაში მოხერხებულად იყენებდა სატირას, მისი პოლიტიკური შაირები ბათუმის მუშაობა წრეებში იმღერებოდა კიდეც, ხოლო პატრიოტული ლექსები სალხს ზეპირად სცოდნია თურმე. ამის შესახებ თავის ერთ-ერთ რომანში მიუთითებს მწერალი პან-

[2] იქვე, გვ. 95.
[3] იქვე, გვ. 98.
[4] იქვე.

მენ ლორიაც.[5] სასანის პატრიოტული ლექსებით მოხიბლულ პოეტ ნესტორ მალაზონიას მისთვის ლექსიც კი მიუძღვნია.[6]

ლექსი ოსტატობით არის დაუვიწყარი, კაცი — შთამომავლობით. ხასან თხილაიშვილის, როგორც სახალხო მგოსნის პოეტური ქმნილებანი კარგახანია უკვდავებასთანაა წილნაყარი, სოლო მისი ავტორი ორგზის უკვდავყოფილია, როგორც ლექსით, ისე შთამომავლობით.

ხასან თხილაიშვილს დიდი და მრავალპიცხოვანი ოჯახი ჰქონდა. 5 ქალიშვილისა და 1 ვაჟის სამრავალ-ნაშენში სჩქეფს დღეს პატრიოტი მამულიშვილის უშიშარი სისხლი. მაიდან ერთს, ქალიშვილ ქევსერს მგოსანი მამისგან პოეტური ნიჭიც გამოჰყოლია და თავის დროზე საინტერესო ლექსებიც შეუთხზავს. სამწუხაროდ დღეს ისინი ხალხშია გაბნეული და შეკრება-ყამოცემას ელის.

ლექსის, მწერლობის, წიგნის ფანატიკური სიყვარული და პატივისცემა გამოჰყოლია მის ერთ-ერთ შვილიშვილს, მამია ხარაზს. იგი ინჟინერია, მაგრამ წიგნის ცოდნასა და დაფასებაში ფილოლოგი გვერდითაც ვერ დაუდგება. ვთქვათ, მარტივად: მის ბიბლიოთეკაში 40. 000 წიგნია, მათ შორის ბევრი ისეთი, რომელიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, თვით ერთეულ ეგზემპლარამდეც კი. მამია წიგნის საქმის ჭეშმარიტი მზრუნველი და მეცენატია. მისი უშუალო ზრუნვით და ფინანსური უზრუნველყოფით მრავალმა საინტერესო წიგნმა იხილა დღის სინათლე. განსაკუთრებით გამორჩეულია მისი ზრუნვა სალხური სიტყვიერების შეკრება-გამოცემის საქმეში. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მასში ხომ ხასან თხილაიშვილის გენი ცოცხლობს და ღვივის. მ. ხარაზი ავტორია წიგნებისა.

მეცენატობა და კეთილი საქმის მზრუნველობა დედ-მამისაგან უსწავლია მამიას: სასანის ქალიშვილი ქევსერ თხილაიშვილი ჭეშმარიტი სახალხო მასწავლებელი იყო, სოლო მისი მეუღლე, სერგო ხარაზი საქართველოში ბუნებრივი გაზის ანუ როგორც ჩვენ დღეს სიმბოლურად ვუწოდებთ — „ცისფერი ალის“ პირველშემომტანი გახლდათ, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, ჩვენში პირველი გაზქურის მფლობელი, „გაზის პრომეთე“:

„იმ დღეს ჩვენთან ბლომად მოიყარა თავი ხალხმა. მახსოვს აქ იყო პატივცემული ალექსანდრე დოლიძე და კარლო ნიკოლაიშვილი. იყვნენ

---

[5] პ. ლორია, „დაბადების დღე“, ბათუმი, 1972, გვ. 7.

[6] იხ. ნ. მალაზონია, ლექსები, ბათუმი, 1953 წელი.

ქალაქის საბჭოს წარმომადგენლები, სხვებიც, რომლებსაც ვერ ვიცნობდი. ყველანი ღელავდნენ, განსაკუთრებით მამაჩემი და ალექსანდრე დოლიძე. ეს გასაგებიცაა, ისინი იყვნენ უშუალო მოთავეები ამ საქმისა. მახსოვს, როცა მამაჩემი და კომისიის სხვა წევრები ოდესაში მიემგზავრებოდნენ, მეც მათთან ერთად ვიმგზავრე როსტოვამდე. რამდენს ბჭობდნენ ისინი ვაგონში, რამდენს კამათობდნენ, რაღაცას ანგარიშობდნენ, ვიღაც მოწინააღმდეგეს ახსენებდნენ (დიას, თურმე იყვნენ ამ კეთილი საქმის მოწინააღმდეგენიც), შემდეგაც რამდენი მუშაობის გაწევა მოუხდა მამას, ბატონ ალექსანდრეს, კომისიის სხვა წევრებს და რა გასაკვირია, რომ ისინი ღელავდნენ. ის კი არა მათი ღელვა მეც გადამედო, თუმცა იმ დროს რუსეთში ვსწავლობდი და გაზქურა ჩემთვის ახალი ხილი არ იყო. დედაჩემის სახე რომ მახსენდება, მეღიმება. მას თითქოს რაღაცისა ეშინოდა, შორიდან მორიდებით შესცქეროდა ქურას. ოსტატმა თავისი საქმე დაამთავრა და ქურასთან ანთებული ასანთი პირველად კარლო ნიკოლაიშვილმა მიიტანა, ეს მან ანათო პირველი ცისფერი ალი ბათუმში, მერე ტაშის ხმა გაისმა, იყო მილოცვები, მხიარული სიცილი. მერე მაგიდას მივუსხედით და დედამ პირველად გაზქურაზე მოეზადებული სადილი მოგვართვა.

ოცდაორი ბალონი მოიტანეს ჩვენთან. გაზიფიკაციის მუშაკები აკვირდებოდნენ ჩვენი გაზქურის მუშაობას, სანამ 22-ვე ბალონი აღ გაიცალა. ჩვენს ბინაში განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი, გვეკითხებოდნენ გაზის შესახებ და ჩვენც ვუპასუხებდით, ვუჩვენებდით, ესარგებლათ ამ სიკეთით. სახლშიც ვპატიჟებდით ბევრს და თვალნათლივ ვუჩვენებდით ყველაფერს. ის დღე, როცა პირველი გაზქურა დაიდგა ჩვენთან, მე არასოდეს დამავიწყდება...“*

ხასან თხილაიშვილი თავისი პატრიოტული მოღვაწეობით სცილდება ხალხური მელექსის ფარგლებს, იგი პოლიტიკური მოღვაწეცაა. მისი ცხოვრება ამ მხრივ მეორე ხალხური მგოსნის, მემედ ჭყონიას ბიოგრაფიას მოგვაგონებს. ხასანი ახლოს იცნობდა ცნობილ ქართველ მოღვაწეს მემედ აბაშიძეს და მისი ერთ-ერთი თანამებრძოლთაგანიც იყო.

ხასან თხილაიშვილი გარდაიცვალა 1942 წელს. მისი ლექსების ნაწილი ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში, ხოლო უფრო მეტი გაბნეულია ხალხში, რის შეკრებაც უახლოესი მომავლის საქმეა.

---

* ვ. კობალაძე, ცისფერი ალის სიკეთე, ბათუმი, 1981, გვ. 7-8.

1. მესხეთს

ისტორიულად ნაქებო,
მესხეთო, ტურფა მხარეო,
შოთა რუსთველის მშობელო,
გამოიღვიძე, მალეო.
შოთას სიტყვები ეხლაც ჰქუხს —
მესხეთო, გაიხარეო,
სიმართლის მზემა ანათოს,
მოჰფინოს ჩვენი მხარეო.
თამარ მეფისა ნაშენი
ციხე აქ ბლომად დგანაო,
ის მოწმობს ჩვენსა წარსულსა,
დედამ რომ გვითხრა ნანაო.
ხელს გვიწვდის დედასამშობლო,
ჩემო სულიკო, ნენაო,
მოდი და გულში ჩამეკარ,
არ შეგეყაროს სნებაო.
ყორნებს კი ლახვრად ესობათ
ეს დედის ტკბილი სიტყვები.
და ყოველ ღონეს ხმარობენ,
შევიქმნეთ კლავად მონები.
დაძრწიან ყოველ სოფელში
ჯიუტნი, მოქრთამულები,
მტრებს გვერდით ამოდგომიან,
ჩაუჯიბავენ ფულები.
ოჯახს გვინგრევენ, სამშობლოს
განადგურებას ლამობენ,
მტრებთან ფერხულსა უვლიან,
ჩვენი წვალებით ხარობენ.
განა არ კმარა ცრემლები,
განა არ კმარა გოდება,
დღესაც რომ არ გვასვენებენ,
ავსული აღარ გვშორდება?!
ისტორიულად ნაქებო,
მესხეთო, ტურფა მხარეო,
შოთა რუსთველის მშობელო,
გამოიღვიძე, მალეო.

1918 წ.

2. მესხებს

მესხელხო, თვალი ახილეთ,
თქვენა ხართ ერის დიდება,
თქვენებრ ვაჟკაცი დედასა
ნაკლებად გამოეზრდება.
გვავალებს ჩვენი წარსული,
არა გვაქვს ძილის უფლება,
დავძახოთ ერთად ბრძოლის ხმა,
მოვქარგოთ თავისუფლება.
შავი ყორნები თავს გვესხმის,
არ გვასვენებენ კლავადა,
ნისკარტი მოტეხილი აქვთ,

საქმე წასვლიათ ავადა.
შიში შორს ვაგდოთ, ძრწოლანი,
იმათი დანაქადია,
თორემ იცოდეთ, აჭარას
სირცხვილი აწევს ცხადია.

მოვმართოთ მამა-პაპური.
მანქანა პირბასტოსანი,
და იმ შავ ყორნებს ვახალოთ
ისარი კაპარჭოსანი.

1919 წ.

3. ისტორიულად აჭარლებს...

ისტორიულად აჭარლებს
რამდენი ტანჯვა რგებიათ,
მტერთან ბრძოლებში მუდმივად
მთა-ბარი დაუნგრევიათ.
ხმალი-ხმალზედ მიდიოდა,
ტყვია ქვას ედუღებოდა,
თმაგაწეწილი დედები
შვილებსა ეფარებოდა.
ტყეში მხეცები შიშისგან
მინდორ-ველს ეტაფებოდა,
ცეცხლით დამწვარი სახლები
მიწაზე იფერფლებოდა.
ყვავ-ყორანი ზეციდანა
მოკლულებს ეპარებოდა,
ჩვენი მესხეთის კულტურა
თანდათან ნადგურდებოდა.
ტყვია-ტყვიაზე სკდებოდა,
ჩიტი მზეს ეფარებოდა,
ჭოროხი სისხლით აივსო,
ზღვის ტალღებს ედარებოდა.
დამარცხდა მტერთან აჭარა,
დაჭრილი ჯავრით კვდებოდა,
გამხეცებული მხედრობა
სისხლის მორევში ტკბებოდა.

ოჯრქების მხეცური ქცევა
გველებსაც ეზიზღებოდა.
გაანადგურეს ქვეყანა,
მკვდრები მიწაზე ლპებოდა.
მიცვალებულთა ჭვამლსა
ძაღლები ეწიწებოდა.
ნეშები უფრო გამხნევდნენ,
გამოყვეს ათისთავები
გლეხებთან ძმური კავშირით
ბრძოლით დაამხეს ტახტები.
ძველი მთავრობა გაბაწრეს,
მაგრად შეუკრეს ხელები.
მერე ვრანგელი გამოჩნდა,
დენიკინ-კოლჩაკელები,
უფრო გაჩაღდა სისხლისღვრა,
ხელს უწყობს ინგლისელები
პარტიის სიბრძნემ დარაზმა
ღარიბი პროლეტარები,
მყისვე მტერს წესი აუგეს,
გორად აქციეს გვამები.
ვინც დარჩა ზღვაში მირბოდა,
სიმწარე მოუშუშები.
აღმართეს წითელი დროშა,
და იმარჯვებენ მუშები.

1918 წ.

4. ხალხი შიმშილით წყდებოდა

ძველი რუსეთის მთავრობა
მშრომელებს ავიწროებდა,
მონათ აქცია ქვეყანა,
ხალხი შიმშილით წყდებოდა.
ქვეყნად თუ იყო იმ დროსა
ჩვენსავით დატანჯულები,
მუდამ წვალებაში მყოფი,
ქვაბებში მოხარშულები?!
მაშინ გავრცელდა მარქსიზმი,
დაირაზმა მშრომელები,
ხალხმა ჯარალი შეისხა,
ტყვია-წამალი, თოფები.
მაგრამ მეფის ბრძანებითა
დახოცეს გაფიცულები,
ხალხი გაგზავნეს ციმბირში,
ახადეს რეველვერები.
მუქთახორები გამდიდრდნენ,
ქონება ემატებოდათ,
სოჯები ზეიმობდნენ და
ხალხი ზეზეურ წყდებოდა.
ჰორიზონტზე ცეცხლი დაანთეს,
რუსი თურქს ეომებოდა,
ზარბაზნების ყუმბარები
სახლის თავებზე სკდებოდა.
მაგრამ ნატანჯი აჭარა
არავის ებრალებოდა,
ის კი დაჭრილი ლომივით
მაინც საომრად დგებოდა.

1918 წ.

5. ტურფას

ვარსკვლავთსადარო მშვენებით,
ბუნებით ამაღლებულო.
ქართველი დედის ნაზარდო,
ვარდივით აყვავებულო.
რომ თვალი მოგკარ, გიხილე,
მყის ამერია გონება.
ვთქვი: თუ ედემის შვილია,
ან აჩრდილია, ჩვენება.
რომ თქვენი მსგავსი ამქვეყნად
არსად მინახავს სულდგმული.
თქვენსკენ მოვიღტვი,
ვისწრაფვი,
თქვენთვისა მიძგერს ეს გული.
გამეცან, ტურფა ასულო,
გულს მოგცემ საფეხურადა,
ცრემლებით შეგთხოვ, მნათობო,
ნუ დამწვავ უცეცხლურადა.
მიიღე ჩემი ვედრება,
ეით ღვთისა საწირავია.
არ მიმტყუნო და მიმტეროო
ტანთ არ ჩამაცვა შავია.
ოღონდ მითხარი, რას ითხოვ,
რა არის თქვენი სურვილი.
ცხოვრების სარკეს დაგიდგამ,
რომ მით გაგიქრო წყურვილი.
გინდ სადედოფლო ტახტებსაც
მოგართმევ, გეთაყვანები.
ჩანგით და თარით გიმღერებ,

ჩიტის რძით გაიბანები.
იქნებ მაჰმადის რჯულია
ჩემთვისა ხელის მშლელია.
მაშინ თქვენს რჯულსა მივიღებ,
დე, აღსდგეს საწადელია.

ოღონდ ერთი კი გიხილო,
ვეღირსო თქვენსა ალერსსა.
შემდეგ სიკვდილი მიუძღვნა
ამ ჩემ გულს, განაწამებსა.

6. ლექსი ხუსეინ ბაჯელიძეზე

ქობულეთის საამაყო
პიროვნება ვინმე, ერთი.
ჩვენ ხუსია ბაჯელიძეს
გვიცოცხლებდეს მუდამ ღმერთი.
ზრდილობით კარგი კაცია.
ორგულებთან არის სერთი.
ათას წლობით მას ეცოცხლოს,
არ დააკლდეს ერთი წვეთი.
აჭარლები მას ადიდებს,
აღტაცებით ოზურგეთი.
წარმატებით მოიგონებს
ამერი და იმერეთი.
ბაჯელიძეს ყველა იცნობს,
საქართველო თუ რუსეთი.
პოეტურად ლექსს გამოთქვამს,
შეახმატკბილა მესხეთი.
ერთხელ ვნახე ხუსეინი,
ჩონგურს ტკბილად ამღერებდა,
საზოგადო პურის ჭამას
დიდებულად ამშვენებდა.
ხალხის მუდამ მოყვარულსა
თქმულ ლექსებით ატკბილებდა.
მის ჩონგურზე დამღერებით
ქალი-კაცი სიამობდა.
ხალხის ორგულს, მოღალატეს
ტყეში ნადირს ადარებდა.
ქურდ-ბაცაცებს, მუქთახორებს
„მოწიწებით“ აგინებდა.
მშობელ მიწის მოყურადეს
ფეხქვეშ ნოხად ეგებოდა.
გრძნობით სავსე, უთვალჩინო
ლაპარაკზედ კაცს იცნობდა.
მოსაზრებით უფრო დიდი,
დაუნახად გზას იგრძნობდა
მომძვს ისე მონახავდა,
მისამართსაც არ ეძებდა.
შემკული ხარ, ჩემო ხუსეინ,
ნათესავით უფრო კარგად.
ჩვენი ხუსია გოგიტიძე, —
სიძეც გყავდეს მუდამ ვარდათ.
კაჯაციშვილი აზიზი
მტერის თვალში იყოს პარდად.
პატივისცემით გყოლოდეს
ქემალ ბაჯელიძე ხალდაღ
კაჯაციშვილი ლუსუფი
დაგმშვენდება გვერდში ლორდად.
შაქარიშვილი მემედი
თავრობაში იყოს მოლად.

არ შეგაქებ, ჩემო ხუსი,
ბევრი კარგი შეგიქმნია.
და შენ მუდამ შეგნებულად.
ხალხის აზრი გაგიხსნია.

მე თუ მკითხავ, შენი მტერი
თამაზოღლი ასლანია.
ლექსს გიგზავნი შენი ძმაჲ,
თხილაჲშვილი ხასანია.

7. ჩოლოქი

ეხ, დაკლაკნილო ჩემო ჩოლოქო,
შენს გიჟურ სრბოლას არა აქვს ზღვარი.
ნუთუ არ გახსოვს შენს ნაპირებზე
მოძმეთა შორის იყო საზღვარი.

ქრისტიანები იდგნენ გაღმაზე,
ბოლო გაჰოღმით მუსლიმანები.
ძმებს შორის მუდმივ ქიშპობა იყო,
ჩანჩქერს ღებავდა სისხლის ღვარები.

მაგრამ დრო გაქრა შავი და მრუდი,
ყოფილ „საზღვარზე“ აიგო ხიდი.
ძმამ-ძმა ნახა და გადაეხვია,
ერთმანეთისა აღარ აქვთ რიდი.

ქართველმა ხალხმა ტანჯულ მოძმეებს
ხელი-ხელს მისცა, გული-გულს ანდვეს.
აწ ძმათა შორის ერთგულ სიყვარულს
ვერც ტყვია მოსპობს, ვერც რამ დაარღვევს.

ქობულეთი,
1930 წელი.

8. ოსმალთა შემოსევა

თათრების ჯარი ჩვენს მხარეს
მრავალჯერ შემოსევიან.
ჩვენებს იმათთან ბრძოლაში
მთა-ბარი დაუნგრევიან,

მაჟულს ღრუბელი ფარავდა,
ია და ვარდი ჰკნებოდა.
ჩვენი დიადი წარსული
სამარეს ებარებოდა.

ბავშვებს ისარზე ავებდნენ,
ჩვენი სიცოცხლეც ქრებოდა.

ჩოლოქი საზღვრად დაგვიდეს, —
ქართული დაგვიწყებოდა.

ქედს არ იხრიდა აჭარა,
კლავდნენ და არა კვდებოდა.
ხმალს ლესდა, ხანჯალს ფერავდა,
ომს ფიცხელ ეფიცხებოდა.
და სწამდა გამარჯვებული
მტერს გულზე შეადგებოდა.

1920 წელი.

შაქირ ზოსიძე (ყაჭო)*



შაქირ ზოსიძე, (მეტსახელად „ყაჭო“) დაიბადა 1893 წელს და ცხოვრობდა სოფელ ჯაბანიძეებში, გორას უბანში (შუახევის რაიონი). წარმოშობით ღარიბი გლეხის ოჯახიდან იყო და ბავშვობა გაჭირვებაში ჰქონდა გატარებული. რამდენიმე წელი მუსლიმანურ მედრესეში• უსწავლია, ხოლო შემდეგ მატერიალური ხელმოკლეობის გამო ოჯახს მისთვის მწყემსობა დაუვალებია. სწორედ აქიდან დაიწყო ხალხურ საუნჯესთან შაქირის დაახლოება. მწყემსობაში გაიშალა და ჩამოყალიბდა ყმაწვილი ბიჭის პოეტური სიჭი. შაქირმა შეიყვარა დ. შეიტკბო სალხური ლექსები, რომელსაც დღენიადაგ უფრო ღრმად ეცნობოდა. სულ მალე იგრძნო, რომ თვითონაც შეეძლო ამგვარი ლექსების შეთხზვა. და ეს გასდა თავისთავში ბედნიერი აღმოჩენა. ამ დღიდან შაქირი მთელი გატაცებით დაეწაფა პოეტურ სიტყვას.

შაქირ ზოსიძეს აჭარის ცნობილ მელექსე-მოშაირეთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს, რაც მისი თავისებური პოეტური რეპერტუარითაა განპირობებული: იგი მხოლოდ აჭარული ცალფა შაირების მთხზველი და შემსრულებელი იყო. უმეტესად სატრფიალო ხასიათის შაირებს თხზავდა, სხვა ჟანრი საერთოდ არ იზიდავდა მას. ძნელია მოინახოს მეორე ისეთი მელექსე, რომელიც ასე ურთგული დარჩენილიყოს არჩევანისა, შაქირი საერთოდ არ ეტანებოდა ზღაპარს, არც გრძელი ლექსები იქცევდა მის ყურადღებას, მხიარულ, ლაღ შაირებს ეტრფოდა. შაქირი ამ საქმის პროფესიონალი იყო მთელი არსებით, ხოლო ხანდაზმულობის დროს თავსაც ამით ირჩენდა. ჯოხით ხელში დადიოდა სოფელ-

* მასალები მოგვაწოდა რ. ზოსიძემ, 1976 წელს.

სოფელ, ეზო-ეზო და დაუბარებლად მღეროდა შაირებს. საკრავ ინსტრუმენტს საერთოდ არ ხმარობდა. როცა მღეროდა, მთელი არსებით მუსიკაში, რიტმში იყო ჩაფლული. სიმღერას აყოლებდა ხელებს, მხრებს, მუხლებს, ფეხებს, ტოკავდა მთელი სხეულით. სახის მიმიკა და გარდასახვა ხომ ცალკეული მსახიობისა ჰქონდა;

შაქირს მზა შაირების რეპერტუარი სამ ჯგუფად ჰქონდა განაწილებული: მანეთის (ასლანდელი ათიკაპიკი), ორი მანეთისა და სამისა. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა რაოდენობითაც და შინაარსითაც და გადახდილი საზღაურის მიხედვით ჩამოიმღერებდა. საზოგადოებაში მისი გამოჩენა მუდამ სიხარულსა და აღტაცებას იწვევდა. მეტადრე ისე უყვარდათ ბავშვებს, რომელთათვისაც ძალზე ხშირად უფასოდ ამღერებდა შაირებს. საუბარი სასიამოვნო იცოდა, მარგალიტებივით აბნევდა ხალხურ სიბრძნეს. სწორედ მის ამ თავისებურებებთან უნდა იყოს დაკავშირებული მეტსახელი „ყაჭო“-ს შერქმევაც (ეს სიტყვა კავშირშია აბრეშუმის ჭიასთან (ყაჭთან). ჭიის კვერცხების გამოჩეკას სხვაგვარად „აყაჭებასაც“ უწოდებენ. სალხურ მეაბრეშუმეობაში პირველი ჭიის გამოჩენა მუდამ განსაკუთრებულ სიხარულს იწვევდა. ეს დღე ოჯახში საზეიმო დღედ იყო გამოცხადებული. სალხური ტრადიცია თანდათან განზოგადდა და თავისი ასახვა მეტყველებაშიც ჰპოვა. აჭარულ დიალექტში გაჩნდა სიტყვა „აყაჭება“, „გაყაჭვა“, „აყაჭებული“, „გეიყაჭა“ და სხვა. რაც „სიხარულის“-ს, უეცარი გამხიარულების, გაცინების, გაღიმების სინონიმად იქცა. „ავყაჭდი“ — ეს იგივეა, რაც „გავმხიარულდი“, „გამიხარდა“. სალხურ მთქმელზე მეტსახელი „ყაჭოს“ შერქმევა სწორედ ამ ნიუანსიდან უნდა გამომდინარეობდეს, რადგან შაქირის გამოჩენა სალხში მუდამ ზეიმს იწვევდა. სიტყვა ყაჭს საეროდ ფართო ომონიმური მნიშვნელობები აქვს: იგი „ყველის ამოღების („ყველის აწევის“) პროცესშიც იხმარება. მემთიევრები კარგად ამოღებულ (ხას) ყველზე იტყვიან „ამოვყაჭეო“, რაც პარკის (ყაჭის) ამოსვევის მიმსგავსებითაა შექმნილი. არსებობს გამოთქმები „ამოყაჭე“ (ჯიბიდან ფულები), „ფული დაყაჭა“ და ასე შემდეგ.

ჩვენს შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს პირველი ნიუანსით მიღებულ მეტსახელთან, რაც უშუალოდ უკავშირდება სალხური მთქმელის პირად ცხოვრებას და მის პიროვნულ ნიშნებსაც (შაქირი მეტად ენამოსწრებული და მხიარული მოსაუბრე იყო).

შაქირ ზოსიძე ბოლო ხანებში მოშაირეობას თავის ერთადერთ პროფესიად თვლიდა, ამიტომ შეძლებულზე უარს არ ამბობდა, მაგრამ, ვინძეს

იმ სამი სახეობის თანხიდან ზედმეტიც რომ გადაეხადა, შეურაცხყოფად ჩათვლიდა. მან კარგად იცოდა, რაში რა ერგებოდა, კიდევ ერთი თვისება ჰქონდა სასალხო მგოსანს: მუდამ კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის „საქმეს“, ცა რომ ჩამონგრეულიყო, გადასცილი თანხის შესაბამის სათქმელს სტრიქონს არ მოაკლებდა. მსმენელს „კუთვნილს არ გაუქცევდა“. მელექსის კეთილსინდისიერება ზოგჯერ უცნაურობამდეც მიდიოდა: მოსწავლეებთან ხშირად სკოლის ეზოში შეივლიდა. ბავშვებს მეტად უყვარდათ მისი მოსმენა და ხშირად სამისო მანეთიანს ძუძული კვირა ისახავდნენ ხოლმე. ზოგჯერ შუა სიმღერაში ზარიც დაირეკებოდა. ბავშვები აულდაწყვეტილი შეიყოდნენ გაკვეთილზე, ბოხუცი ასეთ დროს ზოგჯერ სრულიად უმსმენელოდ რჩებოდა, მაგრამ სიმღერას მაინც აგრძელებდა. „აბას რატომ ჩაიხარო“, — შეეკითხებოდნენ ხშირად მასწავლებლები, პასუხი ერთი იყო: „მე ისე გასამტკნელოს ვიღებ, იმისა კიდეც უნდა ვიმღერო, ისე ნემი ლუკმა ალალი არ იქნება“-ო. ეს ფაქტი მოშაირის ჰეროფესიონალიზმის იშვიათი გამოვლინება იყო.

ბოლო სანებში შაირის სიცვარული ძალას მატებდა შაქირს. მუხლი ძველებურად აღარ მოსდევდა, მაგრამ გული ისევ ერწყოდა. ხალხი ამბობდა „მაგას შაირები რომ არ სცოდნოდა, ამდენხანს ვერ იცოცხლებდა“-ო. ეს ხალხისეული და, შეიძლება ითქვას, გადაუჭარბებელი შეფასებაა. შაქირ ზასიძე მართლაც რომ შაირებით ცოცხლობდა. უფრო სიმბოლური კი ისაა, რომ იგი ცუდად სწორედ შაირების თქმისას გამხდარა და მალე გარდაიცვალა კიდეც. ასე დაასრულა სიცოცხლე შაირის ტრფიალმა მთიელმა.

დღევანდელი ცალფა შაირები, ასე უხვად რომ არის გაბნეული აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში, უმეტესად სწორედ შაქირის რეპერტუარს შეადგენდა. მათი დიდი ნაწილის ავტორი თვითონ შაქირი იყო, ხოლო ნაწილიც ხალხისგან ჰქონდა გაგონილი და მძივებივით „ამოკრეფილი“.

ასე, შაირით ცხოვრობდა ნიჭიერი ხალხური მთქმელი შაქირ ზასიძე (ყაჭო) და შაირსვე გაატანა თავისი სიცოცხლე მარადისობაში. გარდაცვალა იგი 1968 წელს, დაკრძალულია თავისსავე სოფელში.

1. შაირები

1. ხარბა ღელეს ხარი ვდენე,
ყირმიზი და რქიანიო.
მე რუმ გოგო დავაპირე,
წელმაღალი თმიანიო.
2. გოგოვ, გოგოვ, კისკისაო,
აქ ჩამოდი წყლისპირსაო.
წყალი მასვი კოკითაო,
გამაძღევი კოცნითაო.
3. ერთი ცალი ვაშლი მქონდა,
გადავცვალე ბიაშიო.
რა ლამაზი ციცაა შენ ხარ,
გენაცვალე ყიაშიო.
4. მაღლა სერზე ლალებიო,
ჩამწკრივულან ქალებიო.
ნეტაი ერთი მაცოდინა
რუმელს შევებრალებიო.
5. მაღლა სერზე ასლა მინდა,
კვერცხი გულის ატანაო.
ლამაზ გოგოს თხოვნა მინდა,
ყვითელ კაბის მიტანაო.
6. გოგოვ, შენი წელი წმინდა,
მომიქსოვე ჰრელი წინდა.
შენი ძიაი ყაიანათ მინდა,
შენი თავი ცოლად მინდა.
7. საყდარი და ქილისაო,
კარი რომ აქ კინისაო.
გოგოს ხვევნა-კოცნა უნდა
საუზმარზე დილისაო.
8. აჭარაში გადავედი,
ქუმაი გავჭერ ყამითაო.
გოგოვ, უნდა მოგეპარო,
ჩეგეხუტო ღამითაო.
9. სელამ-ქელამს მოგახსენებ
პაწა ციცას ქეზიბანსო.
ლოყა გიგავს ვაშლის ნათალს,
ძუძუები — ქერიბანსო.
10. მაღლა-მაღლა ქორი ფრინავს,
ქვეშ მიმინოს ნადირობა.
გოგოვ, შენთან დამაწვინე,
გიმიხდება სადილობა.
11. ხულას მივალ ხულისთვინა,
გატეხილი ცულისთვინა.
გოგოვ, ერთი მაკოცნიე
შენ დედ-მამის სულისთვინა.
12. თხილის ტკეჩები მოვჭერი,
მოგიქსოვე კალათაო.
გოგოვ, ძალიან ლაშაზი ხარ.
წამომყევი ქალათაო.
13. სახლი კისერ ტყეში შეველ,
წყლეპი მოვჭერ ცხემლისაო
ველზე ნამი ციმციმებდა
გოგოვ, შენი ცრემლისაო.
14. სახლი კისერ ტყეში შეველ
წყლეპი მოვჭერ წაბლისაო.
გზაში მტრედი ჰფიფრინდა,
გოგოვ, შენი წარბისაო.
15. პაწავ ციცავ, პერანგაო.
პაწავ ციცავ და, პერანგაო.
შენ რომ წახვალ, მე რა ვქნა და,
შენ რომ წახვალ, მე რა ვქნაო.

16. პაწა ოდის დოშამეო და,
პაწა ოდის დოშამეო.
რა გოგო ხარ და, მოსამეო,
რა გოგო ხარ მოსამეო.

17. ავწონე და, ერთი ოყა,
ავწონე და, ერთი ოყა.
ამოგკოცნე თეთრი ლოყა და,
ამოგკოცნე თეთრი ლოყა.

18. ავწონე და, ერთი ნუკი,
ავწონე და, ერთი ნუკი.
ამოგკოცნე თეთრი ბუკი და,
ამოგკოცნე თეთრი ბუკი.

19. მკლავზე ღილი, მერჯანიო და,
მკლავზე ღილი, მერჯანიო.
შეგვიტყვეს და ემჯამიო და,
შეგვიტყვეს და ემჯამიო.

20. ვაჲმე ჩემო და, შემსიეო,
ვაჲმე ჩემო შემსიეო.
ახორკარში შეგწიეო და,
ახორკარში შეგწიეო.

21. უსტურა და ბილევიო და.
უსტურა და ბილევიო.
ვიწვი შენთვის, ვილევიო და,
ვიწვი შენთვის, ვილევიო.

22. მე რომ ლექსი დაგიმღერე
კენესა იყო გულისაო.
გოგოვ, კარი გამიღევი
მაგ შენ ლამაზ ვულისაო.

23. სახლი კისერ ძეწნებიო,
მომწონს შენი ნამწნებიო.
გოგოვ, ავათ რომ გავხდები,
შენ უჩეში დავწვებიო

24. დუშმანი გადამეკიდა,
მეძებს, რატომ შენი ვარო.
გოგოვ, ცოცხალს თუ ვერ
მნახავ.
მკვდარი მაინც შენი ვარო.

. . . . . .

25. საყვარელო ჩემო კაკა,
ოქროს ბეჭდები რომ გაქ,
ვიქნებოდე შენი კაბა,
ტანზე ჩაცმული რომ გაქ.

26. აბრეშუმის კაბა მინდა,
რომ გაჰქონდეს შარი-შური.
ღმერთმა იგი როის მომასწროს,
შენზე ვიყო დანიშნული.

27. მიყვარდა ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამის,
დავწვები, ჯავრი ჩამყვება
სამი ლამაზი ქალის.

28. წყალს ნაფოტა ჩამოჰქონდა,
ალმასის ჩამონათალი,
წყალო, დადექი, მითხარი
საყვარლის შემონათვალი!

29. გევიარე აგარასა,
აგორებდენ გოგორასა;
აგარლების გოგუებსა
ვაწევიებ დიდ ბელასა.

30. ჩავდე თოფი ხალთაში,
ავდგეთ, წევდეთ სხალთაში.
ლამაზები ავარჩიოთ,
გაუგორდეთ კალთაში.

31. შენ ტრედი ხარ, მე ბულბული,
კვდება შენთვის ჩემი გული.
თამაშობა შენგან მინდა,
არ მაქ გროში ხურდა ფული.

32. წუხელი სიზმარში გნახე,
წარბი აღმა აგეყარა,
ფანჯარაზე მომდგარიყავ,
ნამწნები გადმოგეყარა.

33. დაბლა მინდრი ბოლოსა.
გენჯა მიდევს ოლოლსა,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
შავთვალ-წარბი ბოლოსა.

34. დაეწევ და სიზმარი ვნახე.
ვაიმე, რა გადამხდებაა
ავსულიყავ სოფლის თავში.
სოფელი იქ ჯარდება.
არც მაკოცო, არც მიკბინო.
ბაბოი გამიჯავრდება

35. მე რომ გოგო მინდოდა.
მინდორ-მინდორ მიყდოდა...

36. სათამაშო ვაშლი მქონდა.
შენსკენ გადმომიყარდა.
მე თუ გძულვარ, სხვა თუ
გიყვარს.
ფესვი ამოგივარდა.

37. წიფე სხალის ჰამა მინდა,
კბილის გაკრაჭუნება.
ბარიშნებთან წოლა მინდა,
ხელის გაფაჩუნება.

38. გოგოვ. გოგოვ. კისკისა,
აქ ჩამოდი წყლისპირისა.
წყალი მძსვი კოკითა.
გამაძღევი ლოყითა.

39. ბუხარში ცეცხლი ავანთე,
ფუტი გევდა ყელემში.
გოგოვ, წინდები დამიცდა.
გენაცვალე ხელებში!

40. ჩეგურის ძაფი გამიწყდა.
ვაიმე, ჩემო თანგურა!
ქვეშედან შავმა დაჰიკო,
ზედ ღამაზმა დაბურა.

41. საყვარელო, რათ იქეცი.
მე რომ შენა პატივ გეცი.
შენი თავი შემეჭამა,
მართლა ხომ არ ვიყავ მხეცი.

42. შევიარე ტაბახმელა,
სურდო-ხველამ დამახველა.
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
მამაშენმა გამახელა.

43. გევიარე გუდასახო,
გოგუები ნა დევნახო.
სოჭის საყავრე ხესავეთ
ლოყაზე გამოვსანახო.

44. აჭარაში ვაშლი ვჭამე,
ოზურგეთში — ატამი.
გოგუები მაბარებენ
ხარატული აკვანი.

45. გოგოვ, შენი წელი წმინდა,
მომიქსუე პრელი წინდა,
პრელი წინდის
ჩაცმა მინდა —
შენი ძიაი, ყაინათ მინდა.

46. გოგოს წარბი გამუუქნია,
წარბებ შუა — ტიალი,
ვინც რომ გოგოს მე არ
მომცემს,
ჯეჰენნემში გრიალი.

47. ერთხელ გიხილე. ბატონო,
მოშწონდა შენი სახეო;
ვარდის ფერად მაჩვენები,
როგორც გაშილი მთვარეო.

48. გურიაში გადეველი,
გამევტანე ჰელები,
რაცხა დედამ შენ გაგზარდა,
უუყვავდეს ხელები.

49. ხილი, ხურმა აყვავილდა,
შენ რას შრობი წიფელა,
ჩემი გული არ მომიკლა,
ჩემო ლოყიებ წითელა!

50. სამჭედლოში გედეველი,
გატეხილი ცულისთვინა.
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
მამაშენის სულისთვინა.

51. ქალამანი შევიკერე.
ხარის თავრიელია.
გოგუებთან წასლა მინდა,
ქისა ცარიელია.

52. უბედური ჩემი თავი. —
ღმერთმა რატომ გამაჩინა,
რატომ მომცა საყვარელი,
მასთან აღარ დამარჩინა.

53. წვიმა წვიმს და ლამი არა.
თეთრ კაბაში გამიარა.
შენი სევდა, სიყვარული,
კაკალ გულში გამიარა.

54. გომბიები მოყრილიყუნენ
ყანიების სათოხნელათა,
ლოყები დუუსუქებიან
ბიჭების საკოცნელათა.

55. ბოსტან შიგნით გადევხედე
გატეხილი ცულისთვის,
გოგოვ, ერთი მაკოცნიე,
შენ დედ-მამის გულისთვის.

56. ქალი მივალ ქალაქშია
კვერცხი მიძევს კალათშია,
ყველას კაცი ქალაქშია,
ჩემი ქმარი ქარაფშია.

57. ყველამ ხენჯერი გამუუშვა,
რას უყურეფ წიფელაო,
არ მომიკტე, არ დამტოვო,
ჩემო ლოყა წითელაო.

58. ეს სიმღერა არ ნდა მეთქვა,
ჩემი დერდი მეტია.
არ მომიკტე, არ დამტოვო,
ჩემო წარბებ წკენტია.

59. ახლა რა ვქნა, რა უშველო
ამ ჩემ პატარა ქმარსაო,
არც მაკოცა, არც მიკბინა,
არც დამანება სხვასაო.

60. ეგერ მაღლა წყარო მოდის,
ნარინჯი ფერი გადმოდის.
გოგოვ, მეტათ ლამაზი ხარ,
მთავარი სული ამომდის.

61. გაღმა-გამოღმით სერები,
შუაზეა ერთი ქედი;
მოწყალევ შენ გეხვეწები,
გოგუებს გაუხსენი ბედი.

62. ბათომს ჩაველ, ფაფა ვჭამე,
აღდენაზე — დო და რძეო.
მოდი, ერთ ბანი მითხარ,
გაბერილო გობაძეო!

63. ავდექი, თაზე წაველი,
თან წავიღე ხალათაო.
გოგოვ, მეტი ლამაზი ხარ,
შენ მინდოდი ქალათაო.

64. ჩუნგურის თელი გამიწყდა,
ვაიმე ჩემო დანგუნაო.
თეთრ-ფერვანმა ქვეშ დამიკო,
შავგვრიმანმა დამბურაო.

65. ლამაზი ხარ ცინადარი,
ვაშლისა ჩამონათალი;
ერთი სიტყვა შევიტყევი,
ლამაზი შემონათვალი.

66. ერთი სევდა გადამედვა.
როგორც ბოხრიკის კალია,
მე რომ მინდა, ის თუ არ იქნა.
ღმერთო, მალე მომკალია.

67. გაღმა ქათამი გავდენე,
გამოღმა გამოკაკანებს.
ლამაზ გოგოს დავინახავ,
ზღვასავეთ გამაკანკალებს.

68. შამშალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო,
მე შენ ამას გეხვეწები,
არ წამეცხო ტალახო.

69. გავყიდე ქვაბი, თან წაყვა თასი,
ვაი, შავი თვალები, ერზრუმის ფასი,
წელი წმინდა, ლოყა წითელი.
შენმა სევდამ მომტეხა წელი.

70. გორის სერზე მივდიოდი,
მივდენიდი ჩიტებსაო.
გოგუები მეხვეწება,
ჩამახუტე ბიჭებსაო.

71. ხულას ზეიდან ქედლებიო,
ჩემი ჭიპნის დედნებიო.
საცხა გოგოს დავინახავ,
ერბოსავით დავდნებიო,

72. სერიდან სერზე გავდექი,
რაცხა ყვავის იელსავითა,
ეს ბაღვები გავაბღეზე,
ვაყუნყულე გელსავითა.

73. ეგერ, სერზე ქორი ფრინავს,
ო, შროშანი მეგონაო,
სადაც პაწაი დავინახე,
ისიც ჩემი მეგონავო.

74. ერთი ლექსი შენ ჰომწერე,
ან მაგინე, ან მაქებ!
შენი ქება, რომ მომივდა,
ჩემი გული მან დაბნიდა;
მე რომ შენი სევდით მოვკვდე,
ჩემი ცოდვა შენ რათ გინდა!

75. სიყვარული ასეთია,
ხელებს აგაცეციებს,
ჯიბეში ფულს გამოგიხეკს.
სხვიდან გასესხებიებს.

76. ახლა რა ვქნა, მე საწყალმა,
ქმარი მეგულდიდებაო,
პირდაპირ რომ დაუქდები,
გული ამიტირდებაო.

77. გადაველი გურიაში,
იქაც ბევრი ვერცხლი იყო,
საყვარელზე მოშორვება,
იგიც მეტი ცეცხლი იყო...

78. მაღლა სერზე აველი,
ახლოს იყო მთიები;
საყვარელო გეხვეწებ,
გადმოყარე თმიები.

79. მე რომ ჭიპონი გავაწყვე,
ვარანწკუნებ საზივითა.
ბიჭო, რას ეყაყუნები,
წელმოტეხილ ყაზივითა.

80. ერთი წიგნი მე მოგწერე,
აჭარული ყელემით.
ერთიც პასუხი აღირსე
შენი ოქროს ხელებით.

81. ჩაველი ჭალაში,
ჩავთიბე სერი;
ნუ სტირი, ლამაზო,
არ ვარ მე მტერი.

82. ჩიტი ღობეს გამშპარიყო,
ღობეს ვაკეტებულაო.
მე რომ გოგოსაც ვაკოცე,
მერე გაკეთებულაო.

83. საყვარელო, გიკვდებიო!..
—ამ ჩემ ფეხებს თუ კვდებიო,
ორ სამ კვირას მოგიყურებ,
მერე გაგითხოვდებიო.

84. ავდექ, სანადიროთ წაველ,
თოფი დავდე ყილიფზეო,
გოგოვ, ძალიანი მომწონხარ,
მაკოცნიე ზილიფზეო.

85. შავარდენი გადმოფრინდა
აბრეშუმის ბუდიდანა;
საყვარელმა ვაშლი მომცა,
ამოიღო უბიდანა.

86. ერთ ფუხარასა ვესტუმრე,
ტანზე არ ეცვა ზუპუნი.
ცეცხლი დამინთო, მომართვა,
ტკბილათ დამიწყო ჭუჭუნი.
87. ფეხი წამოვკარ ფესოზე,
დედოფალი დგას ეზოზე,
მაღალ თასა თოვლიანსა,
ნუ წაყვები ცოლიანსა.
88. ხე და მიწა აყვავილდა,
შენ რას შვრები წიფელავ,
მოდი, ერთი მაკოცნიე,
ჩემო ლოყა წითელავ.
89. ამ დედოფლის მაყრებიო,
არიან ღილს კაკლებიო.
მოვლიან და ერთათ წავალთ
ჩემი მეფის მაყრებიო.
90. ციხეს გარშამ შამუვარეთ,
ზედ შემოვდე კირიო.
ჩვენ მივალთ და თქვენ აქ
რჩებით,
შვიდობით თქვენი პირიო.
91. მოკვეტები, ჯავრი ჩამჩება
სამი ლამაზი ქალისა,
ერთია ლოყა წითელი,
მეკორე — ლერწამ ტანისა.
მესამესაც თუ იკითხავ.
გამთენებელი ღამისა,
დამბნელებელი თვალისა.
92. შენი სული, ჩემი სული,
ერთათ იყოს ჩაფისული.
ენა ჯილველი ნდა ქონდეს,
ტანი ლამაზათ მორთული.
93. სიყვარულმა სიცხე მომცა,
სიძულვარემ სიგრილე.
სიყვარულის ზღვაში შეველ,
ვიღუმბები, ვეღარ გეველ.
94. სილამაზემ დეიტრაბახა:
მეტი ვარ თეთრი თუმბული,
შენთან წოლას რა მომაწყენს,
გურული ბატის ბუმბული.
95. ახალ გამოსულო ბაბილო,
ყაიმაღზე მეტათ ტკბილო,
მომართვი შენი ღაბაბი,
ნიკაპი, ყურის ბიბილო!
96. წუხელი სიზმარში გნახე,
გათენდა და დიგინახე: —
დილას კარში გამობრძანდი,
ქოჩორი გადმოგეყარა.
ათი თითი, ბროლი ხელი
წმინდა წელზე დეგეყარა,
თეთრი ლოყა, ვარდის ფერი,
ზეთ შექერი მიგეყარა.
97. ფეხი წამოვკარ ფესოზე.
მექორწილე დგას ეზოზე.
მაღალ მთასა, სერიანსა,
გოგო ჰუუყვანეთ წვერიანსა.
98. აბულალეჩი, ლალეჩი.
რა ლამაზი ბძანდები!
შამევვარე ვაიოში,
შუშა შევდე თაროში,
იმ გოგოსთან რუმ მიველი,
ამუუკოცნე თვალები.
99. შამევვარე სხალთაში,
თოფი ჩავდე ხალთაში,
იმ გოგოსთან რომ მიველი,
თავი ჩუუდე კალთაში.
100. დედალი მყავს უკუდო
კარვი შეი ხარ უმუდო.
მახასი და გონდები
წარეთ მომაგონდები.
101. დევწვი, დევლანძე, კაკავ,
არ დამრჩა მუხლში ჰალი,
გეხვეწები, შამიბრალე,
დამასხი ცივი წყალი.

ᲛᲣᲖᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲡᲣᲚ ᲬᲐᲡᲣᲚᲘ...

ᲛᲔᲛᲔᲓ ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ



მემედ აქიფის ძე ქათამაძე დაიბადა 1905 წელს, სოფელ ჭვანაში (შუახევის რაიონი). იგი ცნობილი ხალხური მთქმელების აქიფ ქათამაძის შვილი და თოფია ქათამაძის უფროსი ძმაა. ძმები არაერთჯერ შებმიან ერთმანეთს შაირში, მაგრამ ხალხის გადმოცემით და თვით მემედის აღიარებით, „მოსწავლე მუდამ სჯობნიდა თურმე „მასწავლებელს". მემედი შემდგომ საცხოვრებლად ქობულეთში გადასულა და იქიდან მამას ლექსად გამბაასებია. როგორც გადმოცემით ირკვევა, აქიფსაც ლექსით უპასუხნია, მაგრამ, სამწუხაროდ, ტექსტი დავიწყებას მისცემია. მემედს კიდევ ერთხელ გაუგზავნია ლექსში ჭვანაში, ამჯერად უმცროსი ძმის — თოფიას მისამართით. ეს იყო პასუხი პოეტურ ბარათზე, რომლითაც თოფიამ უფროს ძმას 1944 წელს მამის სიკვდილი შეატყობინა. თოფია ადრე გარდაიცვალა. უმცროსი ძმის გარდაცვალება ისევ ლექსით გამოიტირა მემედმა.

მემედ ქათამაძე ამჟამადაც სოფელ დაგვაში (ქობულეთის რაიონი) ცხოვრობს და კვლავინდებური გატაცებით თხზავს ხალხური სიბრძნით აღსავსე ლექსებს. ძმების ლექსები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, თოფია რვამარცვლიანი შაირის ოსტატი იყო, მემედს კი თექვს-

მეტმარცვლიანი შაირი იზიდავს. განსხვავებულია მათი პოეტური ქმნილებების შინაარსიც; მემედი უფრო დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი და ფილოსოფიური ლექსების მოყვარულია. ამგვარია მისი ლექსები, „ანდერძი შვილს“, „შეგონება“, „ცრუპატრიოტი“. ძმები ერთმანეთისაგან პოეტური სახელითაც განსხვავდებიან, თუ ხალხი ფართოდ იცნობს თოფიას, მემედი დღემდე უცნობი სალხური მთქმელის როლში კვევლისება. თუმცა, როგორც მისი ლექსები გვაწმუნებენ, იგი უთუოდ იმსახურებს მეტ ყურადღებას. მემედი ამჟამად ოთხმოცდაათს მიტანებული ხოსუცია და ისევ კვლავინდებურად იწორწილებს პოეტურ სიტყვას.[1]

მემედის ბიოგრაფია განსაკუთრებული არ არის. აქვს არასრული საშუალო განათლება. 1924-25 წლებში სელმძღვანელობდა ჭვანის ხეობაში ახლად გახსნილ პირველ ქოხ-სამკითხველოს, რომელსაც მაშინ საგანმანათლებლო მისია ეკისრებოდა, იყო გაზეთ „ფუხარას“ სოფლკორი, ხელმძღვანელობდა დაბა ხულოს სალხური თვითმოქმედების ჯგუფს, რომელიც ამუშავებდა ძველ ქართულ სალხურ სიმღერებს.

1931 წელს კომპოზიტორ გრიგოლ კოკელაძეს ამ ჯგუფის შესრულებით მოუსმენია და ჩაუწერია მრავალი ხალხური სიმღერა, რითაც დავიწყებისაგან გადარჩენილა ძვირფასი საუნჯე.

მემედ ქათამაძე ამჟამადაც აგრძელებს ზეპირსიტყვიერ შემოქმედებით მოღვაწეობას

---

[1] იხ. ბსკი, ფ. 1, 1975 წელი, ე. დავითაძის ჩაწერილი მასალები. იხ. აგრეთვე ზ. თახ-დილავა, მემედ ქათამაძის ლექსები“, გაზ. „ლენინელი“, 20 თებერვალი, 1986 წელი, № 22 (5. 671)); „ჩემო ნათქვამო სიტყვაო...“, გაზ „ლენინელი“, № 112 (5. 897), 17 სექტემბერი, 1987 წელი. და ა. შ.

1. ანდერძი შვილს

კაცობრიობის ღირსება თუ გინდა რომ შეიძინო,
არაფერი გაიკვირვო, არ გალანძღო, არ დასცინო.
თუ ძალზე არ შეგეხვეწოს, არც არავის არ აწყინო,
ვინც რა არ დაიმსახუროს, დაფასებაც არ ირცხვინო.
მეზობელზე საწყინარი არაფერი ჩაიდინო,
იმედი ყოვლისა იგქონდეს, ნაშრომი არ გააძვირო.
ტყუილსა და მოგონებულს სრულებით არ მოუსმინო,
საეკვოს ნუ დაენდობი, არც კი მასთან დაიძინო.
საცა უნდა დაგილამდეს საიმედოდ გაითენე,
უცხო სოფელს თუ მიადგე, კეთილ კაცთან დაისვენე.
სხვისი საქმე სხვამ განავოს, თავის კანში მოისვენე,
ტკბილი ენა არ დაზოგო, სითავაზე დაიმშვენე.
სიდინჯით და მოთმინებით მუდამ მომგები იქნები,
თუ ენას კარგად მოუვლი, არავის არ შესძულდები.
უფროს-უმცროსის იგარჩევით რომ ყველაფერს ეღირსები,
ლოთოჩით და უწესობით უდროოდ დაიღუპები.
დაგღუპავს ფულთან თამაში, თუ რომ აზარტი იქნები,
ტყუილი არ შეგეჩვიოს, თორემ უზურგო იქნები.
თავის ქებით და ტრაბახით უეცრად გაიკიცხები,
თუ საკუთარი არ გიყვარს, სხვისით ვერაფერს გახდები.
ძვირად თუ არა დაგიჯდეს, ისე ცნობა არ იქნება,
ერთსა საჭრელსა საზომი ათჯერ-ათი ეკუთვნება.
გვერდში მყოფზე შეგიძლია ერთგულობის იგამოცნობა.
ბოროტების დასაძლევად ზოგჯერ უნდა გზის დათმობა.
ავადმყოფი ინახულე, მას არ მოუძებნო გვარი,
მიცვალებული იგლოვე, ღვინოს ზომით დაესწარი.
არამქონეს შეეწიე, ნუ მიგიტაცებს მდიდარი,
და ხელის გაშლა იცოდე შესაძლებლობისდაგვარი,
სიხარბე არას იგასწიო, საათზე დაჰკარი ზარი,
საცა ზომას გადასცილდე, იქვე დაუსვი საზღვარი,

თვის ტომი არას დაჰკარგო, ფესვებზე ამონაყარი,
საცა არ უნდა წახვიდე, არას შეირცხვინო გვარი...
მიჯნას იქით გადაგისვრის საქმე ნაშრომი, ნაჩქარი,
თუ გინდა, რომ მშვიდად იყო, დააფასე წინამძღვარი.
არას მიიტ-მოიტანო სიტყვა ნათქვამი, საზარი,
ამით არის, მოულოდნელს რომ დაგეცემა თავსზარი.
სადაც შენთვის ძვირი თქმულა, ასეთი ნუკი გწყენია,
ზურგსუკან მაგინებელი მეფესაც ბევრი ჰყოლია.
ტყვია პატრონს დააშავებს, თუ უმიზნოთ ნასროლია,
ყოველთვის ხიფათს ელოდეს ცხვარი მგელთან ნაწოლია.
ვარდს არ ენდო, მის სიტურფეს, ეკალზე შენაძენია,
ხელს მიახლებ-შეგოგიტევს, მისი ნამრავლი ძენია.
გარეგნობით ლამაზისგან ბარეორებსა სწყენია,
არ ენდო, რადგან რა იცი, შიგ რა ნაღველი სვენია,
ზოგიერთი დამნაშავე სცადე, ერთხელ შეიწყნარე,
ჰკუა-გონებ-ს მოყვარემ სულ სწავლულებთან იარე.
ღალატის სახელს ერიდე და იმისგან შორს იარე,
სიტკბო ნურას გაგაკვირვებს, ნურც შეგაშინებს სიმწარე.
შენიანი შენს უპეში როცა კვდება, არის მწარე,
და თვითონ გულში ითხრება უცრემლოდ მისი სამარე.
მიცვალებულს არას არგებს უტბავესი ცრემლის ღვარე,
სჯობნის, მისდა სასახელოდ საქმე რამე გაატარე.
სანამ ახალგაზრდა იყო, გიჭრიდეს ღონე-უნარი
იშრომე, მით შეიძინე სიბერის ჟამის საკმარი.
მაგრამ სხვაზე წართმეულმა დენა იცის ცხვირში ძმარის,
ტკბილია მუდამ ჭონება, თუ გაქვს ოფლი დანაღვარი.
გიყვარდეს შენი ოჯახი, ღარიბია თუ მდიდარი,
არც სხვისის პატივისცემას არ გაუმიჯნო საზღვარი.
უკან არას გააბრუნო, ვინმე კარებზე მომდგარი,
მაგრამ იმას გაუფრთხილდი, ბოროტი თუა სტუმარი.
უგნურმა და უაზრომა შორს არ იხედა, იარა,
მიტომ წაასკრა თავი, მშობელს რომ წინ გადუარა.
უგნურია ის მშობელი, დაბადა, არ მოუარა,
დაბადილმა თუმცა ბოლოს მაინც ფეხზე გაიარა.
გონება იქ მოიხმარე, სადაც ვის რა ჩვეულება,
სიტყვა თქვი, კილო იხმარე, როგორც იქ მოიწონება.

თორემ ენას დაეცინებენ, გასაკიცხად გეკმაევება,
ხუმრობით იციან ლანძღვა, საწყენარის მიყენება.
თავი რომ მოვითამდაბლე, ზოგმა ბრიყვი დამიძახა.
ამაყად რომ მოვიქეცი, სხვამ სულელი დამიძახა.
სად რაიც საჭირო იყო, ეს არავინ დამიძრახა,
თურმე ყველას ადგილი აქვს, რაც რომ მე ჯერ არ მენახა.

2. სოფელი

უაზრავ შვილთა მყოლელო და იმდენისავე მკვლელო,
ვიცი, არც მე გადაგრჩე, არც არას გთხოვ, მისაშველო.
წუთიერსა გეძახიან, ჩემო ლამაზო სოფელო,
სტუმართმოყვარე ხარ, მაგრამ, ბოლოს ყველაფრის მჭამელო.
ასე ყოფილხარ ნაკურთხი, ხან სინათლითა, ხან ბნელო,
ხან რომ კვტანჯავ, ხან გვახარებ, ამით რაღა გიმადლეო.
ამას მარტო მე არ ვამბობ, უკუღმა და უნაღველო,
მაინც სულ ყველას უყვარხარ, შენ ჩემო წუთისოფელო.
ამბობენ, ცამ გაგაჩინა, შეიქმნა დიდი სადაო,
მაგრამ სწორად ვერ უნახავთ, სად არის შენი სათაო.
მე ამქვეყნიურს ვერწმუნე, იმას ვუმღერე ნანაო.
რადგან იქ არც რა იქნება, გარდა რაც ვნახე თანაო.

3. ძმის გახსენება

ძველი დროის მჩაგვრელებმა ტახჯულებს ცრემლი ადინა,
ახალმა დრომ იმათ მხსნელად საბჭოები დაადგინა.
წითელ ცისარტყელას ერთად არწივმა გაინადირა,
მაშინ გამოჩნდა თოფია, ლექსობა მოიწადინა.
სამი ათეული წელი სამოღვაწეოდ იკმარა,
და მისი ალალი გული ხალხის საქმეს მოახმარა.
ტკბილი ჩონგურის სიმები წკრიალებდა წარა-მარა,

ლექსს იტყოდა — იწონებდა ძირს მიწა და ცის კამარა.
ხოფელ ჭვანის ხეობაში გაჩოეველინა მგოსანი,
ქართულ მუსიკის მოყვარე, მოლექსე, ბულბულხმოსანი.
ქართველი ერის საქებად მომართული, თაოსანი,
სახალხო მთქმელი, მგოსანი და მრავალსიველოსანი.
საბჭოთა ქვეყნის გმირობა მრავალი ქებით აღწერა,
აჭარის ლამაზ მამულზე ტკბილი ლექსები დასწერა.
ქობულეთი ციტრუსებით და ბათუმი — ნავთის კერა,
ქედა, შუახევი და ხულო ჩანგში ედგა ბედისწერად.
საბჭოთა კოსმონავტებზე ოქროს ქებანი დასწერა,
მთვარის ნათელი ციმციმი არწივის ფრთით გადასერა.
რაკეტა აქო მშვიდობის, არცა ყორანი, არც ძერა
და რომ კვდებოდა, თვის თავზე შემდეგი სიტყვა დასწერა:
ზეგნის მაღლობზე თოფია — მე სოფლელი ვიყავ მარა —
მშობლიურ მიწის საქებრად გული ჩემი დამეჩქარა.
რომ მიყვარდა საქართველო, გულზე მეხატა აჭარა,
მაგრამ ბუნებამ რატომღაც ჩემი სიკვდილი იჩქარა.
არ ვიცი, რითი აღვწერო უდროოდ წასვლის ვარამი,
ხელიდან გამომეცალა ხალხური მთქმელის კალამი.
დავტოვე ჩემი სამწერლო, იქ აღმართული ალამი,
აწი ვერ გემსახურები, მით დაგიტოვე სალამი.
მამა უდროოდ დაკარგეთ, ჩემო ობლებო, თქვენია,
ვერაფერს დაეხმარები, ანდერძი იყოს ჩემია:
„ჩემზე უკეთესი იყოს თქვენი საქმე-სახელია,
გისურვებ, გაინაწილოთ ჩემი ნაკლული დღენია“.
რა პატარები დატოვე ჩემი ორთავე ძენია,
მაგრამ ისე განვისვენე, არავინ დამრჩა მტერია.
მზრუნველობა გაგიწიონ, ვისაც ასეთი შვენია,
ყველამ თავის ვალი იცის ბუნებით შენაძენია.
ჩემი გასვენების დღესა მესწრება ხალხის არმია,
მათი ცრემლები მეპკურა თუ ეს ციური ნამია.
ერთსა გთხოვ, არ შემირცხვინო იგი ჩემი კალამია,
ლექსად მითხარი ხსოვნისა, უფროსო ძმაო, მამია.
ამით ბედნიერი კი ვარ, არაფრით მედება ბრალი,
არვის ვალი დავუტოვე, არავის მაწუხებს ვალი.
ძმებო, ველარ დავბრუნდები, იმ გზისა ვარ მიმავალი,
ფუტკარაძე დაამღერებს, ხალხური მთქმელი — ბინალი.

4. ცრუპატრიოტი

ვნახე ერთი პატრიოტი, თავკაცი იყო სოფლისა,
ნუ ვოიპარავთ, — იძახდა, — ყადრი იცოდეთ ოფლისა.
არა მწამს ვინმეს სიმდიდრე, თუ ლუკმა ნახა ობლისა,
ქურდს ხსნის იმედი არ ჰქონდეს, არც თავისთავის ვოლისა.
ქაღალდები გააშავა, დღე და ღამე წერა, წერა,
ვის არ უთხრა, ვინ არ ნახა, და ან ვის რა არ მისწერა.
ერთხელ ამ სოფლის ქონება „გაფუჭდაო“, ჩამოწერა,
თურმე ფულად აქცია და ძმაბიჭებში დაამღერა.
სწავლული იყო, გაქნილი, ზურგიც უმაგრესი ჭონდა,
პურმარილზე ნუღარ იტყვი, უკეთესი ვილას ჭონდა.
ქვეყანა რომ შეეჭამა, იმის შიშიც კი არ ჭონდა,
რასაც ჭამდა, — მარტო არა, იმიტომ საქმე გაჭონდა.
აბა რას გაუბედავდი, ისეთი საბუთიც ჭონდა,
სხვა გზა რომ ვერ გამონახეს, ყველა მას ეჩოქებოდა.
„დათვს ბაბუა დაუძახეს“, აბა ვის რაღა გზა ჭონდა.
„შახათზე მჯიღს ვინ დაჰკრავსო“, — ყველანი ასე ამბობდა.
ერთხელ იმ ჩვენ პატრიოტსა გაუწყრა მაღალი ღმერთი,
ვეღარ გაუძლო სოფელმა, წამოდგა მთელი მილეთი.
ახლა რომ ვეღარ დაგიხსნის ფიცი, მტკიცი მეტისმეტი,
ზღვა ჩაყლაპე, მაგრამ ახლა დაგახრჩობს სიმართლის წვეთი.
ეს ასე არ მოხდებოდა. ფხიზლად ყოფილიყო ერი,
ცოდვა-ბრალი რომ განსაჯა, მაშინ შეიქმნა ძლიერი.
მომხვეჭელობის მოყვარეს გაადინა ზურგზე მტვერი,
და ცხოვრება დაიმკვიდრა მშვენიერზე მშვენიერი.

5. კეთილშობილება

ბედნიერების სათავე შრომისაა სიყვარული,
იმაში არის მშვენება, წარმატება, სიხარული.
შრომაში ჯანმრთელი იყო, გუნებითაც მხიარული,
მაშინ მეტად არ დაზოგო შრომით შენი სული, გული.

კარგი მშრომელი, რომ იყო, ეს როდია საკმარისი,
შენი ადამიანობით სხვებთან იყავ კარგის ღირსი.
ბოროტი გზის მოტრფიალე, შენიანია თუ სხვისი
არ გაიკარო, გაკიცხე და შეჰკადრე საკადრისი.
საამურია სიცოცხლე, უჯავრო და უდარდელი,
თუ იქნები ბედნიერი, მეუღლითაც უჯავრელი.
თვითონ შეძლებ აიცდინო ყოველი ჯავრის მომგვრელი,
მასთან ისიც შეგიძლია, დაძლიო ჭირი ყოველი.
კარგია იყო ბრწყინვალე სიტყვით, საქმით, მოქცევითა,
დინჯი და თავაზიანი, წინდახედული საქმითა.
გარეგნობით ლამაზიცა, სახე-ტან ჩუცმელობითა,
სიდინჯის, სიტყვაძვირობის მოყვარე გულწრფელობითა.
ის ნაშენი ლამაზია, ქვითკირია თუ აგური,
თუ გინდ ის ფიცრულიც იყოს, ნუ იქნება უბედური.
უშიშარია ყოველთვის თუ ალალია სადგური,
მასში სიმები იჟღერის, არ დადუმდება ჩონგური.
ამ სოფლიდან ყველა წავა, არც ერთიცა არ დარჩება,
უბედურია ყველა ის, ვინც უსახელოდ გაქრება.
ბედნიერია ყოველთვის, ვისაც სახელი დარჩება,
ცოცხლად თავი მან იგულოს, ვინც ისტორიას შერჩება.

6. ზნე და ჩვეულება

სიბერე ვერ აიტანა ახალგაზრდობის ჩვეულმა,
სწავლულებს არ გაეკარა, უვიცობას შეჩვეულმა.
ფუფუნებას ვერ გაუძლო, სიღარიბეს დაჩვეულმა,
სინაყრე ვერ აიტანა შიმშილობას მიჩვეულმა.
მამული, სახლი დაკარგა მოხეტიალედ ჩვეულმა,
ნაჩუქარი გადაყარა ქურდობაზე შეჩვეულმა.
სინდისი არ გაიკარა, უსინდისობას ჩვეულმა,
მრუშობაში დაიღუპა, უცოლობას შეჩვეულმა.
ერთი ცოლი არ იკადრა ბევრი ცოლების ჩვეულმა,
ის ცოლებიც მიატოვა ხარჭა ქალებს შეჩვეულმა.
აღარც ისინი დაინდო მეძავებს ვადაჩვეულმა.
გაიკიცხა კაცისაგან, აღვარახსნილად ქცეულმა...

7. ექსპრომტი

მამია ვარშანიძეს

დროლუად მიჰყე ლექსებსა,
არც დააყოვნე წამია,
პონტოს ტალღებსა უმღერე,
მან შეგიტკბილა ბანია.
არ ივიწყებ ძველ წარსულსა,
გიყვარს კოლხეთის ნამია,
მზიურ აჭარის მწერალო,
ქართვლის პოეტო, მამია.
შენი წიგნების წერასა
აღარ დაურჩა ზღვარია.
სადაც, არ გადავიკითხე,
ყველგანა შენი გვარია.
ერთიც ახლა მივაგენი
ლირიკული ნაწარმია,
ორიათასი ცალიდან
ერთსა ძლივს მივუსწარია...
აქ წავიკითხე ყოველი
ტკბილათ მოსაწონარია,
აქ ახსენე და გალექსე
თოფია ჩემი ძმაია,
თურმე ის, შენი ყოფილა
მეგობარი და ძამია,
მიტომ შენს ხოტბა-ლოცვაზე
არ დავაყონე წამია.
თუმცა უბრალო ენითა
სიტყვა, რომ გითხრა ალალი,
არ არის იმაზე ძვირი,
რომ იყო კაცი მწერალი,
და მით წმინდათ მოიხადოს
სამშობლოს წინაშე ვალი.
აქ საქებარად შენა ხარ
პირველ რიგში ჩანათვალი.
რაც ხმით გიცნობდი, მას შემდეგ
გავიდა წელი ოცია,
სახით გაგიცან, მიგიხვდი,
დედის ხარ დანალოცია,
რომ პოეტური მადლითა
გამხადე განაოცია,
ასწლოვანი იუბილე
წინასწარ მომილოცია.

8. ცბიერი ქალი

გიგომ საცოლეს ძებნაზე ბევრი ჯარა, იცაცანა,
ბათუმი სულ არ დატია, არც კახაბერი, ბარცხანა.
შორეულიც მოიარა, ლანჩხუთია თუ აცანა,
ბოლოს მაინც მოიყვანა ლამაზი და ქეკლუცანა.
რა ოჯახი, რა ხელობა, ცეკვაც იცის განდაგანა,
გიგოლას ჯერ არ ენახა სიყვარულიც ამისთანა.
მეზობლები ჯვარს აყრიდენ, „არც გვინახავს მაგისთანა“.

მაგრამ, თურმე რაც ყოფილა, შენსა მტერსა იმისთანა.
ზრდილობასთან ემჩნეოდა უზრდელობა თანდათანა,
ახლა გიგოლას დაუსვა უცნაური გამოცანა:
„მე რომ ეგერ ბიჭი მომწონს, თუ კი იქნები მისთანა,
თუ არა და, გაგეყრები, არ მინდიხარ შენისთანა“.
გიგოც ასე ეუბნება: „ეჰ, რა მითხარ მაგისთანა.
თუ შენ ასე მღალატობდი, ვერ შეგწამე თავიდანა,
ბიჭიც არ გეგულებოდა, მაჯობებდეს შენისთანა,
გარეთ არ გაგახედვინებ ჩემი სახლის ერდოდანა“.
ეგონა, იქ ვერ მიწვდება, ქალის ნადები გულთანა,
მაგრამ როცა მას ეძინა, ვიღაცამ ქალს წაეტანა.
გიგოს კი ესიზმრებოდა, მაგრამ ევონა სატანა,
ქმარის აბუჩად აგდება, ვის ეგონა ამისთანა...

9. ჩვენ მშვიდობა

გურულ სიმღერებში მიყვარს უფრო მეტად „ჩვენ მშვიდობა“.
ისეთი სახელის არის, რომ მომწონს მასზე გალობა.
იმის შესწავლას, იკითხე, რაოდ უნდება სწავლობა,
ვინ არ იცის ძვირფასია, ეს ქართული „ჩვენ მშვიდობა“.
ამ სახელოვან სიმღერას ქორწილზე უყვარს მაყრობა,
ვეძიე და ძლივსძლივობით მივაგენ მისი საყდრობა.
ვინც მას სახელი დაარქვა, ვირწმუნე მისი მოყვრობა,
ყოველ მომღერალმა, იმას უმღერა და უგალობა.
ნეტავ რომელზე ვამღერებ, რომელია ის მშვიდობა,
რაღას ვეკითხები ვინმეს, ვინ არ იცის „ჩვენ მშვიდობა“.
საკუთარია, თუ ხალხის, ეს ჩვენი ტკბილი მშვიდობა,
ქვეყანა ამას დამღერის — „ჩვენ მშვიდობა“, „ვამარჯობა“.
იკითხავენ, თუ ვინ არის ამ დიდი ვანქის მოთავე,
მივასწავლე წითელ დროშის, ჩაქუჩ-ნამგალის სათავე.
ვინც იმას გადაეღობა, მყისვე იგემა სიავე,
ვინც „ჩვენ მშვიდობა“ იმღერა, მანვე წაშალა სიშავე.

10. გამბედავი ტურა

ერთხელ მსუნაგმა მელიამ ასე მოატყუა ტურა:
„წამობრძანდიო ჩემს ერთად, ვიცხოვროთ, სანამ ვართ, ძმურა,
თუ მოგშივდეს, მე გიშველი, ან თუ წყალი მოგეწყურა,
სულ ყველაფერი შეპირდა და კიდეც დაუდასტურა“.
მელამ საჭათმის მახლობლად, იმ ღამესვე ისადგურა,
თვითონ სოროში გაჩერდა, იქ კი მიაგზავნა ტურა.
ჭათამი მოაპარვინა, ორივემ შეჭამეს ძმურა,
„გამბედავი ყოფილხარო“ ასეც კი დაუდასტურა.
მეორე ღამეს ისევე ინდოურებს მიაშურა,
ისევ შორი-ახლოს დადგა, ტურას იქიდან უყურა.
თურმე აქ მცველად ყოფილა, ერთი ჩაშინელი მურა,
ეძგერა და მოათავა ის ჩვენი მამაცი ტურა...

11. ერთგულების სიგრძნე

უცხო ქვეყანაში დიდხანს
კაცს რომ მოუწევს ცხოვრება,
ოქროც რომ ჩააცვან ტანზე,
ძაძებით მოეჩვენება.
რადგან ღარიბი, საწყალი,
არაფრისა არის მქონე,
მაშინ თვისტომიც გაურბის,
არავისა არის ყოლე.

დიდკაცობის და ქონების,
ბატონობის მოტრფიალე —
ქვეყანასაც კი გაყიდის,
რჯულსაც გამოიცვლის მალე.
სამშობლოს სიყვარულზედა
რამდენიც იყოს, ეწვალე,
ისტორია დაგიფასებს,
მოგიგონებენ მალ-მალე.

12. საანდერძო

იცნობდე მტერს და მოყვარეს, სხვამ არ გაჯობოს ყომაში,
შარვალს წმინდათ მოუარე, არ გაახვიო კაბაში.
შენიანობას იცნობდე, გაბნეულსა ზეგან-ბარში,
და მათ არ გამოეთიშო, წრეში იცან თავიბაში.

ზაფხული გამოიყენე, არ გაკიჟირდეს ზამთარში,
მზიანი ამინდის ნაცვლად არ იგულდიდო ავდარში.
მფრთხალი მხედველობის ფასად თეთრი გაარჩიო შავში,
არ დაიჯინო მოყვარე, არც კი მტერი სათავანში.
ცხენი აღმა გააქენე, არ გაბედო თავდაღმართში,
ქუდს გაუფრთხილდი, ატარე ზაფხულშია თუ ზამთარში.
ჯინჭარი, ნარი გაწმინდე, ვარდს, რომ აშენებდე ბაღში,
ჯიბე საკუთარი გქონდეს, არ შეხედო სხვის ქისაში.
მორცხვობა მამაკაცისა გასაყიდია ჩალაში,
მანდილოსანის მშვენება პირველია მორცხვობაში.
რასაც დასთეს იმ თავიდან, უმალ ახალგაზრდობაში,
მისი სახელი მიგყვება შენს მოხუცებულობაში.
კაცია, შრომობს და ცდილობს, ყველაფერს ხარჯავს ჭამაში,
თუმცა, ჯიბანს სხვა არ ესმის, არც რა გააჩნია თავში.
მაგრამ — კაცია კაცური, არ ჩამორჩება შრომაში,
სახელს ისვეჭავს და კიდეც ცნობილია ქვეყანაში.
რად მიწერია „თავტეხა", რაზე მჭირდება აწ რაში,
მაგრამ ბევრია ჩემს გზაზე თანამგზავრი მომავალში.
ვისაც სამოძღვროდ სჭირდება ბრძნული სიტყვა ცხოვრებაში,
შეიგნოს, გამოიყენოს და მეც არ დამტოვოს ვალში.

18. ᲖᲔᲒᲜᲔᲑᲐ

ნაშობი უავებს მშობელს, ყოლის მეტად ეწყინება,
რაგინდ ის რომ მცირე იყოს გულში არ ამოიშლება.
ამისდა მიუხედავად შვილის სევდა მაინც რჩება,
მაგრამ ნაავის შედეგი სულის ბოლომდე დარჩება.

ბრძენმა ურჩია შემკითხავს: „ძეს მოარიდე პირიო,
უცენზურო არ ასმინო, აგონე სიტყვა ძვირიო.
განებივრებულმა შემდეგ არ მოგიტანოს ჭირიო,
ჩიტს გალიას ნუ გაუღებ და ბოლოს ნულარ ტირიო".

ასაკი შეგსრულებია დროზე თუ მოიხდი ვალსა,
ჯერ მშობელი შეუფასე სამეუღლოდ ნახულ ქალსა
ამის შემდეგ შენ ვინა ხარ დაუკვირდი თავისთავსა,
უნაგირი ცხენს დაადგი და უღელი მხოლოდ ხარსა.

ქონებას დახარბებულმა მიაგნო მახინჯი ქალი,
მზითვია და უსახყოდლო. ქონებას არ ახლავს ვალი.
საათმა ზარი დარეკა, ვაჟთანაა პატარძალი,
ახლა მახინჯი აღმოჩნდა, მეტად, მეტისმეტად მყრალი.

მდიდარზე რომ ათხოვებდნენ საპატარძლომ არ იცოდა,
სამეუღლო როცა ნახა, თავისთავი შეიცოდა.
„წყეულიმც იყოს მშობელი, ვის მათხოვდა თუ იცოდა,“
გაეკიდა ლამაზ ყმაწვილს, ვისაც სახლ-კარი არ ქონდა...

14. ჭართველის სიმღერა

ამ დალოცვლიმა ბუნებამ ქვეყნად მტრობა რად დაბადა,
კაცის ბედი, უბედობა, რატომ გულით არ იდარდა.
მტრობამ სად თავი იჩინა, იქ მოყვრობა აღარ ჩანდა,
და სოფელში ხალხის ნაცვლად ბობოქრობდა მუდამ ბანდა.

მე რომ გალმა არ გაწუხებ, შენ აქ რად ხარ ციხის კართან,
ძალად მეჭრები სოფელში, არას ანთხევ შხამის გარდა.
რა დაგიშავე, არ ვიცი, მიყვნას რომ აშხელე ფარდა,
მაგრამ მარტო არ გეგონო, გეახლება ჩემის გარდა.

ლაშქარი მეტი გავაჩნის, თანაც ყოფილხარ ცბიერი,
მაგრამ მე ვიცი შენზედა ძმობით ვიქნები ძლიერი.
შენ თუ ოჯახი ვიწრო გაქვს და ეზო არმშვენიერი,
ვინა სთქვა რომ მე გირჩინო ცოლ-შვილი შენი, მშიერი?!

მამულის ასაოხრებლად კარს მოდგა გაშმაგებული,
ვისაც ქონება ყოველი მარტოდენ მისად ეგულვის.

ვერაგი და მოღალატე, სინდისზე ხელაღებული.
რომ არ მოკლა, უნდა გქონდეს მართლაც ხელები შეკრული.

მძლავრია ჩემი ქალაქი, სოფელიც გახელებული,
მარტო ვაჟკაცი კი არა, დიაციც ამხედრებული.
შეუპოვარი, მედგარი, ბრძოლაში გამხნეებული,
და ჩემი ტკბილი მამული, ოცნებით აყვავებული.

15. კანონმდებელს არ წაბაძო

მეფე ერთია ქვეყნისა, ქვეშევრდომი უამრავი,
ერთისგან ერთი იქნება, ჩანადენი დანაშავი.
მაგრამ უამრავისაგან წახდება ქვეყნის ამბავი,
ის მეფე რაღა იქნება თუ დასაჯა თავის თავი.

ერთმა, ქვეყნის გამგებელმა ქალწულები არ დატია,
მაშინ ვილაცამ ასე თქვა: „მოდი ერთიც მე მწადია“,
სანამ წადილს მიაღწევდა, ჩააცვეს შავი ძაძია,
ოხრათაც ამოუშავდა, ის მისი წანაბაძია...

იგი ადამიანია, ჭამს, სვამს და რომ კიდეც ტკბება,
მრავალ სიკეთესთან ერთად ცუდიც არ ქნას არ იქნება.
შვილი მამის სამსახურში ასჯერ მადლსა თუ შესწირავს,
ერთი ცოდვის ჩადენისთვის, იმას მამაც არ გასწირავს.

ღვთის მსახური, ღვთის წინაშე უყოყმანოდ რომ მსახურობს,
ბედი მას არ გაუწყრება, ცუდიც რომ დაიმსახუროს.
ასი სიკვდილს ააცილო, მაგრამ ერთი შემოგაკვდეს,
ერთის სიკვდილისთვის, ხვედრი ასის პატივს არ დაგაკლებს.

10. მაჭათა მკვლელობა

(ძველი დროის ერთი შემთხვევიდან)

მახსოვს არ დამვიწყებია, გითხრა ამბავი ცოცხალი.
ვინ იყო ის უბედური, მოხუცებული საწყალი,
გვერდები დაშავებული, შვილის ნაცემი, ნაწვალი,
სიკვდილისას, რომ ითხოვა, შვილმა არც კი ასვა წყალი.

ოთხმოცი წლის მამას შვილი მძიმე შრომას ავალებდა,
მაშინ, როცა მამა შვილსა მტვერსაც რომ არ აკარებდა.
იშრომე, თავი ირჩინე, შვილი მას ეუბნებოდა,
იმ დროს მამას მისი შვილი მდიდრად რომ ეჯულებოდა.

დავბერდი, არ შემიძლია, შვილო, ჩემო საყვარელო,
მაშინ შვილი გაუბრაზდა, ეცა, აგლიჯა საყელო.
კიბეზე ჩამოათრია, შეეჩიდა ხელდახელო,
და თან ამას იძახოდა,—მომაშორეთ ეს სამგელო.

ნაცემი, დაშავებული მოხუცი ავად ქცეული,
იმდონი მაინც ეღირსა, ბალიშზე მოთავსებული,
უღირსი შვილის ხელიდან უმოწყალოდ დატანჯული,
სიცოცხლეს გამოესალმა, თანაც განუტევა სული.

სიკვდილის დროს მამა შვილსა ჩურჩულით ეუბნებოდა:
შვილი ხარ, მაინც მიყვარხარ, — თვალებში ჩასცქერებოდა.—
მოუსვლელათ გამაგზავნე,—ცრემლები თან ეღვრებოდა,
სამახსოვრო სიტყვის შემდეგ თვალები გაშტერებოდა.

არ დაივიწყო, შვილოსა, ეგ შენი ნამოქმედია,
ჩემს მაგიერ გაგისწორებს ბუნება — შემოქმედია,
ჩამომავლობათ გექცევა ეგ შენი ნამოქმედია,
როგორც მომკალი, მოგკლავენ, ისე შენი შვილებია.

იტყვიან — დედის წყევლასა, შვილისთვის არ აქვს ძალაო,
მაგრამ მამის დაწყევლილი ძირათ არ დაიკრძალაო.
ამ ბერიკაცის წყევლამაც მუქთად არ ჩაიარაო,
შვილს მაგიერი დაატყდა ზებუნებრივი ძალაო.

დრომაც არ დააგვიანა, დაბერდა უგნური შვილი,
ახლა თვით არის საწყალი, თანაც ყავს უღირსი შვილი.
ახლა ამან შეაგინა მამას, ათჯერ ათი წყვილი,
თანაც მოაგონა, მისი ის ჩანადენი წარსული.

დაუდგა დღენი შავია შვილსა ერთხელ მამის მკვლელსა,
აუხირდა როცა შვილი, საწყალ უბედურ-ბედკრულსა.
მამის მკვლელი შვილმა მოკლა, ამას ვეტყვი საბღაურსა,
სად მოვნახოთ სამართალი, რომ დასჯიდეს ასეთ შვილსა?!

17. ასე ერჩიოს მშრომელსა

ზამთარი იმას უყვარდეს, ვინც მომარაგებულია,
ზაფხული იმისთვის არის, ვისთვისაც სიხარულია.
სიცოცხლე იმას რად უნდა, ვინც მუდმივ დაჩაგრულია,
ერჩიოს სულით სიკვდილი, ვისი გულიც მოკლულია.

იმის სიკვდილს რაღას ტირი, ვინაც რომ დრომოჭმულია,
იგლოვე და ის იტირე უდროოთ დაცმულია.
უფრო მეტად კი უფრო ის, ვინც მეორედ მოკლულია,
თუ იტირო, ერთგულათა, და არ იყო ორგულია.

ისეთი კაცის ვაჩენას ჯობდა არ გაჩენილიყო,
ვისაც კი შრომა არ უყვარს, ოჯახს სიკეთე არ უყო.
არც ცოლი უნდა, რომ ყავდეს, არც იცის შვილი რა იყო,
არაფრისა სასარგებლო ასე უქნარა, რომ იყო.

ბევრი იშრომა, ეცადა, ოქრო ბევრი დააგროვა,
მიწის უფსკრულში ჩამარხა, ზედ ჭაობი დაატბოვა.
არც მოიხმარა, არც სხვასა მოახმარა, მიატოვა,
ასეთ მშრომელსა ჯობია, ვინც ქვეყნად არც რა დატოვა.

18. ჩემო მეზობელო

ნუ გინდა და ნურც კი ლამობ, ქვეყანა რომ დააქციო,
თუ აპირებ, დეღაჭიწა პირქვე, რომ გადააქციო,
მაგრამ თუკი საამისოთ საწადელს ვერ მიაღწიო,
ნეტა მაშინ რას აპირებ, რომ არ იცი, სად გასწიო.

ისეთს ნუ დაიმსახურებ, ქვეყანამ რომ შეგიგინოს,
ისე წადი ამ ქვეყნიდან, მოყვარემ, როგ დაგიტიროს.
შენი ნამოქმედარითა ბუნებამაც არ გიწყინოს,
ისტორიას რომ შერჩები, მაშინ გულიც არ გეტკინოს!..

წყალგალმა არ გედავები, გამოღმა არ გამოხვიდე,
ყოველ სიკეთეს გთავაზობ და სიტყვას არ გადახვიდე.
მშვიდობა არ დაარღვიო, შეცდომაში არ შეხვიდე,
შენზე დაბლა არ მიგულო, ამით მაღლა არ წახვიდე.

ეხლა მისმინე, რა გითხრა, ჩემი თუ ხარ მეზობელი,
ვიცი ჭკვიანი ბრძანდები, როგორც წინასწარმეტყველი,
და უდიდესებულების — შენი ქვეყნისა მმართველი.
ჩემსკენ პირი მოიბრუნე, არ გამხადო განაწყენი.

თუ ბოროტს გაიმეორებ და იმ გზაზე დაადგები,
დედამიწისა დანგრევით თავს მაინც ვერ წაადგები,
პირიქით დაიმსახურებ და უფსკრულში ჩავარდები,
ურჩხულის ბინას მონახავ, შავს დარაზში ჩაბარდები.

და თუ მშვიდობას ინებებ, სიტყვა აგიხდეს ყოველი,
რაც ხალხის ნება იქნება თუ არ იქნები მგმობელი.
სამყაროს შეინარჩუნებს მშვიდობიანი სოფელი,
ისტორია დაგვიმადლის და მთელი ქვეყნის მშრომელი.

19. ზოგიერთი გულკეთილობის გედი

ერთი გულკეთილი კაცი ულრან ტყეში მიდიოდა,
იქ შეხვდა ლომის ბოკვერი,—წკმუოდა, იტანჯებოდა.
თურმე დედა მოკვდენოდა, ლამის თვითონაც კვდებოდა,
აიყვანა გულკეთლიმა — აბა რაღა იქნებოდა.

უბედური ლეკვის ბედი მეტად, რომ ედარდებოდა,
მადლიანი ვიქნებიო. ამასაც ასე ამბობდა.
ეს კეთილი და ღვთის კაცი, თანაც ასე ოცნებობდა.
ისე ზრდიდა, თვის შვილებში, რომ არ გამოერჩეოდა.

გაიზარდა ბოლოს ლომი — ან კი სხვა რა იქნებოდა,
ზოგჯერაც გამხნევებული, უცხოთ გაინავარდებდა.
მხეცია და არ დაენდო, ზოვი ასე აფრთხილებდა,
მაგრამ კეთილი პატრონი სიტყვასაც არ ჯერდებოდა.

ერთხელ ტყედ გასულს მოძმეთა სუნი რომ ეღინებოდა,
ვერ ნახა სხვა რამ საკბილო, ძალა ჰვანგს ეურჩებოდა.
მხეცმა ისურვა, სხვა არა. პატრონს რომ დაეერებოდა
ისე დაგლიჯა პატრონი, როგორც მხეცს ეფერებოდა.

ლომი ლომობას არ დათმობს, მხეცია, მხეცი იქნება,
ბოროტი კაცის შვილიც კი ზოგჯერ ბოროტი იქნება.
ვინ თქვა, რომ „კვიცი გვარზეო — არ წავა, არ გადახტება“
ამ ორი მცნების მომრიდე სიბრძნეც მრავალი წახდება“.

20. უსამართლო მუჭარის გედი

ზღვამ წაუყენა მიწასა ულტიმატური მუჭარა, —
რას მიპირებო, მითხარი, ძალად დაგიპყრო, თუ არა,
რაც მოქცეულხარ წარღვნაში, ეს ჩემდა სულაც არ კმარა,
მაინც ვერ გადამირჩები, — პასუხი გამეცი ჩქარა.

მიწამ თავაზიანობით პასუხი გასცა პატარა, —
„რაც დამიპყარი გეყოფა, ნუ გახდები მეტიჩარა,
გემუდარები — მომეშვი, თორემ გახდები მასხარა, —
შენზე მეტმა ძლიერების, არ მოგაყენოს ნაღარა“.

მაშინ ბედათ ჩაერია, შორეული ცის კამარა
და ელჩები გაუგზავნა ადრე-ადრე, წარა-მარა.
მიწას შეპირდა ნუგეში, — ვიქნებიო შენი ჩარა,
აქეთ კი ზღვას დაეჭადნა, — ხელი აიღეო ჩქარა.

ზღვამ თავისი განზრახული, არასგზით არ შეიწუნარა,
აბობოქრებულ ტალღებში მიწა მოაქცია, მარა, —
ამ დროს ზეციდან მზემ თავის ცხელი სხივები აკმარა,
ორთქლად აქცია ზღვები და წყლებიც არ დატია, არა.

მერე ერთ დილით მდელოზე ნამმა მიწას მიახარა, —
„სამართალმა ბუნებისა, თავისი არ იცის ჩქარა, —
შენი მტერი ცვარად იქცა და შენთან ქედი მოხარა,
იმან, ვინაც შენი თხოვნა ერთხელ სულ არ შეიწუნარა...

იმიტომ ბრძენმა, ძველების სიტყვა ასე დაგვიბარა:
„ვინც თავის ძალას დაენდო და უდროოდაც იჩქარა,
არ დარჩენილა იმისი, ნატამალიც სულ პატარა,
იმიტომ მოსჯა მჩაგვრელი და ჩაგრულმა გაიხარა“.

21. ვემდურები ბედისწერას

ჩვენი ბედი და იღბალი როცა ბუნებამ დასწერა,
კაცი ქალთან შეგვათვისა, კიდეც ხელი მოაწერა.
ეს რომ გაიგო ხუცესმა, მოგვიხმო, ჯვარი დაგვწერა,
თურმე ჰირი მოვიყვანე, ავიტეხე თავის ბელა.

მუშაობა რა ვიცოდი, ძმებმა ცალკე დამაყენა,
ვემდურები ბედის წერას მეტი ზორი დამაყენა.

ცოლი სულ არ მღირსებოდა, ეკ რა ბედად დამეწერა,
წამომიჯდება ჯორკოზე, შიტიკტიკებს ნელა-ნელა.

რაც მისდევმჩი დამმართია, ყველა ერთად გამახსენა,
საჭმელიც აღარ შემარგო, სახლშიც აღარ დამაყენა.
შემოღობილში დამირჩა, კაცსა ვეღარ გადადენა,
ღმერთო, ჩემს მტერს გადაჰკიდე, ასე უსაშველო ბელა.

მეწობლებო, ყური მიგდეთ, ნუ იკრიჭვით ნელა-ნელა,
ღმერთმა მოგცეს მაგისთანა, თუ გაუძლებ ბარაქალა.
თუ არადა, ჩემი ბედის დაგადგება ხათაბელა,
და უბედური იქნები ჩემზე მეტი, თუ ჩემხელა.

22. გაზაფხული...

გაზაფხული გამოვიდა, აყვავილდა ზეგან-ბარი,
ახლა გამახსენდა მამის მაშინდელი დანაბარი:
„იშრომე და შეიძინე სიბერის დროს საკმარი.
ზაფხულის უქმად დამკარგველს ჭირვეული აქვს ზამთარი."

მშვენიერია ზაფხული, დარი არის თუ აედარი,
მაგრამ იმას უხაროდეს ვინც შეხვდება განაბარი.
ოჯახით ბედნიერი და საქვეყნოდ არა მწუხარი,
მშვიდობა დაუფლებია, არაფრის არის მშიშარი.

შემოდგომა ბუნებითა მეტისმეტი ამაგდარი,
ვინც იშრომა ჭირნახული მოიწია მონაგარი.
უხვად გაავსო ბეღელი, ბარაქიანი ამბარი,
ალალი ხელით ნაშრომი, კეთილი გულით ნაშვარი.

ახლა იკითხე იმ, ვისაც რომ მოესწრება ზამთარი,
თვისი ნაშრომი რომ არ აქვს, სხვისი უნდა მონაგარი.
აბა, ვიღას უნდა ახლა საქმის უქნარა, წამხდარი,
კეთილ წრიდან გადამდგარი, ბოროტებაზე დამდგარი.

1979 წ.

ჲვ. გვიან მოვედი გონსაო

კაცი ამბობდა, მოვსუცდი, გვიან მოვედი გონსაო,
ახლობისას ვმამაცობდი, არვის ვუდებდი ტოლსაო.
არაფრად ვაგდებდი იმ გზას — წასავალ-მოუსვლელსაო,
აწ შეგნება რაღას გარკებს, სოფლიდან წასვლის დროსაო.

სანამ ვიყავ ახალგაზრდა არ ვიცოდი თავის მოვლა,
სულაც უმიზნოდ ვიცოდი დღეში მთა-ბარის შემოვლა.
ერთიც არ მაგონდებოდა სიბერის ქარის მოქროლა,
ეხლა მოხუცებულს ბედმა შავი ნაბადი მესროლა.

აფლავთ უბანი გაღმითა მოპირდაპირე სოფლისა,
იმდენს იქ ვიხედები რომ იმის დროც აღარ მყოფნისა.
ჯერ ცოცხალს ამირჩევია ჩემი სავანე ყოფნისა,
იქ სულ პატარა ნაკვეთი გამზადებული მიწისა.

წინდაწინ შემოგარენი ვერცხლის ფეროვნად ანთია,
იქ უღლის მეცალე მიცდის, ჩემი მიწვევა სწადია.
შემკული-შემზადებული, — რომ არაფერი აკლია,
თუმც ჩემი ნეშტი და ჩემი ეპიტაფია აკლია.

იმ უბანში მრავალია ჩემამდე განსვენებული,
ზოგი ჩემებრი მბცოვანი, ზოგიც ახლები მისული,
აწ ჩემზეა რიგი თუმცა ადრე, თუ გვიან მოსული,
მაღლიერი ვარ ახლობას იქ რომ არ დავრჩი წასული.

ვინ არ მოკვდა, არ წავიდა, არ დამიწდა დარჩა მაღლა,
მეფე, მწირი თუ გლახაკი—ჰას რად უნდა ენის დაღლა.
თუმც ზოგზე იტყვიან ასე ოხერმაო ჩაეძაღლა,
ზოგს კი დალოცავენ ასე: ნეშტი დაბლა, სული მაღლა.

რა მიჭირს, ან ვის რა უჭირს, თუ სიკვდილია დროული,
მაგრამ ბნელში გაცილება, ჩუმად ფეხმოპარებული.
მოხუცი კაცის ხვედრია, ვით სიცოცხლეში წყეული,
კეთილის ცხედარს აცილებს მტირალი ათასეული.

1984 წ.

24. სადღეგრძელო სახსოვარი

სამადლო მოსახსენებლად, ჩვენი წინაპართ ძველისა.
რომელთა დასდევთ ამაგი საბედნიერო ჩვენისა.
სამაგიერო ვადახდა ვალია ყოველ ჩვენისა,
ლოცვა შევწიროთ მარადის, მათი არ გავიწყებისა.

დამისხი ქარვის ნუნუა, წითელი ვაზის ასული,
ბროლით მომიტა, მომართვი, ფიალა პირთამდე სრული.
ვახსენო და მოვიგონო ყველა ძველი, გადასული,
დავლიო წვეთის წვეთამდე, დავლოცო იმათი სული.

რაოდ ბევრია იმ გზაზე, არ ვიცით მათი წარსული,
არც კი გვინდა ვინაობა, ან კი სად განსვენებული.
ან ნეტავი სად არსებობს მათი სავანისეული,
ან როგორ მტვერად ქცეულა, მათი სხეულისეული.

ვახსენოთ, არ გავივიწყოთ ძველი ქართველი ვმირები,
ვინ ჰამულის დასაცავად დათქვეს და შეკრეს პირები.
მტერი შემუსრეს მოსისხლე, უცხოური ნადირები,
სიცოცხლის ფასად დაიხსნეს ქართულ მიწის ნაპირები.

რაც მოგველის იმას მოწმობს წინაპართა მოგონება,
ისევე მოგვიგონებენ ჩვენ მომავალი თაობა.
ქართულ ტრადიციის ჩვევა არამც არ გაივიწყება,
რასაც დასთესო იტყვიან ისეთივე მოიმკება.

შენ, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო,
შენშია ლხინზე შექცევა,
ვიგლოვოთ მკვდრეთით წარსული, და მათი დროის მოქცევა.
ერთხელ ჰირობის დღეობა ლხინზედაც გადაიქცევა,
სავსე მორთმეულ ფიალის წვეთიც არ გადაიქცევა!

1984 წ.

ᲔᲜ. ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ

ქვეყნის წინაშე ჯერ კიდევ მე ბევრი მაქ სათხოვარი,
თუმცა ეს წუთისოფელი დროებით მაქ ნათხოვარი.
მაგრამ მისგან მაინც არ ვარ განაწყენებულ-უბარი,
თუ რამე წყენა დამადგა თვითვე ჩემი ბრალი არი.

შენ ჩემო თვალის სინათლევ, აბა სიცოცხლე რა არი,
თუ რაც გთხოვე არ მაღირსე იმდენად მზიანი დარი.
დღევანდელს ვეტრფი თუმცაღა სიხარულს არ აქვს საზღვარი,
მაგრამ ახლა მოხუცებულს რაღას მარგებს კარგი დარი.

არ დაიწუნება ან კი აქ დასაწუნი რა არი,
რომ ვაფურჩქნილი ლამაზი ეს მშვენიერი ბაღნარი.
ეღირსა კაცობრიობას მაგრამ ერთი ეს კი არი,
მშვიდობას და გამარჯვებას რომ მიაყენე მუქარი.

გევედრები, მშვიდობის მტერს რომ აურიო ჯმარი,
ის ერთეულები მოსპო, გადაბუგო ვით ხანძარი.
მშვიდობის მილიონებსა გაეხსნას ედემის კარი,
განცხრომაში იფურჩქნოდეს ყველა მშრომელთა ვარდნარი.

თუმც სიხარულმა აიკლო მტრედი, ბულბული, მერცხალი,
მზის სხივებზე გაიფურჩქნა ვარდი, ენძელა დიდძალი.
საამურია ცხოვრება, მტერს თუმცა დაევსო თვალი,
მაგრამ მშვიდობის მტერი კი აბსუს ჯერ არის ცოცხალი.

შენ ჩემო თვალის სინათლევ, თუმცა არ მიგვაკელ ხელი,
მშვიდობით რომ მოგვასწარი ცხრაას ოთხმოც ოთხი წელი.
ტკბილად გაგვითენე დილა, დალოცვილ იანვრის პირველი,
მაგრამ რას იტყვი, მშვიდობას უქადის საეჭვო ხელი.

ხომ ხედავ გაღმა შავ ღრუბელს, ღმუის როგორც რუხი მგელი,
თუმცა არწივი ფრთოსანი გაუქროლებს ვით ფრინველი.
მაგრამ იქ რამდენი მსხვერპლი გადაყვება მბრძნელ-მთესველი,
იმის ცოდვის, რომ იცოდე შენ ხარ პასუხისმგებელი.

თუმცა ის ჩვენი არწივი, ჩვენი ქვეყნის არი მცველი,
მაგრამ იქვეყნისაც უნდა დაიცვას ხალხი მშრომელი.
დაიცვას მტრედი ბულბული მშვიდობის მაუწყებელი,
არ მოსპოს თუნდაც მტერისა ბავშვები ძუძუმწოველი.

1984 წ.

20. მკაცრი სანანებელი

ქვეყნად სხვა არაფერია, ერთია სანანებელი,
კაცი ცაზე ხელს ვოუსვამს, მაღალი ტახტის მფლობელი.
და რომ სიხარბით ვერ არჩევს სად სინათლეა, სად ბნელი,
განცხრომაშია და მაინც იკბინება როგორც გველი.

მეფედ-ვეფობა ხელთ იპყრო, გაივიწყა თვისი ძველი,
დუხჭირ ცხოვრების წარსული უთვისტომოპით ნამხეცი.
ღარიბთათვის უმოწყალო მკაცრია და არა ქველი,
ვით სოფლის მოძულებულმა გაითქვა შავი სახელი...

...დაუნდობელმა სოფელმა თუმც ბევრი აჭრაცლა მარა,
სულ არ დაინდო არცერთი ცოცხალი, დიდი-პატარა.
ქვეშ მოაქცია მიწისა სიღრმეში ჩაასაშარა,
არ გააყოლა ქვეყნიდან გარდა ქსოვილის სუდარა.

სიცრუით სავსე საწუთროს თითეულს გამოუწერა,
ვინ მოახუცა წამებით, ზოგიც კი არ დააბერა.
ზოგსაც პატარებს ასმინა გულს შეჰზარავი სიმღერა,
მათი სიკვდილის ჟამი კი უდროოდ რომ გამოწერა.

რა არის სიკვდილის ძალა, ზოგი არ ფიქრობს და არა,
ლეშში მიწისკენ იჩქარის, სული აფრინდება ჩქარა.
ვაჟკაცმ ზე-მაღლა ღრუბელმა სინათლე თუ დაუფარა,
საკუთარ ლეშის ბრალია სხვას არ დააბრალოს არა.

ქველმოქმედი კაცის სული ზეციერმა შეიფარა,
თუმცა ცოდვილიც ყოფილა, მაგრამ მაინც შეიწყნარა.
რადგან უპედურს ღარიბსა სიცოცხლეში მოეხმარა,
კაცის ავი არ უნდოდა, ობლის გული გაახარა.

აქეთ არავინ დარჩება, ყველაა იქეთ წამსვლელი,
რა ეშველება, მტერისას, კაცი ბოროტად ნამხელი.
ბუნების წიაღში მისი არ აენთება სანთელი
ამქვეყნად სამოქმედარზე რაღა ექნება სათქმელი.

ბოროტებაზე ამქვეყნად კაცმა არ აიღო ხელი,
სიკვდილის შემდეგ საქვეყნოდ დარჩა ავსახსენებელი.
წავიდა თანაც წაიღო ავკაცის ავი სახელი,
არა ჰყავს მომგონებელი, არც კი საფლავის მნახველი.

სოფელმა კაცი დალოცა, როგორც კეთილი და ძველი,
გარდაიცვალა, წაბრძანდა, დატოვა დიდი სახელი.
აღლუმზე ათასეული ხალხი მოგროვდა მნახველი,
თითეულმა დაულოცა სავანე მისი, ნათელი.

1984 წ.

27. რჩევა, გონიერება

რად გაშინებს, ან გაფიქრებს ავ-კეთილის მომავალი,
თუ წარსულის მოიხადე გამიზნული შენი ვალი.
თუ წარსულში ვერ მოიმკე ქონება-განძი ალალი,
მომავალზე თვით იცოდე ვაი-ვუი, შენი ბრალი.

ნუთუ ბრძენის დანაბარი ერთხელაც არ გაგონდება,
„ვერ დავიბრუნებს გუშინდელს ჯავრი, ოხვრა თუ გოდება.“
გირჩევნია მოიგონო შკვიერთაგან მოწოდება,
დიდ ფუფუნებას გერჩიოს, მშვიდი, მსუბუქი ცხოვრება.

წარსულში რა შეგხვედრია ავი იყო თუ კეთილი,
რამდენი გზა გაგივლია, ის წვრილი იყო თუ მსხვილი.

ყველას ხელი ჩაუქნიე, მაინც არ გარგებს ჩივილი,
შენთვის შენი იმყოფინე, სხვას დაუთმე სხვისი წილი.

რაზე გტანჯავს ან რად გინდა დიდი სიცოცხლის სურვილი,
თუ სოფელს ვერ წაადგები, არც ხარ მაგის ღირსეული.
ოჯახს ხომ ვერ გააშენებ ავარობაზე ჩვეული,
აბა რაღას წაგადგება შენ სიცოცხლე ასწლეული.

სიცოცხლე იმას ეკუთვნის ას წელწადზეც მეტი ვადა,
ვინ სოფელს ამაგი დასდო და მომავლები გაზარდა.
ის ღარიბი დაასახლა ვის არაფერი ებადა,
გზას აცდენილს მიეშველა, ვისაც დაღუპვა ეწადა.

ოცნება, ჯავრი, ფიქრები იმდენია სასარგებლო,
ვით სიზმარში უვიც კაცმა შეყვარებულს ესურვილო.
კაცი წარსულის მავიწყა და აწმყოზე უდარდელო
მომავალზე უჯავრელი—კაცურ-კაცად უსარგებლო.

1984 წ.

28. ვტოვებ, მივდივარ...

სულ მივატოვე ჩონგური, თარი, სალამური, სტვირი,
სიმღერაც შემომელია, ვით შეუძლო ამას ვტირი.
ვით საწუთრომ ამ სოფელმა ახლა ამარიდა პირი,
არ შემისრულა რაც ვთხოვე და არც თვისი დანაპირი.

ცოდვები გადამიშალა ჩემი ჩანადენი ძვირი,
ძალუმ გამაჯავრიანა, თავ-ბედით ვარ განაწირი.
გავხდი ვით მეუდაბნოე, როგორც უთვისტომო მწირი,
და მომაეონა წარსულის ბედნიერება და ჭირი.

დარდებით გული მომიკლა, გამაშავა ვით ნახშირი,
ახალგაზრდობის ვარცხნილი გამაცვინა მე თმა ხშირი.
პირისახე დამიობდა და შემიქნა გასაჭირი,
უჩვეულოდ გამიხადა ჩვეულებრივი ცხვირ-პირი.

მომიახლოვა ბედ-შავსა თუმც გარდუვალი სიკვდილი,
მწვავედ მომდგარი კარებზე დანა-ხანჯალ გალესილი.
თუმც ნაადრევი არ არი და არც არ არი სირცხვილი,
რომ გავეცალო სოფელსა კაცი მოხუცი, მიხრწნილი.
„არ შეუშინდე სიკვდილსა, და არც მონახო სიკვდილი,
თუ ვაჟკაცობას ჩემულობ, და არც შეგნიშნონ ტირილი".

მახსოვს ეს მცირე ანდერძი, მამის სიტყვები მახვილი,
და მახსოვს მისი ნაამბი, რაიც ამიხდა ნამდვილი.
ის წარსულს არ გაიცწყებს, კაცი, კაცურ კაცის შვილი,
აწმყოსა პატივს მიუგებს მომავალზე ხელგაშლილი.

ვინა ხართ ჩემიანობა, ღვთისნიერი, მადლიანი,
პირმართალი, სიტყვა-ძვირი, სწორი სასწორ-ადლიანი.
რომ მოვკვდები დამიტიროთ და შემინდოთ მადლიანი,
თუ ვისი ცოდვა მმართებდეს, შაპატიოთ ძალიანი.

თუნდაც რომ ვინმემ მავიწყოს, მაინც არ გამაჩნის სმენა,
უბრალოდ წამოცდებიან ჩემთა ნაშიერთა წყენა.
უკეთესია დამლოცონ, ცოდვას არ მიანდონ ენა,
თუ უნდოდენ თავისთავის კაცურკაცად გამოჩენა.

ცხედარსა, ხელდაკრეფილსა სუდარი ჩამაცვით თქვენა,
შესანდობი დამილიეთ თუ არ გინდათ ჩემი წყენა.
სამაგიერო მადლობა თუ ვერ მოგახსენო მენა,
რა რომ ვერ შეძლებს და ვერა, უმეტყველო ჩემი ენა.

ჩემი სავანეს ადგილი მე თვით მაქვს გამზადებული,
ცერემონიებს არ ვითხოვ ვით ზოგიერთზე ჩვეული.
ან რაში გამომადგება აკლდამა დამშვენებული,
თუმცა ვითხოვ რომ არ იქნას სხვათა ნატერფალქცეული...

ვითარცა მკვდარს რაღას მარგებს ტირილ-კივილი, ჩივილი,
ვერ გამაცოცხლებს ვერაგზით მლოცველი ხელებ აწვდილი.
თუმცა ლოცვებით ღირსებას აღიქვამს მიცვალებული,
გამიხარდება ჩემზედაც ეს წესი გავრცელებული.

1984 წ.

ჯუ. წარსული ბედი

აღმართ-დაღმართი ბევრია, მთელ სიცოცხლეში სავალი,
კაცის ბედ-უბედურების, ხან აღმა ხან დაღმავალი.
თუმცა ხანგრძლივი კი იცის, გვალვა მუდმივი არ არი,
წვიმებსა უცბად მოავლენს ბუნება და მისი ჭარი.

დიდ სიხარულის განცდებში კაცი მეტად იხარბება,
და არ ფიქრობს ამას ოდეს თუ მოელის მწუხარება.
კაცი ბედმა აამაღლა და ამაყად გასძახოდა:
„სამუდამოდ დავიდგიო სამოთხეში ოქროს ოდა.“

მაგრამ იქ უბედურებამ არ დააგვიანა ცოტა,
ამაყის ბედნიერება დაარღვია, აღაშფოთა.
ბედმა რომ ბედნიერება უბედურს კაცსა არგუნა,
ბეჩავმა არ გაუფრთხილდა და ვეღარ შეინარჩუნა.

კაცსა სიცოცხლეში ბედი ერთჯერად მოევლინება,
ვით უგნური ვერ მოუვლის და ანაზდად გაეცლება.
ის წარსული ბედ-იღბალი არამც და არ დაბრუნდება,
ისე ვით გუშინდელი დღე დღეისად არ გამოდგება.

წარსულ ბედის კვლავ პირაქეთ მობრუნება თუ იქნება,
მაშინ საქართველოს შოთა, თამარიც დაუბრუნდება.

1984 წ.

ჟი. ლამაზი

სილამაზე თვალს იტაცებს ან უკეთესი რა არი,
რა იქნება, ვინ იქნება ვით ლამაზ ქალის სადარი.
ის მით უფრო ლამაზია, თუ რომ ის ქართველი არი,
სილამაზე ჯანმრთელობის ნაწილია საწინდარი.

სახით მშვენება-ლამაზი ყოველ ერში როდი არი,
ბევრსაც ნახავ ულამაზოს, გულს გადაგერება ძმარი.

მაგრამ ქართველს სილამაზით იშვიათი ჰყავს სადარი,
ან უკეთესის მნახველი ერთი მითხარი ვინ არი.

„ჩამომავლობას დაკარგავს ლამაზი უშნოს ზიარი“,
ეს ანდაზად გამოდგება, ჭკუის მარგი უტყუარი.
მცენარე გამოიცვლება მცენარით გადანაჯვარი,
ვარდზე არ გადააჯვარო არაფრად მარგი ბაძგარი.

ულამაზომ არ შელახოს ერთობ ლამაზი საზღვარი,
თორემ ისეთს გაამრავლებს, როგორიც ზემოთ გითხარი.
ვარდის კალამი დაამყენ, საძირედ თუმც უშნო არი,
ის მაინც ყვავილს გაიღებს, ისეთს, როგორც თვითონ არი.

1984 წ.

81. ენა, სიტყვა, ხმა

უსიტყვოდ ენა არ ფასობს, სიტყვაა ძვირ-ღირებული,
მაგრამ წინდაწინ განსაზღვრე, რომ ის იყოს ღირსეული, —
გაზომე, აწონ-დაწონე, არ ამოგცდეს უჩვეული...
თორემ ვინღა დაგიჯერებს კარგიც რომ თქვა ასეული.

სიტყვა უწყვეტი არ ვარგა, უზომო, გაგრძელებული,
ის უნდა იყოს მოჭრილი, სხარტი და შემოკლებული,
არც უნდა იყოს უაზრო, მხოლოდ უნდა იყოს ბრძნული,
თუ არა და მაინც იყოს უბრალო და მხიარული.

სიტყვას არ დაგიჯერებენ, თუნდაც იყოს მეტი ბრძნული,
იქ სადაც საამისო წრე არ იქნება ღირსეული.
„ყვავთა ხროვაში ვერასდროს ვერ იგალობებს ბულბული“,
მაინც ხომ არ მოუსმენენ, რაზე შეიწუხოს გული

ენა, სიტყვა მცირედ ფასობს, თუ ხმა არ არი ჟღერადი,
ხმას მოიხმარს მაშინ კაცი, თუ რომ ის არი გულადი.
მხდალის პირში ხმას რა უნდა, როცა შიგ ეჩრება ბარდი,
ჟღერადია მამაცის ხმა, იმისი გზა და ნავარდი.

ხმა-შეძახილი ამშვენებს გმირის სახელს, როგორც ვარდი,
ხმა ფრონტზე მოიხმარება კაცი თუ არის გულადი.
ენა ღირსების ძმა არის, თუ რომ ის არი ჟღერადი,
მაგრამ უადგილო ყელში ისე ფასობს, როგორც მწვადი.

1984 წ.

82. ნუ ხარ ამაყი

ნუ იამაყებ თუნდ იყო ცხრა თავა ბაყ-ბაყ დევია,
ნუ იტყვი, ის რაჰ დამაკლებს, მე ვარო მძლეთა მძლევია.
გახსოვდეს, კოვზსა პაწიას დიდი ზღვა დაულევია,
ალვის ხე ცამდე ასული ჰინჭველას წაუქცევია...

1980 წ.

83. ჩემო ქართულო ენაო

ლამაზო და ეშხიანო ჩემო ქართულო ენაო,
გეალერსები, მიყვარხარ და გაქებ მუდამ შენაო.
შენი მეხოტბე ბევრია, მარტო კი არა მენაო,
ყველა ერთთავად გიმღერის, „შენი ჭირიმე ნენაო“.

ხად არ გაისმის ნეტავი შენი სახელი, ქებაო,
ტკბილ ჰანგებზე აგებული, ეგ სუფთა მეტყველებაო.
ხატოვნად გამოსახული, რომ ვის არ შეშურდებაო,
„სილამაზისა მოშურნე ბევრსაც კი ეყოლებაო“.

მიტომ არის რომ გამშვენებს პატრონის ქართველობაო,
ისეც მოგანდო ზენამა ბუნების მლოცველობაო.
ვისაც დალოცავ ქართულად, კუტიც კი ფეხზე დგებაო,
შენი ნათელი ლამპარით ბნელიც ნათელი ხდებაო.

კვლავაც ლამაზო, მშვენებავ, ჩემო ქართულო ენაო,
შენი ერის ნაწილები სხვა მხარემც გააშენაო.
იქ, სადაც ბატონობს ეხლა თუმცაღა უცხო ენაო,
მაგრამ შენ თავი სათუთი, არც იქ დაკარგე ენაო.

იმრავლე, კვლავაც იდიდე, ჩემო ქართულო ენაო,
ტკბილია შენი ალერსი, როგორც ბულბულის სტვენაო.
დუშმანი ბევრი გყოლია, ინდომა შენი წყენაო,
ბუნებით ხარ დალოცვილი, შენ გენაცვალოს ნენაო.

შენი მხარე საქართველო, ჩემო ქართულო ენაო,
მეტის-მეტ რომ ლამაზია, ნეტა რამ დაამშვენაო.
ეიხც საქართველო დაგარქვა, ღმერთმა ის ააშენაო აცხონაო,
და შენი ლამაზი ერი ამრავლა და ამშვენაო.

1980 წ.

84. ძეგა ჭართვლის მანდილოსანს

ქალო შენი სილამაზის უკეთესი ვერ გითხარი,
რომ ბუნებაში ერთი ხარ, არცა რა გყავს შესადარი.
შენის ქება-დიდებაზე ნათქვამია ათასგვარი,
შენ ყოველთვის ლამაზი ხარ, ზაფხულია თუ ზამთარი.

რამაც დედამ შენ გაგზარდა, დალოცვილი ის ვინ არი,
შენი ხოტბა-ლოცვებისა, მაშინ გაიხსნა ღვთის კარი.
როდესაც ამოანათა მზე ლაჟვარდოვან-ცისკარი,
რაც შენი ქება გაისმის, მართალია თუ ზღაპარი.

შენის მეტი სად ნახულა სილამაზის ჯადოქარი,
ედემის ბაღში ასული, ვარსკვლავეთური საყდარი.
საიდან ჩამოფრენილხარ, ალმასთა გროვის სცენარი,
დაგილოცე საუკუნის ბრწყინვალე მზიანი დარი.

შენი მსგავსება სახისა კიდევ ლამაზი ვინ არი,
ია-ვარდების ნაკრძალი, ანგელოზების ბაღნარი.
მიტომ მეც არ შემიძლია სიმართლისა გითხრა ვარი,
შენი ეშხით დამტკბარია ყველა შენი შემხედვარი.

ვარდი ხარ მაისობისა სახე მთვარე მომცინარი,
ნაზი გამომეტყველების, ბუნებითაც მომღიმარი.
აპრილის ჩიტის ენა გაქვს, როგორც წყარო მომდინარი,
რომ შენზე ქებას დამღერის ყველა შენი შეხოტბარი.

მისი მსგავსი შენის გარდა ვინ იქნება ალმასისა,
უზადოთ შეგედარება გამოთქმა დიდი ბრძენისა,
გიშრის ტბა დაგიმშვენია, დაფარული წამწამისა,
ვით ნესტან-დარეჯანისა, ღიმილი ჩენა კბილისა.

ბროლის თითები თათებზე, წვეტები სადაფნებისა,
სარო ლერწამისებური, ტანთ აღნაგობა შენისა.
მზის დანასხივები სახე ნათელი მეტად გშვენისა,
ძნელია სიტყვის გამოთქმა, შენზე ლალების შეყრისა.

გიმღერის ყველა მგოსანი, მოლექსე და მომღერალი,
შენი სილამაზის ქება გაისმის ახალ-ახალი.
ცაში ბულბული მოხიბლე, დაბლა მინდორზე მერცხალი,
მეტყველი და პირუთვნელი, მსმენელი ყველა ცოცხალი.

შენი დანახვის მსურველი ბევრია ახალ-ახალი,
ნეტავ საიდან და როგორ, ვისი ხარ ჩამომავალი.
ისე როგორც მარგალიტი და ბაჯაღლო ოქროს თვალი,
მშვენებით აღმატებულო, ვინა გყავს შენი ბადალი.

მთვარე ქათქათა დაგნათის, მზე დილის, ამომავალი,
შენით ვინ არის ტანჯული, ნეტა ვისი ხარ წამალი.
ის არის ბედით ნათელი, ვისთანაც ხარ მიმავალი,
მიტომ ხარ მეტი ლამაზი, რადგან ხარ ქართველი ქალი.

1980 წ.

35. გუგული

აპრილის თვე მეტად მიყვარს და იმისი ვარ ერთგული,
მიდამო გალამაზდება და მოფრინდება გუგული.
გაიფურჩქნება ბაღნარი, გაიხარებს კაცის გული,
ყველაფერს ჩაესახება სიცოცხლე და სიხარული.

ამ ცხრაას ოთხმოცი წლისა გაზაფხულის დასასრული,
მიყვარს და მივესალმები უზომოდ გახარებული.
რადგანაც მხცოვან-ხნოვანი, სუსტი და მოხუცებული
ერთხელ კიდევ მოვესწარი და ვიზიარე გუგული.

ამ თვეში ყოველ დილითა ვიყავი გაფრთხილებული,
ახლო როდის მოფრინდება, ხმას გაგაგონებს გუგული.
სიხარულით ამისრულდა, რისიც ვიყავი ნატრული,
გძლიე, გძლიე!—მივაძახე, კუკუს რომ სცემდა გუგული.

სიცოცხლის ყადრი მან იცის, ვინც არი მოხუცებული,
ახლებსა ჰგონიან თითქოს სიცოცხლეა მუდმეული.
არ უფრთხილდებიან არა, რაც არ არი მართებული,
ვინც არ აფასებს სიცოცხლეს, არ მოესწრება გუგული.

1980 წ.

36. მზიური აჭარა

დედა-სამშობლოს ნაწილი, ტურფა მზიური აჭარა,
თუმცა მეტად ლამაზია, მაგრამ მცირე, ტან-პატარა.
პონტოს ტალღების მშვენება, კოლხას ნაპირზე მომდგარა,
მისი ბუნების ეშხითა ვინ არის რომ არ დამტკბარა.

ზურმუხტოვანი ბაღები ციტრუსოვანი გამხდარა,
ჩაისა ხავერდოვანი მინდორ-ველები დამდგარა.
ოდესღაც ძეძვით მოსილი ედემის ბაღი გამხდარა,
სადაც გაივლი ზემზემის წყაროო მდინარებს ანკარა.

დაბლა შავი ზღვა ამშვენებს, მაღლა მწვანე მთები მარა,
იმის აღწერას ვინ შეძლებს შესაფერ და შესადარა.
მთაგინურიდან გოდერძის უღელტეხილამდე ჩქარა
რამდენიც მეტი ირბინო არ დაიღლები და არა.

მისი კურორტ-ქალაქები ზღვისპირეთზე გამართული,
ბათუმი და ქობულეთი მორთული და მოკაზმული.
გალამაზ-გამშვენებული, მწვანედ აყვავილებული
იქ დამსვენებელთ არმია უწყვეტი, მოზღვავებული.

თუმცა დასალოცი კია დროება ამჟამინდელი,
მაგრამ არ დაივიწყება აქაურ ქართველთა ძველი.
როდესაც თავსა დაესხა უცხო მოსული მპყრობელი,
დაუძლურებულ ქართველთა აღარ დარჩა გამომხსნელი.

კულტურის ცენტრი ყოფილა ოდეს აჭარის სოფელი,
მაგრამ ეპოქის ხანამა ბედი დააყენა ძნელი.
ჭოროხზე გადმოაღვარა ბარბაროსით ულმობელი,
სოფელსა შემოესია აყარა ქართველთ ტომელი.

დრომ იკადრა და იურჩა, სხვარიგ დაბრუნდა ფერხული,
უთანასწორო აღმოჩნდა ჩვენი მხარე ზღვისპირული.
და მიჯნიდან შეიცვალა ქართვლის მიწა, აჭარული,
ხალხი იმსხვერპლა და კიდეც გახადა მუჰაჯირული.

საუკუნეთა მანძილზე შავი რკინით დაღდასმული
იტანჯებოდა სოფელი კოლხას პირი, აჭარული.
ბევრი შეცვალეს თუმცაღა ვერ გატეხეს ერის გული,
და უფრო ვერა შეცვალეს ბულბულის ენა-ქართული.

გამოევლინა ადგილზე ერის დამცველი, ერთგული,
არა-ერთი უამრავი ფიცი დაიდო აღთქმული.
შორეულ საქართველოდან ხელი გამოწვდინებული.
„შემოანათა რიჟრაჟზე, სისხლი შეერთდა ქართული“.

ბედით მეც გამომიცდია იმდროინდელი წარსული,
ვიცოდი აღსრულდებოდა რისიც ვიყავი ნატრული.
და მოვესწარი ცხოვრებას, რაიც მგონია ზღაპრული,
ახლა სჯობს ახალგაზრდობა, მაგრამ ვარ მოხუცებული...

1980 წ.

87. მოხუცებულს მაგონდება

ძველი დროის მოგონება არ ვიცი რითი ვიხარო,
ასე მეტყოდა მოხუცი, დამარწმუნე და მითხარო.
კარგსა მოყვები თუ ავსა, იქნება ჩემი სახარო,
მისი მოგონების სევდით უხვად ცრემლი დავიღვარო...

...თურმე სადაც არ ყოფილხარ, არ იცი იქაურობა,
რაიც არ გამოგიცდია, მისი არ იცი რაობა.
ჭირი თუ არ გამოცადე, იგი ლხინი გეგონება,
მუდამ ლხინის ნატარებსა ჭირი სულ არ აგონდება.

სიცოცხლეში რა კარგია ახალგაზრდობის ჟამობა,
მაგრამ ვინც გამოიყენებს იმას ეკუთვნის თაობა.
ვინც უქმად გაანიავებს მისთვის კი არარაობა,
თუმც ბევრია ახალგაზრდის ჭკუა-გონების სხვაობა.

ყველაფერზე უკეთესი პირველია ჯანღონობა,
მაგრამ სიტკბო თუ არ დასდევს და არც ისე ვაჟკაცობა.
მსგავსი სახედარიც კია, აქვს თუმცა უკაცრაობა,
აბა ვის რაში არგია უსარგებლო ჯან-ღონობა...

88. ბრძენის ჩანაფიქრი

ბრძენის ჩანაფიქრები და სიტყვანი ერთობ სწორია,
კბილი ზოგ-ზოგი თეთრია, შავ გულში ანაშმორია.
რომ პირისპირზე შექება არავითარი სწორია,
თუმცა სახოტბო პიროსა დაქება ზოგჯერ სჯობია.

მართალი სიტყვა ერთი სჯრის, არ საჭიროებს ორია,
მლიქვნელის სიტყვის საწამლავს ერიდე შორი-შორია.
კაცია, ვისაც მეტ უყვარს თვალთმაქცი ცერემონია,
რასაც გეტყვის თვისი რწმენით, ჰეშმარიტება ჰგონია.

კაცია, ენა-ბოროტი, მეტყველი სიტყვა-ჭორია,
შენგან რაც სიტყვა წაიღოს ასიც რომ იყოს სწორია, —
მართალს არ იტყვის არცერთზე, უყვარს ტყუილის გორია,
ისე ვით ბოროტ ნიანგსა, უჯობს ჭაობის ტბორია.

კაცია, ადამიანის წოდების ღირსზე-ღირსია,
თუნდ განათლება არ ჰქონდეს, კოლეჯში შენათვისია.
სხვისას ისე თვლის, აფასებს, ვით განურჩევლად თვისია,
კბილიც თეთრი აქვს, და გულიც სხვა ყველაფერიც მისია.

მტერს პირისპირზე შეხვდება, თუ ბედსა დაუწერია,
ღალატის რამე არ იცის, როგორც ვაჟკაცის წესია.
შეუდგენია კრებული დიდ ბრძენთა დანათესია,
მომავალ თავის ანდერძად დასტურად განაწესია.

ადამიანი კაცისა სახელის მატარებელი,
კეთილია თუ ბოროტი, წოდებით განურჩეველი.
სამწუხაროა და რატომ ასე გაჩინდა ყოველი,
ბუნებამ ასე იკადრა თუმც არ არის სასურველი.

ჯერ ხომ არავის უნახავს კაცის წოდების შემცვლელი,
ზოგიერთ კაცზე წოდება მაინც კია შესაცვლელი,
ვინცა თავის სიცოცხლეში პირგამოუსწორებელი,
როგორც წმინდა ვარდის ბაღში ავი სული, სარეველი.

თუმცა ბუნების საქმეში ვინ იქნება გამრეველი,
ან ვის შეუძლია იყოს ასეთ ძალის ამრეველი.
მაგრამ კაცი თუ ვინც არი მამის ან თუ დედის მკვლელი,
რაც სამართალი არ დასწვავს, არ ვარ მისი მწამებელი...

1980 წ.

ჲე. ახალგაზრდებს

თქვენზე ვამღერებ ახლებო, რაც ახლა დამიწერია,
თუმცა მანამდესაც ბევრი თქვენზევე რომ მიწერია.
მაგრამ არ ვიცი თუ ვისთვის უშნო ან მშვენიერია,
ვიცი უგნური არ ისმენს, იზიარებს ჭკვიერია.

რომ დაუჯერო, ერწმუნო იმას ვინც გონიერია,
კიდეც ბევრი ნაცადია, მოაზროვნე ჭკვიერია.
დ~დ თავკაცობას მოიგებ ვით მეტახტე ძლიერია,
არ დადუმდება შენი ხმა როგორც ლომი ძლიერია.

რამდენი რა გამოვცადე ლხინი იყო თუ ჭირია,
ყველა წარსულს გავაყოლე, არცერთი აღარ მჭირია.
ან რაში გამომადგება იაფი იყო თუ ძვირია,
თუმცა ახლაც არ მასვენებს რაც იქ ბოროტი ერია.

თურმე დიდი განძეული, მაშინ პატრონის მტერია,
მტაცებელი რომ დაესხმის თუ არ გაუღეს კარია.
სიცოცხლის ფასად უღირდეს თუ შეაგება ვარია,
თუ არა და დაულოცოს განძეულის ნაგარია.

მდიდრის ლუკმაზე ამბობენ, რატომღაც იგი მწარია,
თუნდაც რომ მისულს დაგიკლას პატივსაცემი ცხვარია.
მაგრა იტყვიან ღარიბთან თუ იქნები სტუმარია,
მეტისმეტი ტკბილიაო იქ პური გამომცხვარია.

სიმდიდრე და დიდკაცობა ძნელი მოსაპოვარია,
და არც არავის ეგონოს ადვილი საშოვარია.
კაცი ბრძენი და ჭკვიერი მაშინ შეუპოვარია,
როცა მისი ცოდნის ძალა ხალხში მონაპოვარია.

ახალგაზრდობა ძნელია თანაც რომ მეტი ძვირია,
ამ დროს გახდება ვაჟკაცი ან ლაჩარი ან გმირია.
თუმცა თუ გვერდში არა ჰყავს გონიერი საფარია,
შარბათი გადაექცევა ვით დაობვილი ძმარია.

ამ სოფელში რომ შემოველ არავის უთქვამს ვარია,
არც უკითხავენ ვინა ვარ, ან კი ვისი ვარ გვარია.
ახლად ვიხილე სინათლე არაფრის მქონდა ჯავრია,
მაშინ იყო ერთი ათას ცხრაას ხუთის სადარია. (1905 წ.)

იმის შემდეგ რა მოვიდა, რა წავიდა, რა ნაირია,
ეხლა ოთხმოცს მიღწეულმა ვწერე ბევრი შაირია.
მაგონდება რაც წავიდა, ტკბილი იყო თუ ცხარია,
ისე გაქროლდა დროება, როგორც მდინარე ჩქარია.

მე თვითონ დავიმახსოვრე რაც კარგი გამიტარია,
ჩემითვე იყო რაც შემხვდა გატარებული მწარია.
ბედს რა დავაბრალო როცა ყველა ჩემი ნაქმარია,
ფონზე გაველ მაშინ როცა ბრძენის ჭკუა მიხმარია.

ახალგაზრდობას რა ვუთხრა, ამის უკეთეს დარია,
ეს არის გონიერთათვის ვით ანდერძი ნახმარია.
ვინც უვნური გონიერსა გაჰყვება ბედნიერია,
ბოროტი გზის მოტრფიალე რომ თავისთავზე მტერია.

1981 წ.

40. ჩემი განსაცდელი

თუმცა მიყვარს გაზაფხული, მაგრამ ყოველთვის არ არი,
არც შუდმივია ყვავილი, ნამის ცრემლი დანაცვარი.
ასში ერთხელ მიხარია, ბოღმას კი არ აქვს საზღვარი,
დრო გამექცა, გავაყოლე ბედნიერება ნარნარი.

სიბერემ ზაფხულს მომისწრა, დამიდგა ცივი ზამთარი,
სისხლი მიშრება ვცივდები, არ მშველის სახურ-აბჯარი.
წარსულში ბლომად მებადა ჯიბაში ქისა-სახმარი,
ეხლა კი შემომელია, მოვნახე ძველი დავთარი.

მომაგონდება ახლობა, იქ ანთებული ლამპარი,
ეხლა რომ ვხედავ რაცა ვარ, თითქოს მგონია ზღაპარი.

სხვა ველარ შევძელ, დამნიშნეს, დავცავი ეზო-სახლ-კარი,
მოხუცს რომ ფასი დაგიკლებს, თურმე რა ყოფილა მწარი.

მაშინ სადაც დავდიოდი ყოლგან მხვდებოდა ბაღნარი,
ეხლა სად გადავაბიჯე, მეღობება ეკალ-ნარი.
მაღლი რომ დავიმსახურო, დავხურო ცოდვის ბაზარი,
ამიტომ ბაღში წასულმა ვერ ავიცილე ბაძგნარი.

რა გზას დავადგე, ვიფიქრე, ან რა ვირჩიო იმგვარი,
რომ შემეძლებოდეს თანაც, იყოს ჩემი შესადარი.
ლექსობას ხელი მივყევი, თითქოს ავწერე მთა-ბარი,
იმდენი ვწერე, სათვალავს ველარც დავუსვი საზღვარი.

სცენაზე გამომიწვიეს, ზეიმი იყო დამდგარი,
ძოხუცებულმა გავედი, წვერ-ულვაშ-სახე დამჭკნარი.
მანდილოსნებსა ვეგონე კაცი ვინღაცა დამდგარი,
მაგრამ ახლებურად დავკარ, ვით სამლოცველოში ზარი.

არ შემიძლია ტრაბახი, არც თავით ვარ მეტიჩარი,
გრძელ ლექსების წერა მიყვარს, ვითომ აკაკის სადარი.
თუმცა მელექსე-მგოსანი ავტორ-მთქმელი ხარო წყნარი,
მაგრამ ეს რაზე დამათქვეს, ან რა წოდება ეს არი.

თანდათან იქეთ მივდივარ, ნაბიჯით ნელი თუ ჩქარი,
ვინც ამას შეუშინდება ის კაცი იყოს ლაჩარი.
ჯიბე საკუთარი მიყვარს, არ მწამს სხვისი ნათხოვარი,
ცოლად გოგონა ჯობია, საყვარლად განათხოვარი.

ანდერძები მიწერია მომავალთა სახსოვარი,
ჩემი შრომით მიცხოვრია, არ ვყოფილვარ მათხოვარი.
მითხრეს არ შეგერგებაო სხვისი ნაშრომ-ნაშოვარი,
თურმე მართალი ყოფილა ანდერძი იმის დაგვარი.

დიდკაცობის ჟამინდელსა ბევრი მყავდა მეგობარი,
დაბალ ფოწზე რომ მიგულეს, ყველამ ერთად მითხრა ვარი.
მაღალ მეტახტე რომ გავხდი, აღარ ვიწამე საყდარი,
მაგრამ დაბლა რომ დავეცი, მაშინ ვიწერე პირჯვარი.

კაცი როცა გაიზრდება, აეწიწება ფაფარი,
როცა ზურგზე დაეცემა, პირზე დაეყრება ჩვარი.
მარტოობამ შემაწუხა, თან გამიძლიერა ჯაერი,
თუმც დიდი ხანი არ არის, რაც დამაკლდა მეგობარი.

ბავშვი თუმცაღა ობოლი, სადარდო მაინც არ არი,
მოხუცი კაცის ობლობა მეტისმეტ ყოფილა მწარი.
როდესაც უღელში გიბამს ერთგულების მეგობარი,
სჯობს მაშინ მტკიცედ იცოდე მისი ფასი და ყადარი.

როცა გამოგეთიშება მიგატოვებს მეგობარი,
მაშინ გვიანი იქნება ტირილი, ლოცვა, პირ-ჯვარი.
მეუღლეა ზოგიერთი, იმის ფასი სხვა არ არი,
ზოგიერთი ცხრა მთას იქით, ავზე ავი, საწყევარი.

გიყვარდა, ეხლაც გიყვარდეს გარდასული მეგობარი,
და მაშინ დაგიფასებენ რომ ყოფილხარ მტკიცე ქმარი.
ამოდენა მიწერია, მადლიერი თუ ვინ არი,
და ბოლოს მეტი რაღა ვთქვა, ერთი კი მაქ საჩივარი:

ამის მსმენელი, დამჯერი ვფიქრობ დღეს არავინ არი,
ათასში ძლივს გაიმეტო მოყვრისათვის ერთი ცხვარი,
მაინც არ დაგიმადლიან, არ იჯავრო, იყავ წუნარი.

1981 წ.

41. კაცი თვალთმაქცი

კაცია, ვისაც ჯობიხარ-თვალთმაქცად მოგეფერება,
სხვასთან გაუგებს დაგძრახავს, პირისპირ მოგესალმება.
შენგან თუ სარგებელს ელის მაშინ წინ შემოგეგება,
ბევრს დაგპირდება ენითა, ჭირის დროს გაგეპარება.

თვალთმაქცი შემხვდა, კბილთეთრი, კაცი ენა-პირ სხარტული,
ჩემგან პატივით აივსო, მადლი შემწირა შაქრული.
მაგივრად ბევრი დამპირდა, თურმე ყოფილა ორგული,
დაპირებულის სანაცვლოდ ღალატი მკადრა ფარული.

თუმცა ადრიდან ვიცნობდი, თვალითაც მყავდა ნახული,
მაგრამ რატომღაც გავენდე, უშიშრად მივანდე გული.
გამცა რაც ჩემში იცოდა სიტყვა და საქმე ფარული,
მტერს ჩააბარა ყოველი, რაც კი გამაჩნდა მალული.

1982 წ.

42. ნაირსახეობის მტერი

ტირილი ბოღმას აქარწყლებს, სიცილი ჯავრის მტერია,
ცრემლი სენისა მტერია, ვით მოსულ ქალის გერია.
ოფლი განცხრომას მოგიგვრის, თუ ქარმა არ ჩაერია,
ბახუსი, თუმცა საშიში, მაგრამ ვანცდების მტერია.

ძილი ჯანმრთელობის კერა, უგნური კაცის მტერია,
სქეს-განცხრომას რომ გადაყვა, კაცი მინახავს ბევრია.
ამის მოძმეა ბახუსი, ორივე კაცის მტერია,
სიცოცხლე თუ არ შესწირა, მაჲნც წაიტეხა ცერია.

ოქრო და განძეულობა, სადაც უხვი და ბევრია,
იქ დაგროვილი ოცნება და მეტისმეტი ჯავრია.
ეს ყველაფერი კაცისა უცილობელი მტერია,
თუმც გონიერი კაცისთვის ადვილი მოსახმარია.

სხვისი სიკეთის სიხარბის, კაცი მინახავს ბევრია,
სიკეთის მაყვედრებელიც, იმისვე თანასწორია.
ცოდნას სხვას არ ასარგებლებს, ასეთი კაციც ბევრია,
ყველა ამ ტიპის ვინც არი, ბოლოს თავისა მტერია.

მტერი რომ არ ყავდეს, თურმე ასეთი არაფერია,
მაგრამ ასეც არ ყოფილა, „სიკვდილს არა ყავს მტერია“,
ამბობენ—„არ ასცილდება, რაც კაცზე დანაწერია“,
თუმცა მორიდებაც უნდა ყველაფერს შესაფერია.

მე ბევრი რამ განვიცადე, მითხრეს ზენას ნაწერია,
მაგრამ როცა დავუკვირდი მე თვითონ დამიწერია.

მტირმა საახალწლოდ თუნდაც რომ დაგილოცოს ჰერია,
რამდენიც უნდა დაგლოცოს თვალთმაქცი და ცბიერია.

სანდო არ არის იარაღი სხვისი ხელით ნათრევია,
გამოუცდელი იარაღი სწორედ პატრონის მტერია.
ცივ იარაღის გარეშე ცხელი მისთანაც ბევრია,
რომ მტერზე შერკინების დროს იყოს პატრონის მტერია.

ამბობენ ადამიანის რა არის დიდი მტერია,
თურმე საკუთარი ენა ყველაზე მეტი მტერია.
ერიდან ერის შორისაც ზოგიერთები მტერია,
უფრო უმეტესი მტერი მეფეს ჰყოლია ბევრია.

სიცოცხლის ძლიერი მტერი სიკვდილი უებარია,
მაგრამ მის წინაღმდეგ სიტყვა ვინც გაბედოს უშვერია.
ერთიც არ ეპატიება, აუოხრდება კერია,
„სადაც მოყვარე ბევრია, ერთი იმდენიც მტერია“.

1982 წ.

ჭ. ბევრ სხვასაც უყვარს...

ბევრ სხვასაც უყვარს რომ წეროს ლექსები მეტი ჟღერადი,
წერს, თუმცა არევ-დარეულს ვით გზა-და გზა ეკალ-ბარდი.
გერ აუწყვია რითმები ვერც კი ერთი სტროფი ფარდი,
„ლექსი რითმით დაფასდება, როგორც ძორღა ცხენი მარდი“...

თვალის ნაცდური ჭალწული მაშინ დარჩა დანაქერა,
ყმაწვილი გაუჩინარდა ვინც იყო მისი საფერა,
გულმა განაწყენებულმა ეხლა მოთქვა სულ სხვა ფერა,
„თვალი გულის მაცდურია, თუ პატრონმა დაუჯერა“,

44. ჰეი, ახალგაზრდავ...

შენ დაიპყარ გაზაფხული, მე კი ზამთარების პირი,
შენ გათბობს ლაღი ზაფხული, მე ცივი ზამთარი ხშირი.
შენ სევდიანი ბუნება, მე მოღრუბლული მზის პირი,
შენ ყოველ დილით ცისკარი, მე კი ჩამქრალი ლამპარი.

შენ ყმაწვილი ხარ ახალი, მარდი როგორც შველი მხტარი,
მე კი მოხუცებული და ღონემიხდილი დამდგარი.
შენ ხარ ქვეყნის მომავალი, სოფლის საიმედო ფარი,
მე კი იქეთ მიმავალი, ცხოვრებიდან გადამდგარი.

შენ ახლად გადაგიშლია ცხოვრების დიდი დავთარი,
მაგრამ როგორც დაასრულო, არ იყოს დასავიწყარი.
მე დავასრულე ცხოვრება, კიდეც დავუსვი საზღვარი,
სხვადასხვა გამომიცდია, ის ტკბილი იყო თუ მწარი.

შენ სიცოცხლის ყვავილი ხარ, მე კი ხავსი ვარ დამჭკნარი,
შენ ვარდის შტო ხარ აწვდილი, მე ჯაგნარების ბაძგარი.
შენ ხელუხლებელი გიყვარს, იმანც კი არ გითხრას ვარი,
მე ისიც არ მეკარება, დახავსებული, დამდგარი.

შენ მუდამ მხიარული ხარ, არაფრის არა გაქვს ჯავრი,
შენ დაგიწყია ახალი, ჩემი ძველი დანამთავრი.
შენ გაგიღია სოფლისა მე რომ მოვიხურე კარი,
შენა ხარ შორით იმისა, საითაც მე მიეიჩქარი.

მე რაც ავი ჩავიდინე, იმანვე დამცა თავზარი,
ჯოჯოხეთიდან გამაგდეს, მაჩვენეს ედემის კარი.
მე კი ეულმა მოვბრუნდი, ზედ მივატოვე ბაღნარი,
მიტომ მიწყინა განგებამ და ამიოხრა სახლ-კარი.

ეხლა კი მოხუცებულსა მაწუხებს ჩემი ნაქმარი,
ქალწულიც კი გავამწარე, ვისიც მაშინ ვიყავ ქმარი.
ოღრო-ჩოღრო დავდიოდი, დარი იყო თუ ავდარი,
როცა მოვხუცდი მოვბრუნდი, აღარც კი დამხვდა სახლ-კარი.

ახლა ვის ამარა ვიყო არავინ არ მყავს ხელფარი,
ან კი ვიღასა ვუნდივარ ძველი, უსაქმურ-უქნარი.
ეხლა „ფიშმანს“ კი ვარ, როცა ახლობის მივხვდი ყადარი,
მაგრამ გვიან „დავფიშმანდი“, როცა ყველამ მითხრა ვარი.

ჰეი, ახალგაზრდავ გაიგე, რაც ამოდენა გითხარი,
ტყუილს კი არ გეუბნები, ან არ გეგონოს სიზმარი.
თუ იმას გაიმეორებ რაც ზემოთ ჩემზე გითხარი,
შენი სიცოცხლის ცხოვრების დადგება შავი საყდარი.

ახალგაზრდობა ერთია, აბა მეორე სად არი,
ის გამოიყენე მაშინ, როდესაც ხარ ჯანმაგარი.
სიცოცხლეში სწავლულის და ბრძენის იყავ მეგობარი,
რომ მოხუცდები ხელფარად სახელი გყოფნის მედგარი.

1982 წ.

45. ლამაზის ცდუნება

ლამაზი თვალსა ახარებს თუნდაც უბრალო ყვავილი,
მაგრამ თავს რომ მოუაროს არც ისე არის ადვილი.
პატრონი თუ ძლიერი ჰყავს ვით ამოწვდილი მახვილი,
ლამაზსა და მის ღირსებას ვერვინ მიაყენოს ჩრდილი.

ამბობენ ვარდი იმიტომ ეკლით ყოფილა დაცული,
რომ პოროტ ხელმა არ ახლოს, ვერ მიუწვდეს ავი სული.
მაშინ დაბერდება თურმე ვარდის წმინდა ნორჩი გული,
როდესაც უმეთვალყურეოდ ღობეზეა გაშვებული...

1982 წ.

46. ჩემო სამშობლოვ, საქართველოვ

შენი ვარ ჩემო სამშობლოვ, ჩაუქრობელო ცისკარო,
მე სხვა არავინაც მიყვარს, ან ვინ უნდა შევიყვარო.

შენ მახატიხარ გულზედა, შენა ხარ ჩემი ტაძარი,
მიჯობს, რომ შენთვის ვიწვოდე, ვიფერფლო, როგორც ნაცარი.

მე შენთვის გული მიხარის, არ მიკვნესის ვით მანამდე,
უდღეური ხომ არა ვარ, რომ არ გადიდებდე ცამდე.

შენ იყავ, მხოლოდ დღეგრძელი, დიად სახელით განთქმული,
იხარე და გაიხარებ, ჩემი ლოცვით კურთხეული.

შენი ქება-დიდებისა აღარ არსებობს საზღვარი,
დღეს ტკბილად გალაღებულხარ, ოდესღაც გულგანაწყრი.

მე შენი საიდუმლება ვიცოდე, სხვას არ ვენდობი,
ვინ შენს ტკბილ ენას ერჩოლოს, მოსისხლედ შევებრძოლები.

მცხუნვარე მზიან ამინდში შევება ხარ ჩემი, საფარი,
ბევრს არა გთხოვ, ისიც მყოფნის მე შენგან მცირე ნამცხვარი.

შენს იქით ჩემო ძვირფასო სხვა არაფერი მბადია,
რომ მაგონდები, წამდაწამ გულს მეფინება ვარდია.

არ დაგტოვებ არა დროსა, თუ ბედმა არ გამაქარვა,
ყოველ ამინდში შენთან ვარ, ვით ლამაზის ყელზე ქარვა.

შენ დაგნათის მზის სხივები, დარდნატარო, უდარდელო,
იზრდება შენი მამული, უძველესი საქართველო.

შენი ერთგულების ერთად ასჯერ მითქვამს სადღეგრძელო, —
ღვინით არა, შენი ეშხით ვთვრები ჩემო საყვარელო.

ჩემსა მამა-პაპეულსა შენთვის ცრემლი უდენია,
ეხლა კი ყოველ ღვინოზე სადღეგრძელონი შენია.

შენდა საავოდ თუ ოდეს ვისმინო საყვირ-ნიშანი,
წამშივე მოგეშველები, არ დამჭირდება შიშმანი.

არ შეიძლება გელოდეს დარი ოდნავ ღრუბლიანი,
მარადიულად ბრწყინვალებს შენი დღე ნათელ-მზიანი.

ცა-ლაჟვარდ გადაწმენდილი, ბიბინებს შენი ველები,
ზღვა ლურჯი, შენი კოლხისა შენს ხმელზე მონასალმები.

ეს მერამოდენჯერია გიმღერი ნაირ ჰანგებზე,
სამშობლოვ, ჩემო სამშობლოვ, მკვდარიც ვიმღერ შენს სახელზე.

1983. 15. 4

47. ვილაპარაკოთ მართალი

სჯობს, უაზრო თხზულებასა, ვილაპარაკოთ მართალი.
ტყუილია აღმა დენა,—დაღმა ედინება წყალი!
არ დაშვენის — სჩადიოდეს კაცის მაგივრობას ქალი,
ათას ტყუილსა სჯობია ერთი უბრალო მართალი.

აწ დავიწყე სიმართლის თქმა ჭკვიერთათვის მოსასმენი,
მაინც რომ ვერ მიხვდებიან უგნურნი და უჭკუონი!
თუმცა ჭკვიერს რაღათ უნდა ჭკვის სწავლება მოსალხენი,
მაგრამ ჭკუას ჭკვა შეჰმატო, იქნებ გამოგივა ბრძენი.

მოვიგონოთ წინაპართა ჩვენი კეთილ-მოღვაწენი!
ისეც ვამრავლოთ, ვადიდოთ მომავალი მემკვიდრენი!
ნუ შეგვაშინებს ოჯახის, თითქოსდა მეტი სარჩენი,
ყველა თავის ბედს მონახავს, ჩვენ არ დავრჩებით ნაწყენი!

ავსა ავი დაუძახე, თუ მიგიძღვის გული წრფელი!
პირიქით არ წააქეზო, თვით თუ არ ხარ ავის მქნელი?
კეთილს მოუწონე მისი ღვაწლი, კეთილ საქციელი,—
ეშმარიტად, ბრძენ-კაცობის შენ დაგრჩება სარბიელი!

მეტისმეტად საშიშია კაცი, ბოროტის მფარველი,
ავ გზით მიმავალ-მომავალს, თუ რომ იქნები შემშლელი,
კაცურ-კაცს დაგიძახებენ. სხვა სიმდიდრეს რაღას ელი!
სიკეთე წაღმა დათესე, დაგმე უკუღმა მთესველი!

არ ვარგა კაცი მასაში, ვით მართალ სიტყვის მხვდალია,
ისედაც ფუჭი ფრაზებით მოლაყბე, მაწანწალია,
მატყუარას, ტყვილისათვის ყოველ ნაბიჯზე სცალია
ისე, როგორც კეთილ კაცის კეთილი სიტყვა ვალია.

რა ვაჟკაცობა გგონია, მტერს რომ უსაფრდები გზასა!
ხელ-ტარიელ უიარაღოს ქვას დაუშენ ან ისარსა, —
ვარეს სირცხვილს ვერ მოიმკი, ჯარშიც ვერ გამოყოფ თავსა!
მტერს პირისპირ შეხვდებიან და ასეც იხდიან ვალსა.

ავი კაცის ავს ვინ მოთვლის, გარდა კაცი დიდი ბრძენი,
ავს, სიავე ისე უყვარს, ვით მორთმეულ ოქროს ძღვენი,
ის, სიავეს არ მოიშლის, თუნდ აგემო შხამის წვენი,
თუ ერთი მართალი წაცდა, მთელი დღეა განაწყენი.

ზოგჯერ სიმართლეს ივიწყებს სათავეში სამართალი
და უსამართლოდ ისჯება კაცი სრულიად მართალი,
აქ ტყუილს ერწმუნებიან, კვლავაც ბოროტ კაცს აქ ბრალი,
მართალს პირში წაუდგება, ვით ბოროტი ენა-მწყრალი.

გვაროვნობით ან ქონებით კაცის დაწინაურება
სოფელს ისე დააყენებს, მოხდება გაღარიბება,
თუმცა მისი არსებობის იმ დროს ვადა შემცირდება,
მაგრამ მანამ ჯამაეთის იქ ცხოვრება დაკნინდება.

კაცსა გამოაჩენს, მხოლოდ პირადი დამსახურება,
სჯობს შინაგანი თვისება კაცის, ვიდრე გარეგნობა,
თუმცა უნდა უმართლებდეს ორივე მხრივ კეთილნება,
ბოროტ სიმდიდრეს გერჩიოს, კეთილ ნების ღარიბობა.

გაკიცხე გაუმაძღრობა, სიხარბე, შურიანობა, —
კაცში ვარესი არ არის ამის უფრო მანკირება.
კაცსა ცბიერსა, თაღლითსა ბოლომდე როდი შერჩება
ძალადობით შეძენილი დიდკაცობა და ღირსება!

ნუ გაუგრძელებ მოსწავლეს, სწავლასა, თუ ხარ სწავლული,
ცოტ-ცოტა სწავლით მოსწავლის, სწავლაა უფრო ადვილი,

ისწავლოს, კიდეც დროულად მსუყედ მიირთვას სადილი,
ისეც დროდადრო თამაში, დროზეც ეპატიოს ძილი.

მოსწავლეს პატრონი უნდა, სხვა გზით ის ვერას გახდება,
უსწავლი, უცოდინარი კაცი ვერსად გამოდგება,
სწავლა მყარია კაცში და განძი კი გადასხვისდება,
ყველაფერიც რომ დაკარგო, სწავლა არ დაიკარგება.

კაცსა სწავლა, უფრო მეტად იმ დროზე გამოადგება, —
უცხო ქვეყნად, უთვისტომოდ, თუ რომ გადაიხვეწება,
ისეთსავე დროს უსწავლი სხვა ვერაფერსა გახდება,
გარდა, სხვისი მსახური და მონა-მორჩილი დარჩება.

სწავლაშია დაგროვილი ბევრი საიდუმლოება;
სხვადასხვაა სიბრძნე მისი თუმცა რთულია გაგება
ზოგმა, თურმე იცის სწავლის ბოროტად გამოყენება,
ასეთ სწავლულს, ადრეა თუ გვიან, ბოლო მოეღება.

ფუფუნებით და განცხრომით ყმაწვილს მიადგება ვნება,
ზნეობრივად მახინჯდება, დაუკნინდება გონება,
უქნარობა გაიტაცებს, შრომა-გარჯა შესძულდება,
თუ აკლებ წინამძღვარობას, მოზარდი ვერ გაიზრდება.

დაგმე, ერთთავად — სულმოკლე, მხდალი, ღალატი, ორპირი!
მყის მიეშველე სამშობლოს, ოდეს თუ დაადგეს ჭირი!
ვაჟკაცსა ვერ შეაშინებს, ვერც ვერა დროს გასაჭირი, —
გმირის სახელსა არ დათმობს, თუნდ აჩუქო ცის გამზირი.

რა განსაცდელსაც შეემთხვა, არ შეცვალო დანაპირი!
განძეულობის ცდუნებით არ დარჩე თავგანაწირი!
რომ გუშინდელი ვმირობის, დღეს არ გაგიშავდეს პირი!
არ დაიძინო უცნობთან, სულაც მცირე ერთი პირი!

48. წარმავალია ყოველი

წარმავალია ყოველი
თუმც მოსაჩვენად ბრწყინდება,
სოფელი ჩვენი, ხან ბრწყინავს,
ხან მოულოდნელ ბინდდება.
ას წლოვან სიცოცხლე, მაინც
ჩიტივით გაგვიფრინდება,
მერე განაწყენ ოჯახში
ვარდებიც აყვავილდება.

49. გვიანი სინანული

დავბერდი, დახავსებულსა წარსული რაღას მარგია,
სად წავიღო ჩემი ნეშტი, ჩემი ზედმეტი ბარგია.
სად მივებარო არ ვიცი, ჩემთვის არც ერთი ვარგია,
ვერასდროს ვერ გავარჩიე მე ჩემი ავი კარგია.

ყრმობის ჟამს ავარობაში დრონი ფუჭად გავატარე,
ჰკუა, სხვისტოლა მეც მქონდა, რატომღაც ვერ მოვიხმარე.
სხვათა ნაკლები არ მქონდა ცხოვრების საყრდენი არე,
მეც სხვასავით მაშუქებდა ცა, ვარსკვლავნი, მზე და მთვარე.

თვისტომს ისე გავეთიშე, ახლოსაც არ გავეკარე,
წაღმა-უკუღმართობაში ბოროტი გზა დავამყარე.
საკეთილდღეო ერთიც კი ვერაფერი გავატარე,
ყოველ კეთილს გავეთიშე, ვერაფერში გავიხარე.

ისე ვერანად ქცეული ოჯახი სულ გავიმწარე,
თუ სადმე ჰტერი გამაჩნდა ჩემი ქცევით გავახარე.
რაც ბოროტი გზები იყო, სუყველა ჩამოვიარე,
ასე, რამდენი დრო დავყე, ვერც ერთხელ ვერ გავიხარე.

არც იყო გაუგებარი ჩემთვის ეს უცნაურობა,
ვგრძნობდი და ვერ მოვიშალე, მე ეს ჩემი უგნურობა.

თურმე შეუძლებელია შეჩვეულ ჭირის დათმობა,
მაგრამ ამბობენ,—შეუძლო არაფერიც არ იქნება.

ამბობენ,—ტკბილი ყოფილა თურმე ბავშვობის დროება,
მაგრამ ამას ვერ შეიძლებს უთვალო-უპატრონობა.
ჭკვიანს უჯკუოდ მოაქცევს ყრმას უზედამხედველობა.
თვინიერ მტრედსაც დაკარგავს ხანგრძლივი უპატრონობა.

კაცის სიცოცხლე-ცხოვრება ასეც და ისეც ერთია,
ასზე მეტიც რომ გალიო, არც კი ღირს წუთზე მეტია.
ბოლოს მიწას უბრუნდება „მიწისვე მონაწყვეტია“,
ერთი ადლიღა შერჩება მიწის მცირე ნაკვეთია.

საკუთარ თავის ორგული სხვა არ იქნება და არა,
გარდა იმ ბებერ კაცისა, ვინც ეს ლექსი დაიბარა,
თვისი თავგადასავალი, ჭირ-ვარამი არ დაფარა,
ახლა წარსულს ინანიებს, თუმცა არაფრად არ კმარა.

მაშინ ბრძენმა თვის მუზიკა დაჰკრა საამურ ხმიანი,
მაგრამ იმ ბებერისათვის გამოდგა მეტი გვიანი.
თუმც მოისმინა, ამაოდ..., არც მარგი და არც ზიანი,
მოისმინა და სინანულს თავი მიუგო გვიანი...

„ცხოვრებას ჰკუით დაუხვდი, გონს მოდი, იყავ ჭკვიანი,
ზერელედ ნუ იხედები, უგზო გახადე გზიანი.
ზღვასა ჰგავს ჩვენი ცხოვრება და რომ არ შეგხვდეს ზიანი,
უტყუარ გემი ააგე და გაღმა გახვალ სგიანი.“

ნუ მიენდობი საწუთროს ალალი გულის ამარი,
ერთი თვალთმაქცი ვინმეა. ჩუმი, მზაკვარი რამ არი.
მისი სიკეთე წუთია, სიავე არაფრის დარი, —
მოუფრთხილდი, არ გაბრიყვდე, მტკიცედ შეიკარ ქამარი.

60. შენ ჩემო ციცაქალაო

შენ, ჩემო ციცაქალაო, ეგ სილამაზე რად გინდა,
რას ინახავ, ვის უნახავ, თუ სიტკბოება არ გინდა.

ჩემს გულს მჭრელად შენი ტრფობის გამჭრიახი ხმალი უნდა,
შენთან ხლება რომ მწყურია, თუმცა მე ეს ფარვით მინდა.

ღამე, ბნელში გავინათო, შენი თვალის ბრწყინვა მინდა,
ციცას ლოყა—სილამაზეს შენი გიშრის ხალი უნდა.

შენი შაქრის ბაგენებსა ჩვილისავით წუწნა უნდა,
იმავ შაქრის დასადნობად ყვითელ ერბოს ალი უნდა.

წითელ ღვინოს ფერი გიგავს, მისი ნახვა ახლოს მინდა,
შენი ხელით ჩამომისხი ქარვის ღვინო, მე ის მინდა.

შენი ნაწნავები თმისა ყელზე შეხვეს-პარვით მინდა,
მე შენზე სამსახური და მიჯნურობა ფარვით მინდა.

მე რომ შენი მონა ვიყო, ჩემის გარდა სხვა ნუ გინდა,
მე შენი და შენ კი ჩემი, ჩვენ სხვა მონა არვინ გვინდა.

შენი სილამაზის დარი ვერვინ ვნახე, არც არ არი,
აბა შენ ვინ შეგედრება, მზესთან ყველა ჩრდილი არი.

უშენობით ჩემი ხვედრი სხვა არა, სიკვდილი არი,
აბა უშენოდ სიცოცხლე ჩემთვის არაფერი არი.

ხომ იცი სიკვდილ-სიცოცხლე განუყრელი წყვილი არი,—
ორივე, შენი და ჩემი ერთ დროსაც უცილო არი.

ერთხელ მაინც შენ თუ ჩემთან უძილოდ იქნები წუნარი,
ის ღამე არ დაბნელდება და არც კი მოიქრის ქარი.

ორ მიჯნურს შორის აღძრული სიტკბოება სადაც არი,
იქ ერთ საათში დადნება ერთი აქლემი შაქარი.

მე რაც მინდა, შენ ის მეტი ვინდა, თუმცა ნუ იჩქარი,
სიცოცხლის მოგვემატება წელი ასი უტყუარი.

51. მემედის მინაწერი მამის-აქიფისადმი

ჩვენო დიდო ხუთის მამავ, რომ კალამით დაგამშვენოთ,
დიდებით ქება გეკუთვნის და მოლოცვა საჯამთელო.
ყოველ კუთხეში გიცნობენ, მოღვაწე ხარ ძველთაძველო,
ვინც აქიფი შენ დაგათქვა მისი ხსოვნის დამამშვენო.

ხალხური შემოქმედებით სულს იტკბობდი მუდამ შენო,
ძველთაძველიდან ქართული—ჩონგური გვასწავლე ჩვენო.
ხორუმით გისწორებია ჩვენი მთები, ჩვენი მდელო,
ხალხურ სიმღერებით გიცნობს და ჩონგურით საქართველო.

დღეს კი მოხუცდი ტკბილადა, კერასთან ზიხარ ერთგული,
რაც მოინდომე—შესრულდა, ფიცი შესძელი ქართული.
ჭკვიერი გაქვს ლაპარაკი, სიტყვა — გათლილი, ქართული,
მომავალზე კარგად ფიქრობ, არ გავიწყდება წარსული.

ამ წყობასაც კარგად უწყობ, კანონი გიყვარს ერთგული,
მოღალატე ზიზღითა გძულს, გიყვარს სიმართლე ქებული.
მუდამ მოწინავეობით გიტარებია წარსული,
თუ დაგჭირდა—არ შერცხვები, მტერთან შეგიძლია მტრული.

ახალაზრდობით გიყვარდა ჩაროღზე ხელი ჩართული,
პრისტავი ჟღენტის დაჭრაზე იმ დროს იყავი დევნილი.
გორში, ამილახვარისას იყავ თავშეფარებული,
გვერდში გახლდა კერკენჭია და შევარდნაძე ქებული.[3]

საპყრობილე განიცადე იმდროინდელი, წყეული,
ბევრჯერ იგემე წყვდიადი შენ, ბოლოს განათებული.
ხიდუხჭირე აიტანე, სიამით დამთავრებული,
ყველა სიძნელე დაძლიე, გამოხველ გამარჯვებული.

---

[3] იგულისხმება ნიკიფორე კერკენჭია და დათიკო შევარდნაძე—ცნობილი გურული ფირალები. აქიფი ყაჩაღად ყოფილა გახული. ერთხელ ტყეში მძინარეს პრისტავი წახდომია თავზე ჩაფრებითურთ. აქიფს პრისტავი დაუჭრია, მდევრებს დასხლტომია და გურულ ყაჩაღებს შევრთებია. პრისტავი რომ გარდაცვლილა, აქიფი უკან დაბრუნებულა, მაგრამ ამ ურჩობისათვის იგი რამდენიმე წელს საპყრობილეში გამოუმწყვდეიათ.

შენი განთქმული სახელით შვილებიც გავხდით ცნობილი,
ყველა ასეა, ვისაც ყავს კარგი გამზრდელი, მშობელი.
რით შევძლოთ შენზე პატივი, ვადიდოთ შენი სახელი,
მორჩილად პატივს გცემენ ყველანი შენი მცნობელი.

ეს ლექსი რომ გითავაზო, ამით არ ვიქნები ყმედი,
მამა ხარ ახლოს ოთხისა, ერთმა ზღვისპირეთს წაუედი.
ადამიანს წინ მიუძღვის სამოქმედოდ მისი ბედი,
მაგრამ თვით თუ არ მონახე, არას მოგცემს უქმად ღმერთი.

მუდმივად ვარ ზღვისპირელი ქობულეთში გადაუედი,
ასეთი გზით მოვიქეცი, თქვენს შორის მაქვს დიდი ქედი.
მაგრამ საძრახი არა მაქვს, და არც საქებარი მეტი,
ახალ ცხოვრებას შეუდექ, მე შენი შვილი—მემედი.

სალამი ბიძაშვილებსა და მოკითხვა საესავი,
ნათესავ-მოყვარ-მეზობლებს, ვისაც ახსოვს ჩემი თავი.
მგონი არავისთვის ვიყავ საზარელი, ცუდი, ავი,
უსაფუძვლოდ ვინც მიძულოს, მას წაიღებს ქარ-ნიავი.

ხასან და ნური,[9] ისმინეთ ჩვენი მამის ქება ზღვაი,
თქვენგან მის პატივისცემას გულისხმობდეს ყველა სხვაი.
თოფიავ, შენი ჩონგურით გაადიდე მამის ხმაი,
დაამღერე გათლილი ხმით, მაშ გავალებს შენი ძმაი.

ხვ. (ქაცის და ბედის გაბაასება)

ქაცი — ბედო, რად მარგუნე ასე, რომ გამიღე ფაცხის კარი,
ერთხელ გარეთ გამოვიდე, გთხოვე და მითხარი ვარი
არც მომკალ, არც მომარჩინე, შემილახე წმინდა გვარი,
ისედაც დამიჯაბნიე, როგორც საყასბოში ცხვარი.

[9] ძმები.

ბედი — ბედი ვარ შენთან მოვედი, რომ გავიყო შენი ჯავრი,
თუ არ გნებავდი იმთავით რომ შემოგეთვალა ვარი.
არც კი გაგეკარებოდი, თუნდაც დაგეწერა ჯვარი,
ბედს რომ კაცი ვერ მოიხმარს, პირზე მოიხუროს ჩვარი.

კაცი — ბედო, სხვებისთვის მეფე ხარ, მე კი მაწამებ რისთვისა,
მე ისიც მყოფნის, უცეცხლოდ რომ ვიწვები თავისთვისა.
ვდნებივარ, როგორც სანთელი, შენ არაფერი გესმისა,
სითბოში ვარ, მაინც მყინავს, სხივი არ მაღირსე მზისა.

ბედი — ბედი ვარ, ნუ მემდურები, შენთან ყოფნა არც კი ღირსა,
თავისთავსა თვით აწამებ, დააბრალო გინდა სხვასა.
რაც თავსა დაეშსახურე, სამაგიერო გეღირსა,
მეტი მე აღარ მახსენო, ნუღარ გაიფუჭებ პირსა.

კაცი — ბედო სახელი ორი გაქ, ხან თეთრი ხარ, ზოგჯერ შავი,
სხვასთან ყოველთვის თეთრი ხარ, ჩემთან მუდამ შავზე-შავი.
მე ძველი ქურჭი ჩამაცვი, სხვა კი ყველას ლომის ტყავი,
რისთვის მერჩი რომ გამყინე და გამიჩინე წელკავი.

ბედი — ბედს ნუ მაბრალებ, იცოდე, თვით ხარ თავის დამნაშავე,
როცა მე შენთან მოვედი, რად ვერ შეიკავე თავი.
ვერ ვომიარე პატივით და მე კი დამარქვი შავი,
შენ თვითონ ვერ გამოიცან ეტლი იყო ის თუ ნავი.

კაცი — ბედო, სავაჭროდ წავედი. ძაღლი ვიყიდე ბაზარში,
შენ ხომ იქ თან მეახელი, ჭკუა არ ჩამიდე თავში.
რად არ მითხარი ერთიც კი წაგებული ვიყავ ზარში,
მთისაკენ რომ გამიპირდი, მე კი მივდიოდი ბარში.

ბედი — ბედმა მე შენ როდის გითხარ, წასულიყავი ბაზარში,
ან ღმერთმა ჭკუა რომ მოგცა, მასთან მხედველობა თვალში,
ძაღლის მეტი ვერ იყიდე იმხელა ქვეყნის ბაზარში.
ახლა მე რაღას მაბრალებ შენ თუ ჭკუა არ გაქ თავში.

1984 წ.

53. პირველი გაბაასება სახალხო მთქმელ მემედ ჭათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძისა

ემენი — მემედ-ბატონო, იცოცხლე, შენი სიტყვით და კალამით,
თოფიას ძმა ხარ, უფროსი, ზრდილობით გვმართებს სალამი.
თვითონ მელექსე ბრძანდები, არც შენ გაკლია სახელი,
ლექსი ვთქვათ, პირი გავიხსნათ, დაგვიმახსოვრებს მნახველი.
კარგს მეტყვი, კარგს დაგიბრუნებ, არც მე ვიქნები მძრახველი.

მემედი — ახალგაზრდა, მომავალი მგოსანი ხარ აჭარისა,
ჩემი ბაასი შენდამი ნაკურთხი კალამ-წვერისა.
მიხარია პოეტი ხარ შენ ჩვენი მომავლებისა,
ემენ აჭარის იაილაღებს მადლი შენი მგზავრობისა.
გეკუთვნოდა მაგრამ ახლა უკეთესი ვეღარ გითხარ,
ვიცი და სხვებიც გიცნობენ მაღლა ფონზე ნაკითხი ხარ.
ყოლგან თოფიას იგონებ, იმიტომ საყვარელი ხარ,
და უფრო მეტად იმიტომ, — ჭვანელების სიძე რომ ხარ.

ემენი — მემედ-ბატონო, დიდია სიძობა თქვენი გვარისა,
იქნება ბევრიც არ ვიყო დამავსობელი თვალისა.
ძნელია სიძე-კაცებზე უზომოდ შეყრა ლალისა,
ხომ იცი, ადრე შეცდება თვალი გასათხოვ ქალისა...
მაგრამ რაც ქება მითხარი, დახარჯე ენა მქარგავი,
ძვირფასი არის და ამით არ არის დასაკარგავი.
სიბრძნის ასაკში ბრძანდები, მწიფეა შენი სამკალი,
ნუ შეგაშინებს ხანდახან ოქრო-თითების კანკალი.
სიტყვაულევი ბრძანდები, არ დაგიბერდეს ფანქარი,
ამბობენ გვიან მოისხამს გემრიელ ნაყოფს ნარგავი.

მემედი — მრავალ სათრიში შეგმოსე, სიტყვები გითხარ ხმოვანი,
ახალგაზრდა მგოსანი ხარ, ერთ დროს იქნები მხცოვანი.
ისე მომწონდა ლექსები, შენი ნაწერი, შნოვანი,
არცერთზე არ შემიძლია სიტყვა რომ დავძრა გმოვანი.
თუმცა ახალთან შევყარე ჩემი კალამი წლოვანი,
ვატყობ, ის ბოლოს მაჯობებს, თუმცა ეხლა უწლოვანი.

შენმა კალამმა დაჩრდილოს ნაცნობი თუ უცნოვანი,
ამის უკეთესს გისურვებ, სამოცდაათის მხცოვანი.

ემენი — ძმ̇ედ-ბატონო, შევიტყვე, წლები გადარდებს ტიალი,
რა ვუყოთ თუა ამგვარი წუთისოფლისა ტრიალი.
ზარბაზნის ქუხილს უკუყრის უბრალო თარის წკრიალი,
მგოსანს ასაკი რას გიზამს გული თუ გერჩის მთლიანი!
ეგ დასტურია, სხვა არის ცეცხლი ჭაბუკურ ხანისა,
მაგრამ ისიც ხომ ბრძენს უთქვამს, რქა ხნავს ხნოვანი ხარისა.
თქვენსობას გამიგონია და ვერ გამკიცხავ მაგიზა,
სახნისს აბედი უშველის, მიწა თუ შეხვდა ალიზა.
ბრძენთან შეგირდი მოვედი, გკითხე მთისა და ბარისა,
შებმას რარიგად შეგაძლებ, ჩინი ხარ ორთავ თვალისა.
ლექსს მიჭებ რკინა არისო, შენიც ხომ დახვდა რვალისა,
მელექსეს ლექსი მოჰკითხე, გლეხკაცს ნაპირი ყანისა.

მემედი — ლამაზი ლამაზს არასდროს არ მოარიდებს კოცნასა,
აფორიზმებით ველოდი შენგან სიტყვების ტყორცნასა.
ამას თუ დამიმტკიცებდი, არ მოგაკლებდი ლოცვასა,
ტყუილად ხომ არ ვაქებდი შენი კალამის ცოცვასა.
დღეს რომ მთებსა მოევლინე და ინახულე დიდვაკე,
ლექსების წერით თანდათან ვნახე, რომ წაიაკაკე,
ქართული პოეზიისთვის გული სიკეთით მოსარკე,
ბოროტს ბოროტი უჩვენე, კეთილიც რიგზე მოჭარგე.
მძულს ვისაც იგი სწყენია, ძლევა სხვას ერგოს, არ მასა,
ლელო შენ დაგრჩა შვილის ტოლს, განა რამ გამაალმასა.
ისიც მშობლისა არაა რაც შვილმა გაიმამაცა,
ასე ურჩევნის მამულსაც, რომ შვილი სჯობდეს მამასა!

ემენი — მადლობელი ვარ რაც მიწა ჩემთვის ლექსებად მონამე,
გული არ დამიბერდება ამ სიხარულის მოამე.
შენ ნავარდობდე შორი-შორ, მე ახლოს ვიყო მოალმე,
იხარე, მრავალჟამიერ, მეფე შენ იყავ, მონა მე.

გომის მთა, თაგინური,
1975 წელი, ივლისი.

გაბაასებას ესწრებოდა ექსპედიციის წევრი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ვარლამ მაცაბერიძე.

64. მეორე გაგაასეგა სახალხო მთქმელ მემედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძისა

მემედი—ჟურნალ „ჰოროხში“* ლექსები ჰოროხივით რომ დაღვარე,
სიბრძნის სვეტები ჩაუშვი, ჯებირები დაუმყარე,
მით შემოსე და შეკაზმე ჩვენი ზღვისპირეთის მხარე,
შვებაში გალაღებული შენი ხალხი გაახარე.

სხვაც ბევრი დაგიწერია, ავიკვლია არე-მარე,
მზე გასხივებს კალმის წვერზე, საწერზე დაგნათის მთვარე.
ჯერაც ახალბედამ მაინც ასე სწრაფად რად იჩქარე,
ძველ ქართველ მწერალთ წაჰბაძე, მათთანვე თავი დახარე.

ვშიშობ რომ არ გაითვალო, ვინმე ბოროტის თვალითა,
ან მოქიშპე არ გაგიჩნდეს, წვერწატეხილი კალმითა,
მაგრამ ვიმედობ, დახვდები, შენი წითელი ალმითა,
ბრძენი ბრძენობას არ დათმობს, კეთილს არ შეცელის ავითა...

ემენი — მემედ-ბატონო, ბრძენი ხარ, პასუხს გიბრუნებ არ გვიან,
ბრძენი ბრძნულ საქმეს მიწონებ, ლექსს მიქებ, ამბობ: კარგია.
სხვამ მითხრას ათიათასჯერ, მე თქვენი ერთიც მარგია,
შოთამ სთქვა, უწყით თქვენაცა, რომ ლექსი სიბრძნის დარგია.

არ მომწონს ჩემთა ტოლათა სიტყვის ძერა, კანტი-კუნტური,
უკუჰყვეს მღერა ქართული, სხვისი ირჩიეს ბეჟუტური.
მე ლექსი ვეფხისა მომწონს, სხვას ჰქონდეს მწევრის წკმუტუნი,
წესია: ვეფხი ვეფხობდეს, კატას ხმა ჰქონდეს კნუტური.

მწერ, რომე არ გავითვალო, უცაბედ, ავის თვალითა,
ვეფხი კნუტების ლაშქარში იცნობა ტორით, ცალითა.
სხვაფრივ კი, ძალუმ კარგად ვარ, ღვთისა და მიწის ძალითა,
ვცხოვრობ კახაბერს დღეტკბილად, თქვენგან შერთული ქალითა.

ღმერთმა ჯანმრთელად გამყოფოს, მტერი გუოლოდეს გლახადა,
თორე, ვინც მოკვდა, სამარეს თავი ჯერ ვერვინ ახადა.
სიკვდილიც ვერას წაგაკლებს, წახვალ სამოთხის ბაღადა,
ამ ქვეყნად ლექსი დაგრჩება, არწივებრ იფრენს ლაღადა.

---

* იმხანად ჟურნალ „ჰოროხში“ გამოქვეყნდა ე. დავითაძის ლექსების ციკლი „ორ-ჭიდეები“. 1979 წელი, 2 აპრილი.

55. სახალხო მთქმელ მემედ ძათაშაძისა და პოეტ ემენ დავითაძის მესამე გაბაასება

ემენი — მემედ-ბატონო, ჟამია, არ მინახიხარ თვალითა,
გულს მოენატრე საცქერლად, სული დაეძებს კვარითა.
შენი ბაასი მომწყურდა, ლექსის გალობა ქნარითა,
თქმა სათქმელისა მართლისა, სიბრძნის წკრიალი ღარითა.
ტკბილშაღარობას გილოცავ, ოთხმოცს მიმდგარხარ ხანითა,
რაც შვიდათეულს შეგკადრე, მოვთვალე, ათი გავიდა.
ათჯერ ათს კიდევ გისურვებ ნათელს შზითა და მთვარითა,
მასთანაც თამაშს კალამთან, გაუხუნარის მკლავითა.
გომის მთა, თაგინურობა კვლავ გევლოს მუხლით, ქარითა,
ბეშუმ-ბახმარო-კინტრიში, ვარჯანაული-ჭვანითა,
თუმც ზღვარი შენი შორია, ტოლ-ნადალობით, ცალითა,
ვერ შეგაშინოს სიბერემ, ვერ შეგაჯეროს ხანითა.
თქმულა: სიყვარულს ვერ გაჰყრი, ვერც მოიპოვებ ძალითა,
ღვიძლშიაც არ გამერჩევი, გლოცავ ცოცხალის თავითა.*

მემედი — ემენ, მე შენგან მივიღე ამხანად ერთი ბარათი,
ლექსი ლექსად წავიკითხე, დამატკბო, როგორც შარბათი.
მეტი ღრმად გააზრებული, როგორიც ბრძენთა ადათი,
სამაგიერო მოგწერე, პასუხი ლექსად დანართი.
ერთხელ მთაგინურის მთაში დამიწერია შენზედა,
იმდროისათვის კუთვნილი ლექსი არაერთ გვერდზედა.
და ეხლაც კი შევეცადე კვლავ განმეორებაზედა,
სხვაც კი ბერვი გამაჩნია იმის დამატებაზედა.
მაშინ მეტი ახალგაზრდა, ახალბედა იყავ ბარე,
შემდეგ სახელი გაითქვი, გიცნობს ჩვენი არე-მარე.
სხვა არაფერი იგონე, წიგნების წერას უჩქარე,
და ამ განხრითა, უთუოდ კიდეც სიბრძნე დაამყარე.
პირისპირ კაცის შექება მეტისმეტ მეთაკილება,
შენდამი მცირეც, პირიქით არაფრად მესაჭირება.
მაგრამ ღვაწლეული კაცის, არც ის არ დაიფარება,
„სხვისი სიკეთის დაფარვა კაცურ-კაცს დაეძრახება".
იტყვიან, სად ვერ შენიშნო თუნდაც პატარა ავია,

---

* ბ. ჭითამაძეს ოთხმოცი წლის მიჯნაზი.

იქ უსიტყვოდ დაამყარე საძმო, საშვილო ზავია.
არ იძმო, არ იმეგობრო, ვინც საეჭვო, საცავია,
მისმა განძებმა, სიმდიდრემ არ შეგიცდინოს თვალიაl
ვეძებე, შენში მენახა მაინც ცოტაოდ საუგი,
მის შემდეგ დრონი გავიდა, ვერ მოგინახე აუგი.
და უკეთ პირი ვიბრუნე, იქეთ შევაქციე ზურგი,
თუმცა ვერ მოგეფერები, რომ მაჩუქო ბათუმბურგი.
მზის გულში რა იფარება, კეთილია თუ აუგი,
იმას ვერც კი ის მიხვდება, გულთმისანი, თავმატურგი.
(სასწაულმოქმედი),
მაგრამ კაცმა გამოიცნას მზის დამწვარ-გადანაბუგი,
ის ჩაეთვლება სიბრძნეში, მასზე არ ითქმის აუგი...
გისურვებ წარმატებებს და წარჩინებას სახელისა,
არ შემშურდება, პირიქით დიდკაცობა მე შენისა.
თუმცა დიდმა წარჩინებამ თავბრუ დახვევა იცისა,
ამას შენგან არ მოველი, სიტყვა მიყვარს სიმართლისა.

ემენი — მემედ-ბატონო, ლექსს გიქებ, მომწონს იგავი გრეხილი,
საამო არის სურნელით, როგორც სამოთხის ხეხელი,
ჩემსას შარბათი შემირქვი, შენი სჯობს „ხარდლად“ წნეხილი,
გაქვს სიტყვა, როგორც ულვაში, ნამუსით გადაგრეხილი.
მივსდიე ლექსის ბილიკებს, მივყევ მიმნდობი გლეხივით,
სიბრძნე სიბრძნედ მივითვალე, გული ამევსო მე ლხინით.
მზის გამოცანას მივდექი, ხელში ვაბრუნე მეხივით,
ვცადე, არ მერგო, გიბრუნებ, მე ვერ შევიდგამ კეხივითl
ხელად არ მაქვს პირფერობა, ვერ ვერგები ვერვის ჩულქად,
ნურც შენ ფიქრობ შეგეკერო მგოსანს ტკბილი სიტყვის ქურქად.
ვერც გულს გატკენ კარგის მალვით, ჩამითვლიან უფრო ურგად,
სიტყვა შენი მოვეწონა, შემოკრული „ბათუმბურგად“l
მწერ თაფლმაო წყენაც იცის, ვინაც ჭამა იგი ზულფად,
შიგა და შიგ დოს ვურჩევდი, ვინც თავს დასდებს დასაღუპად.
სხვაფრივ მენდე, ბრძენო სიბრძნეს არ დაგიღვრი სადმე წუმპად,
რასაც ტოვებ შენი არის, სანთლად წაგადგება სულ მთლად.
ლექსს გიგზავნი სასიკეთოდ, მოგეფეროს ენად ტურფად,
პასუხს თუ არ დამზარდები, გამინასკვე გნებავს ყულფად...

მებედი — ჯერ ცოცხალი ვარ, თუმცა-და ავადმყოფი სარეცელზე,
ზღვაში არ გადავეშვები, ქვაც რომ კი მომაბან წელზე.
გახსოვს მე და შენის ძველი მომოწერა მაღალ სერზე,
მე იქ ველარ გეახლები, დაგილოცე შენს სახელზე.
მაშინ ხომ დამიწერია შენზე მრავალი წერილი,
იმ დროს არ იყავ, არც ახლა მეკულები თავდახრილი.
მაშინ იყავი და ახლაც მტკიცედ ხარ კალამ-მახვილი,
და გისურვებ განაგრძობდეს შენს ხელობას შენი შვილი.
არც გყავს, არც არ გეყოლება გარდა მოყვარისა, მტერი,
ვით ჰუმანურს, კაცთმოყვარეს მეხოტბე ყავს ბლომად ბევრი.
ის დასი არ დაიშლება სადაც შენ იქნები წევრი,
ვიცი ქედს არ აგიმაღლებს დიდკაცობის კარიერი.

ემენი—ბრძენო, რად უფრთხი სარეცელს, ლექსს რად დაეტყო ბზარია,
რად მოწყინე ვარდები, რად დაამწუხრე ზვარია.
სიბერე ვერას დაგაკლებს, მარჯვედ შემოჰკარ ზარია,
გაქვს სიბრძნედ შეკრული უკუდავებასთან ზავია.
მუხლს რად ეშდური მგოსანო, ნიავს რად უფრთხი ქარია,
სევდა უკუჰყავ. მთებისკენ ლექსი შეკაზე ჩქარია.
ათს მირჩევნიხარ ცოცხალ ყვავს ერთი ბულბული, მკვდარია,
მკოსნის სიკვდილი ვინა თქვა, მწუხრს ჩაურაზე კარია!
მრავალ წელს, მრავალჟამიერ, მხიარა და სიბრძნის მრავლობა,
რაც მითხარ ფასად ძვირია. ცოტაა ჯილდოდ მადლობა.
არც პირფერობით. არც ქებით არ მინდა გიყო წვალობა,
ბედნიერი ვარ, მე მერგო შენი პირველი ნათლობა.
ერთს გეტყვი, თუმცა არ უყვარს ლექსს ცილობა და მამლობა,
აქიფის მომწონს შაირი. ლექსის სიძველე-ლალობა.
თოფია ლირიკოსია. ბულბულს მიუყვას გალობა,
შენი კა სიბრძნე ქებულა. ზედ ლექსის მუსიკალობა.
თუმც სამივენი ძვირნი ხართ, მწვამს ლექსად საკვებ-სანთლობა,
ნუ მიწყენს თოფიას სული. შენია გვარში სარდლობა.
ნუ დაგამწუხრებს ამიტომ მიჯნა-დალმართში მავლობა,
ვაშა, მგოსანო, იცოცხლებ, დაგლოცავს შთამომავლობა.

1984 წელი, 16 თებერვალი

ნი. ბეროთხე გაბაასება სახალხო მთქმელ მემედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძისა

პატივცემულ ემენ დავითაძეს...

ხშირ მაგონდება, პოეტო, ემენ, მე შენი სახელი!
ჩემს მხცოვან გულსა უყვარხარ, ვით ახალგაზრდა ჯეელი...
და ვით მწერალი, სხვადასხვა ეპიზოდებისა მთქმელი;
მიტომაც გებაასები მე, ხალხური ავტორ-მთქმელი.

თუმცა არ გამვიწყებია ის ჩვენი მიმოწერები, —
გაბაასება გომისმთის, მთაგინურის შეხვედრები;
ეხლაც რომ გავიმეოროთ, ვის ეხარჯება სახსრები!
„გული გულს არ გაივიწყებს, თუ კარგია მეგობრები“.

ეხლა, მინდა შეგახსენო ის პატარა საუბარი,
როდესაც მე ჩაგაბარე ლექსების ერთი თაკარი,
და საგანჯებო კრებულში, რომ დაგეთმო ერთი კარი,
შეპირებაც გვანუგეშე, ჯერჯერობით არ ჩანს ვარი.

„ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო“, ის თქვენი წიგნის ნიმუში...
მეტი პოპულარულია, ჟღერის, მღერის ხალხის გულში,
მაგრამ ტირაჟის სიმცირემ თქვენ მიგაგო საყვედურში...
ანალოგიურს თქვენგანვე ხალხი ითხოვს ამ ზაფხულში.

პასუხი სახალხო მგოსანს, მამია ჭვანელს

შენი გალობა ვისმენე, ჩემო სახალხო ბულბულო,
დასტურ არ გამხარებოდა, ქვა ხომ არ ვიყავ, უგულო?
მწერ: „მხცოვან გულსო უყვარხარ“, — გმადლობ თუ მართალს გუგუნოს,
შენ ბერო ლექსის ბუხარო, ლექსებით გადაბუგულო.

ვიცი, გიყვარს მშობლიური გომის მთა და მთაგინური,
გიყვარს მიწა აჭარისა,—ლექსის შენის ძუძუ-ცური.
კვლავ შაირი მოიწყურვე, და ჯენგობის[1] ტონი ძმური,
ლექსი როგორ დავუყენო ჩემი, შენსას, უსუსური?!

---

[1] ჯენგობა, გაჯენგება — გაშაირება, ლექსში გაჯიბრებას ნიშნავს ჭვანის ხეობაში.

ახლა თურმის ჯავრად გახმობს ლექსი ნაღვაწ-ნამღერალი,
რაც დატოვე შინ მინთია, მოგუზგუზე, როგორც კვარი.
შენი ლექსი მქუხარეა, ვით ანკარა ჭვანის წყალი,
დღეს თუ არა, ხვალ დავლეკდავ, ნუ გამკიცხავ მაგით მწყრალი.

მწერ, რომ ჩემი მონათლული,—შენთა ლექსთა ოქრო-ბწკარი
წიგნი ხალხმა დაიტაცა, თაროს აღარ შერჩა ცალი.
აგიც მალე აყვავდება, ჯერ წინ არის მომავალი,
ამ ზაფხულის... როგორ გითხრა, ათას ზაფხულს მოესწარი...

ღმერთმა ჯან-ღონი გირჩინოს, გონება მოგცეს უჭკნობი,
სხვაფრივ მენდობი მგონია, არა ვარ შორი, უცნობი.
შემინდე, უქეიფოდ მყოფს, რითმს რითმზე ძლივას ვუწყობდი,
თორემ, გეტყოდი, იცოცხლე, პასუხს შენც კარგად უწყოდი...

ბათუმიდან,
ემენ დავითაძე.

57. „მცირე მოგონება"

ვფიქრობ, რატომ არ ვთხზავდი აქამდე, მაგრამ მიზეზსაც ვპოულობ ახალგაზრდობაში, საკმაო დროის განმავლობაში იშვიათად ვიტყოდი ლექსებს და ხალხურ შემოქმედებაში ვღებულობდი მონაწილეობას. ხულოში.

ცოტა ხნით ვხელმძღვანელობდი მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდს. 1931 წელში ხულოში მოევლინა თბილისის ენათმეცნიერების კათედრიდან წარმომადგენელი გრიგოლ კოკელაძე, შემდეგში ცნობილი კომპოზიტორი. მან იქ შეკრიბა ფოლკლორული ცნობები და შეამოწმა იქ ჩემი მოღვაწეობა... მოისმინა ჩემი ჩონგურზე დაკვრა და დამღერება; მოიწვია კრება და ამირჩიენ თბილისის ენათმეცნიერების კათედრის ხულოს რაიონული ჯგუფის ხელმძღვანელად. შემდეგ, სხვადასხვა სამსახურებრივ მდგომარეობის გამო ხალხურ შემოქმედების ამ დარგს მივანებე თავი და ძალზე გვიან მომიხდა მისი განახლება: 1972 წელში სოფელ დაკვაში (ქობულეთის რაიონი) მოევლინა ბათუმის კვლევითი ინსტიტუტიდან მეცნიერი მუშაკები, ემენ დავითაძე და ზურაბ თანდი-

ლავა, შეწვიენ ოკახში და მაშინ კიდეც გავიცანი ისინი. იმათმა განიხილენ ჩემი იმდროინდელი მცირე რაოდენობის ლექსები და დაიწერენ, თანაც მოიწონენ ჩემი ამ მხრივ უნარი და შემთავაზეს განვეგრძო ლექსების თქმა. იმ დღიდან შევედი მოქმედებაში და ვთქვი იმოდენა ლექსები, რომ წიგნებშიდაც იქნა შეტანილი. ამჟამად მე, როგორც მხცოვანს ნათქვამი მაქვს ოთხასზე მეტი ლექსი და მოთხრობა-თქმულებებიც მრავალი. ამ საქმეში, ცხადია, სტიმული და ბიძგი მოვცენ ამხანაგებმა ე. დავითაძემ და ზ. თანდილავამ. მათ უნდა ვუმადლოდე, როგორც მე, ისედაც ხალხური პოეზია, რომელსაც შეემატა უანგაროდ ესოდენ ლექსები...

ზ. ა. ქათამაძე.

28. IV.—84.

58. კინტრიში

კინტრიშო, ჩამომდინარევ,
ამონახეთქო კლდის ძირში.
მთა „სარბიელას“ შვილი ხარ,
ნატერა ხარ ჩემი სიკვდილში.

შენ ის ხარ, ძველად რაც იყავ,
აუწონელი წარსულში.
შენ დუმხარ, ლექსმა როგორ თქვას
ჯავრი მოგიდის რაც გულში.

დაფასებული ბრძანდები,
ძველათ ცნობილ „ჩურუქსუში“[1]
შავი ზღვის შენაკადი ხარ,
იმიტომ არ ხარ პირქუში.

შენზე ბევრი ლექსებია,
დაწერილები წარსულში,
„გვანცა“[2] „პერანგა“[3] შეგმატის
წყაროწაკადებს ნაჟურში.

შენზე სიყვარულს ვინ აღწერს,
ვინ მგოსანი, იტყვის ჩვენში.
თის წვერიდან დაწყებული,
სახელი ჩქეფს ზღვისპირეთში.

უხსოვარი ხარ, იქნები,
მარადიული კოლხეთში.
ძველ გმირებს ნუ გაივიწყებ,
ახლებმაც გენაცვალონ სულში.

---

[1] ჩურუქ-სუ — ქობულეთი.
[2] გვანცა — მთაა.
[3] პერანგა — მთაა.

50. ჩემო ვარსკვლავო

შენ, ჩემო ბედის ვარსკვლავო,
ჯერაც რომ კიაფობ ცაში.
თუმცა სიმკრთალე გაბინდებს,
მაინც ჯერ მინათებ ბაღში.

თანდათანობით იღრუბლვი,
სინათლეს მიბნელებ თვალში.
მაინც შენი სიყვარულით
ვტკბები, დარსა თუ ავდარში.

მე ის არ გამავიწყდება —
ახლად რომ მოველ ამ სახლში.
შენც მაშინ დაბადებულმა
გადმომასხივე აკვანში.

იმღენი ლოცვა შემწირე,
რომ ვერ გამოვალ შენს ვალში.
რვა ათეულზე მეტს ვითვლი,
კვლავ მემატება დავთარში.

ვარსკვლავო, ჩემო სინათლევ,
შენ არ იცი რა მცემს თავში.
მოუსლელ გზას ვეგებები,
ზაფხულშია თუ ზამთარში.

დრო იწურება, მოვდივარ
შენს დიად, მუდმივ ბაღნარში.
არ მივარო, გევედრები,
მიმითვისე შენს კალთაში.

რა ბუნებითაც მეჩვენო,
მაინც გამოგიცნობ თალხში.
ნუ იბეუტები, გარწმუნებ,
ვერ დამემალები თვალში.

საუკუნის ახლოსა ვარ,
ფეხი მიწყვია ნაცარში.
მაინც შენ სიყვარულს გფიცავ,
გლოცავ კიდეც ყოველ წამში.

ნუ გამწირავ, შენ ხარ ჩემი
ბნელით მოცული გულისა
მნათობელი ჩემს უმანკო
ვით უჩინარი სულისა.

მომიალერსე ერთხელაც
მახარობელო გულისა, —
მიამბე ჩემი სიცოცხლის,
უკანასკნელ საათისა.

ოდითგან მალხინებელი
დაბადებიდან ჩემისა.
ყავი, კვლავაც იქნები
ვიდრე სული ამომხდება.

ნუ დამიმალავ საფანეს,
სადაც შენი კიაფობს.
იქ მიმიწვიე, მიმზიდე,
თუ გწამდეს მაღალი ღვთისა.

1988 წ.

10. ხინო და კინტრიში

ხინო ხარ, ძველი სოფელი, ძველ სალხინოდ წოდებული,
ქნარი ავიღე, შენდამი სალექსოდ მომზადებული.
მაპატიე რაც მოგიძღვენ მეტი დაგვიანებული,
შემთხვევით დაკნინებულმა აღდგინდი განახლებული.

შენზე თქმულება ბეკრია, ცნობები ტრადიციული,
შენის მომავლებისათვის უწყება ისტორიული.
სიცოცხლეს მოემატება შენისადმი სიყვარული,
გული გიზიდავს, სულიც კი შენი ეშხით მოხიბლული.

უხსოვარი დროიდან ხარ სოფელი გაშენებული,
ქართველობის გარდა შენში არ ყოფილა სახლებული.
მაშინ გიწოდეს სახელი ტიპიურად შერქმეული,
სალხინო ხარ, მართლა რომ ხარ ლხინის ბუდე ერთეული.

მცირე ყურადღების ფასად ერთ დროს დაქვეითებული,
ძლიერი პატრონის ძალით გახდი აღორძინებული.
ბოლოზე ვარდი გაგშლია, თავზე გისტენის ბუღბული,
ვინც გაგაცოცხლა, გიყურებს შენი არსების ერთგული.

აჭარა დაფეხმძიმკაცდა, ხალხითა გამრავლებული,
მთა გაძლიერდა, ერს ერთვის მთიელი განსახლებული.
შენ კი ბატონო სალხინო, სიტყვა დასძარ შენეული,
ზოგიც შენსკენ მოიზიდე, ქმენ შენთან დასახლებული.

ისტორიით მდიდარი ხარ, მთა-ბარით დამშვენებული,
ხინომთის უღელტეხილზე „სარბიელი“ გაბადრული.
აქეთ მაღალი მშვენება მთა „პერანგა“ დიდებული,
იქით იმისი ძმობილი „გვანცა“ გამოსახლებული.

ხევშია „მოსულთახევი“, ნადირით სახელდებული,
იქვე ძველი ნასახლარი, „ნაქურთალად“ წოდებული.
ძველ ჭირდღეში გამოსული, მეომარი გაბედული,
ეოის საქმის მოერთგულე, მტერთანა შერკინებული.

იქ თვალსაშიშსა ალაგას „ზინდანია“ წოდებული,
ერთ დროს ღვთისგან კარნახობით გაჩენილი, აგებული,

მერე მტრის ხელით ნაძლევი, ქართველნი დატყვევებული,
ნანგრევები ძველთა კლდეთა, ეკლესიები ქართული.

ჟამთა ქცევამ გააცოცხლა წამებულთა მკვდარი გული,
ქართული მტრედი მოფრინდა, ქართული ყანის გუგული.
გაშალა, გაალამაზა ვარდი, ენძელა, სუმბული,
მომხვდური უკუგანდევნა, გააქცია ვით შურდული.

ლამაზ-ლამაზი სოფლები ერთნი, თუმცა ცალკე-ცალკე,
ცხემვანი, ზერაბოსელი, მესხიქედი, და დიდვაკე,
გორა, გოგოური მასთან, იქ წერაკვეთიც რომ ვაქე,
ქათამური, ზემოხინო, — ხინო, ქართველობის სარკე.

შენთან ანკარა წყარონი მრავალნია, არა ერთი,
გულიდან ამომდინარე, მოჩუხჩუხე „ბელეშეთი“,
კინტრიში — სული ხინოსი, ულეველი კალმახეთი,
ღმერთმა სულ ნედლად გიდინოს, არ მოგიწყვიტოს არც ერთი.

ხინოვ, დაუთმობელია მტკაველი შენი, ნაკვეთი,
თუკი მიწაზე ჩამოვა, აქ იცხოვრებს ჩვენი ღმერთი.
პურს დათესავ, პურად მოვა, სკა ბევრი გაქვს სათაფლეთი,
სჩვაც მრავალი საქებარი, ვეღარ გითხარი ზედმეტი.

გისურვებ აღორძინებას ისტორიულო სოფელო,
იცოცხლე, იმზენათელე, მზით ნაკვეთებო, ნათელო.
ხინოვ, აჭარის ბეღელო მშრომელო და სასახელო,
ქართველი წესის ერთგულო, მოქართულევ მუდამ ძველო,

61. როდესაც დრონი იცვლება

როდესაც დრონი იცვლება, კეთილი გადადის ავზე,
მტვერს თან გაყვება ვარდნარიც, წამოიშლება ნიავზე,
ფილოსოფოსთა სიბრძნეც კი მაშინ სულ დადგება ვარზე,
განს გადგებიან რაინდნიც და მოსთქვამენ თავისთავზე.

დრო ანაზდად შეიცვლება საქვეყნოდ მოულოდნელი,
კეთილი დასძლევს ბოროტსა, ჩამოვა მახარობელი.
ამას რა განაპირობებს, ღვთის წყალობა თუ რომელი,
ტახტსა დაჰკარგავს ბოროტი, არაფრით გაუძღომელი.

მაშინ სამოთხის კარებიც თვითნებურად გაეღება,
ახლა ქვეყანას დაატკბობს ბრძენთა ძალა — შემართება.
გულს გაუხარებს სოფელსა დიდი, მაღალი განგება,
აკვნისეულის, ბებერის, ყველას გული გალაღდება.

სიკეთის ძალის მორჩილი თუ ავის მონა გახდება
ბოძი რომ გამოეშლება, სახლი დაცლილი დასჩება, —
თვალს ღვთიური სასწაულის აჩრდილი დაეფარება
მაშინ ღვთისადმი ვედრება ათასიც გვიან დარჩება.

62. სურო

ბუნებას ემდურებოდა ყოველ გათენების დილა
ეს უცნაური მცენარე, სურო, თურმე რა ყოფილა.
ერთხელ მუხას ძირს შეუძვრა და ანეც კი მიაჩვლა:
შენ ბედნიერი და მე კი ღმერთმა ასე გამაჩინა.

მიწის პირზედა გართხმეული მიმოვდივარ უკან-წინა.
და დღესა და ბედზე გავჩნდი, სიცოცხლე რომ გამაწყინა.
ყოველ გამვლელი ფეხის ქვეშ მე რაზედ მეღირსა ბინა,
მუხავ, რაღაცა მირჩიე, მით მოვსულვარ მე შენს წინა.

მუხამ ვიდრე უპასუხა, ჯერეთ ერთი ჩაიცინა,
შენისთანა ქვეძრომია კაციც ყოფლა უწინა.
მაგრამ ღალატი შესწამეს ასე ამოუგდეს ბინა,
ღალატს შენზედაც ამბობდნენ, არ გეწყინოს, ამას წინა.

წადი, წიფელას მიმართე, ის არი ხეთა მთავარი,
ის არის ცათა აწვდილი, ლამაზი და ჭარსაფარი.

ის მიგიღებს და აგიყვანს, სადაც აქვს თვისი კატარი,
ის გაგენდობა და შენცა იყავ მისი მეგობარი.

სურომ მიმართა წიფელსა — შენში მინდაო საყდარი,
გაქებენ, გეფერებიან, მეფე ყოფილხარ, დიდგვარი,
შენს კატარში ამიყვანე, გამახედე სად ვინ არი,
შემდეგ კიდეც დაგიფასო შენი ღვაწლი და ყადარი.

ვით ჰუმანურმან, წიფელმან სუროს არა ჰკადრა ვარი,
— თუმცა ქვეწარმავალი ხარ, შენზეა ბევრიც ზღაპარი.
მაგრამ მაინც მეცოდები, არა გაქ თავშესაფარი,
არ გივარებ, ამოცოცდი, ალალ შენ ჩემი კატარი.

ნელა აცოცდა მუხთალი, ტანზედ შემოკრა ბაწარი,
შემოეჭიდა კისერში, ძალუმ დაიპყრა კატარი.
წიფელსა სიკვდილისაკენ გაეხსნა ბუნების კარი,
და როს ხმებოდა, კვდებოდა, მუშინ უთხრა სუროს ვარი.

მოწყალე კაცის ბუნება წმინდაა და წრფელი არი,
არად ჰფიქრობს კაცის გულში რაზეა სძინავს და რა არი.
ბმას ძმა ძმობით უნდა ენდოს, და მეგობარს — მეგობარი,
ღალატი ისე არ მოსჩანს, გარს თუ არ აქვს ტყავსაფარი.

არც იმაზედ დაინდობა ვინც ილოცა შენი მკვდარი,
ის გამოსარჩენს დაეძებს, იცის, ტკბილია შაქარი.
სურო წიფელსა გაახმობს, რადგან მოღალატე არი,
ისემც გულ-ალალ მასპინძელს კაცი, უცნობი სტუმარი.

ცვ. მ ა რ თ ა ლ ი

სადაც ბოროტ-მზრახველთაგან თავს მოიყრის დიდი დასი,
იქ შეშის ფასად არა ღირს ბრძენკაცობა, თუნდაც ასი.
ყორანი ყორნად დარჩება, თუნდა ჩააცვა ატლასი,
შავკანიანსაც ვერ შეცვლი, კირით შეუთეთრო გარსი.

რკინა, მოვარაყებული, ვერ გახდება ოქროს თჯი,
გოგოს ვაჟი ვერ მოხიბლავს, თუ არა აქვს რამე შანსი.
შავი თეთრად ვერ იქცევა, თუ არ შეუცვალე არსი,
ქურთი ქურთობას არ დასთმობს, თუნდაც რომ აჩუქო ყარსი.

გასათხოვარს ის არ მოსწონს, ვის თავი აქვს მონაპარსი,
ვისთვის არის სილამაზე და სუნამო ქინძი, პრაჯი.
ვერც ძალათი შეაყვარებ, თუნდ აჩუქო მზე ათჯი,
ვერც სიბრძნეზე დაინდობა. თუ ბნელი აქვს შინაარსი.

ქურდი ქურდობის კვალ-და კვალ მოიცლის მთასა და ბარსა,
თუნდ დაჰკიდო, არ მოიშლის ოროსპი ოროსპობასა.
დებილი, ჭკუით ბათილი ვერ იზამს მეგობრობასა,
ისე ვით ქალი, ქმარ-ქვრივი ხელუხლებელ გოგვობასა.

რად ემდურება მახინჯი ქალი თავის ბედ-იღბალსა,
თუმცა სინდისით სავსეა, სხვას გაუმრუდებს სავალსა.
რა შეადაროს ყმაწვილმა თეთრი წვივების ცქერასა,
ან მარწყვისფერსა ტუჩებსა და თვალთა ციალტყელასა.

კაცი მიუწვდომ სიყვარულს ირჩევდა მკვდარად ყოფნასა,
არად ჩააგდებს ამქვეყნად უბედ-უიღბლო ყოფასა.
ვერა ვაჟკაცი ვერ დასძლევს ამ ქვეყნად ქალის ტრფობასა,
რადგან არც ფასი არა აქვს უმისოდ ცოცხლად ყოფნასა.

ცჭ. ჯვარის მინდორს

ჯვარის მინდორო, ლამაზო, ჭინჭაის ქედის ძმობილო,
მთაგინურის საამაყო გომის მთის უღელტეხილო.
მთაო აჭარის, მაღალო, ყვავილ-ჯეჯილით მოსილო,
დიდი თამარის სასვენო, ლამაზო, აყვავებულო.

ერთხელაც მე ველარ გნახავ, მშვენიერო უჩვეულო,
ნუ დამემდურები თვალო, არ შემიძლია გიხილო

ოდესღაც უცხო ტერფის ქვეშ ნაწამო, გაწვალებულო,
და ბოლოს ედემის ბაღში კვლავ ქართულად მოსათლულო.

გაღმა სარბიელის მთის და აქეთ პერანგას ძმობილო,
ჩრდილას მთის მწვერვალებიდან ყოველ ამინდში ხილულო.
ზაფხულში პირუტყვის დედავ, ზეგანგების დალოცვილო,
მაღალი მთების კალთა ხარ, ცის კამარამდე აწვდილო.

თეთრწვდენელ შორეთიდან კავკასიონის ხილულო,
არსიანის სილამაზით ხარბათ მოჯადოებულო.
ქვეყნის ყოველი ბაღნარის წალკოტო და თაიგულო.
კერა ხარ ჯანმრთელობისა, ჯანის და სიცოცხლის სულო.

ზაფხულში გრილი ბუნებით, ზამთარში ცივათ მოსილო,
დრო და დრო ამწვანებულო, დრო და დრო თეთრად ჩაცმულო.
სადამდე შენი ხმა გადის, ყველას ერთთავად ნატრულო,
მშვენიერების სარდალო, ღვთის და კაცის დალოცვილო.

შენებრი ახლო არა გყავს, მარტოჯა მდელო, ეულო,
მთაგრინუარის თვალო, გულო, იხარე მწვანე სხეულო.
უკან აღარ ვიხედები, მივდივარ ჩემო ნატრულო,
გშორდები და გულში მრჩები, გულში ცეცხლად ანთებულო.

ნ. ბრძენმა თქვა

ბრძენ-კაცი ჰკუით ფასდება,
პოეტი თავის ლექსითა.
ხუცესი წირვით იცნობა,
გლახაკი — მათხოვრობითა.

მხედარი ომში ფასდება
ზე ამოწვდილი ხმალითა.
შენ აირჩიე აქედან
ბოლოს ფონს გახვალ რომლითა.

ცე. წარსულსა არ ვემდურები

წარსულსა არ ვემდურები, ვიყავ კეთილის მოსველი,
თუმცა კაცი სად გინახავს, სულ არ იყოს ცუდის მქნელი...
მცირე ავს კეთილი ფარავს, სიტყვა ნათქვამია ძველი,
ნუ შიშობ, თუკი მიგიძღვის კაცური კაცის სახელი.

ვხარობ, ოთხმოცდათმეხუთე გავლილ შავ-თეთრი წელი,
ხნოვანობამ გადამძლია, მაინც გათენებას ველი.
წუთითაც რო თენდებოდეს, მაინც ჩემთვის არი გრძელი,
სისხლი იმდენათ გამიშრა, ვერ ვგრძნობ ცივია თუ ცხელი,

მაგონდება ახლობის დრო, ვით სწრაფი ვიყავ, ფიცხელი,
ხან რაშზე დავნავარდობდი, ხან ვიყავ ყანის მთესველი.
ყველაფერი უკან დამრჩა, წინ შეხვედრას აღარ ველი,
ახლა მზეც კი ვეღარ მათბობს, არც მშრალი ვარ, აღარც სველი.

მიეჯაჭვე ცეცხლის პირას, ბუხრის ქვა მათბუნებს ცხელი,
მაგონდება რაც გავქუსლე, ღელე-ღურდნალი, მთა-ველი,
ის მაშინ, ჩემი სიცოცხლე, მაგრამ ახლა გულის მწველი,
ყველანი განზე გამიდგა, ვისიც ვიყავი დამცველი.

უჩუმრად მიიპარება ჩემი სიცოცხლე ნათელი,
თუმცა მეტი სწრაფად მიდის, ისე როგორც ტყვია ცხელი.
მზად არი გამომეთიშოს, სუდარი დამხუროს სქელი,
მაგრამ არ ვშიშობ, მეყოფა წარსული ახალი, ძველი.

თუმცა ამ ლამაზ ქვეყნისა დატოვება არა ძნელი,
მაგრამ მე ვინ მეკითხება, საით პირი ვქნა პირველი
ვიცი, იქ მიცდის სავანე, სულ მცირედი მიწის ხვრელი,
ისიც ვიცი, მომეშვება ქვეყნის ჯავრი, გულის მწველი.

არც ის არ გამაჟიწყდება, თუ რის ვიყავ ავის მქნელი,
მაგრამ რომ არ ვიყავ მავნე, ცუდი ენის, სიტყვის მთქმელი,
შიტომაც არ მეგულება ჩემზე თქმული საზარელი,
მიტომ წამყვება ბოლომდე კაცური კაცის სახელი.

ამჯერად რაც მიწერია, თქვენთვის მიჩუქნია მთელი,
შთამომავლებო, ვინცა ხართ, ქალაქელი თუ სოფლელი
ბოროტს გვერდი აუარეთ, კეთილსა ჩასჭიდეთ ხელი,
გისურვებ იმ სიცოცხლესა, რაც მე გავიარე წელი.

თოფია ქათამაძე



თოფია აქიფის ძე ქათამაძე დაიბადა 1914 წელს სოფელ ჭვანაში შუახევის რაიონი). იგი სალსურ მთქმელთა ოჯახში გაიზარდა და ჩამოყალიბდა სალასი პოეტური ნიჭისა და იმპროვიზაციის უნარის მქონე სახალხო მელექსედ. გარდა პოეტური ნიჭისა დაჯილდოებული იყო იშვიათი ხმითა და ჩონგურზე დაკვრის საკუთესო ოსტატობით. თოფია მის მიერ შეთხზულ ლექსებსა და შაირებს თვითონვე იმპროვიზაციულად ურჩევდა სათანადო მელოდიას და იქვე ასრულებდა ჩონგურზე. სწორედ ამის გამო სალხში დიდი დაფასება და სახელი ჰქონია. მის გამოჩენას მუდამ მხიარულება შეჰქონდა თანასოფლელებში და თუ რაიმე გასაკენწლავ-დასაძრახავი იყო, მშველელადაც მუდამ თოფიას ჩანგი და სიტყვა ეგულებოდათ.

მრავალი ლექსი და შაირი უთქვამს ამ მადლიან კაცს განახლებულ აჭარაზე. ხოლო შემდგომ სალხური მგოსნის პოეტური სფერო თანდათან გაფართოებულა: უმღერია საქართველოს წარმტაცი ბუნებისათვის, მისი გმირული წარსულისა და ბედნიერი აწმყოსათვის.

თოფია ქათამაძე აჭარის საგუნდო ხელოვნების ერთ-ერთ მოამაგედ ითვლება. მისი, როგორც მომღერალ-ლოტბარის ღვაწლი სათანადოდ არის დაფასებული.[1] დღემდე ამ ნიჭიერ სალხურ მთქმელს იცნობენ უფრო

[1] გ. გაბისონია, სიმღერაში ჩაფერფლილი სიცოცხლე, გაზ. „დროშა“, 13 აგვისტო, 1970 წელი; მისივე. საგუნდო ხელოვნების მოამაგენი, ბათუმი, 1974, გვ. 70.

როგორც ლოტბარ-შემსრულებელს და არა პოეტური პაექრობის ხსტატს. ეს ბუნებრივიცაა, თოფიას სალოტბარო ხელოვნება სწრაფად იკაფავდა გზას სცენისაკენ, სოლო ჟანრად ფარიოო სიმღერებისაკენ. ვიწრო წრეში გამართული პოეტური ტურნირები და ამ დროს შექმნილი გაშაირების ტექსტები კი სოფლის ფარგლებს ვერ სცილდებოდა.

თანამედროვენი ამკვიდრებენ როცა სოფლელი მგოსანი პოეტურ პაექრობაში უნახავთ, მაგრამ სათანადო ტექსტების აღდგენა უჭირთ. ერთ-ერთი ამკვიდრია, მაგალითად, თოფიასა და ჯეფერ ტარიელაძის გაშაირება.[2]

თუ შაირებსა და გაშაირების ტექსტებს წარმავლობის ჩვეულმა ბედმა უწია, შედარებით მდიდრადაა დაცული თოფიას სატრფიალო და ლირიკული ლექსები, რომელთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია,[3] ნაწილი შეკრებილია ჩვენ მიერ, სოლო ლექსებისა და შაირების უმეტესი დღესაც ხალხშია გაბნეული ლექს-სიმღერებად.

თოფია მეტად თავმდაბალი ბუნებისა ყოფილა. თავისთავს მელექსედ იშვიათად თუ მოიხსენიებდა თურმე. ზეპირად სცოდნია და ხშირად ღიღინებდა ჩვენი დიდი პოეტის — აკაკისა და ვაჟას ლექსებს. ბუნებით კეთილი და უწყინარი, შაირში ფიცხი და პირდაპირი იყო. მის მოსწრებულ პასუხებს ძნელად თუ გაუმაგრებდა მოპაექრე, ამიტომ ბევრი საერთოდ გაურბოდა თურმე ამ „ერთაშორეს" შაშაირესთან შებმას. საზეიმო ზალებზე ხალხის საყვარელ სანახაობად ითვლებოდა თოფიასა და გურულ მოშაირეთა პოეტური პაექრობანი.

თოფიას სახელი მალე გასცდა თავისი სეობის ფარგლებს. სალხში სიმღერად გავრცელდა მისი ლექსები სადაც ახალი დროის ქება-დიდება გლეხკაცის ალალი გულითაა ნათქვამი. თოფიას ხშირად იწვევდნენ ხალხური ანსამბლებისს რესპუბლიკურ დათვალიერებაზე, როგორც აღიარებულ ინდივიდუალურ შემსრულებელს. ყველაზე დიდ წარმატებას მან 1947 წელს მიაღწია, როცა თბილისში სახალხო მთქმელთა სრულიად რესპუბლიკურ შეკრებაზე მიიწვიეს. მაშინ თოფიამ იმპროვიზაციული ნიჭითა და პოეტური სელოვნებით ბევრი ცნობილი ხალხური მთქმელი ჩამოიტოვა და თავის მშობლიურ სოფელ ჭვანას გამარჯვებულის პირველი ხარისხის დიპლომით დაუბრუნდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ჭვანის კულტურის სასლის მსატვრული წრის ხელმძღვანელად მუშაობდა. დაჯილ-

[2] ბსკი, ფ. 1, ს. 185, გვ. 1. ე. დავითაძის ჩანაწერი.

[3] აჭარის ხალხური მთქმელები, ბათუმი, 1956.

დოებული იყო სიგელებით. ზეპირსიტყვიერების მდიდარ ფონდში საპატიო ადგილი უკავია მის „ქალ-ვაჟის გაშაირებას“, „სატრფიალოს“, „გამარჯვების ლექსს“, მისეულ გალექსებებს და ა. შ. აჭარის ხალხურ მელექსეთაგან თოფიას სახელი ყველაზე პოპულარულია.

თოფია ქათამაძე გარდაიცვალა 1963 წელს, დაკრძალულია სოფელ ჭვანაში, სადაც დღესაც სათუთად ინახავენ მელექსის ჩონგურს, როგორც ხეობის ძვირფას რელიქვიას.

1.ლექსი ლენინზე

მთელ მსოფლიოს მეექვსედი საბჭოთა ქვეყნიანია,
და ამ ქვეყნის ყველა კუთხე წითელ ბაღნარიანია.
მთელი საბჭოთა ქვეყანა კომუნიზმის ფრთიანია,
ლენინის სიბრძნით ნაქარგი, სანთელ-ჩირაღდნიანია,
როცა ლენინი დაგვაკლდა მშრომელთ მოყვარიანია,
(ათას-ცხრაას-ოცდაოთხი იმ წლის თარიღიანია).
მზემაც სხივები მოხუჭა, მოსჩანს ცრემლღრუბლიანია,
ცა შავებით იმოსება და მთვარე ბადრიანია.
მდინარემ დენა შესწყვიტა, ჩქერი ხმაურიანია,
ფრინველთ ჟრიამული შეწყდა, ბულბულთ გალობიანია.
ზღვამ ტალღები შეაჩერა ჩქარი ზვირთებიანია.
ღრუბლები ნაკადულებად ატირდნენ ცრემლიანია.
ხალხს ბელადი გამოაკლდა მზეკაც-ადამიანია.
დიდი სარდალის გამზრდელი და მოძღვარი ჰკვიანია.
მოკვდა მხოლოდ, სახელი კი მუდამ უკვდავიანია,
მისი სხივი არ ჩაქრება წითელნათურიანია.
კომუნიზმის ფუძემდები მისი ავტორიანია,
ოქტომბრის რევოლუციის მთავარსარდალიანია,
მან გაასტეხა მეფის ტახტი, ტახტი ფოლადიანია
და თვით მეფეც, ბარბაროსი, ხალხთა მჩაგვრელიანია,
მიწა-წყალი გლეხებს მისცა, ვინცა მშრომელიანია.
და ქარხანა-ფაბრიკები მუშებს ერგო მთლიანია.
მჩაგვრელები ამოქოლტა რუსეთის მეფიანია,
მან გაუნათა ღარიბებს დილა ნათელმზიანია.
ხალხისთვის არ დაუზოგავს სული საკუთრიანია,
ხალხისთვის ამაგიანი ვით მამა, მშობლიანია.
ცაზე მზე ამოგვინათა წითელსხივებიანია,
შუქურვარსკვლავი გვაჩვენა თვალმარგალიტიანია.
მშობლიური ჩვენი მიწა ლენინის სხივიანია,
მისი ხელით მოხატული ოქროს წარწერიანია.

კომუნიზმი ხალხისა და ხალხთა დოვლათიანია,
მშრომელთა ხალხის მარჯვენის ოფლით დანაღვრიანია.
დიდი ლენინის საქმენი ჩვენთვის უკვდავიანია,
და პარტიაც წინ მიგვიძღვის მისი ოცნებიანია.
მის ხსოვნას ხალხი ატარებს მრავალერებიანია,
მილიონობით მშრომლის მიზნები ხომ მზიანია.
სანამ მზე და მთვარე არის და ხმელეთი ზღვიანია,
საქმე მისი უკვდავი და ხსოვნა მარადიანია.

1956 წ.

2. ბელადის ხსოვნას

მოულოდნელად დაგვიდგა
სამგლოვიარო დღენია.
შესდექ, რას მღერი, მგოსანო,
ან ეგ რა დაგიწერია?
მელნათ ცრემლები გიხია,
შავებით დაგიწერია.
ნუთუ ბელადის სიკვდილი
ნამდვილად დაგიჯერიათ?!
მზემან შესწყვიტა სხივები,
აღარ ანათებს, ბნელია.
სამგლოვიაროთ მოსილა
ირგვლივ ცრემლებით სველია.
სამშობლოს გამოეცალა
დიდი ბელადი ჩვენია.
მშვიდობის დიდი დამცველი,
შუქჩაუქრობი გენია.
მუდამ იხარებს, ბელადო,
შენი ოცნების ვარდია.
შენ რომ მზესავით აანთე
კომუნისტური პარტია.

3. პარტიას

კომუნისტური პარტია
არი ჩვენი ქვეყნის თვალი.
მან სწორ გზაზე მიგვითითა,
აასრულა თავის ვალი.
მშრომელ მასას გვითავაზა,
მან გაგვიხსნა გზა და კვალი,
მოგვცა სიცოცხლის ნათურა,
გაგვინათა მომავალი.
ის რომ ხალხისათვის ზრუნავს,
ვინ არ იცის, ვის არ სჯერა.

ამ გლეხობამ დამავალა
ამაზე ლექსი დამეწერა.
ჩვენი დიდი რწმენის კერა,
საბჭოეთი — ძმობის ქურა,
ხალხთა მშვიდობის ორგული
მან ბევრჯერ გაანადგურა.
მას დიდება, მას მშვიდობა,
მას სიცოცხლის მტრედის ფრენა

კომუნიზმის საძირკველი
ვინც ქარცეცხლში ააშენა.
დიდ საბჭოეთს სად აქვს ზღვარი.
სად თავდება მისი მდელო.
ვინც ერთ ლამაზ ვარსკვლავად
თელის
ორდენოსან საქართველოს.

4. სიმღერა საბჭოთა საქართველოზე

(ორმოცი წლის თავზე)

ჩვენო ტურფა საქართველო, ჰყვავის მუდამ შენი მდელო,
ქართველი ხალხის მშობელო, დევგმირების გამომზრდელო,
წარსულში მტერთან ბრძოლაში მტერზე ხმალის შემომკვრელო,
მჩაგვრელთა დამამხობელო, ყმა-მონების გამომხსნელო.
ვახტანგ-მეფე და ერეკლე მტერთან გამშვენებდნენ შენო,
მტერს მუსრავდნენ გაცოფებულს, სისხლით ირწყვებოდა მდელო.

თურქეთ-სპარსეთთან ბრძოლაში სააკაძის იყო ლელო,
გამოდი გამარჯვებული, მუდამ იყავ სასახელო.
მრავალ ბრძოლაში ქებულო, დიდი წარსულის დამცველო,
თამარიც შენ გაგიზრდია, დედოფალი სამლოცველო.
მაშინ შოთაც გიმღეროდა და რუსთველის კალმის წვერო,
ბრძენ შვილების გამომზრდელი დედა შენ ხარ, საქართველო,
შენ ოქროს ხანის ქვეყნისა, შენი გმირობით დამცველო,
ბევრი ქარბუქის გამჭრელო და გამარჯვების მნახველო.
მოყვრის მოყვრულად მიმღებო, მტერზე მარჯვენის მომჭრელო,

ერეკლეს ხმალი გშვენოდა და ქარქაში ოქროსფერო,
მრავალ ბრძოლაში მტერთანა შენ არ მოგიხრია ხელი,

ამ ბრძოლებით მოიხილე ცხრაას ოცდაერთი წელი.
მუშურ-გლეხურმა არმიამ დაგიმშვენა დროშა შენი,
და იმ დღიდან გასაბჭოდი, თან გაგეხსნა გზა ნათელი.
უკვდავების გზათ იქეცი. წითელი დროშით ქებულო,
მის შემდეგ ორმოცი წლის ხარ, ბაღნარი, აყვავებული.
კომუნისტურმა პარტიამ შრომით წინ, მზისკენ წაგწია,
სოციალიზმით მოგქარგა, ედემის ბაღად გაქცია.
უკეთესი გაგიზრდია მკვიდრი ქართველი გმირები,
ბრძენი, გმირი, მეცნიერი, შენს მიერ გამოწვრთნილები.
ვინაც საქმით გასახელა, სანაქებოდ დაგამშვენა.
შენს წინ ვალი მოიხადა, და გმირულად იქართველა.
მენშევიკებთან ბრძოლაში რევოლუციის გმირებსა
ლადო კეცხოველს გიქებდნენ და საშა წულუკიძესა.
და სერგო ორჯონიკიძე, საქართველოს მკვიდრი შვილი,
ცხაკაია, მახარაძე, და უკვდავი ჯუღაშვილი.
ქვეყანავ ულამაზესო, ბრწყინვალებით მარგალიტო,
ოქრომკერდით მოხატული, ჩაქუჩით და ნამგალითო.
საქართველოვ, ჩემო ტკბილო, აყვავე ოქროს ბაღია,
წინ მიგიძღვის, გაჩირაღდნებს კომუნისტური პარტია.

5. თბილისის 1500 წლისთავისადმი

მწერს, თბილისო, დაგიძღერო
და გადმოგცე სამლოცველო.
ლამაზზედ ულამაზესო,
წელთაღრიცხვით ძველთაძველო,
ჭშობელო დედაქალაქო,
საქართველოს დამამშვენო.
ქართველ გმირების მშობელო,
დედა ხარ მათი, გამზრდელი!
მეოთხე საუკუნეში
დაბადებულხარ გმირია,
ნანა გიმღერა მცხეთამა,
უკვდავი შვილის დედამა.
ვახტანგ-მეფემ წარმოგშობა,
და მის მიმინოს ფრენამა.
მტკვარს გაჰყვა, გაინადირა,
ხოხობი ჩაინადირა
და იქ ნახა უდაბნოში,
წყალი თბილი, მომდინარი.
ზურმუხტში ამონახეთქი,
სანახავი მომხიბლავი.
იმ დღეს მეფე გორგასალმა
იქ ქალაქი განიზრახა.
თან სახელი დაანათლა
და თბილისი დაუძახა.

აშენდა თბილის-ქალაქი,
იზარდა ზურმუხტოვანი,
მხარგაშლილი, როგორც თვითონ
ვახტანგ-მეფე, გორგასალი
ქართველობის საამაყოდ
რაც მას აქვნები ურწია,
თხუთმეტ საუკუნე წლისას
ჯერ კბილიც არ მოუცვლია.
ოქტომბრის რევოლუციამ
წითელი დროშით შეგვმოსა.
მან მზეთა-მზედ გვითაყვა
ბრძენი ლენინური დროშა.

იზარდე, ჩვენო თბილისო,
იცოცხლე ტკბილად თანაო.
მცხეთამ აკვანი გაგირწო,
მტკვარმა გიმღერა ნანაო.
კომუნიზმის განთიადი
მზის სხივებით მოგხატია,
ბედნიერი ხარ, თბილისო,
მედროშედ გყავს კომპარტია.
მით ვამთავრებ შენზე მღერას,
დაგიკოცნო, მსურს, მთა-ველი.
შენი ქართლი, შენი მტკვარი,
შენი შოთა რუსთაველი.

6. პირველი მაისი

მაისის დილა გვესტუმრა,
ღიმილი ატმის ფეროსი.
უცინის გლეხის ნაშრომსა
აყვავებული მდელოსი.
შარბათიანი ცვარ-ნამი
გადაფენია ბალახებს.
მაისის დილის ზეიმი
გლეხის მარჯვენას ალაღებს.

წლის მეხუთე თვე იწყება.
მოსავლის ფუძემდებელი.
ყვავილთა თბილი ნათელით
ყანების მაშუქებელი.
ზეიმობს პირველ მაისებს
ქვეყნად დიდიც და პატარაც.
ყველგან, მსოფლიოს მშრომელებს
ერთობა მან შეაყვარა.

7. საკოლმეურნეო სიმღერა

ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი
ჩვენს მშრომელ ხალხს აუგია.
ერთმანეთი ჰყვარებია,
ერთმანეთის გაუგია,

კოლექტივი დავაარსეთ,
ძმობა და სიყვარულია.
ჩემი მიწა დიდი არის,
იგი ჩვენი მამულია.

კოლხეთშიც და ყუბანშიაც
ყანა ჩვენი დახნულია,
მოსავალი ზიარია,
და ჩვენი ჭირნახულია.

პაპაჩემის ნატვრის ჩარხი
წაღმა დაბრუნებულია,
ხალხი, შრომით წინმავალი
გაბედნიერებულია.

8. სიმღერა აჭარაზე

აჭარავ, ჩემო მამულო,
ციტრუსით შემოქარგულო.
ლიმონ-ფორთოხლით მოსილო,
წალკოტო და თაიგულო,
შავი ზღვის პირად მდებარე
დედაქალაქით ქებულო,
ზამთარში თბილო, ზურმუხტო,
მზიანო, აყვავებულო.
წარსულში, წუეულ წარსულში
მტრის მიერ გადანათელო.
და შემდეგ გამარჯვებულო,
ხალხის გულისთქმით ნაქებო.
ბრძოლის და შრომის გმირების
კერავ და დედავ, აღმზრდელო,
წინ მიხვალ კომუნიზმისკენ,
დიადო მხარევ, ნათელო.

მე შენს კალთაში აზდილი
შენზე ვმღერივარ მგოსანი,
ბულბულად გადავიქცევი,
ცას გავეკრები ფრთოსანი.
მიყვარხარ, შენზე ტრფიალსა
გულით ვატარებ მშობელი,
ძმასავით ახლობელია
შენი ხე, ბუჩქი ყოველი.
ჩვენო ლამაზო აჭარავ,
მზიანო, აყვავებულო,
შავი ზღვის პირად მდებარევ,
წალკოტო და თაიგულო.
მწვანე ფარჩებით მოსილო,
მკერდდაქარგულო მამულო,
ქობულეთო და ბათუმო,
ქედავ, შუახევო და ხულო.

9. სიმღერა ჭვანაზე

ბედნიერების ჰანგებით
გიმღერი, ჩემო მამულო,
ჭვანავ, შენ ზურმუხტოვანო,
შრომითაც სახელგანთქმულო.

ააშენე კოლექტივი,
სილამაზით მოხატულო.
მშრომელი ხალხის მარჯვენით,
ვენახებით მოქარგულო,

შენ გაგიხსნია გულ-მკერდი,
სიძნელით დანაპურები,
საჩუქრად მოგიტანია
ძველი ჩანი და ჭურები.
კომუნისტურმა პარტიამ
გადაგხადა თვალზე ბინდი.
კულტურის სახლი გაჩუქა,
ხედს გიმშვენებს გზა და ხიდი.
ჩვენ ვიმღერით ჭვანის მხარე,
გამარჯვებულ მტკიცე ხმაზე.
მშობლიური მზე დაგვნათის
კომუნიზმის ნათელ გზაზე.
ბარაქიან კოლექტივში
ერთად ვშრომობთ ძმებივითა,
დროშები ავაფრიალეთ
ფარშევანგის ფრთებივითა,
ეს მოკაშკაშე ლურჯი ცა
არასდროს დაიბინდება.
ჩემს მთა-ბარს გულში ჩავიკრავ,
ჭვანის მშრომელებს დიდება.

10. კოსმოსის გმირებს

მიჰქრის ხომალდი კოსმოსში
შიგნით გერმან ტიტოვია,
ეს მეორე კოსმონავტი
თითქოს იქ მიწვეულია.
ისე გაჰქროლის კოსმოსში,
თითქოს მათთან ჩვეულია.
ისე უღიმის პლანეტებს
თითქოს მემკვიდრეულია,
შენ სალამი, ძმაო ტიტოვ,
ფარშევანგო კოსმოსისა,
დედამიწის მარგალიტო,
პლანეტა ხარ ახლა ცისა.
ოკეანები გადასჭარ,
შენ მიბაძე გაგარინსა,
ის სრიალებ კოსმოსში,
როგორც რომ კალმახი წყლისა.
ახლა სივრცეში ელვარებ,
გრიალებს შენი ხომალდი. ,
მეორე კოსმოსის გმირი
შენ, საბჭოთა კოსმონავტი.
მშობელივით შეგეგებენ
ანთებული მზე და მთვარე,
და როს გიხმო დედამიწამ,
ისევ მისკენ დაეჩქარე,
გამარჯვებით დაბრუნებას
გილოცავს მთელი ქვეყანა.
გეხვევა შენი ძმობილი
გაგარინი, შენისთანა.
შენ დიდება კოსმოსანო,
კისკასო, რკინის ფრთოსანო.
კოსმოსიდან მოფრენილო
უშიშარო გმიროსანო.
ჩვენც შენი თვალით ვიხილეთ
მზის ეზო რა წარმტაცია.
დღემდის ლეგენდას ეძახდნენ
ეხლა ცოცხალი ფაქტია.
იცოცხლებს თქვენი სახელი,
იჩირაღდნებს ვით სანთელი.
ისტორია წინ მიგიძღვით,
თქვენი გმირობის ჩამდენი.

შემოგირკალავთ კოსმოსი.
პლანეტების სამფლობეთი.
აღმოსავლეთ-დასავლეთი.
სამხრეთი და ჩრდილოეთი.

დიდ სანაქებოდ თქვენისა,
ლექსად ნაქარგი ენისა.
და ერთი ვინმე მგოსანი
ჩონგურზე დაგიმღერისა.

11. დაფასდა შრომის ნაყოფი

დაფასდა შრომის ნაყოფი
ისმის ყანურის გრიალი,

ნამკალი გლეხკაცისა
დაფასდა, ბარაქიანი.

12. თავი ბულბული მგონია

გული მოსძახებს სიმღერას
როგორც ბულბული ტიასა,
აყვავებულსა ველ-მინდორს
გაზაფხულისა დილასა.
საკუთარ კუთხეს ვუმღერი,
ჩვენს მამულს ჩვენსა ხმაზედა,
თავი ედემში მგონია,
რომ დავალ იმის გზაზედა.
სამას წელიწადს ყვავ-ყორნის
ჩრდილი გვფარავდა თავზედა,
მზეს გვიბნელებდა, გვიქრობდა,
ბინდი გვფარავდა თვალზედა.
დღე მიდგას საბედნიეროს,
ბედიც მიდგია კარზედა,

მე ჩემი დედულ-მამული
მიყვარს საკუთარ თავზედა.
თბილისსა, დედაქალაქსა,
მის ზურმუხტოვან მდელოსა,
ათას ხუთასი წლისაა
მას, ედემ საქართველოსა, —
ათასი გული უმღერის,
სხვადასხვა ხმაზე წყობილი.
ჩვენ ვართ იმისი შვილები,
ის არის ჩვენი მშობელი.
გული მოსძახებს სიმღერას,
ედემის ჩიტის ხმაზედა,
თავი ბულბული მგონია,
ვმღერი გლეხკაცის ჯვაზედა.

18. სატრფიალო

რა პლანეტა ხარ, მითხარი, გოგოვ, ლამაზო.
ეშხის სხივთაგან ნაზარდო, ნაზო, მალხაზო.
მტრედი ხარ თუ ბულბული ხარ, მოდ მიგალობე,
ერთხელ კიდევ შემომხედე, მომისალმობე.
ზეციური ყვავილი ხარ, ატამ-ნარგიზი,
მე'შვიდე ცის ვარსკვლავი ხარ, „საბახ-ილდიზი"
ციური მომცინარი ხარ, ელვა-ღიმილი,
ჩემი გულის მალამო ხარ, სიცოცხლე ტკბილი.
ეშხის სხივებით რომ მხარშავ, არ გებრალები,
ვიცი, ჩემთვის აცრემლდება შენი თვალები.
შენგან გული დასნეული შენ მომირჩინე.
ჩემო სიცოცხლის წამალო, გადამარჩინე.
სამოთხის ვარდის ყვავილო, თვალგიშრიანო,
ბუნებისგან დაშაქრულო, შარბათიანო.
დედა მზე გყავს, მამა მთვარე, პლანეტიანი,
მთვარის გამომეტყველების ხარ ბადრიანი
მიტომ დავმღერი, ლამაზო, მგოსანი შენზე,
შენი სურათი მე ვნახე, ეხატე მზეზე.
ანგელოზი ხარ, ლამაზო, სახემზიანო,
ჩამოსხმულო მარმარილოვ, ენარძიანო.
შუბლი მთვარეს ჩამოგიგავს, წარბი — ღრუბელსა,
გიშრის წამწამი გიმშვენის თვალის უბესა.
ლოყა წითლად დაგიმშვენებს ბაგე-ტუჩებსა.
სამი ადლი თმის ნაპწვენი ბროლის გულმკერდსა.
ყელი სანთლით ჩამოსხმული, სახის ღერძზეა,
ბროლის ფიქალი მგონია ეგ გულმკერდია.
მოვკვდე, მაინც შენთან მოვა ჩემი სულია.
გოგო, შენი სანაქებოს დასასრულია.

14. ნეტავი გოგოვ მე და შენ

ნეტავი, გოგოვ, მე და შენ
რამემ პლანეტად გვაქცია,
შენ მზე იყო და მე მთვარე,
მეფე-დედოფლად გვაქცია.
და ჩვენ ირგვლივ ვარსკვლავები
მაყრებად გადააქცია.
მილოცავდენ შენთან ყოფნას —
რა ბედნიერი კაცია.
ლამაზო, პლანეტთაგანო,
სიცოცხლის წყარო — წამალო.
შენ ჩემო გულის სენისა
მაცოცხლებელო მალამო.
ლამაზების პლანეტა ხარ,
ვარსკვლავსა გიგავს თვალები.
თაყვანისცემით გიმღერი,
ლამაზო, გენაცვალები.
მზესავით რომ ბრწყინვალებდა,
მე ბაღჩიდან დავინახე,
გემოვნებით დაშაქრული
შენი მარმარილოს სახე.
შენი ეშხით დავიდაგე,
ერუანტელმა დამიარა.
სარკმელიდან მუშკს აფრქვევდი,
სახე ჩანდა, ტანი არა.

მე შორიდან ვიტანჯოდი,
გულს ცეხლი მეკიდებოდა.
შენ კი ისევ სხივს მაყრიდი,
ტუჩებში გეღიმებოდა,
ბუნებრივი ლამაზი ხარ,
ედემის ბაღის ვარდი ხარ.
ღმერთმა ადრე მოგიკითხოს
თუ მე სატრფოდ არ მარგიხარ.
წუთისოფლის სტუმრები ვართ,
აქ დროებით მდგმურები ვართ.
ეს დაგვრჩება საამებლად
ჩვენ თუ ჩავხუტუნებივართ.
თუ ამქვეყნად ჩვენი ტრფობის
ცეცხლი გულში აინთება,
თუ ერთმანეთს შევიყვარებთ.
სამოთხეც ჩვენი იქნება.
თუკი ეს ვერ გავატარეთ.
დაგვწყევლის მიწა მშობელი.
თუ ერთმანეთს შევიძულებთ
გაგვტანჯავს წუთისოფელი.
შენ ხომ იცი რუსთაველის
სიცოცხლე რას წაუღია.
მისი „ვეფხისტყაოსანი“
სიყვარულზე აუგია.

15. მზესავით რომ სხივს აელვებ

მზესავით რომ სხივს აელვებ,
სილამაზით მომხიბლავო,
პლანეტის ჩამონათალო,
ზეციდან ჩამომდინარო.
ამოხეთქილი მთვარე ხარ,

სახით — ვარდი, მომღიმარი,
ლამაზების სამეფო ხარ,
გოგოვ, ქორფა, ცის ვარსკვლავო.
ჩემი გულის საგოგმანოთ
ძილშიც ხარ მოსაგონარი.

ია და ვარდის ფერი ხარ,
ძვირფასი მოსაპოვარი.
მტრედი ხარ, მტრედი, ფრთოსანი,
ასთე გიმღერის მგოსანი.
სახეს გიმშვენებს თვალ-წარბი,
თმები გაქვს მზის გიშროსანი.
ტანი ლერწმათა შემკული
და სახით ნაირნაირო,
სიტურფით სხივთა მოსილო,
ედემის ბაღის ყვავილო,
წარბი ყორანთა ფეროსი
და მასთან გიშრის წამწამი,
სახეს, ჩაეშხიანებულს
გიმშვენებს ორი ვარსკვლავი.
რამემ ნიავად მაქცია,
დილითვე შეგეყრებოდე.
ან ქარვის ღილად მაქცია,
ყელზე შემოგეხვეოდე.
ან ოქროს ქამრად მაქცია,
წელზე შემოგექნებოდე.
ან შენ ზღვად გადიქცეოდე,
მეც ხომალდად ვიქცეოდე,
და მუდამ შიგ ვცურავობდე,
წარა-მარა ვნავარდობდე,
ან შენ მტრედად იქცეოდე,
მეც მიმინოდ ვიქცეოდე.
ან შველად გადიქცეოდე,
მე აფთარი ვიქნებოდე.
ბაღში ჩაგინადირებდე,
კლანჭებით დაგიჭირავდე.
ნეტავ როცა მოვკვდებოდი,
საიქიოს დაგხვდებოდე.
შენ იქ მადლად იქცეოდე,
მე სამოთხე ვიქნებოდე.

1953 წ.

16. ჭვეყნად ვეძებდი საყვარელს...

ქვეყნად ვეძებდი საყვარელს,
მთლად მოვიარე ხმელეთი.
არ შევუშინდი არაფერს,
გავხიე ქარიც, ბნელეთიც.
ბოლოს შორიდან ვიხილე
ჩემი ნატრული იმედი.
მისი ღიმილი ვიხილე
და მორიდებით მივედი.
ვუთხარი:
— ალბათ შენა ხარ
ვარსკვლავი, ჩემო ტრფიალო,
ვუთხარი:
— მინდა მიწაზე
სულ შენთან ერთად ვიარო,
ლამაზო, გიშრისთმიანო,
ბულბულო, ღიმილიანო.

17. ამბავი დაქორწინებული ვაჟისა

ოცი წლის რომ შევიქენი,
დავაპირე ცოლის თხოვა,
დედაც ასულ მეხვეწებოდა —
დაქორწინდი, შვილო, დროა.
გამოვძებნით ისეთ სარძლოს,
რომ არ ჯობდეს ქვეყნად ქალი...
და ამ საქმის გასაჩარხად
დატრიალდა მაჭანკალი.

ვნახეთ დღეს ასე მომაძახა:
ქალი ვნახე, რა ქალიო,
პირად ვარდი, ტანად — სარო,
მზის და მთვარის ბადალიო.
თვალს მოგტაცებს წვრილი წელი,
მართლაც ლერწმის სადარიო.
ხმას არ იტყვი? ბულბულს ჯობნის,
პირს ადნება შაქარიო.
ერთი სიტყვით, ისე მიქო,
დამახვია თავსა რეტი.
ვთქვი, მანახა ამ წუთშივე,
და გამაძღო მისი ჰვრეტით.
ვუთხარ, ბარემ მომიყვანე,
ჩემს საბედოს შემახვედრე.
მოიცალა, დამამშვიდა,
არ გამოვა საქმე ეგრე.
სად წაგივა, სიტყვა მომცეს,
დავითანხმე დედაც, მამაც,
ჯერ ქორწილი მოვამზადოთ,
და მოგისვამ გვერდით ლამაზს.
ჰა, ქორწილიც, რეკავს დოლი,
ეკიდება ცეცხლი ჭიბონს.
უნდა მალე სუფრის თავში
პატარძალთან გამომჭიმონ,
გული ისე მიფართქალებს,
ვით ბადეში ორაგული.
ჭიშკარს მოდგნენ ცხენოსნები,
ძლივს მიჭირავს კბილით სული,
მოიყვანეს პატარძალი,
აფარია პირზე ბლონდი.
ქორწილს ბოლო აღარ უჩანს,
ვეღარ ვიტან ამდენ ლოდინს.
როგორც იქნა დავრჩით მარტო,
მე რომ ვნახე — თქვენი მტერი!
ელამი და კოჭლაბუხა,
ნახშირს უგავს სახის ფერი,
ვაი-მეთქი, დავიძახე,
დამეფარა თვალზე ბინდი.
მაჭანკალმა დამაქცია,
მის ოინებს გვიან მივხვდი.
საოცნებო ქალის ნაცვლად
ხელში შემრჩა მუგუზალი.
და იმ დღიდან სამუდამოდ
შევიძულე მაჭანკალი.

18. ედემის ბაღის ყავივლო...

ედემის ბაღის ყვავილო,
და სახით ნაირ-ნაირო,
ედემ-ბაღნარის ვარდი ხარ,
და სილამაზით ჰყვავიხარ.
ჩემი ხარ, მაინც ჩემი ხარ,
ჩემი სიცოცხლის დღენი ხარ.

ბგოსანის სიბრძნის წვენი ხარ,
ნეტავ რას გაუჩენიხარ?!
შენი მარმარილოს სახე
გავრითმე და შევინახე,
ჩემი ჩონგურის სიმებზე
და ჰანგებზე გამოვსახე.

19. სატრფიალო გაშაირება

ვაჟი

ქალო ეშხით სანაქებოვ,
სახით მზევ, გიშრისთმიანო,
ნეტავ ჩემი გახდებოდე
უტურფეს ნარგიზოსანო.

ქალი

ნეტავ, ბიჭო, შენი თავი
ასე რით მოგწონებია.
ჩემთან ცხოვრება შენისა
ნეტავ ვის გაუგონია

ვაჟი

ქალო, მაგ შენმა პასუხმა
გულში დამიტოვა დარდი.
არც ისე არ ჩამოგრჩები,
მეც მეკუთვნის ერთი ვარდი.

ქალი

იმდენადაც არ ვარგიხარ,
რომ მომწონდე, გენაცვალო,
ასე მითხრეს, შრომას ურჩობ,
უსაქმურად მხოლოდ გალობ.

ვაჟი

ქალო, ცდები მაგ პასუხში,
კიდევ არ თქვა მაგისთანა.
შრომის გმირი ვარ ქებული,
მინდა გახდე ჩემისთანა.

ქალი

ბიჭო, ეხლა მომეწონე,
გენაცვალე გმირობაში,
შენზე უკეთესს ვის ვნახავ,
ამ ჩვენს მზიურ აჭარაში.

ვაჟი

ქალო, ერთი უნდა გვქონდეს
სიცოცხლე და ნეტარება,
კომუნიზმის მზე დაგვნათის,
ნისლი ვერ დაგვეფარება.
სოციალიზმი ავაშენეთ,
წინ მივდიეართ თანდათანა,
კომუნიზმსაც ავაშენებთ,
მისთვის გვიყვარს ეს ქვეყანა,
ერთმანეთიც მისთვის გვინდა,
მაშ დაუკარ განდაგანა...

20. ქალ-ვაჟის გაბაასება

— მოდი, ქალო, შემომხედე,
მშვენიერო, ეშხიანო.
— გასწი, ბიჭო, გამეცალე,
მუქთახორა, ცოდვიანო,
ქალო, ეგი რა მითხარი,
ეგ რა ცილისწამებაა?!

— დიახ, დიახ, მართალია,
რა დროის ზარმაცობაა!
— ქალო, ზარმაცს ნუ მადარებ,
არ ჩამოგრჩები შრომაში.
— ვიცი, ძალიან ვარგიხარ
ჩრდილში უსაქმოდ წოლაში,
— ქალო, მოდი, დაგარწმუნო
ჩემი შრომით კოლექტივში.
— შრომისმოყვარე რომ იყო,
აქ რა გინდა, სხვის ნაპირში,
— ქალო, მიტომ ჩამოვედი,
მომწონდა შენი სახეო.
— სანამ მე შენ არ წამოგყვე,
წყურვილი შეინახეო.
— ქალო, იმედი მომეცი,
მეჩქარება კოლექტივში.
— ასე ძალიან რომ ჩქარობ,
რა კულტურა გაქვს ნაპირში.
— ქალო, მოდი, მოგაწოდო,
ყურძენი, შარბათიანი.
— გმადლობ, წადი, გენაცვალე,
ვინცხა ხარ, ხიფათიანი.
— ქალო, ძილში მესიზმრება
შენი ჟუჟუნა თვალები.
— აქ შრომას ნუ მაცდენინებ,
წადი, ნუ მეკინკლავები.
— ქალო, ვერ ჩამოგშორდები,
რაც არ უნდა დაჯდეს ძვირი.
— ეგებ მაშინ შემიყვარდე
შრომით თუ გახდები გმირი.
— ქალო, ექვსას შრომადღემდე
დღეს წიგნაკში მიწერია,
— არა გიშავს, გმირობაზე
ბევრი აღარ დაგკლებია.
— ქალო, რვაასს შევასრულებ,
წლის ბოლომდე, დასასრულში.
— თუ მაგ სიტყვას შეასრულებ,
მაშინ გენაცვალე სულში.
— ქალო, აწი მე შენი ვარ,
შენ თუ ჩემი იქნები.
— შრომის გმირები გავხდებით,
ბედნიერი ვიქნებით.

21. ყაიაბერის ვირი*

ცხრაას ორმოცდასამ წელსა,
ამავე წლის დეკემბერსა
ოთხი კაცის სამწუხაროდ
ვირი მუკდა ყაიაბერსა,
ამ უბედურ შემთხვევაზე
ირეკება გლოვის ზარი.
ხიჭაურის მოედანზე
გამოყავენ ვირი მკვდარი.

---

* ყაიაბერი იყო ჩეჩენი, რომელიც ცხოვრობდა ხიჭაურში. მას ვირი მოკვდომია, ვირის სიკვდილი ძლიერ განუცდია. თოფია ქათამაძეს ეს ამბავი შეუტყვია და პატრონი გულშემატკივრებიანად გაულექსებია... ლექსში მოხსენიებული ისმაილაი გვარად ქათამაძეა, სოფელ ჭვანის მაშინდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე; ემინ-ახმედი გვარად ტაკიძე, ხიჭაურის მაღაზიის გამგე; მურსელი გვარად ქათამაძე, თამბაქოს დამზადების პუნქტის გამგე; მახარაძე სახელად ნური, სოფელ წყაროთელი, ცხოველშრენვის ხიჭაურის პუნქტის გამგე; კვირიკაძე სახელად ოსმანი, ხიჭაურის მონაკვეთის გზის

როდესაც ვირი კდებოდა
თურმე უბედურსა დღესა —
ისმაილაი წყალს ასმევდა,
ვირს თავზე უსვამდა ხელსა.
მომტირალეს ფულს აძლევენ,
მოუხეთ, თხოვენ, ხმებსა.
ემინ-ახმედი კუდს უწნავს,
თანაც უსწორებს ფეხებსა.
მურსელს დეპეშით გადასცეს
ეს შემთხვევა მეტად ძვირი.
ხელიდან გამოგვეცალა
ჩვენი მეგობარი ვირი.
ეს რომ მურსელამ გაიგო,
ხელი შემოირტყა თავში.
ირემივით გამოიქცა,
მტვერი გაადინა გზაში.
გაცხარებული მოვიდა,
სად არი ჩვენი ვირია.
მივიდა და ინახულა,
დაუკრეჭია კბილია.
ოთხთავე თავს დახვეოდნენ,
მათთვის ძვირფას მეგობარსა.
ისეთად ეხუტებოდნენ,
როგორც ნეფე-დედოფალსა.
ჩვენი საათი შენ იყავ,
გვაღვიძებდი დილის წუთზე,
შენ როცა დაიყვირებდი
მივდიოდით სამსახურზე.
ამ დღეს, ამ გლოვა-ტირილში
აგი დღეიც მიიწურა.
მახარაძე გამოცხადდა,
დამზადების აგენტურა:
ტირილს თავი დაანებეთ,
წამოიყვანეთ პუნქტზედა.
სკიდკა ოთხფეხის გავიდეთ,
იქ შევისყიდოთ ფულზედა.
საბუთი გამოუწერეს,
ქვითარში გაატარესა.
ოთხმოც კილოს ანგარიშში
მურსელას ჩააბარესა.
მის სახსოვრად დაიტოვეს
ნაწილი მისი სხეული.
სამ დღეს იგი ანაწილეს,
თავი-ფეხი დანგრეული.
ღირსეულად დაიტირეს,
როგორც რომ ცხედრის წესია.
განაწილების დრო დადგა,
რიგში ჩადგა პროცესია.
ნალი კვირიკაძეს მიცეს,
შეხდა განაწილებაში.
ამას გულზე დავიკიდეფ,
ცხოვრების ვითარებაში.
კუდი ემინახმედს მიცეს,
მისთვის ძვირი ის არ ღირდა.
ამას მუდამ ვიქონიებ,
ნაფთის ბიდონზე დაკიდა.
ყური ისმაილამ წვიღო,
ბოლო გაკერა გვერდზედა,
შიგ კვესაბედი ჩაყარა.
გამოიკიდა წელზედა.
მახარაძეს ტანი შეხდა,
აწონილი ნატურითა,

ოსტატი. ამბის მონაწილენი ყოფილან აგრეთვე მუხამედ და რამიზ ტარიელაძეები. ეს უკანასკნელნი „წინდახედულად“ მოქცეულან, მელექსე თოფია ქათამაძე უნახავთ, „ქრთამად“ ხუთ-ხუთი თუმანი მიუციათ და ამგვარად ლექსში მოხსენიებისაგან თავი დაუხსნიათ. თოფიას თხოვნა კი შეუსრულებია, მაგრამ „ქრთამის“ ამბავი კი არ შეუნახავს და გაუმხელია. (ლექსის გაშიფრვაში დამეხმარა მწერალი, ჰვანის ხეობელი რამაზ დურსუნის ძე სურმანიძე, რისთვისაც მადლობას ვუხდი).

მივიდა და ჩაიბარა
დამზადების ფაქტურითა.
მეზობლებს მიცეს თავ-ფეხი,
ძაღალ ღმერთს ასე ენება.
წლის თავზე ღვინით დალოცეს
საყვარელ ვირის ხსენება.
ყაიაბერს გულს უმაგრებენ, —
ჩვენ მოგიართ, გეფიცებით.
ვირის მაგივრობას გავწევთ,
ოღონდ შენ ნუ ატირდები.
მის წინაშე ბოდიშს ვიხდით,
ვინც ამ ლექსზე აღელდება.
ამ შემთხვევის შინაარსზე
მეტი არც გამოითქმება.

22. ლენინის უკვდავება

მახსოვს, დაჰქროლა ნიავმა,
და მოიტანა ამბავი:
მზემ აიკრიფა სხივები,
დაგვხურა ღრუბლის საბანი.

გარდაიცვალა ლენინი,
ცრემლით მოირწყო მთა-ბარი.
მდინარემ დენა შეწყვიტა,
შეწყდა კლდეებში ზანზარი,
ბუნებაც მიხვდა, აღარ გვყავს
ოქტომბრის მთავარსარდალი.

მაგრამ, ბელადო, შენი ხმა,
შენი ძლიერი სახელი
მუდამ იქნება მონათა
მძიმე ბორკილის ამხსნელი.

შენი სახელი და შენი
ბრძოლით ნაწრთობი პარტია, —
ხალხებს იქითკენ წაიყვანს,
სადაც სიცოცხლე ანთია.

23. გამარჯვების ლექსი

მსოფლიოს საყურადღებოდ ვიამაყებთ გულით თანა,
დიდი სარდლის თაოსნობით მთელი საბჭოთა ქვეყანა.
გამარჯვების ხმით დავმღერით, გამარჯვება გვასხამს ფრთასა,
ცოდან ვარსკვლავ-მზე და მთვარე შენატრის კავკასის მთასა.

გადარჩენილსა რუსეთსა, მის მადლიან სივრცე მდელოს
მხარში უმცროს მოძმედ უდგას სატვრისთვალი — საქართველო.
გამარჯვების სარდალს ლოცავს ყველა ერი, ყველა რასა,
ვაშა უკვდავ ხალხის სიბრძნეს, ვაშა დიად პარტიასა.

მისი დიდი მოწოდებით ისმის გამარჯვების ზარი,
მტერი ბუნაგში იხრჩობა მისგან დაღვრილ სისხლის ღვარით,
წითელი დროშა ფრიალებს ვით გამარჯვების ნიშანი,
საქებრად ამღერებულა სისხლში მკვნესარი ქვიშანაც.

და იმ დროშის სხივთა ფენა მთელ მსოფლიოს ეფინება,
საბჭოეთმა მზედ აქცია მისი წმინდა შეპირება.
ვისაც უხარის, ზეიმობს, გულს იგლეჯს ვისაც სწყენია,
უძლეველია ერთობა, ხალხის ნიჭი და გენია.

იქ სადაც ხარობს სიმართლე, მტერი რას დაიბუდებდა,
ახ გოლიათი ოდესმე შემკრთალა განა ბუზებთან,
სამშობლოს დამცველს ეშოსა ხელთუქმნელი ჯაჭვ-პერანგი,
იქ ბეღურა თაოსნობდა, ჩვენში არწივ-ფარშევანგი.

წითელ ჯარს და მის თაოსნებს, გამარჯვება მათ მხარესა,
ბუდიონს და ვოროშილოვს, როკოსოვსკის და ჟუკოვსა.
სათავეში ლომი ედგათ, ქვეყნის ბედი ეპყრა ხელში,
ორბი-არწივ-შევარდენი წიწილს ჩეკდა ერთ ბუდეში.

შეხეთ სიმართლის განაჩენს, სცოდნია არმორიდება,
და ვისაც ასე სწყუროდა სხვისი ავლა და დიდება —
იმ მეოცნებე საცოდავს, ეს რა მოსვლია ჰიტლერსა,
ჭუჩებში წყევლით ათრევენ იმის შუბას და კიტელსა.

დიდი საბჭოთა არმია ურყევია მსოფლიოში,
მას სათავეში დიდსარდლად რომ ედგა რამ გენიოსი.
თვით გმირი გმირთა ქვეყნიდან, საცქერლად პირსაამოსი,
მსოფლიო მხედართმთავარი, იოსებ გენერალ სიმუსი.

მოსკოვს შეჰხარის მსოფლიო, ვით მზისკენ შენამზირები,
და როგორც ცაზე ვარსკვლავი, გამრავლებულან გმირები,
ვინც სხვის მონობას ლამობდა, იმას სამარე ეღირსა,
ვერ გაძლო გულმა, მამღერა სიმღერა გამარჯვებისა.

24. სიმღერა ისრაფილ ჯინჭარაძეზე

აჭარის მთებს აუზრდიხარ,
შავზღვისპირ, მახინჯაურსა.
პირველი გმირი აჭარის,
არწივად ჰყავხარ მამულსა.

აჭარა შენით ამაყობს,
მტერს უმტვრიო ავი კბილი,
რა დედას გამოუზრდიხარ
გმირი, საამაყო შვილი.

გვესმოდა ვისაც შეები,
ქრებოდნენ როგორც მტვერია.
რჩებოდა გვამი მდელოზე
ყვავების სახარელია.

შენგან მოქნეულ ყუმბარას
მტრის შტაბი დაურღვევია.
ის როგორც ქაჯეთის ციხე
ტარიელს დაგინგრევია.

მაღლით ხხივებში ნავარდობ,
ახლოს ხარ მზისა თვალოსა.
არწივისებურ ნავარდით
ძმად გაჰყოლიხარ ჩკალოვსა.

ვიცით, აღუთქვით სამშობლოს
არც მეხს უშინდით, არც ქარებს,
უკვდავ გმირობად დარჩება
რაც მტერზე გაილაშქარეთ.

25. ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში

მიისწრაფვის კომპარტია
ნათელ კომუნიზმის გზაზე,
ახლოვდება განთიადი
კომუნიზმის შუქი ცაზე.

ერთიანი ძმური შრომით
ბაღნარი დავაგეთ ზღვაზე,
კომუნიზმი ახლოვდება
საბჭოთა დედამიწაზე.

ეს პროგრამა ყველასათვის
საოცნებოდ გადაიქცა,
ოქტომბრის მონაპოვარმა
მშრომელ ხალხს ფრთები შეასხა,

შექმნა შრომა ერთიანი,
უხვი და ბარაქიანი,
ტკბილი შაქრიან-რძიანი,
საერთო დოვლათიანი.

შექმნა მშვიდობა დიადი,
კომუნიზმის განთიადი,
ხალხთა ცხოვრება მზიანი,
ბაღნარი ყვავილოვანი.

საბჭოთა მეცნიერება
გადიქცა რკინის ფრთიანი,
კოსმოსს ასტუმრა გმირები,
ტიტოვ-გაგარინიანი.

კომუნიზმი ჩვენი ქვეყნის
დიდი ოცნების ღერძია.
ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში
რაც ქვეყნად უკეთესია.

1962 წ.

26. სადღეგრძელო

მომისმინე, მასპინძელო,
ღირსეულად გადღეგრძელო.
ჩონგურზე ტკბილად გიმღერო,
და გადმოგცე სამლოცველო.

ქორწილის სიამოვნება
ოჯახში არ დაგლეოდეს.
მოყვარე-ნათესავები
კვლავაც ბევრი მოგსწრებოდეს.

ოჯახში მხიარულება
არასდროს გამოგლეოდეს,
რძალ-შვილისგან ბადიშები
ასეული მოგწრებოდეს.

ვაჟი იქნება თუ ქალი,
არც ერთი არ მოგკლებოდეს,
გემრავლოს ფუტკარიითა
და სულ ყველა გაგზრდომოდეს.

ბადიშების ქორწილებიც
სულ ყველანი მოგსწრებოდეს.
და ეს ჩემი სადღეგრძელო
მაშინ იქ მოგგონებოდეს.

მაშინ სავსე ღვინის ყანწით
სტოლიბაშად იქნებოდე.
მე კი ამ ჩემი ჩონგურით
და სიმღერით გასტუმრებოდე.

27. ჩვენი დიადი სამშობლო

ჩვენი დიადი სამშობლო,
ცისარტყელად მოქარგული,
ხმელეთზე დიდი ხმელეთი,
მთელი დედამიწის გული.

შეერთებული შრომითა
გმირთა სახელი განთქმული,
მშვიდობის, შრომისმოყვარე,
ხალხები ძმად შეფიცული.

პლანეტის დიდი მშვენება,
შუქურვარსკვლავი ცისკრისა,
მას მშრომელ ხალხის ნაქარგი
შუქი ჰფენს კომუნიზმისა.

კომუნისტური პარტიის
მარჯვენი ფოლადისაო,
თავზარს სცემს მტერს და ორგულს
როგორც ტალღები ზღვისაო.

თავისუფლების მჭედელმა,
ლენინ-სტალინის პარტიამ,
რომ ქარიშხალი ვერ არყევს,
იცეთი დროშა ასწია.

და ამ დროშის ქვეშ ურყევად
მიდის მშრომელი ხალხია,
ქედს კომუნიზმის ჰანგები,
მსოფლიოს გადასძახიან.

მსოფლიოს ყველა მშრომელნო,
იკითხეთ ლოზუნგი დიდი,
გადაიყარეთ ღრუბელი,
აიხადეთ თვალზე ბინდი.

შეერთდით, პროლეტარებო! —
მსოფლიო მოწოდებაა.
კომუნიზმის გზას ესწრაფეთ! —
შრომელთა მოწონებაა.

28. საბჭოთა რაკეტა მთვარეზე

დედამიწიდან მთვარემდე სამყარო დიად ვრცელია
და სახე ბადრი მთვარისა სინათლით შეუცვლელია,
არც აქვს სადგური სინათლის, არც სითბოს გადმომშვებია,
არც აქვს ლამპარის კერია და არც ელექტროდენია.

მის ქვეშ მცხოვრები ხმელეთი ყველა მას შემოსცქერია,
დრო და მანძილი გავლილა მილიონიანი წლებია,
და ამ წლეების მანძილზე დღემდის ვერვინ სტუმრებია,
დღეს კი საბჭოთა რაკეტა მას თავზე შემოფრენია.

საბჭოთა მეცნიერებამ ამოხეთქა მასთან სიბრძნე,
გაარღვია საოცნებო უჰაერო ზონა, სივრცე,
მთვარეს სტუმარი ესტუმრა საოცარი, უცნობელი,
კოსმოსიური რაკეტა, საბჭოთა მახარობელი.

შემოუვლია მთვარეზე, მის სამეფოს დაფრენს თავზე,
მის სივრცეში დასრიალებს იმ უნახავ პლანეტაზე.
ეს საბჭოთა მიღწევაა მეცნიერულ გამოთქმაზე,
მისი იდეა აქ ხარობს, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაზე.

საბჭოთა მეცნიერება, ზღვაზეც, ხმელეთზეც დიდია,
ხმელეთიდან პლანეტაზე დიადი სიბრძნის ხიდია.
მთვარეს ეზოზე დასძახა კარი გამიღე ბიძია,
მე ვარ საბჭოთა შიკრიკი, კომუნისტური ჩიტია.

გხედავ, საბჭოთა გენიამ პლანეტაზე გადალეკა,
შემოუარა სამყაროს და მთვარეზე ამოხეთქა.
მთვარე საბჭოეთად იქცა, დროშა აჩუქა რაკეტამ,
ზედ უკვდავად ეწერება უძლეველი სსრკ-ა.

29. გურულისა და თოფიას გაშაირება

გურული

შენ თოფიავ, მეჩონგურევ,
დაღიღინობ, რას აკეთებ.
ტანზე სამოსით მორთულხარ,
ქალაშნები გშვენის ფეხზე.
მაგ ლამაზი მორთულობით
ხომ მოხიბლავ ქალის თვალებს.
სამეფიოდ მე მივდივარ,
მათხოვე ან გამიცვალე.

თოფია

ქალაბნები რა ყოფილა,
ქამარიც მიმშვენებს წელსა
ეს რომ მოგცე, იმას ვშიშობ,
დედოფლისთვის მომთხოვ...
ბრევლსა!

30. თოფიას მინაწერი ძმის, მემედისადმი

შორიდან სალამს მოგიძღვნი, უძვირფასო, სანატრელო,
განათლებით უდიდესო, დიდი გონების მხატველო.
ძმებისგან მონატრებულო, რა ბევრი ხნის უნახველო,
რა დიდი სიდუხჭირისგან დიდი გზის გადამლახველო.

ეს ხუთი წლის გზის მანძილი სიძნელით გიტარებია,
გაჟკაცის, გმირის ქცევაზე ალბათ შეგიდარებია.
ეს ძველთა ბრძენის თქმულია, შიში არ გქონდეს ყოვლისა,
ციხე ვაჟკაცის ტახტია, ლოგინი — ავადმყოფისა.

ყოველი შენი იმედი, წადილი შენი გულისა
ღმერთმა გამარჯვებით მოგცეს და ტკბილი დასასრულითა,
ღმერთით ადრე გვინახულებ, ჩვენთან იქნები რთველიზა,
საჯამთელო უხვი გქონდეს და არცა ნაკლი გულისა.

ჩვენსა ამბავს თუ იკითხავ, მემედ, უნდა მოგახსენოთ,
ცოცხლები ყველა კარგად ვართ, რაღა ბევრი გავაგრძელო.
უნდა გითხრათ და გიამბოთ, რაც არის ბუნების წესი,
რამაც ოჯახს მოგვავლინა დანაკლისი უდიდესი.

მამა, ძვირზე უძვირფესი შვილებს ადრე გაგვეპარა,
დაგვტოვა და აღარ გვნახა, ვაიმე, თვალს აგვეფარა.
კერასთან, თავის ბალიშზე უდროოდ გამოგვეცალა,
დიდზე უდიდეს ბუნებამ ჩვენ გლოვისთგის მოგვაცალა.

მუდამ შენ მოგინატვრიდა, მაგრამ შენ არ ყავდი სახლში,
შენი სინატვრის წყურვილი მომაკვდავს წაყვა მიწაში.
მუდამ იმას მამღერებდა, ჩონგურსაც მომცემდა ხელში,
შენ რომ მას ლექსი მოსწერე ათას ცხრაას ორმოც წელში.

გითხრათ მამის სიკვდილის დღე ცხრააასორმოცდაოთხ წელში,
აი ამ დღეს გაგვერიდა, ქირეზაისა თერთმეტში.
სიკვდილის დღეს თავის ცოლ-შვილს ტუჩებით ეღიმებოდა,
ისე ტკბილად დაიხარჯა, ვითომც რომ ეძინებოდა.

მემედ, მამაჩვენის ხსოვნას საუკუნედ შევინახავთ,
მის სახელს მაინც ვატარებთ თვალით თუ ვერ დავინახავთ.
სასაფლაო აქ დაგუდგით, ვინახულებ სამჯერ დღეში,
და მით გულს მოვიმკურნალებ, ესეც ერთია ნუგეში,

ეს სიმწუხრით მონაწერი, თოფიასგან გამოთქმული
მიიღე და ინუგეშე, როგორც უმცროსი ძმის გული.
მით ვამთავრებ ამ სათქმელსა, თუმც არ მეთმობა კალამი,
ათასი კოცნა მიიღე და გაშარჯვების სალამი.

1945 წ.

81. მემედის პასუხი

სალამი და ნახვის ნატვრა უმცროსო ძმაე, თოფიავო,
აქაისებურ ლექსებში შენ ხომ ვერ გაჯობებს სხვაო.
ნიჭით პოეტის ჯილდო გაქვს, საჩონგურეთ ტკბილი ხმაო,
გთხოვ უფალს, კიდევ ვისმინო შენი ტკბილი გამოთქმაო.

თანაც, დიდად მენატრები, მაგრამ დროებით რა ვქნაო,
ვიმედობ ბუნების ძალით, რომ მოკლე ხანში გნახავო.
თმას ჰაღარა ჯერ არა მაქვს, გული კი მაქვს როგორც ქვაო,
არ შეწუხდეთ, ყველას გნახავთ, არც წამიხდეს ლექსის თქმაო.

მაგრამ მაშინ რაღას ვიტყვი, მამას რომ ვეღარ ვნახავო,
სამარეს კარგად შეხედეთ, რომ პირზე ცრემლი ვაყარო.
დედას ნუგეშით ვიგონებ, სალამი მას, დიდებაო,
იმას მაინც ვინახულებ, იქნება ღმერთის ნებაო.

საყვარელო და ძვირფასო, გამზრდელო ჩემო, დედაო,
ტკბილი ხარ, ამას კი გეტყვი, ჩემგან არ გინდა ქებაო.
. . . . . .
თექვსმეტ ივნისს, ორმოცდახუთს მივიღე შენსგან ბარათი,
უბრად ვიყავ, მომაწოდეს, შვადღე იყო, სამშაბათი.
ლექსი-ლექსად წავიკითხე, დამატკბო როგორც შარბათი,
მამის ხსენებას მივსდექი, თვალს წამომეჭრა ასანთი.

საყვარელო მამაჩემო, გულით ნახვის სანატრელო,
მემედ ვარ მე, შენი შვილი, ეხლა სად ხარ, უნახველო.
აწი მშვიდობით ძმანებო, უფროსო და უმცროსებო,
ნაცნობ-ნათესავ-მოყვარევ და სულყველა მეზობლებო.

და სამშობლოვ, მდელოტურფავ, სილამაზის მზით ნაგებო,
ისე ვკვდები, ვერ შევძელი სიტყვა თქვენი სანაქებო.

ასიე (კულა) ხაბაზი



ასიე (კულა) ყემბერის ასული ხაბაზი დაიბადა 1923 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში, ცნობილი სახალხო მელექსის, ყემბერ სუსეინის ძე ხ.ბაზის ოჯახში. თავის დროზე ყემბერი უაღრესად პოპულარული სახალხო მთქმელი იყო, მისი ბიოგრაფია განუყრელადაა დაკავშირებული აჭარის ისეთ აღმოცენებულ სახალხო მელექსეებთან, როგორიც იყვნენ სუსეინ ბაგულიძე, ქამილ ჯინჭარაძე, მემედ ჭყონია, ხასან კომახიძე და სხვები. ცხრა შვილი ჰყოლია ყემბერს, მათ შორის ასიე ყველაზე უმცროსი იყო და მამას გამორჩევით ჰყვარებია. შვილები ერთმანეთისაგან ვის გამოურჩევია, ყველა ერთნაირად ეხატებოდა გულზე ყემბერს, მაგრამ ასიეს გამორჩევის მიზეზი სულ სხვა იყო, — ყემბერს ცოლი ადრე გარდაეცვალა და ნაბოლარა ასიე აკვნის ასაკისა შერჩა გასაზრდელად... „დედა არ მახსოვს, — იგონებს ასიე, — სამაგიეროდ, სანამ ვიცოცხლებ, არასოდეს დამავიწყდება მამის სითბო და ალერსი, იგი ჩემთვის მამაც იყო და დედაც. შვილების ხათრით მამაჩემმა ცოლი არ შეირთო, იფიქრა შვილებს დედინაცვალი არ დავუსვაო, ამიტომ, თვითონ დღე და ღამე დასვენება არ ჰქონდა, რომ ჩვენ, წვრილშვილებს არაფერი დაგვკლებოდა.

ასიემ ფეხი აიდგა თუ არა, ყემბერი სადაც წავიდოდა, თურმე თან დაჰყავდა პატარა გოგონა. უჭირდათ, მაგრამ სკოლაც დაამთავრებინა აჭყვისთავში. ყემბერმა თვითონ წერა-კითხვა არ იცოდა, „მგოსანს კალამი რად უნდაო", — იტყოდა თურმე. ჩონგური ჰქონდა და რასაც თხზავდა, სიმები ამღერებდნენ, მაგრამ სწორედ მეგობარ მელექსეთა საპატიო

გაშაირებანი მოსდიოდა, პასუხს კარნახობდა პატარა ასიეს, აწერინებდა და ისე უგზავნიდა. ასე დაიწყო მამისა და შვილის სულიერი სიახლოვე და ვინ იცის, იქნება, სწორედ აქედან გაღვივდა მომავალი მელექსე ქალის პოეტური ნიჭი და უნარი.

ყემბერი ქალიშვილს ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრასაც ასწავლიდა. მისი წყალობითა და ზრუნვით კარგად დაუფლებია გიტარას, ჩონგურს, ფანდურს. მამა-შვილი ერთად მღეროდნენ ხან მამის და ხან თვითონ ასიეს ლექსებს. „მე და მამა ერთად დავყავდით ხალხს სოფლიდან-სოფელში, ლხინი იქნებოდა თუ სხვა, ვალხენდით მათ. ხალხსაც გამორჩევით მიაჩნდა ჩვენი თავი“ — იგონებს ასიე.

თუმცა უცნაურად, მაგრამ გულმხურვალე მამის ხელში მაინც ბედნიერმა ბავშვობამ უცებ გაიარა და ასიე ცხოვრების ძნელ გზას დაადგა. მალე დამოუკიდებლად თხზავდა ხალხურ ლექსებსაც, თუმცა, მამას კარგად მოესწრო ამ საქმეში მისი დახმარებაც.

დაუსრულებლად შეუძლია ასიეს ილაპარაკოს იმ წლებზე, როცა ხაბაზების ოჯახს აშეკრთომოდა ხალხური მელექსეების ნამღერი კერა იყო. „მახსოვს, ან რა დამაკიწყებს, როცა ჩვენთან ხუსეინ ბაჯელიძე ამოვიდოდა. ის მაღლიანი მკერდი კაცი მაშინ უკვე სრულიად თვალთაგან ჩინწარმეული იყო. ზოგჯერ მისი კარნახითაც ვიწერდი ლექსებს, განსაკუთრებით სპარექიოს თუ იტყოდა რამეს. ჩვენთან სტუმრობდა აგრეთვე ხასან საბაზი (საბაძე). შეიყრებოდა სამეული, საუბრობდნენ ტკბილად, წითელ ღვინოს შეექცეოდნენ და როცა შეზარხოშდებოდნენ, ერთმანეთს ლექსის წინწკლებს დააყრიდნენ. მერე ის ლექსები, დღესაც კი არ ვიცი, საიდან, ხალხში გადიოდა და როცა მე და მამა სტუმრად მივდიოდით, ჩვენსას ნათქვამი ლექსები ქვეყნის კიდეში ევხვდებოდა...“

სიკვდილის წინ მძიმედ ავადმყოფ მამას ასიე უხმია და უთქვამს: „მე ვკვდები ჩემო მელექსე გოგო და ერთი თხოვნა ისევ შენ უნდა დაგიტოვო, — რაც ლექსი მითქვამს, თუ შეძლო და გაიხსენო, გადაწერე, შეინახე, ეგება მომავალში ვისმეს დასჭირდეს და გამოადგესო...“ ეს რომ მითხრა, თვალი მილულა, ცოტა ხანს დუმდა, მერე თვალი არც აუხელია, ისე მიხმო კიდევ, ახლოს მისული რომ დამიგულა, კალამი მოიმარჯვე და წერეო, მითხრა და ლექსი ჩამაწერინა. ეს ლექსი ახლა წიგნებშიცაა დაბეჭდილი, „სიკვდილის ლექსი“ ჰქვია მას“... ამას რომ იგონებს, ასიეს თვალში კურცხალი უციმციმებს, მალავს, მაგრამ მაინც ეტყობა, ცრემლებს ჩუმად რომ ყლაპავს...

მძიმე და ეკლიანი გზის გავლა მოუხდა ასიეს. ომი, შიმშილი, სიღარიბე... მამა გარდაიცვალა, ძმები ფრონტზე გაიწვიეს. გათხოვილი დები თავიანთ წვრილშვილს ძლივს აუდიოდნენ. მამისეული ოჯახი კი ასიეს კისერზე დარჩა. ღამეებს ათენებდა, თბილ წინდებსა და ხელთათმანებს ქსოვდა, სამკუთხა ბარათზე გაშამხნევებელ სტრიქონებს ლექსად წერდა და ძმებს ფრონტზე უგზავნიდა. სამიდან ერთი ძმა ბრძოლის ველზე დარჩა სამუდამოდ. მამისეულ ოჯახზე მარტოდარჩენილს მოუხდა ასიეს ამ სიმწარის გადატანაც... ყველა ამ ჭირ-ვარამის გამომვლელ ქალს სილაღე და ლექსის სიყვარული არათუ არ გაუნელდა, პირიქით, გაუსკეცდა. ლექსით იმაგრებდა გულს გაჭირვების ჟამსაც, ლექსით და ხუმრობით. ხუმრობა ვახსენეთ და ასიეზე ამბობენ, რომ გათხოვდა და ქმართან, ოდაში მარტო რომ დარჩა, ახირებულმა მელექსემ მასთან დაწოლილი საქმრო გააწბილა, საქმრომ კოცნა რომ დაუპირა, კოცნით კი აკოცნინა, მაგრამ მეტი აღარაფერი დაანება, — უთხრა: „მე ჩემს ძმებს სირცხვილს არ ვაჭმევო...“ ჰოდა, მეორე დილით გადაიკიდა მხარზე თავისი აბგა და ასე დაბრუნდა ისევ მამისეულ სახლში... რა თქმა უნდა, ასიეს შინდაბრუნების მიზეზი მარტო ეს არ იქნებოდა, მაგრამ სალხმა ასიე ცუდი ენისათვის არ გაიმეტა, ისევ სასიყვარულო-სასუმარო სამოსში გახვია მისი ტკივილი და ისე დაიმახსოვრა. ჰოდა, მოლხენის დროსაც ლექსით ილხენდა ასიე, თუ რამ სალხენი გამოერეოდა ნაღვლიან დღეებს. იგი დღესაც მამისეული ოჯახის ფუძეზე ზის და პატიოსანი ლექსებით ბერდება.

მამის შემდეგ სულიერი სიახლოვე ასიემ ძმის შვილთან, ნათელა ჯაბაზთან იგრძნო ყველაზე მეტად. მელექსეობის ნიჭი ნათელასაც მიპმარლებოდა და მამიდა-ძმისწული ხშირად ლექსითაც გაიპაექრებდნენ-ხოლმე. სოფლის ქალებს მოსწონდათ მათი სიტყვამოსწრებულობა და ლექსის სიხალისე. ნათქვამია, კვიცი გვარზე სტაისო, — და ისინიც წინაპართა კვალზე მიდიოდნენ, ნათელა გამოღმა გორზე ცხოვრობდა, ასიე კი — გაღმაზე. აკი თვითონვე ამბობს ერთგან ნათელასთან პაექრობაში:

ჩვენ ვწეროთ გაღმა-გამოღმა,
არ დავგმოთ გვარი-სახელი...

აქ „გაღმა-გამოღმა“ ორი გაგებითაა ნათქვამი: ერთი რომ ისინი მართლა გაღმით და გამოღმით ცხოვრობდნენ, მეორეც — რომ ლექსებს უცვლიდნენ ერთმანეთს იქით და აქეთ...

რაც შეეხება სასელოვან მამასთან, ყემბერ ხაბაზთან სულიერ სიახლოვეს, ამაზე მასივე სტრიქონების დამოწმება შეიძლება:

მამაჩემიც ლექსებს თხზავდა,
მას ჰყავდა ერთი ბებურა...[1]

ასიე ხაბაზი მესამე თაობაა ხაბაზების მელექსეთა შტოსი. როგორც ვთქვი, ასიეს ბაბუა იყო ხუსეინ ხაბაზი (ქამჯარაძე), ასიეს მამა კი ყემბერ ხაბაზი ანუ ხუსეინ საბაზი (ქამჯარაძის) შვილი.

წუთისოფლიდან ისე გადავიდა ყემბერი, სულ უხაროდა და ხმამაღლაც ამბობდა რომ ქალიშვილიც მელექსეობდა, შენ „აჭყვისთაველი ატატო" უნდა იყოვო, ეტყოდა თურმე ხშირად შეყულიანებით. „ლექსის თქმა ნუ გრცხვენია შვილო, ლექსზე კარგი და უკვდავი არაფერი სახელი აბ არის ამქვეყანაზეო", — ეტყოდა თურმე მამა.

ასიე მრავალმხრივი ნიჭის მელექსეა. მისთვის ერთნაირად საყვარელი და ხელმისაწვდომია ხალხური პოეზიის ყველა ჟანრი, მაგრამ მისი სტიქია მაინც გაბაასება და გალექსებაა. გაბაასების უმეტესი ნიმუშები მკითხველს შეუძლია ნათელა ხაბაზის მასალებში წაიკითხოს,[2] ასიესთან, აზიკომ აღარ მოგვაქვს, ხოლო ლექსების სხვა ნიმუშების რჩეული ნაწილი გავურთეთ მის ბიოგრაფიას.

დღეს ჭარმაგი, ცხოვრებისეული გამოცდილებითა და ჭირ-ვარამით დაბრძენებული ქალია ასიე, თუმცა ხალხურ ლექსს მაინც ძველებური სიყვარულით და ერთგულებით სწყალობს. მისდევს ცხოვრებისეულ კიბებილიკებს, ხან აღმა მავალსა და ხან დაღმა დაშვებულს, ხან მწუხარეს და ხან სიხარულიანს და ამის მიხედვით მართავს თავის ზეპირხალხურ ქნარსაც. აკი ამბობს კიდეც:

მუზა მჭვს მოსულ-წასული,
დღით იქნება თუ ღამითო...

ლექსებს იგი უკიტესად ზეპირად თხზავს, მხოლოდ იმისათვის, რომ დავიწყებული არ იქნას, არ დაიკარგოს, იწერს ხოლმე. თუმცა, მამასავით, ასიეც იმ აზრზეა, რომ ნამდვილმა ლექსმა თვითონ უნდა გადაირჩინოს თავისი თავი და ისემც, პოეტმა თუ მთქმელმა, რადგან „...მგოსანს კალამი რად უნდა..."

ასიე დღეს თუმცა ჭარმაგი, მაგრამ ჯან-ღონით სავსე ქალია, ამიტომ გვჯერა, კვლავაც გამდიდრდება მისი პოეტური სამწყსო მომავალში, და რაც დავწერეთ, არც ეს არის მისი ბიოგრაფიის დასასრული.

[1] იგულისხმება ატატო ბებურიშვილი.
[2] იხ. ნათელა ხაბაზის მასალებში, ქვემოთ.

1. აჭყვისთავი

ვინ შეგადარა აჭყვისთავს,
ვინ მოგიქარგა სახელი.
სტუმართ მიმღები, მოყვარე,
ესაა ჩვენი სოფელი.

კლდე-კაპანაზე ჩანჩქალებს
ცივ-ცივი წყაროს წვეთები.
მანდარინს ფერში ყვითელსა
შემოურტყია ღვედები.

მზე ჩადის, გორებს ანათებს,
ბუნებას დაუნერგია.
ძველთან ახლებიც შრომობენ,
ადათია და კარგია.

გადიან ჩაის კრეფავენ,
ნაზად იღებენ ფოთლებსა.
მანქანებს გადატვირთავენ,
ხვავით ავსებენ გოდრებსა.

მომღერალებიც ადგილზე
შეერიან კრიმანჭულითა.
მოგართმევს ღვინოს, ხვანჩკარას,
ამოღებული ჭურითა.

2. ლექსი ჯარისკაცის ძვრივს

შეირყა ზეცა და მიწა,
მოწყდა ვარსკვლავი ცაშია.
სტირიან ჯარის მჭრივები
ჭმარებს ელიან სახლშია.

მზე ამოდის და მკლავ ჩადის,
არ უთენდება მჭრობსაო.
იტანჯებიან დღე-ღამით,
ხელი არ აცდეს შვილსაო.

მშვიდობის ზარსა უსმენენ,
მუდამ უგდებენ ყურსაო.
იბრძვიან, ხეტიალობენ,
ეძებენ ლუკმა-პურსაო.

როგორ ატირდა დედები,
ჩამოგავს წვიმის ღვარსაო.
შეხოვლან შავს მაზარებში,
კაბით იწმენდენ თვალსაო.

ვინ მოიგონა ეს ჯახი,
რომ დრო დაეცეს ძირსაო.
მოისპოს ჩვენში სიმართლე,
ძალა მოაკლდეს შვილსაო.

მკლავ დაგვიბრუნდა მშვიდობა,
ზოგისთვის ისევ ბნელაო.
შინ მოუსვლელთა მჭრიველი
ისევ სტირიან ყველაო.

ზოგშა ვაჟები დაზარდენ,
ზოგმა კი კარგი ქალები.

ვაჟკაცურ გამოიტირეს
ომში ნაბრძოლი ქმარები.

დეიღოცოს მათი მარჯვენი,
ვინც არ დაკეტა კარები.
და მაინც გზისკენ უჭირავთ
შავი, ლამაზი თვალები,

3. ის წარსული ძველი დროი

ის წარსული ძველი დროი
მინდა მოგახსენო ყველას.
ისე უცბათ გაიპარა.
თუკი იცნობით ვინმე, მელას.
მეზობელი ბიძა მყავდა,
მოიწვია ქორწილია.
დოლი ზურნა და ჩონგური,
მაშ გაიმართა ლხინია.
პატარა ბავშვი ვიყავი,
ინტერესი მჭონდა დიდათ.
ნეფე კარგი შევახვედრეთ,
დედოფალი იზამს ხიდათ.
ჩამოხადეს პირზე ჩადრი,
თვალები ეჭუჭებოდა.

ნეფე კარს უკან დაუდგა,
დანახვა ეჩქარებოდა.
პურ-მარილი გაიშალა,
ოც კაცს ედო ერთი ჯამი.
ზოგმა ახლოს ქე მიუჯდა,
ზოგს კი ჰქონდა ჭამის ჯავრი.
თაროს იდო ფუტის ლამპა,
რასაც ვამბობ სიმართლეა.
ლხინი ვიღამ დაინახა,
თვალთ არ გვქონდა სინათლეა.
ახალგაზრდებმა ისმინეთ,
ეს დრო რარიგ მენანება.
მომავალმა დაუკვირდით,
გქონდეს სწავლა-განათლება.

4. გაზაფხულმა უთხრა ზაფხულს

გაზაფხულმა უთხრა ზაფხულს
ჭაუყვავებ მთებს და ბარსა.
მამულს ისე ჩაგაბარებ
ვერვინ ახლებს ცუდად ხელსა.
მოკაშკაშე ცაც დაგუურებს,
მზეც მოგაწვდის მრავალ სხივსა.

აავსებს და დაგვიმწიფებს
ციტრუსოვან მრავალ ხილსა.
თან მოვიხმოთ გმირთა-გმირი
ჩვენი საყვარელი ხალხი.
მშრომელისა წინ აბრუნე
და უშრომლის—უკან ჩარხი.

5. ავსა კაცსა

ავსა კაცსა ავი სიტყვა
მხოლოდ ქებად მიაჩნია.
ჩვეულსა შხამის მოამბეს
ეს სიმდიდრედ გააჩნია.
ენას გეტყვის დაშხამულსა,
არასოდეს მოშუშდება.
ადამიანს სისხლძარღვებში
ეკალივით ჩაერჭობა.
სიტყვის მწარისა წარმოსთქმა
წუთელს გადაქცევს შავადა.
კარგს დაჩაგრავს შავადა და
გულს აიოხებს თავადა.
ენისაგან განგმირულსა
მკურნალობა არ მჭირდება.
ხანდაზმულსა შეერცხვება
მაგრამ ძვირი დაუჯდება.

6. დათვის საჩივარი*

ზამთარი გამოვიარეთ,
დავჭყავი დაბლა ველზეა.
დავითის ყანა შევჭამე,
გაველი შემდეგ გვერდზეა.
გამძღარმა ფრთხილად ვიარე,
თან მახლდა ორი ბელები.
უკან მომყევით შვილებო,
არ გცდეს ჩემი ხელები,
უცბად გაისმა თოფის ხმა,
დათვი გამგმირეს ყელშია.
იქ მივატოვე ბელები,
შევჭყეფი მაღლა ტყეშია.
ბევრიც ვეწვალე, ვიყვირე,
ვეღარ ვიხმარე ძალაო.
ბიჭებმა გამაკრეს ხეზე და
სხვამ სახლში წამიყვანაო.
მაბრუნეს წალმა-უკუღმა,
გული იჯერეს ჩემზეა.
ჩემი ბელების ღმუილი
გაისმის გალმა სერზეა.

* ამ დათვს ასიეს ძმის, — მემედ ხაბაზის ყანა დაურბევია. დათვს აეკაცობა არ შეარჩინეს და მოკლეს. მერე ტყავი გააძვრეს და ხორცის გაყოფაზე ველარ მორიგებულან, რაზეც ასიეს ლექსი უთქვამს.

ბიჭებმა ორად გაიყვნენ,
ზოგმა წავიდენ ბელებზე.
შემედი, ბევრი მეკუთვნის,
რომ არ გიკბინე ხელებზე.
ამჩარიქეს, დამჩარიქეს,
გამიკიდეს უჩერეთი.
ერთმანეთს ედავებოდნენ,
მე მეკუთვნის უფრო მეტი.
ჩემი ხორცის ნაკუწები
ვერ გაიყვეს, არ იკმარა.
ზოგი გულს მეკიდებოდა,
იძახოდნენ ჩქარა-ჩქარა.
აბა ტყავს ვინ შემატევდა,
თენგომ მიმათხარა კბილი.

მხეცი ასე გამამწვალეს,
თქვენ ჩაიტკბეთ მხოლოდ პირი.
ჩემი ხორცით იქეიფეს,
მჭონდა ხორცი გეშრიელი.
არ გეგონოთ თქვენი თავი
აწი მხოლოდ ბედნიერი.
ჭემედი უფრო იბრძოდა.
დათვი ხომ მე მოვკალიო.
ხორცი თუ არ მომიწიოს,
მე მარგუნეთ ბარკალიო.
მშვიდობით ჩემო ბოკვრებო,
მარტოდ დაგტოვე ტყეშია.
თქვენც მოერიდეთ, მემედას
თოფი უპირავს ხელშია.

7. ლექსი ვახუშტი კოტეტიშვილს

ბატონო, ლექსი დავწერე,
დიდი გამჩენის წყალობით.
გადმოგვათოვდა ფიფქებათ
ლექსს რომ ამბობდი გალობით.
ხელში ავიღე კალამი
რომ წერაშია ვაღამო.
ცისფერ ეკრანზე ვიხილე
თქვენი ლამაზი საღაშო.
მაყურებლები მოგვხიბლა
ლექსი გვიამბე ძვირია.
არ მეხერხება მხოლოდ მე
სიტყვა რომ გითხრა ტყვილია.
რა მეგალობა არ ვიცი,
სანამ კი მოვიგონებდი.

თქვენმა ლამაზმა ლექსებმა
ცამდე ამაღლა გორები.
ხალხური მთქმელი ბევრი გყავს
გოგონები თუ ბიჭები.
ზოგმა სიგრძე გიზომა და
ზოგმა კი განით ბეჭები.
რაღას ერჩოდით თინასა[1].
რომ გაუზომეთ ცხვირია.
ენის მოკვეთაც უწოდეთ,
მოსცილებოდეს ჭირია.
თან გავიცანით მზექალა,[2]
ქება რომ ითქვა რწმენითა.
იმათი ლექსიც ვისმინეთ,
ნაწერი ოქროს ხელითა.

---

1 თინა — მთქმელი.
2 მზექალა — მთქმელი.

ხშირად ბრძანდებით ბატონო
ფშავ-ხევსურეთის სტუმარი.
ყველგან ტრფიალებს თქვენი ხმა,
ჩვენ გიახლებით მდუმარი.
სულ კარგი მინდა გიწოდო,
ვიფიცო ერი ქართველი.

ჩვენც გელოდებით აქარას,
რად არ დაგადგა საშველი.
ომახიანი თქვენი ხმა
ჭიპონს უკრავდეს, გუდამა.
ჩამოჰკრას ხელი ჩონგურს და
თან ბანი უთხრას მუდამა.

8. ლექსი ხალხურ მთქმელს ნათელა ხაბაზს

(ავადმყოფი რომ მინახულა)

ნათელა, ჩემო, ერთგულო,
გამორჩეულო სხვებშია.
გეცოცხლოს ისე ჯანმრთელად,
როგორც ლომია მთებშია.

განათლებული ქალი ხარ,
დიასახლისი კარგია.
გისურვებ მუდამ სიკეთეს,
რომ არ გენახოს ავია.

მინდა სიტყვები გიწერო,
შესაფერისი დიდია.
ნეტავი გექონდეს სწორი გზა,
აქედან რკინის ხიდია.

ეხლა თუ ჩემს თავს იკითხავ,
მოვტეხე ცალი გვერდია.

გავიმკურნები მე მგონი,
თქვენ არ ქნათ მაგას დარდია.

არ დაგივიწყებ, რომ მნახე,
პაპანაქება სიცხეში.
საჩუქარი რომ მიბოძე,
იმას შევინახავ მის დღემჩი.

თვალსჩინივით მიყვარხარ,
ამას რად უნდა ფიცია.
შვილთაშვილები მოგსწროდეს,
წყვილად უღელი ბიჭია.

სიტყვა ტკბილი შეგეჩენია,
ადამ-ევას განაჩენი.
ლექსი მოკლედ დაგიწერე,
შენ განაგრძენ დანარჩენი.

9. ლექსი გაგზავნილი საფლავში ნათელა ხაბაზთან, გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ

ერთი წელია დაგეძებ,
სად გძინავს ნეტავ მდუმარი.
სტუმართმოყვარევ, მიმღებო,
მანდ თუ გაწუხებს სტუმარი.

სადა ხარ ჩემო ნათელა,
რად დაგვიმალე სახეო.
კაკალი გული მომიკვდა
შენსას რომ ვეღარ განახეო.

როგორ შეგვიწყდა მე და შენ
პაიქრობა და წერაო.
მეც მომკლა შენმა სიკვდილმა,
დამერწმუნება ყველაო.
ადექი ჩემო მამიდი,
ადექი, ძილი კმარაო.
შენი ლამაზი თვალ-წარბი
მიწამ რად დაგიფარაო.
ალბათ ჩაგესმის, გტირიან,
საფლავში დების. ხმაია.
ცრემლით გიხარებს ყვავილებს,
მონატრებული ძმაია.

ქმარიც ძალიან განიცდის,
სევდამ და ფიქრმა დაღარა.
შენს მოლოდინში საწყალსა
სულ შეერია ჭაღარა.
თუმცა იმქვეყნად იჩქარე,
არ მოკვდა შენი ფიქრები.
მიგულე, მეც მომავალი,
მოვალ და შენთან ვიქნები.
ვერ გავექცევით წერასა,
ასეა კაცის წესია.
ლექსს ცრემლით ნაწერს გიგზავნი,
მამიდაშენი, — ასია.

10. ნათელას პასუხი

ჩემო, ასიე-მამიდა,
ვიყავი ხშირი სტუმარი.
ბევრჯერ გალხინე ლექსებით,
ეხლა აქ ვწევარ, მდუმარი.
აღარ გუყავს შენი მეტოქე,
ველარ გიგალობ ლექსსაო.
ვერ გადავურჩი შავ სიკვდილს
მიწა გამიხრავს ძვლებსაო.

ტრუპკას[1] ხელში ავიღებდი,
გიძახოდი, დამიყურე.
შეწყდა ჩვენი პაიქრობა,
ცივს მიწაში დამიგულე.
დადგა ჯერი ბოლო წამის,
დამრჩა ლექსი და ქონება.
აწი შუქრის[2] მიმიხედეთ,
დამილიეთ მოგონება.

11. ეს ლექსი მივიღე ლიანა რომანაძისაგან

ამბობენ ქალი ფასდება
მხოლოდ დაშაქრულ ენითო.
შოთამ სთქვა ტკბილი სიტყვებით,
გველს ამოიყვანს ხვრელითო.

შენს სიყვარულმა კალამი
ამაღებინა ხელითო.
და დამაჩსგავსა ცრუ პოეტს,
თავს გატკენ ამ ნაწერითო.

[1] ნათელა და ასიე აქვეის თავის გაღმა-გამოღმა ცხოვრობდნენ და ერთმანეთს ზოგჯერ ტელეფონითაც ეუბნებოდნენ ლექსებს...
[2] შუქრი-ნათელას ქმარია.

ღმერთმან შენისთანა ქალით
აავსოს ეს სოფელიო.
მე თქვენ საქებრად მიტომაც
უფროსსაც ვეღარ გერიდო.

ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენი,
ნურც დაიღლები წერითო.
მოლექსე მამის შვილი ხარ,
გეცოცხლოს მრავალ წელითო.

12. მივსწერე პასუხი ლიანას

პატარა სტრიქონს დავწერავ,
ამოღებული გულითა.
მივიღე შენი ლექსები,
ნაწერი ოქროს ხელითა.

როგორ შემაქე ლექსებით,
აგი ბებერი ქალია.
ფაცქო გოგო ხარ, ლამაზი,
შევარდენს გოგავს თვალია.

როგორ მომწონდა იცოდე
ლექსი მიწერე კარგია.
გესწავლოს მხოლოდ ხუთებზე,
იფურჩქნე, როგორც ვარდია.

ნიჭითა სავსე გოგო ხარ,
გაგეღო სკოლის კარია.
გისურვებ მომავალისთვის
ტოლი არ გყავდეს ქალია.

მადლობა დიდსა ბუნებას,
ასეთი ნიჭი გარგუნა.
ღმერთმა გიცოცხლოს ყველანი,
კეთილი დედა ნარგულა.

13. სოსო კომახიძის ლექსი ასიებს*

ხაბაზის ქალო, ასია,
მე რასაც გეტყვი ასეა.
კეთილი გულის ბძანდები,
ბევრი სიკეთით სავსეა.

სიტყვას არ არჩენ არავის,
სადაც მოთმენა ფარსია.
ასმა მელექსემ ვერა თქვას
შენი ნამდვილი ფასია.

* ერთხელ ასიე სტუმრად ყოფილა ქობულეთში, თავის დასთან-ფატისთან. სუფრაზე რომ დასხდნენ, ეს ლექსიც მაშინ უთქვამთ მისთვის.

14. ასიეს პასუხი

მუდამ გლოცავდეს ბუნება,
მთა-გორები და ველია.
ასე შოკლედ რომ გამლექსე,
არ გესერხება მეტია?
თავაზობით მოთმენილი.
ზრდილობითაც გაგებული.
ყურადღება ვერ მოგაპყარ,
სტუმრებთან ვარ მიხედული.
ინჟინერი ბიჭი რომ ხარ,
შეხედულათ ქე გეტყობა.
ჭამაშიაც დახელული.
ერთი ძროხა არ გეყოფა.

ასეთი მოგონებისთვის
მადლობელი ვარ დიდებით.
ჩემი ლექსები რჩება და
წყალს მიაქვს შენი ხიდები.
სუფრაზეც მარჯვე ყოფილხარ,
სულ შენ გიყურე ღამითა.
ყბას მაგრად უჩახუნებდი,
ქე გამაკვირვე ჭამითა.
ბიჭად ვარგხარ, ლექსად ცოტა
მოიკოჭლებ, არ გეწყინოს.
მაინც კიდევ ბევრი გვეთქვას
და ბევრჯერაც გაგვეცინოს.

15. ლექსი მამუდ ჯაფარიძეს

თქვენსას წამოსვლა ვიფიქრე,
ვერ ამიღია თავზეა.
რა იქნებოდა მამუდი
გზა გაგეყვანა განზეა.
ეზოში შემოსავალი
უშნო ჩახრახი, ფრიდია.
ხაბაზნების სიძე თუ ხარ,
საქმე გმართებდა დიდია.
იმ ტყეში რალათ გინდოდა
ჭიშკრის მაგივრად ალაგე.
წამოსვლას რა მაჩივლებდა,
სწორიგზა გქონდეს მანამდე.
მოგიხორხლია ძან უშნოთ
ხეი გრძელი და მრგვალია.
საქმე კარგი და ფაქიზი

აგიც ხომ კაცის ვალია.
ხომ კი იცოდი მე საწყალს
მტკიოდა ცალი გვერდია.
გადამიბრუნდა ის ხეც და
კალამ მევტეხე ფეხია.
შინ საწყლად გამოგბაჯბაჯდი,
ქე მომეხმარა ღმერთია.
მამუდი ბევრი იცინე,
ჯავრი არ გქონდეს მეტია.
ჩემი გამოსვლა თუ გინდა,
თუ გაიგონო ხმაია, —
აწი იშრომე, იცოდე,
და შეაკეთე გზაია.
ხომ არ გეგონე მამუდი
ყიღაც შტერი და ვირია.

ემინეც[1] დამერწმუნება,
ლექსი თუ ვსწერე ტყვილია.
ეს რომ ქევსერიმ[2] ისმინა,
კაღამ მოიკლა თავია.
მამუდის რაღას ერჩოდი.

ეს სულეიმანის ბრალია.[3]
ვიცი შენ არ გეწყინება,
რომ გიწერე ლექსებია.
საქმეს თუ კი შეასწორებ,
შემდეგ კარგზე ვეცდებია.

16. ლექსი ზაფით ხახუტაიშვილს და მის ცოლს, ფატის*

ერთხელ ფატისას,[4] ქალებო,
იხვი კრუხობით მოსრულდა.
ძირს ჩამოფრინდა საწყალი,
ძაანს რომ წყალი მოსწყურდა.
ქექა და გორვა დაიწყო,
რომ დაებანა ტანია.
ეს რომ ზაფითმა[5] იხილა,
ვერ გაუსწორა თვალია.
ფატი ინატრა მაგრამ ის
ქალაქში იყო, საყიდზე.
არც ვინმემ შველა ისმინა,
არც ვინმე გაჩნდა ძახილზე.
იფიქრა კვდება, ჯობს დავკლა,
არ ვიზარალო ქათამი.
დაჰკლა და ფატის ახარა,
კარგი გვექნება ვახშამი.

ეს რომე ფატიმ გაიგო,
ქმარს შეუჩივლა ღმერთია.
უთხრა წიწილებს ველოდი,
კრუხი არ მყავდა მეტია.
ზაფითმა ძალიან ირცხვინა,
რა დამემართა ესაო.
კრუხი რაფერ ვერ ვიცანი,
რა დღე დამიდგა დღესაო.
ცოლს უთხრა, ოღონდ გაჩუმდი,
კვერცხებს მოგიტან ახალსა.
კრუხსაც სულ ახალს მოგიყვან,
ღმერთს გეფიცები, მაღალსა.
მაგრამ აღარ დაგირჩები
აწი ალბათ სახლის მცველად.
შენ იმ შენს კრუხს უპატრონე
და მე ვივლი საყდველად.

---

[1] ემინე — ასიეს ნათესავი.

[2] ქევსერი — მამუდის ცოლი.

[3] სულეიმანი — მამუდის ძმა.

ასიე სტუმრად ყოფილა სიძესთან, მამუდ ჯაფარიძესთან, ცუდი გზა დახვედრია სიძისას და შეპირებია, თუ ამ გზას არ შეაკეთებ, მეორედ მოსვლისას გაგალექსებო. მემედს მართლაც არ შეუწუხებია თავი და მეორედ მახსული ახიე უკან რომ დაბრუნებულა, „პირობა" აუსრულებია.

[4] ფატი — ასიეს დაა.

[5] ზაფითი, — ფატის ქმარი, ასიეს სიძე.

* ერთხელ ფატი ბაზარში წასულა და შინ ქმარი დაუტოვებია. დაუბარებია ქათმებს მიმიხედეო. ზაფითს კვერცხებზე დამჯდარი კრუხი ეზოში დაუნახავს, მიწაზე გორავდა, ლვიძდ ჰგონებია და დაუკლავს.

17. ლექსი ციცინო ხაბაზ-ჯინჭარაძეს*

ციცინო, ძალზედ შევწუხდი
ჭირისუფლობის დროია.
რაფერ სამწვავოდ მოგიკტა
ის შენი ხბოი, დოლია.
ძროხას რომ ვეღარ მოწველით,
ქე ჩავარდნილხართ ჯავრშია.
ყველი რომ აღარ გექნებათ,
რაღას ჩააწყობთ ჯამშია.
ქე მაინც კარგად დამარხეთ,
ხბო ლამაზი და ნაზია?
გულისტკივილით მოგმართავთ,
არ მოგივიდეთ ბრაზია.

შენზე ამბობენ, მარჯვე ხარ,
სულ ჯარასავით ქალია.
საყოლი კიდევ ბევრი გყავს,
ძროხა, მოზვერი, ხარია.
ჭირი ვის აღარ უნახავს,
არ გაიტეხოთ გული.ა.
სანუგეშებლად მოვდივარ,
და თქვენი ნახვა მწყურია.
თქვენი ჭირიც წაუღია,
რაც დაკარგეთ, აბაზია.
ასეთ ამბავს მოუფრთხილდით,
ლექსს გიგზავნის ხაბაზია.

18. ლექსი შოთა რომანაძეს**

შოთა ერთი შემომხედე,
რა მოგახსენო დღესაო.
ღვინოს რატომ არ უყურებ,
ჰიქას რომ ჰკიდებ ხელსაო.
შუქრი და შოთა ქურდებად
შეგეპარენ პადვალშია.
ბოთლით ღვინო წამოიღეს,
თან მოგპატიჟენ სახლშია.
შენი ღვინით გამოგათვრეს,
მადლობა გამჩენ ღმერთსაო.

როგორ მოგატყვეს ბიჭებმა
ამ ახალგაზრდა კაცსაო.
შეგთავაზენ, დაგაფასეს,
რომ ყოფილიყავ თამადა.
მაშვინაც ვეღარ გაიგე
რომ გადაუშვი თავდაღმა.
შენი მოწურული ღვინით
კარგად ჩაგიტკბეს პირია.
ღვინისგან ისე გაგცალეს,
მოგცილებოდეს ჭირია.

---

* ასიე ხაბაზის ძმის შვილს, ციცინოს ახალშობილი ხბო მოკვდენოდა. ასიეს შეეტყო, რომ ციცინო ამ ამბავს ძალიან გაწიცდიდა და ლექსით „უნუგეშებია“...

** შოთა რომანაძეს სარდაფში შეეპარნენ მისი ნათესავები. შუქრი კომახიძე და შოთა ხაბაზი. წამოიღეს ღვინო და მერე თვითონ მასპინძელი, შოთა რომანაძე დაპატიჟეს, აირჩიეს თამადად და დათვრნენ. გვიან გაიგო შოთამ, რომ საკუთარ ღვინოზე ალხინეს... გაიგო და რა ექნა აღარ იცოდა. ამას ისიც დაემატა, რომ „ქურდებმა“ ასიეს თხოვეს და ეს ლექსიც შეათხზევინეს...

შოთა, აწი დაგჭირდება
შენს ბოთლებზე ნომრებია.
მოითმინე, რაღას იზამ,
არ ეიშალო ნერვებია.
სახლი მარტოთ არ დატოვო,
მცველად დატოვე ქალია.

პადვალშიც ხშირად იყავი,
მაგრად ჩაკეტე კარია.
აწი იხარე, მუდამ ჟამს,
სურ არ გენახოს ავია.
გაფრთხილდი, აღარ მოტყვილდე,
ფხიზლად გეჭიროს თვალია.

19. ლექსი ხუსიკა შავიშვილს

მუზა მაქვს მოსულ-წასული,
დღით იქნება თუ ღამითო.
მინდა გიწერო ლექსები,
არ დავაღაპო წამითო.
სმა-ჭამა ძალიან გიყვარს,
და ქეიფი მოხდენილი.
სიცილი და გახუმრება,
შენსმიერა, მოგონილი.
ალალი ძმები ოთხი გყავს,
რად დაუმატე ნიკოვო.
ერთად ცლიანეთ ორთავემ,
სასმისიც ბევრი იყოვო.
გადათვრით, გადაიცუშეთ,
ჰკვა აღარ ხქონდენ თავშია.
საქმე ისე მოგიხერხდენ,
გახსოვდენ თავის დღეშია.
ნიკოსას შემოგეგება
გაბრაზებული ქალია.
გაგიგო ქალმა, ეშმაკმა,
მისკენ გეჭირა თვალია.
ასეთ სტუმრობას ძამიკო
ხომ სახლში ყოფნა სჯობია.
თავზე არ დაგატყდებოდა
უთუოდ პოლის ჯობია.

კიბეს ისე მოგორავდი,
ვითომც ფეხბურთელის ბურთი.
შინ რომ მოდი, მაშინ მიხვდი,
დაგკარგოდა ცალი ტუფლი.
ბოლოჟამს გონზე მოსული
ყვიროდი უი-ვაია.
შეშინებული გარბოდი,
ძლივს გადირჩინე თავია.
სადილზე შემოსჩენოდი,
არ გეყოფოდა ქათამი.
ნუ გეწყინება, უნდა ვთქვა,
ალბათ არ იყავ მართალი....
ეგ ერთი და ცხოვრებაში
არ გენახოს აწი ავი.
ყოველ წუთში გვაგონდება
შენი გალახული თავი.
ცუდს აიცილებს ადვილად
თუ კაცი კაცად ვარგია.
ცოტა საწყენელს ვერიდე,
ლექსი ვერ გითხარ კარგია.
ხუსიკა, კიდევ გესუას,
სულ დაგეცალოს ყანწია.
არ გეწყინოს ლექსი ჩემსგან,
შენი ძვირფასი-ასია.

20. აჭარელი ქალი

ვინ ჩაქოლა ეს სიმართლე,
ანდა ძველისძველი ჰანგი.
მენატრება ქვეყნის დარი,
გარდასული დროი კარგი.

გული ბოლმით ავსილია,
ცხელი ცრემლი მიწვავს თვალებს.
ძმა ძმას სწირავს, ემტერება,
მოხვევიათ თალხი ქალებს.

როდის ვნახავ ძველებურად
ედებოდეს ძმას ძმა ხიდად.
აჭარელი ქალი ვარ და
ეს მკლავს ყველა ჯავრზედ დიდად.

21. რძალ-დედამთილის ლექსი

დილით ადრე გიახელი,
მივსდიე ქარის ქროლასა.
ასეთ საქმეს შევესწარი,
რძალ-დედამთილის ბრძოლასა:

რძალი

შენ რა გინდა დედამთილო,
რომ ვატარებ მოდასაო.
შევჭამე თუ გადავყლაპე,
ნუ დამიწყებ ზომასაო.

დედამთილი

რა იქნება ჩემო რძალო,
ერთხელ მაინც მომისმინო.
ნუ მიყურებ მიზეზ-მიზეზ,
თუ არ გინდა მომიცილო.

რძალი

გადამცილდი, ბარემ მიდი,
რას უყურებ, რასაო.
აიკონე შენი ბარგი,
გაუყევი გზასაო.

დედამთილი

ვაი რა ვქნა, ეს ვინ არის,
ქალია თუ მხეციო.
არაფერი შემჩენია,
ცოცხის მეტი ხელშიო.

რძალი

ხომ კი გახსოვს მაპირებდი,
მპირდებოდი ქთამსაო.
ადრე კდებოდი მეგონა,
ვინახვიდი შავსაო.

დედამთილი

ბრილიანტი რომ მომთხოვე,
მოწმეთ ხომ მყავს გამჩენია.
ცივი ჰადის შემოხრაში
კბილებიც არ დამჩენია.

რძალი

ჩუმი ალარ ამოიღო,
ჯადოსნური სახე გიჩანს.
მაშვინ კარგი ხომ ვიყავი,
მოგიყვანე ძროხა მზითვად?

დედამთილი

რაო-რაო ჩემო რძალო,
როდის ვჭამე ნაწველიო.
წადი, ძროხაც წაიყვანე.
თუ კი არ გაქვს საშველიო.

რძალი

დედამთილო, მოდი ვიყოთ,
აღარ მითხრა მაზე ვარი.
ასე სჯობია მოვრიგდეთ,
ეშმაკს გამოვუფსოთ თვალი.

92. ასიე ხაბაზისა და ილია კომახიძის* გაბაასება (მიწერ-მოწერა)

ასიე ხაბაზის პირველი მინაწერი

მუდამ გლოცავდეს ბუნება,
ოჯახს მშვიდობა ჰქონოდეს.
ჭერის ქვეშ გახარებული
მრავალჟამიერს მღეროდე.

ახალი წელის საუნჯე
მაქ მოეტანოს ქარებსა.
შვილიშვილების მაყრებსა
მალე უღებდე კარებსა.

რაც რომ არ ვწერო კარგებზე
არ დამეფრთხობა ძილიაი.
თამადობას რომ ღირსულობს
კომახიძეა, ილია**.

ძველისგან შენაქებული
კერა გიდგანა ძლიერი.
მახვილიანი ენა გაქვს,
დამჯერებელი, ხმიერი.

შენთვის რომ ვწერო სიმართლე
სულ არ მეშლება ხელია.
გეცოცხლოს თქვენს კარგ
მოდგმაში,
ერთი უთვლელი წელია.

ბევრი სიკეთე გიწერო
ეს ხომ არა გასაკვირი.
კარგსა ძმებთან განუყრელად
არ გენახოს გასაჭირი.

ცოტა ვწერე კარგი გულით,
სტრიქონს ვავსებ თქვენი ქებით.
სულ გეხაროს ცხოვრებაში.
ასე იყოს მხოლოდ ღმერთით.

მაგრამ პასუხს ველოდები,
მამათქვენიც*** ასე იყო.
თუნდაც საძრახისი მითხრა,
წესი არის, რომ მიეღო.

---

* ცნობილი სახალხო მგოსნის ხასან კომახიძის შვილი.

** ილია კომახიძე აჭყვისთავში განთქმული მესუფრე, თამადა და ოქროპირი ყოფილა.

*** გულისხმობს ცნობილ სახალხო მთქმელს ხასან კომახიძეს.

თქვენზე სათქმელს რა დამილევს,
სულ არ მინდა მაზე ფიქრი.
ძნელი ისა, ცუდს აქებდე,
ეს კი არის გასაჭირი.

თქვენ ბუნებით კეთილი ხარ,
რად გჭირდება ჩემგან ქება.
მაგრამ რომ არ მეპასუხა,
არ მივეცი ჩემს თავს ნება.

მიქებ სმას და თამადობას,
ენა მახვილიანობას.
შუქრის* სტუმრებთან დავთვერი,
და ვიწყეველი დაბადებას.

ალბათ მცინი, არ გეგონა
თუ იმ სალხთან სირცხვილს
ვჭამდი.
ყველა ღვინის მსმელი იყო,
მე უკეთესს რას მოვრთავდი.

დიდად მეუხერხულება
პიროვნების ლექსით ქება.
მაგრამ კარგს რომ კარგი უთხრა,—
ეს ზედმეტი არ იქნება.

თქვენ ბუნებამ ენა მოგცა,
კრიმანჭულებრ წერ და ქარგავ.
ყველასგან მცირე სიკეთეს
თქვენ დიდ რამედ დაინახავ.

მინდა მუდამ რომ გადიდო,
მე გაფასებ, გფიცავ დოზას.
კარგი არსად იკარგება,
ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას.

სიტყვა ბევრი იპოვება,
ვეძებე და ვპოვე ძნელად.
თქვენ რომ შეგეფერებოდეს,
ვერ ვიპოვე მე სათქმელად.

ქალს ყველგან ქალს ეძახიან,
მაგრამ სხვა არის ზრდილობა.
ღმერთმა ას წელს მოგახმაროს
თქვენი გულწრფელი ქალობა.

ბევრი მინდა რომ დავწერო,
ჯერ-ჯერობით ესეც კმარა.
თქვენი შეგნებით გაზრდისთვის
თქვენმა მოდგმამ გაიხარა.

დილით სკოლაში მივედი,**
და წავიკითხე ბალადა.
ჩემი სახელი ილია,
კომახიძე ვარ გვარადა.

---

* შუქრი — ნათესავია.

** ილია კომახიძე პროფესიით პედაგოგი იყო, მუშაობდა აჭყვისთავის სკოლის დირექტორად, გარდაიცვალა 1993 წელს.

ასიე ხაბაზის მეორე მინანერი

სანაქებოდ შემჩენია
ილია, თქვენთან პაექრობა.
პირველად რომ გაგიბედე,
არ გავნაგრძო, არ იქნება.

წერა არის მოლექსების,
დიდი ნიჭის განახლება.
ბუნებამ თქვენ მოგანიჭა
შეგნება და განათლება.

სწავლა-კითხვაში მჯობნიხარ,
მაგრამ მაინც წერს ეს კალამი.
სტრიქონს ალერსით გიქარგავ,
თქვენ მშვიდობა და სალამი.

ილია თქვენთან პაექრობა
შემიყვარდა მეტისმეტი.

რაც რომ ვწერე თბილი გულით,
არ დეიწუნო, თუ გწამს ღმერთი.

პაექრობა გაგიბედე,
ხელი მაღლა აგიწიე.
სწავლით რომ არ დაგეჯაბნე,
თანაგრძნობა გაგიწიე.

თუკი გინდათ დამიწუნოთ,
აქ მომიტანს ზენა ქარი.
მუზაც მაშინ დამეკარგვის,
შეიძლება მითხრას ვარი.

სიტყვა-პასუხი კარგი გაქვს,
იმღერების დოლ-გარმონზე.
ამის პასუხს ველოდები
წავიკითხო საღამოზე.

ილია კომახიძის მეორე პასუხი

ვჯდები პასუხის საწერად,
თუ დავწერე შესადარი.
თქვენს შესაფერს მე რას დავწერ,
თქვენ ხარ ყველას ამაგდარი.

მე ხომ პოეტი არა ვარ,
რომ ლექსი კარგი დავწერო.
მაგრამ თავს ძალას დავატან,
თქვენზე კალამი ვამღერო.

ერთხელ ვთქვი, ძალზე ძნელია
პიროვნების ლექსით ქება.
მაგრამ სწორი თუ დავწერე,
მგონი ქება არ იქნება.

ყველაზე პატივცემულო,
გულკეთილო მეტისმეტად.

მინდოდა და ვერ შევძელი,
დამეწერა უკეთესად.

ძირს დედამიწა მიმოწმებს,
და მაღლა გამჩენი ღმერთი.
თქვენ ხომ სოფლის მშვენება ხარ,
ტყვილი არ მითქვამს არცერთი.

თქვენ რომ სხვას მოეფერები,
„სენი წირიმე, სენია“.
რაც გაჭირვება მას ჰქონდეს,
გაუგრძელდება დღენია.

გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს,
ხალისით გევლოს დღენია.
ვინც თქვენ ქცევაში მოგბაძავს,
იხარებს, ასე მგონია.

თქვენ რომ ლექსებს კარგად
დაწერ,
არ არის გასაკვირალი.
თქვენ გვარი მოლექსე გყავდა,
კეთილი შთამომავალი.

მელექსე იყვნენ და არის:
ხასან-ხუსეინი ხაბაზი.
რომელთაც გვერდს უმშვენებდათ
ყემბერ ხაბაზი, ლამაზი.

შემდეგ ფადიკომ განაგრძო
შეალამაზა ასიემ.
და ამირანთან კავშირით
ეს საქმე ზევით ასწიეთ*.

თქვენ რომ კარგი გვარი გაქ და
ხალხი რომ ხართ სასახელო, —
თქვენს ქებას ამბობს და იტყვის
ერთხმად მთელი საქართველო.

ჭირის და ლხინის გამყოფო,
ღმერთმა გიდიდოს გვარია.
თქვენი წინსვლა და დიდება
ყველასთვის გასახარია.

ლექსის წერა თუ სიმღერა
ეს ბუნებრივი ნიჭია.
მე მიკვირს თქვენი სიბრძნე და
კეთილი ქცევა დიდია.

მინდა რომ ზომა დავიცვა,
არ დაგღალო მეტი კითხვით.
ყოველ მხრიდან რომ კარგი ხართ,
ამას ვამბობ მოკლე სიტყვით.

რა დამილევს თქვენზე სათქმელს,
არ მინდა რომ გავაგრძელო.
შემდეგისთვის შევინახავ,
პაექრობა გავაგრძელო.

ასიე ხაბაზის მესამე მიწანერი

აგვიცივდა, თოვს და ბუქნის,
აბა რა ვქნა წერის მეტი.
უხვ სიხარულს ესწრებოდე,
ასე გლოცდეს მაღლა ღმერთი.

ახალი წლის მოლოდინში
სუფრის თავში თამადობდე.
კაკალ-კაკალ სადღეგრძელოს
ვუკაცურად ქადაგებდე.

თანაც მეც კი გაბრაზებდე,
როგორც ყველთვის სუფრის
თავში.

მუდამ გლოცდეს ეს ბუნება,
სიხარული გქონდეს სახლში.

ასე იყო, ასეც არის
თქვენი მოდგმა ბრძენთა-ბრძნული.
თუ არ მოგწონთ, შეასწავლით,
მეგობრობა გაქვენ ძმური.

ჩემგან ლექსი მოგაბეზრე,
მეტი რაღა დაგვაჩენია.
ეს დარჩება ჩვენ ორს შორის,
მოწმე მაღლა გამჩენია.

---

*ხასან-ხუსეინი, ეუმბერი, ასიე, ფადიკო, — სახალხო მთქმელები, მათ შორის პირველი ორი-საქვეყნოდ აღიარებულნი. ასიე-თვითონ ადრესატია, ხოლო ამირან ხაბაზი — ახალგაზრდა პოეტი.

ძვირფასო და ყოვლად კარგო,
დიდი ქებაც კი ხარ ღირსი.
ასჯერ ზომავ ადამიანს,
სიმართლის თქმაც ასე იცი.

შეიძლება არც კი იყოს
ვინმესაგან გასაგები.

თქვენს გონებას შენატვრიდეს
ამისთანაც არის ბევრი.

ნამეტარი შეგაწუხე,
ამისათვის არ დამძრახო.
მრავალ ახალ წელს დასწროდე,
სიხარული ბევრი ნახო.

1989 წლის 31 დეკემბერი.

ილია კომახიძის მესამე პასუხი

არ ვიცი, როგორ დავიწყო
თქვენი ქება მეტისმეტი.
მინდა რომ მუდამ გლოცავდეს
ყოველის შემძლე დიდი ღმერთი.

თქვენ დიდებული ქალი ხარ,
ვერ შეგედრება ვერცერთი.
სოფელში დაფასებული
მრავალი კარგი რამეთი.

ახალ წელს ლექსით გილოცავ,
ასი მოგსწროდეს ასეთი.
ჩემიც და ყველას დალოცვა
არ დაგკლებოდეს არც ერთი.

მართლა რომ პოეტი ვიყო
ლექსებს უკეთესს მოგწერდი.
თქვენ მუდამ სიკეთეს თესავ,
მე თქვენს ქებაში დაგებერდი.

თქვენ მუდამ სხვებისთვის
ზრუნავ,
ჭირში, ლხინში თუ ქორწილში.
მეც მინდა თქვენი შექება.
რომ არც მე დავრჩე სირცხვილში.

თქვენ თამადობას გისურვებ,
ახალი წლის სუფრის თავში.
ეს დრო უკვე გამივიდა,
ახლა თავბრუ მესხმის თავში.

რაც არ უნდა დავძაბუნდე,
თქვენი ქება გულით მინდა.
მართლა კეთილი ქალი ხარ,
და გაქვს მუდამ გული წმინდა.

ბრძანდები კარგი მოლექსე,
საბნის კერვაში პირველი.
რაც უნდა კარგი აკეთო,
არ არის გასაკვირველი.

გვარი და მოდგმა კარგი გაქვთ,
ძმებით და დებით ნაქები.
იცოცხლე, მრავალჟამიერ,
სულ წერე კარგი ლექსები.

მინდოდა მოკლედ მომეცა
პასუხი თქვენი ლექსისა,
მაგრამ უაზროდ რომ ვწერდი
ვერ შევძელ დაცვა წესისა.

კარგი სახელი რომ გქონდეს
ეს არ გეგონოს ადვილი

თქვენ ყველა კარგად გაფასებს,
გეკურთხოს თქვენი მანდილი.

რაც მე ამ ლექსით გითხარი
მოლექსე მოკლედ გეტყოდა.
კარგი ხართ, კარგი იქნებით,
თქვენზე სხვა მე არ მესმოდა.

სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს,
მაგრამ აქ დავსვი წერტილი.
ჭირი გამჩენმა გაშოროს,
კვნესა და გულის წუხილი.

მე მინდა რომ თქვენ იხაროთ
კარგი გულით გზას დაგიცავ.
დაში არ გამომერჩევი,
დედ-მამის სულს შემოგფიცავ.

11.01.89 წელი.

ასიე ხაბაზის მეოთხე ჰინაჯერი

სხვა და სხვა მხრივ დაჩაგრული
სანუგეშოდ ვიღებ კალამს.
და ამისთვის ძმაო ილო
სამახსოვროდ გიძღვნი სალამს.

მეც ამიტომ მიხარია,
დაფასების მაქვს შუქურა.
სიტყვა ტკბილი, მოსწრებული,
ენა მორთული, წუწუნა.

მუდამ გქონდეს ხასიათი.
არ დაგშოროდეს მანძილი.

ყველა ლექსით დამილოცე
ჩემი ქალობის მანდილი.

შენი ლექსი შევიყვარე,
ხშირად ვკითხულობ სახლშია.
გადაგეკიდე, ხომ ბედავ?
ჰკვა აგიბნიე თავშია.

როცა მოვკვდე, აღარ ვიყო,
გზა დამილოცე მარადის.
რომ შეგადარო ვინმესთან,
ნეტაი ამქვეყნად სად არის.

26.02.89 წელი.

ილია კოვახიძის მეოთხე პასუხი

თუ ლექსებში ქება ვიცი,
არც საწყენში ვარ ხელმოკლე.
ყოველთვის კარგი რომ ვწერო,
ხომ არ ვარ მეფე ერეკლე.

თქვენი მეოთხე პასუხი
არ მომეწონა ნამდვილად.
დაჩაგრული ხარ კი არა,
ცაში მიფრინავ არწივთან.

ერთხელ თუ ბედმა გიმტყუნა,
სხვა არ ისურვე გულითა.
თორემ მთხოვნელი ახლაც გყავს,
თქვენ გფიცულობენ რჯულითა.

დაჩაგრული ხარ კი არა,
ქალბატონი ხარ ნამდვილი.
სტუმრისთვის მუდამ მზადა გაქვს
ღვინოც, პურიც და მარილიც.

თითქოს იწონებ ჩემს სიტყვებს
და ენას, მორთულს, წუწუნას.

თქვენ თუ ისურვე, შეაქებ,
კაცსავით, თაგვსაც, წრუწუნას.

მწერ, რომ მოკვდე, აღარ იყო
გზა დაგილოცო მარადის.
ვინ იცის, ვინ ვის დალოცავს,
ჯერ დიდი დროა მანამდის.

სიკვდილზე სულ ნუ ვიფიქრებთ,
შორს იყოს მისი ხსენება.
ყველას გვწყალობდეს გამჩენი,
დიდი ღმერთი და ბუნება.

4. 03. 89 წელ.

ასიე ხაბაზის მეხუთე მინანერი

ჩუმად ლექსი დამეწერა
ქე დავითმე ერთი ოდა.
ყველასათვის საქებარო,
დაილოცოს თქვენი ძმობა.

ყურადღება მივაპყარი
პაექრობას მეტად ღამე.
ბოდიშს მოგითხოვ ილია,
შეგავალე ერთი რამე:

დავითმა* წიგნი შემპირდა,
დიდი გრძნობით დამიბარა.
მოლოდინში: „ნეტავ როდის?“,
ხუთი წელიც გეიპარა.

სიმღერით მეთქვა არ ვიცი
ლექსად,
მადლობა მათქმიეს უებრად მეტი.
ეხლა ჩამხედე მოწყენილ გულში,
მიტომაც გფარავდეს ცუდისგან
ღმერთი.

ამისათვის მე გაფასებ,
სიტყვა მოგდის მეტად ძვირი.
ბოდიშს მოუთხოვ დავითის,
ჩემზე დარჩა ცოტა ტყვილი...

სიცოცხლეში თვარ მეღირსა,
შემდეგ ფასი გაუვარდა.

---

* დავითს როცა ახსენებს, გულისხმობს დავით კომახიძეს, ილიას უფროს ძმას, რომელთანაც ერთადაც ხუთი წლის წინ (ვგულისხმობ გალექსების დაწერის წლიდან) სტუქარად გახლდით ასიე ხაბაზთან, ჩავიწერეთ მისგან მრავალი ლექსი და შევპირდით, აღვუთქვით, რომ ხალხურ ლექსების კრებულში შევიტანდით. პირობა დაგვიგეიანდა და

ამირანმა* ლექსით აქო,
მგონი მასაც გაუხარდა.

გაგიქრეს ცუდი, შორს იდგეს
იქით,
თავზე გათოვდეს ჰაღარის
ფერფლი.
მაინც შენს მნახველს არ დასცეს
ცუდი,
და მუდამ გლოცავდეს დიდებით
ღმერთი.

ქრება იმედი, ნათელი თვალის,
იქნებ სადმე მას ღიმილი სდევდეს.
სულაც დაგღალა წუწუნმა ჩემზე,
სიკეთე გედოს შენს ლამაზ
ფერზე.

მუდამ გლოცავდეს ბუნება,
რომ იცოცხლო წლები ასი.
ნატვრად უნდა დარჩეს გულში
რომ ვიცოდეთ შენი ფასი.

1991 წლის 8 მარტი

ილია კომახიძის მეხუთე პასუხი

მართლაც რომ საქებარი ხართ,
მთლიანად გვარი ხაბაზი.
მოდგმით და შთამომავლობით,
საქმით და ენით ლამაზი.

მინდა რომ სიმართლე გითხრა,
ტყვილი არ იყოს არცერთი.
ძირს დედამიწა მოწმობდეს,
და მაღლა გამჩენი ღმერთი.

დავითმა ტყვილი არ იცის,
დროს დავაბრალოთ ნაწილი.
ვიცი, რომ წიგნი გამოვა,
გავიგე, მითხრეს ნამდვილი.

მე თქვენი ლექსი მივართვი,
დავითს და კი არ ეწყინა.
ჩვენ ერთ ოთახში ვიწევით,
მაგრამ არც ერთს არ გვეძინა.

მითხრა, ეხლავე დავრეკავ,
შენც მოისმინე ამბავი.
რაც მოისმინო, უცვლელად
მას მიუტანე მართალი.

ვისაც ეს საქმე ეხება
მას დაურეკა ბინაზე.
მან უპასუხა, ტყუილი?!
როგორ მოგადგათ ენაზე.

---

*ამის გამოა, რომ ასიე აუკედრის დავითს, მაგრამ მადლობა ღმერთს, არ მახსენებს, მე, როგორც ამ „ტყუილის“ მთავარ მიზეზს... ხოლო რაც შეეხება აზირანს, გულისხმობს პოეტ ამირან ხაბაზს, თავის ძმისშვილს, რომელმაც ჭების ლექსი უძღვნა დავით კომახიძის და თავის წიგნში შეიტანა იგი — (ავტორის, ემენ დავითაძის შენიშვნა).

რომ დაგვიანდა, მეც ვიცი,
მაგრამ რა თქვენი ბრალია.
ცოტა ქაღალდზე გვიჭირდა.
რაც საქმის იყო თავია.

გადაეცით იმ ჭალბატონს,
ყველა ადრე მოგვარდება.
ჩვენც ჩვენ სიტყვას
შევასრულებთ,
და მასაც გაუხარდება.*

ჭალბატონო, გატყობინებ,
გისრულდება თქვენი ნატვრა.

წიგნში იხილავ იმ ლექსებს,
რაც თქვენმა ნიჭმა განსაზღვრა.

მგონი საკმარისი არის
ერთმანეთის ლექსით ქება.
ზოგი სხვა დროსთვის გადავდოთ,
ალბათ კიდევ დაგვჭირდება.

თქვენზე პასუხი მომეცა,
თავს მივეცი ამის ნება.
ნურასდროს ნუ მოგკლებოდეს
ლხინი და ბედნიერება.

1992 წლის 5 აპრილი.

* წიგნის დაგვიანებაზე ბატონმა დავითმა მართლაც ინება ერთ საღამოს ტელეფონით დალაპარაკება და მე მაშინ მოკრძალებული დაიმედებით და მობოდიშებით ვუპასუხე, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, შაირისსაგნად თუ გავხდებოდით მე და იგი... (ავტორის — ეშენ დავითაძის შენიშვნა).

ბინალი ფუტკარაძე



ბინალი ახმედის ძე ფუტკარაძე დაიბადა 1926 წელს სოფელ დარჩიძეებში (შუახევის რაიონი). 1933 წელს შევიდა და 1938 წელს დაამთავრა სოფლის დაწყებითი სკოლა. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კიდევ ორი კლასი უსწავლია. სულ 7 კლასის განათლება მიუღია. მამამისი ახმედ ფუტკარაძე ხალხური სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი ყოფილა. მომავალ ხალხო მთქმელს ლექსის სიყვარული სწორედ მისგან გამოჰყოლია. ბინალი ბავშვობიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა ხალხური ლეგენდების, გადმოცემებისა თუ ზღაპრების მიმართ. ზოგი ამბავი ისე მოეწონებოდა, რომ ლექსადაც „გადასთქვამდა“ და შემდეგ საზზე ამღერებდა. ხალხური სიბრძნისადმი სიყვარული მას დედის ძმების — ახმედ და მუხამედ ხალაძეებისაგანაც შეუთვისებია. მამამისს აღრევე შეუნიშნავს ხალხური პოეზიით შვილის გატაცება და თვითონაც შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა თურმე. მალე ბინალი ლექსის თქმასა და სიმღერაში ისე დაოსტატებულა, რომ მამასაც არ უდებდა ტოლს. იშვიათი მახსოვრობა ეხმარებოდა მას გრძელი „დესტნების“ დასწავლაში, ხოლო, რასაც ერთხელ იხწავლიდა, სამუდამოდ იმახსოვრებდა და სახალხო თავშეკრებილობის დროს დაუზარებლად ამღერებდა. მალე მისი სახელი მთელს სეობაში ცნობილი გასდა. ბინალის იწვევდნენ ქორწილებში, მიჰყავდათ „შუამთობაზე“, ისწრებდნენ სხვა ხალხურ ზეიმებზე. ბინალის, როგორც ხალხური მთქმელის ჩამოყალიბება აჭარაში ახალი ცხოვრების დამკვიდრება-გამარჯვების წლებს დაემთხვა, ამიტომ მის ლექსებში ნათელი ასახვა ჰპოვა იმ წლების დიადმა გარდაქმნებმა.

ხალხური შეკრებებიდან მალე ბინალიმ სცენაზე გადაინაცვლა. თვითმოქმედ ანსამბლებთან ერთად იგი მომხიბლავად ამღერებდა საკუთარ ლექსებს, რომლებშიც გლეხკაცის ალალი გულით იყო ნათქვამი ახალი ცხოვრების პიმნი. მალე მისი სახელი ხეობისა და რაიონის ფარგლებსაც გასცდა და, ალბა უკვე ბოელს აჭარაში იცნობდნენ, როგორც ნიჭიერ მელექსეს.

ბინალი მელექსეობაში თავის მასწავლებლად ცნობილ ხალხურ მთქმელს თოფია ქათამაძეს მიიჩნევს. თოფია მასზე რამდენადმე უფროსი იყო. კარგა ხანს ნატრობდა ბინალი თოფიასთან შეხვედრას, რაც საკმაოდ გვიან, 1961 წელს განხორციელებულა. ამ დროისათვის ბინალიც უკვე სახელმოხვეჭილი სახალხო მელექსე იყო.

ბინალი ფუტკარაძე მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა ხელოვნების მრავალი დათვალიერების მონაწილეა. დაჯილდოებულია სიგელებითა და დიპლომებით.

ოქტომბრის რევოლუციის მეორმოცე წლისთავთან დაკავშირებით მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ხალხური შემოქმედების საქმეში წარმატებისა და ახალგაზრდობის მეექვსე მსოფლიო ფესტივალისათვის მზადებაში მონაწილეობისათვის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელით. ამ თარიღებისადმია მიძღვნილი ლექსები „მიყვარს დიადი სამშობლო“ და „სოფელში გზა შემოვიდა“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეორმოცე წლისთავს მიუძღვნა ლექსი „ორმოცი წლის საქართველო“, რისთვისაც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

1966 წელს მოსაწილეობდა შოთა რუსთაველის დაბადებიდან რვაასი წლის იუბილესადმი მიძღვნილ ინდივიდუალურ შემსრულებელთა მესამე საოლქო დათვალიერებაში, 1968 წელს ლენინური კომკავშირის ორმოცდამეათე წლისთავის საიუბილეო დათვალიერებაში, რასაც უძღვნა ლექსი — „კომკავშირი ორმოცდაათი წლისაა“, და დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. მიღებული აქვს ვ. ი. ლენინის ასი წლისთავის საიუბილეო მედალი.

ბინალი ფუტკარაძის, როგორც ნიჭიერი ხალხური მთქმელის შესახებ გაზეთ „საბჭოთა აჭარა“-ში წერდნენ ჯ. ნოღაიდელი და ი. თავბერიძე. მის შესახებ მკითხველებს მოუთხრობდა გაზეთი „დროშაც“.

ბინალი უფრო ხალხური ლირიკის მოყვარული იყო. მისი ლექსები ლაღი და სასიმღერო ხასიათისაა. მეორე მხრივ, იგი ხალხური სატირის კარგი ოსტატიცაა. როგორც ყველა ჭეშმარიტ მთქმელს, ბინალისაც უყვარდა პოეტურ პაექრობაში ჩაბმა, და არც „გადაკიდების“ ეშინი იყო

მისთვის უცხო. ჯერ კიდევ ახალბედა, სოფელ ჭერის (ხულოს რაიონი) მკვიდრს, ვინმე ქაზიმ ომერის ძე სურმანიძეს გაშაირებია, რომელთანაც მაშინ დამარცხებულა.[1] მას შემდეგ არასდროს დამვიწყებია ეს მარცხიო, — იგონებს მთქმელი, „ვფიქრობდი, სადმე კიდევ მეხელთა ის კაცი“... შენიშნავს ბინალი.

ერთხელ ბინალის ჩანჩსალოელი (შუახევის რაიონი) მოშაირე, ვინმე შაღბანი „გადაჰკიდებია“, რომელთანაც ამჯერად თვითონ უმარჯვნია ბინალი მელექსის ღვაწლის დამფასებელია. თოფია ქათამაძე რომ გარდაცვლილა, იგი ჭვანაში, სახალხო მგოსნის ოჯახს სწვევია, საფლავიც მოუნახულებია და ექსპრომტად სამძიმარი ლექსი წარმოუთქვამს:

...შაირში ვინ გაჯობებდა,
ლექსის უკეთ მთქმელობაში
ბუნებას მოსწყდი ბულბული
ჭვანის ლამაზ ხეობაში...
მრავალჯერ ერთად ვყოფილვართ
ლექსის ხალხური მთქმელები.
ტკბილ სიტყვებით შეგვომკია
აჭარის მინდორ-ველები...
არ დაგივიწყებ არასდროს,
შენთვის მოტირის გულია...[2]

ასე მიმართავს იგი ხალხური ლექსის განსვენებულ ოსტატს. თავის მხრივ თოფიაც აფასებდა თურმე ბინალის ნიჭს, მოსწონდა მისი საზის წკრიალი:

ამით ბედნიერი კი ვარ, არაფრით მედება ვალი,
არვის ვალი დავუჭოვე, არავის მაწუხებს ვალი,
ძმებო, ვეღარ დავბრუნდები, იმ გზისა ვარ მიმავალი,
ფუტკარაძე დაამღერებს, ხალხური მთქმელი ბინალი...

ბინალი ფუტკარაძე წლევანდლამდე შუბნის ხეობაში ცხოვრობდა და კვლავაც გატაცებით თხზავდა ლექსებს. სადაც წავიდოდა, თან დაჰქონდა განუყრელი საზი და ზედ სამშობლოს სადიდებელ ლექსებსა და მომხიბლავ შაირებს დამღეროდა. საზოგადოებრივი საქმიანობისათვის 1973 წელს აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება მიენიჭა. მისი სახელი და ლექსები იციან მთელს აჭარაში, ნაწილი ლექსებისა დაბეჭდილია ხალხური ლექსების კრებულებში.[3] ნაწილიც სამღერებადაა ქცეული.

ბინალი ფუტკარაძე ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე გარდაიცვალა 1979 წელს, დაკრძალულია მშობლიურ სოფელში.

---

[1] ბსკი, ფ. 1, ს. 182, ზ. თანდილავას მიერ 1973 წელს ჩაწერილი მასალები, ს. 18, გვ. 174.

[2] იქვე.

[3] აჭარის ხალხური მთქმელები, ბათუმი. 1956, გვ. 44-46; აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 128, ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო, ბათ., 1979, და სხვა.

1. მარად უკვდავი გენია

გაზაფხულის ვარდ-ყვავილად გაშლილი
დღე მშობელი მარად უკვდავებისა,
ცნობილია ოცდაორი აპრილი
დიდ ბელადის ქვეყნად დაბადებისა.
ამობრწყინდა ქვეყნად შუქურვარსკვლავი,
მეფე — მთავარ თანავარსკვლავედისა.
გაგვინათა სამშვიდობო გზა-კვალი
წინ ტრიალებს ჩარხი ჩვენი ბედისა,
ის ვარსკვლავი გახდა დიდი ლენინი,
ჩვენს გულებში მარად უკვდავსაყოფი.
აღმოცენდა, გაბრწყინჩნა, მწიფდება
მისი სიბრძნის ტკბილესი ნაყოფი.
მოაზროვნე ქვეყნის, მშვენიერების,
ტკბილ სახეზე ღიმილგადაფენილი,
ჩვენი სიტკბოს, ჩვენი ბედნიერების.
შემოქმედი იყო დიდი ლენინი.
მტერს ეკვეთა, ვით უდრეკი არწივი,
დაამსხვრია ბორკილები მონობის.
დატანჯულებს დასდო დიდი პატივი,
ზე აღმართა დროშა დიდი ოქტომბრის.
ბრძოლის ცეცხლმა რომ მოუსპო სიცოცხლე
ჩაგრულ ხალხთა ბოროტ მტარვალ ჯალათებს.
მათი დროის ჩამორჩენილ ქვეყანას
დღეს ილიჩის ნათურები ანათებს.
დღეს ბრწყინვალე ნათელ მზიან ქვეყანას
განათებულს ილიჩის ნათურებით —
თავისუფალ ხალხთა მშვიდობის ხანას
ვუგალობთ და ტკბილად ვებულბულებით.
ვუმღერთ გულით ჩვენი ქვეყნის მოღწევებს,
პოეტები და ხალხური მთქმელები.

რათა გვატკბობს შრომა სახელოვანი
და მშრომელთა მძლავრი გამრჯე ხელები.
იუბილეს კარგი შრომა შეშვენის,
წინ დღე გვიდგას მარად შესანიშნავი.
დაილოცოს ქვეყნად დიდი ლენინის
დაბადების დღიდან ასი წლისთავი.

1970 წ.

2. ბედნიერი მომავლისათვის

რა კარგია, რომ გუგუნებს
მშვიდობის და ძმობის ჰანგი.
გვამღერებს და გვაბულბულებს
ხმაწკრიალა, ტკბილი ჩანგი.
სახეს გვიმშვენებს ღიმილი,
ვით გაზაფხულს ტურფა ვარდი.
ცეკვობს, მღერის სული, გული,
არ გვაწუხებს სხვა რამ დარდი.
ჩვენი დიდი საბჭოეთი,
მზის ქვეყანა თვალუწვდენი.
ატმოსფერო, ზღვა-ხმელეთი,
სამშვიდობო შუქნაფენი.
მზე ბარაქით მინდვრებს მოსავს
ჩვენ მას ვუვლით, შორს არ
წავალთ,
რითაც გამარჯვების დროშას
მაღლა ავწევთ და წინ წავალთ.
ჩვენ დღითიდღე წინ მივდივართ.
რაც ვიყავით, ის არა ვართ.
პარტიას ლენინური გზით
კომუნიზმისკენ მივყავართ.

3. კოსმოსის პირველი სტუმარი

ახალ ამბებს გადმოგვცემდა
რადიო მაღალხმიანი,
რომ დღეს კოსმოსში გაფრინდა,
საბჭოთა ადამიანი.
მან სამშობლოს ერთგულებით,
ყველგან გაითქვა სახელი,
ვარსკვლავეთს კარი შეუღო,
გახდა კოსმოსის მნახველი.
მას ყოველმხრივ მიეშველა
საბჭოთა მეცნიერება,
თავის დარგში ასახელა
ჩვენი ქვეყნის ძლიერება.

მივესალმებით გაფრენას
ჟური გაგარინისა,
მეცნიერულ დიდ მიღწევას
მზიურ საბჭოთა ქვეყნისა.
ის გაფრინდა თავის ნებით,
არვის დაუძალებია,
მიაკვლია რკინის ფრთებით
კოსმიური კარებია.
გაბედულად ფრენა შეძლო,
შიში არ მოკარებია,
დედამიწას შემოავლო,
მან ფხიზელი თვალებია.
ერთგულია იქ გამფრენი,
ჩვენი ქვეყნის სანდო პირი,
კოსმიური შევარდენი.
მთელ მსოფლიოს გმირთა-გმირი.
ხალხს, ნანატრი აუსრულა,
უველგან ჩვენი არის ლხინი,
შინ მშვიდობით დაგვიბრუნდა,
კოსმონავტი გაგარინი.
ეს დიადი გამარჯვება,
ფრენა კოსმიურ სივრცეში,
კაცობრიობას დარჩება
საისტორიო ფურცელში.
ვუსურვოთ მეცნიერებას,
მუდამ წინსვლა, წარმატება
და კოსმოსის პირველ სტუმარს
დიდება და გამარჯვება.

4. ლექსი აჭარაზე

აჭარის მზევ, მდელოვ, ბარაქიანო,
და მაღალო მთებო, ზურმუხტოვანო,
მთის კალთებო, ბაღ-ვენახით მოსილო,
ზღვისპირეთო, ციტრუს-ყვავილოვანო, —
ტყეები და ბუჩქნარები გამშვენებს,
კლდეებიდან ჩანჩქერები ჩხრიალებს,
გამრჯე ხალხი ახალს ქმნის და აშენებს,
ძმობის ჰანგი გუგუნებს და გრიალებს.
ფერდობებზე, ნაცვლად ბილიკებისა,
შარაგზებზე მანქანები სრიალებს,
დღეს აჭარის დიდების და ქებისა
სიმღერის და მუსიკის ხმა წკრიალებს.
ბრძოლითა და ცეცხლით მონაპოვარი
გამარჯვების დროშა მიმოფრიალებს,
გმირულ შრომით წინსვლა სახელოვანი
ცხოვრებას ჩარხს მარად წინ ატრიალებს.

ნ. ასეთებსაც ვაპატიებით

სადაც მივალთ, გადავხედავთ,
სოფლად მინდვრებს, ბუჩქნარებს,
ყაქებთ შრომისმოყვარულებს,
ვძრახავთ ზარმაც-უქნარებს.
მაშინ დროს არ გავატარებთ
მხოლოდ უქმად ჯდომაში,
ვაღიარებთ ავსა და კარგს
სწავლაში თუ შრომაში
ყველა სოფლის ბედიღბალი
კარგი შრომით ბრწყინდება,
უქნარა და ზარმაცები
სოფელს არა სჭირდება.

ო. სოფელში გზა ჭედოვიდა

ეხარე, ჩვენო სოფელო,
მთაგორიანო მხარეო.
და სოფლის ირგვლივ ლამაზო
ბუჩქნარო არემარეო.
რა გვაკლდა უგზობის გამო
აქამდის ბევრი რამეო,
ახლა გვაქვს სასიხარულო
ყოველი დღე და ღამეო.
დაუძაბი შრომა ჩატარდა
გზის მოსვლა დააჩქარაო,
ბედნიერი დრო დაგვიდგა
და გული გაგვიხარაო.
ძალღონით საესე მკლავები
შრომამ ვერ დაგვიღალაო,
უფრო გვიბრწყინავს თვალები,
და გვემატება ძალაო.
სოფელო, ასეთი ბედის
ნატრულო დიდი ხნისაო,
აგერ, გალმიდან მოისმის
საყვირი მანქანისაო.
თანდათან გვიახლოვდება
კიდეც მოადგა ხიდსაო,
წინ ხალხი შემოგება,
ხმა ისმის სიმღერისაო.
ჩვენ სიმღერის ხალისს გვაძლევს
გრიალი მანქანისაო
და ჩვენს სმას ტკბილად
ბანს აძლევს
ჩხრიალი ჩანჩქერისაო.
ბედნიერ სოფელს ანათებს
ნათელი სხივი მზისაო.
მშრომელი ხალხი ზეიმობს
სოფლად მომყვანი გზისაო.
წარსულო სიძნელეებო,
რა უცბად შეიცვალეო,
შეგროვდით, ამხანაგებო,
დავსძახოთ „ჰარალალეო“!

7. მამულის სიყვარულით

დე... უმღერე მამულს, ჩემო ჩანგო,
ააჟღერე მონარნარე ხმები.
გულით მინდა ვუმღერო და ვაქო,
ჩემი ქვეყნის ტურფა ბაღნარები.
მამულისთვის სიმღერას თუ წერას,
ნუ მოიშლით ეშხით საკუთარ გულით!
ხმა შეუწყე ნაზად ჩანგის ჟღერას,
უმღერე და გაახარე სული.
ვინ არ უმღერს მთის ბუნებას ლამაზს,
ტყეებს, მინდვრებს აყვავებულ მზიანს.
და მწვერვალებს ზურმუხტოვან, მაღალს,
კლდეებიდან ჩანჩქერების ჩხრიალს.
გვიმღერია და ვუმღერებთ ერთად,
ჩემო ჩანგო, განუყრელო, ტკბილო.
შრომის ნაყოფს ხალხი გაზრდის ერთად,
მიღწევებით იამაყე, გულო.
დაინახავ, გაგინათებს თვალებს, —
მზე ადგია ბაღებსა და ყანებს,
იქ შენიშნავ სახემომღიმარეს,
შრომის გმირებს, ჩვენი კუთხის ქალებს.
ვინ არ უმღერს მათ ბრწყინვალე სახეს,
ძალ-ღონით და სისხლით სავსე მკლავებს,
მთების შვილთა სახელოვან სახელს,
მათი შრომით ბარაქას და ხვავებს.
უხვ მოსავლით ამშვენებენ მინდვრებს,
სიხარული მით უბრწყინებს თვალებს,
მიაღწევენ ტკბილ მომავლის მიზნებს
და პარტიის ნათელ ამოცანებს.
აშრიალებს ქარი ვონაბერი
ღამე ფიჩვნარს და ბაღ-ვენახს მწვანეს.
ციდან ჰფენენ შუქს ვარსკვლავნი ბევრი
მზით მოქარგულ ყვავილოვან მხარეს.

დაგვკაშკაშებს და გვიხარებს გულებს
მშვიდობის მზე და მშვიდობის მთვარე
ცა უღიმის ღამის ელვათურებს,
ჰიმღერ ტკბილად, მიწავ გენაცვალე!

8. შრომის სიმღერა

ჩვენი დიდი საბჭოეთი,
მზის ქვეყანა თვალუწვდენი,
იმისი ცა, ზღვა, ხმელეთი,
სამშვიდობო შუქნაფენი.
მოკაშკაშე მზით ნაქარგი,
ყვავილნარი მინდორ-ველი.
და მჭუხარე ტკბილი ჰანგი,
საამო და მიმზიდველი.
გვაქვს ნათელი გზა მშვიდობის
და პარტიის ნაბრძანები.
კოლმეურნეთა ყრილობის
დიდი ამოცანები,
ტკბილ მომავლის საწინდარი,
საგალობ-სათაყვანები,
ბრძნული აზრით ჩანაწერი,
ხელიხელ საგოგმანები.

ძველ წესდებას ახალი ცვლის
და მზის შუქით იწერება,
აყვავებულ, ნათელ, მზიურ,
ქვეყნის კანონიერება.
რასაც მოსდევს სიხარული,
სიტკბო და ბედნიერება.
თანამედროვე ცხოვრებას
როგორც რომ შეეფერება
დღეს ცხოვრება ტკბილზე-ტკბილი
გვამღერებს და გველხინება,
ბედნიერების ღიმილი,
მზის შუქივით გვეფინება.
დაილოცოს ჩვენი ხალხის
შრომისნაყოფიერება,
ვაშა მის მზეს, კვლავ იზარდოს
ჩვენი ქვეყნის ძლიერება.

9. არ დავივიწყებთ ლენინს

ლენინ! ძვირფასო და საყვარელო,
მშრომელი ხალხის ტანჯვისგან მხსნელო
ოქტომბრის ცეცხლის დამანთობელო,
მჩაგვრელთა კლასის დამამხობელო.

ნათელ მზის სხივით გაშუქებულო,
საბჭოთა ქვეყნის გამნათებელო.
პარტიის დიდო ფუძემდებელო,
ჩვენო მამავ და მასწავლებელო!

შენი იდეა სწორ გზას ვიჩენებს,
და ცხოვრების ჩარხს წინ ატრიალებს,
ვგრძნობთ სიმდიდრეს და სიმშვენიერეს
დღეს შენი დროშა, სადაც ფრიალებს.

ჩვენს გულში ცოცხლობ, არა ხარ მკვდარი,
ცაზე მნათობი ვიდრე ანთია.
ბავშვიც კი გიცნობს აკვანში, ლენინ,
შენს დიად საქმეს მართავს პარტია!

10. თავისუფალ მხარეს

აჭარავ, ჩემო სამშობლოვ,
მთაგორებიანო.
ტურფა მხარევ, მზით ნათელო,
ბაღვენახიანო.

ლამაზო ამწვანებულო,
ტყეც და მინდორ-ველო.
ბრძოლებში გამარჯვებულო,
ხალხო აჭარელო

მტერს გაეთხარა სამარე,
ცრემლს არავინ ღვრისა.
ჰყვავის ტურფა არემარე
მზიურ აჭარისა.

გული ბევრჯერ ნაწამები,
მაგრამ მაინც მყარი.
ჩვენი შრომით იფურჩქნება
მისი მთა და ბარი.

კომუნიზმის მზისკენ მიდის
მისი გზა და კვალი.
გასწი, უფრო ტკბილი იყოს
შენი შრომავალი.

11. ნიკოლოზ ბარათაშვილს

არაგვის და მტკვრის ნაპირას
კოკობ ვარდად გადაშლილი.
მხნე ჰაბუკი, ნიჭით სავსე,
მხატვრულ სიტყვით შემოსილი.

ის სამართალს დაეძებდა,
თავის მერნით ფრთებგაშლილი.
დიდი ქართველი მგოსანი,
ნიკოლოზ ბარათაშვილი.

დასცქეროდა მოწყენილი
მტკვრის ანკარა მდუმარ ტალღებს.
და სულით დაობლებული
მას უმხელდა გულის დარდებს.

გმირი მხედარი მერანის,
უმორჩილო თავის ბედის.
რომანტიკულ პოეზიის
თვით ნუგეში გულთა ჩვენი.

უმეტოდ მომჩივანი
მტრის წინაშე მოხრილ ქედის
და ერთგული მეგობარი
ტანჯულ თანავარსკვლავედის.

ვერვინ ჰპოვა თანატოლად
გულის სარკე წაესწორა.
და გაეპო თანასწორად
საიდუმლო ფიქრთა გორა.

მან დაანდო თავის მერანს
დაუცხრომლად მტერთან ბრძოლა.
ისე მოკვდა, სული მისი
მტკვარს და არაგვს გააყოლა.

რბის მერანი მოუსვენრად,
მშვიდობის მახარობელი.
და მხედარი თვით დაყვება
თვით ამ დროის მგალობელი.

სახელოვან იუბილეს
აღნიშნავს ხალხი ქართველი.
ქეღრს და ქეღრს, და კვლავაც
იღერს
დიდი მგოსანის სახელი.

12. სიმღერა გერმანე ტიტოვზე

მიღწევები მეცნიერებისა
რით შევამკო ან რას შევადარო,
ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისა,
მშვიდობის და გამარჯვების წყარო.

ვინ არ უმღერს დიად გამარჯვებას,
ვინ არ ისმენს რადიოში ცნობებს,

რაც ჩვენ გულში იწვევს აღტაცებას,
და უსაზღვრო სიამაყის გრძნობებს.

ვის არ ატკბობს რადიოზე სმენა.
პატარებმაც ამოიდგეს ენა,
სულით, გულით, სიხარულით გვჯერა
გმირ ტიტოვის კოსმიური ფრენა.

ნავარდობდა ფრთებგაშლილი დიდხანს,
შეისწავლა კოსმიური სივრცე,
გარს უვლიდა ფრენით დედამიწას
ყოვლად გამრჯე, ფხიზელი და მტკიცე.

ვინც გმირობით თავი ისახელეს
ვესალმებით, ყველა ვუწვდით ხელებს,
დღეს მას მტკიცე მეგობრობას ჰფიცავს,
მსოფლიოში ვინც მშვიდობას იცავს

მიღწევები უფრო აგვამღერებს
ხალხურ მთქმელებს, პოეტებს თუ მგოსნებს.
რომ ვუმღეროთ ტკბილად მეცნიერებს
და კოსმოსში მონავარდე ფრთოსნებს.

გაუმარჯოს გაგარინს და ტიტოვს,
მეცნიერულ ფრენით გამოცდილებს,
კოსმონავტებს, სახელოვან გმირებს,
ხალხის ერთგულ, საამაყო შვილებს.

13. მშვიდობის მზე აჭარაში

ვის არ ატკბობს სილამაზე საქართველოსი,
ხავერდისფრად ამწვანებულ გაშლილ მთა-ბარის,
და მისი მზე, ბაღ-ვენახით ქებული მხარის,
ციტრუსოვან, ყვავილოვან მზიურ აჭარის.

ვინ არ უმღერს ჩვენს საყვარელ დედა სამშობლოს,
როცა დილის მზის სხივები ჰკოცნის ფანჯარას,
აციმციმებს ცვარნამიან ბაღებს და მდელოს,
სწორედ მაშინ სიყვარულით ვუმღერ აჭარას.

მიყვარს აჭარის მთა-ბარი და მინდორ-ველი,
საქართველოს ტურფა მხარე ეს განუყრელი,
მრავალ ბრძოლების ქარცეცხლში გამარჯვებული,
დღეს ილიჩის ჩირაღდნებით განათებული.

ქართველ ქალთა ლამაზ სახეს ჩადრი ფარავდა,
სილამაზით სახელგანთქმულს გიშრისთმიანებს,
სამასწელიწადს წყვდიადში თურქი ტანჯავდა
თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს.

მაგრამ როცა გაიმარჯვა თავისუფლებამ,
ქალთა სახეს ბნელი რიდე მალე აჰყარა,
მამაკაცთა თანასწორად მისცა უფლება,
მშვიდობის მზემ გაგვინათა ჩვენი აჭარა.

დღეს კაშკაშა მისი სხივით ხარობს მთა-ბარი,
თუ გინდ იყოს ქარიშხალი, ნისლი, ავდარი,
ჩვენთვის მაინც სითბო არის ზაფხულ-ზამთარი,
გვაქვს სახე გაღიმებული, გული გამთბარი.

შუქი დაგვნათის მშვიდობის მზითა გამთბარი,
კომუნისტური პარტიის ფხიზელი თვალი,
რამაც მოგვცა საშვალება ტკბილი ცხოვრების,
აგვამღერა მშრომელები მზიურ აჭარის.

შევტრფიალებთ მშობელ მხარეს შვილნი ამ მხარის,
სიყვარულით ანთებული ლხინით დამტკბარი,
თავისუფლების დროშები მაღლა ფრიალებს,
კომუნიზმისკენ მივდივართ მშვიდობის ძალით.

14. კომუნიზმისკენ მივდივართ

ხელში ჩონგური ავიღე,
ვუკრავ, ვმღერი თანდათანა.
მიხარია, რომ დღითი დღე
წინ მიდის ჩვენი ქვეყანა.

მშრომელ ხალხის სიყვარულმა,
ლხინის ეშხზე მომიყვანა,
დაე, მით უმღეროს გულმა,
დელი ოდელია — ნანა.

ძმურ ოჯახად გადაიქცა
წინაპართა ბაღი, ყანა.
მუშაობა კლასს გადაეცა,
ფაბრიკაა თუ ქარხანა.

რომ გვიმართლებს ბედისწერა,
ჩვენი თვალით ვხედავთ თანა.
ვპქეთ მქუხარე სიმღერა,
დელი ოდელია ნანა.

ჩვენი ქვეყნის ძლიერებას
წინ ვერ უსწრებს სხვისი ძალა.
საბჭოთა მეცნიერებას,
დიდება და ბარაქალა.

ცდები ისე დააყენა,
თვალს მიუწვდენ მის გზას განა?!.
კოსმიური ხომალდები
ააფრინა მთვარესთანა.

გვიყვარს დედა საბჭოეთი
ძის კიდე-განს ვიცავთ თანა...
ვინც მშვიდობის სადიდებლად
დროშა მარსზე მიიტანა.

შრომით ბედნიერები ვართ,
გვაქვს ხუთწლედი ამოცანად.
კომუნიზმისკენ მივდივართ,
დელი ოდელია ნანა.

15. ჭალ-ვაჟის გაშაირება

(ზ. შალიკავასა და ბ. ფუტკარაძეს შორის გამართული)

ქალი

ბიჭო, რას იპრანჭებიო,
თავი მოგწონს დიდათაო,
შენი ცხვირი გამოდგება,
ვორონცოვის ხიდათაო*.

ცაში ისარი ვისროლე,
აილურსა, დაილურსა,
ბიჭო, როგორ თავს იწონებ,
ცხვირი გიგავს მაიმუნსა.**

---

* მგოსანს ცხვირი მართლაც დიდი ჰქონდა.

** მგოსანს მართლაც ოდნავ მრუდი ჰქონია ცხვირი და ამ ნაკლზე დასცინა მოპაექრემ.

ბათუმიდან წამოვედი,
წამოვიღე პეჩენია,
მოდი, ბიჭო! ვიშაიროთ
პირი ნუ დაგიბჩენია.

ვაჟი

ყოველ გაშაირებაზე,
მასეთი რამ რად გჩვევია?
შაირში არ ჩამოგრჩები
არც პირი დამიბჩენია.

ძალზე მეტად მომეწონე
„ჰზეთუნახავო“ ზინაო,
ცოლად მინდა წაგიყვანო,
სევდამ არ დამაძინაო.

ქალი

ბიჭო, ეგ თავზე რა გხურავს,
ქუდია თუ ბოხოხია?
შორიდან მეზარებოდი,
ახლოს რატომ მოხოხდია.

ვაჟი

რა შენი საკითხავია,
ქუდი მაქვს თუ ბოხოხი?
რადგან ძლიერ მომეწონე,
ახლოს მიტომ მოვხოხდი.

ქალი

ჩოხა ჩოხას დავაკერე,
ახალ ჩოხას სჯობია,
ჩემთან შაირს როგორ ბედავ,
წადი მწყემსე ჯოგია.

ვაჟი

საფრთხობელავ და ყურცქვიტავ,
ვირთხავ, მიწით მოთრეულო,
მეჯოგე შინ გეყოლება,
შენ კურტუმომონგრეულო.

ქალი

ახლანდელი ბიჭებიო,
რომ იწონებთ თავებსაო.
ჯიბეში რომ ჩაიხედოთ
ქორწილი აქვთ თაგვებსაო.

ვაჟი

თაგვებს ჯიბით არ ვატარებ,
მოგიხდია ბოდიში,
შაირმა თუ გაწყენინა,
შევრიგდებით ლოგინში.

ქალი

ჭუხას თავი გადავჭერი.
გავაკეთე ნავადაო,
ყველას თავი შოგაწყინე,
დავრჩი უკაცრავადაო.

1943 წ.

„აჭარავ, ჩემო საუნჯევ...“

ოთარ ჭყონია



ოთარ დავითის ძე ჭყონია დაიბადა 1930 წელს, 14 იანვარს, აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აგარაში, გლეხის ოჯახში. მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰქონდა ოთარის მამას, დავით ჭყონიას. ბუნებით კეთილშობილი და გამრჯე გლეხი იყო იგი, მცირეწლითაც კმაყოფილს სიღარიბე არ აშინებდა, მიუხედავად ხელმოკლეობისა, ცხოვრებას არ უშინდებოდა, უღელს მეუღლესთან, მაჭუტაძის ქალთან — ემინესთან ერთად ერთაულად სწევდა და სოფლის და ქვეყნის ავკარგს სოფლის,კაცობით უყურებდა. 91 წელი იცოცხლა დავითმა, შვიდი ქალი და სამი ვაჟი გაუზარდა ქვეყანას, მათში ერთი კი პოეტური ბუნებისაც გამოდგა. მამა ხშირად ეხუმრებოდა ლექსებთან შეთამაშებულ ბიჭს, — ჭყონიები ლექსობაში ცნობილი ხალხია, თუ ლექსის თქმა გადაწყვიტო, იცოდე, წინაპრებს სირცხვილი არ აჭამოო.

— ცოტა რომ წამოვიზარდე და სახალხო მელექსეების შესახებ უფრო მეტი შევიტყვე, მივხვდი, მამაჩემი ჩვენი გვარის სხვა უწინო თუ გამოჩინებულ მელექსეებს შორის ჩემს დიდ ბაბუას, აღიარებულ სახალხო მთქმელს, მემედ ჭყონიასაც გულისხმობდა, რომლის ლექსებიც ბევრმა ზეპირად იცოდა მაშინ.

მუსიკა, სიმღერა და ლექსი ჭყონიების თითქმის ღვთითნაანდერძევი

თვისებებია. ამის დასტურთავანია თვითონ ოთარის პოეტური ნიჭი, ამის დასტურად იკმარებს ოთარის მამის — დავითის დასახელებაც.

მაშინდელი ღუხჭირი ცხოვრების მიუხედავად დავითმა წერა-კითხვა დამოუკიდებლად შეისწავლა. ახალჩასახულ საკოლმეურნეო მშენებლობაში ჩადგა და თან სოფლის თვითმოქმედ გუნდში გაერთიანდა. ახალი ცხოვრების საგალობელს სალხური უბრალო, და ალალი სტრიქონებით მღეროდნენ დავითი და მისი თანაგუნდელები. კარგად იცოდა ჩონგუბზე დაკვრა და ღრმად მოხუცებულობამდე ძველი აჭარული ხორუმის უბადლო შემსრულებლადაც ითვლებოდა. ამიტომაც იყო, რომ იგი აჭარის ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლში მიიწვიეს და დიდხანს შეუცვლელი სოლისტი იყო. არც ეს გახლდათ შემთხვევითი, ესეც შთამომავლობით გადმოსცემოდა; მამამისი ხომ ცნობილი სახალხო ლოტბარი და აჭარაში ჭიბონის შეუდარებელი დამკვრელი იყო. სწორედ აქედან მოდის სახალხო მთქმელ ოთარ ჭყონიას პოეტური გატაცების საიდუმლოც. პატარა ბიჭუნა მამის წყალობით. სიმღერა-ცეკვის ხალხურ „გაკვეთილებს" ესწრებოდა და ხარბად ეწაფებოდა. მალე მისი ნამღერი გატაცებაც გამოიკვეთა; აგარის შვიდწლიან სკოლაში რომ შეიყვანეს, პატარა ბიჭს პირველი გაუმართავი სტრიქონები უკვე ჰქონდა წარმოთქმული; 1947 წელს სოფელ ჩაისუბნის საშუალო სკოლა დაამთავრა და სწავლა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო.

დიდი და გრძელი, შინაარსიანი პედაგოგიური გზა განვლო ოთარმა; იყო მაღალმთიანი აჭარის სოფელ ჭალის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, სასწავლო ნაწილის გამგე და შემდეგ — დირექტორიც. 1953 წელს მშობლიური სოფლის იმ სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა, სადაც თვითონ პირველად ეზიარა მაღლიან „დედაენას" და აგერ აქამდე, ეტრფის მას.

დიდი იყო პედაგოგის საქმე, ვალი და დატვირთულობა, მაგრამ ოთარი ლექსთან წილნაყრობას მაინც ვერ ღალატობდა და აგერ, სიბერის კარს მიმდგარი სახალხო განათლების ამაგდარად აღიარეს და 1978 წელს სახალხო განათლების წარჩინებულის მედალითაც დააჯილდოვეს, დამსახურებული დასვენების უფლება მისცეს, მაგრამ იგი მთელი არსებით ხალხური პოეზიის სამყაროში გადასახლდა, პოეზიისა, რომელთან ღრმა სულიერი კავშირი პირველი ბალღური სტრიქონებიდან მოყოლებული არასოდეს გაუწყვეტია ოთარს.

თავის გატაცებაზე სიტყვა ხმამაღლა არასოდეს დასცდენია ოთარს, ანც რედაქციის კარს მისდგომია ოდესმე. ნათქვამმა ხალასმა ხალხურმა პო-

ეტურმა სიტყვამ თვითონ გაიკაფა გზა ხალხში და ოთარ ჭყონიას ნიჭიერი სახალხო მთქმელის სახელი მოუხვეჭა.

ხალხური დაკვირვებით, სიბრძნით, გონიერებითა და ზომიერი დიდაქტიკით სავსეა ოთარ ჭყონიას ლექსები. სწორედ ამიტომაც არ გვეთაკილა მისი დაყენება იმ სახალხო მთქმელთა გვერდით, რომლებიც მთლიანობაში აღებულნი, აჭარის სახალხო მელექსეთა გალერეას ქმნიან.

გაივლის ჟამი, ხალხური ლექსის ყველაზე დიდი და მიუკერძოებელი მსაჯული თვითონ ხალხი თავად გამოუტანს განაჩენს ოთარ ჭყონიას ლექსებს, ჩვენ კი დღესდღეობით ესღა გვრჩება, გზა სახალხო მთქმელის ოთარ ჭყონიას ლექსებს ხალხური პოეზიის საგანძურისკენ მოკრძალებით დავულოცოთ.

ოთარ ჭყონია ნაყოფიერი სახალხო მთქმელია, იგი დღესაც გატაცებით ქმნის ნიჭიერებით გამორჩეულ ხალხურ ლექსებს და საქორწილო თუ სოფლის სხვა სამეჯლისო შეკრებილობაზე მორიდებით გამოაქვს ხალხისავე სამსჯავროზე, საიდანაც ისინი მისი ნამღვილი დამფასებლის, ისევ ხალხის საკუთრებად იქცევიან.

1. შეგონება

სამყაროს განვითარებამ შეცვალა ხალხთა აზრები,
ურთიერთ დამეგობრებამ მოსპო ბოროტი ზრახვები,
მაგრამ •ქა-იქ არსებობს მცირედი ავი სულები,
მათ ქცევას ყური დაუგდო, დაილევი და გაქრები.

ძირი მაგარი მაშინ გაქვს, როცა კაცი ხარ მართალი,
ჰეშმარიტება ერთია, სიცრუე არის მრავალი,
ცუდი უცებ თუ შეგემთხვა, თავისით არის მავალი,
გამოგლანძღავენ, გეტყვიან — ტყვილა გაცვია შარვალი.

ვარძია ვის არ უნახავს, ციხე ქალაქი თამარის,
სალ კლდეზე გამოკვეთილი ყველა ოთახი ქვის არის,
სიმართლისათვის მებრძოლ კაცს არ ეშინია ავდარის,
ვაჟკაცი სადაც შერცხვება, მისი სამარეც იქ არის.

სანამ არსებობს მზე, მთვარე, ხმელეთი, მთა და ბარია,
მანამ არსებობს ბუნების ფარული კანონებია,
იგი ყველაფერს განაგებს, რაც მისთვის სასურველია,
რაც შენ ამ ქვეყნად არ მოგწონს, სხვისთვისაც საძულველია.

ანდაზა ხალხის სიბრძნეა, აფორიზმი კი მშვენება,
ბრძნული ნათქვამი აზრები ყოველთვის ცოცხლობს, არ ქრება,
ამ ქვეყნად მოსაწონარი იყო, არის და იქნება,
ნაძრახი, მოძველებული მოისპობა და გაქრება.

ზღვას როცა იქით გასცქერი, ხედავ, თანდათან მრგვალდება,
უსწორმასწორო ნაპირი შორს დაკარგულში თავდება,
გამოუცნობი, მალული, თანდათან ამოიცნობა,
დამნაშავე და მაცდური ბოლოს და ბოლოს მარცხდება.

მუდამ აირჩევ ისეთ გზას, რომელიც გეადვილება,
ნამდვილად დაჯერებული გქონია ჰეშმარიტება,

მაგრამ ისეთზე შეცდები, შენს თავზე „გაგეცინება“,
ჯავრით და ფიქრით შეპყრობილს აღარც კი დაგეძინება.

როდესაც დამნაშავე ხარ, სხვას ნუღარ შეედავები,
გულით ფიქრობ, რომ მცდარი ხარ, მაინც ხარ გაუტეხარი,
თეთრს შავად როცა ამტკიცებ, ირგვლივ ხედავენ ყველანი,
ჯიუტი მაშინ გერქმევა, ცუდი ჩვევის ხარ მთესავი.

ვინმე არ გეტყვის ჭკვიან კაცს, დასაგმობელს რომ შეაქებ,
ან კიდევ შენს დანაშაულს სხვას ბრალად თავზე შეადებ,
ოჯახში მოსულ ამხანაგს გულისყურს ხომ არ მიაქცევ,
სხვა საქმეებით გართული შვილებს რომ ზრუნვას მიაკლებ.

აბა სად გაგიგონია, სიგლახე დამალულიყოს,
ვეებერთელა გემისგან ნავიც არ გამოსულიყოს,
შენს ცუდ ქცევაზე შემყურე ვინმე რომ მოხიბლულიყოს,
დათესილ პურის ადგილას სიმინდი ამოსულიყოს.

ორი კურდღლის მადევარი, ზოგჯერ ერთსაც ვერ დაიჭერს,
ჯიუტი კაცი, ვცდებიო, ძალიან გვიან გაიგებს,
საკუთარ რწმენით ყოყოჩი თავისით მახეს დაიგებს,
ყველა ხედავს, რომ დამარცხდა, მაინც თავისას ქადაგებს.

სახლის მტერზე უარესი გარეშე მტერი არ არის,
მოფერება და ყვირილი ოჯახის წევრზე არ გადის,
იცის, ვერაფერს ვერ უზამ, ღრიალებს, მისი გაუდის,
ცუდი გზით მიდის, მიილტვის, ღალატზე სული წაუდის.

ზოგიერთი დაგიშავებს, მთლიანად ნერვებს მოგიშლის;
დამნაშავეა, კი ხედავს, მაგრამ ბოდიშს არ მოგიხდის,
საკუთარ თავს პატივს არ სცემს, განა ის შენთვის მოიცლის?
ვინც ქარიშხალს სხვისთვის თესავს, იგი თავისთვის მოიმკის.

უკულტუროა ის კაცი, ვინც სხვას დაუწყებს დაცინვას,
თავიხთავს განადიდებს და შენ კი დაგიწყებს გაკიცხვას,
ჩვეულება აქვს ისეთი, მიჩვეულია გაკილვას,
შენს წარმატებას ვერ იტანს, ყოველ წუთს ფიქრობს გათელვას.

რამდენსაც ქუხს, იმდენს არ წვიმს, მხოლოდ ზოგი აზვიადებს,
ყველა კაცი არ გეგონოს, ვისაც ხედავ შარვლიანებს.
ხულელს ჰკითხო, ჰკვიანია, თითქოს სხვასაც აჭკვიანებს,
ზოგიერთი მართლა საქმეს ამრუდებს და აზვიადებს.

კარგი სიტყვა-საქციელი ძალას გმატებს, გაგახარებს,
როცა სხვებს ნერვებს აუშლი, ისინიც შენ გაგამწარებს,
ჰეშმარიტად შემოგიტევს, დაგამცირებს, დაგაგლახებს,
უსამართლო საქციელზე სულ ადვილად დაგამარცხებს.

ერთხელ შემოჯდა მწყერი ხეს, ისიც დამპალი გამოდგა,
ნაწილს ბუნება არ წყალობს — წაიქცა, ვეღარ წამოდგა,
ბოროტი თავის შეცდომას როდის იყო რომ ნანობდა,
სხვის წყენინებას როდისმე დიდი წუხილით ნაღვლობდა.

თუ კაცი უბედურია, მას ქვა აღმართში ეწევა,
ვინც ჩაიდინა სიგლახე, ნუ იფიქრებს, რომ შერჩება,
ბუნების კანონს ვერ შეცვლი, მას აქვს თავისი წესდება,
სამაგიეროს მიართმევს, ვისაც როგორი ერგება.

შრომის გარეშე დოვლათი თავისით არ შეიქმნება,
თუ არ დაკოდე მოზვერი, ისე ხარი რა გახდება,
ქალი რომ შარვალს ჩაიცვამს, ის მაინც ქალად დარჩება,
რასაც თავიდან დათესავ, ბოლოშიც იგი დაგხვდება.

ყველა ანდაზა ბრძნულია, შემდგენელი კი ბრძენია,
სიმართლეს გამოხატავენ, ვისაც კი მოუსმენია,
გამოცდილებით დაგროვილს ჩავჭიდოთ ორთავ ხელია,
მას არასოდეს ივიწყებს ადამიანთა გენია.

თუ კაცი სწორად არ მსჯელობს, იტყვიან, წყალსა ნაყავსო,
მოჰპორიალ ამბებს ემჩნევა, ენით ჩქარ-ჩქარა ქარგავსო,
მას ჰგონია, ტყუილებით როდისმე ხეირს ვნახავო,
ასე მცდარი გზით წასული, დალმა და დალმა წავალო.

საძრახისს და ცუდ საქციელს ვერ აქებ და ვერ ადიდებ,
სხვის საქმეში ჩაერევი, მით ვერაფერს ვერ მოიგებ,

არამი და არა სარგო არ შეგრჩება, თუ წაიღებ,
საქმის თავი თუ არ იცი, ისე ბოლოს ვერ გაიგებ.

ცუდად ჩასმენილს, მოტანილს, ურმით მოტანა სჯობია,
ვინც შეგნებული კაცია, ასე იმსჯელებს, მგონია,
ჭორიკანობა, სიბილწე ბოროტებისა ტოლია,
დაგღუპავს, თუ კი ასეთთან ოდესმე საქმე გქონია.

სუროს რომ დაეკიდები, შორს მიდის და იხლართება,
თითქოს ხელით დაქარგული ბადესავით იქსელება,
კამათი და მითქმა-მოთქმა თუ არ დათმე, არ თავდება,
შენი ჩვევა. ხასიათი, სადაც წახვალ, თან წაგყვება.

სულ პატარა ნაპერწკლიდან დიდი ალი აინთება,
უსამართლო საქციელზე კაცი მუდამ აღელდება,
დათმობაზე თუ არ წადი, იოლი საქმე გართულდება,
დღეს პატარა მოჭორილი ხვალე დიდში გადაზრდება.

თოვლს შეხედავ, ლამაზია, ხელს მოკიდებ დაგეწვება,
ფიქრობ, მიზანს მივაღწიე, უცებ ხელი შეგეშლება,
ნაშრომი და ნაოფლარი ყველა წყალში ჩაგეყრება,
შენი ხვედრი თუ არ არის, ლუკმაც ყელში გაგეჩრება

ვისგანაც ელი სიკეთეს, მთელი გრძნობებით ენდობი,
ყოველი მიმართულებით მის მოქმედებას ეყრდნობი,
აშკარად არის მლიქვნელი, მალულად გულზე ეხობი,
საქმეში როცა გამოცდი, მის ავსაც მაშინ ეცნობი.

შემპარავი ძაღლი არის მყეფარეზე უარესი,
თავიდანვე ფრთხილად იყავ, თორემ გაებმი მახეში,
შეშინდები, დამარცხდები, თუ ჩაგიგდო მის კლანჭებში,
ამიტომაც გაუფრთხილდი, ნუ გაივლი მის მხარეში.

რაშიც თვითონ შენ რწმუნდები, რად გინდა სხვისი დასტური,
აწმყოს იმედით შეხედე, როცა კარგი გაქვს წარსული,
ხალხისთვის მუდამ იზრუნე, ბუნებით არ ხარ ჩაგრული,
ახალგაზრდობა აღზარდე, შრომით იყავი გართული.

ხელში რომ ჩაგივარდება დიდი ფული და ქონება,
მეგობრებს ჩამოგაშორებს მასზე ფიქრი და ოცნება,
შეგიპყრობს რაღაც ცდუნება, გადაგეღლება გონება,
არც იმათ მოაგონდები, სიმდიდრე ვისაც დარჩება.

სწავლა ნუ გაგამეტიჩრებს, ნურც დიდი თანამდებობა,
თუ კაცადა ხარ გაზრდილი, ყველა უეჭვოდ გენდობა,
საქმე ჰქენ სადიდებელი, გულს მიეც თავისუფლება,
სხვისი სახელიც ადიდე, ცუდია გადიდგულება.

ღრუბლიან ამინდს მოჰყვება ცა მოწმენდილი, მზიანი,
ისეთი მთებიც იშლება, რომელიც არის კლდიანი,
ბუნება შთანთქავს ყველაფერს, არც შენ დარჩები ღიანი,
თავის ქებას ნუ დაიწყებ, სხვებმა გიწოდოს ჭკვიანი.

დღე მეხვალიას სულ უწვიმს, თოვლი მოადგა კარსაო,
გსურს მოწინავე რომ იყო, არ დაელოდო დარსაო,
რამდენი ცუდი ნაშრომი გადაიყარა წყალსაო,
იშრომე ქვეყნის წინაშე, ნუღარ დაირჩენ ვალსაო.

კარგის მთქმელს ყური დაუგდე, კარგი გამგონი სჭირდება,
გამრუდებული ნათქვამით ხშირად ბევრი რამ ფუჭდება,
ნაკლოვანება ცუდია, მას შავი ზოლი დაჰყვება,
ხშირად ისეთი მძიმეა, რომ არასოდეს სწორდება.

ხათრით ვერ მოგანიჭებენ, კაცი თუ არ ხარ ჭკვიანი,
ვინმე ვერ დაგეხმარება, თავში თუ გიქრის ნიავი,
ამხანაგები გეცლება, თანაც გიძულებს ყველანი,
იქნებ სჯობს გონზე მოხვიდე, სანამ არ არის გვიანი.

პირში გემო თუ არა გაქვს, ტკბილიც კი უგემურია,
ვინც ეთიშება მეგობრებს, ის მუდამ უბედურია,
გამწარებული როცა ხარ, ცხოვრება უფერულია,
ყველას რომ უთხრა სიმართლე, ეგეც კი უხერხულია.

კანონის მატარებელი არასდროს არ დაისჯები,
ზრდილობიანი როცა ხარ, მერწმუნე, კარგი იქნები,

სიმართლისათვის მებრძოლი ადვილად არ წაიქცევი,
უფროსებს რომ დაუჯერებ, ყმაწვილი კაცად იქცევი.

ქვევით გამდინარი წყალი არასოდეს წავა მაღლა,
სადაც ხედავ, გამტყუნდები, აღარ უნდა იჭა დავა,
სიგლახეს რომ შეეჩვევი და იქნები მატყუარა,
სუყველანი გაგიცხავენ, არსად შენი აღარ გავა.

შენ რომ ფიქრობ მომავალზე, სხვასაც უნდა კარგად ყოფნა,
არვის არ სურს ჩამორჩენა, კუს ნაბიჯით ნელი ცოცვა,
მაგრამ წარმატებისათვის საჭიროა დიდი შრომა,
წინსვლა-აღმავლობისათვის სწორი გზების ზუსტად პოვნა.

მართალი გზებით რომ ივლი, აღმზრდელებს გაუხარდება,
დედ-მამის გამხარებელი ყველასგან დაილოცება,
როცა სიმართლეს გაუვები, არავინ დაგემდურება,
შენი ალალი ნაშრომით სამშობლოც გაგეფურჩქნება.

დაიმახსოვრე სხვასავით, შენაც დედის ხარ შობილი,
დედა სამშობლოს წინაშე დიდია მშობლის სახელი,
მშობლებისათვის არასდროს არ გეჭმევინოს სირცხვილი,
ერთხელ ხარ დაბადებული, ერთხელ გეწვნიოს სიკვდილი.

ყმაწვილობიდან იზრუნე, რომ იყო დაფასებული,
აღმზრდელებს ყური დაუგდე, არ გახდე გაუგონარი,
იშრომე, იყავ ბეჯითი, ისმინე გასაგონარი,
მაშინ იქნები ნამდვილად სამშობლოს მოსაწონარი.

ვთქვათ, უცაბედად აღელდი და ჩაიდინე „გმირობა",
ენას მიეცი უფლება, დაკარგე კარგი ბიჭობა,
მაშინ შენ უნდა იზრუნო, შეინარჩუნო ზრდილობა,
ბოდიში მოიხადო და წყლითა მობანო ჭრილობა.

უფროს-უნცროსი თუ იცი, თანაც ხარ განათლებული,
იტყვიან, შეგნებულია, კაცია კარგად გაზრდილი,
ხალხში სახელის მოხვეჭა ძნელია, არა ადვილი,
ვინც იმსახურებს შექებას, დიდი ჯაფა აქვს განვლილი.

ბარტყებს ბუდეში უვლიან მოუსვენარი ჩიტები,
მშობლებს რომ დაინახავენ, უჭიკჭიკებენ შვილები,
როდესაც დაიზრდებიან და გახდებიან დიდები,
ერთმანეთს ველარ იცნობენ ერთი ოჯახის წევრები.

ბაყაყს ბუმბულში აწვენდნენ — ის ფუჩეჩ-ფუჩეჩ იძახდა,
ძველი ადგილი ირჩია, დიდი ჭაობი ინატრა,
პატარა გოჭმა ღრუტუნი დიდი ღორიდან ისწავლა,
ვინც შვილი შვილად გაზარდა, იმან ბოლომდე იხარა.

მშობლების მითითებანი ხშირად არ მოგეწონება,
ყმაწვილობისას ვერ ამჩნევ, ცუდ რჩევად მოგეჩვენება,
როცა მშობელი გახდები, შვილები შეგეძინება,
მაშინ მიხვდები შეცდომებს, თუმცა გვიანი იქნება.

თუ გინდა კარგად რომ იყო, ცხოვრებით გამართლებული,
მაშინ გახსოვდეს შენს უკან, ვინ არის გაჭირვებული,
მეგობარი და ძმა თუ გყავს, არ გყავდეს დამდურებული
ბუნების წესებს თუ იცავ, ხარ მუდამ გახარებული.

შენ რომ ღობეზე გადადი, მას ყველა გადალახავდა,
ვიდრე ჰკვიანი დაფიქრდეს, გიჟი ხიდს გადაირბენდა,
თუ გვყავდა კარგის მსურველი, შენთვის მთებს გადალახავდა,
ცოდვა და მადლის მორწმუნე სხვისკენაც გაიხედავდა.

ვერ გამოიცნობ წინასწარ, ხვალ შენ რა ბედი გეწვევა,
ფუფუნებაში ვინც ცხოვრობს, აღარ სურს ღმერთის ხსენება,
ასე ჰგონია ყოველთვის, მზე მისთვის ამობრწყინდება,
თუ გაჭირვება შეემთხვა, მაშინ კი გული უსკდება.

ფულებით გაყოყოჩებულს როცა სიკვდილი ეწვევა,
დაიწყებს ღმერთის ხსენებას, თან შიშის ზარი ეფრქვევა,
შთაგონებაში ჩავარდნილს, ბოროტი აზრი ეცვლება,
ყველა ნაცნობს და მეგობარს თავჩაქინდრული ეხვევა.

უნდა გვახსოვდეს ყოველთვის წინ გასავლელი სიკვდილი,
ვიცი, ყველანი იქ წავალენ, არაა ჩვენი სურვილი,

ამიტომ ყველამ ვიცოდეთ, არასდროს ვჭამოთ სირცხვილი,
ნუ მივცემთ ვინმეს უფლებას, რომ დაგვაყაროს სიცილი.

ცუდია, როცა თავს უვლი, სხვა სულაც არ გახსენდება,
ფუფუნებაში ჩავარდნილს ღვიძლები არ გენაღვლება,
აღარ იხსენებ წინაპრებს, ამის დრო თითქოს არ გრჩება.
რატომ კადრულობ ისეთებს, რაც იცი არ გეკადრება.

არასდროს არვის არ ახსოვს საიქიოდან მოსული,
მრავალი მილიონობით წინაპარია წასული,
აწმყოზე ფიქრი ძნელია, როცა ცუდი გაქვს წარსული,
ამას ხალხი ვერ აიტანს, გინდ იყო ძე ან ასული.

რომ გადავხედავ ჩემს წარსულს, ბევრი ჯაფა მაქვს განვლილი,
რომელ წელს როგორ ვიშრომე, არცერთი არ მაქვს დათვლილი,
შრომა კაცს რას მოგახუცებს ან გაჭირვების წადილი,
გზა და გზა რომ არ გხდებოდეს, ის უკუღმართი შეშლილი.

ადამიანი რომ კი ვარ, მეც გამაჩნია ნერვები,
უსამართლობას ვერ ვიტან, ვღელავ და ვეღარ ვჩერდები,
საქმისა წარმოებაში სწორედ ვერკვევი, არ ვცდები,
ზოგჯერ ისეთი მღალატობს, ვისაც მე თავზე ვევლები.

მოღალატე-მატყუარა ღვიძლ ძმასაც გაეთიშები,
არ გაპატიებს, გაგკიცხავს, შას გზიდან ჩამოშორდები,
ურთიერთობას გაწყვიტავ, მუდმივად დაემდურები,
შეტრიალდები ზურგს უკან, მისგან შორს გადიკარგები.

ისეთი კაცი გღალატობს, რომელიც ფულის ხარბია,
ოღონდ თავის თავს მიხედოს, აღარ აქვს შენი დარდია,
რომ გაწყენინა, ვერ ხვდება, თუმცა მისთვისაც ჯავრია,
მერწმუნეთ, ასეთ პირებთან ძმობა ნამდვილი ძნელია.

თუ კაცი არის ღალატი, ეშმაკი და მატყუარა,
სჯობია, დროზე გაჩუმდე, მასთან კამათი არ გაყო,
სიმართლის მთქმელი არ არის, ვინც სინამდვილე დამალა,
წყენა-წყენაზე ამატა, ამხანაგობა წაშალა:

ურთიერთ მეგობრობაში ავტორიტეტი დაკარგა
სიცრუე მოიშველია, სხვებიც შენს მიმართ დარაზმა,
ჩვენს შორის ამხანაგობა სანაგვე ყუთში ჩაყარა,
რაც კი ოდესმე კარგი ჰქნა — ბოლოს კი დაასამარა.

გალმას მისთვის შეედავა, გამოღმა რომ შერჩენოდა,
გამოირკვა, არ ნაღვლობდა, თუნდაც ცეცხლი გამჩენოდა,
ყველგან მედგნენ მეგობრები, მათი ძალით შენდებოდა,
ალმაცერად მიყურებდა, ბურთი მას რომ დარჩენოდა.

ჩემთვის ორმო რომ გათხარა, ღალატით თვითონ ჩავარდა,
სიბოროტე და სიგლახე დიდი ხნით გულში ატარა,
მაგრამ არ იქნა, თვითონ მან ბოლოს მას ფარდა ახადა,
რაც ჰქონდა მონაპოვარი, ყველანი ერთად დაკარგა.

დიდ ფარას გამოთიშული მოხეტიალე ცხვარია,
როცა დაღუპვა მოელის, მგელი მას შეჰკმს, ცხადია,
ვინც მეგობრობა გაყიდა, მოღალატე და მცდარია,
არ მსურს ბუნებამ დასაჯოს, თუმცა ყველაფრის ღირსია.

ზოგიერთები ვერ ამჩნევს ცხოვრების გზაზე ცვლილებებს,
განვითარება წინ მიდის, ტექნიკის ძალებს იყენებს,
დღევანდელს ეალერსება, გუშინ რა იყო ივიწყებს,
თავისი საქმით გართული, მეგობარს აღარ ახსენებს.

სიცოცხლეს ფასი არა აქვს, თუ არ გაქვს გზა და მიზანი,
სულ ახლო მეგობარი კი, მაინც ვერ გამოვიცანი,
გასავლელი გზა ყოველთვის ჩემთვისაც არა მზიანი,
კი შევისწავლე ბოლოჟამს, მაგრამ უკვეა გვიანი.

ვინ იფიქრებდა, ოდესმე გულში ცუდს ჩაისახავდა,
ამდენ ნაშრომს და ნაოფლარს სულაც არ დაინახავდა,
აღიარების სანაცვლოდ ჩემს ამაგს დაივიწყებდა,
მონანიების მაგივრად გულში ვარდს ჩაისახავდა.

სირცხვილი ისეთ მეგობარს, რომელიც ბრალს მსდებს ღალატში,
ვინც ჩემში ხარვეზს პოულობს, მკიცხავს ჩხუბსა და დავაში,

სულ ჩემზე ფიქრობს მეფობას, ყოველთვის მიწვევს კამათში,
სიამოვნებას ნახულობს დიდ წვიმასა და წარღვნაში.

თევზმა თქმა სწორი ანდაზა: ბევრი მაქვს სიტყვა სათქმელი,
მაგრამ ხელს მიშლის, ვერ ვამბობ, პირი წყლითა მაქვს ავსილი;
დაბრმავებული დავდივარ, თვალები ცრემლით გავსილი.
მეგობარი ხარ — შემხედე, თავი რადა გაქვს დახრილი.

ენით ტყვიებს რომ მესროდი, მერჩია, თოფით გესროლა,
პატარა ვიყავ, იტყოდნენ, იგი ხუმრობა მეგონა,
რადგან არ გამოგიცდია, ალბათ, შენც ასე გეგონა,
მაგრამ ისეთი მწარეა, სულ სანანებლად გეყოფა.

თუ ენერგია კიდევ მაქვს, მომავალს ვეალერსები,
ცუდი განზრახვა რად მინდა, ვინმეს არ ვეპირფერები,
ვისაც შევაჩნევ, ვერ მიტანს, ცხვირში რას ვეპიტნავები,
სულ არ შევხედავ სახეზე. ახლოს არ გავეკარები.

სიგლახეს ვერსად დამალავ შენიღბულს ათას ფერზედა,
მეგობრის გაბოროტება ძლიერი არის მტერზედა,
ჩემს გულის ძგერას ფარულსა მე უფრო ვხედავ შენზედა,
მე თუ არ ვიცი ჯინა ხარ, არც სხვებმა იცის ჩემზედა.

შენი ძმობა რომ ვირწმუნო, მაშ გამინათე სანთელი,
ჩემთვის ნუ შეყოყმანდები, მომეცი ხალხში სათქმელი,
შესაძლებლობაც მომეცი, შენთვისაც ვიყო ნათელი,
თუ ერთმანეთი ვადიდეთ, გვექნება კარგი სახელი.

გზა კეთილსა კაცსა ნიადაგ გქონდეს სავალად,
მუდამ ეცადე, ღალატი ნუ დაგერქმევა სახელად,
სჯობს გქონდეს კარგი სახელი შენს ირგვლივ ახლო მეზობლად,
შენგანაც დაშორებული მიგულე ერთგულ მეგობრად.

ადამიანის თვისება რთული და ცვალებადია,
მცირედის ქცევა ცუდია — მრავალის საქებარია,
კეთილი, გულით მართალი, სანთლითა საძებარია,
ძალიან ცოტა არსებობს კარგი ძმა-მეგობარია.

გარედან სახე შეცვლილი მღვდელი ჭილობშიც იცნობა,
ვისაც კი გული ცუდი აქვს, ის იოლად გაძოიცნობა,
ასეთ მეგობარს ერიდე, არ გსურდეს მასზე დაყრდნობა,
თორემ იცოდე, ძმობილო, მოგელის წყალში დახრჩობა.

მოკლე გზით მტერსა ელოდე — შორი გზით ნამდვილ მოყვარეს,
ათასი მტერი სჯობია შენს ერთ უმსგავსო მოკეთეს,
ახლობელს მუდამ ერიდე, ნუღარ გაიხდი მოდავეს,
ხომ დაგინახავს, მკვიდრებმა რომ არე-მარე მოწამლეს.

დაკარგულს ძნელად იპოვი, რომ ნახო არა საქები,
ამიტომ მტკიცედ დაიცავ კაცობის ნორმა, წესები,
მეგობარს ისეთს ნუ კადრებ, რომ მუდამ იყოს ნაწყენი,
იგი თუ გაანაწყენე, არც შენ დარჩები უცვლელი.

ისვ წარმართე ცხოვრება, სხვამ რომ გაქოს და გადიდოს,
თუ არ ხარ მორიდებული, სხვამ რატომ უნდა გერიდოს?
კაცმა ხშირად რომ არ შეცდე, მეგობრის სიტყვა გერჩიოს,
სჯობს ამოვნო საუბრით თავი ამაყად გეჭიროს.

დანით გაჭრილი რომ არის, მაკრატლით რატომ იჩემებ,
უტკივარ თავსა, მითხარი, ძალით რაღაზე იტკივებ,
ასეთი ჟინიანობით კარგს ნურასოდეს იფიქრებ,
ყოველთვის დაისჯები და სულ დამარცხებას იგემებ.

ამ წუთისოფელს გაუგე, დატოვე კარგი სახელი,
მოვა დრო, ყველა იქ წავა, არც შენ დარჩები უცვლელი,
როცა თავისთვის კარგი ხარ, ცუდი არც სხვას აქვს სათქმელი,
მეგობრებს გაახარებ და შექების ღირსი იქნები.

სჯობს ტრადიცია განაგრძო მამა-პაპათა ქებული,
ერთხელ წახვიდე იმ ქვეყნად, ერთხელ ხარ დაბადებული,
ამხანაგების წინაშე სჯობს იყო გამართლებული,
არ ჩაიდინო სიგლახე, არ იყო დაგლახებული.

ერთგულება და ძმობაში ნურც ნუვინ გაგიტოლდება,
ამხანაგებში ღალატით კოშკი არ აგიშენდება,

კაცი ხარბი და ბოროტი ვინმეს არ მოეწონება,
ადგილსამყოფელს ვერ ნახავს, ვერსად ვერ დაბინავდება.

ჩემი ცხოვრების მანძილზე მინახავს ბევრი ავ-კარგი,
არ განმიზრახავს არავისზე ბოროტება და ღალატი,
რატომ სხვას მივცე უფლება, მითხრას ცუდი და ნაძრახი,
მის გავლენის ქვეშ მოვექცე, რატომ დავყარო ფარხმალი.

ძვირფას ნაცნობს და მეგობარს სულ მუდამ მოგეფერები,
როცა საჭირო გახდება, კიდევაც დაგეხმარები,
თუ გამოიჩენ ხიავეს, ახლოს არ მოგეკარები,
ქუჩაში ჩემსკენ მომავალს ყოველთვის დაგემალები.

მეგობარი და ძმა თუ ხარ, ბოლომდე უნდა მახარო,
ენით დაკოდილს ვერ კურნავს ვერცერთი სახის მალამო,
სიბოროტე და სიგლახე რად გინდა გულით ატარო,
ეს მოკლე წუთისოფელი უსიამოვნო გახადო.

ამბობენ, ხელი ხელს დაბანს, ორივე ერთად — პირსაო,
ჩემი ძმა, მეგობარი ხარ — გაიზიარებ ჭირსაო,
პატიოსნება დავიცვათ, ეს დაგვიმაგრებს ძირსაო,
როცა ჩვენ ძმურად ვიქნებით, სხვები ვერ გვახლებს ხელსაო.

მწუხარება და ქორწილი ორივე მეზობლებია,
სიხარული და ტირილი ორივე გასაველია,
ზედმეტ ტანჯვას რომ ავშორდეთ, დავიცვათ ერთმანეთია,
ხელი ხელს მივცეთ, მხარი-მხარს, სულ ვიყოთ მეგობრებია.

მეგობრობა ჩვენ კარგი გვაქვს, კეთილი, დაფასებული,
მტკიცედ დავიცვათ ბოლომდე და ვიყოთ გახარებული,
ერთმანეთს ისეთს ნუ ვკადრებთ, რომ ვიყოთ გამწარებული,
ამ ქვეყნად ყველა ვახაროთ, მისთვის ვართ დამადებული.

ურთიერთობა კარგი გვაქვს, არცერთი არ ვართ ნაწყენი,
ბოლომდე შევინარჩუნოთ, სულ ვიყოთ მისი დამცველი,
მაშინ ვიქნებით ამ ქვეყნად სამაგალითო, საქები,
ვინმე ვერ გვკადრებს აუგსა, გვექნება კარგი სახელი.

ენა ერთი გვაქვს, ერთი ვართ, თითქმის ერთად ვართ გაზრდილი,
ძვირფასი ამხანაგობის საფუძველი გვაქვს ჩაყრილი,
ვეცადოთ ერთად დავიცვათ ამხანაგობა ნამდვილი,
მარტო ვერც ვერას გავხდებით, თუ სიმართლეა ცალმხრივი.

პატარა ხრამი ნელ-ნელა დიდი ხეობა გახდება,
დიდ გვალვა-პაპანაქებას დიდი ავდარი მოჰყვება,
თუ მეგობრობა მტკიცეა, ცუდი არასდროს მოხდება,
ნაკადული და მდინარე თავის კალაპოტს გაჰყვება.

გონებით განისაზღვრება შენი კაცობა, ელფერი,
სიმართლეს იცავ ყოველთვის, მეც თავზე შემოგევლები,
თუკი ერთმანეთს გავუგებთ, ხასიათი გვაქვს ერთფერი,
ჰკვიანი კაცი მაშინ ხარ, თუკი ავკარგში ერკვევი.

განვლილ ცხოვრების მანძილზე ბევრ ხიფათს გადავეყარე,
ნაწილი ჩემი ბრალია, შეცდომა ბევრი ვინანე,
ძნელად ვიპოვე სწორი გზა, ძებნაში გადავიღალე,
მაგრამ მით კმაყოფილი ვარ, მეგობარს გადავეყარე.

ბევრი მთა გადამილახავს, ბილიკითაც ვარ ნავალი,
ჩემი მიზანი დიდია, კიდევ ბევრი მაქვს სანახი,
თუ კი ბუნებამ მაცალა, არ დამიკეტა სავალი,
მზით გავითეხებ სიცოცხლეს, ტკბილი მექნება სალამი.

ჩემი სიცოცხლე ერთია, — სამშობლო ჩემი მზრუნველი,
კაცური გრძნობით გამზარდა, მას ვეფერები, ვუმღერი,
მისთვის ერთგული ვიქნები, ვარ მისი წინსვლის მსურველი,
და როგორც ერთი მლოცველი, დღე და ღამ თავზე ვევლები.

სიკეთის ქმნაზე დიადი ჟმ ქვეყნად არც რა მგონია,
სიბრძნეზე დიდი სიმდიდრე არც მქონდა, არცა მქონია,
სიტყვა დამრჩება, გარდავქრე, თუკი დამექცეს დრონია,
სიკეთით მიბოძებია ძღვნად თქვენთვის, — ოთარ ჭყონია.

2. აჭარა

აჭარა, ჩემი ლარნაკი,
ლაჟვარდთან შეუღლებული,
მთები, ხეები, სამოთხე,
სიახლ-ოფლით აყვავებული.

აქ წვანან მამა-პაპანი
მათით რომ ლოდი დავძარი.
აქ არის დედის ნანა და
აქ ხარობს ჩემი ტაძარი.

აქ არის მამის ამაგი,
მისი კვალი და ნაჯაფი
მისი მწყემსური ნაბადი,
მისი გზა, ბრძოლით ნაწაფი.

აჭარა, ჩემი ლარნაკი,
ქვა, ოქრო, მიწა, ბაზალტი.
ჩემი მზე, ჩემი სიმღერა,
მშვენება, შნო და ლაზათი.

3. თქვენი ჭირიმე პაპანო

გადამთიელთა ბრძოლაში
არ შეგრგებიათ სიბერე
ხმლებთან ჰმარხიხართ, ბრძოლაში
გული მაინც ვერ იჯერეთ.

ბევრჯერ ანანეთ, ინანეთ,
იგემეთ, თვითაც აგემეთ.

მოყვარე ძირს დაცემული
სად ნახეთ, წამოაყენეთ.

თქვენი ჭირიმე, პაპანო,
ვარ თქვენით თუ ვარ
ზრდასრული.
დგას მაგ თქვენს დაღლილ
გულმკერდზე
აწმყო. მყოფადი, წარსული.

4. ხაროზს მესხეთი, აჭარა

სამცხე-საათაბაგოა გურჯების შნო და ლაზათი,
ბუდე პირველი ჭიკეთის და განათლების აკვანი.
მან მოგვცა დიდი სარდლები, ალვის ხესავით ნაზარდი,
უკვდავი შოთა, მერჩულე, ცა-ფრუზ ხმელეთ-ლაჟვარდი.

მხარეს უცვალა ელფერი გადამთიელთა ომებმა,
ბოლოს ოსმალომ დაიპყრო, მოსპო მჩქეფარე ცხოვრება,

ვეღარ გაუძლო სხვა წესებს — ხალხი მის მამულს სტოვებდა,
ნადგურდებოდა ყოველი ტაო-კლარჯეთის ქონება.

შავით მოსილმა ბედმა და ეგრე მუხთალმა ღალატმა
სთესა და სთესა სხვა რჯული, ქრისტიანობა ალაგმა.
მახვილქვეშ მწარედ იკვნესა, იგმინა სოფელ-ქალაქმა,
ცრემლმაც კი ვეღარ ამოხსნა წუთისოფელის ქარაგმა.

თავისუფლების ნათელმა ბოლოს კვლავ შემოანათა,
უძლეველ მტკრმა ყვავ-ყორნის ფრთები დაკეცა, დაჰყარა,
კვლავ აბიბინდა იები, კაცის თვალ-გული აბარა,
და ასე ჩვენი სამოთხე ხარობს მესხეთი, აჭარა.

6. ნეტავი ისე ვიცოცხლო...

ბორბალოს კლდეებს ვუმზერდი, დაეტკბი ჯიხვების ჭიდილით,
ყურს მიბუგებდა ჩიტების ჟრიამული და ჭიკჭიკი.
მესმოდა, მეამებოდა მამალ ხოხობის ყივილი,
მისი დეზების წკრიალი და ია-ვარდის გვირგვინი.

შავი ზღვა თეთრად ბრწყინავდა, თითქოს მზე იყო ჩარგული,
აგერ კოლხეთიც ზღაპრული, თავისი კოლხი ასულით.
როგორც წინაპარს უყვარდა, მეც ისე მიყვარს მამული,
იმისი ტკბილი სიმღერა, იმისი ტკბილი ქართული.

ჰე, ქალო, შენ რომ გეძინა, საკინძე გქონდა შეხსნილი,
გულმკერდზე თმები გეყარა, გეფინა როგორც ჯეჯილი,
შორიდან გეფერებოდი, ვერ გადმოვლახე ჯებირი,
სიყვარულს ვეღარ გავუძელ, ლექსად გიგზავნე წერილი.

ნეტავი ისე ვიცოცხლო, არ გავხდე შენგან დევნილი,
მოვკვდე მეც შენი დამეცეს, ცრემლები ჩამოცვენილი,
ლოგინად ქართული მეგოს, მიწა, სამარედ ფენილი,
ზედ შენი თმები მეყაროს, ჩანჩქერი ჩამოდენილი.

6. ირწმუნე შრომა

ირწმუნე შრომა, რომ შენ გწამდეს ცოდვა და მადლი,
თანაც იცოდე საყვარელი სამშობლოს ფასი.
ქვეყანას ამცნე, დაიბარე, შემოჰკარ ზარი,
საწუთროს გზაზე მოიხადე კაცური ვალი.

სათნოდ მოეპყარ ირგვლივ ყველას — დიდს თუ პატარაა,
ეკალ-ბარდებთან ყვავილებიც არის ულევი.
არცა ის ვარგა, დაემონო მაცდურ სატანას,
რომ სულ ატარო მოკრიჭინე მძიმე უღელი.

ჰკუით ღარიბი ბრძენს არ უსმენს, ღმერთს უშინდება,
ბრიყვი თუ ფიქრობს — ოდეს მას წინ სიკვდილი უდევს.
ყველა სიავეს ამიტომაც ის ურიგდება
და სხვის ლუკმა-ჰურს დღენიადაგ ძაღლივით უღრენს.

ადამიანმა, თუ სიკეთე ნამდვილად იცი,
უნდა იცოდე, რომელია მწარე და ტკბილი,
მექრთამე კაცი თავის ნამუსს გროშებზე ჰყიდის
და თვალს იბრმავებს, გზას ვერ ხედავს, ზიგზაგით მიდის

ირწმუნე შრომა, რომ შენ გწამდეს ცოდვა და მადლი,
თანაც იცოდე საყვარელი სამშობლოს ფასი,
ქვეყანას ამცნე, დაიბადე, შემოჰკარ ზარი,
საწუთროს გზაზე მოიხადე **კაცური ვალი.**

7. ჩვენი სიცოცხლის წყაროა

ციხისძირი და ხიხანი
უკვდავი ბროლის თაროა,
გონიოს ციხე-ტიტანი
ჩვენი სიცოცხლის წყაროა.

როგორც ღვთიური მფარველი
მყინვარწვერი და თაგოა,

მამა-პაპათა დამცველი
ჩვენი სიცოცხლის წყაროა.

აპეპლდი, ჩემო მთა-ველო,
იფურჩქნე ახალთაობავ.
კვლავაც ისმოდეს ქართველო,
ხმამღლა შენი გალობა

8. მოკვდები, შენზედ ასე თქვან

ხეს უკუკუნებს კოდალა,
ჭიები ბუდობს ცრუ ხეში.
ნუ წაგძლევს, ასე აჯობებს,
სიტყვა ავი და უხეში.

სხვას ნუ უსურვებ სიავეს,
თავად გიმუხთლებს გამჩენი.
აგიტირდება სინდისი.
ბოლოჟამს მარტო დარჩენილ'ხ.

საქმე კარგი ჰქენ შენ გარგებს,
შენს სავალს გაგიადვილებს.

სიმწარეს გაგიმტკბილებს.
ოცნებას გაგინამდვილებს.

იარე, ასე დაბერდი,
ტკბილი გექნება სიბერე.
გძრახავენ, — საძრახს ნუ იზამ,
დაგლოცვენ, — ის შეიფერე.

იარე ისე გზა შენი,
ლოცვად ჰქმენ ხელაპყრობილი.
მოკვდები შენზედ ასე თქვან:
ნაღდ კაცად იყავ შობილი.

9. ბრძენს უთქვამს

ნუ ფიქრობ, სხვისი ხელებით
ოჯახი გავიმთელოო,
მაცდურ სატანას წესებით
კოშკები ავიშენოო.

ალალი ნაშრომ-ნაჯაფი
არ უნდა დაიღეროო,
სხვას თუ მოუა ზარალი,
პირჯვარი გადიწეროო.

თუ კი სიმართლის მომხრე ხარ,
ცუდს ვინღა დაგიბედებსო,
მრუდე კაცს შოლტი მოხვდება
და მწარედ დაიკვნესებსო.

ბრძენს უთქვამს, ვჭამოთ ალალი,
მარჯვენით დაითესოსო,
თუ ვისმეს შერჩეს ჰარამი,
მაშინ კი დაიკვეხნოსო.

10. რჩევა

თუ არ სთქვი დროზე სათქმელი
და ცხვირი დაღმა დაუშვი,
შენს გულში მოიხარშება,
ვერ გაიხარებ მამულში.

თუ დრო დაკარგე გაფურჩქვნის,
ვერ მომკე შენი სამკალი,
პირი დამუწე, დამუნჯდი,
ვერა თქვი შენი სათქმელი.

ჯერ უხმოდ დაგიბრიყვებენ,
მერე ღაღვით დაგხრავენ,
წიგნი ხარ — ბუხარს მიგცემენ,
კაცს კი უცეცხლოდ დაგწვავენ.

ჰოდა, მისმინე მელექსევ,
კვალში მომდევ თუ, წინა ხარ.
ლექსი ისეთი დატოვე,
რომ თავადა სთქვას, ვინა ხარ

11. მინდვრად გიხილე

მინდვრად გიხილე, მზეს ჰგავდი,
სახეზე ვარდი გეფინა.
შორიდან უბრად გიმზირე,
დარდს ვერ გავუძელ, მემძიმა.

არ მინდა გულში ჩურჩული,
ბალღულად ტრფობით ვძღებოდე.
და რომ შეგკადრო, ოცნებად,
მსურს შენთან ერთად ვტკბებოდე.

ეგ შენი ეშხი მანათებს,
გული ბორგავს და ფრიალებს,

ასე რად დამწვი, ლამაზო,
აგრე რად გამატიალე.

ჩუმ-ჩუმად ვწერე წერილი,
სათქმელი ვეღარ გავლიე.
ვერც რამ ტკბილ სარქმელს
მივაგენ,
ვეღარც შხამ-გესლი გავლიე.

ამ უთანასწორო ბრძოლაშ,
ფარიც კი ვეღარ ვიფარე.
ღმერთო, შენ მოჰკალ ის ვარდ,
გულზე რაც შემომაყარე.

12. ჭვეყნად ის თქმულა ღვთისშვილად

ეგ დედამიწა ზოგისთვის საწრთობი, საბურთალია,
მაგრამ უზნეო კაცისთვის მარტოკა სატუსაღოა.
რომ ყველას გველის სიკვდილი, ეს განა სახუმაროა?
ზოგიერთისთვის გონება წამლებით სამკურნალოა...

ადამ და ევას დროიდან სამყარო მშვენიერდება,
ეკალი იჩეხება და ვარდ-ყვავილები შენდება.
თანდათანობით, ნელ-ნელა ბუნებას ფერი ეცვლება,
და რაც დრო გადის, მით უფრო ადამიანი მშვენდება.

ადამიანის გონება წინ უსწრებს ყველა არსებას,
სწავლობს ცასა და ქვეყანას, იცის მის ირგვლივ რა ხდება.
უზნეო კაცის სიცოცხლე ამქვეყნად არის წამება,
ცუდი თავისით გაქრება, და მით ჩქარდება ძაგება.

ზოგს უკვირს პატიოსნება, ზოგს უშრომელი მეფობა,
რომ იყო კარგი აღმზრდელი, არც იოლია დედობა.
შენ მაშინ გიყვარს სამშობლო და მაღალი გაქვს ზნეობა,
ოდეს თვით მშვენიერდები, გიყვარს ძმობა და ერთობა.

სიკეთისა და სიბრძნის ძემ ხამს გული სხვისიც იცოდე,
სიმართლისათვის მებრძოლი კოცონზე უნდა იწვოდე.
ვინც ია-ვარდებს დასთესავს, ვინც გულს მზე-ხიბლით იმონებს,
მისია ამა სოფელში მარადიული სიცოცხლე.

ადამის სულს და ზნეობას აქვს თვისი კარაბადინი,
სიტკბოებასთან სიმწარე ვის არ აქვს გადატანილი,
მშვენიერებას ვერ შექმნის მძებნელი ფაფარაყრილი,
ქვეყნად იხ თქმულა ღვთისშვილად, ვინც კაცად არის გაზრდილი.

13. თვალით მენახა, ვნატრობდი

თვალით მენახა, ვნატრობდი,
წინაპრის ნაბრძოლ-ნაომი,
მიწა ხმალ-ხანჯლით ნაწრთობი,
ფლოქვებით გადანატორი

ჩემო ზურმუხტო ქვეყანავ,
მოესწარ, რასაც ნატრობდი,
ახლა სრულად თქვა, ნება
გაქვს,
რომ მზე შენთანაც ამოდის.

ღმერთს მადლი — გული საღი
გაქვს,
თანაც მიჰყვები სამართალს.

ხვალეც, მე ვიცი ნამდვილად,
რომ მტერს არ მისცემ
გასაქანს.

არასდროს იყავ მშიშარა,
ჭირს უმკლავდები ახლადაც
შენს ცაზე გადაიდარებს,
შენზე დაწერენ ბალადას.

თვალით მენახა ვნატრობდი, —
შენთვის მოკრილი ჩუქურთმა.
ტყვია, რომელმაც ვერ მოგკლა
და მტერს თვით მოხდა უკუღმა.

14. აჰარა ჩემი სულია

განა მიტომ ვსვამ, მწყურია,
არ მინდა ადრე სიკვდილი.
აჰარავ, ჩემი სული ხარ,
გულით გლოცავ და გიცინი.

იმ წყეულ წარსულს გაშოროს,
დღეს ხარ ზღაპრული სანახი.
გადაიწვიმე თავზედა
ჭირი და ლხინი მრავალი.

მტერი ვერ შეწვდა საწადელს,
ხარ გაზაფხული ცქრიალა
მიტომ პირთამდე ავავსე
ღვინით მეც ჩემი ფიალა.

დღეს ჩვენი ტოლი ვინ არის,
ვრპოვეთ ტკბილი და-ძმანი,
ჩვენს ერთად ყოფნას ლოცავენ
საფლავშიც მამა-პაპანი.

მე ქვეყნის წინსვლა მახარებს,
განა მიტომ ვსვამ, მწყურია...
ჩემი რწმენაა სამშობლო,
აჰარა ჩემი სულია!

15. ცუდი გვაქვს წესი

ხშირად ყოფილა, არ ვართ მართალნი
და მე ამაზე არც მიღირს ლექსი.
კაცს სიცოცხლეში ვადიდებთ, ვაქებთ,
მკვდარს კი ვაძაგებთ, — ცუდი გვაქვს წესი!

ყველა მბრძანებელს მათრახი ელის,
თუნდ იყოს მეფე, თუნდ კიდევ ღმერთი,
მიცვალებულის არ გვინდა ნეშტიც,
საფლავში ვებრძვით, — ცუდი გვაქვს წესი!

ზოგს, ვისაც სოფლად არ სწყალობს ბედი,
ვიმეტებთ, ტალახს, მოგვინდეს — ვესვრით,
ცოცხალს ვაფასებთ, მოკვდება ბრძენი —
მერე, ვაძაგებთ, — ცუდი გვაქვს წესი.

თუ ძლიერია, მტერს ფერხთით ველტვით,
მოყვარეს ვკორტნით ჯიშით თუ ფესვით.
სხვას ორმოს ვუთხრით, თვითონ ვვარდებით,
მაინც ვერ ვფხიზლობთ, — ცუდი გვაქვს წესი!

სიბოროტეში ნახული შვება
არავის შერჩა, — ჩავხედოთ წარსულს.
და რაც ცუდი გვაქვს, გვახსოვდეს მაინც,
ხვალ ყველაფრისას მოგვთხოვენ პასუხს.

* * *

ცალ-ცალკე ყველა კარგნი ვართ,
ერთურთ ვართ გაუტანელი,
ცალ-ცალკე მეტი ფასი გვაქვს,
ერთად ცოდვის ვართ მჭამელი.

სუფრასთან ვიცით ჭიქჭიკი,
გვიყვარს სამშობლოს მთა-ველი,
მაგრამ ურთიერთ არ ვიცით
დათმობა ცერა-მტკაველი.

თუმც გამძლეობა დიდი გვაქვს,
ნიჭი ვარამის ატანის,
ზოგჯერ მზე-დედის შვილნი ვართ,
ზოგჯერ სულში გვაქვს ავდარი.

ჩვენ ღვიძლთა ჩვენთა ღვიძლიც ვართ,
ტანჯულთა შთამომავლები,
ვმარცხდებით, წინ ვერ მივდივართ
ურთიერთ გაუტანლობით.

თვის ფიქრს უეცრად გავშიფრავთ,
სხვისას ვუზომავთ მისხლობით.
ერთმანეთს დიდზე გავკილავთ,
მცირეზე გავურისხდებით.

ურთიერთ დაცვა არ გვიყვარს,
ძმას მტრულად ავუჯანყდებით.
ცალ-ცალკე ყველა ძმები ვართ,
ურთად — მარცხის ვართ თავდები.

16. ადამიანი

ჩემი თვალები შენს მიმართ საზომი ბარომეტრია,
ზუსტად გაზომავს ყველაფერს, რაც შენში მოცემულია,
ამიტომ ისეთს ნუ ეძებ, სჯობ აზრს რომ მოკლებულია,
ვინც ხალხში სახელს მოიხვეჭს, ყოველთვის მოგებულია.

ადამიანს აქვს მრავალი თანდაყოლილი თვისება,
მაგრამ კაცობის სახელი თავის ქცევაში ფასდება.
თვით უნდა დაინტერესდე, დაიცვა მისი ღირსება
და პატიოსნად იშრომო, რომ მოიპოვო დიდება.

თუ მშობელს არ დაუჯერებ, ცხოვრების გზაზე იწვალებ,
თავიდან აჩქარებული, ბოლოში მაინც ინანებ,
ამიტომ რაც არ შეგფერის, ნურასოდეს ნუ იკადრებ,
ღალატი კაცი, გახსოვდეს, ვერასდროს ვერ გაიხარებს.

ადამიანი არ არის გონებით შეუცდენელი,
ვინც აღიარებს თავის ნაკლს, ის არის შეუდრეკელი,
მაგრამ ვინც ცდილობს დამალოს, იგია შეუგნებელი,
ის არ აფასებს თავის თავს და არის დაუნდობელი.

სიცოცხლის ბოლო ხანამდე ადამიანი სულ სწავლობს,
ვინც დარიგებას ღებულობს, იგი არასდროს არ ნანობს,
ყოველი გაკეთებული ხალხის წინაშე თან ფასობს,
მისი დარგული მცენარე დიდი ხნით ცოცხლობს და ხარობს.

საკუთარ ხელთ მომკილი ყოველი ლუკმა ტკბილია;
მშრომელი კაცის სახელი ჩვენს ქვეყანაში დიდია,
ვინც სხვის ნაოფლარს ითვისებს და ვისაც მუქთა ჩვევია,
ასეთი ადამიანი, მერწმუნეთ, ხალხის მტერია.

ყორანი გაღმა გაფრინდა, ეგონა გავთეთრდებიო,
ადგილის გადანაცვლებით იქნება შევიცვლებიო,
ოქროს სახსახლეს დავიდგამ, შიგ კოშკში შევფრინდებიო,
უფრო ხმამაღლა ვიჩხავლებ, არწივად გადვიქცევიო.

ზოგი ყმაწვილი არ ფიქრობს — ოდესმე გავიზრდებიო,
თავში აზრადაც არ მოსდის, თუ ოდეს დავბერდებიო
ადამიანო, ნუ იტყვი, წინ წავალ, ავშენდებიო,
ბოროტ საქციელს ჩავიდენ. ვიქნები კმაყოფილიო.

ბუნება ცვალებადია, იცვლება ადამიანიც
და თუ იცვლები, იზრდები, საქმე ჰქენ ხარისხიანი,
ორთავ ხელები ჩასჭიდე, რაც არის საფუძვლიანი,
შენი ცხოვრება რომ იყოს ნამდვილად ლაზათიანი.

ყველა ცოცხალი არსება. ცხოველთა დიდი სამყარო.
ბალახები და ბუჩქები, მაღალი მცენარეები —
ცოცხალ ბუნებას ეკუთვნის, ცოცხლობს, სუნთქავს და იზრდება.
მაგრამ, შენ ადამიანო, ვერცერთი ვერ შეგედრება!

დედამიწაზე ყოველი შენს ძალას ემორჩილება,
უძლური არის შენს მიმართ, შენს ხელში თვინიერდება,
ჯოლიათი და ძლიერი ქედსა ხრის, გემორჩილება,
რატომ ხარ ადამიანი, ალბათ, შენც გეცოდინება!

უსსოვარ დღიდან დაგერქვა სახელად ადამიანი,
მეოცე საუკუნეში განვითარდი და ამაღლდი,
დაიპყარ წყალი, ხმელეთი, კოსმოსსაც ეპატრონები,
ბუნებას იმორჩილებ და ბოლოს მას ემორჩილები!

ადამიანი შეგარქვეს, იყავი ადამიანი,
უფროსებს დაემორჩილე, პატარებს ეცი პატივი,
პლანეტის ყოველ წერტილზე გეპიროს შენი ადგილი,
მუდამ ეცადე, გახსოვდეს, რომ იყო ადამიანი!

17. მე ვიცი

მე ვიცი ჩემი სიკვდილის მერეც
ბრუნვას განაგრძობს ეს დედამიწა.
მზე ჩემთვის ჩავა, ამოვა სხვისთვის
თუმც ლექსი ჩემი მევე დამიცავს.

მე ვიცი ჩემი სიკვდილის მერეც
მარტი შეიცვლის ზურმუხტად ფერებს,
და რომ ვიცოცხლო,
რომ გავჩნდე ახლად
ლექსს უნდა ვგავდე ახლაც და მერეც.

მე ვიცი ჩემი სიკვდილის მერე
კვლავ აყვავდება შამბი და შინდი.
გულო ნუ ღელავ,
რად უფრთხი სიკვდილს
სულო რა მოგდის, ხომ არ შეშინდი?

ზეირალ ბახუნტარაძე



ზეირალ დემურალის ძე ბახუნტარაძე დაიბადა 1932 წელს, სოფელ ღორჯომში (სულოს რაიონი), მშობლიურ სოფელშივე მიიღო მომავალმა მელექსემ არასრული საშუალო განათლება. ლექსისადმი სიყვარული და ლტოლვა ბავშვობაში უცრძნია ჭაბუკს, უყვარდა სოფლის ხანდაზმულ მკვიდრთა საუბრის მოსმენა. 13-14 წლისას უკვე შეთვისებული ჰქონდა და ზეპირად იცოდა ხალხური ლექსების დიდი მარაგი. ყმაწვილს მეტადრე საგმირო-საისტორიო ლექსები იზიდავდა. ღორჯომის ხეობის უხუცეს მთქმელ-შემსრულებელთაგან გაგონილსა და შესწავლილ შაირებსა ოუ ხალხურ ლექს-სიმღერებს გონებაში სათუთად ჰკინძავდა და იმასსოვრებდა;

წამოიზარდა თუ არა, ოჯახს მოეკიდა, დედ-მამის ერთი ვაჟი იყო და ოჯახთან ერთად მოხუცი მშობლების რჩენაც მას დაეკისრა, 18 წლისაც არ იყო, რომ კოლმეურნეობაში ჩაეწერა, ბეჯითად შრომას მიჰყო ხელი და შინ და გარეთ გამრჯე მეურნის სახელი დაიმკვიდრა. მიუხედავად ოჯახური თუ სამეურნეო დატვირთვისა, ხალხურ სიტყვასა და ლექსთან სიახლოვე ერთი წუთითაც არ დაუკარგავს.

ზ. ბახუნტარაძე უპირატესად ახალი დროისა და ცხოვრების მესიტყვეა. მის ლექსებში შექებულია ჩვენი დღევანდელობა, მშვიდობა, შრომა, იგი უმღერის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლ მუშათა და გლეხთა კლასების მებაირაქტრეებს.

ლექსებს იგი მამა-პაპეურ ხალხურ საკრავზე, ჩონგურზე ამღერებს. ზეირალი იმპროვიზაციის ნამდვილი ოსტატია. ექსპრომტულად, დროისა და გარემოს შესაფერისად თხზავს, და მელოდიურად ასრულებს თავის პოეტურ ნიმუშებს. ხალხს მოსწონს მისი გონებამახვილური და ჯანსაღი

იუმორით აღსავსე პოეტური ნააზრევი. სწორედ ამის გამოა, რომ იგი სოფელსა და ხეობაში ყველა ხალხური შეკრებილობის, ქორწილისა თუ ტრადიციული საზაფხულო საიალაღო ზეიმის — შუამთობის მუდმივი მონაწილე და სულის ჩამდგმელია. ტრადიციულად, იგი სოფლის ხალხთან ერთად ამ ზეიმს ბახმაროსა და ზორტიყელის მთებში ატარებს. მის ირგვლივ მუდამ მხიარული განწყობილება სუფევს, ხალხური მთქმელი არც თუ იშვიათად თანამოსაუბრეებთანაც პირდაპირ ლექსით მეტყველებს, ხშირად ლექსად ეკამათება და ჭკუას არიგებს სოფლის ახალგაზრდობას.

მელექსეობა ზეირალს სიმართლის სამსახურად მიაჩნია. სწორედ ამიტომაც მიმართავს იგი ჩონგურს:

„შენ დაიდუპე, ჩეგჳრო,
მჳარე ენითა კბენარიო“[1].

ხოლო ამ დიდი დანიშნულების გამოა, რომ უყვარს და აფასებს მელექსის ღვთიურ ნიჭსა და დანიშნულებას, რაც ისევ და ისევ გამჟღავნებულია მელექსეობის სიმბოლოს: — ჩონგურისადმი მის მიმართვაში:

„მუდამდდე ხელით გატარებ
არ გაგაკარებ ქარსაო“[2]

მელექსის საქმედ უპირველესად სოფლის ავკარგის სამსახურს თვლის ზეირალი, სწორედ ამიტომ უყვართ და აფასებენ თანასოფლელები, ხეობის მკვიდრნი მის სიტყვასა და ნიჭს. ზეირალს ღორჯომის ხეობაში პროფესიონალ მელექსედ იცნობენ, ხშირად მიმართავენ და სთხოვენ ამა თუ იმ თემაზე ლექსის შეთხზვას და ისიც მადლიანი ქართულით თხზავს კაი ყმისა თუ მეურნის საქებარ ლექსებს, ავკაცთა თუ ავზნიანთა გასაკიცხავ-გასამთრახებელ ლექსებს. ხალხში კარგა ხანია ცნობილი და პოპულარულია დედა-შვილის სატირული ხასიათის მქონე გაბაასება-დიალოგი, რომლის პირვანდმთქმელიც ზეირალ ბახუნტარაძეა. გაბაასებაც, რომელშიც ქარაფშუტა ქალიშვილის ქცევაა დაძრახული, ვარიანტების სახითაა გავრცელებული აჭარაში.[3]

---

[1] ბსკ, ფ. 1, 1968, წ., ნ. ცქიტიშვილის საექსპედიციო ჩანაწერი, გვ. 25,
[2] იქვე.
[3] ე. დავითაძე, აჭარული ფოლკლორი, თბ., 1978, გვ. 96-97.

ზ. ბახუნტარაძე სცენის ხშირი სტუმარიცაა, იგი თავისი ჩონგურითა და ლექსებით უმღერის ახალ ცხოვრებას, განახლებულსა და აყვავებულ აჭარას, თანასოფლელთა შეკრებასა და შენებას. მისი ლექსები არაერთჯერ გამხდარა ხალხური საუნჯის შემკრებთა ყურადღების საგანი, მათ სხვადასხვა დროს რამდენჯერმე ჩაუწერიათ ზეირალის ლექსები. რომელთა ნაწილი ინახება ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ ფონდში, ნაწილიც სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. ბაშდენიძე ლექსი შესულია 1959 წელს ვ. ნოღაიდელის შიებ გამოცემულ ხალხურ მთქმელთა კრებულში.[1] სოლო უფრო მეტი ხალხშია გავრცელებული და დაუზარელი შეკრების ზრუნვას ითხოვს.

ზ ბახუნტარაძე ამჟამადაც მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთ ტრადიციულ, — ღორჯომის ხეობაში ცხოვრობს და კვლავაც სიყვარულით თხზავს ხალხური გულის ძვირფას ლექსებს.

---

[1] აჭარის ხალხური პოეზია, ბათუმი, 1959, გვ. 23-90.

1. კავო, შენი დრო წავიდა

კავმა თქვა: როცა შემეძლო,
ვარჩინე დიდი, პატარა,
რაც რომ ტრაქტორი გაკეთდა,
ალარავინ მიმიკარა.
ყანისკენ მიმაჩქარებდნენ,
გადამიდებდნენ მხარზედა,
სახნისით მიწას ვარღვევდი,
პატრონი მედგა თავზედა.
როცა გაკეთდა ტრაქტორი,
გაიჭრა მინდორ-ველშია,
ერთ წუთში დახნა ჰექტარი,
მე კი დამაგდეს ბნელშია.

— ტრაქტორო, ჩემო ძვირფასო,
რად მომაყენე წყენაო?
ტრაქტორმა პასუხი მისცა:
— გიჯობს ჩაიგდო ენაო.
გეგმებს ვასრულებ ასკეცად,
ჰექტრობითა ვხნავ დღეშია.
რას შემედრები ხის ბოლი.
ვარ ფოლად სამოსელშია.
შენი დრო უკვე წავიდა,
ხალხს უნდა მეტი დოვლათი,
რომ ყველგან იყოს სიუხვე,
მრავალი, ახლის მოსვლამდი.

2. გაწახლებული ღორჯომი

მზემან სხივი შემოტყორცნა.
ღრუბლები აშლ გაფანტულა.
ყველა სახლშია ნათურა,
ღორჯომი განათებულა.
დღეს ყველა მხიარულია,
ცხოვრება გვაქვს საამური.
გიჟი მდინარეც მოვთოკეთ,
ავაშენეთ ელსადგური.
თვით ცხოვრებამ ამამღერა
და გამინათა გონება,
მიყრუებული ღორჯომი
დღეს ქალაქი გეგონება.

დღეს ყველამ გამოიღვიძა,
უწინ რომ იყო მძინარე,
ყველანი შრომის ფერხულში
ჩაებნენ პირმომცინარე.
დღეს ისეთი ცხოვრება გვაქვს,
სიზმარშიც რომ არ გვენახა.
რადიომ და ელნათურამ
ყველა სახლში ბინა ნახა.
ძველი ხალხი ასე ამბობს:
— რა მოგვესწრო აგი ჩვენა.
ისე გარდიქმნა ღორჯომი,
ვერ აღწერს პოეტის ენა.

8. დედა-შვილის გაბაასება

— დედიჯან, გენაცვალები,
არ ვიცი, რა დამმართია,
ვგრძნობ ტკივილებს გულ-
მუცელში,
წელიც ვერ გამიმართია.

— არა, არ გიშავს, შვილოჯან,
ფეხისგან გაციებდებოდი,
ან სამე ცივ წყალს დალევდი,
როდესაც დაიღლებოდი.

— არა, დედიჯან, გენაცვა,
სულ არ ვყოფილვარ კარშია,
განა შენ თვითონ არ იცი.
შენთანა ვზივარ სახლშია?!

— აბა თუ ჰამე შენ ხილი
და მკუხე იყო ოხერი!
ზედან ცივ წყალსა დალევდი,
როდესაც დაიღლებოდი.

— არა, დედიჯან, გენაცვა,
სულ არ ვყოფილვარ კარშია,
განა შენ თვითონ არ იცი,
შენთანა ვზივარ სახლშია?!

— აბა თუ ჰამე მსუქანი
ღორის ან ძროხის ხორცია,
თან მიაძეხი კუპატებს,
ზედმეტი იყო პორცია...

— არც ერთი და არც მეორე
სულ არ მინახავს გემოთა.
ხოლოთ რაღაცა მაწუხებს
მუცლის ზემოთ და ქვემოთა.

— აბა მითხარი, შვილოჯან,
ნუთუ რა გიჩენს ტკივილებს,
იქნებ წვეთები დალიო,
მორჩენას გაგიადვილებს.

— აბა რას მარგებს, დედიჯან,
ვიცი, რომ კარგათ არ გამხდის,
რაღაც მუცელში, საშინლად,
ცოცხალი არსება დახტის.

— ვაი შენ დედას უბედურს,
ეხლა კი მივხვდი, რა არის.
უნდა ბებია მოვნახო,
თორემ მეტი გზა არ არის.

მივხვდი და აღარ გითხარი,
კარგს არ იზამდა სტუმრობა,
ახალგაზრდებთან არშიღი
რომ არ ყოფილა ხუმრობა.

ნათელა ხაბაზი — კომპოზიტორი



ნათელა მურადის ასული ხაბაზი დაიბადა 1938 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავში. იგი წარმოშობით სახელოვან მელექსეთა გვარის — ხაბაზების წარმომადგენელი იყო. ცნობილი სახალხო მელექსე ხუსეინ ხაბაზი (ქამუჯარაძე) ნათელას მამის ბაბუა იყო.

აჭყვისთავის შეს. ნიშნავი ბუნება, ხავერდოვანი ფერდობები და ყვავილებით მოჩითული კორმინდვრები იყო ნათელა ხაბაზის ბალღობისდროინდელი შთაგონების წყარო და სათავე. აქ უსმენდა იგი მდინარე კინტრიშის შხუილს, ელიას მთიდან დაშვებული ნაკადულების წკრიალს და სამოთხის ჩიტების ჟღურტულს, აქ, კამკამა კინტრიშის სარკეში ჩაჰყურებდა წითლად დაწინწკლული კალმახების სრიალს და ელიას მთის ქარაფებთან მოყაშყაშე ორბთა და არწივთა თამაშს.

პატარაობიდანვე გაიტაცა ხალხურმა ლექსმა, ჯერ კიდევ პატარა გოგონა უფროსებს ხალხური გართობა-თამაშობების საღამოებზე დაჰყვებოდა და ნახულსა და გაგონილს სამუდამოდ იმახსოვრებდა. შემდეგ, ნოცა წამოიზარდა, თვითონაც გაბედა პოეტურ სიტყვასთან შეჭიდება, გაბედა და ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილმა ქალმა მიიქცია ცნობილი მელექსეების, მისივე ბიძის — ყემბერ საბაზის და მასთან ხშირად სტუმრად მყოფი ხუსეინ ბაჯელიძის ყურადღება. მალე სოფელში ხმა გავრცელდა, ხაბაზების გვარში კიდევ ერთი სახალხო მელექსე იზრდებაო, ეს ნათელა იყო,

აჭყვისთავის ძველი და ტრადიციული ხეობის კიდევ ერთი სახალხო მგოსანი ქალი.

ნათელა ხაბაზს საშუალო განათლება ჰქონდა მხოლოდ მიღებული, 1958 წელს დაამთავრა აჭყვისთავის სკოლა და იმავე წელსვე ცოლად გაჰყვა მელექსეების გვარის წარმომადგენელს, შუქრი კომახიძეს. გამგებიანი გამოდგა ქმარი, ნათელას ლექსის თხზვაში არა თუ აბ უშლიდა, პირიქით, ხელსაც უწყობდა. ორი შვილი შეეძინათ, ქმარი გულმოდგინედ შველოდა მეუღლეს შვილების მოვლაში, ცდილობდა სულ ლაღ ხასიათზე ყოფილიყო, რომ ლექსის თქმის განწყობა ქალში ყოველდღიურ წარმავალ საქმიანობას არ ჩაეკლა.

აჭყვისთავში ისე სამეზობლო, სამხიარულო და საჭირისუფლო შეკრებილობა არ იქნებოდა, რომ ნათელაც იქ არ ჰყოლოდათ. სწორედ ამ დროს არის მისი ლექსების უმეტესი ნაწილიც შექმნილი. თხზავდა და ამღერებდა გიტარაზე, ფანდურზე, ჩონგურზე. მელოდია ლექსს ფრთებად ექცეოდა და ლექსად ნათქვამი ხალხში სიმღერად მიჰქონდა. აკი ამიტომ უთქვამს კიდეც მასზე თავადაც სახალხო მელექსეს, სახელოვანი სახალხო მგოსნის ყემბერ ხაბაზის შვილს და ხუსეინ ხაბაზი (ქამჯარაძის) შვილიშვილს, — ასიე ხაბაზს:

ტანადობით ხარ შემკული,
სახეც მოგიჩანს ლამაზი.
შენ მგოსანი ხარ ნამდვილი,
როგორც ხუსეინ ხაბაზი...

ასიე ხაბაზი ნათელას მამიდა იყო. ნათელა ასიეზე რამდენადმე უმცროსიც იყო და დიდხანს ეკრძალებოდა მამიდასთან ლექსის თქმას. ერთხელ, — იგონებს ასიე ხაბაზი, — ნათელას ეზო-კარში შემოვუარე. ნათელა კობე-ბწკალაზე ასულიყო და ტალავერზე ყურძენს სხლავდა. ისე იყო გართული მისი საქმით, რომ თითქმის ქვეშ გავუარე და ვერც კი შემამჩნია. შინ რომ მივედი, ლექსად შევთხზი ეს ამბავი და გავუგზავნე. არ გასულიყო ცოტა ხანი, რომ მისი პასუხიც ლექსად მომივიდა. ასე გამჟღავნდა, რომ ნათელაც ლექსობდა, მაგრამ მალავდა თურმე. ეს ჩვენი პირველი გაპაექრება იყო, ამის შემდეგ არაერთჯერ გვითქვამს ერთმანეთისთვის ლექს-შაირები.

სახალხო მელექსის ჭეშმარიტი ნიჭი და ძალა გაშაირება-გაპაექრებაში გამოჩნდება-ხოლმე. ბოგორც შემონახული ტექსტები გვარწმუნებენ, ნა-

თელა ხაბაზი — კომახიძე ამ საქმეშიც ხელმოწიფული მელექსე ყოფილა. იგი თავისთავისადმი მეტად ბომთხოვნი და აკურატული მელექსე იყო ოურმე. „ცუდ ლექსს რომ მოგეკლა, ვერ წამუაცდენიებდი, ხმამაღლა მხოლოდ მას შემდეგ იტყოდა, როცა გულში საგულდაგულოდ გათლიდა და გააშალაშინებდა“, — იგონებს ასიე ხაბაზი, — ბევრ კარგ ნამეს დაგვიტევდა, ერთადაც ბევრს ვიტყოდით შაირს, მარა, ძალიან ადრე მიმატოვა“... — გულდაწყვეტით იგონებს ასიე.

მართლაც ძლიერ ადრე შეწყდა ნათელას სიმის ჟღერა, იგი 1983 წელს გარდაიცვალა, მან ამ წუთისოფლად მხოლოდ 45 წელიწადი დაჰყო. სიცოცხლეში ვერ მოესწრო ნათელა მელექსეობაში თავისი სახელის აღიარებას. თითო-ოროლა ლექსი გაზეთშიც გამოქვეყნდა, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა ნათელა ძმიმედ ავად იყო და საამისო შეგრძნება უკვე აღარც კი ჰქონდა. გამოქვეყნებულია ლექსი „დავკარგე სოფელი“[1]... მოგვიანებით ხალხურ მელექსეთა ამაგის დამფასებელნიც სწვეოიან ნათელას ოჯახს, მაგრამ ნათელა მათ უკვე მასპინძლად აღარ დასვედრია... დაიგვიანეს და სასიცოცხლოდ გამიზნული ყვავილები მელექსე ქალის სახელსა და საფლავსღა მიაგეს სტუმრებმა.[2]

წავიდა ნათელა ხაბაზი და მთის ყვავილებივით მიმობნეული დასტოვა ხალხის უბრალოებითა და სინაზით შემკული მშვენიერი ლექსები, რომელსაც მისიანები დღეს ნათელას სულის ყვავილებს ეძახიან. 45 სიცოცხლის წელიწადი და თითქმის ამის მესამედი ალალი ლექსი, — აი, ნათელას დანატოვარი. მისი ლექსების სრული პუბლიკაცია ბიოგრაფიულ ნარკვევთან ერთად პირველად ქვეყნდება ჩვენს წიგნში. ნუმც დამჭკნარიყოს მგოსანი ქალის სულის ყვავილები, სამარადისოდ იხარონ მათ, როგორც აჭყვისთავის მოშრიალე ნეკერჩხლებმა.

---

[1] იხ. გაზეთი „ლენინელი“, 17 მარტი, 1983 წელი.

[2] იხ. შ. ჯინჭარაძე, ხალხური ლექსის მარგალიტები, გაზ. „ლენინელი“, 16 აგვისტო, 1984 წელი (№ 98, 15. 432); მ. ერისთავი, „ხაბაზების ხალხურ მთქმელთა დიდი ოჯახი“ გაზ. „ლენინელი“, 11 სექტემბერი, 1984 წელი (№ 109 15. 443).

1. აჭარელი ქალი

აჭარელი ქალი ვიყავ,
მქონდა შავ-ბნელი წარსული.
ვიტანჯებოდი ჩადრის ქვეშ,
აჭარის ტურფა ასული.

მომიკლეს შვილი მრავალი,
იყო ბრძოლების ხანაო.
მე კი ვიჯექი აკვანთან,
ისმოდა ჩემი ნანაო.

მერე გათენდა ჩვენშიაც,
დრომ გამოიხსნა ქალიო,
ცეცხლში ჩავაგდე მე ჩადრი,
მტერს დავუბნელე თვალიო,

ახალ ცხოვრებას ვაშენებ,
და მაქვს მომავლის იმედი.
ჩემი რწმენით და მარჯვენით
გამარჯვებამდე მიველდი.

ისევ აგვევსოს ბეღლები
ბარაქითა და ხვავითო.
მრავალ წელიწადს გვეშრომოს,
მოუღალავი მკლავითო.

2. მეჩაიე ქალები

შრომაში გამარჯვებულნო,
მოგიძღვნა თბილი სალამი.
ნაშრომი ტკბილად შეგერგოს,
გეცოცხლონ წლები მრავალი.

შრომაში წინსვლას გისურვებ,
არ შეგეშალონ ხელიო.
თქვენთვის სიკეთის მომტანი
იქნება ყველა წელიო.

იხაროს თქვენმა მარჯვენამ,
ძალ-ღონე მოგცეს ღმერთმაო.
ათი ტონა რომ მოკრიფა
მშრომელმა ქალმა ერთმაო.

მინდა დაგლოცო გმირები,
გეშრომონ მრავალ წლებიო.
გულ-მკერდი ედემს მიგიგავთ,
სამოთხეს თეთრი მხრებიო.

თქვენი ბეღლები აგევსოს
ბარაქითა და ხვავითო.
მრავალ წელიწადს გეშრომონ,
მოუღალავი მკლავითო.

8. დედამთილის გულისტკივილი

პატარძალი მეც ვიყავი,
დედამთილთან ოჯახშიო.
ერთ სიტყვასაც არ ვეტყოდი,
რომ ეცემა მას თავშიო.

ახლანდელი სახლის რძლები
ვეშით გადატვირთულია.
ერთი შავი ქვაბი მქონდა,
ჯაჭვზე ჩამოკიდულია.

ნაღვერდალში კვერს ვაცხობდი,
ჭადზე იყო ნაცარიო,
იქ ჭადს ისე შევაჭუმდი,
თითქოს ტკბილი ნამცხვარიო.

არ ავყვებოდი ნირვებსა,
მიტომაცა ვარ ჯანზეო.
ყველა ოჯახის წევრები
ერთად შევჭამდით ჯამზეო.

ერთ ქვაბ წვენში ტივტივებდა
ორი ცალი კარტოფილი.
იმ წვენს ისე შევარგებდი,
ყველა მყავდა კმაყოფილი.

ახლანდელი სახლის რძლებთან
ყველაფერი შეცვლილია.
ბოუში ჰყავს, ძუძუსა სთხოვს
კაბის ყელი შესკვნილია

ნაშვინდელი ბოუშები
იზრდებოდნენ დედის რძითო.
დაჯერებაც მეტი იყო,
მიდიოდნენ სწორი გზითო

ახლანდელებს აწოვებენ
ნაირნაირ სოსკით რძესო.
ორმოცჯერ რომ დაუძახო
არ მოიხედვენ შენსკენ ერთსო.

9. ავი რძალი

პატარძალი მოვიყვანე,
მეგონა დამასვენაო.
ბოუშები ამაზრდია
მერე კი გამასვენაო.

დედამთილი აღარ მინდა,
აღარც არის მოდაშიო.
ზოგიერთი დედაბერი
ჩემი მტერის ოჯახშიო.

მამამთილსა ეუბნება
მომიტანე ტკბილი წვენი,

საწყალს ხელი წამოავლო,
სულ დასთხარა თეთრი წვერი.

რა მქონდა ცუდი ნაქნარი,
რის ცოდვა გამომიწია.
ხელები რომ დაელია,
დიდი ჯოხი მომიქნია.

დასწყევლოს მისი გამჩენი,
ქალი არის თუ ვეფხია.
ფეხზე რომ ჯოხი შემარტყა,
კალამ მომტეხა ფეხია.

დედამთილსა მიუბრუნდა
მილეწ-მოლეწა ქალიო.
პოლის ჯოხი მოუქნია,
საწყალს დაუფსო თვალიო.

ღამე კარში გამოგვაგდო,
ვაი რა დღეს შევეყარე.
კარები რომ ჩაგვიკეტა,
ფანჯრიდან ძლივს შევეპარე.

თავში წნელი რომ ჩაგვარტყა,
აგვიტეხა სატკივარი.

არ ეშველა არაფერი,
შევიტანეთ საჩივარი.

განაჩენი გამოვიდა,
ეს კი არაფერიაო.
ვახტ — საათი აგითავდნენ,
დალეული გაქვთ დღენიაო.

დედამთილი ვისაც გყავან,
ენა უნდა უთხრათ ტკბილი,
მოვა დრო და მოხუცდებით,
თქვენც იქნებით დედამთილი.

5. ავი დედამთილი

ჩითის კაბა შევიკერე,
არშია მაქ მოვლებული.
მოდით დედამთილი ნახეთ,
როგორა მყავს მორებული.

ერთხელ ავადაც გამიხდა,
ვალევინე ტარხუნაო.
ჯანზე როცა მოვიყვანე
ჯოხი მომიტკლაცუნაო.

შენგან ჩემო დედამთილო
მე ვარ აწე ცოცხალ-კტარი.
დილას ადრე ვერ ავდექი,
მომაწიე ცოცხის ტარი.

სახლის თავი გადავხურე,
უსტა მყავდა ვარაზიო.
შეიღირსე დედამთილო,
რძალი გივლის ლამაზიო.

მოგიარე, მოგარჩინე,
რაც ინატრე მოგიტანე.
შენ გიარო, გემსახურო,
ამისათვის მომიყვანე?

არც წამალი დამიკლია,
არც ჩაი და არც წყალიო.
ჩქარა, გიცდის მამამთილი,
მარტო მოკტა საწყალიო...

შავი შიფონი მჭირია,
ვიღაც ყიდის ერგეშიო.
შენზე ცუდი სიზმრები მაქ,
მგონი კტები ერთ თვეშიო.

სახალხოთ როცა გიტირებ,
შიფონის ქვეშ ვიცინებო.
შენ მიწაში ჩაგასვენებ,
მე კი ტკბილად ვიძინებო

6. ლექსი ნათელა ხაბაზს ასიე ხაბაზისაგან (გაშაირება)

მინდა რომ ლექსი გამოვთქვა,
კალამს მოვკიდო ხელია.
ლექსი მივუძღვნა ძმისწულსა
ისიც ხალხური მთქმელია.

წუხელის სიზმრად მესიზმრე,
რომ მიათრევდი ბაწარსა.
ღიღაბი გაგსუქებია,
დამსგავსებიხარ ბაყაყსა.

გუშინ გავიგე, წასულხარ
დასასვენებლად გომშია.
მთაზე ქეიფობ ქალავ შენ,
შუქრი დატოვე ზორშია.

ცის სარტყელასა მსგავსი ხარ,
ხან ბარსა ხარ ხან მთაშია.
ყველაფერს როგორ კისრულობ,
თქვი რა გიდევს მაგ თავშია.

გვარის ქებული ქალი ხარ,
ჰირის და ლხინის წამყვანი.
რა დედამ შენ რომ გაგზარდა,
დეილოცა იმის აკვანი.

...

ისე დარბიხარ ნათელა,
როგორც ფაფარა კვიცია.
არ გეწყინება შაირი,
ესეც ხომ კარგად ვიცია.

ბევრს ვერ დაგიწერ, თავს ვიჭერ,
არ გავაცინო ხალხია.
შენი ნაქნარი საქმენი
მეტად ხომ არის თალხია.

და რომ შეგაქო, მე ვიცი,
მოგემატება გულია,
ნათელა, შენი დანახვა
იცოდე წამლათ მწყურია.

სულ გევლოს დასასვენებლად,
ხელსაც გიწყობდეს ღმერთია,
მინდოდა ბევრი მეწერა,
სიტყვა ვერ ვნახე მეტია.

ტრუსკავეცკაში ვიყავი,
დასასვენებლად წასული.
მაგრამ, ჩემსავით გამხმარი
არ გეყოლება ნახული...

ნათელას პასუხი...

წუხელ სიზმარში შესიზმრე,
პალტო გეყიდა ნახმარი.
სულ არ მოგიხდა კულორტი,
დაბრუნებულხარ გამხმარი.

სხვა კულორტებზე დადიხარ,
აღარ კადრულობ გომსაო.
გაგასუქებდა იმხელას,
დაგამგვანებდა ღორსაო.

მომავლისათვის გაფრთხილდი,
ჩემთან წამოდი მთაშია.
გსურს მოიკეთებ იმხელას,
ვერ დაეტევი ტანშია.

უზმათ შეჭამე, მამიდი,
ერბო და ყველი ახალი.
მერე დეინახე თუ იყო
სუ̀ტი და მასე გამხმარი.

ისე გულახდილად გეტყვი
რაც რომ არის მართალი.
კუროორტებზე რაღა გინდა,
თუ ბრუნდები გამხმარი.

რა დამიწერე მამიდი,
კაღამ დამესხა რეტიო.
თქმა უკეთესის მინდოდა,
სიტყვა ვერ ვნახე მეტიო.

ეს რა დამმრთე, რა მითხარ,
ქალსა მიძახდნენ ამაყსა.
თელ დღეს ბარკესთან ვაღამებ,
მართლა არ ვგავდე ბაყაყსა.

რაღა ბაყაყს შემადარე,
არ ვარ უშნო მსუქანიო.
„სესხსა“ ვუხდი მამიდაჩემს,
აბა ტაში, მქუხარიო.

მაშინ გამოვსთქვი ეს ლექსი,
გომში ვიყავი წასული.
მოლექსე მამის შვილი ხარ,
ყემბერ ხაბაზის ასული.

შენი ლექსის საპასუხოდ
ლექსს დაგიწერ ერთ წამზეო.
მერე ჩვეტან თბილისში, და
წაგიკითხავ ეკრანზეო.

7. ლექსი ნათელა ხაბაზს ასიე ხაბაზისაგან

უცბათ ასე ჩავიფიქრე,
რომ დამეწერა ლექსია.
კარგის მდომეა იცოდე
მამიდაშენი, აბია.

ტანადობით ხარ შემკული,
სახეც მოგიჩანს ლამაზი.
შენ მგოსანი ხარ ნამდვილი,
როგორც ხუსეინი ხაბაზი.

მამაჩემიც ლექსებს სწერდა,
მას ჰყავდა ვინმე ბებურა.
ასე ლექსებს რომ გვიმღერი,
ჩიტი ხომ არ ხარ, ბეღურა.

ყველაფრამდი კარგი იყო,
არ მინახავს თავის დღეში.
ნათელა ფურჩა რად გინდა,
ავტო-რუჩკა ეიღე ხელში.

სწერე ლექსი, ვიპაიქროთ,
ჩემს შორის და თუგინდ სხვებზე.
შეადარე ლექსი წერე,
ბუნების და ლამაზ მთებზე.

უცბათ წამოსლა იფიქრო,
თან წამოიღე ლექსები.
რომ მესტუმრები ოჯახში
პატივისცემას ვეცდები.

ჩვენ ვწეროთ გაღმა-გამოღმა,
არ დავგმოთ გვარი-სახელი.
თან ვლოცოთ ზეცა და მიწა,
ვადიდოთ ერი, ქართველი.

ნათელას პასუხი,

გვარში პირველი ქალი ხარ,
საქმეც შენ იცი ლამაზი,
ეს გაჰკვირი არ არის,
შვილი ხარ ყემბერ ხაბაზის.

ჭირში და ლხინში შენა ხარ,
არ გაჩერდები უქმათო.
ყველას თავზე დახტრიალებ,
საქმეს აკეთებ სუფთადო.

შენ უნდა იყო პოეტი,
მგოსანიცა ხარ, ჭალიო.
ლექსებს სწერ, საბნებსაც კერავ,
არ გეცეს კულავ[1] თვალიო.

ჩემო ძვირფასო მამიდა,
ოცხლე ასი წელიო.
სათითები ყოლთვის გქონდეს,
არ დაიჩხლიტო ხელიო.

ნამდვილად კარგი ქალი ხარ,
ყველასთვისა ხარ მალამო.
ვსთქვათ ლექსები და შაირი,
მთელი დღე ასე ვალამოთ.

პირმორთული მგოსანი ხარ,
შენ საბნის კერვა რად გინდა,
ვინც შენი ლექსი ისმინა,
იცოდე, ყველამ გაკვირდა.

რაც შენ შაირი მარგუნე
შემომეკიდა ალიო!
შაირზე ფიქრი დავიწყე
შეურდა შემემკე ქალიო.

ჭადის მოზელა დავიწყე,
ლექსის ოცნება ამევსო.
წყალი იმდენი დავასხი,
ცინკო პირამდის გამევსო.

იმდენი ცრემლი დავღვარე,
კაღამ დავლიე სულიო.
ერთი საბანი მაჩუქე,
არ გადამახტიო ფულიო.

შენ რომ ლექსებით შემამკე,
ჩემგანაც გეკუთვნებოდა.
ლექსები არ დამიწუნო,
მეტი არ მეხერხებოდა.

ასიმს პასუხი, ნათელა ხაბაზს
„ცინკო რომ წყალით გაევსო...“

დავჯექი, წერა დავიწყე,
მოწვეა მაღლა ღმერთია.
ცინკო რომ წყალით გაავსე,
რა გქონდა საქმე მეტია.

ლექსის წერა რომ დაიწყე,
ხომ არ გეგონა ადვილი.
ჭადი როგორ გაგითხელდა,
რომ წაიმწარე სადილი.

[1] სასიყვარულოდ ეძახიან კულასს

ნათელა, აქედან ვხედავ,
ეზო გაქვს ძალიან მორთული.
ისე ტრიალებ საქმეში,
მეგონე სპილოს ხორთუმი.

ლექსის გალობით მოგვხიბლე,
ხომ არ მიდიხარ ყანებშ-.
თვალები თქვენსკენ მომექცა,
მესტუმრე ახლო ხანებში.

ნათელას პასუხი
და ფუენა ფინათ მოწაფერზე...

პასუხსა გავსცემ შენს ლექსსა,
არ კი გეწყინოს მამიდი
ლექსების წერა მით მიყვარს,
ჩემი მგონია ამინდი.

გულ ვერ ვიჯერე, რაც მითხარ,
ვიყავი გომის მთაშია.
უშნოთ გავსუქდი ნეტავი,
ბაყაყს მამსგავსე ყბაშია?

თვითონ სისუსტეს უჩივი,
არ სვენობ გომის მთაშია.
გასუქდებოდი იმხელას,
ვერ დეეტეოდი ტანშია.

ვერცხლის წყალი ხარ, მამიდი,
სუფთად და კოხტად ქანქალებ.
ქალი ვარ თავმომწონი და
შენ კი ბაყაყსა მადარებ?

სულ გველოს დასახვენებლად,
ბევრჯერ მენახო წასული.
შენსავით კოხტა და კარგი
სხვა არვინა მყავს ნახული.

ჩემო ძვირფასო მამიდა,
ტყუილა გიძახდი ამაგსა?
არა, ეგ მაინც მითხარი,
რად შემადარე ბაყაყსა

ეს ჩემთვის არა საწყენი,
ვამაყობ შენი ლექსითო.
მე და შენ ერთად თბილის-ში
დაგვიძახებენ ღმერთითო.

აწი გისურვებ, გეკადროს,
შენც სტუმრებოდე გომსაო,
გაგასუქებდა იმხელას,
დაგამსგავსებდა ღორსაო.

8. კეჟერა ფხალი ჩივოდა...

იანვრის თივა-ბუქნაში
ქალს გასძახოდა ქალიო;
— ჩქარა გამოდი ბაღჩაში,
თოვლქვეშ გვირჩება ფხალიო.

— ახლა ბაღჩაში ვერ შევალ, —
დაუცაცხანა ქალმაო.
ნეტავ რა ჭირად იკეთა
ჩემთან კეჟერა ფხალმაო.

დათჯე, შენც გეშოვება,
ცოტა საბახჩე მიწაო.
ღამადლებული რა იყოს,
წაიღე, მე არ მინდაო.

მწვანილიც თან მიაყოლე,
კარგია ტოლმა ფხალისო.
რად დავიღალო შრომაში.
შენთან თუ ბლომად არისო.

კეჟერა ფხალი ჩივოდა
ხელი მომაკლდა ძმისაო.
ბარისთვის სარჩო ვიყავი,
საბედებელი მთისაო.

ქალებმა ქმრები დასაქმეს,
„კაპუსტას“ სჭამენ ტკბილსაო,
არც გარეული მიხსენებს,
აღარც შინ მკრავენ კბილსაო.

მგონი შეგრცხვებათ ამ ლექსის,
დიასახლისებს, ქალსაო.
შრნავალისთვის ნამდვილათ
დარგავთ კეჟერა ფხალსაო.

9. ვახუშტი კოტეტიშვილს[1]

მინდა რომ ლექსი დავწერო,
ავიღო საწერ-კალამი.
ბატონ ვახუშტის მივუძღვნა
ლექსი და თბილი სალამი.

თქვენზე შეხვედრა ლექსებით
მგონი არ არის ძნელიო.
ლექსები თუ მომიწონე,
არ შემეშლება ხელიო.

მინდა თბილისში ჩამოსვლა,
თან წამოვიღო ლექსები.
თუ გამოვჩნდები ეკრანზე,
კიდევ დავწერო, ვეცდები.

ამდენი ლექსის წერაში
ჭე დავიღალე ქალიო.
რვეულში ამევსო ლექსებით,
არსად სჩანს ჩემი თავიო.

მინდა დაგლოცო, ბატონო,
გეცოცხლოს ასჯერ ექვსიო.
მიტომ დაგლოცე ამხელა,
არ დამიწუნო ლექსიო.

მსურს გისურვო ცხოვრებაში
ჯანმრთელობით სიარული.
ცისფერ ეკრანს ამშვენებდეს
თქვენი სახე, მზიარული.

ბათუმიც გელის, ბატონო,
ეს ჩვენი მხარე, პატარა,
მთა-ბარი რომ მოიარე,
რა დააშავა აჭარამ?!

თქვენი სტუმრობა გვენახოს,
და გვესვას ღვინო, ანკარა.
თქვენით ამაყობს ნამდვილად
საქართველოც და აჭარაც.

[1] ეს რამდენიმე წელია, საქართველოს ტელევიზია, ტელე ფოლკლორულ საღამოებს გადმოსცემს, რომელიც ვახუშტი კოტეტიშვილს მიუძღვნა. ეს ლექსიც ამიტომ შეიქმნა.

სხვა და სხვა რჩეული

შრომის ლექს-სიმღერები (1—37)*

1. მოვიდოდა მშვიდობაო (ჯიჭურაული)

მოვიდოდა მშვიდობაო,
მშვიდობა თუ გამარჯობა.
მოვიდოდა წყალი შავი,
მას მოხონდა გველი შავი.
ადგა ვაჟმა, შეიკაზმა.
ტანს ჩაიცვა საომრები,
გადიკიდა წელსა ხმალი,
ხელსა შუბი დეიჭირა.
შეჯდა ცხენსა ბედაურსა,
შეხვა წყალსა, კოდმის პირსა.
გადუხედა მაღლიდანა,
იწვა გველი ლილაზეო,
თავი ხონდა ქვიშაზეო.
გადავწვადე შუბის წვერი,
ამოვიღე გველი შავი,
ამოვიღე, დავდევ ქვასა.
დავდევ ქვასა რვალისასა,
მაწყენარი კაცის თავსა.
ჯიბეს ხელი გავიკარი,
ამოვიღე ჯაყვაი დანა.
მოუქნიე, შვა გავშარი,
გავასხმიე სისხლის შხამი.
ავჩარიქე, დავჩარიქე,
ორყურ ქვაბში ვერ ჩავტიე.
ქოთანაში არ ჩანაო,
ვადუღე და ვაქაფქაფე,
გავიტანე მაღალ სერზე,
გავქნიე და გავაქროლე.
ჯვარი გწყალობს, ჯვარცმულები,
ჩვენ რას გვაწყენს მაცდურება.

2. ვაჲ თუ დილას ყურდღელმაო (ჯიჭურაული)

ვაჲ, თუ დილას ყურდგელმაო,
კიდევ გვერდი მირბინაო.
აბა, დავხდი შარაზეო,
კიდევ ვსტყორცნე ისარიო.
აბა მოვკალ ყურდგელიო,
ოთხივეზე დაჭედილი,
აბა ნალი ავაძრეო,
აბა, ნალი რაისაო?
აბა, ნალი ოქროჲსაო.
კიდევ მიე ჭედელსაო,

* აღებულია წიგნიდან „აჭარის ხალხური პოეზია — I", თბ., 1969.

აბა, რაის ჰედელსაო?
კიდევ ოქროს ჰედელსაო.
კიდევ თოფი ვაჰედიე,
კიდევ მივხარ-მოვხარეო.
კიდევ მიე ჰედელსაო.

აბა, რაის ჰედელსაო?
კიდევ ოქროს ჰედელსაო.
აბა ცული ვაჰედიე.
კიდევ ცული ბერძულიო.

8. მურვანი (ჯიქური)

—მურვან, მურვან, შენსა მზესა,
მურვან, ცოლი რა რიგია?
—თუ ძმობა გწამს, ნუღარ მკითხავ:
ცოლის ქება აუგია.
რადგან მკითხავ, მოგახსენებ:
ბროლის ციხე თქვენც გინახავს,
ცის კიდემდე ნაშენია.
ცალი ქოშე მაღალია,
ცალი ქოშე დაბალია,
გარეთ ვერცხლის ჩალდაღია,
შიგნით ოქროს კოშკებია.

ზედ ბუმბული მოგებული,
ზედ ბრძანდება მურვანს ცოლი.
ვაჟიშვილი კლავზე უწევს,
მარგალიტის კაკალია.
ცხრა მულები თავს ადგანა,
დაკაზმული ალმასია.
სამი მაზლი თავს ადგანა,
ბროწეულის ყვავილია,
მამამთილი კარებში დგას,
გველეშაპის მყლაპავია.

4. მთას ხოხობი აფრენილა (სასადილო)

მთას ხოხობი აფრენილა,
დაბლა ჰალჰს ჩაფრენილა.
ჰიჰვობაზე ჰიჰვსა ჰამდა,
მოლობაზე მოლჰსაო.
გამოსულან მეხოხბენი,
იხვს იჰერენ შევარდნითა.
ნეტავ იგი მაცოდინა,
ვინ ასწავლა ქორსა ფრენა.

და შევარდენს ნადირობა.
ნადარაა ნადირობდა,
ცალი მხარე ამძიმოდა,
ეცა მგელმა, გამოსჭამა,
დიეკარგა ნადირობა,
თუ მაინძელს ნადი უყვარს,
გადიწურა სადილობა,

5. მთას ხოხობი აფრენილა (სასადილო)

მთას ხოხობი აფრენილა,
დაბლა, ჭალას ჩაფრენილა.
ჭიკჭობაზე ჭიკჭსა ჭამდა,
მოლობაზე—მოლასაო.
მეხოხბები წამოსულა,
იხვს იჭერენ შავარდნითა.
ერწამ ქორი ავათ შეჰქნა,
ასტე ვიგლოვ სამ წელიწად,
არას არ ვჭამ, არას არ ვსვამ
იხვისა და ხოხბის მეტსა,
უშობელი დეკნის მეტსა.
არას ტანზე ჩევიცუამ
იმ სკალატის ჩოხის მეტსა.
არას ფეხზე ჩევიცუამ
მოწკენტილი წუღის მეტსა.
არას წელში ჩამოვიდებ
გაჭედილი ფიშტოს მეტსა.
არას ფხარზე გადმოვიდეფ
მოჭედილი თოფის მეტსა
არას წელზე დავიკიდებ
გაჭედილი ხმალის მეტსა.

6. ქალი ვიყავ აზნაური (ჯიქურაა)

ქალი ვიყავ აზნაური,
გლეხმა კაცმა მითხუაო.
დღეს მითხუა, ხვალ მივხავარ,
არ მივხვები თავის ნებით.
მომიტაცა, წამიყვანა,
ცხრაი მთაი ზურგით მზიდა,
ძეათეზე დამსვა ძირსა.
მომიბრუნდა, ერთი მკითხა:
— თუ ჩემი ხარ, ჩამეხვიე,
თუარა რიონს ჩაგაგდეფო.
— გლეხო, შენსა ჩახოვნასა
რიონს ჩაჰრა მირჩევნია.
ასწია და წაიყვანა,
რიონს პირსა მიიყვანა.
დაუჩოქა შეეხვეწა:
— ქალო, ჩემო ბედნიერო,
თუ ჩემი ხარ, ჩამეხვიე,
თუარა რიონს ჩაგაგდეფო.
— გლეხო, შენსა ჩახოვნასა,
რიონს ჩაჰრა მირჩევნია.
სტაცა ხელი, შით უბიძგა,
გამქარვალემ გეიქარვა,
მომბრუნვალემ მოაბრუნა,
დამძირვალემ დეიძირვა,
მომლეკელმა მოილეკა,
ტანსა მისსა ბროლისასა
რიონს ხიდათ უკეთებდნენ,
ხელსა მისსა ბროლისასა
ჭირხიდათა აკეთებდნენ.
თმასა მისსა გიშრისასა
სახელურათ უკეთებდნენ.
გევიხედე მინდორშია,
ის საწყალი დედამისი
შორით მოიღლეტდა თმებსა;
მოვიდა და თავს დაადგა,

— შვილო, ამოდი, ამოდი,
თუარა ჩამოვირჩობ თავსა,
— დედაჩემო, ბედნიერო,
მე აქედან ვერ ამოვალ,
შენ ნუ ჩამოირჩობ თავსა.
დაჯექი და ის არჩიე,
რაც უნდოდეს წყალში მრჩვალსა.
წყალში მრჩვალსა, ცეცხლში
მწვარსა,
წყალწაღებულ საცოდავსა.
გევიხედე მინდორშია,
მოვიდოდა მამამისი,
შორით მოიღლეტდა წვერსა.
მთვიდა და თავს დაადგა:
— შვილო, ამოდი, ამოდი,
თუარა ჩამოვირჩობ თავსა!
— მამავ, ჩემო, ბედნიერო,
მე აქედან ვერ ამოვალ,
შენ ნუ ჩამოირჩობ თავსა.
წადი და იგი არჩიე,
რაც უნდოდეს წყალში მრჩვალსა,
წყალში მრჩვალსა, ცეცხლში
მწვარსა,
წყალწაღებულ საცოდვავსა.
გავიხედე მინდორშია,
ის საწყალი დაი მისი
შორით მოიღლეტდა თმებსა,
მოვიდა და თავს დაადგა:
— დაო, ამოდი, ამოდი,
თვარა ჩამოვირჩობ თავსა.
— დაო, ჩემო, ბედნიერო,
მე აქედან ვერ ამოვალ,
შენ ნუ ჩამოირჩობ თავსა,
წადი და იგი იკითხე,
რაც უნდოდეს წყალში მრჩვალსა,
წყალში მრჩვალსა, ცეცხლში
მწვარსა.
წყალწაღებულ საცოდავსა.
გევიხედე მინდორშია,
ის საწყალი ძმაი მისი,
იწყეველიდა თავსა, ბედსა,
მოვიდა და თავს დაადგა:
— დაო, ამოდი, ამოდი,
თუარა ჩამოვირჩობ თავსა.
— ძმაო ჩემო, ბედნიერო,
მე აქედან ვერ ამოვალ,
შენ ნუ ჩამოირჩობ თავსა.
წადი და იგი იკითხე,
რაც უნდოდეს წყალში მრჩვალსა,
წყალში მრჩვალსა, ცეცხლში
მწვარსა,
წყალწაღებულ საცოდავსა.
გევიხედე მინდორშია,
ის საწყალი ბიძამისი
შორით მოაჭენებს ცხენსა,
მოვიდა და თავს დაადგა:
— შვილო, ამოდი, ამოდი,
თუარა ჩამოვირჩობ თავსა.
ბიძავ ჩემო, ბედნიერო,
მე აქედან ვერ ამოვალ,
შენ ნუ ჩამოირჩობ თავსა.
წადი და იგი იკითხე,
რაც უნდოდეს წყალში
მრჩვალსა,
წყალში მრჩვალსა, ცეცხლში
მწვარსა,
წყალწაღებულ საცოდავსა.

7. შარშანდელსა ნაყანევსა (საჯავახურად)

შარშანდელსა ნაყანევსა
ჩიტი აჩენს ნაკვალევსა.
დაუძახე მეძებრებსა,
მეძებრებსა მელისფერსა
და მეორე მგელისფერსა.
დაუძახე, მოირბინა,
ჩაუყენე ჩიტის კვალში.
დაუსუნა, გიეკიდა,
ისმის შორეთ ყეფა მისი,
ყეფა მისი, წუნწკულება.
ავდექი და წავაყურე,
წავაყურე ყეფაზეო,
ჩივა ლეკვი და წუნწკულებს:
„შიმიფრინდა ჩიტი პაწაწა,
ჩიტმა გვერდი შემიარა,
შეჭდა ხესა, ხე მაღალსა“.
ავდექი და მიველ ძირსა,
შევყავ ხელი, ჩამოვიღე,
ჩამოვიღე, დავდევ ძირსა.
ჩიტმა შექმნა ლაპარაკი
ლაპარაკი ჭურღულება.
თურმე იყო ბერი ჩხიკვი,
დამიჩოქა, შემეხვეწა:
— შენ, ბატონო, კარგო კაცო,
კარჭო დედა-მამის შვილო,
უკეთესი სახლის შვილო.
შინ გამიშვი შინათასა,
გოგოს ვეტყვი თინათასა,
და სიძესა გვალიასა,
ძღვენს მოგიტანს გვარიანსა,
დედალ-ყვერულ, ვარიასა,
მიგაკლდება, მოგიმატებს,
თუ რომ პაწას ხორცისაგან,
მიგაკლდება, მოგიმატებს,
თუ რომ პაწას პურისაგან,
მიგაკლდება, მოგიმატებს,
თუ რომ პაწას ჭინძისაგან.

8. შავი შაშვი ჩიოდა (ჯიქურად)

ამ დილას ადრე ავდექი,
ჩიტი მოვკალი თოფითა.
დმერთო, მშვიდობა მიეცი,
ვინც აქ მოვიდა თოხითა.
შავი შაშვი ჩივოდაო.
ნეტაი რასა ჩივოდაო,
თაზე წასლას ჩივოდაო.
შეხუა და ქი წავიდა,
თაი დაუთოვნიაო.
დაბრუნდა და შინ წამოვდა,
ისევ ბარში ჩამოვდაო.
მეზობლებსა დაუძახა:
— მეზობლებო ბედნიერო,
შენ გვიშველე მოგვეხმარე
ნიჩბითა და არნაბითა, —
თაი დაუთოვნიაო.
გადავთხაროთ, გადვიაროთ,
გადვიხედოთ გადაღმაში.
ხე გაზდილა, ხე მაღალი,
ზვთა სურო შეხოვია.

ჩიტი ჩიტსა უგნებოდა:
— ადე, ჩიტო, სურო ვჭამოთ.
— სურო ვჭამოთ, სურო მოგვკლავს,
არანდარა — უჭმელობა.
ადგა ჩიტმა, ზედ შეფრინდა,
ფეხი დაჰკრა მახეზეო,
ჭლიკი აღმა, თავი დაღმა.
იგიც ღმერთსა ეხვეწება:
— ღმერთო, სული შეარჩინე,
სამოთხეში წაიყვანე.

9. ჟორი თეთრი ჯანდარზეო (ჯიქური)

ჟორი თეთრი, ჯანდარზეო,
ბაზიარში ნაქები ხარ,
ჟორი მე მყავს ბედაური.....

10. თას ირემი დაწოლილა (ჯიქური)

ადგა ვაჟი, შეიკაზმა,
ტანთ ჩაიცვა საომარი.
ცხენსა შეჯდა ბედაურსა,
გამოუყვა თიდან თასა.
თას ირემი დასდენილა,
გვერდსა ნუკრი მოსწოლია.
თავს დაადგა მძინარესა.
გეიღვიძა ამ ირემმა,
დაუჩოქა, შეეხვეწა:
— ნურც მე მომკლავ, ნურცა ნუკრსა,
ეგერ გაღმა სერზედაო
იქ ხარი წევს ნებიერი,
შენც გეყოფა შენსა ჯარსაც,
გეყოფა და გადარჩება
ხორცი მისი საჯენგელი.
— თხოვნას მე ვერ შეგისრულებ,
რომ არ მოგკლა, გედვირევი,
აღიმართა შუბის წვერი,
და მოიკლა ხარ-ირემი.

11. თას ირემი დაწოლილა (ჯიქური)

თას ირემი დაწოლილა,
გვერდსა ნუკრი მისწოლია.
ვინაჲ მისი მონადირე,
სამი ძმაჲ გორსაძნები,
დაკაზმულან მელის ფერად
ვალესილი შვილდისრითა.
მოვიდა და თავს დაადგა
იმ ირემსა მძინარესა.
გაეღვიძა და შეხედა:
— ნურც მე მომკლავ, ნურცა ნუკრსა,
ნუკრსა ჩემსა ნუ მომიკლავ.

აგერ გალმა მუხის ძირში
ფური წევს და ხარი დგანა.
მისი ხორცი სულ ქონია,
მსუქანი და გემრიელი.

ის ეყოფა შენსა ჯარსა —
ხორცი მისი საჯენგელათ,
ქონი მისი საპენკელათ,
ტყავი მისი ჩასაცმელად.

12. ვაჲ თუ მუხა წოწინაო (გორდელაჲ)

ვაჲ თუ მუხა წოწინაო,
მუხა ძირს მოხეთქილაო,
ვაჲ თუ მისსა ნახეთქზეო
კიდევ წყალი ჩამდგარაო.
— აბა წყალი რა წყალიო?
— აბა წყალი კინდრიშაო.
შიგა თებზი გაჩენილა.
— აბა თებზი რა თებზიო?
— კიდევ თებზი კალმახიო.
აბა იმას ბადე უნდა,
— აბა ბადე რაისაო?
— ბადე აბრეშუმისაო.
აბა იმას კალმა უნდა,
— აბა კალმა რაისაო?
— კალმა აბრეშუმისაო.
კიდევ იმას ძივი უნდა.
— აბა ძივი რაისაო?
— კიდევ ძივი ოქროსაო.
აბა ბადე ვაბადეო,
კიდევ თებზი გამექცაო.
აბა ქვევით ვაბადეო,
კიდევ ზეით გამექცაო.
აბა ზეით ვაბადეო,
ორი თებზი გამოხვესო,
მოხარჩეს და მომიტანეს,
ტაფის ყურში ჩამოდვესო.

13. ჩიორ-ჩიტი

ჩიორაჲ ჩიოდაო,
ნეტაჲ რასა ჩიოდაო,
ჩიოდა თუ ტიროდაო.
თოფი ბატონს წაერთმია,
თურმე იმას ჩიოდაო.
ფიშტო ქონდა მოჭედილი,
იგი ბატონს წაერთმია,
თურმე იმას ტიროდაო,
ტიროდა თუ ჩიოდაო.
ხმალი ჰქონდა მოჭედილი,
იგი ბატონს წაერთმია,
თურმე იმას ჩიოდაო,
ჩიოდა თუ ტიროდაო.
ცხენი ყავდა შეკაზმული,
იგიც ბატონს წაერთმია,
თურმე იმას ჩიოდაო,
ჩიოდა თუ ტიროდაო.

14. ბებურს ხიდსა ვაკეთებდი (ჯიქურაძე)

ბებურს ხიდსა ვაკეთებდი,
ვაკეთებდი, ვაშენებდი,
ზედ სახელურს ვუკეთებდი.
გავიხედე მინდორშია,
მოვიდოდნენ გეგუთლები
ცეკვითა და თამაშითა.
მოვიდნენ და ზეთ შემოდგენ,
გადუბრუნდა ჩექმის ლუმბა.
ვავიხედე მინდორშია,
მოღოღვიდა სისვი ცხენი,
ზეთა იჯდა ვაჟი-ბიჭი,
ჰქონდა ულვაშები ქერა,
უკან მოსდევს კოჭლი გოგო:
— ბიჭო, აქეთ მოიხედე,
სიკოჭლითა რასა მწუნობ,
განა კურდღელს მადევნებო,
სახლსა კარგად შეგინახავ,
თაროს დაგიკრიალებო,
ვაჟიშვილსა კას გაგიზდი,
აქვანს მოგიწკრიალეფო,
სადილს აღრე გაგიკეთებ,
ვახშამს მოგიგვიანეფო.
ჯამებს კარგა დაგირეცხავ,
კობზებს დაგიწკრიალეფო,
საფეიქროს მუუჯდები,
მაქოს დავატრიალეფო,
ყაჭ-აბრეშუმს კას გიკეთებ,
პერანგს გაგიკრიალეფო,
სიყვარულიც კაი ვიცი,
კლავზე გაგიგიგორეფო.

15. ვაჲ თუ ჲელი ჲელოგდაო (ჯიქურაძე)

ვაჲ, თუ ჲელი ჲელობდაო,
კიდევ ზღვაი ხელობდაო,
აბა გაღმა-გამოღმითა,
კიდევ კარვები იდგაო.
შიგ მეკარვე ქალი იწვა,
კიდევ პირზე ებურაო,
აბა თეთრი დოლბანდიო.
კიდევ პირზე ავხადეო.
აბა ერთი ვაკოცეო.
ვაჲ, თუ ერთი კოცნითაო
კიდევ ფერი ვუქციეო.
აბა ორჯერ ვაკოცეო.
კიდევ ორჯერ კოცნითაო,
ვაჲ, თუ პირზე ავაძრეო.
აბა სამჯერ ვაკოცეო,
კიდევ სამჯერ კოცნითაო
ვაჲ, თუ სისხლი ვადინეო.
აბა ოთხჯერ ვაკოცეო,
კიდევ ოთხჯერ კოცნითაო
ვაჲ, თუ სული ავხადეო.
კიდევ მისსა ნაწოლზეო
აბა ია დავთესეო.
ია ვარდათ მოვიდაო.
დამა დაი დაჰპაიჯა,
მარგალიტის საკრეფელში.
საკრეფელათ წვიტიაო,
საქონელათ დიდიაო.

16. ყარანაი

ყარანაის ყანაშიო,
ყარანაი მიშჩოვია,
იქა უსვამს, უჭამია,
მეტად გასუქებულაო.
სხაპს დაუწყობ, დავიჭირავ,
თოკს შევაბამ ყელზედაო.
ორმოც ოყა ნალს ვიყიდი,
ზედ ავაჭედ ფეხზედაო;
ხუთას ოყა ჭერს ვიყიდი.
ჩამოვიდებ თერჭზედაო,
გადავრახტავ, ზედ შევჯდები,
გავიგოგვებ სერზედაო.
წინ მელანი შიეყარა,
შიემუშტრა ყარანაში:
— გამიცვალე ცხენშიდაო.
იმ ყარანამ შეჭუშმაშდა,
გადავარდა კლდეშიდაო.
— შენ, ყარანავ, რას ჭუშმაშობ
არვინ გაგცვლის ცხენშიდაო
ფრანგული ხმალი გავტეხე
მისი ყელის ჭრაზედაო,
ფრთიანი ცული გავტეხე
იმის შუაძვალზედაო.
ასი ლიტრა ქონი ეკრა
იმის თირკმელაზედაო,
იმ ყარანაჲს დაკლაზეო
ვარდს ვიკრეფდი კალთაზეო.
ასი ფუთი სორცს გამოვდა,
ასი კაცის ხისე იყო,
დიდვაჭარის ლუკმა იყო.
დაუძახეთ მეზობლებსა,
მეზობლებსა საყვარლებსა,
ვისაც გახტა, დაურივე.
ვისაც არა, ვეღარაო.

17. ელია თუ მელიაო (ჯიჭურაჲ)

ელია თუ მელიაო,
ჩიტი მომიწველიაო,
ერბო მისი მონახადით
კოთხო დამიტენიაო,
ქალაქს ჩამიტანიაო,
ფასად გამიყიდიაო.
იმ ქალაქის მოქალაქე
მიდიან და მოდიანო,
ლომსა შინა ელიანო.
იგი ლომი არ მოვიდა,
თეთრი ქორი მოსულაო,
თეთრი ქორი ჰანდარზეო,
მოწყენილია ქანდარზეო.
ბაზიეოი მოჩივოდა:
ქორი მე მყავს ბედაური,
ერწამ ქორი ავათ გახტა,
ნე თუ ქორი ქე მომიკტა,
ისე ვირბენ სამ წელიწადს,
არას არ ვჭამ ხორცისოვლსა,
იხვისა და ხოხბის მეტსა.
ასე ვიმკლოვ სამ წელიწადს,
არას ფხარზე გამოვიდებ
ყირიმული თოფის მეტსა.
არას ფხარზე გადვიკიდებ,

დაჭედილი ხმალის მეტსა.
არას ტანზე არ ჩავიცვამ,
იმ სკალატის ჩოხისმეტსა.
არას ფეხზე არ ჩავიცვამ
წაღა-წუღა, მესტისმეტსა.
არას ცხენზე არ შევჯდები
არაბულებ შეკაზმულსა.

18. ალვის ხეი მოხეთქილა (გორდელაძე)

— ალვის ხეი მოხეთქილა,
ნეტაძ, დედა, რაო?
— შვილო, შენი ტანი არის,
ვაძ შენს დედასაო.
— მას ტოტები დასტეხოდა,
ნეტაძ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი მკლავებია,
ვაძ შენს დედასაო.
— წყალს კიდობანი მოჰქონდა,
ნეტაძ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი კუბო არის,
ვაძ შენს დედასაო.
— ორი მტრედი მოფრინავდა,
ნეტაძ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი სული არის,
ვაძ შენს დედასაო.
— ყორანი რომ მოჩხაოდა,
ნეტაძ, დედავ, რაო?
— ჩვენი სოფლის მღვდელი არის,
ვაძ შენს დედასაო.
— გაღმით ირემი ბღაოდა,
ნეტაძ, დედავ, რაო?
— შვილო, მამაშენი არის,
ვაძ შენს დედასაო
— მინდორში ძროხა ზმუოდა,
ნეტაძ, დედავ, რაო?
— უბედური დედა არის,
ვაძ შენს დედასაო.
ჩიტი-გვრიტი მოჭურღულებს,
ნეტაძ, დედავ, რაო?
— შვილო, შენი და-ძმა არის,
ვაძ შენს დედასაო.

19. ბერიკაცი ჩაჩნაბერი

ბერიკაცი ჩაჩნაბერი,
ჩაჩნა-ჩამარგალიტული.
ადგა ბერმა, შეიკაზმა,
ტანს ჩაიცვა საომრები.
გადიკიდა წელზე ხმალი.
შეჯდა ვირსა კუდჯონჯალსა,
კუდჯონჯალსა თოხარიკსა.
ვირს მათრახი გაუქნია

დააყოლა მერის-მერეს.
წინ მელანი შეეყარა,
შეემუშტრა ვირშიაო:
— ბერო, ვირი როგორ ფასობს?
— ჩემი ვირი ძვირფასია,
ათას ხუთას თუმნად ღირსა.
ამეიღო ფიშტო, მისცა,
ვერცხლითაა მოჭედილი,
არ ინდომა ამ ბერ კაცმა:
— შენი ფიშტო შენთვის
გქონდეს,
ჩემი ვირი ჩემთვის მინდა.
ამოიღო და ხმალი მისცა,
ოქროჭედთაა მოჭედილი,
შეუსრულა ვირის ფასი.
არ ინდომა ბერმა კაცმა:
— შენი ფიშტო შენთვის
გქონდეს,
შენი ხმალიც შენთვის გქონდეს,
ჩემი ვირი ჩემთვის მინდა.
დეიხუა იმ მელანმა,
წუუძგუფა ვირსა კუდი
წაუხდინა ვირის ფასი:
— შენი ვირი კიტრად ღირდა!

20. ლელა

ლელაო, ჩემო ლელაო,
ლელაო კაბა ჭრელაო.
მოხევი ნელა, ნელაო,
ახალციხეს გათხოვებენ,
გათხოვებენ ბერს გაძლევენ,
ღომისა საცეხველაო.

21. გევიხედე სერზედაო

კურდღელმა სთქვა ჩირგვში
ვზივარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო,
გევიხედე სერზედაო,
ბატონი ზის ცხენზედაო.
წინ მეძებრები მოუძღვის,
დაგეშილი ჩემზედაო.
დამისიეს, გამომიდგენ,
გავიქეცი განზედაო.
ღმართშია მე ვაჯობე,
იმათ თავდაღმართზედაო.
ერთმა წუწკმა მეძებარმა
კბილი გამკრა გვერდზედაო.
გამწიეს და გამომწიეს,
ჩამომკიდეს ცხენზედაო,
მზარეულებს მიმაბარეს: —
—კარგად შესწვი ცეცხლზედაო,
ცალი გვერდი ცეცხლზე იწვის,
ცალი—ერბოს ალზედაო.

უყურეთ იმ მსუნაგებსა,
რა ყოფა აქვთ ჩემზედაო!
ამარიგეს, ჩამარიგეს,
წვრილ-წვრილ ლამბაქებზედაო,
ხორცი ხორცად შემიჭამეს.
ძვლებს იმტვრევენ ცერხედაო.

22. წერეთიელი

ქალო შავო, შავითაო,
მოწერილხარ კალმითაო,
ვინ მოგწერა, ვინ მოგხატა,
ვინ გიღება წარბი წრილათ,
წარბი წრილათ, შუბლი
პტყელათ,
თვალ-წამწამი მელნისფერათ,
დედამა თუ დეიდამა?
—არც დედამ, არც დეიდამა,
საყვარელმა მამიდამა.
— მან მელანი სად იშოვნა?
— გეახელი ახალციხეს,
ჩასავალსა დიდ ოდაში.
დამჟდარიყო ფაშის ცოლი,
ფაშის ცოლი — ხუცის ქალი,
წინ დაედგა სელის სკამი,
ზეთ ქაღალდი ვიეფინა.
სწერდა წიგნსა ქახალდზეო,
კურცხალს ყრიდა კალთახეო.

23. ლუპაი

ზეცაში ჯირითს გავისვრი,
ჩამოვარდება, ფშილს ვუზამ.
ათას ფუთსა ფოლად-რკინას,
კბილს დავადებ და კნატს ვუზამ.
ალაზანსა და რიონსა,
პირს რომ დავადებ, ყლაპს
ვუზამ.
სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შევაბამ უღელ დევსა.
ზღვაში ვბნავ და ზღვაში ვთესავ,
ხმელეთზე გადავყრი ბზესა.
მიმინოს ხაბაკს ავკიდებ,
ჯორს კი მივუტოვებ მწყერსა,
როცა ამ ფიქრს შევასრულებ,
მაშინ ვიღებ შენზე ხელსა!

24. გველი ხრილსა მიძრებოდა (ჯიჯურაი)

ცხრაი დაი, დანძმულები,
მოხვეებიან სერი-სერსა.
წინა გველი შიეყარა,
დაარჩია ცხრა დანებში
ყოლს უნცროსი, უკეთესი,
გველმა ცოლათ წაიყვანა.
აიყვანა, წაიყვანა,
მაღაროში შეიყვანა.

გველმა მორთო ხრიალიო,
პაწა გოგომ წკრიალიო.
სწერა წიგნი და აგზავნა:
—დედაჩემო, ბედნიერო,
შენ მიშველე, მომეხმარე,
შენი სიძე წითურია,
დღეი კაცათ მეჩვენება,
ღამე გველეშაპიაო.
—შვილო, ნუ გეშინიაო,
ცოლ-ქმრობისა სიყვარული
ჩვენაც გამოგვიცდიაო.
სწერა წიგნი და აგზავნა:
—მამაჩემო, ბედნიერო,
შენ მიშველე, მომეხმარე,
შენი სიძე წითურია,
დღეი კაცათ მეჩვენება,
ღამე გველეშაპიაო.
—შვილო, ნუ გეშინიაო,
ცოლ-ქმრობისა სიყვარული
ჩვენაც გამოგვიცდიაო.
სწერა წიგნი და აგზავნა:
—ძმაო ჩემო, ბედნიერო,
მიშველე და მომეხმარე.
შენი სიძე წითურია,
დღეი კაცათ მეჩვენება,
ღამე გველეშაპიაო.
—დაო, ნუ გეშინიაო,
ცოლ-ქმრობისა სიყვარული,
ჩვენაც გამოგვიცდიაო!
სწერა წიგნი და აგზავნა:
—დაო ჩემო, ბედნიერო,
მიშველე და მომეხმარე.
შენი სიძე წითურია,
დღეი კაცათ მეჩვენება,
ღამე გველეშაპიაო.
— დაო, ნუ გეშინიაო,
ცოლ-ქმრობისა სიყვარული
ჩვენაც გამოგვიცდიაო.
სწერა წიგნი და აგზავნა
რვაი წლისა უბარ ბიძას:
—ბიძაჩემო, საყვარელო,
შენ მიშველე, მომეხმარე,
შენი სიძე წითურია,
დღეი კაცათ მეჩვენება,
ღამე გველეშაპიაო.
ადგა ბიძამ, შეიკაზმა,
ტანს ჩაიცვა საომრები,
გადიკიდა წელსა ხმალი.
ხელსა შუბი დაიჭირა,
შეჯდა ცხენსა ბედაურსა,
და გაუყვა სერი-სერსა,
ასწია და მიეხმარა:
სასტუმალთან თავი დახტა,
საფერხელთან წივის ძვალი,
სასტუმალთან წიგნი დახტა,
ასწია და წეიკითხა:
გველმა ხრილი გაიარა,
თქვენმა მტერმა და ორგულმა
დედამიწა გაიარა.

25. ელამა თუ მელამაო

ელამა თუ მელამაო,
ჩიტი მოკლა ხველამაო,
შაშვი თავის ტეხვამაო.
მივა გვრიტი სანახავად,
არ გაუშვა დედამაო.
—მიმავალი ბევრი ვნახე,
მომავალი ვეღარაო.

26. ლეკებმა რომ დამიჭირეს

ლეკებმა რომ დამიჭირეს,
დამდეგ იყო მკათათვისა.
ასი მთა გადამატარეს,
მთები კავკასიონისა.
გავხედე ჩერქეზთ მინდორსა,
ნისლი იდგა შავი ზღვისა.
სამი ქალი თივას თიბდა,
სამივ — ჩერქეზთ ბატონისა.
ხელში ეჭირათ ცელები,
კბილები აქვთ ალმასისა,
მარმარილოს სალესავით
იმათ აუწყობენ პირსა.
სამნივ ისე დასძახიან.
როგორც ანგელოსნი ცისა.
არ მენახა, გამიკვირდა,
მუშაობა დიაცისა.

27. ბეჟანმა უთხრა თხასაო

ბეჟანმა უთხრა თხასაო,
ძირში მოგაჭრი რქასაო.
იმას წავიღებ მჭედელთან,
დანას დავაგებ ტარსაო.
იმას გავყიდი, ვიყიდი
გუნდა და ლახუსტაკსაო.

28. ღორჯო მისდევდა ირემსა

ერთი რამე მომაგონდა,
ღორჯო მისდევდა ირემსა.
მიეწევოდა, უკბენდა,
ნაჭარ[სა] ხორცსა აგლეჯდა.
როგორც მაგია მართალი,
შენმა მტერმა და ორგულმა,
ისე გევიდა ზამთარი.

29. რაშა (თოხნური)

1 გუნდი—ო, რერა, რაშა!
2 გუნდი—რერო, რერა, რაშა!
1 გუნდი — ბიჭო, მიდი, რაშა!
2 „ — რერი, რერა, რაშა!
1 „ — დაარტყით თოხი, რაშა!
2 „ — რა იქნება, რაშა!
1 „ — ავუჩქაროთ, რაშა!
2 „ — უნდა ვთოხნოთ, რაშა!
1 „ — დაარტყით თოხი, რაშა!
2 „ — რერო, რერა, რაშა!

30. ყანაო, ჩემო ყანაო

ყანაო, ჩემო ყანაო!
ასე რამ მოგიყვანაო!

— ხარმა მხნა და მუშამ მთქსა,
მოწყალემ მომიყვანაო.

31. სიმინდს ძირი უხმეგოდა

სიმინდს ძირი უხმეპოდა,
თურმე გაჰკრა სამიელი,

დროზე უნდა სიმინდს ბარვა,
თველზე არ დარჩე შიერი.

32. სამკალი

(ქალების ნადური. სრულდება შესვენებისას)

ნამგალო, ჩემო რკინაო,
გაჭერ, გამიშვი წინაო,

ჩურუგას თვე მოაწია,
პურმა დაიწყო მწიფება...
ქალებო, ვუთხრათ ნადური,
ჩარხზე ნამგალი გავლესოთ,
მზეზე დაიწყოს სრიალი...

ქალებო, ვუთხრათ ნადური,
კევრში ხარეპი შევაბათ,
პური გავლეწოთ გზიანი...
ქალებო, ვუთხრათ ნადური.

მასპინძელო, ეს რა გგიქენ,
რატომ მოგვკალ შიმშილითა,
შიმშილით პირი გაგვიშრა,
პური კვდება სიცილითა.

33. ჩალმა ჩაყრილო ვენახო

I ვარიანტი

ჩალმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო,
მოგნახავ და გაგაცოცხლებ
შენ ძირფესვებს ვენაცვალე.

II ვარიანტი

ჩალმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და რომელ მხარეს,
მამაპაპურო ვენახო
სად წადი და სად მოგნახო.

მოგნახე და აგაყვავე,
შენ ძირფესვებს ვენაცვალე,
ჩემო გაზრდილო ვენახო,
სად წახვალ, რომ არ მოგნახო.

III ვარიანტი

ჩალმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?

ჩემო გაზრდილო ვენახო,
სად წადი და რომელ მხარეს?
მამაპაპურო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?

84. ჩეჩვისა და რთვის ლექსები

საჩეჩელში მატყლი ჩამჩა,
მე შენიდან ხათრი დამრჩა.
საჩეჩელი ჩეჩობითა,
ჩამითვალე ბეჩობითა...
კალათაში მურგვებიო,
ფენჯერაში გოგვებიო.
შენი ჩოხა-ახალუხი,
ბიჭო, მე მომიქსოვია,
ღმერთმა ის ქალი აცოცხლოს,
ვისი ძუძუც გიწოვია,
საჩეჩელო, გამიშარი,
მატყლი არის გასაჩეჩი,
ზამთარია მოსავალი,
თოვლი მიგვაყარა ქარში.
ქმარს წინდები მოვუქსოვო,
ფეხშიშველი ვერ გაივლის.
ეს ზამთარი ცუდი არის,
უსიცივოთ არ ჩაივლის...

85. რთვის ლექსები

მოდი, ნადური ვიმღეროთ,
ნუ ჩაგვარდნია ენაო.
ხერტალი დავატრიალოთ,
შევაყოლოთ ფარტენაო.
ხერტალმა ხელი დამგალა,
ხერტალგასატეხელმაო.
დედამთილმა გამაბეზა,
კისერმოსატეხელმაო.
ხერტალო, ბზი, ბზი,
ბამბა დიმირთი,
არც ხოშორი, არც წმინდა—
ორთა დიმირთი.
ხერტალო, ბზი, ბზი,
ბამბა დიმირთი,

ხერტალო, ბზი, ბზი,
ბამბა დიმირთი,
დედამთილის საფეშტემლევ,
ოხრათ დამირჩი.

ჭახრაკო, ბზი, ბზი,
ნართი დიმირთი,
დედამთილის სალეჩაქევ,
ოხრათ დიმირჩი.

36. ძილო, რაჲზა გვეძინები

ძილო, რაჲზა გვეძინები,
ძილო, ბატონოვო,
ქმარს პერანგი არ გვიცვია,
ძილო, ბატონოვო,
საცხა, მამალი იყივლებს,
ძილო, ბატონოვო,
ღმერთი კაჲ დღეს გიგვითენებს,

ძილო, ბატონოვო,
ბაღნებს ტანზე არ გვიცვია,
ძილო, ბატონოვო,
გათენდი, თუ გათენდები,
ძილო, ბატონოვო,
ძილო, ნუღარ დაგვაძინებ,
ძილო, ბატონოვო.

37. მემთევრობის ლექსი

შუქურ ზაფხული გამევდა,
თხა და ცხვარი ქვეყანაში.
მენთევრებს სული შეწუხდენ,
ველარ მოისვენეს ბარში,
თავის ქმრიებს ეხვეწება:
— ჰაჲდე, წევდეთ ერთად თაში,
ჰაჲდე, წევდეთ, ჩემი სიტყვა
რატომ არ გესმიან ყურში?
თავი-ბედი ამოვწყევლე,
ცხვრიები გაიქცენ პურში.
შაფათ თუ ველარ წაველით,
კვირას წევდეთ ადრიანზე.
თაზე წასლის დრო მევიდა,

გეთმალი და კატრიანზე.
კატრიანი და გძელგორი
თელზე მალე ამწვანდება.
ხალხ რუმ ძალიან მოსწონან,
მოჲ და შენ ნუ მოგწონდება,
სელამ-ალეჲქუმ, თიელო,
მომწერეთ თექნუქეფობა.
შარშანდულეფ კი აღარ მაქ
უნდომ ბადეზე ქეჲფობა,
ხარები დეჲწყებენ კივანს,
ერთად გეეპირებიან;
ძროხები დეჲწყებენ ბღავილს,
ხფიებს ეეტირებიან.

დეაღლოცა თქვენი სახელი,
ლამაზი ხარ, შენ ჯილველი,
რვა თვეს ნანწყარევ საქონლისთვის
ჯენნეთი ხარ შენ პირველი.
ასი წლისა ბერივითა
სულ რომ ვირხინო ხველითა,
ღმერთით სტამბოლშიც კი წავალ
თქვენ გაკეთებულ ყველითა,
დეაღლოცა თქვენი სახელი,
ახლა შვიდობით, თიებო,
გომარდულო, ბარათაულო,
სალამეთებო, ტყიებო.
თელმა ჰელალი მიყავით,
მოყვარევ და დიანებო,
ჯერჯერობით აქავრობას
თავიც უნდა დავანებო.

წავალ და აქაურობის
დერდი არ მაქ ხაბარია,
ცარდაბარ დედმამისთვინაც
გულში მინთია ალია.
ერთი უნდომი ქალია,
მოწყალევ, შენ გაბარია.
ზღვაი წინ მაქ გასავალი,
მერმე ყურბეთის ჯავრია,
ე რა დღეები დამადგა,
სიარული ღამიანი.
მე რა ზანათზე ვიყავი,
რუმ გამხადეს ყამიანი.
მუდამ ღამე სიარულში
იმიტყდა წელი ტკივილი,
სოფელში გამლა არ მინდა,
გამძულდა მამლის ყივილი,

საგმირო-საისტორიო ლექსები
(1—14)*

1. როსტომ-ზურაბი

როსტომ-ზურაბი შეიბენ
საზღვარსა მუხნარისასა.
ძალით ზურაბ დააჭარბებს,
საქციელით ბერი როსტომ.
—შენ, ბერო ძაღლო. რად მომკალ,
ხმალი დამაგე ვადამდი,
აწ მამაჩემს სად წუუხვალ,
სად გეიქცევი სადამდი.
ზღვაში შეხვალ, შით შამოგდევს,
ხმელეთზე ვერ დიემალვი...
ამოიღო და აჩვენა
ნიშანი ვეჟინიანი.
ერთი როსტომმა იყვირა,
ხეს გამოება წვერია...

2. ათასი კაბა ყმა მყავდა

ათასი კაბა ყმა მყავდა,
ყველანი ოქროს ღილითა.
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმევდი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება, შევები,
ალალითა და ჯიქითა.
აწი თქვენ იცით მეფენო,
ვინც დარჩით ამას იქითა.

3. თამარ დედოფლის ლექსი

უბეს საყდარი ავაგე,
უწყალოსა წყალი გავიღე,
ისპანს ბეგარა დავსდევი,
სტამბოლს ხარაჯი ავიღე.
თეთრ ზღვაში კინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემკენ მოვიღე,
ამდენი საქმის მოქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე.

---

* ამოღებულია წიგნიდან „აჭარის ხალხური პოეზია — 1“, თბ., 1969.

4. ავთანდილ გადინადირა

ავთანდილ გადინადირა
ქედი მაღალი, ტყიანი,
ვერც მოჰკლა ხარი, ვერც ფური,
ვერცა ირემი რქიანი.
შველსა ჰკრა, გამოფრენილსა
ისარი, ორბის ფრთიანი,
ცხენის ტახტაზე დაჰკიდა,
ტყავგაუხდელი, მთლიანი.
ჩამოხტა ტყისა პირადა,
ცეცხლი დაანთო ძლიერი.
დაჯდა და თალა შამფური,
წვადი ააგო ცვრიანი,
სანამ წვადი შეიწოდა,
ცხენსა მისცა საძოვარი.
ცხენმა კაცი დაინახა,
შორი გზიდან მომავალი,
შეხტა ლურჯა, შესუიხვინა,
რომ ეს კაცი ავი არი.
მჯინიბეს დაუძახა:
— ლურჯა მომგვარე ჩქარადა,
გავაზე ხელი გაუსვა,
ზედ წამოახტა მარდათა.
გზა-წვრილი გაარბენინა,
მინდორი უფრო ჩქარადა.
უკუიხედა, მოსდევდნენ
ის უჯრულონი ჯარადა.
ასი ჰკლა, ასი დაჰკოდა,
ერთი გადურჩა შავადა.
ერთი იმანაც ესროლა,
სისხლი წავიდა ღვარადა
მუხასა ბეჭი მიანდო,
შტო დაიწია ფარადა.
დაჯდა და წიგნი დაწერა,
მტრედსა შეაბა მხარადა.
— ეს დედაჩემსა მიმირთვი,
ველარ მოგივლი ჩქარადა.
გიყვარდა თეთრი მანდილი,
ჩემზე შეღებე შავადა,
ეგ ჩემი ჩოხა-ნაბადი,
კარზე დაჰკიდე ფარადა,
ეგ ჩემი ქამარ-ხანჯალი,
ღვდელს მიეც საწირავადა.
ეგ ჩემი ცოლი პატარა
არ გაათხოვო ჩქარადა,
თუ მისცემ, ისეთ კაცს მიე,
მე ბჯობდეს თვალად-ტანადა.
ეგ ჩემი ციხე-დარბაზი,
თან გაატანე მზითვადა.

5. ქოგულეთელი ასლან მესხიძის ლექსი

(მეზობლებზე გამოთქმული სამტყვევოში 1868 წელს)

გენაცვალეთ, მეზობლებო, თქვენდა ნაცვლად ჩვენ წავედით,
თითო საწყალი ძმები გვყავს, თქვენთვინ ჩაგვიბარებია,
ხასან-აღას მივენდევით, მოვეხვიეთ ორნივ ხელზე,
გვიღალატეს და დაგვკარგეს, გაგვაგზავნეს შუაგულ ზღვაზე.

ხუთშაბათს სიზმარი ვნახე, შემაჯდინეს ვითომ ცხენზე,
პარასკეკი რომ გათენდა, შეგვიყვანეს ხვანთქრის გემზე,
რაც ქალაქში ხალხი იყო, ასეირეს ყველა ჩვენზე.
დეინახეთ სამართალი, რას იკიდებთ ყილიფს წელზე?
ბათუმში რომ ჩაგვიყვანეს, ფაშა წამოგვიდგა ფეხზე,
რაც კი იყვნენ იქ კაცები, დაგვიყენეს ყველა წკაპზე;
ოცდაათი ვაჟი კაცი მუთი-ალას მიგვცეს ხელზე,
შეგვიყვანეს სამტყუეოში, დაგვაჭედეს რკინა ფეხზე.
უდაბნოში შეგვიყვანეს, ვეღარც დადგა კაცი ფეხზე,
სტამბოლს გზავნას გვიპირობენ და საგზალი გვინდა ზურგზე,
კაცის გული კერპი არის, ნეტამც ვიყოთ ჩვენს ადგილზე!
ღმერთო, იგი მოგვასწარი, ვლოცვილობდეთ ჩვენს ჯამეზე.
ალი-ეფენდი ხოჯად იყოს, მუხურს დაკრავს ტყუილ საქმეზე.
მან სიცრუე იკადრა და ხარობს მტერი კიდევ ჩვენზე.
ჩვენო დედავ და მოყვარევ, ჩვენ ბრალდება არ გვაქ თქვენზე,
ინშალა, გემსახურებით, თუ შევიძრეთ რკინა ფეხზე!

6. ასლან ბაჟუნოღლის ლექსი*

მე ვარ ასლან ბაჟუნოღლი,
ყოლ ფირალში გარჩეული,
რომელი არის ჩემთანა,
ალარ არის ჩურუქსუში.
თუ დამეცა მურად ბეგი,**
მეტად გაუწყრება ღმერთი.
შენ თუ ასი ბიჭი გახლავს
ჩემკენაა დიდი ღმერთი.

ყონაბზე შემომესია,
შიგნით ქე დავრჩი ტყვესავით,
არაკაცს არ გაწყენიეთ,
ჩემთვის ვიჯექი მტრედსავით,
— გასაჭირში ჰომეხმარეთ,
ყველას გეხვეწეთ ღმერთსავით,
თხუთმეტი ბიჭები დამდევს
რაბათაისა მგლებსავით.

---

* ბსკე, ფ. XI 6, გვ. 16. ან აჭარის სახ. მუზ. ფ. 293, გე. 8; ან „დროება", 1882, № 70. ლექსი ეხება მე-19 საუკუნის 30—40-იან წლებში აჭარლების თურქთა ასკერში გაწვევით გამოწვეულ წინააღმდეგობას. ასლან ბაჟუნოღლი სოფელ ჭახათიდან იყო. მან თავი აარიდა ნიზამში (ჯარში) წასვლას და ფირალად გავიდა ტყეში.

** მურად-ბეგ თავდგირიძე

ბაბავ, ერთი შინ შემოდი,
ქალი გარეთ გეიყვანე,
ნენეს სალამი მიმირთვი
და უთხარი სიტყვაც თანა,
ბრევლი ქნილა ქვეყანაში,
საცოდავი ჩემისთანა.
— მურად ბეგ, არ გეკადრება
ჩემი ასე აზარება.
ძეზობლებო, დააყურეთ,
ნობეოით თოფი ვარდება.
თუ მოვკალი ბეჟიოღლი
აქვს სილაღი თავის ფასი,
აფხანაკობა თუ იცით,
პაპუნაშვილს წყალი ასვით,
ეოიგოხა ყირხსარდლობა,
ჩემსას კარის ძირში დავსვი
ყაზახობა დაინახა:
აუტირე დედამისი.

7. ალიაღა სამბაშოღლი

ალიაღა სამბაშოღლი ნაქებია ბიჭობაში,
ქება-სახელი მაშინ ქნა, რომ ჩავიდა აჭარაში.
შერიფ-ბეგი შეეყარა; ხაფსები მიყავდა გზაში.
ხაფსებს ნუგეში დასძახა: — სუნთელსაც გაგიშვებ სახში;
ორმოცი ოყა ზვინკირი ერწამ გასწყვიტა შუაში,
თითო ბლიკვი ყველას დასცხო, დაუბნია ჭკუა თავში.
შერიფ-ბეგმა შეუთვალა: — ნუ დადიხარ აჭარაში.
ალი-აღამ შეუთვალა: — ნუ ჩადგები ჩემ თალაშში,
შენ იმფერი ბიჭი არ გყავს, მე რომ ჩამომხედოს თვალში,
ყაზახობას თუ მიჭიმავ, აგერ გამომყევ ყამაში,
წადი და გობები ხვეწე, ნუ მოცდები ამ ზამთარში,
შენისთანა გაბერილი ბევრი ეთრევა ქალაქში.

8. ლეკი ომიანობაზე

მიგვიყვანეს, გადაგვწერეს,
დაგვიყენეს ბინბაშები,
რუსებსაც კარგად ვეჩხუბეთ,
გაუწყვიტეთ სალდათები,
იკი რა ქნეს უცხო ფერი,
რომ დაგვიწყეს ყონახები,
ჩვენ ნამუსსაც დავებრძოლეთ,
გავიმეტეთ ოჯახები.
ჩვენმა ფაშამ ასე გვითხრა:
— ციხის-ძირზე ნუ დადგებით.

ჩვენც აგი არ დევიჯერეთ,
მაინც ვესროლეთ თოფები.
ორ თვეს ასე ვაბოგინეთ,
როგორც მეგრელის ჯოგები,
ჩვენაც ასე გვიღალატეს,
არ მოგვახმარეს ჯარები.
გვიღალატეს ფაშიებმა,

. . .

კარგა გულით ვემსახურეთ
შეგვეჯამეს ადლუღები.
იგი რა ქნა დევრიშ ფაშამ,
რომ დაკარგა ბიგრები.
ახლა ბინაშაები ოღვეც
ჩვენი სოფლის აღიები.
იგინმა თლათ გვიღალატა,
იპარა თაძნის დევთრები,
მოუწია ფუხრის წყევლამ,
გაუწყდა ქალი-ბაღნები,
ამდონეთი ფუხრის წყევლით,
ბელქიმ დაეფსოს თვალები.
სოფლით გაბდენ აღიები,
მერე დაყლიპეს თვალები,
— მე ნიშანი დავიკიდე,
რაღათ მინდა შეზობლები,
მუხაჯირათ რომ წევიდენ,
წაიღეს ჩვენი თაძნები.
მადლიზა, რომ არ ჭასულან,
ფქვილი უნდენ წასაღები.
აქ დუნიას კი წაიღე,
იმ დუნიას რას ვიგნები.
ასე დიდს ვერ დაიყვირებ,
ღმერთით ზურგზე დაგაჯდები.
ძალიანი მოწიფული,
ახლანდელი აღიები,
ჩხუბში წასლას რომ იტყოდნენ;
დაუდგებოდენ მუხლები.
მუხაჯირათ ვერ წავედით,
ახლა რუსებს მივენდევით,
რუსმა ფულები დაგვპირდა
დღეში სულზე — აბაზები,
ჩვენთვის ყველამ მოისავა,
რომ დაფიქრდე, გაშტერდები,
ბელქიმ ხელმწიფე გვიგზავნის,
სჭამენ გზაში მომტანლები,
ფული ვსთხოვეთ, ასე გვითხრეს:—
რაზედ გვესროლეთ თოფები.
ჩვენ რომ თოფი არ გვესროლა,
ხომ არ ვიყავთ ფოცხოვლები!
ყველა ჩხუბში ასთე ვიყავთ,
ჩვენ გახლავართ ქობლეთლები.

9. ხონთქარი და რუსი ჩხუბობს

ხონთქარი და რუსი ჩხუბობს,
არის ერთმანეთის ეში,
ბეგიებმა გვიღალატეს,
გაგვიყვანეს კვირიკეში..
მათაც კაი არ დამართეს,
ბაწრით ჩაიყვანეს გემში,
მათი ტირილი გვესმოდა,
სუფსას გაღმა ბაილეთში...
ბეგიები ამოვარდენ,
დაბაწვავათ ჩვენს ეზოში,

ჩვენი ცოდვა მათ ეყოფა,
იმ დუნიას ახირეთში.
გამჩენი ღმერთის წყალობით,
ჩვენ კი მივალთ ჩვენს ოჯახში.
თქვენ ბათომში ვეღარ მოხვალთ,
ბრძანდებოდეთ მაგ სტამბოლში.
ალი-ფაშა თავდგირიძეს
ემსახურეთ თავის დღეში.
ამ ლექსისა გამომთქმელი
დელი-აღა ვარ უზბაში,
ასი თუმანიც მივეცი
ზაქარიაძეს დურბანში.
ამხანაგი აღარ დამრჩა,
მარტოი დავალ ქალაქში.

10. ალი ფაშა

ალი ფაშამ გვიღალატა, წაგვიყვანა კვირიკეში.
იმან ფულები აიღო, ჩვენ დაგვტოვა რუსის ხელში,
იმასაც კაჲ არ დამართეს, ჯაჭვით ჩაათრიეს გემში,
იმისი ხმა იქ ისმოდა, სუფრას გაღმა ბაილეთში.
სტამბოლში რომ ჩაიყვანეს, ჯაჭვი მოკიდეს კისერში,
საგიუეში წაიყვანეს, აღარ მოსწრია ბარათი,
წარმატებებს მოელოდა, ის ღორივით აჭუვირეს.

11. ალი ფაშა თავდგირიძე

დავჟდეთ და ლექსი გამოვთქვათ ამ ალი ფაშის ხალია.
ჩურუქსუს ჩამოგვეკიდა, აღარ მოგვცა რახათია,
ოღლანებსა თუ იკითხავთ, ყველთვინ ახლავს სამ-ოთხია.
ქაქუთლებსა მისჩოვია კას დამწიფულ წყავსავითო,
ღმერთო, ცოფს გაატკლეციე, ეშვი მას აქ ტახსავითო.
ოსმან ბეგსა დიესიზმა გამცდარიყო სახლის თავზე.
ადგა დილას, დუუმოწმა: არ წახვიდე სხვის საქმეზე,
მუხაჲსტატეს რომ ამოვდა, გულში შეიქნა სიცილი;
აჭუვაში რომ ამოვიდა, მაშინ აჭამეს სირცხვილი,
ახალ თათრი იოსეფას აცვია წივზე ზანკალი,

ღმერთო, ფაშა ისე მორთე, არ გააწევდე ზამთარი.
მისდანის ნახვას ჩივოდეს, საშიშრათ იყოს გამხდარი.
გამოუგდია ტარაზი, დასაფსებულ ჰაკსაეეთო,
ზრუქში რაცხა წამუუსხამს ბრეში მგელის ტყავსაეეთო.

12. ლექსი მუხაჯიროგაზე

დილას ბალონზე ადგება,
ტყეში მოხუცი ბაბანი,
ვახტი მოვდა, რათ არ დგები,
რომ წაგიხურავს საბანი.

ხინო მუხაჯირათ მია,
ჰახათლებს სტკივა მუცელი,
კეჩდეთლებიც აპირებენ,
წყავს რომ გასცივა ფურცელი.

13. დაგველების მუხაჯირათ წასვლა

დაგველები გამგზავრდენ,
გადიკიდენ ინთები,
შით ჩააწყვეს საგზლები,
თურქეთში უმ ჩევიდენ,
აღარ ხონდენ აფერი.

ერთმანეთსა ხკითხავდნენ:
სადაა ჩვენი ადგილი?
დამირჩენ უკაცრავადა,
აღარ იყო ადვილი.

14. ლექსი მუხაჯიროგაზე

ხინო მუხაჯირათ მია,
ჰახათლებს სტკივათ მუცელი,
აჭყვისთვლებიც აპირებენ,
წყავს რუმ გასცივა ფურცელი.
ქობლეთლებიც ასე ჩივა,
ჩვენ არ გვინდა თათრის პური,
რუსს ავართვათ თეთრი ფული,
გულზე დევკიდოთ მენდლები,
ვინცხა მუხაჯირში წევდა,
შიმშილით წყდება სუნთელი,

ტირილ-ყვირილით მორბიან
ოხტომს ზედან კეჩდეთლები.
ჩვენ ხინველებს რას ვუყურებო
ხავს აღდები ბარათლები,
მუხაჯირათ რომ წევიდენ,
ჰვირთად წეიღეს მანათები.
ქვაბლიანი მათ დააფსეს
სერ-გადაღმა აჭარლები.
დეილოცა მათი ჯანი.
ჩამოირიგეს ოჯახები.

საწესჩვეულებო, მითოლოგიური და საყოფიერო ლექსები (1—17)*

1. ალილო

ოჲ ალილო, მოგვილოცავს ქრისტეს შობა,
ოჲ ალილო, მოგვილოცავს ქრისტეს შობა,
ქრისტეს შობა ბეთლემსაო.
ნებაც იყოს მაღლა ღვთისა;
ნებითა თუ შვიდობითა.
ალილო, ალილოდა, ალილოდა, აჭა მშვიდობა.

2. აღდგომა

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით,
სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი.
დასაფლავების შინათა
ცხოვრების მომნიჭებელი.

3. ლაზაროგა

ლაზარ მოდგა კარსა,
აღურღულებს თვალსა
შინო, შინო, შინაო,
ჩიტმა შეგაშინაო.
ცალი მხარი მომტეხა,
ცალი შემარჩინაო.
აბლა მიდგა თაროსაო,
დიემსგავსა მთვარესაო.
აღარ გვინდა მზისა თვალი,
ღმერთო, მოგვეც წვიმა, წყალი.

ანდა:

აღარ გვინდა წვიმა, წყალი,
ღმერთო, მოგვეც მზისა თვალი.

---

* აღებულია წიგნიდან „აჭარის ხალხური პოეზია — 1“, თბ., 1969.

4. ლაზარობა

ლაზარ მოდგა კარსა,
აღარღალებს თავსა.
აბლამ მოდგა თაროსა,
დაემსგავსა მთვარესა.
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი,
შიგვინახე მზისა თვალი.

5. ჭათმის შერხვა

ჯიჯი, ჯიჯი, დედალო,
ჯიჯი, ჯიჯი, მამალო,
ასი დედალ, ასი მამალ,
ასი მისი მოჩხოროზი.
ზეით მია ნეფერები,
ქვეით — დადიანებიო.
ყველას ამას გეხვეწებით:
შორეთ ნუ დეჰარებიო.
ტყეში სურო, ზღვაში ქვიშა,
ღმერთო, იმდენი ამრავლე,

6. რწყილის გადალოცვა

მარტი, მარტმეტი,
ყოველი თვის მეტი.
ჩემსას რწყილი არცერთი,
სხვისას ნიჩბით სახვეტი.

7. ცეცხლის შენახვა

ცეცხლო, ელოდე, მელოდე,
მე მელოდე, მზეს ელოდე,
მთვარეს ეთაყვანებოდე.
დილას ადრე ავდგებოდე,
დოჩხაურად დამხვდებოდე.

8. ზეცას ევედლ, ზეცა ვნახე

ზეცას ევედლ, ზეცა ვნახე,
მასკლავებსაც დევენახვე.
მთვარემ კაცი მომიგზავნა.
— შინ თუ იყავ, რათ არ მნახე.

9. ახალ მთვარესთან შეხვედრა

მთვარე ვნახე ნებაზე,
ჩვენსა გახარებაზე.
მთვარევ, რა მოგვიტანე?
— თავი მთელი, გული მთელი,
ხელნაქმარი ხვავრიელი,
ჩემი ნამზად-ნარიგები
მიწის უხვავრიელესი,
თაფლის უგემრიელესი.

10. ნისლზე ველოცვა

ინდი ყარა, მინდი ყარა,
ცხრაი თაი გადიყარა.
შენი ქალი ორსულია,
გვიან მიხვალ, მოგიკტება,
ადრე მიხვალ, მოგირჩება.

11. ნანა

რურუ ჩემს შვილს, ნანი,
ეძინება, ერურება, ნანი,
პირზე ვარდი ებურება, ნანი,
მის დუშმანებ მოჩვენება, ნანი,
მას ძილი, მას მოსვენება, ნანი,
რომ დაგარტყა, გეტკინება, ნანი.
შენ ნენესაც ეწყინება, ნანი.

12. მაყრული ლეჭსები

ფეხი წამოეკარ ფესოზე,
შექორწილე დგას ეზოზე,
ცულის პირი დანათაო,
ჩვენი ნეფე ტანათაო.
ცულის პირი დაწეწკილი,
ჩვენი ნეფე მორენწკილი.
დედოფალი მოჰყავანო
საჩუქარი რა ჰყავანო?
— პირსანათაო თხა ჰყავანო.

* *

დედამთილო, გამეხვედე,
მოგიყვანეთ კარგი რძალი.
თუ კარქ თვალით არ შეხედავ,
ძაღლმა გახრა შენი ძვალი.

* *

დედოფალი მოყავანო,
საჩუქარი რა გყავანო?

ჯიბეში მაქ ჯაუშიო,
გამოუშვით ჯამუშიო.

• •

ამ დედოფლის მაყრებიო,
არ გან ღილის კაკლებიო.
მოვლიან და ერთად წავალთ
ჩემი მეფის მაყრებიო.

• •

მოგვინათეთ სანთელიო,
ქალი მოგვყავს ნათელიო,
დედოფალი მოყავან,
საჩუქარი რა ყავან,
—თეთრი თხა და პიპინაჲ...

• •

ქალი მოგვყავს ნათელიო,
ჩააქრევით სანთელიო.

ქალი მოგვყავს ნათელიო,
აღარ გვინდა სანთელიო.

• •

— ადე, თამარ დედოფალო,
შენი ფეხით გავიაროთ.
დედოფალი მოყავანო,
ნეფე პაწაი ყავანო.
პატარა ხარ, რა იქნები,
გეიზდები, კაჲ იქნები

• •

მოვალთ და მოგვიხარია,
მოგვყავს ლამაზი ქალია.
მასპინძელო, რას უყურებ?
მოგვინათე სანთელია.

13. სუფრული ლექსები

• •

მასპინძელსა მხიარულსა
ჰყავს სტუმრები საყვარლები,
ღმერთო, იმას ნუ მოუშლი,
მუდამ ჰყავდეს საყვარლები.

• •

ქალამანი შევიკერე
ხარის თავრიელია;
მაინძელო, რას უყურებ,
სუფრა ცარიელია.

• •

ჭრელი ხარის თავრიელი,
სუფრა რჩება ცარიელი,
გადმოვარდა ფურცელიო,
შაერი კდება მუცელიო.

14. გელინო

გელინო, გელინო, აბძანდი, გელინ, აბძანდი, გელინო,
გელინო, გელინო, ნელა-ნელა წამობრძანდი, გელინო,
გელინო, გელინო, კარითავი მაღალია, გელინო,
გელინო, გელინო, დედამთილი დედასავეთ, გელინო,
გელინო, გელინო, მამამთილი მამასავეთ, გელინო,
გელინო, გელინო, მაზლი არის ძმასავეთო, გელინო,
გელინო, გელინო, მული არის დასავეთო, გელინო.

15. დედამთილის მოთქმა

ციფუნ კატა, გელაიფხე,
ჯელინ ბატონო.
გუშინ რძალათ მოგიყვანე,
გელინ ბატონო.
დღეს ძროხაზე გაგაგზავნე,
გელინ ბატონო.
ძროხა მოვდა. მწყემსი — არა,
გელინ ბატონო.
ავდექი და წამოვედი,
გელინ ბატონო.
ზეადან მურაა დაგდგომოდა,
გელინ ბატონო.
ქვეშ ჭინჭველაა შეგსეოდა,
გელინ ბატონო.
ავდექი და წამოვედი,
გელინ ბატონო.

16. სოლომონ ბრძენი

დავითი, სოლომონ ბრძენი,
ერთგულია ხმელეთისა.
ჯერეთ ეთქმის ხემწიფობა,
მერე ეძახიან ბრძენსა.
ნეფეს სიზმარი ესიზმრა:
ხელთ ეჭირა ოქროს ბულთი,
ოქროს ბულთი თვალსაჩენი
ანათებდა ბნელ ღამესა.
მიბადემ ბადე გააგო,
სამი თევზი გამოჰყვესა.
იგი დასჭრეს, დაჩარიკეს,
და ტაფაზედა დადვესა.
ეს სიტყვა თუ მართალია,
გაცოცხლდეს და ზღვას შეერთოს,
ტაფას თევზი აღარ ძევსა.
დაუძახეს კუნძულელსა:
— ნეტარც აგისრულდა დღესა.
ერთი სპილენძის კოკა მაქვს,

მიბარია მებაღესა.
იმას თუ კაცით ამიმსებ,
დედოფალი შენ წაგყვესა.
ჩემსა ყმასა დაუძახეთ,
ვაჟკაცსა და ყმაწვილებსა.
თორმეტ დღეს კაცმა იდინოს,
კოკას ყელში მოაკლდესა,
კუნძულელი შიგ ჩაბრძანდეს,
დედოფალიც შიგ ჩაყვესა.
კუნძულელი რომ ჩაბძანდა,
თავზე ფუში გადაჰკრესა,
მენავესა გაატანეს,
შუა ზღვაში გააგდესა.

17. ზამთრისა და ზაფხულის ლექსი

ჰულაე ამ ჰალით გვაბუდლებს თუ ვერ მეიგეთ წრევლს-წრევლხ,
წრევლს იცოდე, მემრე მეიგებ, მემრე მეიგებ ბევრს-ბევრს;
ამ ჰალით ომრი მიგვიდის ბენი ინსნის დღევ-დღევ.
მაგ ჰალით შვაზე ვფუშდებით, შენ ისტე ხარ ტყევ-ტყევ.
გასული გაგვიხარდება, ამწვანდები ხევ-ხევ,
ია, დეიწვი და ია დალპები, შენ ქვეყანას ტევ-ტევ.
გასული ყველას უხარის, ბატიც წივა წივ-წივ,
ზაფხულსა ზამთარი მოდევს, დეიფიქრე ძივ-ძივ.
სიცოცხლეს სიკვდილი მოდევს თათარიკი ქენ-ქენ.
რავარც თათარიკი უნდა ამ ზამთარსა ძნელს-ძნელს,
სინათლეს წაღება უნდა ასტე ჩვენსა ბნელს-ბნელს
უფრო შავით გაბუქდება, ვერ, გავიღებთ ხელს-ხელს.
გამეადრის, დაგვავიწყდება, ვიხვევთ წინდის ყელს-ყელს.
ნადირს დედას უუტირებს — დათვს და მელას, მგელს-მგელს.
ზოგი ადრე მეიკალიბებს ალაფსა და პურს, ქერს,
ზოგი ვერცერთს ვერ მოასწრებს ერთსა შიშის ღერს, ღერს,
დილა-საღამ ფიჩხსა ზიდავს, თითო-თითო ჯერს-ჯერს.
გასული ყველას უხარია, გონჯ და ყველას ბერს-ბერს,
გასულში ყველა დეიდებენ აპრილისა პირს-პირს.
მაშინდელი ჩიტის ენას ჩვენც კი მოვჭამთ ჭირს-ჭირს.
უსაქმური, უზანათო, ვერ ჭამს ქეიფით პურს-პურს.
გიხარია, რომ იცინი, ხარს უძახი: ოჰშ, ოჰშ,
რაც მოგივა, შუქური ქენ, ყანა ერთი ტოია-ტოია.
ჩემთვინ იმავ, შენ აბდალავ, რა მაგდენი „ჰაი, ჰაი“.
ამ ლექსებს თავი დანებე, სტორგ გზაზე წაი-წაი.

სატრფიალო ლექსები

(1—9)*

1. ჩემ სახლზედან ძეწნებიო

ჩემ სახლზედან ძეწნებიო, რადარირი მეო,
ყელემს გიგავს ნამწნებიო, შენი ჭირიმეო.
იმას ქვედან შავი წარბი, რადარირი მეო,
ისტამბოლის ყელემს გავსო, შენი ჭირიმეო.
იმას ქვედან შავი თვალი, რადარირი მეო,
დაშწიფებულ მაყვალს გავსო, შენი ჭირიმეო.
იმას ქვედან ყირმიზ ლოყა, რადარირი მეო,
შექერ ვაშლის ნათალს გავსო, შენი ჭირიმეო.
იმას ქვედან თეთრი ძუძუ, რადარირი მეო,
ისტამბოლის თურუნჯს გავსო, შენი ჭირიმეო.
იმას ქვედან თეთრი ჭიპი, რადარირი მეო,
შექერ ვაშლის კუკულ გავსო, შენი ჭირიმეო...

2. ერთი ლექსი დავამღეროთ

ერთი ლექსი დავამღეროთ, მაღალ ახალ ზეგნიდანა,
ერთი ქალის სევდა კი მაქ, არა მეტყობა გარედანა,
გამჩენელო, შემიბრალე, უნდა მოვკვდე დარდიდანა.
საყვარელის სევდაც კი მაქ, დამწვარი ვარ შიგნიდანა.
უფრო-უფრო ლამაზდება, არ მგონია ინსნიდანა,
მე მგონია გაჩენილი მელაძქების ჰურიდანა.
ხეტავ ხომ არ გაჩენილა ჯენნეთისა ჰურიდანა,
სილამაზეს თუ იკითხავ, ვერ მიგახდენ ვეფრიდანა.
უფრო-უფრო ლამაზდება, უნდა დასწვას ეს ქვეყანა.

* აღებულია წიგნიდან „აჭარის ხალხური პოეზია — 1", თბ., 1969.

შემშალა და გადამრია, გამომიყვანა ჭკვიდანა,
გადაშლილი თეთრი ლოყა მე მგონია ვარდიდანა,
ერთ რომე ზედან უკბენდე, გემრჩელია თაფლიდანა,
საყვარელო, მომისმინე, ერთი სიტყვა მაქ შენთანა.

3. ერთხელ გიხილე, ბატონო

ერთხელ გიხილე, ბატონო,
მომწონდა პირისახეო,
ვარდის მსგავსად მომეჩვენე,
გადაწმენდილი მთვარეო;
ჩემი სული შენთან რჩება,
გეძებე, ვერსად გნახეო,
ერთი წიგნი შენც მომწერე,
ან მაგინე, ან მაქეო.
ვიწვი უცეცხლოდ, იცოდე,
მიდლისდა ერთი მნახეო.
ღმერთო, იგი მომასწარი,
რომ ჩაგიტკბილო ბაგეო,
ბნელსა ღამეს გაანათებს,
ბატონო, შენი სახეო.
ისე ლამაზი ბძანდები,
არ გინდა ღამით სანათი,
ერთი შენის ნახვისათვის
ხომ არ მშურს ასი მანათი.
ღამე ძილიც ხომ არა მაქ
და საშველიც ხომ არ მინდა,
შენი ქება მე რო მითხრეს,
ჩემი გული დაიბნიდა,
შენი ჯავრით მე რომ მოვკვდე,
ჩემი ცოდვა შენ რათ გინდა?

4 წყალსა ნაფოტი მოქონდა

წყალსა ნაფოტი მოქონდა, ალმასის ჩამონათალი,
შედექ, ნაფოტო, მითხარი საყვარლის შემონათვალი.
წუხელის სიზმარში გნახე, წარბი მაღლა აგეყარა,
ფანჯარაზე მომდგარიყავ, ნაპწნები გადმოგეყარა.
ათი თითი, ბროლის ფერი, წმინდა წელზე დაგეყარა,
წმინდა წელი, ზეთ კოშელი, ნეტა ვიყო რაცხა შენი.

5. მე ვარ უთბელი გიორგი

მე ვარ უთბელი გიორგი, სუფრა-გრძელი და პურ-სქელი,
ალაზონ დარბაისელი, ცხემვანეთს წავალ ფირცხელ-.
ლამაზ გოგოს მიჯდუმლებენ, — მიმთხრობია, მომყოლია;
უთავბოლო ქაცის ქალი არა ჩემ გვარს არ ხოლია.
ათას ბათმანს შვილსა ზიდავს, ზეცას აისვრის ისარსა,
ათას ჩვენთანას ჩამოხრის შიშველსა პერანგოსანსა"
— აქამ სა იყავ, ყმაწვილო, როდის ვიყავი ყბოსანი?
მე ღმერთმა ქმარი მიბოძა, — ლაღი მოლა, შეყბოსანი.
შევა და პირსა დეიბანს, გამოვა ქარქაშოსანი.
— საყვარელო, დაგინახე, როგორც რომ სავსე მთვარეო.
ჩემი ნახვა თვარ გინდოდა, რაზე შემომითვალეო.
ალონი შემომეწია, ხაშარი წელს ვიფარეო".
— თევზი ბრევლი მიჭამია, ცხენის წყლისა, რიონისა,
შენ აქანაც რა ხელი გაქ, ძალი წმინდა გიორგისა!
— ოქროს ჩალდაყსა დაგიდგამ, თეთრი ირმისა ღჯისასა,
ზეცურას გადმოგიკიდებ, სასმელსა ცხენის წყლისასა.

6. ოსმან-ბეგ, შენი ჰირიმე...

ოსმან-ბეგ, შენი ჰირიმე,
შავარდენს გიგავს თვალები,
წინ-წინ მე გენაცვალები,
მერე ხუცუბნის ქალები.
ნელ-ნელა ბახჩაში მოი,
არ დაგეხვიონ ძაღლები,
ნელ-ნელ კარი შემიქანე,
არ გამიღვიძო ბაღნები.
ნელ-ნელაი ჩამეხვიე,
არ დამაწყვიტო ძარღვები.

7. მაღლითა გადმომდგარიყო

მაღლითა გადმომდგარიყო
თვალქუჟუნა თეთრი ქალი,
ხელს მიქნევს, ზეით ამოი,
შინ არ არის ჩემი ქმარი.
გაღმით მოვა ჩემი ქმარი,
გონჯათ უყლეპია თვალი,
ღმერთო, შენ ის მომიკალი,
ზედ შევსწირო უღლად ხარი,

ულლათ ხარს თუ არ დამჯერობს,
ზედ დავადე ლიბრი ცხვარი.
ტანდაბალო, ჩამბაქელავ,
შენ რა მეხმა გაგახელა
—სმა-ჭამლობა ბევრი მჭონდა,

უკაცობამ გამახელა.
ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო,
ჩემო ახლო მეზობელო,
როგორც ცეცხლი შემიკიდე,
ისევ შენდა გამინელო.

8. უწლოვანის გათხოვება

პატარა ციცაბ ვიყავი,
ქვეყნის დამწველი კიდეო,
არას მინქინით არ მსურდა
ქმარზე წაყოლა კიდეო.
ათი წლისა როცა გავხდი,
გათხვება მითხრეს კიდეო,
თორმეტი წლისა რომ გავხდი,
ბოხჩაც მეჭტანეს კიდეო.
თოთხმეტი წლისა რომ გავხდი,
ბორჯიც აიღეს კიდეო.
ეგერ მიღმა გავიხედე,
მაყარიც მოდის კიდეო.
ჩიეთი დავლ-ზურნა დუკრეს,
ღმერთო, დასტკლიცე კიდეო,
ამწიეს და ცხენზე შემსვეს,
ლაყაბ ვუჭირე კიდეო.
ნეფის სახლში მიმიყვანეს,
სკივრიც დამიდგეს კიდეო,
დედამთილი შაქარს მიდებს,
თითიც წავკნიტე კიდეო.

მარცხენაბ ფეხი წავადგი,
მარჯვნით დავწუევლე კიდეო,
ავდექ, გევბარ-გამევბარე.
წავაწკაპუნე კიდეო.
ასი ქალი ბრძანდებოდა,
ყველას ვაჯობე კიდეო,
ასი ქალის საჭამანდი,
მარტვა შევჭამე კიდეო.
ახორში როცა ჩავედი,
ძროხა ჩავწველე კიდეო,
ნაწველიც იქ დავაქციე,
ქებიც დავთხარე კიდეო.
ჩემსა ქმარსა ლაკანჭურას
მგზავრობა უნდა კიდეო,
სამი პური გამოუცხევ,
თან წავატანე კიდეო.
კუროს კაცი გაუგზაკნე,
ფეხი აჩქარე კიდეო,
ჩემი კაცი ლაკანჭურაბ,
ბოლოს ვახელე კიდეო.

9. შაფათი რომ დაღამდება

შაფათი რომ დაღამდება,
კვირა გათენდებაო,
ახლადდანიშნული გოგო
ბანზე გადმოდგებაო.
შევა, დედას მიახარებს,-
სიძე მობრძანდებაო,
— მობრძანდი, სიძე ბატონო,
სიდედრი ეუბნებაო
— შვილო, სუფრა გაუშალე,
სიძეს ემშვენებაო.
— არა, დედი, არა მშია,
ძალიან მეძინებაო.
— შვილო, ლოგინი გაუგე,
სიძეს ეძინებაო.
მივა გოგო, ლოგინს აგებს,
სიძე მივა, წვებაო.
დანიშნულსაც ეუბნება:
— შე რას შვრები ეხლაო?
დანიშნული ეუბნება:
— შევეკითხები დედასო.
დედამისი ვარს უჩივის;
— შვილო, არ იქნებაო,
მეზობლები გაკვიცებენ,
თავი მოგვეჭრებაო.
გაბრაზებული სიძეი
დგება, მიბრძანდებაო,
დანიშნული უკან მიდევს:
— რავარ გეკადრებაო,
დაბრუნდი, შენი ჭირიმე,
იყოს შენი ნებაო.
დაბრუნდება ისევ სიძე,
მივა, ლოგინს წვებაო.
თერთმეტი წლის ტურფა გოგო
გვერდით მიუწვებაო.
ამ ოთახში სინათლეა,
იგიც ნელა ქრებაო,
იქ რომ ამბავი იქნება,
ენით არ ითქმებაო.
დაფეთებული სიძეი
ზეზე წამოხტებაო,
დანიშნული დილით დგება,
დედას ეცხადებაო,
— შვილო, ჩაი გააღუღე,
სიძეს ემშვენებაო.
— დამეთხუე, დედაჩემო,
რაღა მეჩაჩებაო,
ისეთი ვიღაც სიძეა,
ძალვან მეჯავრებაო,
წუხელის არ დამაძინა,
ეხლა მეძინებაო.
— ასეთია შაფათ ღამე,
კვირა გათენდებაო,
შვილო, მე არ დამიჯერე,
მაგრე გეკადრებაო.

10. ჭოგულეთელი ზოიძის ძალისაგან ხასან-ბეგ თავდგირიძისადმი მიწერილი 1850 წ*.

ბატონს, ხასან-ბეგს მიერთვას, უძორჩილებით, თავმდაბლით,
ბროლის ხელსა დაიჭიროს და ჩაიკითხოს ტკბილის ხმით...
გონიერი, მეცნიერი თქვენ ბრძანებულხარ აგრე მღვთით.
ჩემი სიცოცხლის მომცემო, გამატეხელო ძილისა,
ნიავ-ყოველათ შემკულო, ვარდო, გაშლილო ქარისა,
თათრის ქართლამდის ნაქებო, მაშვენებელო გვარისა!
რა რომ გნახოს სულიერმა, შენთვის უნდა თავი ნაცვლათ,
დღეი მზერით ვერ გავძეხი, ღამე ვიწვი შენთვის სანთლათ;
რამაც დედამ შენ კი გშობა, მას კი წაჰყვა სული ნათლათ.
ვინც კი გნახავს, თქვენ გენატვრის, სხვა არ უჩანა თვალებსა,
ღმერთო, თუ იმას შეგვყარო, საწყალთა გავცემთ ფარებსა,
ნეტა რა დროში ვიქნები, დაგიდებ თავ-ქვეშ მკლავებსა,
ბროლის გულსა ჩაგეხვევი, ამოგიკოცნი თვალებსა!

პასუხი ხასან-ბეგ თავდგირიძისაგან

ქალო, შენ გაქებს ყოველი, ადამიანთა ენები,
ზიხარ გონივრად გაზრდილი, ადვილათ არ იხსენები.
თვალ-წარბზე ია ჩამოგდევს, ლოყაზე ვარდის ფერები,
მღვთის მადლმა გულით მიყვარხარ, პირში არ მოგეფერები!

---

* აღებულია წიგნიდან: ა. წულაძე, ძმური სიტყვა ქართველ მესლიმანებს. თფილისი, 1915 წელი, გვ. 151—152. იხ. აგრეთვე გაზ. „დროება".

გაშაირება—გაბაასების ტრადიცია აჭარაში (1—9)*

1. ქალ-ვაჟის გაშაირება

(სინკრეტული)

ქალი — ოდ ნანი და ნანა
ოდელიე ნანა
ვაჟი — „————————“
ქალი — ოდ ნანი და ნანა,
ძიგლიგასი გოგრებიო.
I — ნახევარგ. „————————“
ვაჟი — ოდ ნანი და ნანა,
აჭარელი გოგვებიო.
II — ნახევარგ. „————————“
ქალი — ოდ ნანი და ნანა,
ჩემ სახლზედან ეწრის
ფაცხა.
I — ნახევარგ. „————————“
ვაჟი — ოდ ნანი და ნანა,
ნეტაჲ ვიყო შენი რაცხა.
II — ნახევარგ. „————————“
ქალი — ოდ ნანი და ნანა,
ცინარიძემ დამაპირა.
I — ნახევარგ. „————————“
ვაჟი — ოდ ნანი და ნანა,
ნეტაჲ შენთან დამაწვინა.
II— ნახევარგ. „————————“
ქალი — ოდ ნანი და ნანა,
ცას მიწიწინებს მიმინო.
I — ნახევარგ. „————————“
ვაჟი — ოდ ნანი და ნანა,
შენ წახვალ როგორ
ვიძინო.
II — ნახევარგ. „————————“
ქალი — ოდ ნანი და ნანა,
ჩემ სახლზედან
ლერწმებიო.
I — წახევარგ. „————————“
ვაჟი — ოდ ნანი და ნანა,
მომწონს შენი ნამწნებიო.
II — ნახევარგ. „————————“
ქალი — ოდ ნანი და ნანა,
ჩემ სახლზედან ეწრის
ფაცხა.
I — ნახევარგ. „————————“
ვაჟი — ოდ ნანი და ნანა,
ნეტაჲ ვიყო შენი რაცხა.
II ნახევარგ. „————————“
ქალი — ოდ ნანი და ნანა,
ღობეს მივაკიდე ჩათხი,
I — ნახევარგ. „————————“
ვაჟი — ოდ ნანი და ნანა,
მე შენიდან დამჩა ხათრი.
II — ნახევარგ. „————————“
ქალი — ოდ ნანი და ნანა,
ხერტალმა ხელი დამგალა.
I — ნახევარგ. „————————“

* ალებულია ემენ დავითაძის წიგნიდან აჭარული ფოლკლორი, თბ., 1978.

ვაჟი — ოჲ ნანი და ნანა,
ხერტალ გასატეხელიო.
II — ნახევარგ. „————————“
ქალი — ოჲ ნანი და ნანა,
მამაჩემი არ მათხოვებს.
II — ნახევარგ. „————————“
ქალი — ოჲ ნანი და ნანა,
ვისერმოსატეხელიო...
I — ნახევარგ. „————————“
II — ნახევარგ. „————————“

2. ქალ-ვაჟის გაშაირება

(სინკრეტული)

გოგო — ოჲდა ჩემი საჩეჩელი
I ნახ. გუნდი „ — — — — — „
ბიჭი — გოგოვ, ერთ წამას
შეჩერდი,
II ნახ. გუნდი „ — — — — „
გოგო — ვაჲმე ჩემო
საჩეჩელო,
I ნახ. გუნდი „ — — — — — „
ბიჭი — გენაცვალე
გამჩეჩელო.
II ნახ. გუნდი „ — — — — „
გოგო — საჩეჩელზე
მატყლი დამჩა,
I ნახ. გუნდი „ — — — — — „
ბიჭი — მე შენიდან ხათრი
დამჩა.
II ნახ. გუნდი „ — — — — „
გოგო — საჩეჩელის ძველი
კოთხო,
I ნახ. გუნდი „ — — — — — „
ბიჭი — მოვალ, მარა,
კოცნას მოგთხოვ.
II ნახ. გუნდი „ — — — — „
გოგო — მატყლი ვჩეჩე
ერთი ოყა,
I ნახ. გუნდი „ — — — — — „
ბიჭი — ამოგკოცნე თეთრი
ლოყა.
II ნახ. გუნდი „ — — — — „
გოგო — ვაჲმე ჩემო
საჩეჩელო,
I ნახ. გუნდი „ — — — — — „
ბიჭი — შინ წამომყევ
გამჩეჩელო.
II ნახ. გუნდი „ — — — — „
გოგო — მატყლი შერჩა
საჩეჩელსო,
I ნახ. გუნდი „ — — — — — „
ბიჭი — მადლი შენსა
გამჩენელსო.
II ნახ. გუნდი „ — — — — „
ორივე — მატყლი შერჩა
საჩეჩელსო,
I და II ნახ. გუნდები „— — — „
ორივე—მადლი შენსა
გამჩენელსო.
I და II ნახ. გუნდები „————“

8. ქალ-ვაჟის გაბაასება
(მეტამორფოზული)

ვაჟი — ქალო, ლამაზო,
გამომყევ ცოლად.
მე დაგიდგები, ჰირიმე,
შენ ბაღის მცველად.
ქალი — არა, არ მინდა,
შენ არ გაგყვები.
ჩიტად ვიქცევი, ბიჭუნავ,
ხომ მომშორდები.
ვაჟი — მაშინ მე ბუდედ
გადავიქცევი,
შიგ შემოფრინავ, გოგონავ,
ჩემი იქნები.
ქალი — არა, არ მინდა,
შენ არ წაგყვები,
ხედ გადავიქცევი ბიჭუნავ,
ხომ მომშორდები.
ვაჟი — მაშინ მე სუროდ
გადავიქცევი,
შემოგეხვევი, გოგონავ,
ჩემი იქნები.
ქალი — არა, არ მინდა,
შენ არ წაგყვები,
ნემსად ვიქცევი, ბიჭუნავ,
ხომ მომშორდები.
ვაჟი — მაშინ მე ძაფად
გადავიქცევი,
გამოგებმები, გოგონავ,
ჩემი იქნები,
ქალი — არა, არ მინდა,
შენ არ წაგყვები.
თევზად ვიქცევი, ბიჭუნავ,
ხომ მომშორდები.
ვაჟი — მაშინ მე ბადედ
გადავიქცევი,
შიგ შემოსცურავ, გოგონავ,
ჩემი იქნები.
ქალი — არა, არ მინდა,
შენ არ წაგყვები,
რომ მოვხუცდები,
ხომ მომშორდები.
ვაჟი — შენ მოხუცდები,
მეც მოვხუცდები,
ორთავე მოხუცებული
ერთად ვიქნებით.
ქალი, — არა, არ მინდა,
შენ არ წაგყვები,
როცა მოკვდები
ხომ მომშორდები.
ვაჟი — მაშინ მე კუბოდ
გადავიქცევი,
შიგ ჩამოწვები, გოგონავ,
ჩემი იქნები.

4. ქალ-ვაჟის გაშაირება
(კაფიური)

•

ქალი — ბიჭო ძალიან მიყვარხარ,
გეფიცები ბაბასა.
ვაჟი — თუ არ მომცემს,
ვენაცვალე,
ჭრელტარიან ყამასა...

•

ვაჟი — [illegible]ოვ ერთი გამეიხედე,
გამოაღე ფენჯერა.
ქალი — შორიდან რომ თვალს
მიხუპავ
ეგ არაფრად არ მჯერა...

•

ქალი — მეშინია ბიჭებიდან,
მათი ფეხის ბიჯებიდან.
ვაჟი—მეშინია გოგეებიდან,
იმათ კლავზე გორვებიდან...

•

ქალი — ვის უნახავს, ვის
მოსწრია,
ვირთხას დაეჭიროს მგელი,
მწყერს — მიმინო, ხოხობს—
ქორი,
თევზს გაეგდოს მინდვრად
შველი,
ტურას — ლომი, კატას —
ვეფხვი,
ჭიანჭველას—დათვის ბელი,
რავარც ეს არ მოხერხდება,—
არც შენ არ გაქ ჩემზე ხელი.
ვაჟი — სანთლის გუთანს
ავაშენებ,
შით შევაბამ უღელ დევსა.
ზღვაში ვხნავ და ზღვაში
გთესავ,
ხმელზე გადავაყრი ბზესა.
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ,
და დევებს დავუყრი ბზესა,
როცა ამას შევასრულებ,
მაშინ ევღეფ შენზე ხელსა.

5. რძალ-დედამთილის გაშაირება
(საყოფიერო)

რძალი—დედამთილო, კარი გაღე,
რა გაქ ჩემზე მტერობაო.
გამჩენელი ღმერთის ემრით
მენა გიყო ხელობაო.
ხელობა თუ ვერ გიყავი,
დამემდურე მაშინაო.
კერვაში ქალი ვერ მიზამს,
ჯეიზში მაქ მაშინაო.

დედამთილი — შენი მაშინა რათ მინდა,
მე მძულს იმისი ხრიალი.
მე იმფერი რძალი მინდა,
ყანაში დეღწყოს ფრიალი.
რძალი—სამა-სიმღერა მიყვარდა,
ლამაზ ბიჭებში თამაში.
ჩაღ-შექერით გაზდილი ვარ,
ვერ წამოგყვები ყანაში.

დედამთილი — ჩაღ-შექერი შენ გიზიდო,
შენ გავასუქო ჭამაში.
ეგვახ, ფარა მებრალება,
ოცი ძელები ყუმაში.
ტანზე-ფეხზე არ დაგაკელ,
ვალი დევდევი ხულაში.
რა სიკეთე დამანახვე,
თმა დამისველე ფუნაში

6. ჭალ-ვაჭის გაშაირება
(ნადური)

ვაჭი — ვაღ ნანი და ნანა, ვოდელია ნანა,
ქალი — „————„ჩემ სახლზეღდან ეწრი ფაცხა,
ვაჭი — „————„ხეტაღ ვიყო შენი რაცხა.
ქალი — „————„—ღობეს ვადუკიდე ჩათხი,
ვაჭი — „————„გულში დამარჩინე ხათრი.
ქალი — „————„ცას მიწიწინებს მიმინო,
ვაჭი — „————„შენ წახვალ როგორ ვიძინო.
ქალი — „————„ძიგლიგახი (გასწი) გოგრებიო,
ვაჭი — „————„გაღმა სოფლის გოგვებიო.
ქალი — „————„აწონილი ერთი დუკი,
ვაჭი — „————„ მაკოცნია თეთრი ბუკი.
ქალი — „————„ხერტალმა ხელი დამგალა,
ვაჭი — „————„ ხერტალგასატეხელიო.
ქალი — „————„ მამაჩემი არ მათხოვებს,
ვაჭი — „————„ კისერმოსატეხელიო.

7. სიძე-სიდედრის გაშაირება

(ნადური)

სიძე — დედამთილს თუ სიძე უყვარს
ქი მოვიდა სადილობა.
სიდედრი — დიახ, უკვე მოვბრძანდებით,
შემშვენის დედამთილობა.
სიძე — სადილი კაჲ უნდა იყოს,
სიძეს უნდა კადრულობა.
სიდედრი — სიძეს ულვაში ამშვენებს
და წელში გამართულობა.
სიძე — სადილს პატიჯი არ უნდა.
არც ზედმეტი ქართულობა.
სიდედრი — სუფრას შერბეთი უხდება,
ჯამ-ჭურჭელის მორთულობა.
სიძე — მაშინ სიძეც მობრძანდება.
მადით იცის მირთმულობა...

8. მემთევრებისა და ძმრების გაბაასება

(საყოფიერო)

მემთევრები შუქურ ზაფხული მოვიდა
თხაჲ ცხვარი გევდა გარში.
მემთევრები აქყიპინდნენ —
სული შაგვიწუხდა ბარში.
თავი-ბედი ამევწყევლეთ,
მუდრეგები გადჲან პურში.
საქონლებიან ახორში
შაფათ თუ ვერ ევდეთ თაში —
კვირას ევდეთ კატრიანში.
ძმრები არ გიგიშვებთ ჩვენდა თაში,
როცა თაში მიეთრევით,
ალარ მოგვიკითხავთ ბარში.
რაც კარაქი იქუჭკება
იმას სულ შესკდებით თაში.
თქვენზე ძალიან ჯინი გვჭირს,
თქვენნა დაგწვათ ამ სიცხეში.
მაგარი თოხი მუარჩიეთ,
ჩქარა ჩაბძანდით ყანაში.
მემთევრები ჩვენო ქმრებო, გენაცვალეთ,
ადრე წაგვიყვანე თაში.
დედა-მამას შემოგფიცავთ
კარაქს ალარ შევქამთ თაში,
ხაჭაპურებს გამოგიცხობთ,
ხშირათ მოგაწოდებთ ბარში.
ქმრები თაჲ-ბარი იბარგება,
მივა-მუა ჲაღი, ყველი.
მე რომ წასვლა მევწადინე
მასობაში მოვდა თველი...

9. ქართლის და „თათრის“ (აბარელ) ქალების გაბაასება

(საყოფიერი)

—ქართლის ქალებმა მოგწერე
თათრის ქალებს კურნებით:[1]
„თქვენც ქალები, ჩვენც ქალები,
მაგრამ არ გვგევხართ
სრულებით;
ღვთისა ნამზგავს სახეს
ფარავთ,
გაქვან ფარული ჩადრები
რაც კაცმა მაგი გასწავლა,
ნურაგზით ნუ ეთანხმები“.
—თათრის ქალებმა მოგწერე
ქართლის ქალებსა კალები:
ჩვენ ჩვენთვის თითო მალი[2]
გვაქვს
ქმარებისთვის უვარები,[3]
თქვენ თქვენ ქმარებს ვერ
ცნობილობთ,
ხშირად ფოთში ხარებით,
საცოდავსა თქვენ კაცებსა
რა ტყუილათ ემადლებით?
—ქართლის ქალებმა მოგწერე
თათრის ქალებსა ვარდები:
„ცხადათ კაც რო დაინახამ,
კარს უკან დაეფარები,
უჩუმრათა სხვაისა ხართ
ლამაზი თქვენა ფარვებით,
საცოდავსა თქვენს პატრონს კი
სამკვიდროთ ეპრიანებით“.
—თათრის ქალებმა მოგწერე:
„კი სჯობს თქვენი
ხაბარდები,
შარაში კაცს დაინახავთ,
მიხვალთ, ხელთ ჩაუვარდებით
გლეხი რავა გავამტყუნოთ,
შეარცხვინა თავადები,
ტანცობა დაგიწყიან,
ჯოჯოხეთში ჩავარდები.“
—ქართლის ქალებმა მოგწერე:
„ხოლოდ ლამაზი ბრძანდები,
პირადობას თქვენ გიქებენ.
როგორც ზეცაში მთვარები,
იგი ქვეყანა გაბრწყინდა,
სადაც თქვენ დაიარები,
ჩვენი კაცი ვერ მოსულან,
გადმოგიწყიან ხვანჯრები“.
—თათრის ქალებმა მოგწერე:
„თქვენ ღარღილს[4]
ვენაცვალები,
თავით ბოლომდინ შეჭკული
ალმასით თქვენი ტანები,
პატარაღა ხათრი გვრჩება,
რომ წაგვართვითა ქმარები,
იმისთვინ სომ არ მოს(გ)წონან,
მოპარსული აქვთ თავები?..[5]

---

[1] კურნებით—გულისტკივილით. განკურნებით და არა დაცინვით.
[2] მალი—სამალავი, სარცხვინებელი.
[3] უვარები — დაუშლელი, უარუთქმელი.
[4] ღარღილი — ლაპარაკი.
[5] იგულისხმება მონათლა, წინადაცვეთა.

სხვა და სხვა

ხუსეინ მჟავანაძე

ლექსი ოლქოგაზე

* * *

გოთაულები შეიყარა ქობულეთი და დაგვია,
ხუცუბნელი, ჭახათელი, რომ ვსთქვათ ერთი არ გვაკლია.
ჯორის კვალზე რომ გეეედით, ჩავდექით ყველამ გზაშია,
სავაციაზედ, გეეედით, წინა გავგზავნეთ ბარგია.
ბეგიებმა ის არჩია, გაღმა მოუხდეთ სახშია,
ბაირახტრებმა იწყინეს: სახლზე მისვლა არ გვარგია,
ჯობს, რომე დაბლა დაუჯდეთ, არ გამოუშვათ გზაშია...
წაეედით და ჩვენ დავჯედით, ნატანებისა თვალშია...
რომ გათენდა, დავინახეთ სამი ჩამოჯდა ნავშია;
სამმა ნავით გამოვიდა, ერთმა წელთამდი წყალშია:
გეეექანეთ და ვეტაკეთ, შეედეეით მაღალ ბარდშია.
გურიანთლებმა შეიტყო, შეყარა ჯარი ხალხშია,
როკნალზე წამოგვეწიენ, შეგვეექნა თოფის ტკაცია;
დაღალული ჩამოგვყარეს, იქ ოჩხამურის წყალშია.
ნაკაშიძემ დაგვიძახა: „რათ ამომაგდეთ სახლშია,"
„ნაკაშიძე და ართომლიძე ნაქებია სროლაშია;
„მაგრამ ჩემი დამსებისთვის სამსაც მოტეხეს ბაყვია!"
მექორწილემ მოგვეგება: ბიჭო, რა გჭირს, რა გაკლია?
თუ ძმობა გწამს, დაგვეთხოვე, სული ხორცთან არ აგდია,
გაეექანოთ და ვეტაკოთ, დავანახოთ ანაკლია...
დაჭრილებსა გვიშინჯიდნენ რა სჭირთ ნეტა, რა აკლიათ,
ზოგს აქვს მხარი მოტეხილი, ზოგსა მხარის ლავიწია,
მთხრობლათ გასვლა არ გეეგონა, ყეელამ ვლოცოთ დავითია.**

---

* გოთაულობა — ბავშვებით მოვაჭრეობას, ტყვეთა ყიდვას ერქვა.

** აღებულია წიგნიდან: ზ. ჭიჭინაძე, „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება". თბილისი, 1916 წელი, გვ. 21—22.

იხ. აგრეთვე: გაზ., „დროება", ქობულეთური ლექსები აპ. წულაძე, ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს, თბ. 1915 წ. გვ. 250, „ოლქობაზედ თქმული ჰუსეინ მჟავანაძისაგან".

მ ე ლ ა ვ!

ქათამი ვიყიდე, ვერ ვქენი ქარი.
მეგემ, ღია დამრჩა საქათმის კარი.
უსულოთ მიყურებს, მეგემ, იქ არი.
რაფერ ჯამბაზია ქათმების მელაი.

მუცელში ჩემეჭრა ქათამის დერდი,
პაწაი თეთრი ჰქონდა გული და ფერდი,
იმის მერაყისგან აგერ დავბერდი,
რატომ დამაბერე, მურტალო მელავ!

ძაღლის საყიდლათ საცხა ნდა გევქცე,
ძაღლი თუ მომწონდა, ბევრი ნდა მივცე,
უძაღლობისგან აღარ ნდა დევქცე,
რაფერ გომუზ მევყვან დეინახე, მელავ!

ბეღელში მქოდა მე თაფლის ტიკი,
რაფერ ეგემრიელა ჰრელ ქათმის ჭლიკი.
იოღუნი ყოფილა, ჭამაში ცქვიტი,
ეს აღარ შეგრჩება, მურტალო მელავ!

ჩეიყვანა ყანაში, დიდ ნაძვის ძირში,
მოწიკვა კაი ხორცი, ჩეიკეტა პირში,
ოზუნა შეჭამა მარტუაი ტყეში,
გამჩენმა გარწყოს სწორამდი, მელავ!

ლაზოღლი ყადირავ, მეხი დეგეცა,
ნე ოლურდი, პაწაი ყური მიგეცა,
დეინახა, შევდა შინ ფეხი მეიკეცა,
შენ იყბალზე ისიც დაყრუვდა, მელავ!

დილას გამევიარე, მუელ კალოზე,
მეგემ დააძინა ქათამი წყაროზე,
შეველ ვეძებე თოფი თაროზე,
შენ იყბალზე ისიც დაჯანგა, მელავ!

— ეგ თოფი გეიტანე, საბძელ მიჰკიდე,
რატომ შენოელობა ერთ ქათამს აჰკიდე,
ძალიან თუ გეწყინა, ჰა, ტყავი მიჰყიდე,
მეისვენე, გეიხარე შენ, ქიბარაღა

დანა მომილესე ხარტის სასერში,
მე თუ მელაი ვარ, ვიზამ კისერში,
მე მწადია შესლა ქათმების ესკერში,
ახლა რას ბრძანებ, შენ ქიბარაღა.

ყარა ბულავ!

ერთი ყური მომეც, შენი ლექსია,
კარქა დამიდინგე შენ, ყარა ბულავ!
მე შენ გამოგიტანე, გაგაგდე ჭალაში,
ახლა ნდა მოგიტანო, ნუ გაქ თალაში.
ღამეი ქარი გიქრის, დილას — კალაში.
მეტათ ბრალში დარჩი შენ, ყარა ბულავ!
ჰაიდე, დავაშენოთ ჩემ ნალის ძელი,
არ გამევტანდი, ჰამა არ მქონდა სელი.
ევკიდე ზრუგში, ამტკივდა წელი,
იმისთვინ გაგაგდე, შენ, ყარა ბულავ!
ჩევები ხორონში, ვისამე ბარი,
დილაზე გავხედე, მეიქროლა ქარი,
უკუღმა დაგამხე ეგ ფენცხი ძარი,
ხათრი ნუ დაგჩება შენ, ყარა ბულავ!
წეველი ჯამეში, ამოველ გვიან,
ტაიაჩემმა თქვა, რომ ხალხი ქცინიან,
მე ის აღარ მინდა მივაგდე შიან,
ახლა რა გიშველო, შენ, ყარა ბულავ!
შენით ვზიდე ქვა, რა ვქენი ეილუგი,
მიტომ გამოგალპა ხუნდის დელუგი,
სამი თვეა გახდი ძარის გოლუგი,

მაჩუქვე ეს სუჩი, შენ, ყარა ბუღავ!
ძარი დავაბერე, გახდა ბებერაი,
ქვეშედან მეიქცა ცალი გოგორაი,
ავარა გამოდგა ჩვენი ქიბარაი.
რომ არ იგიტანა შენ, ყარა ბუღავ!

სულიკო ჭყონია*

ლექსი სიმინდის ვაჭრებზე

ორმოცდაერთ წელს სიმინდი
წამლად არ იყო ქობლეთში.
ხალხმა ოჯახი გაყიდა,
თუ რამე ჰქონდათ სოფელში.

ქესკინ-აღამ[1] რომ გაიგო,
ულვაშებზე ისვა ხელი.
გაფიქრდა და მან წარმოსთქვა,
უნდა გავხდე ისევ ძველი.

ერთდროულად ხალხისაგან
ხელში იგდო დიდი თანხა.
ღვინის სმაში თუ ქეიფში
არ წასვლის საქმეც გაჩარხა.

ჯროზნოსაკენ მიდიოდა
ჩვენი ქესკინ-აღა ნელა,
ჯევდით-აღა შაქაროღლი[2],
შეეპარა, როგორც მელა.

შეუერთდა იგიც ამ წრეს,
ეხლა უკვე საქმე წყვება.
ფული მოდის ხალხისაგან.
ჯიბეები ქე სქელდება.

იმთავითვე მემედ-აღა[3]
ვაჭრობაში ოსტატია.
ვაჭრებს ისიც აედევნა,
სახლი-კარი მიატია.

ჰანკურიძემ[4] რომ გაიგო,
უცებ თავში ელდა ეცა.
დიდხანს სდია ქესკინ-აღას,
ბოლოს იმედი შეკვეცა.

მაგრამ ბედმა გაუღიმა,
დოუძახეს მათმა სახლში.
ჰანკურიძეს ჩუმათ უთხრა
შენც მოდიხარ ჩვენთან გზაში.

---

* ცნობილი ხახალხო მგოსნის, მემედ ჭყონიას შვილიშვილია დაიბადა 1923 წელს, გარდაიცვალა 1962 წელს. დაკრძალულია სოფელ ქობულეთში.

[1] ქესკინ-აღა ინაიშვილი.

[2] ჯევდით-აღა შაქარიშვილი.

[3] მემედ-აღა (მემედ-აღი) ინაიშვილი.

[4] ხულუმან ჰანკურიძე

არც სიმინდი, არც ვაგონი,
წამსვლელები ჩამოვიდა.
მარტო მამუდ გოგიტიძე,[5]
სირცხვილიდან გამოვიდა.

ზოგი წყევლის, ზოგი ჯავრობს,
მაგრამ რას იქ, საქმე წახდა.

უსუფიე ქაქაცოღლი[6]
უსიმინდოდ ძლიერ გახდა.

ჰანკურიძეს შავი ტრუბა
არ უნახავს თავის დღე'ში.
ქესკინაღა ვაგონს უცდის
ამ წუთშიაც სკურდაის ტყე'ში...

1941 წელი.

მეგრელიძის ცხენი

ზაფხული რომ მიიწურა.
შემოდგომის დადგა დღენი.
მოლა-მურად მეგრელიძემ
ჰაინათში გუშვა ცხენი.

რაღა ბევრი მოგიყოლო,
დარდს წაიღებ მეტად ტყუილა.
მოლა-მურადს ერ კვირაში
ჭი მოპარეს მისი ყულა.

ეს რომ პატრონმა შეიტყო,
ჯავრით გული მოიწყლულა.
აქეთ ეცა, იქით ეცა,
თვალზე ცრემლი მოირწყულა.

მერე მისდგა ჰაინათლებს,
აგინა და ბრეველიც კრულა.
ღამე ძილი დაეკარგა,
იკვნესა და იკუნკულა.

მოლა-მურადს ვინ არ იცნობს,
კაცი იყო დათვისგული.
ჯერ ნელ-ნელა ჰამას უკლო,
იმშილა და იმარხულა.

მერე სიცილი აკრძალა,
იჯავრა და იღურღულა.
ერ კვირაში ისე წახდა,
როგორც წაქცეული ხულა.

ბოლოს, როცა მოიგლოვა,
იჭაჭა და იფაფხურა.
მივიდა და ჰო, რას ხედავს.
ცხენი შინ არ ინახულა.

მაშინ მიხვდა მისახვედრელს,
იქ ოინი უყვეს რეთი.
ცხენი სახლში დაუმალეს,
ჭი დაასხეს თავზე რეტი.

რაკი ცხენი სახლში ნახა,
აღარ გუუშვია მეტი.
თქვა: ბაგაზე გამოკვეებავ,
ცხენო, მე და ჩემი ღმერთი.

თქვა ვინც მიქნა, ქე ვიპოვი,
არ დამირჩება ანცეთი.
საბალახოდ თვითონ დადის,
თან ჰიხვინებს, როგორც ცეტი.

1941 წელი.

[5] მამუდ გოგიტიძე
[6] უსუფ ქაქაციშვილი.

ზეპირსიტყვიერების ტრადიცია აჭარაში

[ორენოვანი (თურქულ-ქართული) ტექსტები] (1—5)*

1. ორენოვანი ლექსი

ქესუქ-ქესუქ ბულუთ გელურ,
იუქსექ დაღლარდან.
ბასმაჯიე ნამემ გელურ
ბენუმ იარუმდან.
ონი იაზან იაზამაშიშ
ყელემ უჯილენ,
გეთურუნდა ბენ იაზარუნ
დელიმ უჯილენ.

ნაჭარ-ნაჭარ ნისლი მოდის
მაღლა მთიდანა.
დაბეჭდილი წიგნი მუაქ
საყვარლიდანა.
მაგის დამწერს ვერ დუწერია
კალმის წვერითა.
მომიტანეთ მე დავწერავ
ენის წვერითა.

2. ორენოვანი შაირები

•

იეშილ ფისტან გეიარსუნ
იოსმა-იოსმა გეზარსუნ.
ბენი ჯოთურ სევდუგუმ
სენ ჯენნეთა ვედარსუნ.

•

ენდუმ დერე ირმაღა,
ზეჱთუნ დალი კირმაღა.
კირდუმ და კირამადუმ,
ბაშლადუმ აღლამაღა.

•

მწვანე კაბა გაცვია,
ქიბარ-ქიბარ იარები.
წამიყვანე, ღია დაგხდეს
შენ სამოთხის კარები.

•

ჩეველ ღელე-ღურდანში,
ზეჱთუნ ტოტი მინდოდა.
ვტეხე, ვტეხე ვერ მოვტეხე
ატირება მინდოდა.

---

* აღებულია ემენ დაეითაძის წიგნიდან აჭარული ფოლკლორი, თბ., 1978.

•

თუთ აღაჯი თუთვერურ,
დილი იეშილ ოთვერურ.
ჲანგილმაჲუმ უშაქლარ,
ჲაზილ კიზლარ ტადვერურ.

•

ჰა ბურადან აშაღა,
ჲოლ ენერ ფადიშაღა.
ფადიშა ყიზუნი ვერ,
ბენუმქიბი უშაღა.

•

გემი გელიურ გემი,
ბაჯასი ბენ ოლაიმ.
გუზელ გუზელ კიზლარუნ
კოჯასი ბენ ოლაიმ.

•

ხამსი კოჲდუმ თავაჲა,
ბაშლადუმ ოჲნამაღა.
აჩდუმ ბაქდუმ ხამსი ჲოქ
ბაშლადუმ აღლამაღა.

•

ოპალ ჲავრუმ ოპალა,
სენი ვერმემ თოფალა.
თოფალ სენი შაშურურ
დაღდან დაღა აშურურ.

•

ათმა თურქი ათარუმ,
ჲორელუნი ჲაქარუმ.
ესქი ჩარუქლერუნი
ბოღაზუნე თაქარუმ.

•

ყურშუმ ათდუმ დენიზე,
გითდი ვურდი რეიზე.

•

ჯოლის ხეი ჯოლს მეახხამს,
ძირი მწვანე ბალახსო
არ მოტყუვდეთ ბიქებო,
გოგეები გავს ფალაყსო.

•

ამ ადგილის ქვევითა,
გზა მიდის ხელმწიფისა.
ხელმწიფევ გოგო მომე
სარგო ჩემფერ ბიჭისა.

•

გემი მოდის გემია,
შოფერი მე ვიქნები.
ლამაზ-ლამაზ გოგეების
ნიშანლი მე ვიქნები.

•

ხამსჲაჲ დავდე ტაფაზე,
გავაჩაღე თამაში.
ავხსენ, ვნახე ხამსჲა ფაფუ,
ცრემლი ვღვარე ჭამაში.

•

ნანა შვილო, ნანინა,
შენ არ მიგცემ თოფალსა.
თოფალი შენ აგიბნევს
მთიდან-მთაზე გზა-კვალსა.

•

შაირს მეტყვი-მეც გეტყვი,
და თან გულსაც მოგიკლავ.
მაგ ძველ წინდა-ქალაბანს
კისერზე ჩამოგკიდავ.

•

ზღვაში ტყვია ვისროლე
იქ დაეცა ნავსა.

სელამ სოჺლე რეიზე
კიზინი ვერსინ ბიზე.

•

ყურშუმ ათთიმ ჰავაჺა,
დუშდი მაფუსხანჺაა.
მაფუსხანა ჺარიილდი.
კიზლერ ბანა სარიილდი.

•

ჺოლ უსთინდე ელერთი,
ჺოლლერი სერინეთდი.
ოჺ კიზ სენუნ ფისტანუნ,
ბენიდა დელი ეთტი.

•

ენდუმ დერედე დურდუმ
თურალი ფარა ბულდუმ.
ჺურუ სევდუგუმ ჺურუ,
სენდენ გუზელი ბულდუმ.

•

ქემენჩე ჩალა-ჩალა,
ჩიქთუმ ბირ ინჯე დალა.
ო, ინჯე დალ ჺარიილდი,
კიზლერ ბანა სარიილდი.

•

ჺოლ უსტინდე ფორთოქალ,
ფორთოქალა ქიმ ბაქარ.
გუზელ კიზლარ ვარისა
ტულყარიე ქიმ ბაქარ.

•

ჰაჺდე გიდელიმ დაღა,
ქესტანე თოფლამაღა.
ორდა გუზელ კიზლერ ვარ,
ოლარი გეთურმაღა.

ნეტაჺ მისი პატრონი
თუ მომათხოვს ქალსა.

•

ცაში ტყვია ვისროლე
ძირს დაეცა ციხესა.
ციხე მოკდა ნგრევითა,
გოგო ჩემზე ხვევნითა.

•

გზიკისერზე ეწერი,
გზები დაბნელებული.
გოგოვ შენი კაბითა
მეც ვარ გადელებული.

•

ჩაველ წყალში ჩავდექი,
თურალი ფარა ვნახე.
წადი ძვირფასო, წადი,
შენზე ლამაზი ვნახე.

•

ხეზე ეველ ქამანჩით,
ცეკვა-ცეკვით, თამაშით.
ხე წაიქცა წყეველითა,
გოგო ჩემზე ხვევნითა.

•

გზის ზეჺდან ფორთოხალი,
ფორთოხალს ვინ უყურებს.
ლამაზ გოგოს შემხედვარე
ქვრივებს ვინღა უყურებს.

•

ჰაჺდე წევდეთ თაშია,
წაბლი ვკრიფოთ გზაშია.
იქ ლამაზი გოგვებია
წამევყვანოთ სახლშია.

•

იზმირუნ კაბაქლარი
თოქულურ ბაფრაქლარი.
გორკუმ ბარი გიდერქენ,
კიზარმიშ ბანაქლარი.

•

კარშიდა ქურთ ეელერი,
დონანმიშ ფერდელერი.
იჩინდე ბირ გელინ ვარ,
თერლემიშ მემელერი.

•

ჩიქმა სევგულუმ ჩიქმა
ფორთოქალ ალაჯინა.
დუშუფდა ელეჯექსუნ,
დაბანამამ აჯინა.

•

ქემენჩემუნ თელლერი
ენინდენ დურ ენდენ.
სენ სარილ ბოღაზუმდა
ბენ სარალამ ბელდენ

•

კარაბემიშ დიბინე,
გელ სერინე, სერინე.
ინშალლა კოჯანელურ,
ბენ კალურუმ ბერინე.

•

გულლერ უსტი არი ვარ,
არილერუნ ბალი ვარ.
ალუბ კაჩარუმ სენი,
ბაბანა ზარალი ვარ.

•

ენდუმ დერე ირმაღა,
ზეითუნ დალი კირმაღა.
გელდუმ სენი ალმაღა,
ბაშლადუმ აღლამაღა.

•

იზმირისა ხაპები,
დამეღნარია ფოთლებითო.
დაგინახე, მოდიოდი
ყირმიზ-ყირმიზ ლოყებითო.

•

გაღმა ერთი ქურთის სახლია,
მოჭარგული ურბებითო.
შიგაც ერთი გელინია
ოფლიანი ძუძუებითო.

•

ნუ აყვები ჩემო კარგო
ფორთოხალის ხეებსაო.
თორემ ჩამუარდები და
გადავყვები დერდებსაო.

•

ქემენჩისა თელები
წუნწკულობენ შენზე.
მოდი, ყელზე მაკოცე,
მეც გაკოცებ წელზე.

•

მოდი, მოდი წყავის ძირში
ჩრდილია განიერი.
ღმერთით ქმარი მოგიკვდება
ვიქნები მაგიერი.

•

ყვავილებში სკა არი,
შიგაც თაფლის ზღვა არი.
მოგიტაცებ, რა მენაღლა
მამაშენის ზარალი.

•

ღელე-ღელე ჩავედი,
ზეითუნი მოვტეხე.
წაყვანა ხომ დაგიპირე
შენ ტირილი ატეხე.

•

ეზრუმუნდა იქი იოლდურ,
ბირი საღდა ბირი სოლდურ.
ჩივთ მემენუნ არასინდე
ჯენნეთა გიდანუნ ოლდურ.

•

ელინდე ვარ შემსიე,
სერინლუქდურ, ხერინლუქ.
უფაჯუქსუნ სევდიგიმ
იაფამასუნ გენილლუქ.

•

ისტამბოლუნ ევლერი,
ქირეჯილან ყაინამიშდურ.
აჩმა მემენუნ ბაშინი
იურეგუმი ყაინამიშდურ.

•

დურნა გიდარ დუზუნ-დუზუნ,
დურნა ბოი-ყანად უზუნ.
დურნამ სენუნ იქი გოზუნ
იარენუმა სოილა სოზუმ.

•

მართინა სურდუმ ფიშეკი
ყაბარდი, ოლდი შიშეკი.
ყიზუმ სანა ჰარამ ოლსუნ
ბენუმ იათტუღუმ დოშეკი.

•

ეზრუმუნ ოვალარი
ჲაილმიშ დეველერი.
ელლარი სალი, სალი,
თელლანმიშ მემელერი.

•

ჰაბურადან აშაღა,
ბენ უჩურდუმ ტავშანი.
ბენ კიზლერი სევერუმ
ჲარი ბელდენ აშაღი.

•

ეზრუმსა რომ ორი გზა აქ,
თითო მარცხნით და მარჯვნითა.
წყვილ ძუძუს შორის გაქ სრუტე
სამოთხეს წამსვლელის გზითა.

•

ხელში დევკავე შემსიე,
სიგრილეა გრილობასა.
პატარა ხარ საყვარელო,
ვერ იზამ გენილობასა.

•

სტამბოლისა სახლები
ქვითკირით შედუღებული.
ნუ გაიხსნი ძუძუს თავსა
გული მაქ გახურებული.

•

წერო მიფრინავს სწორ-სწორე,
წერო ტანათ და ფრთაგრძელი.
წეროვ გაფიცებ თვალებსა
მეგობარს უთხარ სათქმელი.

•

მართინში ვაზნა გავუშვი,
გასივებულა სასროლი.
გოგოვ, არამათ მოგექცეს
უჩემოთ შენი საწოლი.

•

ეზრუმისა მინდვრები
აქლემების უძვები.
ხელის სამა-სამაში
გიგიოფლა ძუძვები.

•

თავდალმართში მივდიოდი
გადმომიხტა კურდღელიო.
მე გოგვები უფრო მიყვარს
წელქვეით როდცხა ვუმზერიო.

*

ყარსიდა ყარს ყალესი
ტაშდურ იყილმაზ
ჲუქსექ ჰენჯერედან
ჲერა ბაყილმაზ.

*

დურნანუმ კანადლარი
ჲარანნაჰა ჲარათდი.
კიზლარა ოფა-ოფა,
ალთუნ დიშუმ ოჲნადი.

*

ალთუნდურ ალაჲდეგილ,
ალთუნდურ კალაჲდეგილ.
ყონამაჲუმ ყომშილერ
სევდელუქ კოლაჲდეგილ.

*

ჲაზი ჲაზარუმ ჲაზი,
ოხურსუნ ოხიანლარ.
ჯენნეთ ჲუზი გორმასუნ
ჩემბერი თოხიანლარ.

*

ყარსის გალმა ყალეა
ქვა არის არ დეინგრევა.
სიმაღლით იმხელაა
ძირს არ გადმეიხედება.

*

წეროს ფრთები გრძელია,
გამჩენისგან გაჩინდა.
გოგვებზე კოცნა-კოცნით
ოქროს კბილი გამცვინდა.

*

ალთუნი წითელია.
განა კალას ფერია.
ვერ გავბედე, მეზობლებო,
სიყვარული ძნელია.

*

წერილს დავწერ, წერილსა,
წაიკითხოს მკითხველმა.
სამოთხე თვალით ვერ ნახოს
შავი ჩადრის მჩხიბველმა.

8. ორენოვანი გაშაირება

გოგო

ჰემ აშიღსუნ, ჰემ ნაჩარსუნ,
დილინდან ჯევჰერ საჩარსუნ.
დუნია დენიზ ალანდა
სენ ნე თერეფა საჩარსუნ?

მელექსეც ხარ, არც ვარგიხარ,
ენით მშვენებას არჩევხარ.
ქვეყანა რომ ზღვამ აიღოს
შენ საითკენ გამქცევი ხარ?

ბიჭი

ჰემ აშიღიმ, ჰემ ნაჩარიმ,
დილიმდან ჯევჰიკრ საჩარიმ.
დუნია დენიზ ალანდა
ბენ ალემილან გეჩარამ.

მელექსეც ვარ, უვარგიც ვარ,
ენით მშვენებას გავარჩევ.
ქვეყანა რომ ზღვამ აიღოს
ხალხის ერთად გაცვლას ვარჩევ.

4. ორენოვანი გაშაირება

ბიჭი

ენდუმ დერელერუნე,
ბილმემ ნერელერუნე.
კაჲთან ბუჲუქლარუმი,
სარსამ მემელერუნე.

ღელე-ღელე ჩევიარე,
ღელე იყო დუბეზეო.
ყაჲთანივით ბუჲღები
შამოგახვაჲე ძუძვებზეო.

გოგო

ბახჩამუზდენ აშარი,
ბენ ოთარუნუმ ათი.
ნე ფის ბუჲუქლერუნ ვარ,
სანქის გემი ხალათი.

ბახჩიბოლოს გედევხედე,
ცხენი ძოვდა აშარიო.
ულვაშები ბინძური გაქ
როგორც გემის ბაწარიო.

ბიჭი

ასკერ ეთდილერ ბენი,
კურან ედუთდი ჲემინე.
ილან ოლსამ სარილსაჲდუმ,
გუზელ სინელერუნე.

ესკერში რომ გამიწვიეს
დამაფიცეს ყურანზეო.
თუნდა ჭრელი გველი ვიყო
მაჲც გაკოცებ გულბანდზეო.

გოგო

ევუმუზუნ ოღინე,
ვარდურ ჲაბანი დუთი.
სარილაჯაქ ილანოი
ვერულუმ სიჩან ოთი.

ჩემ სახლზეჲდან ბახჩაში
ჟოლი ხაროზს ჲაბანჩიო.
მახჩობელა გველი იყავ.
ცოცხალი ვერ გადარჩიო.

ბიჭი

ოჲნაქ ოჲნარუმ ოჲნაქ,
გეჯე რუჲალარუმე.
კურბან ოლასუნ ეჲ გუზელ,
სირმა ბუჲუქლერუმე.

ვიცეკვოთ და ვიცეკვოთ
გამჩენელის ნებითა.
ლამაზო შენ გეყურბანე
ამ ჩემ ულვაშებითა.

5. ორენოვანი ანდაზები

ადამუნ ეი ულდუღინი,
ჲუზუნდან ბელლი ოლურ.

კარგ კაცსა მისი კაცობა
სახეზე შეეტყობაო.

ნა იდუხ, ნა ოლდუხ, ნა ოლაჯაღურ

რა ვიყავი, რა ვარ, რა უნდა გავხდე...

დოხსან დოხუზ ყიხილბაშა
ნეჲაფარმუზ ალიფაშა.

აქილ ჲაშდადე ილდურ,
ბაშდურ!
სოხმა ახილ ახილმაზ!

ანგთანა სიფრი სინელსაზდურ,
ანგლამჲანა დავლი-ზურნა
აზდურ.

ოთხმოცდაცხრამეტ ყიზილბაშთან
რას გახდება ალიფაშა.

ჭკუა წლოვანებაში კი არ არი,
თავშია!
ძალით ჩატენილი ჭკუა ჭკუა არ
არი!

ჭკვიანისთვის ბუზის ხმაც კი
საზია,
უჭკუოსთვის დავლი-ზურნაც
ბრაზია.

მ თ ქ მ ე ლ ე ბ ი: **მუხამედ სალაძე**, 35 წლის, დაბა ხელვაჩაური. ჩაწერილია 1975 წელს.

სერგო კარანაძე, სოფელი თხილნარი (ხელვაჩაურის რაიონი), 39 წლის, ჩაწერილია 1975 წელს.

თემური აჩუგბა, 28 წლის, სოფელი ფერია (ხელვაჩაურის რაიონი), ჩაწერილია 1975 წელს.

თურქული ტექსტების დიდი ნაწილი მოგვაწოდა მთქმელმა მემედ ალისძე ბერიძემ, რომელიც არის 73 წლის და ცხოვრობს სოფელ ჟანიურში (შუახევის რაიონი). ჩავიწერეთ გომის მთაზე. მისი გადმოცემით ჟანიურში ცხოვრობდა აშუღი სახელათ ყეჭრამანი. იგი მასთან მდგმურად ყოფილა. „ერთხელ თვარიან ღამეში ჩალას ვკონაჲდით და მაშინ „გამიდგა" შაირებში"-ო. იგონებს მთქმელი. „თურქული შაირები მეც მეხერხებოდა და არც მე დამიკლია"-ო-შენიშნავს. „გადგომა" სცოდნიათ აგრეთვე ჭალის ცელვის, ყანის აღების, ჭირწილის დროს. ხოლო ქალებს პურის ჭრაში, მატყლის სართავში, ჩეჩვაში და სხვა. თურქული ტექსტები იმპროვიზაციულად გადმოაქართულა იქვე მყოფმა ცნობილმა ავტორ-მთქმელმა მემედ აქიფისძე ქათამაძემ. ზეპირმთარგმნელობითი იმპროვიზაციის ამ პროცესს ესწრებოდა ფილ. მეცნ. კანდ. ვ. მაცაბერიძე.

აჭარის სახალხო მელექსეობის სია*

(შედგენილია 1993 წლის ჩვენი მონაცემების მიხედვით)

აჭარის პოეტური ფოლკლორის მესიტყვენი, რა თქმა უნდა, ანთოლოგიაში მოცემული მელექსეებით არ ამოიწურებიან. ჟამთა მსვლელობამ დაგვიკარგა ზოგის პოეტური ნაღვაწი, სამაგიეროდ, ხალხის მადლიანმა მახსოვრობამ და ხალხური საუნჯის მზრუნველთა გარჯამ დაკარგვასა და დავიწყებას გადაარჩინა მათი სახელები.

გთავაზობთ იმ პირთა სიას, რომელთაც ხალხური გადმოცემები სახალხო მელექსეებად მიიჩნევენ და რომელთა მასალებიც ამ წიგნში სრულად ვერ შევიდა:

მამაკაცი მელექსენი

ხულოს რაიონიდან:

1 გელაძე სელიმ[1]
2 ირემაძე ჩასან[2]
3 მჟავანაძე ჰაჯია[3]
4 პაქსაძე ეუბ[4]
5 ცეცხლაძე დედე-აღა[5]
6 ჯაიანი[6]
7 ხალვაში ასლან[7]

---

* წინამდებარე სია კრებულის ავტორთა ხელთ არსებულ მასალებს ემყარება და სისრულის პრეტენზია არ გააჩნია.

1. ა. მსხალაძე, ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 44; ე. ზოიძე, აჭარული საკრფიალო ლირიკა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, I, თბ., 1974, გვ. 39.

2 მაკარ ხუბუა, ზემოაჭარის ენობრივი მომოხატლეა, ბათუმი, 1932, გვ. 40, ა. მსხალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

3 იქვე.

4 მაკარ ხუბუა, დასახ., ნაშრომში.

5 აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 64.

6 ე. დავითაძე, აჭარული ფოლკლორი, თბ., 1978, გვ. 140.

7 ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩახაწერები, I, გვ. 199—200, ბათ., 1971.

შუახევის რაიონიდან:

1 ბოლქვაძე ახმედ[8]
2 დუმბაძე ისკენდერ[9]
3 ტარიელაძე ჯეფერ[10]
4 ფუტკარაძე იუსუფ[11]
5 ქარცივაძე ახმედ[12]
6 ქარცივაძე მეჯიდ[13]
7 მაკარაძე ემინ-უსტა[14]
8 ტაკიძე დურსუნ[15]

ქედის რაიონიდან:

1 მამუჭაძე დურსუნ[16]

ხელვაჩაურის რაიონიდან:

1 კანდალი[17]
2 კახიძე ქიბარ[18]
3 ქადაგიძე აბდულრეზაყ[19]
4 ცეცხლაძე სულიკო[20]

ქობულეთის რაიონიდან:

1 ასლანიძე რიზალ[21]
2 ბაჯელიძე მეიდან[22]
3 ბეჟანიძე ხუსეინ[23]
4 ზოიძე სეფი[24]
5 მესხიძე ასლან[25]
6 მჟავანაძე ხუსეინ[26]
7 თავდგირიძე ხასან-ბეგ[27]

---

8. ბსკი, ფ. 1, ს. 185, გვ. 100, 1973 წელი, ე. დავითაძის ჩანაწერი.
9 იქვე, გვ. 51.
10 იქვე, გვ. 50.
11. ბსკი, ფ. 1, ს. 180, გვ. 87, 1973 წელი, ე. დავითაძის ჩანაწერი.
12 ბსკი. ფ. 1, ს. 185, გვ. 4, 1973 წელი, ე. დავითაძის ჩანაწერი.
13 იქვე.
14 იქვე.
15 იქვე.
16 ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, გვ. 199—200. ბათ., 1971.
17 ბსკი, ფ. 1, ს. 180, გვ. 87, 1973 წელი, ე. დავითაძის ჩანაწერი.
18 ა. მსხალაძე, აჭარის საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზია, ბათუმი, 1969, გვ. 67.
19 იქვე.
20 ე. დავითაძე, „აჭარული ფოლკლორი", თბ., 1978, გვ. 52.
21. ე. დავითაძე, „აჭარული ფოლკლორი", თბ., 1978, გვ. 116.
22 ბსკი, ფ. 1, ს. 180, გვ. 118, 1973 წელი, ე. დავითაძის ჩანაწერი.
23 ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი, 1970, გვ. 38.
24 ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, ტფ., 1916, გვ. 78.
25 იქვე, გვ. 23.
26 იქვე, გვ. 21.
27 იქვე, გვ. 22.

ქალი მელექსენი

შუახევის რაიონიდან:

1 ტარიელაძე სირმა[28]
2 ტარიელაძე სირმა-ყიზ[29]
3 ფორდოკიანი[30]
4 ქათამაძე ფადი[31]

ქობულეთის რაიონიდან:

5 ზოიძის ქალი[32]

---

28 ბსკი, ფ. 1, ს. 185, გვ. 56, 1973 წელი, ე. დავითაძის ჩანაწერი.
29 იქვე, გვ. 55.
30. იქვე, გვ. 46.
31 იქვე, გვ. 45.
32 ზ. პიპინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, თბ., 1916, გვ. 21.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი*

ბუჯანა შავიშვილი. 1. სოლაღას ლექსი — ჩაწ. პ. უმიკაშვილის მიერ 1859 წ., სოფ. მერისის (ქედის რ.) მცხოვრებ თავდგირიძისაგან. წყარო: პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1, თბ., 1964, გვ. 307—308. შეკერებულია ზ. ჭიჭინაძისეულ ვარიანტთან (იხ. ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, გვ. 171 და შევსებულია. ადრე გამოქვეყნებული იყო „ივერიაში“, იხ. 1877 წ., № 8, 1, სოლაღას ლექსი. ლექსი ვერ აკმაყოფილებს ვარიანტისადმი წაყენებულ ყველა პირობას, მაგრამ ხალხური საისტორიო სიტყვიერებისათვის ამ ლექსის გამორჩეული მნიშვნელობის გამო მაინც მოვიტანეთ აქ. 2. ზამთარი. 3. ბათუმის ლექსი, 4. ჩიჩხინაკი (ჩიტი), 5. უწინ დროში ბრძანებული — ჩაწ. პ. უმიკაშვილის მიერ 1879 წ., წყარო: ზ. ჭიჭინაძე, „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“, თბ., 1916, გვ. 19. ლექსი „უწინ დროში ბრძანებული“ ერთის შეხედვით თითქოს მორწმუნეობითია. ღრმად თუ ჩაეუკვირდებით მასში პირიქით, მორწმუნეობაა გაქილიკებული. ეს განსაკუთრებით იგრძნობა სტრიქონში: „სამი დღისა გულისათვის არ გვაპამა ერთი თვეა...“, რაც მარხვაზე ცნობილ გადმოცემას გულისხმობს. ღმერთმა თავდაპირველად სამი დღე დააწესა მარხვად, მაგრამ მოციქულს აერია რომელი სამი დღე იყო, თვის დასაწყისის, თვის შუა თუ თვის ბოლო, ამიტომ მორწმუნეებს სამარხვოდ მთელი თვე დაუწესებიათ... 6. ჩახალოღლის ლექსი — ჩაწ. პ. უმიკაშვილის მიერ. 1859 წ., ვინმე აჰარელისგან, სოფ. მერისის (ქედის რ.) მცხოვრებისაგან ქ. თბილისში. წყარო: პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება 1, თბ., 1937, გვ. 133. იხ. აგრეთვე შენიშვნა იქვე, გვ. 569. ლექსის პირველმთქმელი რომ ბუჯანა შავიშვილია, ამის დასტურს სხვა წყაროებთან ერთად ზ. ჭიჭინაძეც იძლევა: „...აქ ცხოვრობდა ყაჩაღი ჩახალ-ოღლი ზეარელი. ეს ყაჩაღი სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის დროს ცხოვრობდა. ამ გამოჩენილმა ყაჩაღმა კინაღამ სელიმ-ფაშას უფლება წაართვა ხელიდგანა და თვითონ დაიპირა. ამ ყაჩაღის შესახებ მაშინ აქ ლექსებიც გამოთქვა ქართველ მაჰმადიან სახალხო მელექსე შავიშვილმა“. იხ. ზ. ჭიჭინაძის წერილი, „ივერია“, 1985, № 88.

ხუსეინ ხაბაზი (ქამჯარაძე). 1. ჩიფთი ყარდაში გახლავარ — ჩაწ. ზ. თანდილავას მიერ 1961 წ., სოფ. ხალაში (ქობულეთის რ.), ახმედ ემინის ძე იმნაძისაგან. წყარო:

---

* შენიშვნებში განმეორებათა თავიდან აცილებისა და ტექსტის ეკონომიის მიზნით, იქ სადაც ერთი და იმავე პირის მიერ ამა თუ იმ მთქმელის რამდენიმე ლექსია მოპოვებული, ჯერ რიგზე ჩამოვთვლით ყველა ამ ლექსს და ბოლოს ეურთავთ მომპოვებლის (ჩამწერის) ვინაობას. ეს ნიშნავს, რომ წინ ჩამოთვლილი ყველა ლექსია ამ შემკრების მიერ მოპოვებული და არა ის ერთადერთი, ტირის შემდეგ უშუალოდ მის წინ რომ დგას, ხოლო იქ, სადაც ჩამწერი ცნობილი არაა პირდაპირ ვასახელებთ წყაროს. საიდანაც არის მოტანილი მასალა.
შემდგომში შემოკლებით ბსკი...

„აჭარის ხალხური პოეზია“, 1, თბ., 1969, გვ. 97; 2. ფირალობაში დავბერდი — ჩაწ. ჯ. ნოღაიდელის მიერ 1960 წ., სოფ. აკუვისთავში (ქობულეთის რ.), რევაზ ახმედის ძე ზოიძისაგან, წყარო: „აჭარის ხალხური პოეზია“, 1, თბ., 1969, გვ. 97; 3. ლექსი სიბერეზე. წყარო: „ფუხარას სიტყვა“, ბათუმი, 1928; 4. დათვის ლექსი — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1977 წ., სოფ. აკუვისთავში (ქობულეთის რ.), სულეიმან ქაიხელის ძე ჯინჯარაძისაგან; 5. დაკარგული ცხენი (ბაჩა), 6. მე სიმღერას დავეთხოვე, 7. დიარბექირის გიჟელი, 8. სკვინჩა (ჩიტი), 9. სიზმარი — ჩაწ. ზ. ჭიპინაძის მიერ სოფ. აკუვისთავში ხუსეინ ხაბაზისაგან, წყარო: „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“, თბ., 1916; 10. ლექსი თათრობაზე, წყარო, იქვე.

ხუსეინ ბეფანიძე. 1. თამარ დედოფლის ლექსი, წყარო: ზ. ჭიპინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, ტფ., 1916, გვ. 15; 2. თ. სახოკიას ჩანაწერი. ჩაწერილია ქობულეთელი აზნაურის ყურშემ-აღა ჯყონიასაგან. წყარო თ. სასოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 225; აჭარულ გამოთქმას „ათასი კაბა“ თ. სახოკია მისეულ ჩანაწერში განმარტავს, როგორც რაოდენობის ერთეულს. 1. კაბა — უდრის 1000-ს.

მემედ ჯყონია. 1. საქართველოზე, 2 სამშობლოს სიყვარული, 3. ეროვნება და რწმენება, 4 .ზოგი კაცი, 5. მე ერთი ბერიკაცი ვარ, 6. წრეცვანდელმა წელიწადმა, 7. ხელეს-აღა, ჩემო ბრძენო, 8. ხუსეინ-აღა მეგრელიძეზე. 9. დაგვლახდი, დაეჩაჩანაკდი, 10. მეჯიდ გუნთაიშვილის და ხასან ცეცხლაძის ლექსი. 11. ლექსი ჩონთო ურუშაძეზე, 12. ხასან-აღას არიფ-აღა, 13. იცის, ღმერთმა საზოგადოთ, 14. ხასან-აღა ცხოვრებაში, 15. მე ასე ვარ ნათესავო, 16. ჩემს სიყმაწვილე-ყრმობაში. 17. ეს სოფელი — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1977 წ., ქ. ბათუმში მცხოვრებ ჯემალ ყედიის ძე ჯყონიასაგან; 18 ლექსი სედაი მილეთის ხელმძღვანელობაზე — ჩაწ. ალ. ქათამაძის მიერ 1936 წ., ქ ქობულეთში, მემედ ჯყონიასგან და ინახება აჭარის ასსრ სახ. მუზეუმში (ასმ), ფ. 26, წყარო: „აჭარის ხალხური პოეზია“, 1, თბ., 1969, გვ. 75; 19. დაბერდი და დაეუძლერდი, 20. მემედ ჯყონიასა და ხასან კომახიძის გაშაირება — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1974 წ., ქ. ქობულეთში ოსმან სკენდერის ძე ჯყონიასაგან. წყარო: ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, ფ. 1, ს. 189, გვ. 76. 21. მამულო, 22. როს ახალგაზრდა ვიყავი — ჩაწ. ვ. დავითაძის მიერ 1984 წ., ქ. ბათუმში, მისი შვილისშვილის ჯემალ ყედიის ძე ჯყონიასაგან. იგივე ლექსი ადრე მცირე ცვლილებით ჩაუწერია ჯ. ნოღაიდელს და შეტანილია კიდეც თავის წიგნში სათაურით „როდესაც ვიყავ ვაშკაცი“. იხ. ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები III, ბათ., 1977, გვ. 107, თუმცა, რატომღაც მითითებულ არ არის. 23. კაცი ხარ, ადამიანი..., 24. ლექსი ილიას მეგრელიძეს — ჩაწ. ვ. დავითაძის მიერ 1984 წ., ქ. ბათუმში ჯემალ ყედიის ძე ჯყონიასაგან. წყარო ე. დავითაძის პირადი არქივი; 25. ანდერძი. 26. შვილიშვილების გაშაირება (ეს გაშაირება შექმნილია მ. ჯყონიას მიერ, შვილიშვილების პირით. გადმოცემით თურმე მემედი 7—8 წლის შვილიშვილებს გვერდით მოისვამდა და ერთმანეთს აშაირებდა მისივე შეთხზული ლექსებით). 27. ექსპრომტი შვილიშვილს, ჯემალს. 28. ექსპრომტი შვილიშვილს, სულიკოს, 29. ლექსი ძმას, სკენდერ ჯყონიას, 30. წელთ სიმრავლე მოწმე არის 31. არვის ახსოვს — ჩაწ. ვ. დავითაძის მიერ, 1985 წ., ქ. ბათუმში, ჯემალ ყედიის ძე ჯყონიასაგან, წყარო: ე. დავითაძის პირადი არქივი. 32. მემედ ჯყონიას და ხასან კომახიძის გაშაირება, ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1985 წ., ქ. ბათუმში, მემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან. ეს გაშაირება (ნაწყვეტი) ჩაუწერია მუსა მსახურაძისაგან ცნობილ სახალხო მელექსეს მემედ ქათამაძეს და შემო-

ხახვის მიზნით შეუტანია თავის ხელნაწერ რეპერტუარში (იხ. მისი რეპერტუარი № 7, გვ. 39). იქვე ურთავს მისეულ შენიშვნასაც, რომელიც აქ მოგვაქვს სრულად: „წიგნში „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო"-ში, გვ. 30 (იგულისხმება ჩვენს მიერ 1979 წელს გამოცემული ე. დ. წიგნი), სადაც გალექსებულია გაშაირება მემედ ჭყონიასა და ხასან კოჭახიძეს შორის, ყველაფერი დაზუსტებით არ არის, ცხადია, ძველის მახსოვრობაში ზოგი გაეიწყებულობა და ან რაიმე მეტ-ნაკლებობა გამოერევა. ასეც, ჩვენებულ გაშაირებაში აკლია ის ნაწილი, რომელიც პირადათ მუსა მსახურაძის მახსოვრობაში შემორჩენილია..."

გაშაირების ამ უცნობი ტექსტის ხსენებულ ტექსტთან შედარებამ (იხ. „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო", გვ. 39) და უფრო ცნობილ „ხასან კოჭახიძის და მემედ ჭყონიას გაბაასების" ტექსტთან (იხ. „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო", გვ. 96—100) შედარებამ დაგვიჭერა მემედ ქათამაძის ამ ვარაუდში, რადგან, ჯერ ერთი: პირველი მოკლე ექსპრომტული კამათია, რომელიც როგორც ერთხელ მივუთითებდით (იხ. ე. დაითაძე, „აჭარული ფოლკლორი". თბ., 1978, გვ. 98—99). სახალხო მთქმელებმა შემდეგ გაბაასებაში გამოიყენეს და ახლადმიგნებული ტექსტი მას არ ესადაგება არც შინაარსიო და არც რითმულ-რიტმული კონსტრუქციის თუ სიტყვა-ფრაზეოლოგიური შედარების მხრივ. ხოლო საზოგადოებისათვის ფართოდ ცნობილ გაბაასებაში კი ვერ მოინახა ადგილი, რომელსაც ლოგიკურად მიუდგებოდა და მიესადაგებოდა უცნობი ტექსტი. მეორეც, ახალი ტექსტი საგრძნობლად ვულგარული და უწმაწურიაა, ცნობილ გაბაასებას კი თაობიდან-ბოლომდე მობაასეთა ურთიერთმოკრძალება, დისტანციოსობა და ზომიერება გასდევს.

სავარაუდოა ორი რამ: ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული უცნობი ტექსტი შეიძლება მართლაც წარმოადგენდა ცნობილი გაბაასების შემადგენელ ნაწილს და პირველგამომქვეყნებლებმა საპიროდ ჩათვალეს მისი ჩამოცილება ვულგარულობის გამო, ანდა შეიძლება იგი ისევე დამოუკიდებელი პოეტური კამათია, როგორც ჩაწერილი იქნა პირველად ჩვენს მიერ 1974 წელს ქობულეთში და შეტანილი იქნა კიდეც ჩვენს წიგნებში (იხ. ე. დაითაძე, აჭარული ფოლკლორი", თბ., 1978 გვ. 98 და კრებული „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო", ბათუმი, 1979. გვ. 39. იხ. აგრეთვე იქვე, შენიშვნები, გვ. 172).

პირადად მე ეს უკანასკნელი ვარაუდი მიმაჩნია უფრო დასაშვებად, და ვთელი, რომ უცნობი ტექსტი თუმცა არასრული, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი გაშაირების ნაწილია.

ზუსუნი ბაჯელიძე. 1. მზე მესტუმრა, 2. საოქტომბრო, 3. საბჭოეთის გავხდი წევრი — ჩაწ. ქ. როინიძის მიერ 1939-1940 წ. წ. სოფ. ხუცუბანში (ქობულეთის რ.), წყარო: „აჭარის ზეპირსიტყვიერება", (შემდგენელი ნ. ნოღაიდელი), ბათუმი, 1959, გვ. 42; 4. ლობიოს ლექსი, წყარო: „ფუხარას სიტყვა", ბათუმი, 1928, გვ. 49. მეტ-ნაკლები ცვლილებებით ეს ლექსი დაბეჭდილია წიგნში „აჭარის ხალხური პოეზია", 1, თბ., 1969, გვ. 103. (ჩაწ. ქ. როინიძე-წერეთლის მიერ ახმედ ბაჯელიძისაგან, წყარო: აჭარის სახ. მუზეუმის ფ. № 152).

რეჯებ მჟავანაძე. 1. ფურტიოელი ილიასას ლექსი, 2. ყირიმლიოღლის ლექსი — ჩაწ. ალ. ქათამაძის მიერ, 1940 წ., ს. ხინოში (ქობულეთის რ.), ხასან რეზვანის ძე ქათამაძისაგან, ჩანაწერი ინახება აჭარის ასსრ სახ. მუზეუმის ფ. № 375, გვ. 69, ფ. 26, წყარო: „აჭარის ხალხური პოეზია", 1, თბ., 1969, გვ. 72; 3. დაწყეველილი ჩემი

ბედი — ჩაწ. ჯ. ხოლაიდელის მიერ 1938 წ. რეჯებ მჟავანაძისაგან სოფ. ჰვანაში (შუახევის რ.), წყარო: „აჭარის ზეპირსიტყვიერება“, ბათუმი, 1959, გვ. 99; 4. გამოსათხოვარი, 5. ბედ-იყბალი — ჩაწ. ზ. თანდილავას მიერ 1973 წ., წყარო: ბსკი, ფ. 1, ს. 182, გვ. 41; 6. მემთევრებისა და ქმრების გაბაასება — ბსკი, ფ. 1, ს. 146, გვ., 101-104, წყარო: ე. დავითაძე აჭარული ფოლკლორი, თბ., 1978, გვ. 119, 7. ალიაღა სამბაშოღლი ლექსი ჩაწ. ჯ. ხოლაიდელის მიერ. წყარო: ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“, თბ., 1916, გვ. 45. აგრეთვე ჯ. ხოლაიდელი ნარკვევები და ჩანაწერები, III, ბათ., 1977; ჩემს წიგნში შეტანილი ლექსი შევაჯერე, შევავსე და აღვადგინე ამ ორი ვარიანტიდან. ეს ლექსი რომ უთუოდ რეჯებ მჟავანაძისა უნდა იყოს, ამის ფქმის უფლებას გვაძლევს პოეტური სტილის თვალსაზრისით მისი შედარება რეჯებ მჟავანაძის სხვა ლექსებთან. ეს განსაკუთრებით იგრძნობა „ყირიმლიოღლის ლექსთან“ ამ უკანასკნელის შედარებისას: ორივე ლექსში თემა მსგავსია, მსგავსია მათი გადაწყვეტაც. ჩვენი მტკიცების სასარგებლოდ მეტყველებს ლექსის თვით მეტრულ-რიტმკული და ფრაზეოლოგიურ-სიტყვობრივი პარალელური ანალიზიც. ასე მაგალითად, ორივე ლექსის სათაურად გმირის გვარ-ვინაობაა გამოცხადებული: ყირიმლიოღლში 11 ალიაღა სამბაშოღლი: შიგა ტექსტში კი გვხვდება პოეტურად მსგავსი ფრაზები. ყირიმლიოღლის ლექსში: ყირიმლიოღლი ასტე ჩიეა||ოქროკაი ასტე ჩიეა. სამბაშოღლის ლექსში: შერიფ-ბეგმა შეუთვალა||ალი-აღამ შეუთვალა; ყირიმლიოღლის ლექსში: ღმერთით ტყვიასაც ჩაგიგდებ||მაგ შენ გაუეყილ მუცელში. სამბაშოღლის ლექსში: შენისთანა გაუეყილი||ბევრიც ეთრევა ქალაქში და ა. შ.

ბალხური ლექსის პირველმთქმელის დადგენაში უთუოდ ანგარიში ეწევა ლექსის სტრუქტურას, შინაგან არსს და გარეგან კონსტრუქციას. ლექსში აღწერილი მოვლენისა და მასში ხსენებული გმირების ცხოვრების დროსა და თარიღს. სიტყვათა ეტიმოლოგიას, ფრაზათწყობას და სხვა. ყოველივე ეს კი სწორედ რეჯებ მჟავანაძის დანარჩენი ლექსების მსგავსია.

სახალხო მელექსეებს ერთი საშური ჩვევა აქვთ: ლექსის დასასრულს თავის სახელს დააყოლებენ-ხოლმე. ასეა ყირიმლიოღლის ლექსშიც: „მჟავანაძე გეახლები||ამა ლექსის გამომთქმელი...“ „ავტორი ამასაც არ სჯერდება და სულიერ-ფსიქოლოგიურ თუ გარეგან-ფიზიკურ თვითდახასიათებასაც გვაწვდის: „უველა საქმეს რომ ვმერაყოფ||იმიტომ ვარ ტანზე ხმელი...“

ვფიქრობ ამგვარი „პირადი დამღა“ სამბაშოღლის ლექსსაც ეკნებოდა. ამის შეგრძნებას ბადებს ამ ლექსის ერთგვარი მოუსრულებელი სახე. ლექსი ისე წყდება, რომ თითქოს იგი არ არის დასრულებული. ამდენად, საკელევი ლექსის პირველმთქმელად რეჯებ მჟავანაძე უნდა მივიჩნიოთ. ზ. საათის ლექსი, ჩაწ. რამაზ დურსუნის ძე სურმანიძის მიერ 1988 წელს აჭარის მაღალმთიან ქედის რაიონის სოფელ დანდალოში, 1894 წელს დაბადებულ ფადიშე ალის ასულ ივალიანისაგან. რ. სურმანიძის პირად არქივში ინახება ამ სახალხო მთქმელის ხელით ნაწერი ლექსების მომცრო რვეული. ლექსები ნაწერია არაბული შრიფტით და ქართული შინაარსით. ეს ლექსებია: „შეყვარებული გოგოს სიმღერა“, „შეყვარებული ვაჟის ლექსი, ნათქვამია სატუსაღოში“, „ციხის დესტანები“ და სხვა, სულ 6 ლექსი. ეს რვეული ერთ-ერთი იმ „კრებულთაგანია“, რომელსაც უცხოობაში გადახვეწილი სახალხო მგოსანი გზავნიდა სამშობლოში. თუმცა შემეძლო, თავი შევიკავე მათი თარგმნისაგან, რადგან ისინი ნაკლებად მოგვცემდა დედნის სრულყოფილი და სრულფასოვანი სახის გარანტიას. დაე ეს საჩოთირო საქმე

მომავალმა გამომცემელმა და მკვლევარმა ითავოს; 9. თის ლექსი, წყარო: ე. დავითაძე, „სოფლის აღმაშენებელი“, თბ., 1985, გვ. 150—151; 10. ქალ-ვაჟი, წყარო: ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული ფონდი; 11. ყიამეთის დესტანი (ლექსი). წყარო: ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფონდი I, საქმე № 14, მთქმელი სულთან აბუსელიძე, 72 წლის, სოფელი ხარაულა, ჩაწერილია 1970 წელს, თ. აბულაძის მიერ. მთქმელს ლექსი უსწავლია ქალიშვილობისას. იგი სოფელში მის გარდა სცოდნია კიდევ რამდენიმეს. უმეტესად სწავლობდნენ ქალები და ატყობდნენ რელიგიური დღესასწაულებისა თუ რიტუალების დროს. „...როიცხა მეელედი გვჭონდა ან მეზობელს ჭონდა, იქ თუ ვიყავ, დამაყდომლებდნენ და მეველდას დამთავრების მემრე მათქმევიებდნენ, მადლიაო. ხანდახან ნადშიც ვიცოდით თქმა, სიმინდის სარჩეველში, ყანი ფხეკისას და რა ვიცი. ზამთარში ქალები მაგისთვინ შეიყრებოდნენ ჩვენთან და ხანდახან ორჯერ მათქმევიებდნენ...“

„...ოი ყიამეთი“ იმისთვინ არი, რომე გეიგონო შენი ყურით, თუ გონჯი იქნები, რა მოგელის. ის გვასწავლის ერთმანობაში კაი ვიყოთ, გონჯი სიტყვა არ ვთქვათ. ის ჰკვის მასწავლებელია...“

კითხვაზე: თუ საიდან იცოდა დედამისმა „ოი ყიამეთი“, მან ვერაფერი თქვა, „ჯამეში უნდა იყოს, მედრესეში პაწა ხან ნამყოფი, მარა ამბობდა იქ არაყის უსწავლებია, სხვა არ ვიცი მეო“—თქვა მან.

აქიფ ქათამაძე. 1. ლექსი ჭვანის აჯანყებაზე, 2. ლექსი ტუსაღ აქიფ ქათამაძეზე (ეს ლექსი 1987 წელს შემთხვევით იქნა მიგნებული ჭვანის ხეობის სოფელ ბარათაულში ჯაუელის ოჯახში. მომაწოდა იგი აქიფის შვილმა, თვითონაც ცნობილმა მელექსემ მემედ აქიფის ძე ქათამაძემ, 1988 წელს); 3. სალამი თახსინ-ეფენდი, ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1987 წელს, ქალაქ ბათუმში, მემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან. თვითონ მისთვის კი უთქვამს იგი ისმაილ ტაქიძეს. 4. აქიფისა და ჩონგურის გაშაირება, 5. აქიფ ქათამაძისა და გურული ქალის გაშაირება—ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1973 წ., სოფ. ჭვანაში (შუახევის რ.,) მემედ აქიფის ძე ქათამაძის, დემურალი მიირალის ძე ქათამაძისა და ავთანდილ ხასანისძე ქათამაძისაგან; 6. დურსუნ-ბეგის ცხენის ლექსი—ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1984 წ., სოფ. დაგვაში (ქობულეთის რ.), ავტორის შვილის, მემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან. წყარო: ე. დავითაძის პირადი არქივი. მ. ქათამაძის განმარტებით ამბავი გარდახდენია აქიფ ქათამაძის თანამედროვეს დურსუნ სურ. . . . ძეს. რაზედაც იგი აქიფს გაულექსებია. 7. სოფელ ჭვანის ძველი ცხოვრებიდან, ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1982 წელს სოფელ ჭვანაში (შუახევის რ.) 87 წლის მუსა ინჯისძე მსახურაძისაგან (ლექსში მოხსენიებულია რეშიდაღა: იგულისხმება გლეხური წრიდან გამოსული, მთელს აჭარაში ჰკუა-გონებით გამორჩეული, ვინმე რეშიდი—მთქმელის შენიშვნაა).

ედემ სურმანიძე (ქოჩახელა). 1. საქორწილო სახუმარო, 2. სიძე-სიდედრი,—ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1977 წ., ქ. ბათუმში, თოფუზ როსტომის ძე გაბაიძისაგან. 3. ერთი ლექსი მოგახსენო, — წყარო: ა. მსხალაძე, ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, თბ., 1963 წ. გვ. 41.

შირინ შარაშიძე (ვოდელოღლი) — 1. ვოდელოღლის ლექსი — ჩაწ. ა. მაკარაძის მიერ 1959 წ., ს. მერისში (ქედის რ.), ახმედ შერიფის ძე დოლიძისაგან. წყარო: აჭარის ხალხური პოეზია, 1, თბ., 1969, გვ. 66; 2. აჭარული დესტანი (ვარიანტი) — ჩაწ. მ. ხუბუას მიერ 1926 წ. სოფ. ქიზინიძეები (შუახევის რ.), ხულეს გოგიტიძისაგან, წყარო:

მ. ხუბუა ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა, ბათუმი 1932, გვ. 44. 3. დამწვარი გული, 4. ვერკი, ვერკი, ვერკის ფერი, 5. აკოშკაზე მომდგარიყავ, 6. სატრფოსთან (ცოლთან) განშორების ლექსი—წყარო; ე. ა. დავითაძის პირადი არქივი.

ყემბერ ხაბაზი. 1. არტელი ჩამოყალიბდა (იხ. ვარიანტი „აჭარის ხალხური პოეზია". I, თბ., 1969, გვ. 126), 2. სიბერის ლექსი, 3. სიკვდილის ლექსი, 4. ლექსი ხუსეინ სახუტაშვილს (იხ. ვარიანტი „აჭარის ხალხური პოეზია, I, თბ., 1969, გვ. 125), 5. ლექსი მამად შავიშვილს — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1977 წ., სოფ. აჭყვისთავში (ქობულეთის რ.), დავით ყემბერის ძე ხაბაზისაგან. 6. ლექსი ყემბერი ხაბაზის ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1978 წ., სოფ. აჭყვისთავში (ქობულეთის რ.), დავით ყემბერის ძე ხაბაზისაგან. წყარო: ე. დავითაძის პირადი არქივი.

ქამილ ჭინჭარაძე. 1. გაბაასება — ჩაწ. ჯ. ნოღაიდელის მიერ 1960 წ., სოფ. აჭყვისთავში ქობულეთის რ.), სულეიმან ქამილის ძე ჯინჭარაძისაგან, წყარო: „აჭარის ხალხური პოეზია", I, თბ., 1969, გვ. 98.

ხასან კომახიძე. 1. ოსმანის სიტყვა, 2. ბეგების სიმღერა, 3. გლეხის სიმღერა, 4. მოწაფის სიმღერა, 5. საბჭოთა ხელისუფლება აჭარისტანში — წყარო: „ფუხარას სიტყვა", ბათუმი, 1928, გვ. 36, 47, 38, 38, 34, 6. ხასან კომახიძის და მემედ ჭყონიას გაბაასება — ჩაწ. ო. ხალვაშის მიერ 1940 წ., სოფ. ხუცუბანში. (ქობულეთის რ.), ხუსეინ ბაჯელიძისაგან, წყარო: „აჭარის ხალხური პოეზია", I, თბ., 1969, გვ. 99.

ვლადიმერ სოლოშვილი. 1. რძალ-დედამთილის გაბაასება. — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1973 წ., სოფ. ვანში (შუახევის რაიონი). ტექსტი გავრცელებულია ვარიანტებად. ერთერთი ვარიანტი ჩაწერილია 1967 წელს სოფელ ღორჯომში (ხულოს რ.) იხ. ბსკე, ფ. I, ს. 114, გვ. 24, ს. 116, გვ. 5 და ა. შ. 2. ხერტლის ნადური, — წყარო: ე. დავითაძე, ზარული ფოლკლორი, თბ., 1978. გვ. 96; 3. სატრფიალო შაირები.—ჩაწ. ე. ზოიძის მიერ 1969 წელს სოფელ დიაკონიძეებში (ხულოს რ.), წყარო: ე. ზოიძე, აჭარული სატრფიალო ლირიკა, კრებული: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება", თბ., 1974, გვ. 38-39.

ხასან ხაბაზი (ხაბაძე). 1. ლენინის ხსოვნას, 2. კომპარტიის ძლიერებით, 3. შენმა სპარძნემ მეც მასწავლა, 4. სიკვდილი ჯალათებს — ჩაწ. ნ. ნოღაიდელის მიერ ხასან ხაბაზისაგან 1950-1951 წ. წ., სოფ. აჭყვისთავში (ქობულეთის რ.), წყარო: „აჭარის ზეპირსიტყვიერება" ბათუმი, 1959, გვ. 25, 32, 35, 100; 5. ოსმან ბიძიამ მიამბო, (ამ ლექსის ვარიანტი იხ. „აჭარის ხალხური პოეზია", I, თბ., 1969, გვ. 127.) — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1977 წ., სოფ. აჭყვისთავში (ქობულეთის რ.), დავით ყემბერის ძე ხაბაზისაგან; 6. ხუსია ბაჯელიძის ლექსი — ჩაწ. ნ. ცქიტიშვილის მიერ ხასან რეჯების ძე ანანიძისაგან, წყარო: ბსკე, ფ. 1, ს. 40, გვ. 60, შეჯერებულია ჯ. ნოღაიდელის მიერ ჩაწერილ ვარიანტთან. იხ. ჯ. ნოღაიდელი, „ნარკვევები და ჩანაწერები" III, ბათ., 1977; გვ. 111; 7. საშგლოვიარო ლექსი ცოლის გარდაცვალებაზე. ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1978 წ., სოფ. აჭყვისთავში (ქობულეთის რ.,) დავით ყემბერის ძე ხაბაზისაგან. წყარო ე. დავითაძის პირადი არქივი.

ხასან თხილაიშვილი. 1. მესხეთს, 2. მესხებს, 3. ისტორიულად აჭარლებს, 4. ხალხს, შიშმილით წყდებოდა, 5. ტურფას, 6. ლექსი ხუსეინ ბაჯელიძეზე, — ჩაწ. ალ. ქათამაძის მიერ 1969 წ., წყარო: აჭარის სახ. მუზეუმის, ფ. № 472; 7. ჩოლოქი, 8. ოსმალთა შემოსევა, ჩაწ. ე. დაკითაძის მიერ, 1984 წ., ქ. ქობულეთში ხასან თხილაიშვი-

ლის სახლში. წყარო: ხ. თხილაიშვილის ცხოვრების ამსახველი ალბომი, ე. წ. „დიდი ალბომი“, რომელიც ინახება სახალხო მელექსის შვილთან.

შაქირ ზოსიძე (უაჭო). 1. შაირები — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1973 წ., სოფ. გოგაძეებში (შუახევის რ.), სულთან რიზმანის ასულ დავითაძის, ავთანდილ ემინის ძე დავითაძისა და ფატი ხასანის ასულ დავითაძისაგან.

მემედ ქათამაძე. 1. ანდერძი შვილს, 2. სოფელი — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1974 წ., სოფ. დაგვაში (ქობულეთის რ.), მემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან; 3. ძმის გახსენება ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1973 წ., სოფ. „ჭვანაში (შუახევის რ.), ნური აქიფის ძე ქათამაძისაგან; 4. ცრუპატრიოტი, 5. კეთილშობილება, 6. ზნე და ჩვეულება, 7. ექსპრომტი მამია ვარშანიძეს, 8. ცბიერი ქალი, 9. ჩვენ მშვიდობა, 10. გამბედავი ტერა, 11. ერთგულების სიბრძნე, — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ სოფ. დაგვაში (ქობულეთის რ.), 1977 წ., მემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან, 12. საანდერძო, — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1979 წ., ქ. ბათუმში, ძეძედ აქიფის ძე ქათამაძისაგან. 13. შეგონება. 14. ქართველია სიმღერა, 15. კანონმდებელს არ წაბაძო, 16. მამათა მკვლელობა, 17. ასე ერჩიოს მშრომელსა, 18. ჩემო მეზობელო, 19. ზოგიერთი გულკეთილობის ბედი, 20. უსამართლო მუქარის ბედი, 21. ვემდურები ბედისწერას, 22. გაზაფხული—ჩაწ. ე. დავითაძის მიერ სოფელ დაგვაში (ქობულეთის რ.), მემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან; 23. გვიან მოვედი ჯონსაო, 24. ხადეგრძელო ხათხოვარი, 25. ქვეყნის წინაშე სათხოვარი მაქვს, 26. მკაცრი სანანებელი, 27. რჩევა-გონიერება, 28. ვტოვებ, მივდივარ... 29. წარსული ბედი, 30. ლამაზი, 31. ენა, სიტყვა, ხმა, 32. ნუ ხარ ამაყი, 33. ჩემო ქართულო ენაო, 34. ქება ქართველის მანდილოსანს, 35. გუგული, 36. მზიური აჭარა, 37. მოხუცებულს მაგონდება, 38. ბრძენის ჩანაფიქრი, 39. ახალგაზრდებს, 40. ჩემი განსაცდელი, 41. კაცი თვალთმაქცი, 42. ნაირსახეობის მტერი, 43. ბევრ სხვასაც უყვარს..., 44. ჰეი, ახალგაზრდავ..., 45. ლამაზის ცდუნება, 46. ჩემო სამშობლოვ, საქართველოვ, 47. ვილაპარაკოთ მართალი, 48. წარმავალია ყოველი, ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1986 წელს ქ. ბათუმში; 49. გვიან სინანული, 50. შენ ჩემო ციცაქალაო, ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1987 წელს თვითონ მგოსან მ. ქათამაძისაგან ქ. ბათუმში; 51. მემედის მინაწერი მამის, აქიფისადმი (სახალხო მთქმელის აქიფ ქათამაძისადმი), 52. კაცის და ბედის გაბაასება, 53. პირველი გაბაასება სახალხო მთქმელ მეზედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძისა, 54. მეორე გაბაასება სახალხო მთქმელ ზემედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძისა, 55. მესამე გაბაასება სახალხო მთქმელ მემედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძისა, 56. მეოთხე გაბაასება სახალხო მთქმელ მემედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძის, ჩაწ. ე. დავითაძის მიერ, 1986 წ. ქ. ბათუმში; 57. „მცირე მოგონება“, — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1984 წ., ქ. ბათუმში, ძემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან. გაბაასებისა და „მცირე მოგონების“ მ. ქათამაძისეული ხელნაწერის დედანი ინახება ე. დავითაძის პირად ფოლკლორულ არქივში; 58. კინტრიში, 59. ჩემო ვარსკვლავო, ჩაწ. ე. დავითაძის მიერ, 1988 წ., ქ. ბათუმში, ჰემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან.

თოფია ქათამაძე. 1. ლექსი ლენინზე — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1978 წ., სოფ. დაგვაში მემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან; 2. ბელადის ხსოვნას, 3. პარტიას, 4. სიმღერა საბჭოთა საქართველოზე, 5. თბილისის 1500 წლისთავისადმი, — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1974 წ., ქ. ბათუმში, მამია ემინახმედის ძე შარაშიძისაგან; 6. პირველი მაისი, 7. საკოლმეურნეო სიმღერა — წყარო: „აჭარის ხალხური მოქალეები“, ბათუმი, 1956 წ., გვ. 8, 9; 8. სიმღერა აჭარაზე (ამ ლექსის ერთი ვარიანტი 1959 წ. ჩაუწერია ჯ. ნოღაი-

ღელს. იხ. კრებულში „აჭარის ხალხური პოეზია“, I. თბ., 1969, გვ. 150); 9. სიმღერა ჭვანაზე — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1973 წ., სოფ. ჭვანაში, ნური აქიფის ძე ქათამაძისა და ვანო შახბენდერის ძე ქათამაძისაგან; 10. კოსმოსის გმირებს. — წყარო: აჭარის რადიოკომიტეტის მუსიკალური ფონდი; 11. დაფასდა შრომის ნაყოფი; 12. თავი ბულბული მგონია, — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1978 წ., ქ. ბათუმში, მემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან; 13. სატრფიალო, 14. ნეტავი გოგოვ მე და შენ — წყარო: აჭარის რადიოკომიტეტის მუსიკალური ფონდი; 15. მზესავით რომ სჩივს აელვებ. — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1974 წ., სოფ. ჭვანაში (შუახევის რ.), ნური აქიფის ძე ქათამაძისაგან (იგივე ლექსი 1959 წ. ჩაუწერია ნ. ცქიტიშვილს თოფია ქათამაძისაგან და შეტანილია კრებულში „აჭარის ხალხური პოეზია“, I, თბ., 1969, გვ. 130); 16. ქვეყნად ვეძებდი საყვარელს, 17. ამბავი დაჭორწინებული ვაჟისა — წყარო: „აჭარის ხალხური მთქმელები“ ბათუმი, 1956, გვ. 10. 11; 18. ედემის ბაღის ყვავილო, 19. სატრფიალო გაშაირება — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1977 წ., დაგვაში (ქობულეთის რ.), მემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან; 20. ქალ-ვაჟის გაბაასება — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1963 წ., სოფ. გოგაძეებში (შუახევის რ.), ამირან ხასანის ძე დავითაძისა და ზეკიე აბდულის ასულ დავითაძისაგან; 21. ყაიაბერის ვირი. — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1973 წ., სოფ. ჭვანაში (შუახევის რ.), ნური აქიფის ძე ქათამაძისაგან; შემდეგ შევსებული 1989 წლის 11 იანვარს ქ. ბათუმში მწერალ რამაზ დურსუნის ძე სურმანიძისაგან. 22. ლენინის უკვდავება, 23. გამარჯვების ლექსი, 24. სიმღერა ისრაფილ ჯინჭარაძეზე, 25. ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში, 26. სადღეგრძელო, 27. ჩვენი დიადი სამშობლო, 28. საბჭოთა რაკეტა მთვარეზე, 29. გურულისა და თოფიას გაშაირება, 30. თოფიას მინაწერი ძმის, — მემედისადმი. 31. მემედის პასუხი — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1984 წ., ქ. ბათუმში, თოფიას უფროსი ძმის, მემედ აქიფის ძე ქათამაძისაგან.

ასიე ხაბაზი. 1. აუყვისთავი, 2. ლექსი ჯარისკაცის ქვრივს, 3. ის წარსული ძველი ცროი. 4. გაზაფხულმა უთხრა ზაფხულს, 5. ავსა კაცსა, 6. დათვის საჩივარი. 7. ლექსი ვახუშტი კოტეტიშვილს, 8. ლექსი ხალხურ მთქმელს, ნათელა ხაბაზს, 9. ლექსი გაგზავნილი საფლავში ნათელა ხაბაზთან, გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ. 10. ნათელას პასუხი. 11. ეს ლექსი მივიღე ლიანა რომანაძისაგან, 12. მივსწერე პასუხი ლიანას. 13. სოსო კომახიძის ლექსი ასიეს, 14. ასიეს პასუხი, 15. ლექსი მამედ ჯაფარიძეს, 16. ლექსი ზაფით ხაბუტაიშვილს და მის ცოლს, ფატის, 17. ლექსის ცისინო ხაბაზ-ჯინჭარაძეს, 18. ლექსი შოთა რომანაძეს, 19. ლექსი ხუსიკა შავიშვილს, 20. რძალ-დედამთილის ლექსი — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ, 1985 წლის ნოემბერში, სოფ. აუყვისთავში (ქობულეთის რ.), ასიე ყემბერის ასულ ხაბაზისაგან; 21. ასიე ხაბაზისა და ილია კომახიძის გაბაასება (მიწერ-მოწერა) — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ, 1992 წელს, სოფ. აუყვისთავში და ქ. ბათუმში ილია ხასანის ძე კომახიძისა და დავით ხასანის ძე კომახიძისაგან.

ბინალი ფუტკარაძე. 1. მარად უკვდავი გენია, 2. ბედნიერი მომავლისათვის, 3. კოსმოსის პირველი სტუმარი, წყარო; აჭარის რადიოკომიტეტის მუსიკალური ფონდი; 4. ლექსი აჭარაზე, 5. ასეთებსაც წავაწყდებით — წყარო: ჟურნ. „ჭოროხი“, ბათუმი, 1977, № 5; 6. სოფელში გზა შემოვიდა — ჩაწ. ზ. თანდილავას მიერ 1959 წ., სოფ. ღარჩიძეებში (შუახევის რ.), ბინალი ახმედის ძე ფუტკარაძისაგან — წყარო: „აჭარის ხალხური პოეზია“, I, თბ., 1969, გვ. 128; 7. მამულის სიყვარულით, 8. შრომის სიმღერა, — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1978 წ.. სოფ. შუბანში (შუახევის რ.), 1978 წ. ბინა-

ლი ახმედის ძე ფუტკარაძისაგან; 9. არ დავივიწყებთ ლენინს, 10. თავისუფალო მხარეე, 11. ნიკოლოზ ბარათაშვილის, 12. სიმღერა გერმანე ტიტოვზე, 13. მშვიდობის მზე აჭარაში, 14. კომუნიზმისკენ მიედიეართ, 155 ქალ-ვაჟის გაშაირება — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1984 წ., სოფელ გოგაძეებში (შუახევის რ.), ავთანდილ ემინის ძე დავითაძისაგან და ფატი ხასანის ასულ დაითაძისაგან.

ოთარ ჭყონია. 1. შეგონება — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ., 1980 წ. სოფ. ჩაისუბანში, ოთარ დაითის ძე ჭყონიასაგან; 2. აჭარა, 3. თქვენი ჭირიმე პაპანო, 4. ხარობს მესხეთი, აჭარა, 5. ნეტავი ისე ვიცოცხლო, 6. ირწმუნე შრომა, 7. ჩვენი სიცოცხლის წყაროა, ხ. მოკედები, შენზედ ასე თქვან, 9. ბრძენს უთქვამს, 10. რჩევა, 11. მინდვრად გახვლე, 12. ქეეყნად ის თქმულა ღვთის შვილად, 13. თვალით მენახა, ვნატრობდი, 14. აჭარა ჩემი სულია, 15. ცუდი გვაქვს წესი, 16. ადამიანი, 17. მე ვიცი, ჩაწ. ე. დავითაძის მიერ ქ. ბათუმში ოთარ დაითის ძე ჭყონიასაგან

ზეირალ ბახუნტარაძე. 1. კაეო, შენი დრო წავიდა, 2. განახლებული ღორჯომი, ჩაწ. ნ. ნოღაიდელის მიერ 1953-1958 წ.წ., სოფ. ღორჯომში (ხულოს რ.), წყარო: „აჭარის ზეპირსიტყვიერება", ბათუმი, 1959, გვ. 31, 46, 48, 81, 86, 90; 3. დედა-შვილის გაბაასება, — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1984 წ., სოფელ ხულოში, ზეირალ დემურალის ძე ბახუნტარაძისაგან.

ნათელა ხაბაზი. 1. აჭარელი ქალი, 2. მეჩაიე, ქალები, 3. დედამთილის გულისტკივილი, 4. ავი რძალი, 5. ავი დედამთილი, 6. ლექსი ნათელა ხაბაზს ასიე ხაბაზისაგან (გაშაირება), 7. ლექსი ნათელა ხაბაზს ასიე ხაბაზისაგან (მეორე გაშაირება), 8. კეეერა ფხალი ჩიეოდა. 9. ვახუშტი კოტეტიშვილს — ჩაწ. ე. დავითაძის მიერ 1985 წ., 18 ნოემბერს სოფელ აჭყვისთავში (ქობულეთის რ.), ნათელა ხაბაზის ქმრის, — შუქრი კომახიძისაგან და სახალხო მელექსის, თვითონ ნათელას მამადის, ასიე უემბერის ასულ ხაბაზისაგან.

სახელთა საძიებლები

1. მთქმელთა საძიებელი*

ა

აბუსელიძე სულთან. რეჯებ მეავანაძის მასალებში 10.
ანანიძე ხ. რ. ხასან ხაბაზის (ხაბაძე) მასალებში: 6.
აჯალიანი ფ. ა. რეჯებ მეავანაძის მასალებში: 8.

ბ

ბაჯელიძე ხ. ხ. ხუსეინ ბაჯელიძის მასალებში: 6.
ბაჯელიძე ა. (?) ხუსეინ ბაჯელიძის მასალებში: 4.
ბახუნტარაძე ზ. დ. ზეირალ ბახუნტარაძის მასალებში: 1, 2, 3.

გ

1. გაბაიძე თ. რ. ედემ სურმანიძის მასალებში: 1, 2.
2. გოგიტიძე ხ. შირინ შარაშიძის მასალებში: 2.

დ

1. დავითაძე ს. რ. შაქირ ზოსიძის მასალებში: 1.
2. დავითაძე ა. ე. შაქირ ზოსიძის მასალებში: 1. ბინალი ფუტკარაძის მასალებში: 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
3. დავითაძე ფ. ნ. შაქირ ზოსიძის მასალებში. 1. ბინალი ფუტკარაძის მასალებში: 9, 10, 11, 12, 13, 14, 15,
4. დავითაძე ა. ხ. თოფია ქათამაძის მასალებში: 20.
5. დავითაძე ზ. ა. თოფია ქათამაძის მასალებში: 20.
6. დოლიძე ფ. შ. შირინ შირაშიძის მასალებში: 1.

ზ

1. ზოსიძე რ. ა. ხუსეინ ხაბაზის მასალებში: 2.

---

* მთქმელთა საძიებელში მელექსეთა მასალების მიხედვით ჩამოთვლილი ციფრები აღნიშნავს იმ ლექსების ნომრებს, რომელიც თვით ამ მთქმელისგანაა მოსმენილი და ფიქსირებული.

თ

1. თაყდგირიძე (?). ბუჰანი შაიშვილის მასალებში: 1.

ი

1. იმნაძე ა. ე. ხუსეინ ხაბაზის მასალებში: 1.

მ

2. მჟავანაძე რ. რეჯებ მჟავაწაძის მასალებში: 3.

ჯ

1. ჯომახიძე შ. ა. ნათელა ხაბაზის მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 (მოგვითხრო ა. ყ. ხაბაზთან ერთად, იხ. ქვემოთ.).

ს

1. სოლომონიძე ე. ა. ელვანა სოლომონიძის მასალებში: 3.
2. ხურშანიძე რ. დ. თოფია ქათამაძის მასალებში: 21.

ფ

1. ფუტკარაძე ბ. ა. ბინალი ფუტკარაძის მასალებში: 6, 7, 8.

ქ

1. ქათამაძე ხ. რ. რეჯებ მჟავანაძის მასალებში: 1, 2.
2. ქათამაძე მ. ა. აქიფ ქათამაძის მასალებში:* 1, 2, 3, 4, 5; მემედ ქათამაძის მასალებში: 1, 2, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17. 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52. 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, თოფია ქათამაძის მასალებში: 1, 11, 12, 18, 19, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31; მემედ ჭყონიას მასალებში: 32;

---

* სახალხო მთქმელი მემედ ქათამაძე თავის ლექსებს დიდი და უაღრესი პასუხის-მგებლობით ეპყრობა. მან იცის მისი ფასიც. ლექსები თავისივე ხელით გადაქვს კარგად შეკრულ რვეულებში, რომლებიც „ტომეულებად“ აქვს დანომრილი, სარჩევით და სხვა გაფორმებით შემკული. თუმცა თვალი აღარ უჭრის, ეს ჩვევა ისევ არ მოუშლია. დრო და დრო თვითონვე ჩამოაქვს რვეულის ახალი „ტომი“ ჩემთან და მიტოვებს, მთგან საუკეთესო ლექსების ამოსარჩევად, ამიტომ მისი ლექსების მომწოდებლადაც მასვე ვთვლი. [ე. ა. დავითაძე].

8. ქათამაძე ნ. ა. მემედ ქათამაძის მასალებში: 3; თოფია ქათამაძის მასალებში: 9, 15, 21.
4. ქათამაძე დ. მ. აქიფ ქათამაძის მასალებში: 2.
5. ქათამაძე ვ. შ. თოფია ქათამაძის მასალებში: 9.
6. ქათამაძე ა. ხ. აქიფ ქათამაძის მასალებში: 3.

შ

1. შარაშიძე მ. ე. თოფია ქათამაძის მასალებში: 2, 3, 4, 5.
2. შავიშვილი ბ. (?) ბუჰანა შავიშვილის მასალებში: 2, 3, 4.

ჰ

1. ჰუონია ჯ. უ. მემედ ჰუონიას მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31.
3. ჰუონია მ. უ. მემედ ჰუონიას მასალებში: 18.
4. ჰუონია უ. (?). ხუსეინ ბეჟანიძის მასალებში: 1.
5. ჰუონია ო. დ. ოთარ ჰუონიას მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27.

ხ

1. ხაბაზი ა. უ. ნათელა ხაბაზის მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 (მოგვითხრო შ. კომახიძესთან ერთად, იხ. ზემოთ). ასიე ხაბაზის მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20.
2. ხაბაზი დ. უ. ყემბერ ხაბაზის მასალებში: 5, 6; ხასან ხაბაზის (ხაბაძე) მასალებში: 5, 7.
3. ხაბაზი ხ. ხუსეინ ხაბაზის მასალებში: 5, 6, 7, 8, 9; ხასან ხაბაზის (ხაბაძე) მასალებში: 1, 2, 3, 4.

ჯ

1. ჯინჭარაძე ს. ჭ. ხუსეინ ბაჯელიძის მასალებში: 4; ქამილ ჯინჭარაძის მასალებში: 1.

ჲ. შემკრებთა საძიებელი*

ა

აბულაძე თ. რეჯებ მჟავანაძის მასალებში: 10.

დ

დავითაძე ე. ა. ხუსეინ ხაბაზის მასალებში: 4; მემედ ჰყონიას მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32; რეჯებ მჟავანაძის მასალებში: 6, 9; აქიფ ქათამაძის მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7; ედემ სურმანიძის მასალებში: 1, 2; ყემბერ ხაბაზის მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6; ელვანა სოლომონიძის მასალებში: 1, 2; ხასან ხაბაზის მასალებში: 5, 7; ხასან თხილაიშვილის მასალებში: 7, 8; შაქირ ზოსიძის მასალებში: 1; მემედ ქათამაძის მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27; 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63; 64, 65, 66; თოფია ქათამაძის მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 9, 10, 11, 12, 15, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31. ასიე ხაბაზის მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19; 20, 21; ბინალი ფუტკარაძის მასალებში: 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, ზეირალ ბახუნტარაძის მასალებში: 3. ოთარ ჰყონიას მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17; ნათელა ხაბაზის მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10.

ზ

ზოიძე ე. მ. ელვანა სოლომონიძის მასალებში: 3.

თ

თანდილავა ზ. ო. ხუსეინ ხაბაზის მასალებში: 1; რეჯებ მჟავანაძის მასალებში: 4, 5; ბინალი ფუტკარაძის მასალებში: 6.

მ

მსხალაძე ა. უ. ედემ სურმანიძის მასალებში: 3.
მაკარაძე ა. (?). შირინ შარაშიძის მასალებში: 1.

---

* შემკრებთა ხაძიებელში მელექსეთა მასალების მიხედვით ჩამოთვლილი ციფრები აღნიშნავს იმ ლექსების ნომრებს, რომელიც თვით ამ შემკრების მიერ ყველე მუშაობითაა მოპოვებული და ჩაწერილი.

ნ

ნოღაიდელი ჯ. ი. ხუსეინ ხაბაზის მასალებში: 2; რეჯებ მჟავანაძის მასალებში: 3, 7; ჭამილ ჯინჭარაძის მასალებში: 1.

ნოღაიდელი ნ. ჯ. ხასან ხაბაზის მასალებში: 1, 2, 3, 4; ზეირალ ბახუნტარაძის მასალებში: 2, 3, 4, 5, 6.

რ

რჩეონიძე-წერეთელი ჭ. (?). ხუსეინ ბაჯელიძის მასალებში: 1, 2, 3, 4.

ს

სახოკია თ. ხუსეინ ბეჟანიძის მასალებში: 2.

ხურშანიძე რ. დ. რეჯებ მჟავანაძის მასალებში: 8.

უ

უშიკაშვილი პ. ბუჰანა შავიშვილის მასალებში: 1, 2, 3, 4.

ქ

ქათამაძე ალ. მ. მემედ ჭყონიას მასალებში: 18; რეჯებ მჟავანაძის მასალებში: 1, 2; ხასან თხილაიშვილის მასალებში: 1, 2, 3, 4, 5, 6.

ც

ცქიტიშვილი ნ. მ. ხასან ხაბაზის მასალებში: 6.

ძ

ძიძინაძე ზ. ხუსეინ ხაბაზის მასალებში: 5, 6, 7, 8, 9; ხუსეინ ბეჟანიძის მასალებში: 1.

ხ

ხალვაში ო. (?). ხასან კომახიძის მასალებში: 6.

ხუბუა მ. შირინ შარაშიძის მასალებში: 2.

ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ*

ა

აბდესი — ლოცვისწინა განწმენდა, განბანვა
აირანი — დო
ალიბანდური — აბდაუბდა
ალთუნი — ოქრო
ალყი — სიმი
ამოსტი — შაშხი (ქათმის ხორცისგან დამზადებული)
არზიხალი — განცხადება, შეტყობინება, ცნობა
არსატაში — ამხანაგი
ახლანი — ლომი
აფხანაკი — ამხანაგი
აჯიღა — ჯავრი
აჰი — ჯინი
აბუდლებული — გაბრიყვებული, გასულელებული, მოტყუებული
აჯაფ-ნეტა
ავროფა — ევროპა
ახრინება — ახერინება, ახრიალება
ალიზა — აქა ხრიოკი, მწირი
ახირეთი — აქ: ის ქვეყანა
აჰი — სურვილი, ნდომა

ბ

ბარუთი — თოფისწამალი
ბასხუნი — თავდასხმა
ბელა — შარი, ხათაბალა
ბელქი — ეგებ
ბეჰთი — ბედი
ბეჩი — სულელი, გიჟი
ბეხტი — იხ. ბეჰთი
ბილევი — სალესი
ბოინი — სასაკლაო
ბოლი — აქა ტოტი
ბორი — ბუკი. საყეირი
ბრე — მოაჯირი
ბრეში — მრეში, რუხი
ბედენი — ზედა სამოსის წინა ნაწილი, გულმკერდის მხარე
ბეინამაზი — უღვთო, ურწმუნო, ულოცველი
ბორბოცი — აქ: ბარბაცი
ბარიშალი — შერიგება
ბლიკვი — მჯიღი, მუჯლუგუნი
ბოია — საღებავი
ბოჭოჭვავი — ობობა
ბედვა — დაცდა, დაკვირვება, დაწყევლა, შერისხვა

---

* სიტყვების ახსნაში (ლექსიკონში) შევიდა ის სიტყვები, რომლის განმარტებაც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ და ის სიტყვები, რომელთა კონტექსტური ახსნაც შევძელით ამიტომ წიგნის ამ ნაწილს სრულყოფილების პრეტენზია არ აქვს სიტყვათა შიგნით ბმბანური მიმდევრობის მკაცრი დაცვა აუცილებლად არ მივიჩნიეთ, ლექსიკონის შედგენაში დაგვეხმარა და კონსულტაცია გაგვიწია თეატროლოგმა, საქ. დამსახურებულმა მასწავლებელმა ოსიკო გვარიშვილმა.

გ

გაკუწება — გაბრაზება
გებრა — აქ: ქუდი (ნიშანი ქუდზე, ღერბი)
გეშტი — დაკარგვა, დაიკარგა
გუგუმი — სპილენძის თუნგი
გუმოში — აქ: სახელი
გასინგრევა (გასინგრული) — გაპოხილი, გასანთლული
გეჩექი — მართალი, სწორი, ნამდვილი
გობრინატორი — გუბერნატორი
გონჯობა — სიგლახე, ბოროტება
გალი — ოთხ მუსლიმანურ მიმდევრობათაგან ერთ-ერთი

დ

დალანძვა — დაწვა
დაუუკვა — მოგროვება, თავმოყრა
დელი — გიჟი
დენგი — ქსოვილების შეკერა, თოფი
დომამე — იატაკი, ფინი
დუბარა — მზაკვრული ხერხი, მოტყუება
დუნია — ქვეყანა, მსოფლიო
დუშმანი — მტერი
დახელული — აქ: ხარბი, გაუმაძღარი
დინი — რწმენა, სარწმუნოება
დერდი — დარდი
დოსტობა — მოყვრობა

ე

ეილუგი — სიკეთე, ამაგი
ელდენ — ხელი, ხვლიდან
ემჯამი — როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს
ეზანი — მოწოდება, გამოცხადება, მოხმობა ლოცვისათვის
ელები — ზომის ერთეული
ემრი — ნება, ბრძანება, სურვილი, განკარგულება
ეფენდი — ბატონი
ეპრუალები — ეპრიანები, ეპირები, გწადია
ეჯელი — სულთამხუთავი, აღსასრული, სიკვდილი
ეღაზეება — აქ შურს, შეშურს

ვ

ვახტი — დრო, ჟამი, ვადა ლოცვის აღსრულებისა
ვარი — უარი
ვოლაჰი — აქ: ფიცი, დაფიცება

ზ

ზაბუთი — საბუთი
ზავალი — საწყალი, უბედური
ზათი — მაინც
ზალუმი — უსამართლო, მკაცრი
ზაფთიე — ქანდარმი
ზოფა — როზგი
ზენჯირი — ჯაჭვი
ზამანი — დრო, ჟამი, დროები
ზორი — აქ: შეჭირვება, გაჭირვება

თ

თავიბაში — მეთაური, წინამძღოლი
თალაში — აღელვება
თავანი — ჭერი
თებერი — წიგნი
თუღი — ფაშის თავსამკაული, რეგალია
თოვბე — მონანიება, დაგმობა, აღიარება, უარყოფა
თორბა — პატარა ტომარა, თოფრა
თუჯარი — ეკარი
თული — ნაირი (ორნაირი, სამნაირი...)
თხველი — მათხოვარი
თემენა — მოწიწებითი მისალმება, თაყვანისცემა
თელი — ყველა, მთელი, მთლიანად, სულყველა
თემბელი — ზარმაცი, ზანტი, მცონარა, უქნარა
თოფუზი — კეტი

ი

იარენები — ნათესავები
იახი — მოტეხილობის ნახვევი, კვერცხისგან დამზადებული
იბრეთი — საოცარი, საშინელი, ცუდი, უშნო
იგითი — გულადი, მამაცი, გაბედული, უშიშარი, ძლიერი
იეთიმი — ობოლი
იელები — ჟილეტი
ინათი — ჟინი, სიჯიუტე
ინშალაჰ-ღვთის შეწევნით, ღვთის ნებით, ღვთის მადლით
იყბალი — იღბალი
იმანი — კარგობა, ხიკეთე, წყალობა, რწმენა
იმფირატორი — იმპერატორი
ისტარუმ სენუნ რიზანი — წყალობა მარგუნე
იღაჭი — უთუოდ, უსათუოდ, აუცილებლად, ხსიკვდილოდ
ინსანი — ადამიანი, კაცი
იაბანი — გარეული, ეელური
იემი — საშველი, კერძი

კ

კამანდარი — მეთაური
კანრევა — ძველი იარაღის სახელი
კაპი — კაუჭი
კატარი — წვერი
კილაჯი — ძველი იარაღის სახელი
კოში — მწარე კვახი
კუკუნეთი — უკუნეთი, სიბნელე

ლ

ლათინკა — სავაზნე სარტყელი

მ

მაზღალა — ხვრელი
მართინი — თოფი (მარტინის სისტემისა)
მაჰანა — საბაბი
მედრესე — მუსლიმანური ლოცვანების სკოლა
მეზერი — საფლავი, სამარე
მერაყი — დარდი, ჯავრი
მერჯანი — მარჯანი
მეჯიდიე — ფული
მეჯლისი — საბჭო
მიზამს — მაჯობებს, დამძლევს
მირი გზა — სახელმწიფო გზა, მთავარი გზა
მილეთი — ხალხი
მურადი — ბედი
მუსტაღი — ახი
მუჰაჯირი — ლტოლვილი
მოსაფირი — სტუმარი
მინეთი — ვედრება, დამადლება
მუმი — სანთელი
მუბარექი — წმინდა, ღვთიური, დალოცვილი, კურთხეული, წმინდანი, ნეტარხსენებული, ნეტარი
მელაიქი — ანგელოზი, ღვთის მოციქული
მუზი — დამსმენი, ენის მიმტან-მომტანი (მუზეირი)
მორბედი — მოსამსახურე, გარემსახური

ნ

ნერჩი-ფსკერი, ბოლო
ნუკი — წონის ერთეულია
ნამსხმანი — სხეული, ორგანიზმი, ტანი, ტანის ნაწილი
ნაქმარი — ჩადენილი, გაკეთებული, ნ მოქმედარი
ნური — წმინდა სული, ნათელი სული
ნაუბახი — ჰაუტბახტი

ო

ოღუშაღი — ცოლ-შვილი, ოჯახი
ოყა — წონის ერთეული
ომრი — სიცოცხლე, სიცოცხლის ხანგრძლიობა
ოლქა (ოლქაობა) — თემი, გაერთიანება, დაჯგუფება
ოლან გეთტი — ჰეი, წადი (გაეთრიე)
ოღლანი — ბიჭი, ყმაწვილი

პ

პაპუცი — ფეხჩასაცმელი
პენწიე — პენსია

რ

რაზი — თანახმა, კმაყოფილი
რეწეზანი — მარხვა
რიჯა — ხვეწნა, თხოვნა
რაზბოინიკი — უაჩაღი, ავაზაკი, ფირალი
რიშვეთი — ჭრთამი
რიზა — ნება, თანხმობა
რეხმეთი — წმინდა, ცხონებულ
რეჯებ-შაღბანი — რამაზანის წინათვე
რეზილი — უსინდისო, შერცხვენილი

ს

საბახ-ილდიზი" — ცისკრის ვარსკვლა-
ი
- ქეიფი, დროსტარება
აღლამი — მრთელი, ჯანმრთელი
ალაეთი — საძოვარი
ებები — საბაბი
ხედაი მილეთი" — „ხალხის ხმა". პანის-
ლამისტური, პანთურქული მიმდინა-
რეობა, პარტია
არჯი — მოსეირე
აევათი — ღვთისადმი ვედრება, ლოც-
ა, აჯა
ალი — სარდალი
თი — მწარე, ცხარე
ასი — მეჯინიბე
ნგილე — სიმდიდრე
ახი — იარაღი

სპორი — ქამათი
სუდია — აქ: სასამართლო, მოსამართლე
სუმათარა — წყლის მათარა
სამა — ცეკვა
სათირი — სტრიქონი, ხაზი
საბრი — მოთმინება, მოთმენა, გაძლება
სკიდკა — დათმობა, დაკლება
სურეთი — სურათი, სახე
სურიელი — სულიერი
სუნნეთი — აუცილებელი
სუნთელი — ყველა, სულ ყველა, ყვე-
ლაფერი, მთლიანი
სური — ჯოგი, ფარა
სურა — მუხლი
სირათ ქოფრი — ბეწვის ხიდი

ტ

არჯული — ზურგჩანთა, ზურგზე მო-
საკიდი ტყავის გუდა
არაღაჯი — სახრჩობელა
ჩი — წნელი
აყილიფაი — დამბაჩის ბუდე, ტყა-
ისგან დამზადებული

ტიტვირი — ტუჩი
ტამარი — ძარღვი, ნერვი, ზნე, ხასიათი,
ბუნება, მოდგმა
ტაბანი — ფეხი, ტერფი, ფეხისგული,

უ

ელი — იმედი
კომი — ავადმყოფი
ებელა — ბერძენი
ობა — მტრობა, ავის ქმნა
ატურა — სამართებელი

უსულით — ნელა, ფეხაკრებით
უღური — მარჯვე, მოხერხებული
უნდონობა — ავადმყოფობა, უმადობა,
დავარდნილობა
უმეთი — მრეველი

ფ

ეიშაჰი — მეფე
ა — ფული
ინი — ჯიბრი

ფეიღამბერი — წინასწარმეტყველი. ალა-
ჰის მოციქული
ფიშეკი — ვაზნა

ფურსანთი — დრო, საშუალება
ფუხარა — ღარიბი, ღატაკი
ფიშშან (მემრე კი გახდები) — აქ: ინანებ, სინანული
ფირალი — ყაჩაღი
ფერდე — ფარდა, ჩადრი, რიდი
ფხარი — მხარი
ფარძი — დოგმა, აუცილებელი, უთუოდ შესასრულებელი
ფეშინ-ფეშინ — უეცრად, მყის, თანდათან
ფენა — ცუდი, ავი
ფაკი — აქ: თავისუფალი, განწმენდილი

ქ

ქეზიბანი — შალის სახელია
ქემერი — ქამარი
ქერიბანი — ქარვა
ქეფინი — სუდარა
ქიარი — სარგებელი
ქითაბი — მუსლიმანური სასულიერო წიგნი
ქილიკი — საწყაო
ქოქლანი — შემძლე, მაგარი, ამტანი
ქუმა — ჩურჩხელა
ქუთილი — მაშველი, ძალაყინი
ქირეზა — იენისი
ქოფრი — ხიდი
ქუფური — გინება, ლანძღვა, შეურაცხყოფა
ქიბრობა — ამპარტავნობა, ქედმაღლობა

ღ

ღეზრაილი — სულთამხუთავი
ღუზები — მდგომარეობა, ვითარება
ღამაზობა — შური, მოშურნეობა, შურიანობა სიხარბე, ჯიბრი

ყ

ყაითანი — ძაფი, ბაწარი, თასმა
ყაინი — ცოლის ძმა
ყამა — ხანჯალი
ყავალი — აქ: გახრეტილი, სალამური
ყანაოზი—ქსოვილის სახეობა, აბრეშუმისა
ყიბლი — მიმართულება წმინდა ადგილისა (მექა)
ყირალი — მეფე, ხელმწიფე
ყისმეთი — წილი, ხვედრი
ყუი — ორმო
ყულა — ჩალისფერი
ყარაყიში — დეკემბერი
ყარდაში — ძმა
ყეიდი — მელოდია
ყელემი — ფანქარი
ყეჯრი — წვალება
ყულაუზი — შემმოწმებელი, მზვერავი
ყუმა — მატერია
ყურუში — თურქული ფულის ერთეული
ყუსური — ნაკლი
ყალე — ციხე
ყილიფი — ბუდე
ყაბული — თანახმა, კმაყოფილი
ყერიბი — ეული, უთვისტომო
ყადი — მოსამართლე
ყიამეთი — წარღვნა, ქვეყნის დაქცევა
ყურანი — მუსლიმანური საღვთო წიგნი
ყული — მორწმუნე
ყიბლე — ქაბეს მხარე, წმინდა ადგილი
ყიშლა — სადგომი

შ

შემსიე — ქოლგა
შეითანი — ეშმაკი
შეყრიალება — შეცქერა, მიშტერება
შერიღეთი — შარიათი
შაფი — ოთხ მუსლიმანურ მიმდევრობათაგან ერთ-ერთი
შეითანი — ეშმაკი
შიდდეთი — ძლიერება, ღონე

ჩ

ჩალუმი — ხერხი
ჩალღი — საკრავი
ჩაშტაღი — საფარი
ჩეთე — შეიარაღებული სახალხო რაზმი
ჩიფთი — წყვილი
ჩიფთეები — აქ: ხის ზარბაზნები
ჩეთინი — ძნელი, რთული

ც

ციციელი — მეხი

ძ

ძიაი — ძმა (უფროსი ძმა)

წ

წივსაკონი — წვივსაკონი
წულეპი — წკეპლა

ჭ

ჭაჭვი — პეშვი

ხ

ხარო — ფქვილის შესანახი კიდობანი, ხვრელი
ხარჯლული — სახარჯავი, ფული
ხაშარი — ლობიოს სარი
ხებერ• — ამბავი
ხიზარჯი — მხერხავი
ხოში — განწყობა
ხემბელი — ოთხ მუსლიმანურ მიმდევრობათაგან ერთ-ერთი
ხიზმეთი — სამსახურის გაწევა, მომსახურება
ხესაბი — ანგარიში ნამოქმედარზე
ხასი — საუკეთესო, რჩეული
ხენეფი — ოთხ მუსლიმანურ მიმდევრობათაგან ერთ-ერთი
ხაფსები — აქ: პატიმრები

ჯ

ჯამე — მუსლიმანური სამლოცველო
ჯეიზი — მზითევი
ჯენნეთი — სამოთხე
ჯეჰენნები — ჯოჯოხეთი
ჯენგობა — გაშაირება
ჯებრაილი — მშველელი ანგელოზი
ჯუჯუხეთი — ჯოჯოხეთი
ჯილველი — მხიარული

ჰალადა — ჯერ კიდევ, ისევ, კვლავაც
ჰალი — ძალა
ჰეზრეთი სულეიმანი — ღვთის რჩეულია
ჰერსი — ბრაზი, რისხვა, გაჯავრება, განრისხება, გაბრაზება
ჰილლე — ნაკლი, სიმუხთლე, ცბიერება
ჰური — ანგელოზი (ქალი)
ჰეიბეთი — უშნო
ჰაივანი — პირუტყვი, საქონელი
ჰეჩ-ოდნავ, სრულიად, საერთოდ
ჰელალი — ალალი, მართალი, უცოდველი, კანონიერი, სამართლიანი
ჰაზირი — მზა, გამზადებული
ჰელები — ალაბი, ადლი
ჰემ — თან, თანაც, ამასთან
ჰერამი — არამი
ჰახი — კანონით, სამართლით კუთვნილი, საკუთარი, გასამრჯელო
ჰუდუდი — საბღვარი

შინაარსი

გამომცემლებისაგან 3

ქარი პირველი

ფგოსანი ქალამი რად შინდა

ბუკანა გაირახტარ-შავიშვილი 7

1. სოლაღის ლექსი 9
1. ლექსი სოლაზე (ვარიანტი) 10
2. ზამთარი 11
3. ბათუმის ლექსი 12
4. ჩიჩხინაკი (ჩიტი) 12
5. ერინ დრომა ბრძანებელა 13
6. ჩიბალოღლის ლექსი 13

ხუსეინ ხაბაზი (ქამჯარაძე) 15

1. ჩემი ყარიბული გალექსვა 19
2. ფირალობაში დავბერდი 19
3. ლექსი სიბერეზე 20
4. დათვის ლექსი 20
5. დაკარგული ცხენი (ბაჩა) 21
6. მე სიმღერას დავეთხოვე 22
7. დიაბეჭირს გიახელი 22
8. სკვინჩა (ჩიტი) 23
9. სიზმარი 23

ხუსეინ ბეჟანიძე 24

1. თამარ დედოფლის ლექსი 29

ზემედ ჟორნია 30

წერილი ქუთაისიდან 35
წერილი რედაქტორთან 37
გადაკარგული ქართველები 37
ძიავ ბატონო იასე 38
1. საქართველოვ! 42
2. სამშობლოს სიყვარული 42
3. ეროვნება და რწმენება 43
4. ზოგი კაცი 44
5. მე ერთი ბერი კაცი ვარ 44
6. წრევანდელმა წელიწადმა 45
7. ხულუს-აღა, ჩემო ბრძენო 45
8. ხუსეინ-აღა მეგრელიძეე 45
9. დაგლახდი, დაჭაჭანაკდი 46
10. მეჯიდ გუნთაიშვილისა და ხასან ცეცხლაძის ლექსი 46

11. ლექსი ჩონთო ურუშაძეს . . . 47
12. ხასან-აღას არიფ-აღა... . . 47
13. იქის ღმერთმა, საზოგადოდ... . . 48
14. ხასან-აღა, ცხოვრებაში... . . 48
15. მე ასე ვარ, ნათესაო... . . 48
16. ჩემს სიყმაწვილე-ყრმობაში... . . 49
17. ეს სოფელი... . . . 49
18. ლექსი „სედაი მილეთის" ხელმძღვანელობაზე 49
19. დავბერდი და დავუძლურდი . . 50
20. მემედ ჭყონიასა და ხასან კომახიძის გაშაირება 51
21. მამულო! 52
22. როს ახალგაზრდა ვიყავი . . 52
23. კაცი ხარ, ადამიანი... . . 53
24. ლექსი ილიას მეგრელიძეს . . 53
25. ანდერძი . . . 54
26. შვილიშვილების გაშაირება . . 55
27. ექსპრომტი 56
28. ექსპრომტი 56
29. ლექსი ძმას, სკენდერ ჭყონიას . . 56
30. წელთ სიმრავლე მოწმე არის . . 57
31. არვის ახსოვს... 58
32. მემედ ჭყონიას და ხასან კომახიძის გაშაირება 59

ხუსეინ ბაჯელიძე . . . 61

1. მზე მესტუმრა . . 65
2. ხაქტომბრო . . 65
3. საბჭოეთის გავხდით წევრი 65
4. ლობიოს ლექსი 66
5. ლობიოს პასუხი 67

რეჯებ მჟავანაძე . . . 69

1. ფურტიოელი ილიასას ლექსი 85
2. ყირიმლიოღლის ლექსი 87
3. დაწყევლილი ჩემი ბედი . . 89
4. გამოსათხოვარი . . 89
5. ბედ-იყბალი . . . 90
6. მემთევრებისა და ქმრების გაბაასება 91
7. ალიაღა სამბაშოღლი . . 92
8. ხაათის ლექსი . . 93
9. თის ლექსი . . . 94
10. ქალ-ეაქი . . . 94
11. ყიამეთის დესტანი (ლექსი) 96

რეჯებ მჟავანაძის შთამომავლობა მეჰმედ მჟავანაძე.ალემდაროღლუ 104

აქიფ ქათამაძე 114

1. ლექსი ჭვანის აჯანყებაზე . . 117
2. ლექსი ტუსაღ აქიფ ქათამაძეზე . . 118
3. სალამი თახსინ-ეფენდი . . . 120
4. აქიფისა და ჩონგურის გაშაირება . . 121
5. აქიფ ქათამაძისა და გურული ქალის გაშაირება 122
6. დურსუნ-ბეგის ცხენის ლექსი . . . 123
7. სოფელ ჭვანის ძველი ცხოვრებიდან 124

ედემ სურმანიძე (ქობახელა) 125

1. საქორწილო სახუმარო 128
2. სიძე-სიდედრი 128
3. ერთი ლექსი მოგახსენო... 129

ზირინ შარაშიძე 130

1. ვოდელიოღლის ლექსი 135
2. აჭარული დესტანი 136
3. დამწუარი გული 137
4. ვერკი, ვერკო, ვერკის ფერი 137
5. აკოშკაზე მომდგარიყავ 138
6. სატრფოსთან (ცოლთან) განშორების ლექსი 138
7. ცოტა რამეს მოგახსენებ 139

ყემბერ ხაბაზი 140

1. არტელი ჩამოყალიბდა 144
2. სიბერის ლექსი 144
3. სიკვდილის ლექსი 145
4. ლექსი ხუსეინ ხახუტაიშვილს 146
5. ლექსი მამად შაიშვილს 147
6. ლექსი ყემბერი ხაბახის 148

ჭამილ ჯინჭარაძე 150

1. გაბაასება 152

ხასან კომახიძე 154

1. ოსმანის ბიტყვა 158
2. ბეგების სიმღერა 158
3. გლეხის ბიძღერა 159
4. მოწაფის სიმღერა 159
5. საბჭოთა ხელისუფლება აჭარისტანში 160
6. ხასან კომახიძის და მემედ ჩყონიას გაბაასება 160

ელვანა სოლომონიძე 165

1. რძალ-დედამთილის გაბაასება 168
2. ხერტლის ნადური 168
3. ხატრფიალი შაირები 169

ხასან ხაბაზი (ხაბაძე) 170

1. ლენინის ხსოვნას 173
2. კომპარტიის ძლიერებით 173
3. შენმა სიბრძნემ მეც მასწავლა... 174
4. ბიკვდილი ჯალათებს 174
5. ოსმან ბიძიამ მიამბო 175
6. ხუსია ბაჯელიძის ლექსი 177
7. სამგლოვიარო ლექსი ცოლის გარდაცვალებაზე 177

ზასან თხილაიშვილი 180

1 შესხეთს 184
2. მესხებს 184
3. ისტორიულად აჭარლებს... 185
4. ხალხი შიმშილით წყდებოდა 186
5. ტურფას 186
6. ლექსი ხუსეინ ბაჯელიძეზე 187
7. ჩოლოქი 188
8. ოსმალთა შემოსევა 189

შაქირ ზოსიძე (ჟაბო) 190

1. შაირები 193

კარი მეორე

მუზა მაქვს მოსულ ნასული...

მემედ ჭაბიაბაძე 199

1. ანდერძი შვილს 201
2. სოფელი 203
3. ძმის გახსენება 203
4. ცრუპატრიოტი 205
5. კეთილშობილება 205
6. ზნე და ჩვეულება 206
7. ეკსპრომტი 207
8. ცბიერი ქალი 207
9. ჩვენ მშვიდობა 208
10. გამბედაობი ტურა 209
11. ერთგულების სიბრძნე 209
12. საანდერძო 209
13. შეგონება 210
14. ქართველის სიმღერა 211
15. კანონმდებელს არ წაბაძო 212
16. მამათა აკვლევა 213
17. ასე ერჩიოს მშრომელსა 214
18. ჩემო მეზობელო 215
19. ზოგიერთი გულკეთილობის ბედი 216
20. უსამართლო მეკარის ბედი 216
21. ვემდურები ბედისწერას 217
22. გაზაფხული... 218
23. გვიან მოვედი გონსაო 219
24. სადღეგრძელო სახსოვარი 220
25. ქვეყნის წინაშე სათხოვარი მაქვს 221
26. მკლავი სანანებელი 222
27. რჩევა, გონიერება 223
28. ვტოვებ, მივდივარ... 224
29. წარსული ბეღი 226
30. ლამაზი 226
31. ენა, სიტყვა, ხმა 227

32. ნუ ხარ ამაყი 228
33. ჩემო ქართულო ენაო 228
34. ქება ქართლის მანდილოსანს 229
35. გუგული 231
36. მზიური აჭარა 231
37. მოხუცებულს მაგონდება 233
38. ბრძენის ჩანაფიქრი 233
39. ახალგაზრდებს 235
40. ჩემი განსაცდელი 236
41. ქაცი თვალთმაქცი 238
42. ნაირსახეობის მტერი 239
43. ბევრ სხვასაც უყვარს 240
44. ჰეი, ახალგაზრდავ... 241
45. ლამაზის ცდუნება 242
46. ჩემო სამშობლოვ, საქართველოვ 243
47. ვილაპარაკოთ მართალი 244
48. წარმავალია ყოველი 247
49. ჯიანი სინანული 247
50. შენ ჩემო ციცაქალაო 249
51. შემედის მინაწერი მამის-აჭიფისადმი 250
52. (ქაცის და ბედის გაბაასება) 251
53. პირველი გაბაასება სახალხო მთქმელ მემედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძისა 253
54. მეორე გაბაასება სახალხო მთქმელ მემედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძისა 255
55. სახალხო მთქმელ მემედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძის მესამე გაბაასება 256
56. მეოთხე გაბაასება სახალხო მთქმელ მემედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძისა 259
57. „მცირე მოგონება“ 260
58. კინტრიში 261
59. ჩემო ვარსკვლავო 262
60. ხინო და კინტრიში 263
61. როდესაც დრონი იცვლება 264
62. სოფო 265
63. მართალი 266
64. ჯვარის მინდორს 267
65. ბრძენმა თქვა 268
66. წარსულსა არ ვემდურები 269

თოფია ჟათამაძე 270

1. ლექსი ლენინზე 273
2. ბელადის ხსოვნას 274
3. პარტიას 274
4. სიმღერა საბჭოთა საქართველოზე 275
5. თბილისის 1500 წლისთავისადმი 276
6. პირველი მაისი 277
7. საკოლმეურნეო სიმღერა 277
8. სიმღერა აჭარაზე 278
9. სიმღერა ჭვანაზე 278
10. კოსმოსის გმირებს 279
11. დაფასდა შრომის ნაყოფი 280
12. თავი ბულბული მგონია 280

13. სატრფიალო 281
14. ნეტავი გოგო მე და შენ 282
15. მზესავით რომ სხივს აელვებ 282
16. ქვეყნად ვეძებდი საყვარელს 283
17 ამბავი დაჭრილნებული ვაჟისა 284
18. ედემის ბაღის ყვავილო... 284
19. სატრფიალო გაშაირება 285
20. ჭალ-ვაჟის გაბაასება 285
21. ყაიაბერის ვირი 286
22. ლენინის უკვდავება 288
23. გამარჯვების ლექსი 288
24. სიმღერა ისრაფილ ჯინჭარაძეზე 290
25. ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში 290
26. სადღეგრძელო 291
27. ჩვენი დიადი სამშობლო 291
28. საბჭოთა რაკეტა მთვარეზე 292
29. გურულისა და თოფიას გაშაირება 293
30. თოფიას მინაწერი ძმის, მემედისადმი 293
31. მემედის პასუხი 294

ასიე (ქულა) ხაბაზი 296

1. აქუციისთავი 300
2. ლექსი ჯარისკაცის ქვრივს 300
3. ის წარსული ძველი დროი 301
4. გაზაფხულმა უთხრა ზაფხულს 301
5. ავსა კაცსა 302
6. დათვის საჩივარი 302
7. ლექსი ვახუშტი კოტეტიშვილს 303
8. ლექსი ხალხურ მთქმელს ნათელა ხაბაზს 304
9. ლექსი გაგზავნილი საფლავში ნათელა ხაბაზთან, გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ 304
10. ნათელას პასუხი 305
11. ეს ლექსი მივიღე ლიანა რომანაძისაგან 305
12. მივსწერე პასუხი ლიანას 306
13. სოსო ქომახიძის ლექსი ასიეს 306
14. ასიეს პასუხი 307
15. ლექსი მამუდ ჯაფარიძეს 307
16. ლექსი ზაფით ხახუტაიშვილს და მის ცოლს ფატის 308
17. ლექსი ციცინო ხაბაზ-ჯინჭარაძეს 309
18. ლექსი შოთა რომანაძეს 309
19. ლექსი ხუსიკა შავიშვილს 310
20. აჭარელი ქალი 311
21. რძალ-დედამთილის ლექსი 311
22. ასიე ხაბაზისა და ილია კომახიძის გაბაასება 312

გინალი ფუტკარაძე 321

1. მარად უკვდავი გენია 324
2. ბედნიერი მომავლისათვის 325
3. კოსმოსის პირველი სტუმარი 325
4. ლექსი აჭარაზე 326
5. ასეთებსაც წავაწყდებით 327
6. სოფელში გზა შემოვიდა 327
7. მამულის სიყვარულით 328

8. შრომის სიმღერა 329
9. არ დავივიწყებთ ლენინს 329
10. თავისუფალო მხარევ 330
11. ნიკოლოზ ბარათაშვილს 331
12. სიმღერა გერმანე ტიტოვზე 331
13. მშვიდობის მზე აჭარაში 332
14. კომუნიზმისკენ მივდივართ 334
15. ქალ-ვაჟის გაშაირება 334

„ამბარავ, ჩემო საუნჯევ“

ოთარ ბუღნია 336

1. შეგონება 339
2. აჭარა 352
3. თქვენი ქირიმე პაპანო 352
4. ხარობს მესხეთი, აჭარა 352
5. ნეტავი ისე ვიცოცხლო... 353
6. ირწმუნე შრომა 354
7. ჩვენი სიცოცხლის წყაროა 354
8. მოკვდები, შენზედ ასე თქვან 355
9. ბრძენს უთქვამს 355
10. რჩევა 355
11. მინდერად გიხილე 356
12. ქვეყნად ის თქმულა ღვთისშვილად 356
13. თვალით მენახა, ვნატრობდი 357
14. აჭარა ჩემი სულია 358
15. ცუდი გვაქვს წესი 358
16. ადამიანი 360
17. მე ვიცი 362

ზვიად გახუნტარაძე 363

1. კაცო, შენი დრო წავიდა 366
2. განახლებული ღორჯომი 366
3. დედა-შვილის გაბაასება 367

ნათელა ხაბაზი-კომახიძისა 368

1. აჭარელი ქალი 371
2. მეჩაიე ქალები 371
3. დედამთილის გულისტკივილი 372
4. ავი რძალი 372
5. ავი დედამთილი 373
6. ლექსი ნათელა ხაბაზს ასიე ხაბაზისაგან (გაშაირება) 374
7. ლექსი ნათელა ხაბაზს ასიე ხაბაზისაგან 375
8. კეკერა ფხალი ჩიოდა... 377
9. ვახუშტი კოტეტიშვილს 378

ძარი მესამე

სხვა და სხვა რჩეული

ზრობის ლექს-სიმღერები

1. მოვიდოდა მშვიდობაო (ჯიქურაძ) . 379
2. ვაძ თუ დილას ყურადღელმაო (ჯიქურაძ) . 379
3. მერვანი (ჯიქურაძ) . . . 380
4. მთას ხოხობი აფრენილა (სასადილო) . 380
5. მთას ხოხობი აფრენილა (სასადილო) . 380
6. ქალი ვიყავ აზნაური (ჯიქურაძ) . 381
7. შარშანდელსა ნაყანევსა (საჯავახურაძ) . 383
8. შავი შაშვი ჩიოდა (ჯიქურაძ) . 383
9. ქორი თეთრი ჭანდარზეო (ჯიქურაძ) . 384
10. თას ირემი დაწოლილა (ჯიქურაძ) . 384
11. თას ირემი დაწოლილა (ჯიქურაძ) . 384
12. ვაძ თუ მუხა წოწინაო (გორდელაძ) . 385
13. ჩიორ-ჩიტი . . . 385
14. ბებურს ხიდსა ვაკეთებდი (ჯიქურაძ) . 386
15. ვაძ თუ დელი დელობდაო (ჯიქურაძ) . 386
16. ყარანაი . . . 387
17. ელია თუ მელიაო (ჯიქურაძ) . 387
18. ალვის ხეი მოხეთქილა (გორდელაძ) . 388
19. ბერიკაცი ჩაჩნაბერი . 388
20. ლელა . . 389
21. გვეიხედე სერზედაო . . 389
22. წერეთიეი . . . 390
23. ღუპაძ . . . 390
24. გველი ‘ბრილსა მიძრებოდა (ჯიქურაძ) . 390
25. ელამა თუ მელამაო . . 391
26. ლეკებმა რომ დამიჭირეს . 392
27. ბეჟანმა უთხრა თხასაო . 392
28. ღორჯო მისდევდა ირემსა . 392
29. რაშა (თოხნური) . 392
30. ყანაო, ჩემო ყანაო . 393
31. სიმინდს ძირი უხმებოდა . 393
32. სამკალი . 393
33. ჩალმა ჩაყრილო ვენახო . 393
34. ჩეჩვისა და რთვის ლექსები . 394
35. რთვის ლექსები . 394
36. ძილო, რაგზა გვეძინები . 395
37. მემთევრობის ლექსი . 395

საგმირო-საისტორიო ლექსები

1. როსტომ-ზერაბი . 397
2. ათასი კაბა ყმა მყაედა . 397
3. თამარ დედოფლის ლექსი . 397
4. ავთანდილ გადინადირა . 398
5. ქობულეთელი ასლან მესხიძის ლექსი . 398
6. ასლან ბატონოღლის ლექსი . 399
7. ალიაღა სამბაშოღლი . 400
8. ლექსი ომიანობაზე . 400
9. ხონთქარი და რუსი ჩხუბობს . 401

10. ალი ფაშა 402
11. ალი ფაშა თავდგირიძე 402
12. ლექსი მუხაჯირობაზე 403
13. დაგვეღების მუხაჯირად წასვლა 403
14. ლექსი მუხაჯირობაზე 403

სანესჩვეულებო, მითოლოგიური და საყოფიერო ლექსები

1. ალილო 404
2. აღდგომა 404
3. ლაზარობა 404
4. ლაზარობა 405
5. ქათმის ფერხეა 405
6. რწყილის გადალოცვა 405
7. ცეცხლის შენახვა 405
8. ზეცას ეველ, ზეცა ენახე 405
9. ახალ მთვარესთან შეხვედრა 406
10. ხისლზე შელოცვა 406
11. ნანა 406
12. მაყრული ლექსები 406
13. სუფრული ლექსები 407
14. გელინო 408
15. დედამთილის მოთქმა 408
16. პოლომონ ბრძენი 408
17. ზამთრისა და ზაფხულის ლექსი 409

სატრფიალო ლექსები

1. ჩემ სახლზეადან ძეწნებიო 410
2. ერთი ლექსი დავამღეროთ 410
3. ერთხელ გიხილე, ბატონო 411
4. წყალსა ნაფოტი მოქონდა 411
5. მე ვარ უთბელი გიორგი 412
6. ოხმან-ბეგ, შენი ჰირიმე... 412
7. მაღლითა გადმომდგარიყო 412
8. უწლოვანის გათხოვება 413
9. შაფთი რომ დაღამდება 414
10. ჭობულეთელი ზოიძის ქალიხაგან ხასან-ბეგ თავდგირიძისადმი მიწერილი 1850 წ. 415
პასუხი ხასან-ბეგ თავდგირიძისაგან 415

გაშაირება-გაბაასების ტრადიცია აჭარაში

1. ქალ-ვაჟის გაშაირება (ბინკრეტული) 416
2. ქალ-ვაჟის გაშაირება (ბინკრეტული) 417
3. ქალ-ვაჟის გაბაასება (მეტამორფოზული) 418
4. ქალ-ვაჟის გაშაირება (ქაფიური) 419
5. რძალ-დედამთილის გაშაირება (ბაყოფიერო) 419
6. ქალ-ვაჟის გაშაირება (ნადური) 420
7. ხიძე-ხიდედრის გაშაირება (ნადური) 421
8. მეზობლებისა და ქმრების გაბაასება (ბაყოფიერო) 421
9. ქორთლის და „თათრის“ (აჭარელ) ქალებს გაბაასება (ბაყოფიერო) 422

სხვა და სხვა

ლექსი ოლქობაზე (ხუსეინ მეფანაძის) 423
მელავი 424
ყარა ბუღავი 425
ლექსი სიმინდის ეაკრებზე (სულიკო ჭყონიასი) 426
მეგრელიძის ცხენი (სულიკო ჭყონიასი) 427

ზეპირმთარგმნელობითი იმპროვიზაციის ტრადიცია აბარაში

ორენოვანი (თურქულ-ქართული ტექსტები 428

1. ორენოვანი ლექსი 428
2. ორენოვანი შაირები 428
3. ორენოვანი გაშაირება 433
4. ორენოვანი გაშაირება 434
5. ორენოვანი ანდაზები 434

აბარის სახალხო მელექსეობის სია 436

მამაკაცი მელექსენი 436
ქალი მელექსენი 438

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი 439

სახელთა საძიებლები 448

1. მთქმელთა საძიებელი 448
2. შემკრებთა საძიებელი 451

სიტყვების ახსნა 453

გამოცემის მეცნ. რედაქტორი, ფილოლოგიის
მეცნიერებათა კანდიდატი ე. დავითაძე
გამომცემელი მ. ხარაზი
მხატვარი გ. გუჯაბიძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ხაცვლიშვილი
კორექტორები: თ. დავითაძე და ლ. შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას. 7.06.93. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.07.93. საბეჭდი ჭაღალდი № 1. 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29,5. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 27,5.
შეკვეთა № 959, ტირაჟი 10000.

ფასი სახელშეკრულებო

ბაგრატ კურაპალატის სახელობის ბათუმის სამართლის ინსტიტუტის
გამომცემლობა ბათუმი, დიმიტრი თაქდადებულის, 47

საქართველოს რესპუბლიკის
პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმიანობის კორპორაციის
ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის № 5 სტამბა
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 33